

114
1963/4


ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

5

1

9

6

3

მნათობი

საქართველოს
საბჭოთა მწერალთა
კავშირი

სოციალისტური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურობი

წელიწადი მე-40

№ 5

მაისი, 1963 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

35 NS

9506
4506

შ ი ნ ა კ რ ს ი

| | |
|--|-----|
| ირაკლი აბაშიძე — იწეის აპრილი. ლექსი | 3 |
| ალექსანდრე სოლფენიცინი — იყან დენისოვიჩის ერთი დღე. მოთხრობა. დასასრული. თარგმანი რევაზ თვარაძისა | 4 |
| კარლო კალაძე — ლექსები | 48 |
| რევაზ მარგაიანი — წლების სახსოვრად. ლექსი | 49 |
| ლევან ხაინდრაჯა — არსებობდა არადფერი შეცვლილა. მოთხრობა | 50 |
| ტარიელ ჭანტურია — ლტოლვა. პოემა | 67 |
| ნინო დოლიძე — მანანა. მოთხრობა | 74 |
| ოთარ შალამბერძნე — ძახილი. ლექსი | 79 |
| ო. კანდელაკი — გაზაფხულია. ლექსი | 79 |
| დადი მრეღაშვილი — ყაბაძი. რომანი. გაგრძელება | 80 |
| მედეა კახიძე — საგალობელი თეთრახევას. ლექსი. | 104 |
| ჟონ სტეინბეგი — ზამთარი ჩვენი მღვლეარებისა. რომანი. გაგრძელება. თარგმანი ინგლისურ-რიდან ვახტანგ ჭელიძისა | 105 |

შვიდწლადის ბაკანოვება

| | |
|---|-----|
| ნოდარ წულუკისკიო — ჭადონსური სიტხე — კაპროლაქტამი. ნარკვევი | 120 |
|---|-----|

კრიტიკა

| | |
|--|-----|
| გიორგი ნატროშვილი — ჭარისკაცის უკვდავება | 130 |
| სერგო კლდიაშვილი — ნათელი ტალანტი | 140 |
| გურამ ასათიანი — მეტი სინათლე | 143 |

(იხ. მეორე გვ.)




ბავლე ინგოროვუა — რუსთველიანის ეპილოგი. ვაგრაძელება.

წიგნების მიმოხილვა



| | |
|---|-----|
| ფ. ბერაძე — „მიწა და ვარსკვლავები“ | 186 |
| ვანო წულუყიძე — თანამედროვე ქართული ლექსი | 187 |
| ნანა ლვინუაძე — მონოგრაფია სახელწოდებით თანამედროვეზე | 189 |
| გრ. ნადარეიშვილი — ს. მესხის წერილების კრებული | 191 |
| სხალი წიგნები | 192 |



წიგნების მიმოხილვა

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუყიძე

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
- ე. მაღრაძე, ბ. უდენტი, ა. ხულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,
- ს. შანშიაშვილი, გ. ჭიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VI—63 წ. ქალაქის ზომა 70 X 108. ანაწილების ზომა 7 1/4 X 1 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16, უფ 03243 ტირაჟი 6500 შეკვეთა 683.

საქ. კპ ცკ-ის გამოცემლობა, სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография № 1 Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, № 14.

ირაკლი აბაშიძე
იწვინს აკრილი

რაღაც არ გყოფნის,
რაღაც არ გყოფნის
მიწის,
 სიმწვანის,
 ზეცის,
 სინათლის...

იქნებ ბოლნისის,
 იქნებ მარტყოფის,
იქნებ გომბორის,
 იქნებ წინანდლის.

რაღაც არ გყოფნის
ამ დიდ სიახლის,
ბორგვის,
 ტლაშუნის,
 ჩქამის ანაზდის...

იქნებ იორის,
 იქნებ ლიახვის,
იქნებ რიონის,
 იქნებ ალაზნის.

ერთად გეძახის,
ყველგან გეძახის
ყველა სურნელი,
 ყველა საზღვარი,
რომ ყველა ბილიყს,
 ყველა შესახვევს,
დააკედეს გული გაუმადლარი.



აღმსარებელი სოციალიზმი

ივან ღენისოვიჩის ერთი ღღე*

— თქვესმეტი, თვრამეტი...

და ბოლო ორმაგიც რომ დაასხა:

— ოცდასამი. მორჩა! შემდეგი!

ბრიგადის წევრებმა გზა გამოიკვლიეს და პავლო შეუდგა მათთვის ჯამებას მიწოდებას. ზოგიერთებს სუფრასთან მსხდომთა თავებს ზემოდან აწვდიდა, მეორე მაგიდაზე.

ზაფხულში ყოველ მერხზე ხუთ-ხუთი კაცი მოთავსდებოდა, მაგრამ ახლა ისე სქლად იყვნენ ჩაცმულნი, ოთხ-ოთხნი ძლივს ეტეოდნენ, ისიც კოვზი¹ ხმარება უძნელდებოდათ.

იმის ფიქრში, რომ აწეული ორი პორციიდან ერთი მაინც მე შემხედებო, შუხოვმა დაუყოვნებლივ ხელი მიპყო თავის ნამდვილ ულუფას. ჩექმიდან კოვზი „უსტ-იემა 1944“ ამოაძრო, ქუდი მოიხადა, მარცხენა უბეში ამოიღო და ფაფას კიდევებიდან მიპყვა.

საჭირო იყო ეს წუთი მთლიანად საკმლისკენ მიემართა; იმ ფაფის თხელი ფენა ფსკერიდან თანდათანობით უნდა აეცალა, პირში ჩაედგა და საგულდაგულოდ დაედეჭა. მაგრამ აჩქარებაც მართებდა, რათა პავლოს დაენახა — შუხოვმა უკვე დაამთავრაო, და მეორე ფაფა მიეცა. გარდა ამისა, ესტონელებთან ერთად მოსულმა ფეტიუკოვმა შენძნა, როგორ აწიეს ორი ფაფა. ახლა პავლო² პირდაპირ გაჩერებულა, ფეხზე მდგარი ჭამს და ოთხ გაუნაწილებელ ულუფას უთვალთვალავს. ამით სურს პავლოს ანიშნოს — თუ მთელი არა, ნახევარი პორცია მაინც მეც მერგებო.

მაგრამ ახალგაზრდა პავლო მშვიდად შეექცევა თავის ორმაგ ულუფას და აახეზე ვერაფერს შეატყობ — ამჩნევს თუ არა, ვინ უდგას გვერდში, და ახსოვს თუ არა, რომ ორი პორცია ზედმეტია აღებული?

შუხოვმა ფაფა მოათავა. იმის გამო, რომ სტომაქი ერთბაშად ორი ულუფისთვის შეამზადა, ერთმა შვრია³მ კვლადინდებურად ვერ გააძლო. გულის ჯიბე მოიქექა, თეთრ ჩვარში გახვეული დაუმზრალი პურის ყუა ამოიღო და ჯამის მოსუფთაებებს შეუდგა. პურის ქერქზე დაფროვილ ფაფას ენით ლოკავდა და მერე ხელახლა უსვამდა. ბოლოს ჯამი გარეცხილივით მოსუფთავდა, ოდნავლა შერჩა ფაფის ფერი. ჯამი შემგროვებელს გადააწოდა და ერთ წუთს ისე იჯდა ქუდმოხდილი.

მართალია, ჯამები შუხოვმა ასწია, მაგრამ მათი პატრონი ბრიგადირის თანაშემწეა.

პავლომ ცოტა ხანს კიდევ ალოდინა, ვიდრე თავის ჯამს მოასუფთაებდა. ოღონდ არ მოუტლექია, კოვზი გალოკა მხოლოდ. მერე კოვზი შეინახა, პირჯვარი გადაიწერა და ოთხიდან ორ ჯამს ხელი შეავლო, — სივიწროვეში მიჩინება არ ეხერხებოდა, — თითქოს შუხოვს აძლევდა.

— ივან ღენისოვიჩ, ერთი თქვენთვის და ერთი ცეხარს წაუღეთ.

შუხოვს ახსოვდა, რომ ერთი ჯამი ცეხარისთვის უნდა წაეღო კანტორაში (ცეხარი თვითონ ისე არ დამცირდებოდა, სასადილოში ევლო, — არც აქ და არც ბანაკში), — ახსოვდა, მაგრამ, რო-

* დასასრული. იხ. „მთაბი“ № 4.

ცა პავლომ ერთბაშად ორ ჯამს შეავლო ხელი, შეზოგს გული გადაუქანდა — ორივე ზედმეტ ულუფას ხომ არ მამლეგსო პავლო? მერე გულმა ისევ ძველებურად იწყო ფეთქვა.

მყინვე მიჰყო ხელი თავის კანონიერ ნადავლს, გულდაგულ შეუდგა ჰამას, ისე რომ ველარც კი გრძნობდა, როგორ უჭიკავებდნენ ზურგში ახლადშემომატებული ბრიგადის წევრები. მხოლოდ იმის დარდი ჰქონდა — მეორე ფაფა ფეტუკოვს არ მისცენო. წუწკობას ყოველთვის მოახერხებს ფეტუკოვი, მაგრამ ჯამების აწევას ვერაფრით გაბედავდა.

... მათ გვერდით კი ჩამომჯდარიყო მეორე რანგის კაპიტანი ბუნიოვსკი, დიდი ხანია თავისი ფაფა მოემთავრებინა, არც იცოდა, თუ ბრიგადაში ზედმეტი ჯამები იყო და არც უცუცქურებდა — რამდენი ულუფა დარჩა ბრიგადირის თანაშემწეს. ოღონდ გამთბარიყო, მოთენთილიყო და ყინვაში გასვლის ან ცივ დარბაზში მიბრუნების თავი აღარ ჰქონდა. ისევე ხელს უშლიდა ახალმოსულ ბრიგადებს და ისევე დაეკავებინა ახლა სხვისი ადგილი, როგორც იმათ, ვისაც ამ ზუთიოდე წუთის წინ თავისი ფოლადის ხმით აქედან მიერეკებოდა. დიდი ხანი არ იყო, რაც ბუნიოვსკი ბანაკში მოიყვანეს, რაც საერთო სამუშაოზე გაამწესეს. შან არ იცოდა, რომ ამდაგვარი წუთები მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს წუთები მზვამბარ ოფიცერს აქცევდნენ ზანტ და ფრთხილ პატიმრად, რომელიც მხოლოდ ამ სიზანტის წყალობით თუ გაუძლებდა მისჯილ ოცდახუთ წელიწადს.

ბუნიოვსკის უკვე ხელს ჰკრავდნენ და უყვიროდნენ — ადგილი გაათავისუფლო.

— კაპიტანო! ო, კაპიტანო!
ბუნიოვსკი ახალგაღვიძებულივით შეკრთა და მიმოიხედა.

პავლომ ფაფა გაუწოდა, ისე რომ არც უკითხავს — გინდა თუ არაო.

ბუნიოვსკიმ წარბები აწკიპა. მისი თვალები ფაფას ისე დამტყრტყრდნენ, როგორც არნახულ სასწაულს.

— აიღეთ, აიღეთ, — დაამშვიდა პავლომ, უკანასკნელი დარჩენილი ჯამი ბრიგადირისთვის გაიძლოდა და გავიდა.

...დამნაშავე კაცის ღიმილმა შეძრა კაპიტანის დამსკდარ ბაგეები. და კაპიტანი, რომელსაც ვეროპის ირგვლივაც ეცურა და ჩრდილოეთის დიდი გზაც გადაელახა, ბედნიერი შეუდგა შერიის თხელი, უცხიმო ფაფის — შერიისა და წყლის — ჰამას.

...ფეტუკოვმა გულბოროტად შეხედა ჯერ შეზოგს, მერე ბუნიოვსკის და იქაურობას გაეცალა.

შეზოგის აზრით კი სწორი იყო, კაპიტანს რომ მისცეს. დრო მოვა, კაპიტანიც ისწავლის, როგორ უნდა ცხოვრება, ჯერჯერობით კი არ იცის.

ერთი იმედი კიდევ უღვივოდა შეზოგს გულში — იქნებ ცეზარმაც დამითმოსო თავისი ფაფა. მაგრამ ალბათ არ მისცემდა, რადგან უკვე ორი კვირა გადიოდა, ამანათი არ მიეღო.

როცა მეორე ჯამის ძირიც მოასუფთავა, შეზოგმა ბოლოს პურის ქერქიც შეჭამა. მერე ცეზარის ვაცივებულ ფაფას ხელი მოავლო და წავიდა.

— კანტორაში მიმაქვს! — ხელი ჰკრა კარებში ჩამდგარ მოდარაჯეს, რომელსაც არ უნდოდა ჯამიანად გაეტარებინა.

კანტორა საგუშავგოს ახლოს ძელურ ქოშში იყო. საკვამურიდან ბოლი ბოლქვა-ბოლქვა ამოდიოდა დილანდელივით. ღუმელს უკეთებდა მორიგე, იგავე შიკრიკი. ამ მორიგეს ხანდახან რაღაცას გამოუწერენ ხოლმე, ხოლო ნაფოტები და პინწკლები კანტორისთვის არ ენანებათ.

შეზოგმა დერეფნის კარი ააჭრიალა, მერე მეორე, ძენძაკრული კარი გამოალო, ყინვიანი ორთქლის ბული შეიყოლა და უმაღვე მიიხურა (იჩქარა, რომ არავის შემოეყვირა: „ეი, ლობიო, კარი დახურე!“).

ისე მოეჩვენა, კანტორაში აბანოსა-

ვით ცხელოდა. ყინულჩამომდნარ სარკმელში მზე მზიარულად ციმციმებდა, ისე უკეთურად კი არა, როგორც იქ, თბოელექტროცენტრალის მეორე სართულზე. და მზის სხივებში ცეზარის ჩიბუხის ბოლიც იქ იფინებოდა, როგორც ეკლესიაში საკმეველი. ხოლო ღუმელი ისე გაეგარგარებინათ ამ წყეულებს, გამკვირვალე შექნილიყო. საკეპური მილებიც წითლად ღვოდა.

ასეთ სითბოში ერთი რომ მიჯღე, მაშინვე ჩაგეძინება.

კანტორაში ორი ოთახია. მეორე, სამუშაოთა მწარმოებლის ოთახის კარი ღრიქედ დარჩენილა და იქედან სამუშაოთა მწარმოებლის მჭექარე ზმა გამოისმის:

— ხელფასის ფონდი და სამენ მასალათა ფონდი ვადაზარჯული გვაქვს. ძვირად ღირებულ ფიცრებს, ასაწყობ ფარებზე რომ აღარაფერი ვთქვა, თქვენნი პატიმრები შეშად ჩეხავენ და ცეცხლს უკეთებენ, თქვენ კიდევ ვერაფერს ამჩნევთ. ამას წინათ პატიმრებმა საწყობთან ცემენტი ძლიერ ქარში გადმოტვირთეს და მერე ათ მეტრზე კიდევ ხელით ზიდეს. საწყობის გარშემო მთელ მოედანზე კოჭებამდე ცემენტი ეყარა. მუშები რომ წავიდნენ, შავეები კი აღარ იყვნენ, ნაცრისფერი ედოთ. რამდენი დანაკარგია?

სამუშაოთა მწარმოებელი, ეტყობა, თათბირს ატარებს ათისთავებთან.

შემოსასვლელთან, კუთხეში მოთენთილი მორიგე ჩამომჯდარა. იქით შკუროპატენკო, ბ-219, სარკმელს უყურუყურებს, ახლაც მისჩერებია — ასაწყობ სახლებს ხომ არ იპარავენო. ოღონდ ტოლი ხელიდან ვაგიძვრა, ბიძიკო.

ორი ბულალტერი (ისინიც პატიმრები) ღუმელზე პურს ხუზავს. რომ არ დაეწვიათ, მავთულის ბადე გაუკეთებიათ.

თავის მაგიდასთან გამხლართული ცეზარი ჩიბუხს წევს. შუზოვისკენ ზურგით დამჯდარა, ვერ ხედავს.

მის პირდაპირ ზის ბ-123, ოცწელმის-

ჯილი კატორღელი, ჩასკენილი ბერიკაცი. ფაფას შეეჭყევა.

— არა, ბატონო, — ნებანებდა, — რბულად ამბობს ცეზარი. — თბიქტურობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ეიზენშტეინი გენიალურია. „იოან მრისხანე“ გენიალური არაა? ნილბოსანი ოპრიჩნიკების როკვა! სცენა ტაძარში!

— ტაკიმასხარობაა! — პირთან მიტანილი კოვზი გაშეშებია და ჯაჯრობს ბ-123. — იმდენი ხელოვნებაა, რომ უკვე აღარცაა ხელოვნება. პილპილი და ხაშხაშია არსობის პურის ნაცვლად! და მერე უსაზიზღრესი პოლიტიკური იდეა — ერთპიროვნული ტირანიის გამართლება. რუსეთის ინტელიგენციის სამი თაობის ზსოვნა აბუჩადაა ავღებული! (უგრძნობელი პირით ქამს ფაფას, არაფერი შეერგება).

— კი მაგრამ სხვაგვარად ვინ გაშოაშეებინებდა?..

— აჰ, გამოაშეებინებდა?! მაშინ ნულარ ამბობთ — გენიოსიაო! თქვით, მლიქვნელია-თქო, ძალღურ დაკვეთას ასრულებდა-თქო. გენიოსები თავიანთ აზრებს ტირანის გემოვნებას არ უფარდებენ!

— ჰმ, ჰმ, — ჩააჩველა შუზოვმა. ერიდებოდა — ნასწავლ ხალხს საუბარი არ შეეფიყვეტინოო. მაგრამ აქ ტყუილუბრალოდ დგომაც არაფერს არგებდა.

ცეზარი შემობრუნდა, ხელი ჯამისაკენ გამოიწოდა. შუზოვისთვის არც შეუხებდავს, თითქოს ფაფა თავიანთ მოცურებულისკენ პაერში, და ისევე თავისას მოჰყვა:

— მაგრამ ხელოვნება არის „როგორ“ და არა „რა“.

წამოიჭაჩა ბ-123 და ხელის კიდე დასცხო და დასცხო მაგიდას:

— არა! ჯანდაბაში წასულა თქვენო „როგორ“, თუკი კეთილ გრძნობებს არ აღმიძრავს!

შუზოვი ზუსტად იმდენ ხანს დაყოვნდა ფაფის გადაცემის შემდეგ, რამდენსაც ზრდილობა მოითხოვდა. ელოდებოდა — ზომ არ მომაწევიანებო

ცეზარი. მაგრამ ცეზარს აღარც გახსენებია, რომ იგი აქვე, მის ზურგს უკან იდგა.

შუხოვი გამობრუნდა და წყნარად ვაძოვიდა.

არა უშვავს, არც ისე ძალიან ცივა გარეთ. დღეს დაჩქარდება კედლის ამოყვანა.

ბილიკს გამოყოლილმა შუხოვმა თოვლზე დაგდებული ფოლადის ნაჭერი შენიშნა, ლიანდაგის ნამტვრევი. მართალია, ის ნაჭერი არაფრად ესაჭიროებოდა, მაგრამ წინასწარ ვერ იტყვი — როდის რა დაგჭირდება. დასწვდა და შარვლის ჯიბეში ჩაიდვა. თბოელექტროცენტრალში დამალავს სადმე. თავშენახული კაცი მდიდარს სჯობია.

შშენებლობაზე მისვლისთანავე გადაშალული ქაფხა ამოაძვრინა და თოკის ქამარში გაიჩუკო. მერე სადულაბეში შევიდა.

შვებუ ნასიარულევს მოეჩვენა, რომ იქაურობა სულ ჩამოხრელებულიყო. ვერც სითბო იგრძნო მანქანაშიაინც. თითქოს მეტი ნესტი იდგა, ვიდრე გარეთ.

შუხოვის მიერ დადგმულ მრგვალ ღუმელს და მეორე — სილის საშრობ ღუმელს მისეოდნენ ყველანი. ვისაც ადგილი არ ჰყოფნოდა, სადულაბე ყუთის კიდზე მოეკალათნა. ბრიგადირი ზედ ღუმელთან მიჰქდარაიყო, ფაფას შეეჭყოდა. ფაფა პავლოს შეეთბო ღუმელზე.

ფუჩუნობენ ბიჭები. გაბარებულნი ჩანან. შუხოვსაც ეუბნებიან ჩუმად — ბრიგადირმა საპროცენტო კარგად დახურაო. კარგ გუნებაზე მობრუნებულა. როგორი სამუშაო მოიგდო ზელში ბრიგადირმა, ეს მისი ჰუკუს საქმეა. აი, დღეს ნაშუადღევამდე რა გააკეთეს? არაფერი. ღუმელის დადგმას არაფერ გაინაღდებს, არც გასათბობი ოთახის მოწყობას: ეგენი თავისთვის გააკეთეს, წარმოებისთვის კი არა. მაგრამ იმ განწყობაში რამე ხომ უნდა ჩაიწეროს! იქნებ ცეზარმაც ცოტათი ხელი წაუქ-

რას — ტყუილად კი არ ეშვევა პატივით ბრიგადირი.

„კარგად დახურა“ იმას ნიშნავს, რომ ახლა ხუთ დღეს კარგ ულუფას მიიღებენ. ისე, კაცმა რომ თქვას, მარტო ოთხ დღეს, ხუთს კი არა! ხუთი დღიდან ერთს უფროსები ახვილიყებენ, მთელი ბანაკი საგარანტიოზე გაჰყავთ — უკეთესნიც და ყველაზე უარესნიც. თითქოს არავის უნდა სწყინდეს ეს ამბავი, ხომ ყველას თანაბრად უნაწილებენ! მაგრამ რაც იზოგება, ჩვენი მუცლის ხარჯზე რომ იზოგება! არა უშვავს, პარტიზრის სტომაქი ყველაფერს ითმენს: როგორმე დღეს გავძლოთ და ხვალ სულს მოვითქვამთ. მთელი ბანაკი ამ ოცნებით იძინებს.

ისე კი, რომ დაუფიქრდე, გამოდის, რომ ხუთ დღეს ვმუწაობთ და საქმელს ოთხ დღეს ვჭამთ მხოლოდ.

ბრიგადა მიყუჩებულია. ვისაც მოსაწვევი აქვს, უზუმრად ექაჩება. შეყუჩულან ბნელში და ცეცხლს დასცქერიან. თითქოს ერთი დიდი ოჯახი ყოფილიყოს. ყურს უგდებენ, როგორ მოუთხრობს თავის ამბავს ბრიგადირი ორ-სამ კაცს. ბრიგადირი სიტყვაძუნწი კაცია. ეტყობა, ხასიათზეა, რაკი მოყოლა დაიწყო.

ვერც ანდრეი პროკოფიჩი შესჩვევდა ქუდმოუხდელად ჭამას. უქუდობა ხანა მატებს. თმა მასაც სხეებსავით მოკლედ აქვს შეკრეპილი, მაგრამ ღუმელის ცეცხლზეც ჩანს, რამდენი თეთრი შერევია შიგნით.

— მე ასმეთაურის დანახვაზეც მაზანხარებდა და უცებ — პოლკის უფროსთანო! „წითელარმიელი ტიურინი-მეთქი, თქვენი განკარგულების თანახმად...“ მომჩივრდა დაფანჩულ წარბებქვეშიდან: სახელი და მამის სახელიო? მოვახსენე. „დაბადების წელი?“ მოვახსენე. მაშინ რა, ოცდაათზე მაშლაყინწა ვიყავი — ოცდარობი წლის ბიჭი. „აბა, ტიურინ, როგორ მსახურობ?“ — „ვემსახურები მშრომელ ხალხს-მეთქი!“ აღუღდა და რა აღუღდა! ორივე მუშტი

დასცხო მაგიდას. „მშრომელ ხალხს ვენსახურებია? მერე ვინ ხარ შენ, შე მამაძაღლო?!“ ერთიანად გამბურძგლა ტანში, მაგრამ თავი გავიშვარე: „მეტყვიამფრქვევე მსროლელი, პირველი ნომერი, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინე...“ — „რომელი პირველი ნომერი, შე აცროლებული? მამა რომ კულაკი გყავს, ეგ არაფერი? აგერ, ქალაღი შენი სოფლიდან! მამა კულაკი გყოლია და მიმალულხარ, არა? მეორე წელია გექმბენ თურმე!“ ფერი დაეკარგე, ხმას არ ვიღებდი. წელიწადი იყო, შინაურებისთვის არ მიმეწერა, კვალს არ მოაგნონ-მეთქი. არ ვიცოდი, ცოცხლები იყვნენ თუ მკვდრები, და იმგნმაც არაფერი იცოდნენ ჩემი. „რა სინდისმა მოგცა მუშურ-გლეხური ხელისუფლების მოტყუება?!“ — ისე ღრიალებდა, ოთხივე შპალი უცახცახებდა. ვიფიქრე — გამლახავს-მეთქი. არა, არ უცემია. ბრძანებას მოაწერა ხელი — ექვს საათში აქაურობას მოაშორეთო... ნოემბერი იდგა. საზამთრო რაც მეცვა, გამაძრეს, საზაფხულო ტანსაცმელი მომიგდეს, ძველმანი წინდები და გაქუცული მაზარა. გორსალა ვიყავი, თურმე შემქმლო არ ჩამებარებინა... ასეთი უბედური ცნობაც მომცეს ხელზე: „გაქმევებულია წითელი არმიის რიგებიდან, როგორც კულაკის შვილი“. იმ ცნობით სამუშაოზე მოწყობის მეტი არაფერი მაკლდა! სახლამდე ოთხი დღის გზა მედვა. რკინიგზის ლიტერი არ გამოუწერიათ, არც საგზლად მოუტიათ რაზე. უკანასკნელად მასადილეს და გამომაბუნებულეს.

...სხვათა შორის ოცდათვრამეტში ჩემს ყოფილ ოცმეთაურს კოტლასში შევხვდი. იმისთვისაც ათი მიეცათ. იმისგან გავიგე: ის პოლკის უფროსიც და ის ასმეთაურიც ოცდაჩვიდმეტში დაუბერენტიათ. ვინ იყო გამკითხავი — პროლეტარები იყვნენ თუ კულაკები, ჰქონდათ სინდისი თუ არა ჰქონდათ... მაშინ პირჯვარი გადავიწერე და ვთქვი: „მინც ყოფილხარ, გამჩნო,

ხეცაში. ბევრის მოთმენა შეგიძლია, მაგრამ განჩინებაც ძალიან იცი“.

ორი ჯამი ფაფის მერე მუხრები კედლებოდა, ისე უნდოდა მოწევა. და იმის იმედით — ლატვიელისგან ორ ჰიქა თუ-თუმს ვიყიდი და მაშინ ჩავასესხებო, ესტონელ მეთევზეს ჩუმად უთხრა:

— გესმის, ეინო, ერთი ვახვევა მასესხე ხვალამდე. პირს არ გიშლი, ხომ იცი.

ეინომ გიქურ შეხედა მუხოვს თვალე-ბში, მერე თავის ძმობილს გადახედა აუჩქარებლად. ამათ ხომ ყველაფერი სანახევროდ აქვთ, უერთმანეთოდ ფინჩხასაც არ გაიმეტებენ. ერთიმეორეს რალაც გადაულაბარაკეს და ეინომ ვადისცერყაითნინა ქისა ამოაძვრინა, ჩქიდან ფაბრიკის თამბაქო ამოიღო, მუხოვს ხელისგულზე დაუყარა, მერე თვალით გაზომა და კიდევ ცოტათუნნი დაუშმატა. სწორედ ერთი ვახვევა გამოვიღოდა, მეტი არა.

გაზეთის ქალაღი თან ჰქონდა მუხოვს. მოჰხია იმ ქალაღდს, თუთუნი გაახეია, ბრიგადირის ფეხებთან ჩამოვარდნილ ნაკვერჩხალს დასწვდა, — და მოქაჩა! მოქაჩა! მთელ სხეულს დაუარა. თითქოს შეათრო კიდევ და გააბრუა.

ეს იყო გააბოლა, რომ დარბახის მეორე კუთხიდან მწვანე თვალეგმა შემოანათა. ფეტიუკოვი იყო. იქნებ კიდევ დაეტოვებინა იმ წუბაკისთვის, მაგრამ დღეს ფეტიუკოვმა ადრეც იშოვნა ნამწვი. ის აჯობებს, სენკა კლევშინს დაუტოვოს. სენკას არაფერი ესმის, რასაც ბრიგადირი ჰყვება, მიმჭდარა ბეჩავი ცეცხლთან და თავი გვერდზე გადაუხედა.

ბრიგადირის ნაცვაელიარ სახეს ცეცხლის ალი ანათებს. თავის ამბავს ისე გულშეუძვრელად ჰყვება, თითქოს სხვისას მოუთხრობდეს:

— რაც რამე გამაჩნდა, ჩალის ფასად მივასადე, იმ ფულით ორი პური ვიყიდე ხელზე, მაშინ უკვე ბარათები იყო შეიღლებული. ერთი პირობა ვიფიქრე — საბარგო მატარებლებით ვიმგზავრებ-

მეტეი, მაგრამ ამის წინააღმდეგაც მაგარი კანონები იყო გამოშვებული. არა და ბილეთები ვიღას ახსოვდა, ფულითაც ვერ იშოვნიდი, უფულოდ კი არა. მარტო წიგნაკებით და მივლინების მოწმობებით იძლეოდნენ. ბაქანზეც არავის ატარებდნენ: კარებში მილიცია იდგა, სადგურის ორივე მხარეს გზაზე მცველები დადგოდნენ. მზე ჩასვლაზე იყო, გუბებში იყინებოდა. სად უნდა გამეთია ღამე? ჭვას მესერზე ავძვერი, ჩემი პურებიანად გადაუხტი და ბაქნის ჩეჩმას ვეცი. ცოტა შევიცადე — არავინ გამომიკვებდა. გამოვედი, ვითომ მგზავრი ვყოფილიყავი, სალდათი. სწორედ ვლადივოსტოკი-მოსკოვი იყო ჩამომდგარი. მდულარზე თავიბრს ამტვრევდნენ, ერთმანეთს კარდალებს ურტყამდნენ თავში. გავიხედე — ერთი ლურჯ ზედმწეულიანი ქალიშვილი წრიალებს იქვე. ორლიტრიანი ჩაიდანა დაუკავებია, მაგრამ მდულარეს ვერ ეკარება. ერთი ბეწვა ფეხებში პატრონია, ან დამდულრავენ, ან გატყულებენ უმიკვლად. «აჰა-მეტეი, პურები, ახლავე გიშოვნი მდულარეს!» სანამ გავფხვნი, მატარებელი დაიძრა. იმ გოგოს პურები დაუშვრია და ტირის, აღარ იცის, პურებს რა უქნას, თორემ ჩაიდანს სიხარულით შემატოვებდა. «გაიქეცი-მეტეი, ვუყვარე, გაიქეცი, მეც ახლავე მოგყვები-მეტეი!» გაიქეცი და მეც გავეკიდე. დავეწიე, ცალი ხელით საფეხურზე შევაბტუნე. მატარებელმა გარეკა მეც შევაბტი. კონდუქტორმა არც თითებზე დამარტყა რამე, არც გულში უკრავს ხელი: ვაგონში სხვა სალდათებიც ყოფილიყვენ და იმათში ავერიე.

შუხოვმა სენკას მუჯლუფუნი გაპკრა: აჰა, დაგიტოვე და მოსწიეო. თავისი ხის მუნდშტუკიანად მისცა — მოწიო, არ უნდა ამას ამბავი. სენკამ, იმ დამთხვეულმა, მსახიობივით ცალი ხელი მკერდზე მიიღვა და თავი მდაბლად დაუკრა. რა უნდა ელაპარაკო გამოყრუებულს!..

პყვება ბრიგადირი:

— ექვსი გოგო მოდიოდა დახტრულ კუპეში, ლენინგრადელი სტრუდენტები იყვნენ, პრაქტიკაზე წამყოფი. რაფაზე კარაქი და რალაც-რალაცები დაეღაგებინათ, კავებზე პლაშჩები ირწეოდა, ჩემოდნები შალითებში ჩაეწიწიკებინათ. ვილაპარაკეთ, ვიცინეთ, ჩაი გუბელით. თქვენო, მკითხეს, რომელი ვაგონიდან ხართო? ერთი ამოვიხვეწე და გავუტყდი: იმ ვაგონიდან ვარ, გოგოებო, რომ თქვენ კარგად იყავით და ჩემი საქმე წასულია-მეტეი...

დარბაზში სიჩუმეა ღუმელი ღულუნებს.

— ივიშეიშეს, ითათბირეს, იწრიალეს. ბოლოს მაინც მესამე თაროზე ამადგირინეს და პლაშჩებით დამფარეს. მაშინ კონდუქტორებს უშიშროების ხალხი ახლდა. ბილეთს ვინ დაეძებდა, თავი უნდა გადაეჩინათ. ნოვოსიბირსკამდე ასე წამალევედ ჩამიყვანეს... სხვათა შორის იმ გოგოებიდან ერთს მერე პეჩორაზე გადავუხადე მადლობა. ოცდათხუთმეტში კიროვის ნაკადში მოხვედრილიყო, საერთო სამუშაოებზე სძვრებოდა სული. სამკერვალოში მოვაწყე.

— დულაბს ხომ არ მივმდგარიყავით?
— ჩურჩულით ეკითხება ბრიგადირს პავლო.

არ ესმის ბრიგადირს.
— შინ ბოსტან-ბოსტან მივიპარე ღამით. მამჩემი უკვე წაყვანათ, დედა და ბავშვები საეტაბოდ იყვნენ გამზადებული. ჩემს შესახებ უკვე დეპეშა მოსულიყო და სოფსაბჭო მეძებდა წასაყვანად. შუქი ჩავაქრეთ და კედელთან მივიყუყუეთ იატაკზე, თორემ სოფელ-სოფელ აქტივისტები დადიოდნენ და ფანჯრებში იყურებოდნენ. იმავ დღეს უმცროსი ძმა წაყიოლე და თბილ მხარეში წავედი — ფრუნზეში. ან ძმარით უნდა მერჩინა, ან თავი როგორ უნდა გამეტანა? ფრუნზეში ქვაბი დაედგათ, ასფალტს ადუღებდნენ. გარშემო ვეგინდარა ხალხი მოგროვილიყო. მეც მიუვუქეტი: „ბატონო უნიფხვოებო! აიყვანეთ ჩემი ძმა მოწაფედ და ასწავლეთ

— როგორ უნდა-მეთქი ცხოვრება! აიყვანეს... აფსუს, მეც ბლატნიებს მიგკედლებოდი..

— ძმა მერე აღარ შეგხვედრიათ? — შეეკითხა კაბიტანი.

ტორინმა დაამთქნარა.

— არა, აღარ შემხვედრია, — ერთი ც დაამთქნარა და თქვა: — აბა, ნუ დამილონდით, ბიჭებო! აქაც მოვახერხებთ ცხოვრებას. ვინც დულაბი უნდა აკეთოს, დაიწყეთ, საყვირს ნუ ელოდებით.

აი, ესაა ბრიგადა. უფროსი სამუშაოდროსაც ვერ დაძრავს მუშაკაცს, ბრიგადირი კი შესვენებაზეც რომ გეტყვის — იმუშავეო, უნდა იმუშაო, იმიტომ რომ პურს ბრიგადირი გვაჭმევს. თანაც ტყუილუბრალოდ არც ვაგრჯის რამეზე.

დულაბის კეთება რომ საყვირის მერე დაიწყონ, ზომ მოცდენ კალატოვები?

შუხოვმა ამოიოხრა და წამოდგა.

— წავედი ყინულის სამტრეველა ყინულისთვის ნაჯახი და ცოცხი წაილო, სამუშაოდ — ჩაქუჩი, ლარტყა, ზონარი და შვეული.

ღაქდა კილგასმა შუხოვს გამოხედა და დაიქანა, ვითომ — ბრიგადირზე აღრე რას მირბიხარო. მაგრამ კილგასს ზომ ამის სადარდელი არ აწუხებს, ბრიგადა რით უნდა გამოიკვებოს. თუ გინდა ორას-ორასი გრამი პური დააქლი — ამანათებით ვაიტანს თავს.

მაგრამ მაინც წამოდგა. ამდენი კერსის — შენი გულისთვის ბრიგადა არ უნდა დააბრკოლო.

— მოიცა, ვანია, მეც წამოვალ! — ხმა დააწია.

ოლონდაც, ოლონდაც, სქელო. საშენოდაც რომ გიხდებოდეს მუშაობა, უფრო აღრეც წამოხტებოდი.

(კიდევ იმიტომაც აჩქარდა შუხოვი, რომ კილგასისთვის შვეულის აღება დაეჭრო; შვეული ერთი აქვთ ბრიგადაში.)

პავლო ბრიგადირს შეეკითხა:

— კედელზე სამი იმუშავენ? ერთიც ზომ არ დაგვეყენებინა? დულაბი რომ არ გაიციდეს.

ბრიგადირი შეიკუმუნა, დაფიქრდა.

— მეოთხე კაცად მე თავაზი დაგეგმები, პავლო. შენ აქ დულაბა-მინდებ. ყუთი დიდია, ექვსი კაცი დააყენე და ასე ქენით: ერთ ნახევარში რომ გამზადებული დულაბის ამოცლას დაიწყებთ, მეორე ნახევარში ახალი აკეთეთ. ისე რომ ერთი წუთითაც არ დაგვასვენოთ!

— ეჰ! — წამოხტა პავლო. ახალგაზრდა კაცია, სისხლი უღულს, ბანაკებში თრევით ჯერ არ მოტეხილა. — კედლის ამოყვანაზე თუ თქვენ იმუშავენ, დულაბს მე თვითონ მივდებო! ვნახოთ, ვინ აჯობოს! სადაა ნიჩაბი?

აი, ესაა ბრიგადა! პავლო ტყიდან უშენდა ტყვიას და რაიონებს ღამღამობით ესხმოდა თავს. აქ სამუშაოზე თითქოს ფეხი უნდა აეთრია. მაგრამ ბრიგადირისთვის კეთება სხვა ამბავია!

შუხოვი და კილგასი ზემოთ ავიდნენ. უკანიდან მოესმათ — სენაკც მოჭრაქუნობს კიბეზე. მიმხვდარა ყრუ, რაც ხდებოდა.

მეორე სართულზე კედლის ამოყვანა დაუწყიათ და აღარ გაუგრძელებიათ: გარშემო სამ-სამი წყება, ალაგ-ალაგ ცოტაც მიუმატებიათ და ეგაა. ყველაზე ხეავიანი მაშინ გამოდის მუშაობა, როცა უფიქრანაგოდ დგახარ კედელთან, მუხლის სიმაღლეს რომ ასდება და მკერდამდე ავა.

ისე, რაც აქ ფიცარნაგები და ჯოჯინები იყო აღრე, სულ პატიმრებს დაუტაციათ: ან სხვაგან გაუყოლებიათ, ან დაუწვავთ, ოლონდ კი სხვა ბრიგადებს არ დარჩენოდა. ახლა, საქმეს თუ კაცურად მიხედავ, ჯოჯინები ხვალეც უნდა იშოვნო, თორემ მუშაობა შეფერხდება.

მაღლიდან შორს სწვდება თვალი: ირგვლივ ერთიანად გადათოვლილი, უკაცრიელი ზონაც ჩამს (პატიმრები სადღაც-სადღაც შეყუყულები, თბებიანი, ვიდრე საყვირი აფუგუნდებოდეს), შავ-შავი კოშურებიც და ეკლიანი მავთულის ღობის წაწვეტილი ბოძებიც. მზე ისე კაშყაშებს, კაცს თვალის გახელა გაგიჭირდება.

შორიასლო ნენერგომატარებელიც მოჩანს. ბოლავს და კვარტლავს იქაურობას. მძიმე-მძიმედ დაიწყო ქმენა. საყვირის აგუგუნებამდე მუდამ ამგვარად ახრიალდება ხოლმე. აი, აგუგუნდა კიდეც. ბევრი ვერაფერი მოასწრეს საყვირამდე.

— ეი, სტახანოველო! ეგ შევეული ცოტა მარადღ იხმარე! — აჩქარებს კილგასი.

— ერთი შენს კედელს შეხედე, რამდენი ყინული ადევს! ვითომ საღამომდე მორჩები მომტვრევას? ქაფჩა მაინც არ წამოგელო ტყუილებრალოდ, — ქირქილებს შუხოვიც.

კედლებთან ისევე აპირებდნენ ჩარჩებას, როგორც სადილობამდე დათქვეს, მაგრამ ბრიგადირმა ამოსძახა:

— ეი, ბეკებო, დუღაბი ყუთებში რომ არ გაგვეყინოს, ორ-ორნი დაედგეთ. შუხოვ! შენ კლევშინი დაიყენე გვერდით, მე კილგასთან ერთად ვიქნები. მაინამდე გოპჩიკი ჩემს მაგიერად კედელს გაწმენდს კილგასთან ერთად.

შუხოვმა და კილგასმა ერთმანეთს გადახედეს. მართალია. ასე მეტ ხვავს დაატანენ.

წამოაღლეს ნაჯახებს ხელი.

და მერე ვეღარც შორეულ სივრცეს ხედავდა შუხოვი, ვერც თოვლზე მობრკვევიალე მზეს და ვეღარც გასათბობლებიდან ზონაში გამოფენილ ტუსაღებს, რომელთაგან ზოგი დიდიდან შოთთავებელი ორმოებდს თხრას შესდგომოდა, ზოგი არმატურას ამაგრებდა და ზოგი კიდეც ნივნივებს მიათრევდა. ხედავდა მხოლოდ თავის კედელს — მარცხნივ საფეხურებად აყოლებულს, ქაშრის სიმაღლეზე ამოყვანილს, — მარჯვენა კუთხემდე, სადაც მისი და კილგასის კედლები ერთდებოდა. სენკას უჩვენა, სად უნდა ემტვრია ყინული, და თავდაც მუყაითად მიეტანა ხან ცულის პირით და ხანაც ყუით, ისე რომ ყინულის ნამუსრევი შორს იფანტებოდა და სახეშიაც სცემდა. ძალიან მარჯვედ იყო, ოღონდ ფიქრით სულ სხვა

რამეზე ფიქრობდა. მისი ფიქრიც და მისი მზერაც ყინულქვეშ გაწოლილ, ორი წიდა-ბლოკის სასქეზე ამოყვანილ ფასადის კედელს მისციებოდა. ადრე ამ ადგილას ვიღაც უცნობ კალატოზს უმუშავნია და იმ კალატოზს ან არ სცოდნია თავისი საქმე, ან კიდეც წაუხალტურებია. ახლა შუხოვი ეთვისებოდა ამ ცუდად ნაგებ კედელს. აი, აქ ჩაქანებული ადგილია. ამ ჩაქანებას ერთი ხელის მოსმით ვერ გაასწორებს, ორი-სამი წყება უნდა ამოაშენოს და ყოველ წყებაზე დუღაბი უფრო სქლად დაადგას. აგურ კიდეც გოპობურცულა კედელი — ამის გასწორება ორი წყების ამოყვანაში შეიძლება. უჩინარი მიჯნა გაავლო შუხოვმა კედელზე — საფეხურებად წყობილი მარცხენა მხრიდან ამ მიჯნამდე თავად უნდა ემუშავნა, იქით კი სენკა მიჰყვებოდა კილგასამდე. ისიც იფარაუდა — იმ კუთხეში კილგასს გული ვერ გაუძლებს, ცოტოტას სენკას მაგივრადაც ამოაშენებს და შეღავათი მომეცემაო. ჰოდა, ვიდრე ისინი იმ კუთხეში იჩალიჩებენ, აქეთ შუხოვი კედლის ნახევარზე მეტს დაუტრიალდება და ჩვენი წყვილი აღარ ჩამორჩება. თვალთ მოინიშნა — სად რამდენი წიდა-ბლოკი უნდა დაეწყო და, როგორც კი წიდა-ბლოკების მტვირთავენმა ამოაღწიეს, მაშინვე ქამანდა მოსდვა ალიოშას:

— აქეთ მოიტა! აგურ დამიყარე! აგურაე!

სენკას ჯერაც არ მოემთავრებინა ყინულის მტვრევა, შუხოვმა კი ორივე ხელი სტაცა ფოლადის მავთულის ცოცხს და გაუსვ-გამოუსვა კედელს, წიდა-ბლოკების ზედა მწკრივი გადაწმინდა.

ბრიგადირიც ამოვიდა და, ვიდრე შუხოვი ცოცხს ექანებოდა, კუთხეში ლარტყა ააჭვდა. შუხოვს და კილგასს ლარტყები კარგა ხნის აჭედებული ჰქონდათ.

— ეპეი! — ამოსძახის პავლო. — მანდ ცოცხალი ხართ ვინმე? დუღაბი არ გპირდებათ?

დაცეცხლა შუხოვს: ჯერ ზონარიც არ დაუჭიმიამ! ოფლმა დაასხა. გადაწყვიტა — ერთსა და ორ ფენაზე კი არ დავეჭიმავე ზონარს, პირდაპირ სამ ფენაზე, მარჯვად რომ მექნესო; თანაც, სენკას რომ გაუღადვილდეს, გარეთა წყების ნაწილს მის მაგივრადაც მივეყვებიო.

ზედა წარბაზე ზონარს კიმივდა და თან სენკას უხსნიდა და ანიშნებდა — აი, აქიდან აქამდე უნდა იმუშავოო. მიუხედავად სმენადანშული, ტუჩი მოიკვირებო, თვალუბი დაქაჩა და ბრივადირის მხარეს მიანიშნა, ვითომ — დაეტრიალდეთ, არ ჩამოვრჩეთო! თან ეცინება.

კიბეზე უკვე დულაბი ამოაქვთ. ოთხეა წყვილმა უნდა ზიდოს დულაბი. ბრივადირმა გადაწყვიტა კალატოვებთან სადულაზე ყუთები არ დაედგათ — გადატან-გადმოტანაში გაიყინებაო. პირდაპირ ჯალამბერს დგამენ, იქიდან ორორი კალატოზი იღებს და კედელზე ასხამს. ამასობაში მტვირთავეები ტყუილუმბრალოდ რომ არ გაიყინონ, წიდა-ბლოკების მომწოდებლებს ეხმარებიან. მათს ჯალამბერს რომ გაცლიან, ისევ სადულაბესკენ უნდა მოუსვან, ქვევიდან კი ახალი დულაბი მოაშველონ. დაბლა მტვირთავეებმა შეყინული დულაბი ცეცხლზე უნდა გაალონ და, რასაც მოასწრებენ, თვითონაც შეითბონ ძვლები.

ორი ჯალამბერი ერთბაშად ამოიტანეს — კილგასის კედლისთვისაც და შუხოვისთვისაც. დულაბი თბილია და არცაა თბილი, მაგრამ ყინვაში მინც ოხშივარე ასდის. ქაფჩით კედელზე რომ დაატყუებენ, ერთი თუ შეყოვნდი, ხელადვე შეიყინება. მერე ჩაქუჩით თუ მოამტვრევენ, თორემ ქაფჩით ვერა. წიდა-ბლოკის დადებაც თუ ცოტა გვერდულად მოგივიდა, უმალ გამაგრდება და ასევე მოღრეცილი დარჩება. მაშინ იმ წიდა-ბლოკის შესაქანჯალებლად და დულაბის მოსაცილებლად ცულის ყუა უნდა იხმარო.

მაგრამ შუხოვს არაფერი ეშლება. წიდა-ბლოკები ყველა ერთნაირი კი არაა — ზოგს კუთხე აქვს ჩამომტვრეუ-

ლი, ზოგს გვერდი აქვს შექმულტილი და ზოგიც კორძიანია. შუხოვი ყველაფერს ამჩნევს და იმასაც ვაძინებს, რაობელ გვერდზე სურს წამოწოლა ამ წიდა-ბლოკს, ან კედლის რომელი ადგილი ელოდება მის დადებას.

ოხშივარადენილ დულაბს ქაფჩას წამოუსვამს და სწორედ იმ ადგილზე ისვრის, ისვრის და იმასაც იმახსოვრებს, ქვედა ნაწიბური სად მოექცა (მერე იმ ნაწიბურზე ზედა წიდა-ბლოკის შუაწილი უნდა მოახვედროს როგორმე). დულაბს ზუსტად იმდენს ადებს, რამდენიც ერთ წიდა-ბლოკს სჭირდება. დულაბის დასხმისთანავე წიდა-ბლოკების გროვიდან ერთ-ერთს ხელს წამოუსვამს (ოლონდ ფრთხილობს კიდევ, თორემ წიდა-ბლოკებმა ხელთათმანის ვაგლეჯაც იცის). მერე ქაფჩით დულაბს მოასწორებს და ზედ წიდა-ბლოკს ადებს. დაადებს, თუ არა, მაშინვე უნდა გაასწოროს, ქაფჩა შემოპკრას, რათა გარეკედელი სწორად მიდიოდეს, ზუსტად ზონარს მიძყვებოდეს და წიდა-ბლოკი არსად გამოიხნიჭოს, ამას რომ მორჩება, წიდა-ბლოკი უკვე მაგრადაა მიყინული.

ახლა წიდა-ბლოკის კიდიდან დულაბი რო გამოიტყულებო, საჩქაროდ ქაფჩით უნდა ჩამოამტვრიო, კედელს უნდა მოასწორო (ზაფხულობით ეს ნარჩენი დულაბი მომდევნო აგურს ხმარდება, მაგრამ ახლა ნურას უკაცრავად!) და ისევ ქვედა ნაწიბურებს დაუკვირდე — ზოგჯერ იქ მთელი წიდა-ბლოკი კი არ დევს, სულერთიანად დაფშენილია, — მერე ისევ დულაბი უნდა დაასხა, მარცხენა გვერდს უფრო ბლომად მიატანო, წიდა-ბლოკიც უბრალოდ კი არ უნდა დაადევა, — მარჯვნიდან მარცხნივ უნდა მიუმარჯვო და ზედმეტი დულაბი გამოტყუილიყო. თვალთ მოზომე ზონარის სიწორეზე, თვალთ მოზომე წიდა-ბლოკის სიბრტყეზე დადებო. მიეყინა უკვე-მიდი! შემდეგი!

გახურდა მუშაობა. ორ ფენას რომ დაეაწყობთ და ძველ ნაცოდვილარსაც გავაწორებთ, მერე უფრო გაიოლდება

საქმე. მანამ კი ფხიზლად უნდა ვიყოთ.

მიეძალა და მიეძალა გარეთა ფენას სენკას შესახვედრად. იქით კუთხეში კიდევ სენკა ბრიგადირის გამოშორდა, შუხოვისკენ გამოუყვა.

მტერათავეებს ანიშნა შუხოვმა — დუღაბი, დუღაბი მომაშველეთ, არ დამბრკოლოთო! ისეთი მუშაობა გახურდა, კაცს ოფლის მოწმენდის დროც აღარ დაგრჩება.

სენკა მოუახლოვდა, დუღაბს უკვე ერთი ყუთიდან იღებენ და ფხეკენ.

— დუღაბი! — ღრიალებს შუხოვი.

— მოვიდა! — ამოსძახის პავლო.

ყუთი მოიტანეს. ისიც დაცალეს, რაც კი თხელი იყო, იხმარეს. აბა რაც კედლებს მიჰყინვია, ის თქვენ თვითონ ჩამოფრთხეთ! ქერკი თუ მოედო, ისევე თქვენვე მოგიხდებათ ზევით-ქვევით თრაქვა. მიდი! შემდეგი!

შუხოვი და სხვა კალატოზები ყინვას ველარც გრძნობდნენ. სწრაფად, გულდადებულად მუშაობისგან ჯერ პირველმა სიმშურვალემ დაუარა, იმ სიმშურვალემ, რომელიც ბუშლატის, სათბურის, ზედა და ქვედა პერანგის ქვეშ შეგაოფლიანებს. მაგრამ წუთითაც არ შეჩერებულან, სულის მოუთქმელად ამოჰყავდათ კედელი. და ერთ საათში უკვე ჰქონდა სიმშურვალეც იგრძნეს, რომლისგანაც ოფლმა შეშრობა იცის. უმთავრესი ის იყო, ფეხები არ ეყინებოდათ, სხვა რამე კი, თუნდაც სუსხიანი ნიაფი, მუშაობაში ხელს არ უშლიდა. მხოლოდ კლევშინი იყო, ფეხს ფეხზე რომ ურტყამდა: იმ უბედურს ორმოცდაექვსინომერი აქვს ფეხი და მისთვის ცალცალი, ვიწრო თექურები შეურჩევიათ.

ღროდაღრო ბრიგადირი დაიძახებს: „დუღაბი-ი!“ და შუხოვიც უმალ აყვირდება: „დუღაბი-ი!“ ვინც მარჯვედ მუშაობს, მეზობლებისთვის ისიც თითქოს ბრიგადირი ხდება. შუხოვი იმ წყვილს არ უნდა ჩამორჩეს. მისი ღვიძლი ძმა რომ იყოს დუღაბის მომტანი, ახლა იმავეს დაუზოგავად არბენინებდა.

ნასადილევს ბუინოვსკის ფეტოუკო-

ვთან ერთად დაჰქონდა დუღაბი. კაბუციცაბოცაა და ძნელი სავალიც. პირველ ხანს მანცდამანც მარჯვედ ვერ იყო. შუხოვი შეაგულიანებდა ხოლმე:

— დაუჩქარე, კაპიტანო! კაპიტანო, წილა-ბლოკები!

ოლინდ ეს იყო: ყოველ გზობაზე კაპიტანს სიმკვირცხლე ემატებოდა, ხოლო ფეტოუკოს უფროდაუფრო წყდებოდა წელი. მოდის ის ძაღლისშვილც, ჯალამბერს გადახრის და დუღაბს ღვრის, უფრო მსუბუქი საზიდავი რომ იყოს.

ადგა შუხოვი და ერთი მოჩანთა ზურგში:

— უ, შე დამბალო! დირექტორი რომ იყავი, მაშინ ხომ მაგრად თხოვდი მუშებს?

— ბრიგადირო! — აყვირდა კაპიტანი. — კაცთან დამაყენე! ამ ტ...წინთან აღარ ვივლი!

მუუნაცვლა ბრიგადირმა: ფეტოუკოვმა წილა-ბლოკები უნდა ისროლოს ქვემოდაც. თანაც ისე დააყენა, ცალკე შეიძლებოდაც დათვლა — რამდენ წილა-ბლოკს ამოისვრის. კაპიტანს ალიოშკა მიუჩინა. ალიოშკა თვინიერი ბიჭია, ვისაც უნდა, ის გაეუფროსება.

— ავრალია, დოყლაპია! — მისციები კაპიტანი. — ხომ ხედავ, როგორ მიდის კედელი!

ალიოშკა მოკრძალებით იღიმება:

— თუ ასაჩქარებელია, აჩქარდეთ. როგორც თქვენ იტყვიით...

და დაუყვენ ქვემოთ.

თვინიერი კაცი ოქროა ბრიგადაში.

ბრიგადირც ვილაცას ჩასძახის. ერთი წილა-ბლოკებიანი მანქანა კიდევ მოსულა. ჯერ იყო და ნახევარ წელიწადს არც ერთი არ გამოჩენილა, ახლა და მოაწყდნენ აქეთ. მანამდე თუ იმუშავება, ვიდრე წილა-ბლოკებს ეზიდებინან. პირველი დღეა. მერე ხშირად მოუწყვეთ მოცდენა, ხვავს ვერ დაატანენ.

რალაცას კიდევ ილანძლება ბრიგადირი, ამწეს თაობაზე უყვირის. ძალიან უნდა შუხოვს გაიგოს — რა ხდება, მა-

გრამ არ სცალია: კედელი აქვს გასასწორებელი. ბიჭები ამოვიდნენ და იმათ უამბეს: ამწყობი მოსულა ამწყვს მოტორის შესაკეთებლად და სამუშაოთა მწარმოებელიც მოჰყოლია. ამწყობი ჩალიჩობს რალაცას და სამუშაოთა მწარმოებელი თვალს ადევნებს.

ასეა დაწესებული: ერთი მუშაობს, მეორე თვალს ადევნებს.

აწყე რომ შეეკეთებნათ, წიდა-ბლოკებსაც იმით ამოზიდავდნენ და დულაბსაც.

ის იყო შუბოვი მესამე წყებას გამოუყვა (კილგასმაც მესამე დაიწყო), რომ კიბზე გამოჩნდა კიდეც ერთი მზირა, კიდეც ერთი უფროსი — მშენებელთა ათისთავი დერი. მოსკოველი ბრძანდება. ამბობენ, სამინისტროში მუშაობდაო.

კილგასთან ახლოს იდგა შუბოვი, დერზე მიანიშნა:

— აა! — განიშორა კილგასმა. — უფროსებთან მე საერთოდ არაფერი მესაქმება. კიბიდან თუ გადავარდა, მაშინ დამიძახე.

ახლა კალატოზებს უკან დაუდგება და თვალის დევნებას დაუწყებს. ყველაზე მეტად სწორედ ეს მოთვალთვალენი სძულან შუბოვს. ამ დორს იწყინრად უნდა გაძრომა. ერთხელ უჩვენა შუბოვს — აგურები ასე უნდა დააწყო, და შუბოვი მაშინ სიცილით მოკვლიაო, ასე, ჩვენებურად ერთი სახლი ააშენე შენი ხელით, მაშინ გახდები იწყინერი.

ტემგენიოვოში ქვის სახლები არ ჰქონათ. ხის ქოხები ედგათ. სკოლის შენობაც ძელური იყო. ნაკრძალიდან ექვსი საყენი ხე-ტყე მოზიდეს და იმით ააშენეს. მაგრამ ბანაკში კალატოზი შეიქნა საჭირო და შუბოვმაც კალატოზობა დაიწყო. ვისაც ორი-სამი ხელობა ეხერხება, ის ათსაც მოერევა.

არა, არ გადაყარავებულა დერი კიბიდან, მხოლოდ ერთხელ წაიფორხილა. ლამის სირბილით ამოიჭრა მალა.

— ტუ-რინ! — ყვირის თვალბგადმოქაჩული. — ტუ-რინ! ^{ქუენული}
მის უკან კიბზე პავლო ამრბზანნიბით ხელში.

დერსაც ჩვეულებრივი ბუშლატი აცვია, ოღონდ ახალთ-ახალი, სუფთა ბუშლატი. მშვენიერი ტყავის ქუდი ხურავს. ზედ სხვეშავით ნომერი აკერია: ბ-731.

— ჰო! — ჭაფჩით ხელში გაეგება ტურინი. ქუდი გვერდზე მოქცევია ბრიგადირს, ცალ თვალზე ჩამოფხატვია.

რალაც უჩვეულო ხდება. ამბის გაუგებლობაც არ იქნება, მაგრამ დულაბსაც რომ ვერ გააცივებს! კედელი აჰყავს შუბოვს, აჰყავს და ყური იქით უჭირავს.

— შენ რაებს ჩადიხარ! — იღორბლება დერი. — ამაზე კარცერს არ გაემარებენ, იცოდე, სისხლის სამართლის საქმეა. ტურინ! მესამე გადასახლებას მოგისჯიან!

ახალა დაცეცხლა შუბოვს. კილგასა გადახედა. ისიც მიმხედარა, რაც ამბავი ტრიალებს. ტოლი! ტოლი დაინახა ფანჯრებზე!

თავისთავს არ ნაღვლობს შუბოვი, ბრიგადირი არ გაყიდის. ბრიგადირის ბედი აწყუბებს. ჩვენთვის მამაა ბრიგადირი, იმათ კი არაფრად უღირთ მისი გაუფუჭება. ჩრდილოეთში ამგვარი რამისთვისა მეორე გადასახლებას იოლად მიუსჯილენ ხოლმე.

ჰო, როგორ მოექცა ბრიგადირის სახე! ქაფჩა რომ ძირს დაახეთქა და დერისკენ ნაბიჯი რომ გადადგა! დერმა მიმოიხედა — პავლო ნიჩაბს იმარჯვებს ხელში.

ჰოო, ნიჩაბი ტყუილად არ გამოუყოლებია...

სენკაც ყურნაკლულია, მაგრამ ისიც მიხვდა: დონეჩემოყრილი წაადგა თავზე. მერე რა ჯანაინა ეს შეჩვენებული!

დერს თვალები აცა-ბაცა წაუვიდა, გუნება წაუხდა, გასაძრომს დაუწყო ბენა.

ბრიგადირი დერისკენ გადაიხარა და ჩუმი ხმით ეუბნება:

— ის დრო წავიდა, თქვენ რომ სასჯელს მადებდით, წურბელებო! ერთი ხორცევა დაგცდენია და გაგაქრობ, იცოდე!

სულ კანკალებს ბრიგადირი, ცახცახებს და ვერ დაწყნარებულა.

პველომაც ლამის შეჭამოს თვალებით დერი, ლამის შეჭამოს.

— რას ამბობთ, ბიჭებო, როგორ გეკადრებათ, — ფერდაკარგული დერი კიბეს გამოშორდა.

ბრიგადირს მეტი აღარაფერი უთქვამს, ქული შეისწორა, ქაფჩას დასწვდა და თავის კედელს მიუბრუნდა.

ნიჩბიანი პველოც კიბეზე დაეშვა.

ნე-ელა დაეშვა...

დერს დარჩენილაც ეშინია და ძირს ჩასვლისაც. კილგასის ზურგს ამოეფარა და გაჩერდა.

კილგასი კიდეც ისე მუშაობს, გეგონება აფთიაქში წამალს წონისო: ეჭიმი კაცია და არსად ეჩქარება. დერისკენ ზურგშექცეული დგას, თითქოს სულაც არ დაენახოს.

ბრიგადირისკენ მიიღურსება დერი. ნეტავ სად გამქრალა მისი ყიფი?

— სამუშაოთა მწარმოებელს რაღა ვუთხრა, ტურინ?

— რა უთხრათ და — ასე იცოთქო. მოვედით და ასე დაგვხვდა-თქო.

ცოტა ხანს კიდეც იდგა დერი. შეატყო — აღარ მომკლავენო, ჩემად გაიარ-გამოიარა ჯიბეებში ხელბეჩაწყობილმა.

— ე, შჩ-რვას ორმოცდაათობმეტო, — წაიღულღუნა. — დულაბი თხლად რატომ დაადევი?

ვილაცხე ხომ უნდა ამოიყაროს ჯაჯი! შუბოვს ვერც კედლის სისწორეს დაუწუნებს და ვერც ნაწიბურებს, აიღო და დულაბის გამო მოდგა.

— ბოდიში, მაგრამ ახლა რომ სქლად დაედევა, გაზაფხულზე ეს შენობა ღვარად დადინდება, — წაიჩლიფინა შუხოვმა, ოღონდ დაცინვაც ერია მის ნათქვამში.

— შენ კალატოზი ხარ და გაიგონე,

რასაც ათისთავი გეუბნება! — შეიქმუნა დერი და ლოყები დაბერა. ასეთი ჩვეულება ჰქონდა.

კი ბატონო, სადღაც-სადღაც იქნება პართლა თხლად დადებული, უფრო სქლადაც შეიძლება, მაგრამ ეს მაშინ, ზამთარი რომ არ იყოს და კაცურ პირობებში უხდებოდეთ მუშაობა. ხალხიც ხომ უნდა შეიცოდო. გამომშვეება საჭირო. მაგრამ რა უნდა ელაპარაკო, როცა კაცს არ ესმის!

დერი უჩუმრად დაუყვა კიბეს.

— თქვენ ამწის საქმე მომიგვარეთ! — მიადევნა ბრიგადირმა. — ვირები ვართ თუ რა — მეორე სართულზე ვთრაქავთ წიდა-ბლოკებს!

— შერე ხომ გინაღდებენ მანდ აზიდვას, — თვინიერად პასუხობს კიბიდან დერი.

— „ურჩევებით“? აბა ამოავორეთ ურიკა მაგ კიბეზე! „ჯალამბრებით“ ვამინაღდეთ!

— მე რა, მენანება? ბულალტერია არ იხამს „ჯალამბრებით“.

— ბულალტერია! მთელი ბრიგადა იმაზე მიყენია, რომ ოთხ კალატოზს ემსახურონ. რამდენი უნდა გამოვიმუშავო?

ყვირის ბრიგადირი და თან გაუწყნარებლად მუშაობს.

— დულაბი-ი! — ჩასძახის ქვემოთ.

— დულაბი-ი! — იმეორებს შუხოვიც. მესამე წყებაზე ყველაფერი გაასწორეს. მეოთხეზე გარეკვაც შეიძლება. ზონარი ერთი წყებით მაღლა უნდა აეწია, მაგრამ ასეც არაფერი უშვავს, ერთ წყებას უზონროდაც მივყვებით.

დაადგა დერი თოვლიან ველს. კანტორაში მიდის გასათბობად. ალბათ ვერაა გუნებაზე. მაგრამ ცოტა უნდა ეფიქრა ედემც, როცა ტურინისთანა მგელს დაეტყა. ასეთ ბრიგადირებს თუ არ წაეკიდა, თავის შესაწუხებელი არაფერი ექნება: მუშაობით წელის მოწყვეტას არაეინ თხოვს, ულუფა კარგი ეძლევა, ცალკე ოთახში ცხოვრობს — მეტი რა-

ლა უნდა? არა, მაინცღამაინც სიბრძნე უნდა გადმოღვაროს.

ქვემოდან ამოვიდნენ და თქვეს: სანუშაოთა მწარმოებელიც წავიდა და ამწყობიც — ამწყეს არაფერი ეშველებო.

მიღეი და თრიქი!

რამდენი წარმოება უნახავს შუხოვს, ის ტექნიკა ან თვითონ იმტერევა, ან კიდევ პატიმრები ამტერევენ. ხის სათრეველსაც ასე ამტერევენ: ვითომ — დავისევენოთო. მაგრამ ძელი ძელზე მაინც უნდა მივეწყო. ვინ ამოგასუნთქინებდა!

— წიდა-ბლოკები! წიდა-ბლოკები! — ყვირის გახურებული ბრიგადირი. ყვირის და დედას უტრიალებს — ამომგლებია თუ ამომტანი.

— პავლო კითხულობს — დუღაბს რა ვუყოთო? — იძახიან ქვემოდან.

— გააზავეთ, რა უნდა უყოთ!

— გაზავებულსო? ნახევარი ყუთია...

— მან ერთიც დაუმატეთ!

დულს აქაურობა, მესხეთე წყება მიაყოლეს. ჭერ იყო და პირველ წყებას წელში გადრეკილები ადგნენ თავზე, ახლა მკერდამდე ამოიპართა კედელი. ისე, რატომ არ უნდა გარეკონ — არც სარკმლებია საჭირო და არც კარები, ორი ყრუ კედელია შესაკრავი და წიდა-ბლოკებიც სამყოფად აქვთ. ზონარი უნდა აემალაურებინა, მაგრამ ამის დრო აღარაა.

— ოთხმოცდამეორე ხელსაწყოების ჩასაბარებლად წავიდა, — მოახსენებს გოპჩიკი.

ბრიგადირმა მხოლოდ თვალები გადაუბრიალა.

— შენ შენს საქმეს მიხედე, ლაწირაკო, აგურებს ნუ აგვიანებ!

მოიხედა შუხოვმა. მზე მართლა ჩასაეალსაა. წითლად ჩადის, ლეგა ნისლში იმალება. ისე, მაგრად კი იმუშავებს. ახლა, რაკი მესხეთე წყებას მიჰყვენ, ბარემ უნდა დაამთავრონ კიდევ, აგურში მოიყვანონ.

მტერთავეები აქელებულ ცხენებს ჰგვანან უკვე. კაპიტანს ნაცრისფერიც

კი დაედვა. გინდა ასე თქვი და გინდა რსე, კაცი ორმოცსაა მიტანებული.

სიცივემ მოუქირა. ხელემა მოძრაობს, მაგრამ ცულე ხელთათმანების გამო თითებში მაინც წაუდგა. მარცხენა თქუ-რასაც მიეძალა ყინვა. აბაკუნებს და აბაკუნებს შუხოვი იმ ფეხს.

ახლა კედელზე დახრა აღარ სკირდება, სამაგიეროდ წიდა-ბლოკების მაღლა აწევამ და დულაბში გაწყვიტა წელში.

— ბიჭებო! ბიჭებო! — შუხოვი გაიძახის. — იქნება კედელზე დამიწყოთ წიდა-ბლოკები, კედელზე!

კაპიტანს ბარემ უნდა, მაგრამ ძალი არ ჰყოფნის, შეუჩვეველია. ალიოშკა კი:

— კარგი, ივან დენისიჩ, მიჩვენეთ, სად დაეაწყო.

რაც უნდა თხოვო ალიოშკას, უარს არაფერზე გეტყვის. ამ ქვეყნად ყველანი მისნაირები რომ იყვნენ, შუხოვიც ისეთი გახდებოდა. თუკი გათხოვს კაცი, რატომ არ უნდა შეეწიო? ამაში სწორი არიან ეგენი.

უკვე მთელ ზონაში გარკვევით იძის: ზარს რეკავენ. შაბაშ! ეპ, ზედმეტი მოუვიდათ!..

— მოიტა დულაბი, მოიტა! — ჰყვირის ბრიგადირი.

იქ ახალი ყუთი ეს-ესაა აფესიათ. მეტი გზა აღარაა, უნდა განაგრძონ საქმე: თუ არ დაცალეს, ხვალ ის ყუთი აღარაფრად გამოდგება. დულაბი ჩაიკერება და წერაქვითაც ვერ ამომტერევენ.

— აბა, არ დაეზარდეთ, ბიჭებო! — გაჰყვირის შუხოვი.

კილგასს გული მოუვიდა. არ უყვარს აერალეები. მაგრამ ისიც მირეკავს, მეტი რა ჯანი აქვს.

ქვემოდან პავლომაც ამოიბრინა ქაფით ხელში. ისიც კედელს მიადგა. ხუთნი მუშაობენ.

ახლა ხარვეზების ამოყვებას თუ მოასწრებენ. თვალთ მოსინჯავს შუხოვი, რომელი აგური უფრო გამოადგება, და ალიოშას ჩაჭუნს აჩეჩებს:

— აჰა, დამიმტვრიე, დამიმტვრიე ჩქარა!

ნაუცბათევი კარგი ვერ გამოვა. ახლა, როცა ყველანი ფაცურობენ, შუბოვი აღარ ჩქარობს, კედელს თვალს ავლებს. სენკა მარცხნივ გადმოაგდო, თავად მარჯვენა მხარეს, მთავარ კუთხეს მიაშტრა. თუ ახლა რამე ხარვეზი დარჩათ, წასულია საქმე, ხვალ შუადღემდე მინც მოუნდებიან იმის შეთავაზებას.

— დაიცა! — პავლო აგურს მოაშორა, თავად მიადგა და აკეთებს. იმ კუთხიდან კი თვალი ჰკიდა, რომ სენკას თითქოს გაზნექილი გამოუღდის კედელი. ახლა იქით გაეარდა, ორი აგური მიაშველა.

კაპიტანმა კარგი ერთგული ცხენივით ამოათრია ჯალამბერი.

— კიდევ! — გასძახა შუბოვმა. — ორი კიდევ მჭირდება!..

მთლად მისავეთდა ბუნიოვსკი, მინც ირჯება. შუბოვსაც ჰყავდა ერთი ასეთი ცხენი. მის ხელში მოვლა არ დაჰკლებდა, მაგრამ სხვებს რომ ჩაუვარდა, სიქა გააცალეს. მერე გასატყავებელი შეიქნა.

მზის ზედა წიბოც მიწას მიეფარა. ახლა უგოპჩიკოდაც ცხადი შეიქნა: არამც თუ ხელსაწყოები ჩააბარა ყველა ბრიგადამ, საგუშაგოსაც გუნდ-გუნდად მიესიენ უკვე. (ზარის დარეკვისთანავე არავენი გამოდის, ვინაა სულელე ყინვაში იძაგძაგოს! ყველანი სხედან და თბებიან. მაგრამ დგება ისეთი წუთი, როცა ბრიგადირები მოილაპარაკებენ და ყველა ბრიგადა ერთად გომოცივიდება; ბრიგადირები თუ არ შეითქვენ, ეს პატიმრები ისეთი უჯიათა ხალხია, ერთმანეთის შემყურენი შუალაქმდე ფეხს არ მოიცვლიან.)

ბოლოს ბრიგადირიც გონს მოეგო, მიხვდა, რომ ნამეტანი მოუვიდათ დაგვიანება. საწყობში ალბათ სულ დედას უტრიალებენ.

— ეჰ, ჯანდაბას! — ყვირის. — მტერთავებო, დაბლა ჩადით, დიდი ყუთი გადმოცალეთ და, რაც იქნეს, აგე, ამ ორმოში გადაუძახეთ და თოვლი წააყ-

არეთ, რომ აღარ ჩანდეს. შენ, პავლო, ორი კაცე წაიყოლე, ხელსაწყოები მოკრიფეთ და ჩააბარეთ. ამ სამ ქაფჩას ვოპჩიკის ხელით მოგაწვევ, აი, ამ ორ უკანასკნელ ჯალამბერს დაეცლით და...

მიცივიდნენ სამუშაოს. შუბოვს ჩაქუჩიც ჩამოართვეს და ზონარიც ჩამოუხსნეს. მტერთათვი იყო თუ წიდა-ბლოკის ამომგდები, ყველანი დაბლა დაეშვენ, აქ აღარაფერი ესაქმებათ. ზემოთ სამი კალატოზი დარჩა — კილგასი, კლევიშინი და შუბოვი. ბრიგადირი მრდი-მოღის და ანგარიშობს, რამდენი უმუშავიათ. კმაყოფილია.

— გვარიანად ამოვიყვანეთ, ა? ნაშუადღევს მერე. უამწეოდ და უჩემფეხებოდ.

ხედავს შუბოვი — კილგასს ცოტალა დარჩენია დულაბი. ბრიგადირის ამბავე აწუხებს — ქაფჩების გულისთვის არ გამოლანძლონო.

— გესმით, ბიჭებო? ქაფჩები გოპჩიკს მიაწიეთ, ჩემი ჩათვლილი არაა, არ უნდა ჩააბარება.

გაკიცია ბრიგადირს: — არ ხარ შენ ციხიდან გასაშვები უშენოდ რალა ეშველება ციხეს?

შუბოვსაც ეცინება. ისევ ტრიალებს. კილგასმა ქაფჩები წაიღო. სენკა წიდა-ბლოკებს აწვდის შუბოვს. კილგასისეული დულაბი აქითა ვარცლში გადმოცალეს.

გოპჩიკმა პავლოს დასაწევად გაქუსლა. მთელი 104-ე გზას გაუყვა უბრიგადიროდ. დიდი ძალაა ბრიგადირი, მაგრამ ბადრაგა მისი მომრევიცაა. დაგვიანებულებს ჩაიწერენ და კარცერში უკრავენ თავს.

საგუშაგოსთან ჩამოლამდა. ყველანი იქ შეკრებილან. მგონი ბადრაგაც გამოფენილა და ითვლიან უკვე.

(გასვლისას ორ-ორჯერ ითვლიან ხოლმე: ჯერ ჰინშერის გაღებამდე, რათა დარწმუნდნენ — გაღება შეიძლებაო. მერე — ღია ჰინშერში გავლისას, თუ მოეჩვენათ—რალაც შეგვეშალათ, ჰინშერის გადღამაც ითვლიან.)

205

— ჯანდაბას მაგ დულაბი! — ხელს უქნევს ბრიგადირი. — გადაუძახე კედლიდან და ეგაა!

— წადი, წადი, ბრიგადირო! იქ უფრო საჭირო ხარ ახლა! — (ისე ბრიგადირის ანდრეი პროკოფიევიჩს უწოდებს შუხოვი, მაგრამ ახლა თავისი მუშაობით გაუტოლდა. არა, იმას კი არ ფიქრობს, — აი, ბრიგადირს გაუტოლდო, — ალლოთი უფრო გრძნობს, რომ ასეა,) და კიბეზე განიერი ნაბიჯით ჩამავალ ბრიგადირს ხუმრობით მიადევნა: — რა ოხრობაა ასეთი მოკლე სამუშაო დღე? გუნებიერად დაიწყებ თუ არა მუშაობას, მაშინვე თავდება!

ისა და ყურნაკლული დარჩნენ. ბევრს ვერაფერს დაელაპარაკები, მაგრამ არც არის საჭირო ლაპარაკი: ისედაც ყველაზე ჭკვიანია, უთქმელად ესმის ყველაფერი.

დასცხო დულაბი! დასცხო წიდა-ბლოკი. შეათვალიერა. დულაბი. წიდა-ბლოკი. დულაბი. წიდა-ბლოკი...

ხომ ბრიგადირმაც თქვა — ჯანდაბას დულაბიო, კედლიდან გადაუძახე და გაეჭკუოთ. მაგრამ შუხოვი ამგვარი ხასიათის კაცია და ბანაკში ყოფნის რვა წლის მანძილზე ვერაფრით ვერ გადააჩვიეს: უქმად დაკარგული ყველაფერი ენანება — დროცა და შრომაც.

დულაბი! წიდა-ბლოკი! დულაბი! წიდა-ბლოკი!

— მორჩა, მაგის დედაც! — გაიძახის სენკა. — წავედით!

ჯალამბერს ხელი წამოუსვა და კიბეზე დაეშვა...

შუხოვი კი, ახლა ბადრაგამ ძალღებიც რომ მოუსიანოს, თავისას მაინც ვერ მოიშლის: უკან დაიხია, კედელი აქიდან შეათვალიერა; თითქოს არა უშავს. მერე მიირბინა, გადარბა მხარეს გახედ-გამოხედა. ეჰ, ვატერპასი აქვს, თვალი კი არა! სწორადაა ამოყვანილი. ჭერ ისევე შემძლე აქვს მარჯვენა.

დაქანდა კიბეზე.

სენკა სადულაბედან გავარდნილა და ბორცვისკენ გარბის.

— ჰო, რაღას უყურებ, მოუბრუნდა შუხოვს.

— გავარდი მეც მოვდივარ! — ხელს უქნევს შუხოვი.

სადულაბეში შევიარდა. ქაფჩის ასე უხეიროდ მიტოვება არ შეიძლება. იქნებ შუხოვი ზვალ სულაც არ გამოვიდეს სამუშაოდ, იქნებ ბრიგადას სოცქალაქში უკრან თავი, იქნებ ბარე ნახევარ წელიწადს ველარ მოხვდეს აქეთ. — მერედა ქაფჩა უნდა დაიკარგოს?

სადულაბეში ღუმელები ჩამქარალა. ბნელა. ეშინია შუხოვს. იმის კი არ ეშინია, სიბნელე რომაა, ყველანი რომ წავიდნენ, იმის დარდი აქვს, — საგუშაგოსთან მარტო შუხოვი დააკლდება და ბადრაგა განგაშს ატეხს.

მაინც მიიხედ-მოიხედა, კუთხეში მოზრდილი ქვა დინახა, გადააბრუნა, ქაფჩა შემალა და ისევ ქვა წააფარა. აგრე!

ახლა სენკას უნდა დაეწიოს! სენკა ასიოდ ნაბიჯზე გაჩერებულა და ფეხს აღარ იცვლის. გასაქირში მარტო არასოდეს დაგტოვებს კლევსინი. თუ ჩავარდნაა, ორივენი ჩავარდებით.

ერთად გაიქცენ! დებალი და ახმახი. ერთნახევარი თავით მაღალია სენკა-შუხოვზე და გვარიანი როკი თავი აქვს.

ხომ არიან ასეთი უქნარები, სტადიონზე რომ თავისი ნებით დარბიან და დაჰენაობენ! ერთი აქ უნდა გააქციოს ისინი — მთელი დღის ნამუშევარი, წელში ჭერაც გაუმართავი, სველი ხელთათმანები უნდა ჩააცვა და მოქცეული თექურები! უნდა ჩააცვა დამიუშვა ამ ყინვაში!

გახელებული ძალღებვიით გაიხვითქენ და ოფლად გაიდვარენ. მხოლოდ ქოშინი ისმის მათი.

ეს კია, რომ ბრიგადირი საგუშაგოსთანა და აუხსნიდა, რაც მოხდა ალბათ. პირდაპირ შექუჩული ხალხისკენ გარბიან. გული უსკდებათ.

უამრავი ხორხი ერთად აყაყანდა...

აგინებენ, აღარაფერი შეუტრიანენ. მოდი და ნუ გაგისკდება გული, ხუთასი კაცი ერთად რომ აგიღრიალდება!

მაგრამ მთავარი შინაა, ბაღრაგა რას იტყვის?

არა, ბაღრაგა ხმას არ იღებს. ბრიგადირიც აქვეა, უკანასკნელ რიგში დგას. ეტყობა, აუხსნია, თავისთავზე დაუბრალებია.

პატიმრები კი ღრიალებენ, იგინებინ. ისე ღრიალებენ, სენკამაც ბევრი რამე გაიგონა. სული მოიბრუნა და იმ სიმაღლიდან ერთი ისეთი დაქექა! მისი დღე და მოსწრება ჩუმად, ხმას არ იღებს და ახლა აბდღვინდა! მუშტები შემართა, ახლა ეცემა ვილაყას. მიყუჩდნენ პატიმრები. ვილაყ-ვილაყებს კიდევ ეცინებათ:

— ეი, ასმეთხელებო! — გაიძახიან. — არ ყოფილა ყრუ ეგ თქვენი აყლაყულა, ჩვენ შესამოწმებლად ავყვირდით.

ყველანი იცინიან. ბაღრაგასაც ეცილება.

— ხუთ-ხუთი მოეწყეთ!

ოღონდ ჭიშკარს არ აღებენ. თავისთავს ვერ ენდობიან. პატიმრების გროვას უკან დაახევიან (ყველანი შტერებივით ჭიშკარს იყენენ მიმწყდარნი, თითქოს ამით დაჩქარდებოდა საქმე).

— ხუთ-ხუთი მოეწყეთ! პირველი! მეორე! მესამე!..

რომელ ხუთეულსაც დაასახელებენ, რამდენიმე მეტრზე წინ გააბიჯებს ის ხუთეული.

სული მოითქვა შუბოვმა და მიმოიხედა; ღმერთო, მთვარე ამოწითლებულა უკვე. ცოტათი ნაკლულიც შექნილა. გუშინ ამ დროს ბევრად მაღლა იდგა.

შუბოვს უხარია, ყველაფერი რომ კარგად დამთავრდა, კაპიტანს მუჯღუგუნს ჰკრავს და ეუბნება:

— გესმის, კაპიტანო, რაო, რას ამბობს თქვენი მეცნიერება, სად მიდის დალეული მთვარე?

— სად მიდისო? რა უმეცრებია! არ სად არ მიდის, უბრალოდ არ ჩანს.

შუბოვი თავს აქნევს, იცინის: — თუკი არ ჩანს, რა იცი, არის მართლა თუ არა?

— აბა, შენი ჭკუით, ყოველ თვე ახალი მთვარე ჩნდება? — უკვირს კაპიტანს.

— მერე რაა საკვირველი? გაიხედავ და დღე არ გავა, ხალხი არ დაიბადოს, და მთვარე რომ ოთხ კვირაში ერთხელ იბადებოდეს, არ შეიძლება?

— ფუი! — გადაფურთხა კაპიტანმა. — ასეთი შტერი მატროსი ჭერ არ შემხვედრია. აბა სად მიდის ძველი?

— ჰოდა, ხომ გეკითხები — სად მიდის-მეთქი? — კბილები გამოაჩინა შუბოვმა.

— ჰო, სად მიდის?

შუბოვმა ამოიხვნეშა და გაანდო:

— ჩვენში ასე ამბობდნენ: ძველ მთვარეს ღმერთი ვარსკვლავებად ფშენისო.

— ქაჯები! — ეცინება კაპიტანს. — ასეთი რამე არ გამიგონია. შენ რა, შუბოვ, მორწმუნე ხარ?

— აბა არა? — გაიოცა შუბოვმა. — რომ დაიპქებებს — ნუ ირწმუნებ, თუ გინდა!

— მერე რატომ იქცევა ღმერთი აგრე?

— როგორ?

— მთვარეს რომ ვარსკვლავებად ფშენის, რატომ ფშენის?

— რა ძნელი გამოსაცნობი ეგ არის! — მხრები აიჩეჩა შუბოვმა. — დროდადრო ხომ ცვივა ვარსკვლავები, შევსება ხომ უნდა?

— შებრუნდით, თქვენი დედა... — ბაღრაგა ღრიალებს. — მოეწყეთ!

მათი რიგიც მოსულა. მეხუთე ასეულის მეთორმეტე ხუთეულმა ჩაიარა და ბოლოში ორნი დარჩენილან — ბუინოვსკი და შუბოვი.

ბაღრაგა შეჩქვინებულია, აღსარიცხავ დაფებს უტრიალებენ. აკლიათ! თვლა მაინც იცოდნენ ოჯახტორებმა!

ოთხას სამოცდაორი გადათვალეს. არა, ოთხას სამოცდასამი უნდა იყოსო! ხელახლა უკან დაახეინეს (ისევ მიწყდომოდნენ ჭიშკარს!) — და:

— ხუთ-ხუთი მოეწყეთი პირველი მეროე!

ეს გადათვლა-გადმითვლა იმიტომია უბედურება, რომ უკვე საკუთარ დროს აკარგვინებს პატიმრებს. მერეა და სანამ ტრამალს გაივლი და ჩხრეკის წინ რიგს დაელოდები! ყველა ობიექტი გაქუსლავს ხოლმე, ერთიმეორის გადასწრებაშია, რომ ჩხრეკა სხვებზე ადრე გაიაროს და, მამასადამე, ბანაკშიც სხვებზე ადრე შერგოს თავი. რომელიც ობიექტიც პირველი მივა ბანაკში, იმ დღეს ისაა ბატონ-პატრონი: სასადილოც მის მოლოდინშია, ამანათებზეც პირველია, ნივთების მისაბარებელ საკანშიც, ინდივიდუალურ სამზარეულოშიც, კულტ-საალმზრდელი ნაწილშიც, სანიტინაწილშიც, საპარაკმახეროშიც და აბანოშიც — ყველგან პირველია.

ზოგჯერ ბადრავას ჩვენზე მეტადაც ეჩქარება ხალხი ჩააბაროს და თავის ბანაკში მიბრუნდეს. არც სალდათები დადიან თავის ნებაზე: საქმე ბევრი აქვთ და დრო ცოტა.

ეჩქარებათ, მაგრამ სათვალავი აერიათ.

ბოლო ხუთეულების გატარება რომ დაიწყეს, შუხოვს მოეჩვენა — უკანასკნელ მწერივში სამნი დავრჩებითო, მაგრამ არა, მანაც ორნი დარჩნენ.

გადამთვლელებმა დაფებიანად მცველთა რაზმის უფროსს მიაშურეს. ითათბირეს. რაზმის უფროსი ყვირის:

— ასმეოთხის ბრიგადირო!

ტიურინმა ნახევარი ნაბიჯი წადგა:

— აქ ვარ.

— თბოელექტროცენტრალში არავინ დაგრჩენია? დაფიქრო.

— არავინ.

— კარგად იფიქრე, თავს წაგაცლი, იცოდე!

— არა-მეთქი, ნამდვილად ვამბობ.

თან პავლოსკენ გააპარა თვალი — სადღლაბეში ხომ არავის ჩაეძინათ?

— ბრიგადებად მოვწყვეთი! ყვირის რაზმის უფროსი.

პატიმრები კი ხუთეულებად იდგნენ, ვინც სად მოხვედრილიყო. აჩოჩოლდნენ, აყაყანდნენ. აქეთ გაჰყვირია: „სამოცდამეთქვესმეტე — ჩემსკენ!“ იქით: „მეთამეტე — მოგროვდით!“ იქით კიდევ: „ოცდამეთორმეტე!“

ხოლო ასმეოთხელები ყველაზე უკან იდგნენ და იქვე შეიკრიბნენ. ხედავს შუხოვი: ყველანი ხელცარიელნი მოსულან, მუშაობაში ისე დაეიწყებიათ ყველაფერი, რომ ნაფოტებიც არ შეუგროვებიათ. მხოლოდ ორს წამოუღია პატარ-პატარა კონები.

ეს თავშესაქცევი ამბავი ყოველდღე მეროდება: სამუშაოს დამთავრების წინ პატიმრები ნაფოტებს, პინწყლებს, ყაყარის ნამტვრევებს აგროვებენ, ჭინჭის ზონრით ან ბაწრის ნაგლეჯით კონებზე კრავენ და თან მოაქვთ. პირველი გამოჰქერა საგულშაგოსთან ზდება. სამუშაოთა მწარმოებელი ან რომელიმე ათისთავი, თუკი მოგახელთა, მაშინვე გიბრძანებს — დააგდეთ (მილიონები წყალს გაატანეს და ახლა ნაფოტებით ფიქრობენ ამოქაჩვას). მაგრამ პატიმრები თავისას ვარაუდობენ: ყოველმა ბრიგადამ თითო ბლუჯაც რომ შეიყოლოს, ბარაკს სითბო მიემატება. თორემ მორიგეებს თითო ლუმელზე ხუთიოდე კილოგრამ ნახშირის მტვერს არგუნებენ ხოლმე და იმის შემყურეს ძვლები ვერ გაგიბთება. ამიტომ ასეც იქცევიან: პინწყლებს მოკლე-მოკლედ დაამტვრევენ, ბუშლატქვეშ შემალავენ და სამუშაოთა მწარმოებელს გვერდს მშვიდობიანად აუვლიან ხოლმე.

მცველთა რაზმს რაც შეეხება, აქ, ობიექტზე არასდროს არ დაგატოვებინებს შეშას: მათაც სჭირდებათ შეშა, თან წაძღვანების უფლება კი არა აქვთ. ერთი რომ მუნდირის ღირსება უნდა დაიცვან, მეროეა და ხელში ავტომატები უჭირავთ ჩვენდა სასრო-

ლად. ოლონდ, ბანაკს რომ მიგვაყენებენ, ბაღრაგა მაშინ ვასცემს ბრძანებას: „ამ მწკრივიდან ამა და ამ მწკრივიდან შეშა აგერ დაყარეთ!“ ეს კია, რომ ნაშუსიანად იღებენ: ბანაკის ზედამხედველებსაც უნდა დარჩეთ შეშა და თავად პატიმრებსაც, თორემ სულაც აღარ წამოიძლოლებენ და ეგაა.

ასე გამოდის: ყოველმა პატიმარმა ყოველდღე უნდა ზიდოს შეშა. ვერ იტყვის, როდის შეიყოლებს ბანაკში და როდის წაართმევენ.

ვიდრე შუხოვი თვალს აცეცებდა — სადმე ნაფოტები ხომ არ არისო ახლო-მახლო, ბრიგადირმა ყველა გადათვალა და რაზმის უფროსს მოახსენა:

— ასმეთხის ხალხი ყველა აქაა.

ცეზარიც აქვეა, კანტორელებიდან თავისიანებს შემოერთებია. ჩიბუხში წითელი ცეცხლი უღვივის, შავ უღვაშზე ჭირხლი მოსდებია.

— როგორ არის საქმეები? — კაპიტანს ეკითხება.

გამთბარი გაყინულისას რას გაიგებს. ფუჭი კითხვაა — როგორ არის საქმეებიო.

— როგორ იქნება? — მხრებს იჩეჩავს კაპიტანი. — იმდენი ვიმუშავებთ, წელში ძლივს გავიმართებ.

ვითომ — სჯობია იმდენი მოიფიჭრო, მომაწვიწვირო.

მოსაწევსაც აძლევს ცეზარი. მთელ ბრიგადაში მარტო კაპიტანთანაა შეწყობილი, სხვა არავინ ჰყავს გულის მოზიარე.

— ოცდამეთორმეტეში კაცი აკლიათ! ოცდამეთორმეტეში! — გაპყვირიან ყველანი.

ოცდამეთორმეტის ბრიგადირის თანამემწემ და მასთან კიდევ ერთმა ავტოსარემონტოებისკენ გაქუსლეს საქებრად. პატიმრებს შორის კი: ვინ არის? რა მოხდაო? — კითხულობენ. და შუხოვამდისაც მოატანა ამბავმა: შავ-შავი მოლდაველი გამჭრალა. რომელი მოლდაველიო? ის ხომ არა, რომ

ამბობენ—რუმინელების ჯაშუსი იყო, ნამდვილი ჯაშუსი.

ჯაშუსი ხუთ-ხუთია თითო ბრიგადაში, მაგრამ ესენი მოგონილი ჯაშუსები. საქმეში ჯაშუსებად ვალიან, ისე კი უბრალო ნატყვევრები არიან. შუხოვიც მასეთივე ჯაშუსია.

ის მოლდაველი კი ნამდვილიაო.

მცველთა რაზმის უფროსმა სიას რომ ჩახედა, ერთიანად ჩაშავდა. ჯაშუსი თუ გაეჭკათ, რაზმის უფროსს რაღვე დაადგება?

მთელი ამდენი ხალხი, მათ შორის შუხოვიც, ბოღმაზეა მოსული. ვინ ოხერია, ვინაა ის ვიღაც გველის წიწილი, ის დამპალი, ის მურტალი და მუქთამუქამელი? უკვე ჩამოღამდა, ამ სინათლეს რომ ხედავ — მთეარისაა, ვარსკვლავებიც გამოჩნდა აგერ-ეგერ, ყინვა უჭერს, და ის ძაღლისშვილი სადღაც დაკარგულა! რაო ვითომ, მუშაობა არ გეყო, შე ქეციანო? სამუშაო ღვე გეცოტავა გათენებიდან დაღამებამდე? მოიცა, პროკურორი მოგიმატებს!

შუხოვსაც ეუცხოება — ვინ უნდა იყოს, ისე იმუშაოს, ზარის ხმაც ვერ გაიგონოს?

სულ დააიწყდა, რომ ეს-ესაა თვითონაც ასე მუშაობდა და გული ეთანადრებოდა — საგულშაგოსკენ რა აღრე-ადრე მიედღვართო ახლა სხვებთან ერთად იყინებოდა, სხვებთან ერთად მძვინვარებდა. იმ მოლდაველს კიდევ ნახევარ საათს რომ გაეჩერებინა ეს ხალხი, მგონი ნაუწყ-ნაუწყად დაეგლიჯათ, თუკი მოიხელთებდნენ.

ყინვა მოეძალა. ადგილზე არავინ აღარ ღვას — ან ბაკუნობენ, ან ორნაბიჯს წინ და ორსაც უკან მიდი-მოდიან.

ბკობენ: შეძლებდა თუ ვერაო გაქცევას მოლდაველი? დღისით თუ გაიპარა, ეგ კიდევ არა უშავს, მაგრამ თუ ჩაიმალა სადმე და იმას ელოდება — კოშკურებიდან გულშაგებს წაიყვანნო, ვერ ეღირსება. თუ მავთულქვეშ, სადაც გაცოცდა, კვალი არ დარჩენილა, სამ

დღეღამესაც რომ ეძებონ ზონაში და ვერ მიაგნონ, კოშკურებს არ მოშორდებიან. სამი დღე-ღამე კი არა, ერთ კვირასაც არსად წავლენ. ასეთია მათი წესდება, ძველმა პატიმრებმა კი იციან ეს ამბავი. საერთოდ, თუკი ვინმე გაიქცა, მორჩა მცველების საქმე — უჭმელ-უსმელებს და უძილოებს დაარბენინებენ აქეთ-იქით. ზოგჯერ ისე გადაირევიან, გაქცეული ცოცხლად აღარც კი მოყავთ.

ცეზარი კაბიტანს მისციებია:

— მაგალითად, გახსოვთ, პენსნე რომ გემსართავს ჩამრეკილება?

— და-ა... — კაბიტანი თუთუნს ეწევა.

— ან კიდევ ეტლი რომ კიბეზე მიგორავს და მიგორავს.

— დიახ... ოღონდ მეზღვაურთა ცხოვრება ცოტათი თამაშს კი ჰგავს მაგ ფილმში.

— იცით რა არის? ჩვენ განებივრებულნი ვართ თანამედროვე გადაღების ტექნიკით...

— ხორცზეც იმოდენა მატლები და-ცოცავენ. დავიჯერო, იყო იმხელები?

— საქმე ისაა, უფრო პატარებს კინოში ვერ გადაიღებენ!

— მე მგონი, ის ხორცი რომ ჩვენთან მოეტანათ ბანაკში იმ თევზის მაგივრად და ასევე გაურეცხავად ქვაბში გადაეშვით, მაშინვე...

— ა-ა-ა! — აღრიალდნენ პატიმრები.

— უ-უ-უ!

დანიახეს: ავტოსარემონტოებიდან სამი კაცი გამოვარდა, მათ მოლდაველი იქ ყოფილა.

— უ-უ-უ! — გაჰკვივან ქიშკართან მდგარნი.

ხოლო იმ სამმა უფრო ახლოს რომ მოიბრინა:

— ქეცი-ანო-ო! დამ-პალო-ო! უნამუსო-ო! ძაღლისშვილო-ო! ჩათლახო-ო! და შუხოვიც გაჰკვივის:

— ქეცი-ანო-ო!

ხუმრობა საქმე ხომ არაა, ხუთას

კაცს ნახევარ საათზე მეტი დააკარგვიანა!

თავი მხრებში ჩაურგავს, ლეკლიპივით მოიცურცლება.

— დადექ! — ყვირის მცველი და იწერს: — კოთხას სამოცი. სად იყავი?

მერე მიუახლოვდა და კონდახით კარაბინი შეატრიალა.

ზოგიერთი ისევ გაჰყვირის:

— ვირიშვილო! მაიმუნო! აყროლებულო!

სხვები კი, რომ დანიახეს, სერჟანტმა კარაბინი შეატრიალაო, მიუყჩნდნენ.

მოლდაველს თავი ჩაუკილია, ხმას არ იღებს, უკან-უკან იხევს შემკრთალი. ოცდამეთორმეტის ბრიგადირის თანაშემწე წინ წამოდგა:

— ბათქაშის ხარაჩოებზე ამძვრალა ეგ დამპალი, მე შემალბობოდა, მერე გამთბარა და ჩასძინებია.

კისერში წამოდო, კეფაშიც უთაქა და უთაქა!

მაგრად მოჩანთა, ოღონდ სერჟანტსაც გამოარიდა თავისი მუჭლუგუნებით.

მოლდაველი შებარბაცდა, ამ დროს იმავე ოცდამეთორმეტელთაგან მადიარი გამოქანდა და ამოჰკრა პანლური!

შენ აქ ის ნუ გგონია, ჯაშუსად რომ დადიოდი! ჯაშუსობას რეგვენიც მოახერხებს. ჯაშუსის ცხოვრება ნაღია და სახალისო. შენ თუ ბიჭი ხარ, კატორღელთა ბანაკში საერთო სამუშაოებზე ათ წელს გაძელო!

სერჟანტმა კარაბინი დაუშვა.

მცველთა რაზმის უფროსი ყვირის:

— ქიშკარს მოეცალე-ეთ! ხუთ-ხუთად მოეწყეთ!

ისევ გადათვლას აპირებენ ძაღლისშვილები! რალა გადათვლა უნდა, როცა ისედაც ყველაფერი ცხადია? აყაყანდნენ პატიმრები, მოლდაველზე დაგროვილი მთელი ბოღმა ბადრავას უმისამართეს. ყაყანებენ და ქიშკარს არ ეცლებიან.

— რა-ო? — აღრიალდა რაზმის უფროსი. — თოვლზე დასმა მოგინდათ? ახლავე დაგაჯენთ! დილაღე ასე გაგაჩერებთ!

რა გვონია — მართლა დაგვაჯენს! რამდენჯერ დავუჯენივართ. გვაწვენდენ კიდეც. „დაწვექ! სასროლად მოემზადეთ!“ ამგვარი რამეებიც მომხდარა, იციან პატიმრებმა. და ჭიშკრიდან ნელნელა უკან დაიხიეს.

— უკან! უკან! — კიდეც ეძალება ბაღრაგა.

— მართლა-და რას მიციებიხართ მაგ ჭიშკარს, თქვე შტერებო? — ჯავრობენ წინმდგომებზე უკანანი და მათ მოწოლაზე იხევენ.

— ხუთ-ხუთი მოეწყეეთ! პირველი! მეორე! მესამე!

ამასობაში მთვარემ კარგად გამოაშუქა. დაწმენდილა, სიწითლე გადაცლია. გვარიანად ამოწეულა კიდეც! წავიდა ზელიდან საღამო! ჭანდაბას მოლდაველის თავი! ჭანდაბას მცველები! ჭანდაბას ასეთი სიცოცხლე!

წინანი, ვინც უკვე გადათვალეს, შემობრუნდნენ, თითის წვერებზე დგებიან და უყურებენ — უკანასკნელ ხუთეულში ორი კაცი დარჩება თუ სამი. ამაზე ახლა მთელი სიცოცხლეა დამოკიდებული.

შუხოვს ისე მოეჩვენა — ბოლო ხუთეულში ოთხნი ვრჩებიითო. შიშით გული გადაუქანდა: ახლა ზედმეტი გამოდის! ხელახლა გადათვლიან! თურმე ის წუწკი ფეტიუკოვი კაპიტანის ნაშწვს უცუცქურებდა, ამაზე დაყოვნებულა, თავის ხუთეულში დროზე არ ჩამდგარა და ისე გამოვიდა, თითქოს ზედმეტი ყოფილიყოს.

ბოლმამორეულმა რაზმის უფროსის თანაშემწემ ერთი მოჩანთა კისერში ფეტიუკოვს.

ასე მოუხდება!

ბოლო მწკრივში სამი კაცია. მაღლო-ბა ღმერთს, სწორად გამოვიდა!

— ჭიშკარს მოეცალეეთ! — ისევ ყვირიან მცველები.

მაგრამ ამჯერად პატიმრები არაფერს ამბობენ. ზედავენ: საგუშავოდან სალდათები გამოდიან და ჭიშკრის გადაღმა მხრიდან ალყას არტყამენ.

ესე იგი გაშვებას აპირებენ.

სამოქალაქო ათისთავები არსად ჩანან, არც მათი სამუშაოთა მწარმოებელი. შეშას მიიყოლებენ ზიჯენს და გააღეს ჭიშკარი. ვადაღმა რაზმის უფროსი და მეკონტროლე ისევ ითვლიან:

— პირველი! მეორე! მესამე!..

აქაც თუ სწორად გამოვიდა, კოშკურებიდან გუშაგებს მოხსნიან.

შენ ისა თქვი, შორეული კოშკურებიდან რამხელა გზა გამოსავლელი! უკანასკნელ პატიმარს ზონიდან რომ გაიყვანენ და ანგარიში სწორი გამოუვათ, მაშინლა დაურეკავენ ტელეფონით ყველა კოშკურას: ჩამოდიითო! თუ მცველთა რაზმის უფროსი გონიერი კაცია, ხალხს მაშინვე დამჩრავს, რადგან იცის, რომ პატიმარი ახლა ვერსად გაიქცევა და თანაც კოშკურებიდან ჩამოსულები გზა-გზა წამოეწყვიან. ხოლო რეგენი იმის შიშშია — მცველები არ შეყოფიანო, დგას და ელოდება.

დღევანდელი რაზმის უფროსიც ერთი იმ რეგენთაგანია. ესეც გუშაგების მოსვლას უცდის.

მთელ დღეს ყინვაში იყვნენ პატიმრები, ერთიანად გაითოშენ. წასასვლელად რომ გაემზადენ, მერეც მთელ საათს მოუხდათ ერთ ადგილზე დგომა. და მანც ისე ყინვა არ ჰკლავთ, როგორც ბოლმა და ჯავრი: წავიდა ზელიდან საღამო! აწი ზონაში ვერაფერს ვეღარ მოასწრებენ.

— მიანც საიდან იცით ასე კარგად ინგლისის ფლოტის ამბები? — კითხულობენ წინა ხუთეულში.

— სიმართლე გითხრათ, თითქმის მთელ თვეს ეცხოვრობდი ინგლისურ კრეისერზე, საკუთარი კაიუტაც მქონდა. საზღვაო ბაღრაგას ვახლდი, კავშირ-გამბულობის ოფიცრად. მერე, წარმოიდგინეთ, ომი რომ დამთავრდა, ინგლისელმა აღმირალმა რალაც ეშმაკად სამახსოვრო საჩუქარი გამომიგზავნა. „მაღლობის ნიშნად“. მიკვირს და თან გახსენებაც მეზარება!..

საოცარია. საოცარია, რომ შეხედავ: უდაბური ტრამალი, მიტოვებული ზონა,

მთვარის შუქზე აბრქვეიალებული თოვლი; მცველები უკვე თავთავის ადგილებზე დამდგარან — ერთიმეორეს ათ-ათი ნაბიჯის დაცილებით, იარაღი მოუმარჯვებიათ; პატიმრების ლეგა ჯოგი და — ასეთსავე ბუშლატში — შჩ-311-კაცი, რომელმაც ოქროს სამხრეების გარეშე ცხოვრება რა იყო, არ იცოდა, ინგლისელ ადმირალს ეამფსონებოდა, ახლა კი ჯალამბრებს დაათრევს ფეტიუკოვთან ერთად.

კაცს გინდა აქით უხამ პირს და გინდა იქით.

როგორც იქნა, აიბარგენ მცველები. ლოცვა აღარ უთქვამთ, პირდაპირ:

— ნაბიჯით იარაღი ფეხი ააჩქარეთ! არა, ბატონო, ვერ მოგართევს ფეხის აჩქარება! ყველა ობიექტს ჩამოვრჩით, საღლა გვეჩქარება. პატიმრები პირის შეუთქმელად მიხვდნენ ყოველივეს: თქვენ ხომ გვაწვალეთ და გვაცდევინეთ, ახლა ჩვენც გაცდევინებთ. გასათბობად აღბათ თქვენც მიგეჩქარებათ...

— ნაბიჯს მოუმატეთ! — ყვირის რაზმის უფროსი. — წინმავალო, ნაბიჯს მოუმატე!

„ნაბიჯს მოუმატე“ — შენმა შხე! ზომიერი ნაბიჯით, თავჩაქინდრულნი მიდიან პატიმრები, როგორც დასაფლავებაზე მიმავალთ სჩვევიათ. აწი აღარაფერი გვაქვს დასაჯარგი, სულ ერთია, ყველაზე ბოლოს მივალთ ბანაკში. არ გინდოდა კაცურად მოგვეტყეოდი და ახლა ღრილით გასკდი თუ გინდა.

იყვირა, იყვირა რაზმის უფროსმა — ნაბიჯს მოუმატეთო, — და მიხვდა: მეტს არ აჩქარდებოდნენ პატიმრები. არა და ვერც ესკრი: ხუთ-ხუთნი მიდიან, დამწყარივებულნი, შეწყობილად. ვერაფრით აიძულებს რაზმის უფროსი, რომ ნაბიჯს მოუმატონ. (დილდოლობით პატიმრებს ის თუ შველის, რომ სამუშაოსკენ ტატით მიდიან. ჩქარა-ჩქარა ვინც დარბის, ბოლომდე ვერ გაატანს — გასავათდება და დაეარდება.)

ასე ზომიერად და ბეჯითად გაუყვეს. მიჭრაქუნობენ თავისთვის თოვლში. ზოგი ჩუმჩუმად მისაუბრობს, ზოგი ისე

მიაბიჯებს, მოიგონა შუხოვმა — დილით რალაც საქმე დამრჩაო მოსაგვარებელი. იფიქრა, იფიქრა და გაახსენდა: სანიტინაწილი! საკვირველია ღმერთმანი, მუშაობაში სულ დავიწყებია სანიტინაწილი.

სწორედ ახლა მიღება სანიტინაწილში. თუ არ ივანშმა, კიდევ მოასწრებს შერბენას. მაგრამ მგონი აღარც კი ტუხავს უკვე. სიცხესაც არ გაუსინჯავენ... ტყუილად დროის დაკარგვა! უქიმიბოდაც განიკურნება. მაგ ექიმები კუბოში ჩაგაწვენენ.

სანიტინაწილის დარდი აღარ ჰქონდა, იმის ფიქრში იყო — ვახშამს რა შეიძლება წავუმატოო. იმედად ისლა რჩებოდა, იქნებ ცეხარს ამანათი მოუვიდესო; კარგა ხანია, აღარ მიუღია.

და უცებ პატიმართა კოლონას რალაც შეუჯდა თითქოს: აქანავდა, ნაბიჯი აურია, გაიქანა, აგუგუნდა, აგუგუნდა — და, აი, უკან მავალი ხუთეულები და მათ შორის შუხოვიც წინმავლებს ველარც მიჰყვებიან, ფეხის აჩქარება უხდებათ. რამდენიმე ნაბიჯს გადადგამენ და ისევ გაქცევა უხდებათ.

როცა უკანა მწყარივები ბორცვს გადაადგნენ, შუხოვმაც დაინახა: შორს ტრამალზე, მათგან მარჯვნივ, კიდევ ერთი კოლონა მოდიოდა ირიბად. ეტყობა, იმათაც დაგვინახეს და გამოქუსლეს.

მხოლოდ მექანიკური ქარხნისა შეიძლებოდა ყოფილიყო ის კოლონა. სამასამდე კაცი მოდიოდა. როგორც ჩანს, იმათაც არ გაუმატლათ, ისინიც შეუჩერებიათ. ისინი რალზე? იმათ ზოგჯერ სამუშაოს გამოც შეაჩერებენ ხოლმე: თუ რომელიმე მანქანის გარემონტება ვერ მოასწრეს. იმათ რა, მთელ დღეს სითბოში სხედან.

აბა, ვინ ვის გადაასწრებს! მირბიან ბიჭები, მიექანებიან. ბაღრაგაც გამოთხარაიკდა, მხოლოდ რაზმის უფროსი დაიძახებს ხოლმე:

— ნუ გაიშლებით! უკანებო, ფეხი ააჩქარეთ! ააჩქარეთ!

შენც ერთი რა ვალრიალებს? არ ვაჩქარებთ თუ?

ვინც რას ამბობდა და ვინც რას ფიქ-

რობდა, ყველაფერი დაივიწყეს, მთელ კოლონას ერთი საზრუნავიღა დარჩა: — მივასწროთ! ვაჯობოთ!

და ყოველივე ისე აირდაირია, რომ ბადრაგა ახლა პატიმართა მტერი კი აღარაა, მეგობარია. მტერი ისაა, მეორე კოლონა.

ყველანი უცბად გახალისდნენ და ბოლმაც გაუქარვდათ.

— მიდი, მიდი! — წინმავალთ მისძახიან უკანანი.

ჩვენი კოლონა ქუჩას შეეფინა, მექანიკური ქარხნისა კი საცხოვრებელ კვარტალს მიეფარა. ახლა დაფარული დოლი გაიმართა.

აქ ჩვენს კოლონას სირბილი გაუადვილდა. მცველებიც ისე აღარ მოფორიხილობენ. აი, აქ უნდა გადავასწროთ იმიტომაცაა საჭირო მექანიკური ქარხნის მუშების გასწრება, რომ ბანაიკის ხაგუშავოსთან მათ განსაკუთრებით დიდხანს ჩხრეკენ ხოლმე. იმ ხნიდან მოყოლებული, რაც ბანაიკში ხალხის დაკვლა დაიწყეს, უფროსები ფიქრობენ, რომ დანებს მექანიკურ ქარხანაში აკეთებენ და იქიდან მოეზიდებიანო. ამიტომ ბანაიკში შეშვებამდე იქაურ მუშებს განსაკუთრებით ჩხრეკენ ხოლმე. გვიანი შემოდგომა იყო, მიწა უკვე დაეზრა, იმათ კი მაინც უყვიროდნენ:

— გაიძრეთ ფეხზე! ფეხსაცმელი ხელში დაიჭირეთ!

ასე ფეხშიშველებს ჩხრეკდნენ.

ახლაც, ყინვაა თუ არაა ყინვა, ალაღბედღე შიადგებიან:

— აბა, მარჯვენა ჩექმა გაიხადე! შენ მარცხენა გაიძრე!

პატიმარი თექურას გაიხდის და, ვიდრე ცალ ფეხზე ასკინკილაობს, ის თექურა უნდა დააპირქვეავოს და ფეხსაბვევიც დაბერტყოს — დანა არ შემაქვსო.

არ იცის, მართალია თუ არა, მაგრამ შუბოვმა ასეთ ამბავსაც მოჰკრა ყური: მექანიკური ქარხნის ბიჭებს ჯერ კიდევ ზაფხულში ორი ფრენბურთის ბოძი მოუტანიათ და ყველა დანა იმ ბოძებში ყოფილა ჩამალული. თითოში ათ-ათი

გრძელი დანა იყო. ახლა ხან აქ კოულობენ იმ დანებს და ხან იქ.

ასე ძუნძულ-ძუნძულით ახალ მსახურს გასცდნენ, საცხოვრებელ კვარტალსაც ჩაუარეს, ხის დასამუშავებელ სახელოსნოსაც და ბანაიკის საგუშავოს გაუპირისპირდნენ.

— უ-უჰ! — ერთად ამოსკდა მთელ კოლონას.

სწორედ ამ გზის შესაყარს უმიზნებდნენ. მეორე კოლონა ას ორმოცდაათოდე მეტრით ჩამორჩენილა მარჯვნივ.

ახლა მშვიდად გაალაჯეს. ყველას უხარია. კურდღლის სიხარულია: ვითომ — ბაყაყები ჩვენზე ჯაბანნი არიანო.

აბა ბანაიკიც. რაც დილას დატოვეს, ახლაც ისაა: სიბნელე, ზონაში მესერ-მესერ გაყოლებული ნათურები, რომლებიც საგუშავოსთან განსაკუთრებით ბევრია, მთელი საჩხრეკი მოედანი დღესავითაა განათებული.

მაგრამ საგუშავოსთან მისულნი არ იყვნენ, რომ:

— დადექ! — ყვირის რაზმის უფროსის თანაშემწე. მერე თავის ავტომატს სალდათს აჩეჩებს და კოლონას უახლოვდება (ავტომატიანად მოახლოების უფლება არა აქვს). — ყველამ, ვინც მარჯვნივ დგას და ხელში შეშა უქირავს, შეშა მარჯვნივ დაყაროს!

ისე შეშა დაუფარავად მოჰქონდათ, ყველას დასანახად. ერთი კონა გადავარდა, მეორე და მესამეც მიჰყვა. ზოგიერთმა შეშის შემალვა დააპირა, მაგრამ მეზობლები შეუწყინნენ:

— შენი გულისთვის სხვებსაც წაართმევენ! შენი ნებით დააგდე!

ვინაა პატიმრის უმთავრესი მტერი? მეორე პატიმარი. პატიმრები რომ ერთმანეთს არ ბრიდავდნენ — ე-ეჰ!

— ია-არ! — ყვირის რაზმის უფროსის თანაშემწე.

და დაიძრნენ საგუშავოსკენ.

საგუშავო ხუთი გზის შესაყარია. ერთი საათის წინ ყველა ობიექტი აქ იყო შეყრილი. ამ ხუთივე გზის გაყოლებით ქუჩები რომ გაშენდეს, ამ საგუშავოსა და საჩხრეკის ადგილას მომავალში ქა-

ლაქის მთავარი მოედანი იქნება. და ისევე, როგორც ახლა ყოველი მხრიდან ობიექტები მოედინებოან, მაშინ დემონსტრაციები შეერთდება.

ზედამხედველები უკვე საგუშაგოებში შეყუჟულიყვნენ გასათბობად. ახლა გამოდინან, გზის გარდი-გარდმო მწყარივლებიან.

— შეიხსენით ბუშლატები! სათბურები შეიხსენი-ით!

თან ხელებს შლიან, მოხვევენას გიპირებენ მჩხრეკელნი. გვერდებზეც ხელებს გიტყაპუნებენ. ერთი სიტყვით, ყოველივე დილანდელივით ხდება.

ახლა აღარ გვეშინია ტანისამოსის შესხნისა — შინისკენ მივდივართ.

ყველა ასე ამბობს — შინისკერო.

დღე ისე გაივლის, ვერც კი მოიცილი, რომ სხვა „შინ“ მოგაგონდეს.

კოლონის პირველ მწყარივებს უკვე ჩხრეკდნენ, როცა შუხოვი ცეზართან მივიდა და უთხრა:

— ცეზარ მარკოვიჩ! აქედან პირდაპირ საამანათოში გავიქცევი და რიგს დაგიჭერთ.

ჩამონაკეთული შავი უღვაშები, ახლა ქვედა მხრიდან ჭირხლით შეთეთრებული უღვაშები შუხოვისკენ შემოაბრუნა ცეზარმა:

— ღირს კია, ივან დენისიჩ? იქნება არც მომსვლია ამანათი.

— რა უშავს მერე? ათ წუთს დაგელოდებით და, თუ არ მოხვედით, უკანვე წამოვალ.

(თავად ასე ფიქრობს: თუ ცეზარი არა, იქნება სხვა ვინმე გამოჩნდეს მსურველი და იმას მივყვიდიო რიგს.)

ეტყობა, მონატრებიც ცეზარს ამანათი:

— კარგი, ივან დენისიჩ, გავარდი და დამიკავე რიგი. ათ წუთს მიცადე, მეტს არა.

ამასობაში მათი ჩხრეკის რიგიც მოახლოვდა. შუხოვს დღეს დასამალი არაფერი აქვს, გულარხინად მიდის. ბუშლატი აუჩქარებლად შეიხსნა და სათბურზეც მოიცილა ბრეზენტის ქამარი.

და, თუმცა აკრძალული თან არაფერი

მოჰქონდა, რვა წელიწადს ნიადაგ დადარაჯებულად ცხოვრება ჩვეულებად ჰქცეოდა შუხოვს. ამიტომ ხელი მაინც ჩაიყო მუხლისთავზე დაკერებულ ჯიბეში, რათა გული კიდევ ერთხელ დაეჭვრებინა — ცარიელიაო.

მაგრამ ჯიბეში ფოლადის ნაჭერი აღმოჩნდა, ლიანდაგის ნამტვრევი, რომელიც დღეს ზონაში იპოვნა და რომლის ბანაკში წამოღება არც უფიქრია.

არ უფიქრია წამოღება, მაგრამ, რაკი აქამდე მოჰყვა, ახლა გადაგდება ძალიან ენანებოდა. ამ ფოლადიდან პატარა დანა გამოიჭრება — გინდა სახარაზო და გინდა თერძის სახმარი.

იმთავითვე რომ სდომებოდა ამ ნაჭრის ბანაკში შეტანა, იმასაც მოიფიქრებდა, როგორ დაემალა. ახლა კი მას წინ ორიოდ მწყარივიდა იყო დარჩენილი და ამ ორიდან ერთი გამოეყო კიდევ კოლონას და მჩხრეკელებისკენ გაემართა.

ახლა ელვის უსწრაფესად უნდა გადაეწყვიტა: ან წინა ხუთეულს უნდა ამოფარებოდა და შეუძინევლად თოვლში ჩაეგდო ის ფოლადი (იქ კვალს კი მიაგნებდნენ, მაგრამ ვერ გაიგებდნენ, ვისი იყო), ან კიდევ თან უნდა წაეღო!

იმ ფოლადის ნაჭრისთვის, თუკი დანად მიიჩნევდნენ, შეეძლოთ ათი დღის კარცერი მიეცათ.

მაგრამ სახარაზო დანა შემოსავალი იქნებოდა, პურს აჰმეცდა! ენანებოდა გადაგდება.

აიღო და ხელთათმანში ჩამალა.

ამასობაში ბრძანება გასცეს — მომდევნო ხუთეული წამოვიდესო.

და ამ განხიზხებულ სინათლეში სამნილა დარჩნენ: სენკა, შუხოვი და ერთი ოცდამეთორმეტელთაგანი, წელან რომ მოლდაველის საქებრად გაიქცა.

იმის წყალობით, რომ ისინი სამნი დარჩნენ, ხოლო მათ პირდაპირ ხუთი ზედამხედველი იდგა, შუხოვს შეეძლო ემარჯვა და აერჩია — მისი შემხვედრი ორი ზედამხედველიდან რომელთან მისულყო. შუხოვმა დაჟღავნა ჰაბუკი კი არ აირჩია, ჰალარა ბერიკაცს მიმართა.

რა თქმა უნდა, მოხუცი უფრო გამოცდილი იქნებოდა და, რომ მოესურვებინა, იმ ნამალევე ფოლადის ნაჭერს ადვილად უპოვნია. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ უკვე მოხუცებული იყო, თავისი ხელობა ქირის დღესავით მოძულებული უნდა ჰქონოდა.

ამასობაში შუხოვემა ორივე ხელთათმანი — ფოლადის ნაჭრიანიც და ცარიელიც — წაიძრო, ცალ ხელში დაიჭირა (ცარიელი წინა მხარეს მოაქცია), ქამარიც იმავე ხელში აითოკა, სათბური ერთიანად გადაიღელა, ბუშლატისა და სათბურის კალთები მხხრეკელის თვალის საამებლად აიკეცა და აიფრიალა (არასოდეს ასე მლიქნელურად არ იქცეოდა, მაგრამ ახლა უნდოდა ეჩვენებინა — აჰა, რაც ვარ, ესა ვარ, თუ გნებავს, გამხხრეკეო!) — და ბრძანებისთანავე ქალარას მიაშურა.

ქალარა ზედამხედველმა გვერდებსა და ზურგზე ხელი მოუთათუნა, მუხლისთავთან დაკერებულ ჯიბესაც წაჰკრა, დარწმუნდა, რომ იქ არაფერი იყო, სათბურისა და ბუშლატის კალთები მოუხინჯა, და საბოლოოდ, გულის დასაჯერებლად, წინ წამოშვერილი ცარიელი ხელთათმანიც ჩაბღუჯა.

ზედამხედველმა რომ იმ ცარიელს ხელი წაავლო, შუხოვეს გული შეეკუმშა. ერთი ასეთი ხელის წავლევაც და გათავებული იყო საქმე — კარცერი, დღეში სამასი გრამი და ცხელი კერძი მხოლოდ შესამე-მესამე დღეს. მაშინვე წარმოიდგინა, როგორ დასუსტდებოდა, როგორ დაიმშეოდა კარცერში და რარიგად გაუძნელდებოდა მერე ხელახლა შეწყობოდა აწინდელ გასაძლის ცხოვრებას, როცა არც მამლარია, მაგრამ არც შიმშილით დაოსებული.

და იმავე წამს გულმხურვალე ლოცვა აღავლინა: „ღმერთო! მიშველე! კარცერს გადამარჩინე!“

ეს ყოველივე გაიფიქრა, ვიდრე ზედამხედველი პირველ ხელთათმანს მოხინჯავდა და მეორეს წაეტანებოდა (იმ ხელთათმანებს ორივეს ერთად მოხინჯავდა, შუხოვეს რომ ცალცალად დაე-

ქირა ორ ხელში და ერთში არ მოექცია). მაგრამ ამ დროს მხხრეკელთა უფროსის ხმაც გაისმა:

— მიდი, მექანიკური ქარხანა გამოუშვი!

და ქალარა ზედამხედველმა, ნაცვლად იმისა, რომ ის მეორე, ფოლადის ნაჭრიანი მოხინჯა, ხელი ჩაიქნია — გაიარეო. და გაატარა.

შუხოვე თავისიანების დასაწევად გაიქცა. მისიანები უკვე ხუთ-ხუთად დამწყარიებულიყვნენ ორ გრძელ ძელურ კაღონს შუა, რომელიც ცხენის საბმურს ჰგავდა და კოლონის შესარეკ ბაკად იყო თითქოს გამზადებული. — მიფრინავდა, კი არ მიბზობდა შუხოვე. მადლობის ლოცვაც არ აღუვლენია, ჯერ ერთი არ ეცალა და, მეორეც, აღარც იყო საჭირო.

მათი კოლონის მომყოლი ბადრაგა ახლა გვერდზე ვადგა და მექანიკური ქარხნის კოლონას გზა დაუცალა. მათი კოლონის მიერ ჩხრეკამდე დაყრილი შეშა მცველებს თავისთვის მოეგროვებინათ, ხოლო ჩხრეკის დროს ზედამხედველთაგან ჩამორთმეული შეშა საგულშაგოსთან იყო დახვავებული. მთვარე მალლა-მალლა მოიწვედა, ყინვა ეძალეზობდა ნათელ ღამეს.

მცველთა რაზმის უფროსი, რომელიც საგულშაგოსკენ გაემართა, რათა ოთხას სამოცდასამი სულის ჩაბარებაზე ხელწერილი აეღო, ვოლკოვოის თანაშემწეს მოეთათბირა რაღაცაზე. თანაშემწემ დაიყვირა:

— კ-ოთხას სამოცი!

კოლონის შუაგულში შეყუჟულმა მოლდაველმა ამოიოხრა და წინ წამოდგა. თავი ისევ ჩაექნინდა და მხრებში ჩაერგო.

— მოდი აქ! — დაუძახა თანაშემწემ. ხელები ზურგზე დაიწყო და აქ გაჩერდით — უბრძანეს.

ესე იგი გაქცევის ცდად ჩაუთვლიან. შიდაციხეში შეამწყვდევენ.

ბაკის ორსავე მხარეს ორი გულშაგი დადგა, სამი კაცის სიმაღლე ალაყაფის

კარი ნელნელა გაიღო და გაისმა ბრძანება:

— ზუთ-ზუთი მოეწყე-ეთ! („ქიშკარს მოეცალეთ“ აქ არ არის საჭირო: ყველა ქიშკარი ზონის შიგნით იღება, რათა პატიმრებმა ვერ შეძლონ ძალით მისი გაღება, თუნდაც რომ ყველანი ზედ ერთად მიაწყდნენ). პირველი! მეორე! მესამე!..

სადამოს ამ გადათვლის დროს არის სწორედ პატიმარი ყველაზე უფრო ვათოშილი და დამშეული და ერთი ჯამი წყალწყალა ცხელი კერძი მისთვის ახლა იგივეა, რაც წვიმა ნაგვალაზე — სულმოუთქმელად ამოცლის და ამოასუფთავებს. ის ჯამი ახლა თავისუფლებასაც ურჩევნია და სიცოცხლესაც, მთელ წინანდელ სიცოცხლესაც და მომავალსაც.

ბანაკის ქიშკარში შემავალი პატიმრები ლაშქრობიდან მობრუნებული მხედრებივით გულოვანნი და შემართულნი არიან — გზა-ა!

შტაბის ბარაკის მუქთამჟამელს ქიშკარში შემოზვინული პატიმრების დანახვაზე თავზარი ეცემა ხოლმე.

დილის შეიდის ნახევრიდან მოყოლებული, როცა სამუშაოზე გაყვანის ზარი ირეკება, ამ გადათვლის მერე პირველად იქცევა თავისუფალ კაცად პატიმარი. გაიარეს დიდი ქიშკარი, ზონისწინა პატარა ქიშკარსაც გასცდნენ, სამწკრივო ხაზთან დაყოლებული ღობეც მოათავეს. ახლა ვისაც საით უნდა, იქით წავიდეს!

ვისაც საით უნდა, მაგრამ ბრიგადირებს კი განმწყესებელი ექაჩება:

— ბრიგადირებო! საგვეგმო-საწარმოოში!

შუხოვმა შიდაციხეს და ბარაკებს ჩაუქროლა და სამამანათოში შეგარდა. ხოლო ცეზარი დინჯად და ღირსეულად იქით გაემართა, სადაც უკვე უამრავი ხალხი მისწყდომოდა ბოძს, რომელზედაც ფანერის დაფა იყო აკრული და ზედ ქიმიური ფანქრით ეწერა იმათი გვარები, ვისაც დღეს ამანათი მოსვლოდა.

ბანაკში ქალაქზე იშვიათად წერენ რამეს, მეტწილად ფანერს ხმარობენ, როგორცაც უფრო მაგარი და სანებლო ფანერზე დაწერილი. განმწყესებელიც ასეთ დაფებზე ანგარიშობს კაცის თავებს. სახვლიოდ დღევანდელ დაწერილს ჩამოფხეკს და ხელახლა დააწერს. იზოგება მასალა.

ზონაში დარჩენილნი ამგვარადაც ნაბიჭრობენ: დაფაზე წაიკითხავენ, ამანათი ვის მოსვლია, მერე პატრონს სამწკრივო ხაზთანვე შეეგებებიან და მის ნომერს ეტყვიან. ბევრია თუ ცოტა, ასეთებს ერთ სიგარეტს მაინც არგუნებენ ხოლმე.

ბარაკისთვის რაღაც მიუშენებიათ და ამ მინაშენს ზედ კიდევ ტამბური აქვს აკრული. ესაა სამამანათო. ტამბურს კარი არა აქვს შეხებული, სიცივე თქრიალთქრიალით შედის, მაგრამ შიგნით მაინც უფრო თბილა თითქოს, რაც უნდა იყოს, გადახურულია.

ტამბურში კედლის გასწვრივ რიგი გაკიმულიყო. რიგი დაიკავა შუხოვმა. წინ თხუთმეტამდე კაცი იდგა. რიგის მოწყვეამდე საათზე მეტი დრო უნდა, სწორედ ძილის ზარი მოატანს იმ დროისთვის. ისინი, ვინც სიის სანახავად წავიდა თბოელექტროცენტრალის კოლონიდან, შუხოვის შემდეგ იქნებიან. მექანიკური ქარხნის მუშებიც. იმათ მეორედ მოუხდებათ ამანათისთვის მოსვლა ხვალ დილით.

თოფრებით და ტომსიკებით დგანან რიგში. იქ, კარებს უყან (თავად შუხოვს ამ ბანაკში არც ერთხელ არ მიუღია ამანათი, მაგრამ სხვების ნათქვამით იცის), ამანათის ყუთს პატარა ნაჯახით ხსნიან, მერე ზედამხედველი ყველაფერს თავისი ხელით იღებს და გულდასმით სინჯავს. ზოგ რამეს გაჭრის, ზოგს გადატეხავს, ხელში შეატრიალებს თუ გადაყრი-გადმოყრის. თუ რამე სითხე აღმოჩნდა მინის ან თუნუქის ქილებში, თავს მოხსნიან და გადმოვიგისხამენ, გინდა ხელი შეუშვირე და გინდა დახვეული პირსახოცი. ქილებს არ ატანენ პატიმრებს, რაღაცის ეშინიათ. ქადა თუ აღ-

მონდა, ან სხვა რამე ნუგბარი, თუნდაც ძეხვი ან თევზეული, ზედამხედველი მოკბენის კიდევ. (ხოლო თუ ჭოჭის მიკმას დააპირებ, მაშინვე შორს მოგდებს — ეს აკრძალულიაო, ხოლო რაც აკრძალულია, იმას არც მოგვემს. ამიტომ ამანათის მიმდებმა, ზედამხედველით დაწყებული, ვილა-ვილა-ცივებს უნდა აძლიოს, აძლიოს და აძლიოს.) ამანათის ჩხრეკას რომ მორჩებიან, ყუთს მაინც არ მოგაკებენ; მიდექი და ჩაყარე ყველფერი თოფრაში, ან თუნდაც ბუშლატის კალთაში გაახვიე და მოეცალე აქაურობას. შემდეგი ზოგიერთს ისე ააჩქარებენ, რამე დარჩება კიდევ დახლზე. იმას ნულარ შიაკითხავ. აღარაა.

დიდი ხნის წინათ, ჭერ კიდევ უსტეგში შეხოვმა ერთი-ორჯერ მიიღო ამანათი. მაგრამ თავადვე მისწერა ცოლს — მაინც ტყუილუბრალოდ იკარგება, ნუ მიგზავნი, ბავშვებს ნუ აკლებო.

თუმცა თავისუფლებაში შეხოვს მთელი ოჯახის გამოკვება უფრო უადვილდებოდა, ვიდრე აქ შოლოდ საყუთარი თავისა, მაგრამ იცოდა, რადაც უჯდებოდათ შინაურებს ის ამანათები და ისიც იცოდა, რომ ათ წელიწადს ვერ შეძლებდნენ გზავნას. ამიტომ უამანათობა ამჯობინა.

ხომ ასე ამჯობინა, მაგრამ, როცა ვინმე ბრიგადაში ან იქვე, მის ბარაკში ამანათს მიიღებდა (ესე იგი თითქმის ყოველ დღე), წუხდა, რომ მისი არ იყო ის ამანათი. და, თუმცა ცოლს სასტიკად აუჯრძალა — სააღდგომოდაც კი არაფერი გამომიგზავნო, თუმცა იმ ბოძსაც შეძლებული მეზობლის ხათრით თუ შიაკითხავდა ხოლმე, მაინც ზოგჯერ ელოდა რატომღაც — აი, მოირბენენ და მომამახებენ — რატომ არ აკითხავ, შეხოვ, ამანათი მოგსვლიაო.

მაგრამ არავინ მოდიოდა და არ უძახოდა.

სულ უფრო იშვიათად და იშვიათად ჩნდებოდა მიზეზი თავისი ტემგენოვოს და მშობლიური სახლის მოსაგონებლად... აქაური ცხოვრება დილიდან სა-

ლამომდე ილაჩს ართმევდა და უჭმი მოგონებების დროს არ უტოვებდა.

ახლა, როცა იმათ შორის იყო ჩამდგარი, ვინც შიგნულს იმედუნდაა, აი, საცაა კბილებს ლორს ჩავასობთ, პურზე კარაქს წავეუსვამთ ან ტოლჩას საქრით დავატკობთო. შეხოვს ერთი სურვილი ასულდგმულეებდა: სასადილოში თავის ბრიგადასთან ერთად შესულიყო და ჭერ ისევ ცხელი ბალანდა შეეჭამა. ცივი ბალანდა ცხელის ნახევარიც არ ღირდა.

თუ ცეზარის ვვარი სიაში არ აღმოჩნდაო, ვარაუდობდა, ცეზარი კარგა ხანია ბარაკშია შესული და იბანსო. ხოლო თუ ცეზარიც ეწერა, ახლა უკვე თოფრებსა და პლასტმასის ტოლჩებს უნდა აგროვებდეს. ამიტომ შეპირდა შეხოვ: -- ათ წუთს დაგელოდებიო.

რიგში მდგარმა შეხოვმა ახალ ამბავსაც მოჰყრა ყური: არც ამ კვირაში იქნება კვირადღე, ისევ შეხვილიფებას აპირებენო. ამას ელოდა კიდევ, სხვებიც ამასვე ელოდნენ: თვეში ხუთი კვირადღე თუ უწევს, სამს გაძლევენ, ორჯერ კი სამუშაოზე გიკრავენ თავს. ხომ მოელოდა ამ ამბავს, მაგრამ, რომ გაიგონა, გული შეეკუმშა. კვირადღეზე გული ვის არ დასწყუდება? თუმცა სწორს ამბობენ რიგში მდგარნი: არც ზონაში ვახეირებენ დასვენების დღეს, რამეს მოიგონებენ — ან აბანოს მიშენებაზე გამუშავენ, ან გადასაღობ კედელს აგაყვანიან, ან კიდევ ეზოს გაწმენდინებენ. ისიც საქმეა — ლეიბებს გამოცვლა ან დაბერტყვა უნდა, ვაგონებზე ბაღინჯოვებია მუსრგასავლები. შესაძლოა ბარათების მიხედვით პიროვნებათა შემოწმებაც მოიგონონ. ან კიდევ ინვენტარიზაცია: მთელი შენი ბარგი-ბარხანით ეზოში უნდა გამოხვიდე და ნახევარი დღე იქ ჭდომაში გაატარო.

ყველაზე მეტად ალბათ მაშინ უკვდებოდა ხოლმე გული, როცა პატიმარს ნასაუშმევს სძინავს.

ნელნელა, მაგრამ მაინც მიიწევდა რიგი წინ. პარიკმახერი, ერთი ბუღალტე-

რი და ერთიც კულტ-საადმზრდელოს თანამშრომელი რიგგარეშე შემოვიდნენ. არავისთვის უკითხავთ რამე, წინმდგომს ხელი ჰკრეს და თავად მიადგნენ დახლს. მაგრამ ესენი ბანაკის წელმაგარი მუქ-თამჰამელები, ზონაში ჩამსხდარი უბირ-ველესი არამზადები იყვნენ და არა საწყალობელი პატიმრები. ამ ხალხს პატიმრები ნებზე უარესად მიიჩნევდნენ (მათაც მსგავსი შეხედულება ჰქონდათ პატიმრებზე), მაგრამ მათთან დავას აზრი არ ჰქონდა: მუქთამჰამელებს ერთიმეორესთან და აგრეთვე ზედამხედველთანაც პირი აქვთ შეკრული.

მაინც შუხოვის წინ ათი კაცი კიდევ იდგა. უკან შეიდი ჩამდგარიყო. კარის ჭრილში ცეზარმა შემოალაჯა. თავი მოიდრია და ისე შემოვიდა თავისი ახალი, შინიდან გამოგზავნილი ბეწვის ქუდიანად. (ესეც შენი ქუდი. ცეზარმა ვილაცას ათხლა და ახალთ-ახალი, პეწიანი ქუდის ტარების ნება დართეს. სხვებს კი გაცვეთილი ფრონტული ქუდებიც წააგლიჯეს და აქაური დაღურიც.)

ცეზარმა შუხოვს გაუღიმა და მაშინვე გადაესვენა ერთ ვინმე სათვლიან ჭველს, მანამდე რომ სულ გაზეთს ჩაკრიკტებდა:

— ა-ა! პიოტრ მიხალიჩ!

და ვარდებივით გადაეფურჩქნენ ერთმანეთს. იმ ჭველმა:

— ახალთ-ახალი „სალამოს მოსკოვი“ მაქვს, ნახეთ! ბანდეროლით გამომიგზავნეს.

— რას მეუბნები? — და ცეზარმაც იმ გაზეთში ჩარგო ცხვირი. ჰერზე დაკიდებული ნათურა კი ძლივს ბეუტავს, როგორ უნდა გაარჩიონ ის წვრილად ნაბეჭდი?

— უშესანიშნავესი რეცენზიაა ზავადსკის პრემიერაზე!..

ეს მოსკოველები მექებრებივით შორიდანვე იყნოსავენ ზოლმე ერთიმეორეს. მერე შეიყრებიან და სუნავენ და სუნავენ თავისებურად. თან მიყრებიან ხხაპა-სხუპით, გეგონება — ვინ მეთ სიტყვას იტყვისო. და როცა ასე რატ-რატებენ, რუსულ სიტყვებს იშვიათად

თუ გამოურევენ, გინდა მათთვის მოგისმენია და გინდა ლატვიელების ან რუმინელებისთვის.

მაგრამ ცეზარს ყველა თოფრა და ტომასიკა ხელში უჭირავს.

— მაშინ მე... ცეზარ მარკოვიჩ... — ჩლიფინებს შუხოვი. — იქნებ წავსულიყავი?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — ცეზარმა შავი უღვაშები გაზეთს მოსწყვიტა. — ესე იგი, ვის უკან ვდგავარ? ჩემს შემდეგ ვინაა?

შუხოვმა განუმარტა, ვინ ვის შემდეგიდგა, მერე აღარ დაელოდა, ვიდრე ცეზარს თავად მოაგონდებოდა ვახშმის ამბავი, იქით შეეკითხა:

— ვახშამი მოგიტანოთ?

(ესე იგი — სასადილოდან ბარაკში ქვაბით თუ წამოგილოთო. საკმლის გამოტანა არასგზით არ შეიძლება, მრავალი ბრძანება გამოიცა ამის თაობაზე. ვისაც მოახელთებენ, საკმელს მიწაზე უღვრიან, კარცერშიაც სვამენ. მაინც არაფერი შევლის, მაინც დააქვთ და არც მოეშვებიან ამ ამბავს, რადგან, ვისაც საკმე აქვს, ის ბრიგადასთან ერთად სასადილოში მოხვედრას ვერასდროს ვერ მოასწრებს.)

მოგიტანოთ თუ არაო, შეეკითხა ცეზარს, თავისთვის კი გაიფიქრა: „ნუთუ ისე ვაწუწკდები, რომ ვახშამი არ მიწყალობო? ფაფა ხომ არაა, წყალწყალა ბალანდაა და მერტი არაფერი!..“

— არა, არა, — გაიღიმა ცეზარმა. — ვახშამი შენ შეჭამე, ივანე დენისიჩ!

ამასღა ელოდა შუხოვი! ახლა ჩიტივით გამოფრთხილდა სამანათლოდან და მოუსვა და მოუსვა ზონაში.

თავქუდმოგლეჯილი მირბი-მორბიან პატიმრები! ერთი პირობა ბანაკის უფროსმა ასეთი ბრძანებაც გამოსცა: არცერთი პატიმარი ზონაში მარტო მიმავალი არ დავეინახო, სადაც კი შეიძლება, მთელი ბრიგადა მწყობრში ჩამდგარი წაიყვანეთო. სადაც მთელი ბრიგადის წაყვანა არ ხერხდება, — ვთქვათ, სანიტრაწილში ან საპირფარეოში, — ჭვუფებად მოაწყეთ ოთხი-ხუთი კაცი,

იმ ჭკუფს თავისი უფროსი დაუნიშნეთ, თავისი ხალხი სადაც საჭიროა სამწყობრო ნაბიჯით წაიყვანოს, იქ დაელოდოს და უკანაც მწყობრად მოაბრუნოსო.

ძალიან დააწვა უფროსი იმ თავის ბრძანებას. ურჩობა ვერაფერს გაუბედა. ზედამხედველნი მარტოდ მიშავალთ იჭერდნენ, ნომრებსაც იჭერდნენ, ციხეშიაც მიათრევდნენ — მაინც არაფერმა უშველა, გაცუდდა ბრძანება. შეუმჩნეველად გაცუდდა, ისევე როგორც მრავალი ფიცხელი ბრძანება გაცუდებულა. ვთქვათ, თავადვე გამოუძახეს კაცს ოპერთან — თან რაზმს ზომ ვერ გააყოლებენ? ანდა, ვთქვათ, შენ საწყობში მიგეჩქარება შენივე პროდუქტების მისაღებად, მე რა მენადვლება, რატომ უნდა გამოგყვე? იმას კიდევ კულტ-სადამზრდელი ნაწილში მოესურვა გაზეთების წაყიბება, ვინ გიქი ამგზავრება? ამას თქურები მიაქვს დასაკერებლად, ის საბრობში მიდის, ის კიდევ უბრალოდ ერთი ბარაკიდან მეორეში (თუმცა ბარაკ-ბარაკ სიარული ყველაზე მეტადაა აკრძალული) — როგორ გინდა ყველა დააკავო?

იმ ბრძანებით ბანაკის უფროსს სურდა დარჩენილი თავისუფლებაც წაერთმია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა გაბერილს.

გაჩქარებულმა შუბოვმა წინ შემოხვედრილ ზედამხედველს ყოველი შემთხვევისთვის ქუდი ცოტაზე მოუხადა და ბარაკში შევარდა. იქ აყალ-მაყალი დაუხვდა: დღისით ვიღაცისთვის პური აუწევიათ. მორიგეებს უყვირიან, მორიგეებიც ჰქაჩანებენ, 104-ის კუთხე კი დაცარიელებულია.

შუბოვს სასიკეთოდ ის საღამო მიაჩნია, როცა ზონაში დაბრუნებულს ლეიბები აყრილ-დაყრილი არ დაუხვდება, ესე იგი, როცა დღისით ჩხრეკა არ მოუხდენიათ.

თავისი საწოლისკენ გავარდა შუბოვი, თან გზადაგზა ბუშლატი გაიხადა. ბუშლატი ზევით შეაგდო, ფოლადის ნაჭრიანი ხელთათმანიც იმას მიაცოლა. მერე ლეიბის სიღრმე ხელით მოსინჯა

— დილანდელი პური ადგილზე დაუხვდა! გაუხარდა, რომ ჩაქერებული დეტოვა.

მერე გარეთ გავარდა, სასადილოსკენ! სასადილოს ისე მიატანა, ზედამხედველი არ გადაპყრია. მხოლოდ პატიმრები ხვდებოდნენ, მოდიოდნენ და ულუფის თაობაზე მოკამათობდნენ.

გარეთ მთვარის შუქს ყველაფერი გაუჩახჩახებია. ფანრები ყველგან მიმქრალი ჩანს, ბარაკებიდან შავ-შავი ჩრდილები დაცემულა. სასადილოში ოთხსაფეხურიანი პარმალიდან უნდა შეხვიდე. ახლა ის პარმალიც ჩრდილში მოქცეულა. ოღონდ მის თავზე ფანარი ირწყევა აქეთ-იქით.

ბანაკის უფროსს ერთი ასეთი მკაცრი ბრძანებაც ჰქონდა გაცემული: ბრიგადებმა სასადილოში ორ-ორ კაცად დამწკრივებულებმა იარონო. შემდეგ: სასადილოს რომ მიადგებიან, პარმალზე არ ავიდნენ, ხუთ-ხუთად გადაეწყონ და დაელოდონ, ვიდრე სასადილოს მორიგე არ შეუშვებსო.

სასადილოს მორიგეობას არავის უთმობდა ჩოლოხა. თავისი კოჭლობა ინვალიდობად გაასალა, ისე კი ჯან-ლონით სავსეა ის მამაძალი. ერთი არყის ხის არგანი გაიჩინა და პარმალიდან იმ არგანს მოსდებს ხოლმე, ვინც სხვა ბრიგადასთან მიძვრება. ოღონდ ყველას კი არ ურტყამს — საზრიანი კაცია, ხალხს სიბნელეში ზურგიდანაც ცნობს და იმას ხელს არ ახლებს, ვისაც შეუძლია იქით მიაქეროს სიფათში. დაჯანბნებულებს ურტყამს. ერთხელ შუბოვსაც მოსდო.

„მორიგე“ ჰქვია, ისე კი, კაცმა რომ შეხედოს, ნამდვილი თავადიშვილია! — მზარეულებთან ძმაცაცობს!

დღეს არ ვიცი ყველა ბრიგადა ერთ დროს მიაწყდა, არ ვიცი წესრიგს დიღხანს ამყარებდნენ, პარმალს უამრავი ხალხი მისევია. პარმალზე კი ჩოლოხა, მისი ნაბიჭვარი და თავად სასადილოს გამგე დგანან. უზედამხედველებოდ ართმევენ საქმეს თავს ოხრები.

სასადილოს გამგე ნაპატივები ღორია.

თავი გოგრასავით ადგას, არშინის სიგანე მხარბეჭი ექნება. ძალი იმდენად მოსჭარბებია, რომ დადის, გეგონება ზამბარებზე შემდგარი მიქანობსო, თითქოს ხელ-ფეხიც ზამბარისა ჰქონდეს. თეთრი ბეწვის უნომრო ქუდში დაბრძანდება, არც ერთ თავისუფალს იმგვარი ქუდი არ გააჩნია. ცხვრის ბეწვის ქილუტი აცვია და იმ ქილუტზე გულთან ერთი ბეწო, საფოსტო მარკის ოდენა ნომერი აქვს მიკრული — ვოლკოვოის ხათრით, თორემ ზურგზე ნომერიც არ აკერია. სალამს არავის აძლევს სასადილოს გამგე, მისი კი ყველა პატიმარს ეშინია. ცალ ხელში ათასი სიციცხლე უპყრია. ერთხელ ცემა დაუბირეს, მაგრამ ყველა მზარეული მის საშველად გამოვარდა.

უბედურება ის იქნება, თუ ასმეოთხემ უკვე გაიარა. ჩოლოხა მთელ ბანაკს სახეზე იცნობს და სასადილოს გამგის თანდასწრებით არასჯობით არ გაატარებს, განზრახ ატეხავს ერთ ამბავს.

მართალია, ზოგჯერ ჩოლოხას ზურგს უკან პარმალის მოაჯირზე ძვრებიან ხოლმე პატიმრები. შუხოვიც გადამტვრავდა. მაგრამ სასადილოს გამგის აქ ყოფნისას არ გამოვა ეს ამბავი — შეიძლება ერთი ისეთი მოგაყვროს, სანიტინაში ამოგაყოფინოს თავი.

ჩქარა, როგორმე ჩქარა უნდა გააღწიოს პარმალისკენ, გადაშვებულ, ერთნაირ ბუშლატებს შორის უნდა გაარჩიოს სიბნელეში — კიდევ აქ არის თუ არა 104-ე.

ამსობაში მიაწვეს და მიაწვეს ბრიგადები (მეტი რა გზა აქვთ — საცაა ძილის ზარს ჩამორეკავენ!), თითქოს ციხის ასაღებად მიჩეხილიყვნენ — პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე საფეხური გადალახეს, პარმალზე აიჭრენ.

— დადე-ეჰ! — ღრიალებს ჩოლოხა და მეწინავეებს არგანს უღერებს. — დაიხიე-ე! თავს გავეუპობ ვილაცა იქნება!

— ჩვენ რას გვერჩი! — ყვირიან მეწინავენი. — უკანები გვაწვებიან!

უკანანი კი აწვებიან, ეგ მართალია,

მაგრამ არც წინანი უძალიანდებნიან მაინცდამაინც, სასადილოში შეეპარდნას ლამობენ.

მაშინ ჩოლოხამ თავისი არგანი მიძალბულ მკერდებს გარდიგარდმო მიაბჯინა, თითქოს შლაგბაუმით გზა გადაეკეტოს, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიაწვა მეწინავეებს. ჩოლოხას თანამემწეც იმ არგანს მიეტანა, ბოლოს სასადილოს გამგემაც იკადრა ხელის გასვრა.

მოდგენ და მოაწვეს, ძალი არ ეყოფოდათ თუ რა — მაგათ ხორცი ეშოვებოდათ საქმელად! მოაწვეს და დაახვეინეს, წინანი უკანებს შეაწყვიტეს, ძნელებით გადმოყარეს ზემოდან.

— ჩოლოხ, შე ჩათლახო... თავს გაგიხეთქაე!... — ყვირის ვილაც ხალხში შემალული. სხვები ხმის გაუღებლად დაეცენდა ხმის გაუღებლადვე დგებიან, ჩქარობენ — არ გავეთლონო.

დააცარიელეს კიბის საფეხურები. სასადილოს გამგე გვერდზე გადას, ჩოლოხა კი ზედა საფეხურთან გაჩერდა და ჰკუა დაარიგა:

— ხუთ-ხუთი უნდა მოეწყოთ, ბრიყვებო, რამდენჯერ უნდა გითხრათ?! როცა საჭირო იქნება, მე თვითონ გაგატარებთ!

ზედ პარმალთან სენკა კლეფშინის მიხედვარ თავს ჰკიდა თვალი შუხოვმა, უცნაურად გაიხარა, ილაყვები იხმარა და იქით გზის გაყაფვა სცადა. ზურგები ერთიმეორეზე მიუბჯენიათ, რას გახვალ, რას გააღწევ, რა ძალი გეყოფა!

— ოცდამეშვიდე, შემოდო! — დაიძახა ჩოლოხამ.

ოცდამეშვიდე საფეხურებს მიაწყდა და მირბის კარებისკენ. მის უკან ისევ გაიქედა კიბეები და უკანინიც მოაწვეს და მოაწვეს. შუხოვიც აწვება, რაც გაეწყობა. პარმალი ირყევა, მალა დაკიდებული ფანარი აქანავდა.

— კიდევ-ეჰ?! — გაეცხლდა ჩოლოხა, მოსდო და მოსდო ვილაც-ვილაცებს თავისი ჯოხი, ურტყამს და აყრის ერთიერთმანეთზე.

ისევ დააცარიელა კიბე.

ქვემოდან ზედავს შუხოვი — კიბეზე პავლო ავიდა და ჩოლოხას გვერდით დადგა. ბრიგადა პავლოს დაყავს სასადილოში, ტიურინი არ კადრულობს ამ თრომტრიალში გარევისა.

— ასმეოთხე, ხუთ-ხუთი მოეწყეთ! — გადმოსძახის პავლო. — თქვენ ცოტა გვერდზე მიდევით, მეგობრებო! ჩემ ფეხებს მიგიდგებიან გვერდზე მეგობრები!

— გამატარე, შე კაი კაცო, მეც იმ ბრიგადიდან ვარ! — ექაჩება შუხოვი. კი გაატარებდა, მაგრამ თვითონაც ისეა გაჭედილი, ვერ განძრეულა.

ირწევა, ჯაჯგურობს, სულს იხუთავს ხალხი, — ბალანდა უნდა მოიპოვოს, კუთვნილი ბალანდა.

მაშინ შუხოვმა სხვა გზა აიჩრია: მარცხნივ გადასწვდა, მოაჯირს ჩააფრინდა, მერე სვეტს მოებორწიალა და დაეკოდა, ფეხები მიწას მოსწყვიტა. ვილაცის მუხლი დაწიხლა, ვილაცამ აქეთ უთაქა გვერდში, ერთი-ორჯერ მაგრადაც შემოუკურთხეს, მაგრამ ამასობაში ვაძვრა კიდევ: ცალი ფეხი პარმალის კარნიზზე შემოდგა და გაჩერდა. ის იყო, თავისიანებმაც დაინახეს და ხელი გამოუწოლეს.

მიმავალმა სასადილოს გამგემ კარებში მოიხედა:

— მიდი, ორი ბრიგადაც გამოუშვი!

— ასმეოთხე! — იყვირა ჩოლოხან.

— შენ სადღა მოძვრები, შენი...

თან არგანს ატრიალებს და უბარტყუნებს ერთს თუ მეორეს.

— ასმეოთხე! — ყვირის პავლო და თავისიანებს ატარებს.

— უ-უჰ! — შევარდა სასადილოში შუხოვი. მერე აღარ დაუცდია, ვიდრე პავლო უბრძანებდა — თავად გაეშურა დაცლილი სინების საძებრად.

სასადილოში, როგორც ყოველთვის, ორთქლი ბოლქვა-ბოლქვა მოდის კარებიდან. მაგიდებთან ერთიმეორეზე მიქეპილა ხალხი, გასასვლელებში მიდი-მოდიან, ჯიკაობენ, სავსე სინებს დაატარებენ. მაგრამ შუხოვი რა ხანია შეეჩვივა ამგვარ ამბებს, თვალი გაწაფული

აქვს. ხედავს: შჩ-208 სინით ხუთიოდე ჯამს მოარბენინებს. ესე იგი, უკანასკნელი ულუფები წამოუღია, თორემ რატომ მეტს არ დადგამდა?

წამოეწია და ყურში ეუბნება:

— მეგობარო, შენს მერე სინზე მე ვიდგები!

— სარკმელთან ერთი ბიჭი რომ მელოდებამ! იმას შევპირდი...

— იმას ბუს კვერცხები, რას დაუღია პირი!

მორიგდნენ.

მიიტანა სინი ადგილზე, დაცალა, ხელი წაავლო შუხოვმა სინს და ამ დროს ის შეპირებულიც მოვარდა, მეორე მხრიდან ის ჩააფრინდა. არადა შუხოვზე მეტადაა ის უბედური დაღუული. შუხოვმა იქითვე უბიძგა, საითაც მისი მოქიშპე ექაჩებოდა. მოქიშპეს ხელი გაეშვა, სვეტისკენ წაბარბაცდა, შუხოვმა კი სინი ილღიაში ამოიჩარა და სარკმელისკენ გაიქცა.

პავლო რიგში ჩამდგარა, ხელცარიელს მოუწყენია. გაიხარა:

— ივან დენისიჩ! — და ოცდამეშვიდის ბრიგადირის თანაშემწეს მუჭლუგუნი გაკრა: — გამატარე! ტყუილად რას დაყუდებულხარ? მე ავერ სინი მაქვს!

გაიხედეს და იმ ცუდლუტ გოპჩიკსაც დაუთრევიდა სინი.

— პირი დაეღოთ იმ დოცლაპიებს და ავართვი, — იკრიკება.

ჯიგრიანი პატიმარი დადგება გოპჩიკა. ერთი სამ წელიწადს კიდევ წამოიზარდოს და მერე — პურის მჭრელზე ნაკლებ კაცად ყოფნა არ უწერია.

მეორე სინის წამოღება პავლომ ჯანაინ ციმბირელს ერმოლაევს უბრძანა (ესეც ტყვედ ნამყოფობისთვის ჩაუჭენიათ და ათი მიუციათ). გოპჩიკი ვაგზავნა და დაავალა — ნახე, „სერობას“ რომელ მაგიდაზე ამთავრებენო. შუხოვმა კი თავისი სინი სარკმელს მიადგა და ელოდება.

— ასმეოთხე! — მოახსენებს სარკმელში პავლო.

სულ ხუთი სარკმელია: სამი — კერ-

ძების გასაცემი, ერთი იმათთვისაა, ვინც სიის მიხედვით ღებულობს საკმელს (ათიოდე კუჭის წყლულით დაავადებული და აგრეთვე, ბლატის წყალობით, მთელი ბულალტერია), და ერთიც — ნახმარი ჭურჭლის დასაბრუნებელი (ამ სარკმელთან ჯამის მლოკავები ამტკრევენ ცხვირპირს ერთმანეთს). სარკმლები დაბალ-დაბალზეა დატანებული, მათში თავად მზარეულები არ ჩანან, მხოლოდ ხელები მოჩანს და ჩამჩები.

ნაპტივები, პუნტულა, ოღონდ ბალნიანი და ჯანმავარი ხელები აქვს მზარეულს. ნაღდი მოკრივეა და არა მზარეული. ფანქარი აიღო და თავისთვის კედელზე დაინიშნა:

— ასმეოთხეს — ოცდაოთხი!

პანტელევეიც შემობრძანდა სასადილოში. არაფერი ავად არაა ის ძაღლისშვილი.

მზარეულმა ვეება, ასე — სამლიტრიანი ჩამჩა მოიძარჯვა, მიდგა და ურევს და ურევს ქვაბს (ახალავებული ქვაბია, ლამის გაპიპინებული, სულ ოსშივარი ასდის). მერე შეიდას ორმოცდაათგრამიან ჩამჩას წამოავლო ხელი და დასხმას შეუდგა.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი...

შუხოვმა მოინიშნა, რომელი ჯამები შეივსო, ვიდრე სისქე ფსკერზე დაიღუქებოდა, და რომელი იყო უფრო წყალწყალა. სინზე ათი ჯამი დაიდგა და წაიღო. მეორე რიგის სვეტებიდან გოპჩიკი ხელს უქნევს:

— აქეთ, აქეთ, ივან დენისიჩ!

ჯამებს პაიპარად ვერ წაიღებ. დინჯად მიდის შუხოვი, ფრთხილობს, არავინ უბიძგოს, ოღონდ პირს არ აჩერებს:

— ეი, ხ-ცხრაას მეოცე!.. მომეცალე, ძიაკაცო!.. ჩამოდექი, ბიჭო!

ასეთ ორომტრიალში ერთი ჯამის დაუღერელად წაღებაც მაგარი საქმეა, ათზე ხომ რალა ითქმის! მაინც იმდენი მოახერხა, გოპჩიკის მიერ გაცლილი მაგილის კუთხეში სინი შეუტოკებლად ჩამოდგა. ისიც მოისაზრა, სინი ისე დაედგა, რომ იმ კუთხეში, სადაც თავად აპირებდა ჩამოჯდომას, ყველაზე სქლად

დასხმული ორი ჯამი მოხვედრილიყო.

ერმოლავემაც მოიტანა ათი ჯამი. გოპჩიკი გაიქცა და პავლოს ^{გოპჩიკის} ~~ქანასკნელ~~ ოთხი ჯამი ხელით წამოაღებინა.

კილგასმა პურიანი სინი ჩამოდგა. დღეს პურს მუშაობისდა მიხედვით აძლევენ — ზოგს ორასი ერგება, ზოგს სამასი, შუხოვმა კი ოთხასი დაიმსახურა. თავის ოთხასად პურის ყუა დაითრია, ცეზარის ორასი შუა ნაწილიდან შეარჩია.

ამასობაში ბიჭებიც მოგროვდნენ. ვახშაში მიიღე და მერე სადაც მოახერხებ, იქ ჩამოჯექი და ჭამე. შუხოვი ჯამებს არიგებს. თან იმას იმასსოვრებს, ვის მისცა, თან თავის ჯამებზეც უჭირავს თვალი. ერთ-ერთში კოვზიც ჩადგა წინასწარ, ესე იგი — უკვე გაცემულიაო. ფეტიუკოვმა თავისი ჯამი პირველთაგანმა მიიღო და იქაურობას გაეცალა: ბრიგადაში მაინც არავინ მახეირებს და სჯობს მთელ სასადილოს ჩამოვეუარო, იქნებ ვინმემ საკმელი მოიჩინოსო — იფიქრა (თუკი ვინმეს საკმელი მორჩა, იმის ჯამს ქორებივით დააცხრებთან, ზოგჯერ რამდენიმე ერთად წაეტანება).

პავლოც მოვიდა და ერთად გადათვალეს ჯამები. თითქოს სწორი უნდა გამოდიოდეს. შუხოვმა ბრიგადირისთვის ერთ-ერთი სქლად დასხმული ჯამი მიაწოდა და პავლომ ის ჯამი ვიწრო ქვაბში დააპირქვა: აქედან გავსელისას ქვაბს ბულშატქვეშ ამოიღებს და ისე გაიტანს.

სინები დაუბრუნეს. პავლო თავის ორმაგ ულუფას მიუჭდა, შუხოვი — თავის ორ ჯამს. და მერე ხმა აღარც ერთს აღარ ამოუღია — ნეტარი წუთები დასდგომოდათ.

შუხოვმა ქუდი მოიხადა, მუხლებზე დაიდგა. კოვზი მოურია, ჯერ ერთი ჯამი შეამოწმა, მერე მეორე. არა უშვასრა, თევზიც მოხვედრილა ცოტაოდენა. ისე კი ბალანდა საღამოს მუდამ უფრო წყალწყალაა ხოლმე, ვიდრე დილილიობით: დილით პატიმარი უნდა დააპურო.

რათა მუშაობა შეძლოს, საღამოს კი ისედაც კარგად დაიძინებს.

შეუდგა ჭამას. ჯერ მარტო სითხე ხვრიაბა. ცხელი წვენი რომ ჩაეღვარა და მთელ სხეულს მოედვა, შიგანმა სულ კანკალი დაუწყო. კარგია-აი აი ის ხან-მოკლე წუთი, რომლისთვისაც ცხოვრობს პატიმარი!

ამ წუთში არაფერი სწყინს შუხოვს: არც ის, რომ პატიმრობის გრძელი ვადა აქვს მისჯილი, არც ის, რომ დღეა ასე გრძელი, არც ის, რომ კვირადღე ისევ დაუკარგვს. ახლა მხოლოდ ერთ რამეს ფიქრობს: გაეუძღვებთ! ყველაფერს გავუძღვებთ, ღვთის წყალობით დამთავრდება!

ორივე ჯამში წვენი რომ ამოხვრიაბა, ერთი ჯამი მეორეში ჩააპირქვევა და კოვზით გამოფხიცა. ასე უფრო გულმშვიდად შეეძლება ჭამა, მეორე ჯამის თვალთვალი და დარაჯობა აღარ მოუხდება.

თვალეზმა მოიცალეს თუ არა, მეზობლების ჯამებისკენ გაექცენ. მარცხენა მეზობელს ცარიელი წყალი შეხვედრია. ხედავ, რას გვიკეთებენ ეგ ჩათლახები! მერე ვინ, ისევ ჩვენისთანა პატიმრები!

კომბოსტოს და წვენის ნარჩენს შეექცა შუხოვი. კარტოფილი სულ ერთი ცალი შეხვდა — ცუხარის ჯამში აღმოჩნდა. ასე, საშუალო ზომის კარტოფილი იყო, რაღა თქმა უნდა, დამზრალი, შემაგრებული და სიტკბოდაკრული. თევზი თითქმის არსად ჩანს, ხანდახან თუ გამოკრთება ცარიელი ჩონჩხი. მაგრამ ძვალი იქნება თუ ფარფლი, გულდასმით უნდა დაღეპო, გამოწუწუნო — მათში წვენია, მარგებელი წვენი! რაღა თქმა უნდა, ამას დრო სჭირდება, მაგრამ ახლა შუხოვს აღარსად ეჩქარება, დღეს აღდგომა გაუთენდა: სადილად ორი და ვახშმადაც ორი ულუფა მოიგდო ხელში. ასეთ დროს კაცმა სხვა საქმეები შეიძლება გადადვა კიდევ.

ერთი კია — ლატვიელთან უნდა შეიაროს თამბაქოზე. დილაამდე იქნებ აღარც შერჩეს თუთუნნი.

შუხოვი უპუროდ ვახშმობდა: ორი

პორცია და ზედაც პური მეტი მოუყვა. პური სახვალოდ გამოადგებოდა, ცხელი დიდი ავაზაკია, ძველ სიკეთეს: არც დამაგიფასებს, ხვალაც აგიწრიალდება.

თავის ბალანდას შეექცეოდა შუხოვი და მაინცდამაინც არ ცდილობდა შეემჩნია, თუ რა ხდებოდა გარშემო, რადგან არც იყო საჭირო: კიდევ რამის შოვნას აღარ ფიქრობდა, თავის კანონიერსა და შესარგოს ჭამდა. და მაინც შენიშნა, რომ მის პირდაპირ ერთი მაგიდის იქით ადგილი განთავისუფლდა და იმ ადგილზე მაღალ-მაღალი ბერიკაცია ი-მ1 დაჯდა. შუხოვმა იცოდა, რომ ის მოხუცი 64-ე ბრიგადელი იყო, ხოლო საამანათოში შეიტყო, რომ დღეს ასმეოთხის ნაცვლად სწორედ სამოცდამეოთხე წასულა სოცქალაქში სამუშაოდ — იმ საყინულეში ეკლიანი მავთულის საჭიშვად და ისევ თავისთვისვე ზონის შემოსალობად.

შუხოვს გაგონილი ჰქონდა: კაცმა არ იცის, რამდენი ხანია, რაც ეს ბერიკაცი ბანაკებში და ციხეებში ზის, არც ერთი ამნისტია არ მიუღდა, ერთ ათ წელნიწადს რომ მოათავებს, მაშინვე მეორეს აძლევენო.

ახლა ის მოხუცი ახლოდან შეათვალიერა შუხოვმა. მობანაკეთა გადრეკილ ზურგებს შორის მისი სწორი ზურგი მაშინვე გამოირჩეოდა. მაგიდასთან მიმჯდარს რომ შეხედავდი, იფიქრებდი — ქვეშ კიდევ რაღაც ამოუღვია და იმაზე დამჯდარო. ტიტველ თავზე მოსაპარსი კარგა ხანია აღარაფერი ჰქონდა — კარგი ცხოვრების წყალობით თმა ერთიანად გასცვენოდა. ბერიკაცის მხერა ირგვლივ გამეფებულ ორომტრიალს კი არ იყო მიღვენებული, შუხოვს გადაღმა რაღაც სათავისოს მისციებოდა. წყალწყალა ბალანდას ხის კოვზით დინჯად ჭამდა, ოღონდ თავი სხვებსავით ჯამში კი არ ჰქონდა ჩარგული, კოვზი მაღალ-მაღლა მიჰქონდა პირთან. არც ზედა კბილები ჰქონდა და არც ქვედა, არც ერთი კბილი არ მოეძევებოდა: გაქვავებული ნუნები ღეჭავდა პურს კბილების ნაცვლად. მოღლილი სახე ჰქონდა, მაგ-

რამ მაინც მისაგებებული ინვალიდის სახეს კი არ უგავდა, არამედ თლილ ქვას, ჩამოქვებულს. დიდრონ ხელგზნეც, დამსკდარსა და ჩაშვებულ ხელგზნეც ეტყობოდა, რომ მთელი ამ წლების მანძილზე იშვიათად ეცხოვრა ნებიერად და მოსვენებით. და მაინც არ იშლიდა თავისას: პურის ნაჭრები ბინძურსა და დაწუწულ მაგიდაზე კი არ ედვა სხვებისათვის, გარეცხილ ჩვარზე დაეღაგებინა.

მაგრამ შუბოვს მისი თვალყურებისთვის არ ეცალა. ჭამა მოათავა, კოვზი გალოკა და ჩექმაში ჩაიდვა, ქუდი დაიხურა, წამოდგა, თავისსა და ცუხარის პურს ხელი დაავლო და გარეთ გამოვიდა. გამოსასვლელი მეორე პარმალის მხარეს ჰქონდა სასადილოს. იქაც ორი შორიგე იდგა. მათი საქმე მხოლოდ ის იყო, რომ რაზა გაეწიათ, ხალხი გაეტარებინათ და მერე ისევ ჩაექვით კარი. გამოვიდა სტომაქოვსკი შუბოვი და გადაწვიტა: მართალია, ძილის ზარი მალე იქნება, მაგრამ მაინც შევიტრებნო ლატვიელთან. ამიტომ პურის შესანახად თავის ბარაკში აღარ შეუვლია, პირდაპირ მეშვიდესკენ გაალაჯა.

მთვარე ძალიან მალლა ასულიყო, დაწმენდილი, ქათქათა — ცაზე ამოტვიფრულს ჰგავდა. ზეცა მოკრიბილებულიყო. აქა-იქ ვარსკვლავები კაშკაშებდა. მაგრამ ცის საცქერლად კიდევ უფრო ნაკლები დრო ჰქონდა შუბოვს. ერთი კი გაიფიქრა — ყინვა არ აპირებსო დატკბობას. ზოგზოგვიერთებს ყური მოუკრავთ: საღამოს ოცდაათ გრადუსამდეა მოსალოდნელი, დილას — ორმოცამდეო.

შორით ისმოდა: საღდაც სოფელში ტრაქტორი თუხთუხებდა, ხოლო თემშარის მხარეს ექსკავატორი აპრიალებულიყო. ეს ისმოდა და ბანაკში მოსიარულეთა თუ მორბენალთა ჩექმების ჭრაჭრაქი.

ქარი არ ჰქროდა.

ის შინაური თუთუნის შუბოვს იმავე ფასად უნდა ეყიდა, როგორც წინათ

ყიდულობდა — ჭიქა მანეთად. თუმცა ბანაკს გარეთ ამგვარი ჭიქა სამ მანეთად და, ხარისხის მიხედვით, მეტადაც ფასობდა. საკატორლო ბანაკში ყველაფერს თავისი, უჩვეულო ფასი ჰქონდა, რადგან ბანაკში ფულის შენახვა არ შეიძლებოდა, ცოტა ვინმეს თუ მოეძეებოდა და ერთობ ძვირი ღირდა. ამ ბანაკში მუშაობისთვის კაპიკაც არ იძლეოდნენ (უსტრ-იქში შუბოვი თვეში ოცდაათ მანეთს მაინც ღებულობდა). ხოლო თუ ვისმე ნათესავეები ფოსტით გადმოუგზავნიდნენ, იმ ფულს ხელზე მაინც არ იძლეოდნენ, პირად ანგარიშზე ურიცხვადნენ. პირად ანგარიშზე ჩარიცხული ფულით თვეში ერთხელ შეგეძლო ფარდულში გეყიდა ტუალეტის საპონი, დაობებული ნამცხვარი და სიგარეტი „პრიმა“. მოგწონს საქონელი თუ არ მოგწონს, რა თანხაზეც შეიტანე უფროსთან ვანცხადება, იმდენისა იყიდე. არ იყიდი და სულ ერთია, ფული დაგეკარგება — ჩამოგაწერენ.

შუბოვი ფულს კერძო ხამუშაოთი თუ შოულობდა: ვინმეს ფაჩუჩებს შეუკერავ მისივე ჩვრებით — ორი მანეთი, სათბურს დაუკერებ და ამაშიც მოგცემენ გარიგების კვალობაზე.

მეშვიდე ბარაკი მეცხრეს არა ჰგავს, ორი დიდი ნაწილისაგან არ შედგება. მეშვიდე ბარაკში გრძელი დერეფანია, შიგ ათი კარი გამოდის, ყოველ ოთახში თითო ბრიგადაა, შვიდ-შვიდი ვაგონკა დგას. პო, კიდევ პარაშის დასადგმელი კაბინაა და ბარაკის უფროსის კაბინა. მხატვრებიც კაბინაში ცხოვრობენ.

იმ ოთახში შევიდა შუბოვი, საღდაც მისი ლატვიელი ვგულებს. ლატვიელი წამოწოლილა, ფეხები მალლა შემოუწყვია და მეზობელს ეღარღაღებდა ლატვიურად.

გვერდით მიუჯდა შუბოვი, გამარჯობათო, გაგიმარჯოს. ფეხები არ ჩამოუწყვია. პაწაწინტელა ოთახია, იმავე წუთში ყველამ ყური ცქვიტა — ვინ მოსულა, რაზე მოსულაო. ორივემ იცის ეს ამბავი და ამიტომ შუბოვი ზის და აჭიანურებს: — რაო, როგორ გიკითხოთ?

რა გვიქირს. ცივა ღლეს ძალიან. ცივა, აბა!

ბოლოს, როცა ყველანი ისევ თავთავიანთ სალაპარაკოს მიუბრუნდნენ (კორეის ომის გამო დაობენ: რაკი ჩინელებიც ჩაერიენ, მსოფლიო ომი ატყდებოთუ არაო), შუხოვი ლატვიელისკენ დაიხარა:

- გაქეს თუთუნი?
- მაქეს.
- მაჩვენე.

ლატვიელმა ფეხები ჩამოიღო, წამოიწია. ღიღი წუწურაქია ეს ლატვიელი, ქიქას რომ გივსებს, სულ იმის კანკალშია — ერთი გახვევით მეტი არ გაღმოგაყოლოს.

უჩენა შუხოვს ქისა, პირი გაუხსნა. შუხოვმა ხელისგულზე დაიყარა, დააკვირდა: იგივე თამბაქოა, ამას წინათ რომ ჰქონდა, ფერიც ისეთივე აქვს და დაჭრილიც ისეა. ცხვირთან მიიტანა, დაყნოსა. მერე ლატვიელს ეუბნება:

— ის თუთუნი არ უნდა იყოს მგონი.
— ისაა, ის! — გაწყრა ლატვიელი.
— სხვანაირი არც როდის არ მომდას, ყოველთვის ამნაირი მაქვს ხოლმე!

— კარგი, — დაყაბულდა შუხოვი. — ერთი ქიქა დამიტენე, მოვწევ და იქნება მეორეც წავიღო.

დამიტენეო, იმიტომ უთხრა, რომ იცის — უხვავოდ გაუესებს ლატვიელი.

ლატვიელმა ბალიშქვეშიდან მეორე, უფრო გატენილი ქისა გამოაძვრინა, მერე ქიქა გამოიღო. პლასტმასის ქიქაა, მაგრამ გაზომილი აქვს შუხოვს — თლილი ქიქის ოდენა ჩადის შიგ.

უყრის.
— დატენე ცოტა, დატენე! — შუხოვი თვითონ აშველებს თითს.

— მე უკეთ ვიცი! — ჯაერობით არიდებს ქიქას ლატვიელი და თავად ტენის, ოღონდ ძალას კი არ ატანს. მერე ისევ უყრის.

ამასობაში შუხოვმა სათბური შეიხსნა და სარჩულს შიგნით, ბამბაში მხოლოდ მისი ხელისთვის საგრძნობი ქალღიღი მოსინჯა. მერე იმ ქალღიღის ორივე ხელით მოუნაცვლა და მოუნაც-

ვლა ადგილი, ბამბას გამოაყოლო პატარა ნახვრეტისაკენ, რომელიც სხვა ადგილას იყო გარღვეული და მერე მსუბუქად ამონემსილი. იმ ხვერელამდე რომ მოაღწევინა, ძაფი გაწყვიტა, ქალღიღი სიგრძეზე კიდეც ორად გაკეცა (თუმცა ისედაც გრძლად იყო გაკეცილი) და გამოაძვრინა. ორი მანეთი იყო. გაცრეცილი მანეთიანები. არ ტაკუნობდა.

ზემოთ ვიღაც ღრიალებს:
— შეგიცოდებთ უღვაშიანი ძია, თქვენმა მზემ! საკუთარ ძმას არ ენდობა, თქვენისთანა ჩერჩეტებს კი არა!

საკატორლო ბანაკი იმითაა კარგი, ენაზე რაც მოგადგება, ილაპარაკე რამდენიც გინდა. უსტ-იემის ბანაკში ჩურჩულით რომ გეტქვა — თურმე ასანთი არ იშოვნებო, ჩავსვამდნენ და მეორე ათ წელიწადს მოგარტყამდნენ. აქ კიდეც რაც გინდა იყვირე — მოენეები აღარ გაბეზლებენ, ოპერებს ხელი აქვთ ჩაქნული.

ოღონდ აქ ბევრი ლაილის ღრო არაა ახლა...

— ეჰ, მეჩხრად მიყრი, — დაიჩვილა შუხოვმა.

— აჰა, აჰა, კარგი! — დაამატა ცოტადენი ლატვიელმა.

შუხოვმა გულის ჯიბიდან თავისი ქისა ამოიღო და თამბაქო ჩაიყარა.

— კარგი, — გადაწყვიტა მერე. არ უნდოდა პირველი სანუკვარი პაპიროსი გზადაგზა მორბენალს მოეწია. — მეორეც გამივსე.

კიდეც ეღაფა და ეკინკლაფა, მერე ის მეორე ქიქაც ჩაიყარა, ორი მანეთი და უტოვია, დაემშვიდობა და წამოვიდა.

გარეთ გამოსული ისევ სირბილით გაეშურა, რათა ამანათიანად დაბრუნებულ ცეზარს არ ასცდენოდა.

ცეზარი უკვე თავის საწოლზე ჩამოქდარიყო და ამანათში ბუჯურობდა. რაც მიიღო, ყველაფერი წინ გაეშალა, ოღონდ მის საწოლს ნათურის შუქი პირდაპირ არ ეცემოდა, შუხოვის საწო-

ლით იყო დაჩრდილული, და ამიტომ ბევრი არაფერი ჩანდა.

შუხოვი დაიხარა, კაპიტანისა და ცეზარის საწოლებს შუა შეაბიჯა და ცეზარს სალამოს ულუფა გაუწოდა.

— თქვენი პური, ცეზარ მარკოვიჩ! ის არ უთქვამს — ამანათი მიიღეთო? ამგვარად თქმა სიტყვის გადაცერა იქნებოდა — რიგი რომ დაგიკავე, ახლა წილი მერგებოდა. ისედაც იცოდა, რომ ერგებოდა წილი. მაგრამ შუხოვი რვა წელიწადს საერთო სამუშაოზე ყოფნამაც არ გააწუწუკა და, რაც დრო გადიოდა, მით უფრო უმტკიცდებოდა ხასიათი.

ოღონდ თავის თვალებს კი, ვერაფერს მოუხერხებდა. მისმა თვალებმა, ბანაყის მკვიდრის ქორივით თვალებმა ერთ წაშში მოიფათურეს ცეზარის მთელი ავლადიღება და, თუმცა ქაღალდის პარკებიც ბოლომდე არ იყო გაშლილი და რამდენიმე ტომსიკაც გაუხსნელად ეწყო, — ამ სწრაფი მიმოხილვისა და ყნოსვის მეოხებით შუხოვმა უნებურად შეიტყო, რომ ცეზარს ძეხვი, შედედებული რძე, დაშაშხული თევზი, ლორი, სურნელოვანი ორცხობილა, კიდევ სხვა სურნელის მქონე ნამცხვარი, ასე, ორ კილომდე შაქარი, მგონი კარაქი, სიგარეტები, ჩიბუხის თამბაქო და კიდევ რაღაც-რაღაცეები მიეღო.

და ყოველივე ამას იმ ხანმოკლე დროის მანძილზე მიხვდა, ვიდრე მოასწრებდა: ეთქვა:

— თქვენი პური, ცეზარ მარკოვიჩ!

მაგრამ აფორიაქებულმა და მთვრალივით არეულმა ცეზარმა (პროდუქტების ამანათის მიღებისას ყველა ასეა მოქცეული) ხელი ჩაიჭნია:

— შენ გქონდეს, ივან დენისიჩ!

ბალანდა და ზედაც ორასი გრამი პური ერთი მომთავრებული ვახშამი იყო. და, რა თქმა უნდა, ცეზარის ამანათიდან შუხოვს თავისი წილი უკვე მიღებული ჰქონდა.

ამიტომ შუხოვი ფიცხლად გამოტრიალდა, ცეზარის წინ გაშლილი ნუფ

ბარეულიდან სათავისოდ აღარაფერი მოუხნევია. იმაზე ცუდი არაფერია, როცა სტომაქს ამოდ დაიმიმედებ და მოალორბებ.

ოთხასი გრამი პური აქვს აგერ და კიდევ ორასი, ლეიბშიაც ორასამდე აქნება ჩაყვრებული. კმარა. ორასს ახლავე გადაუძახებს, ხვალ დილით ხუთას ორმოცდაათს დათოხლავს და ოთხასსაც სამუშაოზე გაიყოლებს — აშენდა და ესაა! ლეიბში ჩაყვრებული იყოს თავისთვის. კარგი ქნა, რომ ჩააყვრა — ეგერ, სამოცდამეთხუთმეტეში ვილაციისთვის აუწევიათ. წადი ახლა და იჩივლე სადაც გინდა.

ზოგს ასე ჰგონია: ამანათის მიმღები დიდი ქონების პატრონია, რასაც მოასწრებ უნდა დაცინელო! სინამდვილეში — როგორც იოლად მოდის ამანათი, ისევე იოლად იფლანგება. ზოგჯერ ამანათის მომლოდინენი მისი მიღების წინაც კი ჩალიჩობენ — იქნებ როგორმე ზედმეტი ულუფა მოვიგდოთ ხელში, ვინმეს ნამწვი გამოვტყუოთო. ეს ზედამხედველსო, ეს ბრიგადირსო. მე შენ გეტყვი და საამანათოს მუქთამკამელს დატოვებ ხელცარიელს! დატოვებ და მეორეხელ მაგ შენს ამანათს ისე მიჩქმალავს, ერთ კვირასაც არ იქნება სიაში. შემნახველი საყნის მეკუჭნავე? ის მეკუჭნავე, რომელსაც ყველა ეს პროდუქტი უნდა მიაბარო, რომლისკენაც ხვალ დილით სამუშაოზე გასვლის წინ გასწევს ცეზარი (რათა მპარაგებსა და მჩხრეკელებს გადაარჩინოს სურსათი და თანაც ბანაყის უფროსის მიერ დადგენილი წესი შეასრულოს)? იმ მეკუჭნავეს გვარიანად თუ არ უწილადე, ნამცეც-ნამცეც მეტს აგალიტავს, იცოდე! მთელ დღეს იქაა ჩამჯდარი ის ვირთხა, სხვის პროდუქტებთანაა ჩაკეტილი. მიდი და შეამოწმე! იმას არ უნდა მისცე, ვინც შუხოვის ნაირ სამსახურს გაგაწევს? შეაბანოე რომ წესიერ საცვალს მოგაწვდის ჩუმად — იმას? პარიკმახერს, რომელიც უქაღალდოდ არასგზით არ გაგპარსავს

(ესე იგი სამართებელს მუხლზე კი არ შეგაწმენდს, ქალაღს შეახოცავს)? მეტი თუ არაფერი, სამი-ოთხი სიგარეტი ხომ მაინც უნდა უბოძო? კულტ-სააღმზრდლო ნაწილს, რათა შენი წერილები ცალკე გადაინახონ და არ დაგიკარგონ ხოლმე? ის რომ მოგინდება — ერთ დღეს მაინც სამუშაოდან ავითესო, ზონაში ვიკოტრიალოო, ექიმს არ უნდა მიართვა არაფერი? მეზობელს რაღას ეტყვი, იმ მეზობელს, შენს გვერდით რომ ჰამს და სვამს, შენს სასაუშალთანვე რომ სძინავს, როგორც, მაგალითად, კაპიტანია ცეზარის გვერდით, — იმას დაუთქვებ? ხომ დათვლილი აქვს შენი ყოველი ლუქმა! ასეთ ეზობელს წამუსგარეცხილი კაციც კი მისცემს აუცილებლად.

ასე რომ ამანათი იმას შურდეს, ვინაც მუდამ სხვის ქონებაზე ებრიცება თვალეზი, ხოლო შუხოვმა კარგად იცის, რაც არის ცხოვრება.

შუხოვმა ფეხზე გაიხადა, თავისთან აძერა, ხელთათმანიდან ფოლადის ნაჭერი ამოიღო, დაათვალიერა და გადაწყვიტა ხვალვე საღესი ქეა ეპოვნა საღმე და იმაზე სახარაზო დანად აეღესა ის ნაჭერი. დილა-საღამოს რომ იმუშაოს, ერთი ოთხ დღეში მშვენიერი ბასრი დანა გაკეთდება.

მანამდე კი ეს ნაჭერი უნდა გადამალოს. კაპიტანი ჯერ არსად ჩანს და მტვერი არ დაეყრება თავზე. შუხოვმა წამოკეცა თავისი მძიმე ლეიზი, რომელიც ბურბუშელათი კი არა, ნახერხით იყო დატენილი, და ფოლადი ჩამალა.

მისი ზედა მეზობლები — ბაპტისტი ალიოშა და ცოტა იქით, მეორე ვაგონებაზე ორი ესტონელი უყურებდნენ ამ ამბავს, მაგრამ შუხოვს მათი არ ეშინოდა.

წელში გადრეკილმა ფეტიუკოვმა ჩაიარა სლუკუნ-სლუკუნით. ტუჩებთან მისხლი ჩამოსდიოდა. ეტყობა, ისევ უთაქეს ჯამების მლოკავებმა. არც არავისთვის შეუხედავს, არც ცრემლი დაუმა-

ღავს, ბრიგადას ჩაუარა, ხაწოლზე აძერა და ლეიზში ჩაემხო.

კაცმა რომ თქვას, ცოდვა კიანებზედურთ. ვერ გააღწევს ვადის ვასვლამდე. არ იცის, როგორ წაიყვანოს თავისი საქმე.

ამსობაში კაპიტანიც გამოჩნდა. კარგ გუნებაზე იდგა, საგანგებოდ დაყენებული ჩაი მოჰქონდა კარდალათი. ბარაკში ჩაის ორი კასრი დგას, მაგრამ რა ჩაია ის ჩაი? ერთი ეგაა, რომ ნელთბილია და ოდნავ შეფერილი, თორემ ისე ბურღოა და მეტი არაფერი. თანაც კასრიდან სუნიც მოჰყვება, ორთქლში გამოყვანილი მერქნის მყრალი სუნი. ეს უბრალო მუშა ხალხისთვის განკუთვნილი ჩაია. ბუინოვსკის კი, ეტყობა, ცეზარისთვის ნამდვილი ჩაი გამოურთმევია, კარდალაში ჩაუყრია და მდუღარეზე გაქცეულა. ახლა ქვემოთ სუფრას იწყობს გაბრწყინებული და კმაყოფილი.

— კინაღამ თითები დავიმდუღრე! — იქადის.

იქ, დაბლა, ცეზარი ქალაღს აფენს, ზედ რაღაც-რაღაცეებს აწყობს და ალაგებს. შუხოვმა ლეიზი ისევ გადაწია, რათა არ ეყურებინა და გუნება არ გაფუჭებოდა. მაგრამ უშუხოვოდ იმათ მაინც არაფერი გამოუდით — ცეზარი მთელი ტანით წამოიძარა გასასვლელში, თვალეზით სწორედ შუხოვს გაუპირისპირდა:

— ივან დენისიჩ! ის... ათი დღის კარცერი მჭირდება...

ეს იმას ნიშნავს, რომ პატარა დასაკეცი დანა დასჭირვებიათ. ამგვარი დანაც აქვს შუხოვს ლეიბქვეშ გადამაღული. მოხრილ თითზე დიდი არ იქნება ის დასაკეცი დანა, მაგრამ ხუთი თითის სისქე ლორსაც ადვილად ჰქრის. თავად გააკეთა შუხოვმა და თავადვე ალესა.

ამოაძვრინა და მისცა დანა. ცეზარმა მადლობა გადაუხადა და ისევ თვალს მიეფარა.

დანითაც შევიძლია შემოსავალი გაიჩინო. ამგვარი დანისთვის ხალხს კარ-

ცერში აჯენენ. ვინც ერთიანად ნამუს-
გარეცხილია, მხოლოდ იმას შეუძლია
ამგვარად მოგვექცეს: მოგვეცი დანა, ძე-
ხვი უნდა დაეჭრათ, შენ კი, ასევე გიქ-
ნია, პირში ჩალა გამოგვიღიაო.

ახლა ცეზარი ისევ დავალებულია
შუხოვისგან.

პურისა და დანის ამბებს რომ მორ-
ჩა, შუხოვმა ჭისა ამოაძვრინა. ჭისიდან
ზუსტად იმდენი თამბაქო ამოიღო, რამ-
დენიც დღისით ისესხა, და მეორე ვა-
გონკაზე ესტონელს გადააწოდა — მალ-
ლობელი ვარო.

ესტონელმა ტუჩები გაწეღა, თით-
ქოს ილიმებოდა, მერე მეზობელს — თა-
ვის მისობილს რალაც გადაულაპარაკა
და ის თამბაქო ცალკე გაახვიეს, ვი-
თომ — შუხოვის თუთუნიც ვნახოთ რო-
გორიაო.

კი ბატონო, ნახეთ, ღმერთმა შეგარ-
გოთ, თქვენსას არ ჩამოუფარდება! თაე-
დაც გაიხვევდა შუხოვი, მაგრამ სხეულს
შიგნით მოწყობილი რომელიღაც საა-
თის მეოხებით გრძნობს, რომ საღამოს
შემოწმებამდე თითქმის აღარაფერი და-
რჩენილა. ახლა სწორედ ის დროა, რო-
ცა ზედამხედველნი ბარაკ-ბარაკ დაეხე-
ტებიან. მოსაწევად დერეფანში უნდა
გახვიდე, შუხოვი კი მალლა, თავის სა-
წოლზე თითქოს უფრო თბილად
გრძნობს თავს. ვერ იტყვი, რომ ბარაკ-
ში უფრო თბილოდეს, ჭერი აქაც ისევეა
ჭირბლომოდებული. ღამით ბარაკშიაც
გვარიანად გაითოშები, მაგრამ ჭერჯე-
რობით ვითომ გაიძლება.

ორასგრამიან პურის ნაჭერს დაუწ-
ყო ცღკენა. თავისდაუნებურად ესმო-
და, როგორ შეჰყენენ ჩაის სმაში საუ-
ბარს ცეზარს და კაბიტანს.

— მიირთვიეთ, კაბიტანო, მიირთვიეთ,
არ მოგერიდოთ! აგერ, დაშაშხული თეე-
ზი გასინჯეთ, ძეხვი ინებეთ!

— მადლობთ, გვახლებით.

— ბატონს კარაჭი წაუსვით! ნამდვი-
ლი მოსკოვეური ბატონია!

— ვაი-მე! აღარც კი მჭერა, რომ სა-
დმე კიდევ ცხვება ბატონები. რომ იცო-

დეთ, ეს მოულოდნელი პურმატილი
ერთ შემთხვევას მაგონებს. ერთხელ
არხანგელსკში მოხვდები და

ბარაკის აქეთა ნახევარში ორასი ხო-
რბი ყაყანებდა, მაგრამ შუხოვმა მიინც:
გაარჩია, თითქოს რელსზე ხარი ჩამოე-
რეკოთ. არავის გაუფონია. იმსაც თეა-
ლი მოატანა: ბარაკში ზედამხედველ-
პაქუა შემოვიდა, სახელაქლადე ერთი ბე-
წო ბიჭი. ხელში რალაც ქალაღლი ეჭირა
და ამითაც ეტყობოდა, რომ მწეველების
გამოსაჭერად ან შემოწმებაზე ხალხის
გასარეკად კი არ შემოსულიყო, ვილა-
ცას ეძებდა.

პაქუამ ქალაღლს დახედა და იკითხა:
— ასმეოთხე საღაა?

— აქაა, — უპასუხეს პაქუსას, ხოლო
ესტონელებმა პაპიროსი გადამაღეს და
ბოლი გაფანტეს.

— ბრიგადირი საღაა?

— ჰო! — ტიურინმა საწოლიდან წა-
მოიწია, ფეხებიც ვითომ გაღმოაწყო
იატაკისკენ.

— ვისაც განმარტებითი ბარათები
უნდა დაეწერა, დაწერეს?

— წერენი — გულდაჭერებულად მი-
უგო ბრიგადირმა.

— აქამდე უნდა ჩაებარებინათ.

— მე უწვიგურები მყავს, უძნელდე-
ბათ. (ამას ცეზარზე ამბობს და ბუნიოვ-
სკიზე! მართლა ყოჩაღ, ბრიგადირო, ნამ-
დვილად გიქრის სიტყვა) არც კალმის-
ტრები, არც მელანი...

— უნდა იქონიოთ.

— რომ გვართმევენ?

— ჰკვიანად იყავი, ბრიგადირო,

ენას თუ არ დააყენებ, შენც ჩაგავენ,
იცოდე! — უბოროტო ხმით თქვა პაქუ-
ამ. — ხვალ დილითვე, სამუშაოზე გაყ-
ვანამდე განმარტებითი ბარათები საზე-
დამხედველოში იყოს! ისიც აღნიშნეთ,
რომ აკრძალული ნივთები საწყობშია
ჩაბარებული. გასაგებია?

— გასაგებია.

(„გადარჩა კაბიტანი!“ — გაიფიქრა
შუხოვმა. თავად კაბიტანს კი არაფერი
ესმის, ძეხვის ამბებითაა გართული).

— ახლა ასე-ე, — თქვა ზედამხედველმა. — შჩ-სამას თერთმეტი შენთანაა?

— სიაში უნდა მოიძებნოს, — კვალს ურევს ბრიგადირი. — მაგ საჭანდაბე ნომრებს რა დამამახსოვრებს? (საქმეს აქიანურებს ბრიგადირი, იქნებ ამ დამით მაინც გადაარჩინოს კაპიტანი, როგორც შემოწმებამდე მიატანებინოს).

— ბუნიოვსკი აქაა?

— ჰა? შე ვარ! — გამოეხშიანა კაპიტანი შუხოვის საწოლქვეშიდან, თავისი საფარიდან.

ასეა მუდამ — მოსწრაფე ტილი პირველი მოჰყვება ხოლმე სავარცხელს.

— შენ ხა-არ? ჰო, სწორია, შჩ-სამას თერთმეტი. აიბარგე!

— საი-ით?

— თავდაც მოგეხსენება.

მხოლოდ ოხერა აღმოხდა კაპიტანს. მობობოქრე ზღვაში ბნელი ღამით ნაღმოსანთა ესკადრის გაყვანა უფრო გაუადვილებოდა ალბათ, ვიდრე ახლა იმ შეგობრული საუბრის შეწყვეტა და გაყვნილ კარცერში ჩაჭდომა.

— რამდენი დღე მომიწევს? — ესლა იკითხა ჩამწყდარი ხმით კაპიტანმა.

— ათი. აბა, მიდი, მიდი ყოჩაღად!

და იმავე წამს მორიგეებმა დაიყვირეს:

— შემოწმება! შემოწმება! გამოდით შემოწმებაზე!

ეს იმას ნიშნავს, რომ შემოწმების ჩასატარებლად გამოგზავნილი ზედამხედველი უკვე ბარაკში იმყოფება.

ერთი მოიხედა კაპიტანმა — ბუშლატი თუ წაეიღო. მაგრამ სულ ერთია, გახდიან იმ ბუშლატს, სათბურის ამარას დატოვებენ. ერთი სიტყვით, როგორც არის, ასევე უნდა გაჰყვეს. დაავიწყდებათ ვოლკოვოის, იმედი ჰქონია კაპიტანს (ხოლო ვოლკოვოის არაფერი არ ავიწყდება ხოლმე) და არც კი მომზადებულა, თუთუნიც კი არ ჩაუმაღავს სათბურში. ხელით რომ წაიღოს, ტყუილად გაიჩვენა, განხრეკისთანავე ჩამოართმევენ.

მაინც, ვიდრე ის ქუდს დაიხურავდა, ცეხარმა ერთი-ორი სიგარეტი მიაჩეჩა.

— აბა, ნახვამდის, ძეგბრ, გამოეთხოვა 104-ე ბრიგადას დაბნეული კაპიტანი და ზედამხედველებს გაჰყვა.

რამდენიმე კაცმა კი მიადევნა — მაგრამ იყავიო, არ დაიბნეო, მაგრამ აბა რა უნდა ეთქვათ? თავად ამოაშენეს ის შინადაცხე, კარგად იციან, — მთელმა ასმეოთხემ იცის: ქვის კედლები აქვს იმ ციხეს და ცემენტის იატაკი, სარკმელი არცა აქვს დატანებული, ღუმელს მხოლოდ იმიტომ ანთებენ, რომ კედლებზე ყინული ჩამოდნეს და იატაკზე დადგეს ტბორად. ძილით ცარიელ ფიცრებზე უნდა დაიძინო, თუ კბილები არ ჩაგმტვრა ერთიერთმანეთზე ცემით. დღეში სამასი გრამი პური და მესამე, მეექვსე და მეცხრე დღეს ბალანდა გეძლევა.

ათი დღელამე! აქაურ კარცერში ათ დღეს ჯდომა იმას ნიშნავს, საბოლოოდ და საშუღამოდ დაკარგო განმრთელობა. ქლეკი შეგეყრება და მერე ველარც გამოხვალ საავადმყოფოდან.

ხოლო ვინც თხუთმეტდღიანი კარცერი მოიხადა, ისინი მიწაში წვანან უკვე. ვიდრე ბარაკში გაქვს ბინა, ღმერთს მაღლი შესწირე და ეცადე არსად ჩავარდე!

— აბა გამოდით, სამამდე ვითვლი! — ყვირის ბარაკის უფროსი. — ვინც სამის დათვლამდე არ გამოვა, ნომრებს ჩაეწერ და მოქალაქე ზედამხედველს გადაეცემ!

ბარაკის უფროსიც ერთი უმთავრესი არამზადაა. ხომ ჩვენთან ერთად ამწყვდევენ ღამღამობით ბარაკში, მაინც გვეუფროსება, არავისი არ ეშინია. პირიქით, მისი ეშინია ყველას. ზოგს ზედამხედველებთან ასმენს, ზოგს თავად მიადევნებს ხოლმე. ინვალიდად ითვლება, რადგან ჩხუბში ცალი თითი აქვს წაწყვეტილი, თორემ სიფათზე ჯიბგირია ნამდვილი. ისე მართლა ქურდია, სისხლის სამართლის დამნაშავე, მაგრამ სხვა მუხლებთან ერთად ორმოცდამეთვრამე-

ტე-თოთხმეტეც მიუყენებიათ და იმი-
ტომ მოხვედრილა ამ ბანაკში.

იოლი საქმეა — ჩაიწერს შენს ნო-
მერს ქალაღზე, ზედამხედველს გადას-
ცემს და მოგართმევენ ორი დღის კარ-
ცერს სამუშაოზე გაყვანით. აქამდე ნელ-
ნელა მიზოზინობდნენ კარებისაკენ, ახ-
ლა კი უცბად მიაწყდნენ და მიაწყდნენ,
ზედა საწოლებიდანაც ხტებიან დათვები-
ვით და გასასვლელ ვიწრო კარს ეტანე-
ბიან.

ნანატრი გახვეული პაპიროსი ხელში
ეჭირა შუბოვს. მარჯვედ ჩამოხტა, თე-
ქურები ამოიკცა და ის იყო გაქცევის
აპირებდა, რომ ცეზარს შეხედა და შეე-
ცოდა. გამოსარჩენს კი აღარ ელოდა
ცეზარისაგან, მართლა გულით შეეწყუ-
ლა: თავისთავი რაღაც ჰგონია ცეზარს,
მაგრამ ცხოვრებისა არაფერი გაეგება:
ამანათი რომ მიიღო, ზედ კი არ უნდა
გადაფოტრებოდა, შემოწმებამდე სასწ-
რაფოდ შესანახ საკანში უნდა წაელო.
ჰამას მერეც მოასწრებდა. ახლა რაღა
უნდა უქნას იმ ამანათს? შემოწმებაზე
გავიდეს და ამდენი ტომსიკა თან გაიტა-
ნოს? საცილად არავის ეყოფა, ხუთასი
ხორხი ერთბაშად ახარხარდება! აქ და-
ტოვოს და — ააცილიან, შემოწმებიდან
ვინც პირველი შემოირბენს, იმას დარ-
ჩება. (უსტ-იქში უარესიც ხდებოდა:
სამუშაოდან დაბრუნებისას ბლატნიები
ყველაზე წინ შემოდიოდნენ და სხვების
შემომწკრივებამდე ერთიანად გაცილიდ-
ნენ ხოლმე მათს ტუმბოებს)

ხედავს შუბოვს: წრიალებს ცეზარი,
აქეთ-იქით აწყდება, მაგრამ გვიანაა უკ-
ვე. ძეხვსა და ღორს უბეში იჩრის — ეს
შაინც თან გავიყოლო, იქნებ ეს შაინც
გადავარჩინოო.

შეეცოდა შუბოვს და ჰქუა ასწავლა:

— იქეკი, ცეზარ მარკოვიჩ, ფეხი არ
მოიცვალო, მაგ ბნელ კუთხეში მიიძალე
და დაელოდე, ვიდრე ყველანი გაიკრი-
ფებოდნენ. ზედამხედველი და მორიგე-
ები რომ ჩამოვლას დაიწყებენ, მაშინდა
გამოდი, უქეიფოდ ვარ-თქო, უთხარი.

ამასობაში მე პირველი გაეარდები/და
პირველი შემოვირბენ. ასევე...
და იგავარდა.

ჯერ ძნელად მიიკვლევდა გზას (მუჭში
გახვეული პაპიროსი ჰქონდა დამალული
და იმას უფროთხილდებოდა). ბარაკის
ორივე ნახევრის საერთო დერეფანსა
და წინკარში წინ-წინ უკვე აღარავინ
გარბოდა — მარცხნივ და მარჯვნივ კედ-
ლებს აპკოდნენ ორ-ორ მწკრივად და
შუაში ერთი კაცის გასასვლელი არე და-
ეტოვებინათ — ვინც უფრო შტერია, გა-
ვიდეს იმ ყინვაში, ჩვენ აქაც კარგად
ვართო. ისედაც მთელ დღეს ყინვაში ვა-
ტარებთ და ახლაც კიდევ ათ წუთს და-
მატებით გავითოშოთო? ჩერჩეტები
სხვაგან მოიკითხე! დღეს შენ ამოგძვრეს
სული, ჩვენ ხელაღ მოვესწრებითო!

სხვა დროს შუბოვიც ასე ეკვრის ხო-
ლმე კედელს. ახლა კი გამალეზული მი-
ალაჩებს და ქირქილობს კიდევ:

— რამ დაგაფოტრებოთ, თქვე გლახებო?
ციმბირის ყინვა არ გინახავთ? გამოეტი-
ეთ და მგლის მზეს მიეფიცხეთ! ერთი
მომიციდე, ძიაკაცო!

მოუყიდა წინკარში და პარმალზე გა-
ვიდა. „მგლის მზე“ — მისებურები მთვა-
რეს ზოგჯერ ასე უძახიან ხუმრობით.

მალა ასულა მთვარე! ერთი ამდენიც
და შუაგულ ცაზე მოქცევა! ზეცა ერ-
თიანად გადათეთრებულია, ალაგ-ალაგ
ვარსკვლავები კაშკაშებს. ვერცხლისფ-
რად ბრწყინავს თოვლი, ბარაკების კედ-
ლებსაც ვერცხლისფერი დასდებია, ნა-
თურების შუქს ძალა აქვს წართმეული.

ეგერ, იმ ბარაკთან ხალხის გროვა ჩა-
მუქებულა — დასამწკრივებლად გამო-
დიან. მეორე ბარაკთანაც, ხალხის ხმაუ-
რი იმდენად არ ისმის ბარაკ-ბარაკ, რამ-
დენსაც თოვლი ჰრატუნობს.

ხუთიოდე პატიმარი კიბეს ჩამოჰყვა
და პირით კარებისკენ გაჩერდა. იმ ხუთს
კიდევ სამიც მოჰყვა. იმ სამეულს ამო-
უდგა შუბოვი. ცოტა პურს რომ შეჭამ
და პირშიც პაპიროსი გეჭნება, აქ დგო-
მას გაუძლებ კაცი. კარგი თუთუნია, არ

მოუტყვილებია ლატვიელს, მაგარიცაა და სურნელოვანიც.

ნელნელა ემატება ხალხი, შუბოვს უკან ორი-სამი ხუთეული ჩამწყრივდა უკვე. ახლა გამოსულებს მოსდით გული: რას დაბროვილან ის მამამაღლები დერეფანში და ფეხს არ დგამენ! იდექი ახლა და გაიყინე იმათ მაგივრად!

პატიმრები საათს ვერასდროს ვერ ნახულობენ, ან რა ჭირად უნდათ საათი? პატიმარს მხოლოდ იმის შეტყობა უნდა, თუ როდის დაჰკრავს ადგომის ზარი, ან სამუშაოზე რამდენ ხანში გაიყვანენ. ან სადილი თუ იქნება მალე. ან კიდევ ძილის ზარი.

ისე კი ამზობენ — საღამოს შემოწმება ცხრა საათზე ხდებაო. ოღონდ ცხრა საათზევე არასდროს არ მთავრდება. მეორედ, შესამდეც ამოწმებენ ხოლმე. ათზე ადრე არავინ დაგაძინებს, ხოლო ხუთ საათზე უკვე ადგომის ზარს რეკავენო. რაღაზე გიკვირს, წელან სამუშაოს დამთავრების წინ იმ მოღვაწეებს რომ ჩაეძინა? პატიმარი სადაც შეთბება, იქვე მიეძინება კიდევ. მთელ კვირას ასე გამოუძინებელი დადიან და ამიტომაც რომ, თუ კვირადღე არ შეუხვდებოდა, ბარაკ-ბარაკ მიეყრებოდა, ძილს ანდამებენ იმ კვირა დღეს.

პო-პო, გადმოცვივდნენ და გადმოცვივდნენ პატიმრები პარალიდან! ბარაკის უფროსმა და ზედამხედველმა უცხუნეს ზურგში და იმის ხათრით! ასე მოუხდებოდათ მაგ ნადირებს!

— რა, გამორჩენას აპირებდით, თქვე დამპლებო? — უყვირიან წინა რიგებოდან. — რწყილი გინდოდათ გაგეტყავებინათ? დროზე გამოგედგათ ფეხი და დროზე გადაგვთვლიდნენ!

მთელი ბარაკი გარეთ გამოეფინა. ოთხასი კაცია ბარაკში, ეს ოთხმოც ხუთეულს შეადგენს. მიეწყენ და მიეწყენ ბოლოში, ჯერ ზუსტად ხუთ-ხუთნი დგებოდნენ, მერე კი აურჩევს.

— მოეწყეთ მანდ უკანა რიგებში! — კიბიდან უყვირის ბარაკის უფროსი.

მეტი არაა ჩემი მტერი! არ ეწყობიან ის ვირიშვილები!

კარებში ცეზარი გამოჩნდა, მობრუნულა, ვითომ უქეიფოდა. მის უკან მოდიან იქითა და აქეთა ნახევრის ორ-ორი მორიგე და ერთიეც კოჭლი პატიმარი. ბარაკის პირველ ხუთეულად ისინი ჩადგნენ, ასე რომ შუბოვი მესამეში მოექცა. ცეზარი ბოლოში გააგდეს.

ზედამხედველიც გამოვიდა პარმალზე. — ხუთ-ხუთი მოეწყეთ! — უკანა რიგებისკენ გასძახის მაღალხმისანი.

— ხუთ-ხუთი მოეწყეთ! — უფრო მაღალ ხმაზე ღრიალებს ბარაკის უფროსი.

არ ეწყობიან! კიბეს მოსწყდა ბარაკის უფროსი, იქით გვარდა გინებ-გინებით.

უთაქა და უთაქა, ოღონდ გამორჩევით, თვინიერებს მიეტანა.

მოეწყენ. მობრუნდა ბარაკის უფროსი და ზედამხედველთან ერთად:

— პირველი! მეორე! მესამე!..

რომელ ხუთეულსაც იტყვიან, ადგილს მოსწყდება და ბარაკში მირბის თავქუდმოგლეჯილი. დღესდღეობით მორჩნენ საუფროსო წილადობილას!

კი მორჩებოდნენ, მეორედ რომ არ გამოიყვანონ შემოწმებაზე. ეს მუქთამუქამელები, ეს უტვინოები მწყემსზე უარესად ითვლიან: მწყემსი უწიგნურია, მაგრამ ნახირს კარგად მიერეკება, მიდის და ზეპირად იცის, საქონელი აკლია თუ არა. ესენი კი უთავბოლოდ არბენინებენ ხალხს და მეტი არაფერი იციან.

შარშან ზამთარში ამ ბანაკში საშრობები სულაც არ ყოფილა, დამით ყველას ფეხსამოსი ბარაკშივე რჩებოდა; მიდგებოდნენ და მეორე, მესამე, მეოთხე შემოწმებაზე გამოყრიდნენ ხალხს გარეთ. ტანზე აღარც კი იცვამდნენ პატიმრები, საბანმობვეულნი გამოდიოდნენ. წლებულს საშრობები მოაწყეს, ყველას სამყოფი არაა, მაგრამ ყოველ მესამე დღეს თითო ბრიგადას უწევს თქურების შრომა. ახლა მეორე-მეორედ ბარაკებ-

შივე ითვლიან: ბარაკის ერთი ნახევრიდან მეორეში გადარეკავენ ხოლმე.

შუხოვი პირველი არ შეგარდნილა ბარაკში, მაგრამ დაწინაურებულებისთვის თვალი არ მოუცილებია. ცეზარის საწოლამდე მიატანა, ჩამოჯდა, თექურები ფიცხლად დაიხადა, ღუმელის ახლოს ვაგონკაზე აძერა და იქიდან ღუმელზე მიაწყო თექურები. აქ მოსწრებაზეა. მერე უკან გამოიქცა ცეზარის საწოლისკენ. ჩამოჯდა, ფეხები ამოიკეცა, ცალი თვალით იმას უღარაჯებს — ცეზარის თოფრა სასთუმალქვეშიდან არავინ გააძვრინოსო, მეორეთი კი უთვალთვალებს — ღუმელის მოიერიშეებმა ჩემი თექურები არ გადამიყარონო.

— ეი, თაუწითელა! — მაინც მოუხდა შეხმაურება. — ერთი მოგაფეთებ მაგ ჩექმებს! შენსას რომ აწყო, სხვისას თავი დაანებე!

შემორბიან და შემორბიან ბარაკში პატიმრები. მე-20 ბრიგადაში დაიძახეს:

— თექურები ჩააბარეთ!

ახლა მაგათ თექურებიანად ბარაკიდან გაიყვანენ და ბარაკს ჩაექტავენ. მერე უნდა ირბინონ:

— მოქალაქე უფროსო! შემიშვით ბარაკში!

ხოლო ზედამხედველნი შტაბის ბარაკში შეიყრებიან და თავთავიანთი დაფებით ბუღალტერიას მიჰყოფენ ხელს — ვინმე ზომ არ გაპარულა, ყველანი ადგილზე არიან თუ არაო.

მაგრამ შუხოვს ამ ამბებთან დღეს არაფერი ესაქმება. აგერ, ცეზარიც მოყვინთავს ვაგონკებსა და ვაგონკებს შუა.

— მადლობთ, ივან დენისიჩ!

შუხოვმა თავი დაუტკრა და ციყვივით მარდად აძერა თავისთან. ახლა შეგიძლია ის ორასგრამიანი პური მოათავო, შეგიძლია მეორე პაპიროსიც მოქაჩო, დაძინებაც შეგიძლია.

ესაა მხოლოდ — კარგად ჩაველიმა დღემ გული გაუმხიარულა შუხოვს, თითქოს აღარც კი ეძინება.

შუხოვის ლოგინის გამლას არ უნდა დიდი ამბავი: ლეიბიდან გაბინძურებუ-

ლი საბანი უნდა წამოსწიოს, ღვინვზე წამოწვეს (ზეწარზე მგონე რომოცდაერთს აქეთ აღარ დაწუღილანო) სახლიდან წამოვიდა; ახლა კიდევ ეუცხოება — რას ჰყვებიან დედაკაცები იმ ზეწრებს თან, ზედმეტ საჩეცს რაზე იჩენენო), ბურბუშელათი გატენილ ბალიშზე თავი მიდვას, ფეხები სათბურში წაჰყოს, საბანზე კიდევ ბუშლატი წაიხუროს და:

— მადლი უფალს, ერთმა დღემაც გაიარა!

იმისიც მადლობელია, რომ კარცერში არ უხდება დაძინება, აქ კიდევ გაძლებს კაცი.

თავი ფანჯრისკენ ქნა შუხოვმა, ხოლო იმავე ვაგონკაზე, ფიცრის ტიხარს იქით, ალიოშა მის თავშექცევით დაწვა, რათა ნათურის სინათლე დასცემოდა. ისევ სახარებას კითხულობს.

ნათურა არც ისე შორსაა მათგან, კითხვა შეიძლება, კერვასაც შეიძლებს კაცი.

ყური მოჰკრა ალიოშამ, შუხოვმა რომ ღმერთს მადლი შესწირა, გადმოზრუნდა:

— ზომ ხედავთ, ივან დენისიჩ, თქვენი სული უფლისა მიმართ სალოცავად ისწრაფის, რატომ არ მისდევთ მის ნებას?

ერთი გადახედა ალიოშას შუხოვმა. თვალები სანთელივით უკიაფებს. ამოიოხრა:

— იმიტომ, ჩემო ალიოშა, რომ ის ლოცვა, განცხადებების არ იყოს, ან ვერ აღწევს ხოლმე, ან კიდევ „განცხადებაზე უარი ეთქვას“...

შტაბის ბარაკის წინ ოთხი დალუქული ყუთია ჩამოკიდებული. თვეში ერთხელ რწმუნებული ცლის იმ ყუთებს. ბევრს ჩაუგდია და ბევრი აგდებს შიგ განცხადებას. ელოდებიან, დროს ანგარიშობენ: აი, ორ თვეში, აჰა, ერთ თვეში მომივაო პასუხი.

მაგრამ პასუხი არ მოდის. ან კიდევ: „უარი ეთქვას“.

— იმიტომ, ივან დენისიჩ, რომ ცოტას ლოცულობდით, ცუდად ლოცულობდით, უგულოდ, იმიტომ არ შეგეწიათ

არც ერთი ლოცვა. ლოცვა უმცირესი უნდა იყოს! და, თუკი რწმენა გექნებათ და ეტყვიეთ ამ მთას — აღიფხვრო! — აღიფხვრება.

გაიცინა შუბოვმა და ერთი პაპიროსიკი გააზვია. ცეცხლი ესტონელს მოაკიდებინა.

— ნოეშვი მაგ ტრაბახს, ალიოშა! ჯერ არ მინახავს, მთები რომ დაძრულიყოს. კაცმა რომ თქვა, არც მთები მინახავს. მაგრამ თქვენი პაპისტების კლუბი ხომ უკლებლად ლოცულობდა კავკასიაში, — ერთი მაინც აღიფხვრა?

ესენიც კაი საწყლებია: ლოცულობდნენ თავისთვის, ვის რას უშლიდნენ? აიღეს და ყველას ოცდახუთ-ოცდახუთი შიარტყეს. იმიტომ რომ ახლა ასეთი დროა: თანაბრად ქრიან, ოცდახუთს აძლევენ.

— მაგრამ ჩვენ მაგის გამო არ გვილოცია, — შთააგონებს ალიოშა. თავისი სახარებაიანად ახლოს მოუჩოჩნა შუბოვს, ზედ საბუნთან მოუტანა პირი. — ყოველივე მიწიერიასა და წარმავლის წილ უფალმა მხოლოდ არსობის პურის გამო გვიბრძანა ლოცვა: „პური ჩვენი არსობისა მოგვეცე ჩვენ დღეს!“

— ესე იგი — ულუფაო? — შეეკითხა შუბოვი.

ხოლო ალიოშა თავისას განაგრძობს, თვალუბით უფრო ესაუბრება, ვიდრე სიტყვიით, თანაც ხელზე ხელს უთათუნებს:

— ივანე დენისიჩ, იმის გამო კი არ უნდა ილოცოთ, რომ ამანათი მოგივიდეთ ან მეტი ბალანდა შეგხედეთ! სულს გამო უნდა ილოცოთ, რათა ღმერთმა თქვენს გულს ბოროტი განაშოროს..

— შენ გირჩენია ყური დამიგდო. ჩვენს პოლომნის ეკლესიაში ხუცესი...

— არ გინდა მაგ შენი ხუცესის ამბავი! — ევედრება ალიოშა, გულისტყვილით შუბლიც კი დაეღარა.

— არა, მაინც ყური დამიგდე. — შუბოვი იდაყვს დაეყრდნო. — პოლომნაში, ჩვენს სამწყსოში, ხუცესზე მდიდარი არაფერია. მაგალითად, სახლის გა-

დაბურვაზე დაგვიძახეს, არა? ხოლმე დღეში ოცდახუთმეტ-ოცდახუთმეტ მანეთს ვართმევთ ხოლმე, ხუცესს კი ასსაც ვეადრებთ. მერე თუ გგონია ხმას იღებდეს! ის ჩვენი მღვდელი სამ ქალაქში სამ ქალს აღიშენებს უზღის, მეოთხესთან ოჯახი აქვს მოწყობილი. არქიელსაც თავის ნებაზე ატარებს, ისიც მოთაფლული ჰყავს. რამდენი მღვდელიც გამოგზავნეს, ყველას აჯობა, წილი არავის დაუღვა...

— რატომ მიყვები მღვდლის ამბავს? მართლმადიდებელი ეკლესია სახარებას განუღდა. სწორედ იმიტომ არ იჭერენ იმათ, რომ მტკიცე რწმენა არ უპყრიათ.

შუბოვი პაპიროსს წევდა და მშვიდად შესტკეპროდა აღელვებულ ალიოშას.

— ალიოშა, — მოიშორა მისი ხელი და სახეშიაც მიაბოლა. — მე ღმერთის წინამძღვრი არა ვარ, გაიგე? ღმერთი კი შწამს, ოღონდ სამოთხე და ჯოჯოხეთი არ შემძლია ვიწამო. რატომ გგონივართ ასე შტერებში, სამოთხე და ჯოჯოხეთიო, რომ გვიჩინებთ? აი, ეგ არ მომწონს თქვენი.

ისევე ზურგზე წამოწვა შუბოვი, ვაგონკასა და სარკმელს შუა ფერფლს ფრთხილად ყრის, რომ კაპიტანის ლოგინი არ გამოწვას. ფიქრმა წაიღო, აღარც ესმის, რას დარღალუბს ალიოშკა.

— ერთი სიტყვიით, — დაასკვნა ბოლოს, — რამდენიც უნდა ილოცო, ვადას არავინ ჩამოგაკლებს. ზარის დარეკიდან ზარის დარეკამდე უნდა იცოდვილო და ისე გაიყვანო ვადა.

— მერე მაგის გამო არც უნდა ილოცო! — შეძრწუნდა ალიოშა. — რას აქნევ თავისუფლებას? აქედან რომ გახვალ, შენი რწმენის ნასახსაც ურწმუნოების ეკალნი შეაშთობენ! გიბაროდეს, საპყრობილეში რომ ხარ დამწყვედული! აქ იმისი დრო მაინც გაქვს, რომ სულისთვის იფიქრო! პავლე მოციქული ამბობდა: „რასა სტირთ და შეაურვებთ გულსა ჩემსა? რამეთუ მე არა ხოლო პატიმარ

ყოფად, მოსიკუდილცა მზა ვარ სახე-
ლისათვის უფლისა იესოსისა“.

შუხოვი უხმოდ შეპყურებდა კერს.
თავადაც აღარ იცოდა—სურდა თუ არა
განთავისუფლება. თავდაპირველად კი
ძალიან უნდოდა და ყოველ საღამოს ან-
გარიშობდა — რამდენმა დღემ გაიარა
უკვე და რამდენი დამრჩაო. მერე მო-
ბეზრდა ეს ამბავი. მერე ისიც გაიკვია,
რომ მისნაირებს სახლში კი არ უშვებდ-
ნენ, სასჯელის მოხდის შემდეგ თავისუ-
ფალ გადასახლებაში აგზავნიდნენ. და
კაცმა არ იცის, სად აჯობებს ცხოვრე-
ბა — აქ თუ იქა.

განთავისუფლებას იმიტომ თუ ისურ-
ვებდა, რომ შინ დაბრუნებულიყო.

შინ არ გაგიშვებენო...

ალიოშა როდი ტყუის, ხმაზეც ეტყო-
ბა და თვალბზეც, რომ ნამდვილად უხა-
რია ციხეში ჯდომა.

— ხედავ, ალიოშკა, — განუმარტა
შუხოვმა. — შენ რალაცნაირად დაწყო-
ბილად გამოგიდის: ქრისტემ გიბრძანა
ციხეში ჯდომა და შენც ქრისტეს გუ-
ლისთვის ჩაჯექი. მაგრამ მე რალასთვის
ჩაჯექი? ორმოცდერთში რომ ომისთ-
ვის ვერ მოვეშხადეთ, იმის გამო? მერე
მე რა შუაში ვიყავი?

— რალაც არ ჩანს მეორე შემოწმება,
— ისმის კილგასის საწოლიდან.

— ჰო-ო! — გაცხმიანა შუხოვი. — ეგ
საკვამლე მილში ნახშირით უნდა ჩაი-
წეროს, ისეთი ამბავია. — და დაამთქნა-
რა. — დავიძინოთ?

ამის თქმა იყო და მიყუჩებულ ბა-
რაქში კარის ჭახანის ხმა გაისმა. ორნი
შემოიპრუნენ დერეფნიდან, ისინი, ვინც
თექურების ჩასაბარებლად იყვნენ წა-
სულნი, და დაიყვიარეს:

— მეორე შემოწმებაა!

მათ ზედამხედველი შემოჰყვა ფეხდა-
ფეხ:

— იქითა მხარეს გადადიო!

ზოგიერთს ეძინა კიდევ! აბუზუნდ-
ნენ, აიშალნენ, თექურებს იცვამენ (ბამ-
ბის შარვალს ღამით არავინ იხდის —
უშარვლოდ გაითოშები საბნის ქვეშ).

— ფუი, ჭანდაბას თქვენი თავი! —
ილანძლება შუხოვი, მაგრამ ვერცა-
ლიან გულმოსულია, რადგან ჯერჯერ
არ ეძინა.

ცეზარმა ხელი ამოყო და ორი ნამცხ-
ვარი, ორი ნატეხი შექარი და ძეხვის-
მრგვალი ჩამონაპერი დაუდვა.

— მალღობთ, ცეზარ მარკოვიც, —
გასასვლელისკენ დაიხარა შუხოვი. —
აბა ერთი თქვენი ტომსკია ნომაწოდეთ,
აგერ სასთუმალქვეშ ამოვდებ, რომ
ხელს არავინ გააყოლოს. (ზემოთ დად-
ბულს გამვლელი ასე უცბად ვერ ას-
წევს, თანაც შუხოვთან ვინ რას დაუ-
წყებს ძებნას?)

თავისი თეთრი თავმოკრული ტომსი-
კა მიაწოდა ცეზარმა. შუხოვმა ლეიბ-
ქვეშ ამოდვა, მერე დაელოდა, ვიდრე
მეტე ხალხი გაიკრიფებოდა, რათა ფეხ-
შიშველს იატაკზე დიდხანს არ დასჭი-
რებოდა დგომა. მაგრამ ზედამხედველ-
მა შემოულრინა:

— ეი, მანდ, კუთხეში!..

და ფეხშიშველა შუხოვი რბილად
ღახტა იატაკზე (მისი თექურები ფეხ-
სახვევებიანად ისე კოხტად იდვა ლუმე-
ლზე, დაენანა იქიდან აღება!). რამდენი
ფაჩუჩიკ შეეკრა, სულ სხვეებისთვის
იყო, თავისთვის არც ერთი არ დაუტო-
ვებია. არა უშავს, შეჩვეულია შუხოვი,
თანაც დიდხანს არც მოუწევს დგომა.

ვისაც დღისით უნახავენ, ფაჩუჩებსაც
ართმევენ.

— აბა! აბა! — ღრენდა ზედამხედვე-
ლი.

— სულ უნდა იძინოთ, თქვე დამბლე-
ბო? — ბარაკის უფროსიც აქვეა.

ბარაკის მეორე ნახევარში გაყარეს
ყველანი. ვინც ბოლოში მოექცა, დერე-
ფანში მოუწია გასვლა. შუხოვიც იქ გა-
ჩერდა კედელთან, პარაშის კამერის გვე-
რდით. იატაკი მოსველებული იყო მის
ფეხქვეშ, სუსხი შემოდრიოდა.

ყველანი რომ გამოყარეს, ზედამხედ-
ველმა და ბარაკის უფროსმა კიდევ ერ-
თბელ ჩამოუარეს ბარაკს იმის შესამოწ-
მებლად — ვინმე ხომ არ დამალულა,

ხომ არ სძინავსო ვინმეს ბნელში. იმიტომ, რომ გადათელის დროს ხალხი დაგაკლდება თუ მეტი გამოგვივა, ორივე ერთი ჰიროია, ხელახლა უნდა შეამოწმო. ჩამოიარეს და ისევ კარებთან მოვიდნენ.

პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე... ახლა თითო-თითოს ატარებენ ჩქარ-ჩქარა. მეთვრამეტე კაცად შეხვოვიც შეპყვა. სირბილით გაეშურა თავისი ვაგონისაკენ და ერთ წამში ზემოთ მოექცა.

ესეც ასე. ფეხები ისევ სათბურის სახელოში წაპყო, საბანი წაიხურა, მერე ზემოდან ბუშლატი. ვიძინებთ! ახლა ბარაკის იმ ნახევარს ჩვემსაში გადმორეკავენ, მაგრამ ჩვენ რა გვედარდება!

ცეზარი დაბრუნდა. მიაწოდა შეხოვმა თავისი ტომსიკა.

ალიოშაკ მოვიდა. ხელმოცარული კაცია ალიოშა, ყველას გულს იგებს, მაგრამ შოვნა არაფრისა შეუძლია.

— აჰა, ალიოშაკ! — და ერთი ნამცხვარი მიაწოდა.

ილიმის ალიოშა.

— მადლობთ! თქვენ თვითონაც რომ არ გაქვთ!

— ჰამე, ჰამე!

ჩვენ რომ არ გვაქს, ჩვენ ყოველთვის ვიშოვნით.

მერე ძეხვის ნაჭერი პირისკენ გააქანა. მოსდე, მოსდე კბილები! ხორცის სურნელი, ხორცისა! და ხორცის წვენი, ნამდვილი წვენი! წავიდა, წავიდა სტომაქიჩენ.

აღარსადაა ძეხვი!

დანარჩენი — დილას, დასკენა შეხოვმა.

და წაიხურა თავზე სიფრიფანა, გაურეცხავი საბანი, ყურს აღარ ათხოვებს იმ ამბავს, რომ ვაგონებმა და ვაგონებს შუა იქითა ნახევრიდან გამოყრილი პატიმრები გაქედდილან და შემოწმებას ელოდებიან.


საენებით კმაყოფილი იძინებდა შეხოვი. დღეს ბევრი კარგი ამბავი შეემთხვა: კარცერში არ ჩასვეს, ბრიგადა სოცქალაქში არ გაურეკიათ, სადილობისას ერთი ფაფა ასწია, ბრიგადირმა საპროცენტო კარგად დახურა, კედელი ხალისით ამოკყავდა, ჩხრეკის დროს ფოლადის ნაჭერი ვერ უპოვნეს, სალამოს ცეზარისგან ცოტა რაღაც იშოვნა, თამბაქოც იყიდა. და ავიდაც არ გამხდარა, გაუარა.

არაფერს გაუფუჭებია ის დღე, თითქმის ბედნიერი დღე იყო.

სასჯელის მოხდამდე სამი ათას ექვსას ორმოცდაცამეტი ამგვარი დღე უნდა გაეტარებინა.

ნაკიანი წელიწადების გამოისობით სამი დღე ზედმეტი გამოუდიოდა...

თარგმნა რეზა თვარაძე



ჰაერო კარაქი

გაზაფხულს ისევ ხედება ზღვისპირად...

გაზაფხულს ისევ ხედება ზღვისპირად
 ჩემი ეზო და ჩემი ხეივანი
 და ჰორიზონტიც არის ცისფერად
 უდარდელივით გულ-გაღელილი...
 რა? დაირ-ტაში არ ისმის განა,
 მზისა და ჩრდილის მზერა-მალვაში?—

ფეხის ცერებზე რომ წამოდგარა
 ხეების გუნდი როგორც ქალ-ვაგი!
 მიყვარს ტოტების ჩუმ-ჩუმში რხევა
 და მეც ამ ჩემი გულახდილობით
 ფოთლებში განგებ ჩაატულს ვგეგვარ
 ჩემი ღიმილით და ქუდ-ქილოფით!..

მზემ დაგადევნა ლანდი ჩუმ-ჩუმად

მზემ დამადევნა ლანდი ჩუმ-ჩუმად,
 რომ ჩემთან ერთად მოლზე იაროს,
 ბაღის შრიალი გვესმის ჩურჩულად
 და ბაღმაც როგორ არ იშრიალოს!
 სიცოცხლე ახლა ამ ნერგებს უნდათ,
 და მათ სიმწვანეს რა შეაჩერებს?!
 ჩემზე უფროსი ხე კანტი კუნტად
 შემორჩა მხოლოდ აქა-იქ სერებს!
 ვიცი მე, ცვარ-ნამშეუშრობელი
 რას ფიქრობს ბაღი და რა სწყურია,—
 ჩემი ქალარით მამად შევფერი
 და მაინც ჩემი გაზაფხულია!
 გაზაფხულს როგორ არ აკვირდებით,
 სოფლიდან სოფელს სწვდება გზა-შარა,

ხედავთ? ბერმუხამ ჩვილი კვირტები
 ამ ახალშენთან ერთად გაშალა!
 ჩასთვალეთ მათი სულისთქმა სიოდ
 და ამწვანებულ ფერდობზე ასულთ—
 თავს თქვენი ფიქრი არ მოახვიოთ
 ისინი თვითონ იტყვიან რა სურთ...
 ნდობით უცქირეთ და არა შიშით,
 ხმა მიაშველეთ და აღტაცება,
 ეს ახალშენიც ჩვენია ჯიშით,
 ოღონდ ეღირსოს დავაგაკაცება!
 ვიცი მე, ცვარ-ნამშეუშრობელი,
 რას ფიქრობს ბაღი და რა სწყურია,—
 ჩემი ქალარით მამად შევფერი...
 და მაინც ჩემი გაზაფხულია!



ჩვენს მარშიში

წლები სხსოვრად

ქიქა აიღე! კმარა მორცხვობა,
ტკბილი სიცოცხლის ვიყოთ ტრფილი
და სიკბუქის ალალ მოწმობად
დაგვქონდეს ლექსი ქარიშხლიანი.

ღვინო ბევრ რამეს გაგვაბედვინებს,
შევსვათ, ბევრი დღე გავვიცოცხლებმა,
ჩანჩქერებივით თავაწყებულებს
გამოგვიღვიძებს მრავალ ოცნებას.

შევსვათ! ტკივილი გვქონდა ზიარი,
ვაიგაგლახით გულში ჩავკალით,
თავთავდასხმული, თავაზიანი
ომმა წაბეჭტა ჩვენი სამკალი.

გზის გამკაფივი იყო იმედი,
იმედი იყო ჩვენი საგზალი.
ცხელ ჩაბნახს ხელებს ვერ ვაცილებდით,
ყინვით და სუსხით გვქონდა დამზრალი.

ახლა ამ ხელებს ქიქა უქირავთ,
მხოლოდ ბებერა შერჩათ უხეში...
მივყვარ სადღაც ძალას უჩინარს
არც თუ შორეულ სიკბუქეში.

შევსვათ იმ განვლილ წელთა სახსოვრად,
იმ განვლილ დღეთა მოსაგონებლად,
გავიხსენებდეთ ყმაწვილკაცობას,
სიხარულს, წუხილს და შთაგონებას.

მხეს ვსვამთ! ჩაღვრილა სავსე ქიქაში,
ჩაუქრობელი შუქი ლივლივებს,
მივუაღვრსოთ ომის გრივალში
გულში გაჩენილ მწვავე ტკივილებს.

შოდი, ძვირფასო, ქიქა აიღე,
არც თუ შორია დარდის სათავე,
ნუ დაევიწყებთ გლოვის თარიღებს,
ნაუცბათევედ გათხრილ საფლავებს.

ჩემო ძმობილო, ნუ მიეცემა
გადავიწყებას მათი ამბავი,
თორემ ამ ქვეყნად აღარ გვერქმევა
ძმა, შეგობარი და ამხანავი.

თუკი სიცოცხლე გვეძვირფასება,
ეს მოგონებაც ცრემლით დავნამოთ,
ვიდრე ცოცხალ ვართ, ვიდრე ვარ-
სებობთ,
ძმა ძმისთვის უნდა იყო მალამო.

ვიდრე შუქი გვაქვს თვალში ჩამდგარი,
გვხიზლავს სიცოცხლის ორომტრიალი,
არ დაევიწყოთ ციფე სანგარი,
ცხელი ტყვია და კვამლის შრიალი.

დღეგრძელი იყოს ვინც დღეს გვიკონებს
და ვისი გულიც ჩვენთვის ბუბუნებს!
ეს გაუმარჯოს ჩვენს ძველ სტრიქონებს—
სიკბუქეში გაწრთენილ ბუბულებს.

იმ წლებს დიდების შუქი ეფინოს,
ამანთე, დამწვი, ყრმობის აღმურო,
ღმერთმა ნურასდროს გაგვაძლებინოს
უძმოდ, უდარდოდ, უსიხარულოდ.

შევსვათ იმ განვლილ წელთა
სახსოვრად,
შევსვათ იმ დღეთა მოსაგონებლად,
ეს გაუმარჯოს ყმაწვილკაცობას,
სიხარულს, ქარბუქს და შთაგონებას.

ლევან ხინდრაპა

არსებობთარ არაფერი შეცვლიდა

ჯონი გილბერტი საღამოხანს მიიყვანეს საპატიმროში.

როდესაც კანცელარიაში შეყავდათ, იქ სინათლე ჯერ კიდევ არ აენთოთ და ფანჯრიდან კარგად ჩანდა, როგორ თანდათანობით ეხვეოდა ქალაქი ბინდში.

ჯონი მოშიშვლებულ კედელთან მიდგმულ სკამზე დასვეს. მცველმა საპატიმროს ოფიცერს ხელში ქაღალდი შეაჩენა, გამოეჭიმა და ოთახიდან ისე გავიდა, პატიმრისთვის არც შეუხედავს. ჯონიმ სვედიანი მზერა გააყოლა მცველს და, როცა მან კარი გაიხურა, იგრძნო, რომ ამიერიდან გაწყვეტილი იყო კავშირი გარესამყაროსთან.

მორიგე ოფიცერმა უჭრა გამოსწია, ქაღალდი ამოიღო, ავტოკალამი მოიმარჯვა და ისევე, როგორც მცველი მოიქცა, ჯონისთვის ზედაც არ შეუხედავს, საოცრად მშვიდი კილოთი დაკითხვა დაუწყო — ჯერ გვარი ჰკითხა, მერე სახელი და სხვა ამგვარები.

მერე ვიღაც მსუქანი, შავგვრემანი, ფორმაში გამოწყობილი კაცი შემოვიდა. განმასხვავებელი ნიშნები არ ეკეთა. ამ კაცმა ჯონის მხარზე ხელი დაადო — წავიდეთო.

შავგვრემანმა ყურთამდე გამოაღო კარი, რომელსაც ჯონი აქამდე ვერ ხედავდა, და ისინი პატარა, უფანჯრო ოთახში აღმოჩნდნენ. ოთახში ავეჯი არ იდგა. ერთადერთი, რაც ჯონიმ შენიშნა, მოგრძო, მოტიტვლებული მაგიდა იყო. ეს მაგიდა, განსაკუთრებით კი მისი სიგრძე, ჯონის რატომღაც არ მოეწონა.

— გაიხადე! — მოკლედ და, როგორც

ჯონის მოეჩვენა, მუქარით უბრძანა შავგვრემანმა.

ჯონის გული გადაუქანდა, შავრამ ურჩობა ვერ გაბედა, ისე კი ცდილობდა, თავი როგორმე შორს დაეჭირა.

„ნუთუ ის მაინც არ ამცდება? — გაიფიქრა ჯონიმ. უცნაური კია, რომ ის უნდა მოხდეს ახლა, როცა ძიებაც დამთავრებულია და მსჯავრიც დადებული“.

გაიხანდა. შიშველი იდგა შემოსილი ადამიანის წინაშე, რომელიც დიდის ამბით აფათურებდა ხელებს მისი ტანსაცმლის ჯიბეებში, სარჩულიც კი გაჩხრიკა — შიგ არაფერი იყოს ჩაკვრებულიო. როცა ეს საქმე მოათავა, მხოლოდ მაშინ შეხედა ჯონის და, თუმცა პატიმარი ბევრს ეცადა, მაინც ვერ მიხვდა, რამოვლოდა ახლა.

— ჩამოჯექ! — მოკლედნელად წამოისროლა ზედამხედველმა.

„აი, ახლა დაიწყება!“ — მწარედ გაიფიქრა ჯონიმ. ერთი ნაბიჯი უკან გადადგა, ჩამოჯდა და ხელები წინ გაიშვირა თავის დასაცავად.

ამ მოძრაობის დანახვაზე ზედამხედველმა გაიცინა. უცნაური სიცილი იყო, თვალები არ მონაწილეობდნენ.

— აღეჭი! — ბრძანა მან, თან ისევილიმებოდა. — რაო, აქ პირველად ხომ არა ხარ?

— დიახ...

— გეტყობა...

ჯონი კვლავ ფრთხილობდა.

ამ დროს ვაილო კარი და ოთახში ჩიბტანის, უღიმღამო და პირქუში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. თეთრი ხალა-

თი ეცვა. ხელში რაღაც პატარა საგანი ეჭირა. ჯონიმ ვერ დაინახა, რა იყო.

ქალმა არც მამაკაცის სიშიშვლეს მი-
აქცია ყურადღება, არც მის შეკრთომას,
მიუახლოვდა, ორი თითი მოაქლო მის
მარჯვენა ხელს და მხრის სიმალღემდე
ასწია. ასევე მოექცა მარცხენა ხელსაც.
მერე გარშემო შემოუარა და ბეჭებზე
სუსტად გადაუსვა თითი. თითი ცივი
იყო. ჯონის გააყრდნობდა.

— არაფერი აქვს. წესიერი ბიჭია! —
თქვა ამ დროს შავგვრემანმა, თითქოს
აღრე გამოთქმულ მოსაზრებას ადასტუ-
რებდა.

ზედამხედველის სიტყვებმა ჯონი
ოღნავ დაამშვიდა.

„ცემას რომ მიპირებდეს, ასეთ რა-
მეს აღარ იტყოდა“.

ქალს არა უთქვამს რა. ახლა ნიკაბი
დაუწია, ჯონი მიხვდა, რაც სურდა, და
პირი დააღო. ქალმა შიგ ჩახვდა. თუმცა
კბილები სრულ წესრიგში აღმოაჩნდა,
თავი უკმაყოფილოდ გაიქნია და ოთახი-
დან ხმისამოუღებლად გავიდა.

— ახლა გადი! — ბრძანა შავგვრე-
მანმა და, როცა დაინახა, ჯონი ყოყმა-
ნით მიიწვედა ტანსაცმლისაკენ, დაუმა-
ტა — გადგი ფეხი!

ჯონი გავიდა. იმ ოფიცრის გარდა,
კანცელარიაში ახლა ფორმაში გამოწ-
ყობილი ორი მამაკაცი, თეთრხალათიანი
ქალი და კიდევ ერთი სერჟანტი ქალი
იყო.

ჯონისათვის არც ერთს არ მიუქცევია
ყურადღება. მამაკაცები ხმადაბლა საუბ-
რობდნენ, როგორც ჩანდა, საინტერესო
თემაზე. ექთანი საწერ მაგიდას მისჯლო-
მოდა და წერდა, ფორმიანი ქალი კი კა-
რავაში რაღაცას ეძებდა.

ჯონის წელანდებურად აღარ რცხვე-
ნოდა სიშიშვლისა, ოღონდ ცემენტის
იატაკზე დგომისაგან სიცივეს აეტანა.
ვერ გავგო, რამდენხანს უნდა მდგარი-
ყო ასე და შეიძლებოდა თუ არა ხმის
ამოღება, რათა ოთახში მყოფთა ყუ-
რადღება მიექცია.

ვიდრე ამ ფიქრებში იყო, ფორმიანმა

ქალმა კარავაში ფოთილი მოათავა და
ჯონის წინ ტუსალის ნაცრისფერი ტან-
საცმელი და რეცხვისაგან ჩაყვითლუ-
ბულ-ჩაკონკილი ტილოს საცვლები და-
ყარა.

ჯონი ჩაცმას შეუდგა. გრძელ ქვედა
საცვალს შეჩვეული არ იყო. ტოტში
მარჯვენა ფეხი გაეხლართა და მარცხენა
ფეხზე დანდობილი უხერხულ ხტუნვას
მოჰყვა.

ქურთუქს არც ერთი ღილი არ ეკერა.
თანაც ძალიან ვიწრო იყო.

— არა უშვავს, მერე გამოგიცვლით, —
უთხრა ოფიცერმა. როცა ჯონის ჩივილი
გაიგონა.

— აბა, წაეიდეთ! — კვლავ წინ წა-
მოდგა შავგვრემანი, შემდეგ კი სწორედ
ის კარი გააღო, რომლითაც ჯონი აქ შე-
მოიყვანეს, და თვითონ პირველი გავი-
და.

სამი თუ ოთხი კიბე აიარეს. ყოველ
მოსახვევში თითო მორიგე-ზედამხედ-
ველი იდგა. თავი ხელახლა ამოჰყვეს
დერეფანში. დერეფნის იატაკი ქეჩით
მოეგოთ. ორივე მხარეს, ერთი-მეორის
მიყოლებით, მოჩანდა საკნები, რომლე-
ბისთვისაც კარის მაგიერ ხარისხები დაე-
ყოლებინათ. ჯონის თვალწინ გაიღვა
საკნებში მსხდომ პატიმართა სილუე-
ტებმა. ჯონი და მისი მცველი ისე სწრა-
ფად მიდიოდნენ და პატიმრები იმდენად
ზეერნი იყვნენ. რომ ჯონიმ ვერც ერთი
მათგანი ვერ გაარჩია.

დამახასოვრდა მხოლოდ ერთი ხანში-
შესული ინტელიგენტის სახე, რომელიც
პატიმრისათვის დამახასიათებელი ცნო-
ბისმოყვარეობით მოჰკროდა ხარისხს,
რათა უკეთ დაენახა ახალმოყვანილი.
„ნეტა ამან რაღა დააშავა? — გაუღვა
ჯონის და ეს ფიქრი მაშინვე გამოღვენა
ახალმა შთაბეჭდილებამ. დერეფანი
მკვეთრად უხვევდა და ახლა ორივე მხა-
რეს მოჩანდა რკინით მოქედილი და
ადამიანის სახისოდენა სარკმელდატანე-
ბული ყრუ კარები.“

როცა დერეფნის ნახევარი გაიარეს,

შევგვრემანი შეჩერდა კართან, რომელ-
ზედაც თეთრი საღებავით ეწერა „134“,
გასაღები გადაატრიალა და კარი გაიღო
საპატიმროსათვის დამახასიათებელი
ღრქილით.

ჯონი მიჰყვა შევგვრემანს და
ზღურბლს ფეხი გადააბიჯა ცნობისმოყ-
ვარეობით — თავის სიცოცხლეში პირ-
ველად ხედავდა ციხის საკანს. ამ დროს
გასაღების ჩხაკუნი მოესმა. მოიხედა.
იგი მარტო იყო. კარი დაეკეტათ.

• • •

ჯონი კიდევ დიდხანს იდგა გაუნძრე-
ვლად. არაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ
ადასტურებდა თავის შეგნებაში უბრა-
ლო ფაქტებს: კარი მავრადაა დაკეტი-
ლი. შევგვრემანი წავიდა. ფანჯარა არსა-
დაა.

უკანასკნელმა ფაქტმა წარმოშვა პირ-
ველი აზრი:

„კაცი გაიგუდება კიდევ ამ საკანში“.

ჯონიმ ირგვლივ მიმოიხედა. არა, აგერ
იქ, კარს ზემოთ მომცრო სარკმელი
ყოფილა, რომელიც დერეფანში გადის.
კიდევ რა არის აქ? რკინის საწოლი,
რომელსაც ლეიბის ნაცვლად სამი ფი-
ცარი აკრავს.

„ტივსა ჰგავს. ნეტა წყალზე თუ და-
მიკაევბდა?“ — გაუელვა უეცრად აზი-
რებულმა აზრმა.

კიდევ — მაგინა ძველი და კოკლი,
თუმცა საკმაოდ სუფთა. პატარა კარადა.

ენახოთ ერთი, რა არის შიგ? — არა-
ფერი! ცხადია, არაფერი. მაინც რისი
პოვნა გასურდა, იქნებ ვისკი ან ვაშლის
ნამცხვარი მოგინდა?

ჯონი წელში გაიმართა, კედლებს შე-
ხედა. ზეთის ნაცრისფერი საღებავით
იყო შეღებილი.

როგორი უსიამოვნო ფერია... კედ-
ლები რუხი, კარი რუხი, დერეფანში
გაშლილი ქეჩა — რუხი, თვით ტანსაც-
მელიც კი რუხი აცვია ყველას. მშვიდი,
მაგრამ უსიცოცხლო ფერია, ციხის ფე-
რი.

დიახ, ჯონი გილბერტ, ციხეში ხარ!
ხომ კარგად გაიგე?

კედლებს ხელით შეეხებოდა და
გლუვი მოეჩვენა. კართან მივიდა და
შეამოწმა, შეიძლებოდა თუ არა მისი
გაღება. უშაღვე დაუკაკუნეს გარედან.
თურმე სწორედ ამ დროს ჭუჭრუტანი-
დან მორიგე იცქირებოდა.

— მოშორდი კარს!

დიახ, ჯონი გილბერტ, გვარიან ხათა-
ბალაში გაები. წავიდა ის დრო, როცა
შენი თავის ბატონ-პატრონი იყავი. ახლა
სხვას უნდა უგდო ყური.

„ყურადღება და მორჩილება!“ —
მგონი ასე პასუხობდნენ ჩინვის ყაენის
დროს მონღოლები თავიანთ უფრო-
სებს?

სასტიკი კაცი იყო ჩინვის ყაენი, სას-
ტიკი, მაგრამ დიდი. თუმცა არა, დიდი
და სასტიკი. ნეტავ რატომ ხდება, რომ
სიდიადე ასე ხშირად ერწყმის სისასტი-
კეს? ჯანდაბას, სისასტიკეს კიდევ გაუძ-
ლებს კაცი, თუ ამ უკანასკნელს სიდი-
ადეც თან ახლავს. მაგრამ აქ მხოლოდ
სისასტიკეა. სისასტიკე და არაარობა. აი
ნიშნები შენი ეპოქისა, ჯონი გილბერტ!
შენ გმირად არა ხარ დაბადებული, მაშ
კეთილ ინებე და დაემორჩილე გონება-
ჩლუნგ და გულღვარძლიან არაკაცებს.

ადექი! დაჭექი! გაიხადე! ჰამე! მოი-
საქმე! დაიძინე! — აი, შენი ცხოვრების
წესი მრავალი თვის განმავლობაში. მო-
თმინე და ელოდე. შენ ჩივილის უფ-
ლებაც არა გაქვს. შენ იცოდი, საითაც
მიდიდი, ესაა შენი არჩევანი.

არჩევანი, არჩევანი... რას ამეკვიტა
ეს სიტყვა? ვანა მართლა ავირჩიე? ვა-
ნა მქონდა კი რაიმე ასარჩევი?

ვიდრე თვრამეტი-ოცი წლისა ვიყავი,
ვფიქრობდი — შემძლია რალაცა ვა-
დავწყვიტო, რალაც ავირჩიო-მეთქი. მე-
რე კი, როცა ერთი-ორჯერ წავებორძი-
ე, მაშინდა მივხვდი საქმის ნამდვილ
ვითარებას.

ჯონი წამოხტა და სიარული დაიწყო.
სიარულიც უჭირდა იმ ერთ ციციანა
ოთახში. ნორმალურად რომ ვიარო,

მეორე ნაბიჯის გადადგმისთანავე კედელს შუბლით შევასკდები. არა, ისევ ძუნძული აჯობებს...

ოთხი... ცოტაა! ხუთამდე უნდა ავიყვანო. ეს უკვე რალაცაა. უფრო მოკლე ნაბიჯი. მერე აქ, შუაში გავაგეთებ კლაკნილს S მსგავსად. ეს კიდევ უფრო გააგრძელებს მანძილს. აბა, ვცადოთ! ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი...

ვაშა, ხუთი ნაბიჯი! დავარქვით ამას მარშრუტი S.

საინტერესოა, რამდენ ასეთ S დაკლაკნის ჩემი ფეხები აქედან გასვლამდე?

ჯონიმ ბორიალი განაგრძო. თავბრუს ხვევა იგრძნო. ეს რალა ამბავია? ამბობენ დიდი ხნის პატიმრობამ იცისო, მაგრამ ჯერ ხომ ერთი დღეც არ გასულა! ჰო, თუმცა გასაგებია. შემობრუნებისას ყოველთვის მარჯვენა ფეხის ქუსლზე ტრიალებს, ამიტომ სიარულიც წრისებური გამოდის. ამას გავითვალისწინებთ, შეეცვლით. კართან მარჯვნივ შემოვტრიალდები. კედელთან კი მარცხნივ. ასე, ახლა ყველაფერი მოწესრიგებულია, თავბრუ აღარ მესხმის. წინ!

S კარიდან, S კარამდე, კარიდან, კარამდე... S... S... S...

ჯუნი გილბერტი შინ მარტო დაბრუნდა. მეგობარმა ქალმა, რომელიც სასამართლოში ახლდა, სთხოვა — გაგაცილებ და ცოტა ხანს შენთან დავრჩებიო, მაგრამ ჯუნიმ კარგად იცოდა, რომ მეგობრის ქმარი მალე უნდა დაბრუნებულიყო სამსახურიდან, ამიტომ თავისი გაიტანა და აღისა გაუშვა.

ისინი გზაჯვარედინზე იდგნენ და ნაძალადევად უღიმოდნენ ერთიმეორეს. მერე აღისამ ლოყაზე ხელი მოუთათუნა მეგობარს, მიიზიდა და აკოცა.

— შენ მხნე გოგონა ხარ, ჯუნი, ბავშვების დედა, სულით ნუ დაეცემი, მე გინახულებ ხოლმე...

— გმადლობ, აღისა! — ჯუნი ცდილობდა მშვიდად ელაპარაკა. — გლენი მომიკითხე!

„ტყუილად კი მოვიგონე“ — გლენი, — გაიფიქრა ჯუნიმ, როცა მეგობარი წავიდა. — სულერთია, არაფერს ეტყვის. აღმათ ქმარს იმასაც დაუმალავს, რომ ჩემთან იყო სასამართლოში“.

ჯუნიმ სცადა სხვა რამეზე ეფიქრა.

„როგორ აჩქარდა, — გაიფიქრა აღისას შესახებ. — ოღონდაც, სადილი ხომ უნდა გაცხელებინა ქმრისათვის, აი მე კი აღარავისთვის დამჭირდება სადილის გაცხელება. ჯონი არ მოვა. თუმცა რატომ არ მოვა! ეს რა წამომცდა — არ მოვა-მეთქი! მოვა, მაგრამ ძალიან გვიან“.

გვიან, ოპ, ძალიან გვიან მოვა! ორი წელი და რვა თვე — ასე თქვა მოსამართლემ, თითქმის სამი წელი, ხუმრობა ხომ არაა! პიტერი მაშინ ექვსი წლისა იქნება, რონი — ხუთისა. ესეც კი, ჯერ ისევ რომ დედის მუცელშია, პაწია ნელი (აუცილებლად ნელი და არა სხვა ვინმე!) ორ წელზე მეტისა იქნება.

ბავშვები უმამოდ უნდა გაიზარდონ, იმაზე ცუდი არაფერია, როცა ბავშვებს მამაკაცის მძლავრი ხელი მოაკლდებათ.

მაგრამ როდესაც ახალგაზრდა ქალი რჩება უქმროდ, უკაცოდ?

რა ბევრს ნიშნავს სახლში ვაჟკაცი! ჯუნი ჯერ კიდევ პატარა იყო, მაშა რომ გარდაეცვალა, მაგრამ კარგად ახსოვს, როგორ აირია ყველაფერი ოჯახში მისი სიკვდილის შემდეგ, თუმცა არც თუ ისე ზელმოკლედ ცხოვრობდნენ.

ჯონი, ჩემო ძვირფასო, ეს რა უბედურება დაგვემართა, როგორ გაბედეს ჩვენი ასე დიდი ხნით დაშორება!

ვაჟკაცის ხელი! აბა რა შეედრება ვაჟკაცის ხელს! რა ნაზი და ამავე დროს რა ღონიერი ხელი ჰქონდა ჯონის. ავტობუსის კიბეზე ავიყვანდა, ანდა გუბეზე გადავასტუნებდა. რა: სასიამოვნო იყო, როცა გვიან ღამით, კინოდან ან წვეულებიდან შინ მომავალი, კაბის თხელ

ქსოვილშიც კი გრძნობდი ამ ხელს — ცოცხალსა და მხურვალეს — ძველი, სტუდენტური ჩვეულებისამებრ წელზე რომ გეყვროდა. ასე შეეყვარებული წყვილივით დადიოდნენ ზღმე ხელიხელ გადახვეულები.

მართლაც, შეეყვარებულ წყვილად დარჩნენ ბოლომდე, თუმცა ქორწინების შემდეგ უკვე ხუთი წელი გავიდა. სხვებმა გაცილებაც მოასწრეს, მეორედ გათხოვებაც. ზოგიერთს ვერც მეორედ გათხოვებამ უშველა. ისევ ისე გაუბედურებული დარჩნენ. ჯუნიმ კი იმდენი შეძლო, ქმარმა შეინარჩუნა მისდამი ის ინტერესი, რომელსაც ქორწინების პირველ დღეებში იჩენდა. არც ჯუნის შენელებია ქმრის სიყვარული. უფრო ძლიერ უყვარდა, შეიძლება მძაფრად არა, მაგრამ უფრო ღრმად, ვიდრე პირველ დღეებში. ჯონი ხომ ახლა მისი ქმარი იყო, მამა მისი ბავშვებისა, რომელთა ბადალი ქვეყნიერებაზე არაფერი მოეძებნებოდა.

როგორი აღერსიანი იყო ზოლმე, როგორი ყურადღებიანი... აღერსი კი ყველასათვის ჰყოფნიდა, ბავშვებისთვისაც და ცოლისთვისაც.

ო, ის ტბილი წუთები სადილის შემდეგ! ჯონი ბავშვებს ეღლაბუცებოდა, ზურგზე იკიდებდა, იატაკზე ასრიალებდა, ჯუნი კი ვითომ ბრაზობდა, ოთახი რად ამირიეთო, თან ქვეშქვეშ გააკურებდა ქმარ-შვილს და ტბებოდა მათი ცქერით.

შემდეგ ერთად აბანავებდნენ პატარებს, ერთად ავაზშმებდნენ და აძინებდნენ. მერე მართო რჩებოდნენ პაწაწინა სასტუმრო ოთახში, სადაც შუქფარიანი ტორშერი ენთო. ჯონი სავარძელზე გადაწვებოდა, გაშლილ ფეხებს დაბალ მაგიდაზე შეაწყობდა და ისე კითხულობდა, ჯუნი ფეხებს სავარძელში შემოიკეცავდა და კერავდა ან ქსოვდა რაიმეს. იყვნენ ასე და არაფერს ამბობდნენ. მაგრამ ყოველ წამს გრძნობდნენ ერთიმეორის სიახლოვეს. ეს უსიტყვო კავშირი უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე მთელი

ნიაღვარი ყველაზე უფრო ნაზი სიტყვებისა.

მერე დადგებოდა წუთი, როცა ჯონი წიგნს გადასდებდა და ჯუნის ისე შეხედავდა, რომ ქალს ტანში ტბილი ერთ-ანტელი დაუვლიდა, თან დაბალი, მაგრამ მტკიცე სმით დაუძახებდა:

— მოდი ჩემთან, ჯუნი...

ისიც ბუმბულივით აფრინდებოდა სავარძლიდან და ქმრის მუხლებზე გადაინაცვლებდა ზოლმე. ასე ისხდნენ და ერთიმეორის გულის ფეთქვას უგდებდნენ ყურს. ჯონი გრძნობდა ქალის ფაფუკი, ოქროსფერი თმის ნაზ სურნელს, ჯუნი კი ქმრის მძლავრი მკლავების შემოხვევით ითენთებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ჯონი მსუბუქად წამოიწეცდა სავარძლიდან და ქალი ბალივით ატატებული მიჰყავდა ზემოთ, საწოლ ოთახში. ხის პრაქუნა კიბეს აივლიდნენ. ქალი კვლავ თრთოლვით განიცდიდა ქმრის ვაჟკაცური მკლავების ძალას.

სადაა ახლა ეს მკლავები? გამოსტაცეს, წაართვეს! რა სიმკაცრეა, რა უსამართლობა! ვის რა ავნო ჯონიმ, ვის რა დაუშავა? მართალია, საძრახის ადგილზე მუშაობდა, მაგრამ აბა რა უნდა ექნა — განა მთელ წელიწადს არ დაეძებდა წესიერ სამუშაოს?

მაინც დიდი უსამართლობაა, როცა ზოგიერთს ყველაფერი იოლად გამოსდის, ზოგიერთს კი ყველაფერზე ოფლის ღერა უხდება.

არა, მაინც რა ჩაიდინა ჯონიმ სათაკილო? კაციშვილი არ მოუტყუებია, არ დაუძალეებია — გინდა თუ არა მოდიოთ ამ სახლში და ფული დატოვეთო. თავად მოდიოდნენ და იმდენ ფულს ტოვებდნენ, რამდენიც, მას და ჯუნის უზრუნველად რომ ეცხოვრათ, მთელ სიცოცხლეს ეყოფოდათ.

ჯონი? ჯონი ქალაღდს ურიგებდა მოთამაშეთ, თან უთვალთვალებდა, ჩასვლები სწორი ყოფილიყო, მხოლოდ ახალი ქალაღდით ეთამაშათ. აბა რა არის დასაძრახისი? საკუთარი კლუბი ჰქონდა

ჯონის თუ? სხვის ფულებს იჯიბავდა? ამნაირი ამბები ელ სერატს მოჰკითხონ!

ახლა ორივე ციხეშია. სერატი ალბათ ექვესიოდე თვით მეტს დარჩება იქ. არც ჯდომა გაუქირდება: ოჯახში იმდენი ფული დატოვა, სიკვდილამდე თავზე საყრელად ეყოფათ. ჯენიმ რა ქნას? ორი ბავშვი უკვე ჰყავს, მესამეც მალე ეყოლება და ხელის მოსაბრუნებლად კი ცენტრიც არ გააჩნია!

რამდენჯერ უთქვამს ჯონისთვის — მომპირნეობით ვიცხოვროთ, ცოტა დავზოგოთ შავი დღისთვისო, მაგრამ ჯონი ბოლო ხანს საოცრად დაუდევარი გახდა. გვეყო, რაც გავიქირევთ, ცოტა გავინავარდოთო, ეუბნებოდა ცოლს.

რაც მართალია, მართალია! სერატი, როგორც სკოლის ამხანაგს, ჯონის კარგ ჯამაგირს აძლევდა. ვაისტუმრეს ყველა ვალი, რაც იმ ერთ წელიწადში დაპგროვებოდათ, როცა ჯონი უმშევერად დადიოდა. ზოგიერთი ნივთის შექმნაც კი მოასწრეს. ეგ, ნახევარი წელიწადი კიდევ რომ დასკლოდა ჯონის! თავისუფლად მოახერხებდნენ პატარა სახლის ყიდვას ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში. ვადარჩებოდათ კიდევ რამდენიმე წლის სარჩო-საბადებელი.

მაშინ ჯონი მიატოვებდა ამ საშინელ სამსახურს (უმძიმდა იქ მუშაობა, ეს მოსამართლეს ვერ უთხრა, მაგრამ ჯენიმ ზომ იცოდა!) და სერიოზულად ჩაუჯდებოდა დაუშთავრებელ წიგნს.

ეჰ, ვერ მოასწრო!

საკოდავი ჯონი! ეს მომქანცველი საშუაო, მუდმივი ფიქრი საშოვარზე, ცოლ-შვილის ჯაფრი... საკუთარი კუთხე შინაც ჰქონოდა, სადაც მშვიდად წერა და ფიქრი შეიძლება. არა, ჯონი აუცილებლათ გახდებოდა ნამდვილი მწერალი. ჯენის ღრმად სწამდა ეს. ახლა ქურნალებში ისეთ აბდაუბდას ბეჭდავენ, არავის არ სჭირდება, არავის არ აინტერესებს, ჯონის კი როგორი დაუშრეტელი ფანტაზია ჰქონდა! როგორ ხელად შენიშნავდა ხოლმე ყოველდღიურ ცხო-

ვრებაში საინტერესო დეტალს, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ისე ჩავეუვლით, ვერც კი ვამჩნევთ. როგორ ვაჯიჯიჯობდა ხოლმე სურათს ერთი მოზღუნული ფრაზით. როგორი თავშეკავებული იუმორით ჰყვებოდა რაიმეს წერილებში ან უბრალო საუბარში.

ახლა ენა? როგორი დახვეწილი, მდიდარი, ლიტერატურული! ერთხელ დედას, მკაცრსა და დაურიდებელ დედას, როგორღაც ჯონის წერილი ჩაუვარდა. იმ დროს დანიშნულებიც არ ყოფილან. სადმე ბნელ კუთხეში თუ მოიხელთებდნენ დროს და უცხო თვალს მოფარებულნი აკოცებდნენ ერთმანეთს. როცა დედამ ეს მხურვალე წერილი წაიკითხა, უეცრად მოლბა და ოთახიდან გასვლისას მოსალოდნელი დატუქსვის მაგიერ თქვა: «უცუდად არა წერს, მაგისგან კაცი დადგება, თუ არ იზარბაცა!»

ახლა კი ყოველივე დაიღუპა. ჯენი ბავშვების ამარა დარჩა, ჯონი ციხეშია გამოძწყვდეული, ხვალინდელი დღე ბუნდოვანი და პირქუში ჩანს.

• • •

პირველი სამი დღე ჯონიმ თითქოს ბურანში გაატარა. მხოლოდ ბურანს თუ შეიძლება შეადარო გრძნობა. რომელსაც ის განიცდიდა ცხოვრების ამ უძნელეს წუთებში. დაღვა მეოთხე დღე და ჯონის პირველად გაახსენდა ოჯახი.

არა, ვერ ვიტყვით, თითქოს იმ სამი დღის განმავლობაში ჯონი არ ფიქრობდა ჯენიზე, პიტერზე ან რონიზე, მაგრამ ეს იყო რაღაც ნაწყვეტნაწყვეტი ფიქრები, სახეები ერთიმეორისაგან მოწყვეტილი ეჩვენებოდა. ისევე, როგორც წარსულის სურათები.

ხან წარმოუდგებოდა ჰკვიანი, ლურჯი თვალები ზედმეტად სერიოზული პიტერისა, ხან რონის მუდამ ეამს სველი, ალუბლისფერი ტუჩები და მხიარული, დამცინავი სახე, ხან — განსაკუთრებით ღამლამობით, — გრძნობდა ნაცნობ სურნელებას ჯენის ოქროსფერი, ფაფუკი

თმისა და ესმოდა ჩურჩული: „მე შენ ძალიან მიყვარხარ, ჯონი!“

ზოგჯერ ეს გრძნობები ისე ძალუმად მოზღვავედებოდა, ჯონი თავს თითქმის ბედნიერად გრძნობდა. ამის შემდეგ ძალზე ძნელი იყო სინამდვილესთან შერიგება: ის ხომ საპყრობილეში იჯდა!

პირველ დღეებში ჯონი აქაურ ცხოვრებას ეჩვეოდა, თანდათან ტყდებოდა. თმა გადააარსეს, ქურთუკზე ნომერი დაჰკიდეს, სურათი გადაუღეს, არც თითების ანაბეჭდი დაეიწყებიათ. შერეე ჩენმა გააწმენდინეს. გაიყვანეს სასაღმრთლო ეზოში, რომელიც უფრო ჰგავდა სადაც პატიმრები ზურგზე ხელებშემოწყობილნი დადიოდნენ. ჯონის გაახსენდა: შეჯიბრებაზე გამოყვანის წინ საჯინიბოს ეზოში ასე დაჰყავდათ ხოლმე დოღის ცხენები.

ბოლოს ჯონის სამუშაო მიუჩინეს. საპატიმროში რამდენიმე სახელოსნო იყო. ჯონი ფეხსაცმლის შემკეთებელ სახელოსნოში მოხვდა.

ჰოდა, როცა საბოლოოდ მოტეხეს, როცა ჯონი გილბერტი ნომერ 134 პატიმრად გადაიქცა, როდესაც არსებობის ახალ ფორმებთან თანდათანობით შეგუება დაიწყო, სწორედ მაშინ გაახსენდა ოჯახი.

უცერად, მუშაობის დროს, როცა თავს ძალას ატანდა, რათა ქუსლში ლურსმანი სწორად ჩაეჭედებინა, თვალწინ წარმოუდგა ჯუნი თავისი შვილებით, განმარტოებული, უძლური, უკაპიკოდ და უნუგეშოდ მიგდებული.

ჯონიმ გარშემო მყოფთათვის მოულოდნელად დაიკვნესა. ჩაქუჩი ხელიდან გაუვარდა, უნებურად თავი ხელებში ჩარგო. ასე იჯდა რამდენსამე ხანს.

— კარგი, გეყოფა ჯონი, ვაქაც ირა ხარ? — მხარზე ხელი მოუთათუნა გვერდით მომუშავე ჭორფლიანმა, ქერა აულაყულამ, რომელიც უკვე მესამე წელია, ციხეში იჯდა შეიარაღებულ ძარცვაში მონაწილეობისათვის.

— ჰო, ჰო, — ჩაიბურტყუნა ჯონიმ, თუმცა არაფერი იცოდა, რაზე თანხმდე-

ბოდა. თავი ასწია და მიმოიხედა, მაგრამ ფიქრით ისევ სხვაგან იყო.

წინ იყო გრძელი, ნაცრისფერი ოთახი, რომლის გისოსიანი ფანჯრები საპატიმროს ნაცრისფერსავე ეზოში იცქირებოდნენ. ოთახში გარდვიარდმო იდგა დაბალი, ვიწრო მაგილები, ქუჭყიანი და ნაგვით სავსე, ასეთი ეჩვენება ყოველთვის გამოუცდელ თვალს ხარაზის მაგიდა. მაგილებს მისჯდომოდა ოცდაათიოდე ადამიანი. ზოგს ჩაქუჩი ეჭირა. ზოგს მახათი, ზოგს კიდევ რა. იდგა ამდენი ხალხის თავყრილობისათვის შეუფერებელი სიჩუმე. ლაბარაკი აკრძალული ჰქონდათ. მაგილებს შორის ციხის ზედამხედველი დადიოდა.

ჯონის სასოწარკვეთილებას დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. მისდაგეარად არა ერთი ტუსალი აღელვებულარასაც სხვები უსიტყვოდ და თავშეკავებული თანაგრძნობით ხვდებოდნენ, ისე, როგორც ომში ხვდებიან გამოცდილი ჯარისკაცები ამხანაგის დაქრას.

ახლაც, რამდენიმე ახლო მჯდომმა წამით შეწყვიტა მუშაობა, თავები წამოწიეს.

ვილაცამ რაღაც გამამხნეველები უთხრა ჯონის, ვილაცამ მხარზე დაჰკრა ხელი. ერთმა, უკვე ხნიერმა, ღრმა ნაოჭებით დასერილ სახიანმა კაცმა ზედამხედველს გილბერტზე მიუთითა.

ჯონიმ მერე გაიგო, რომ ასეთ შემთხვევებს საპატიმროს ადმინისტრაცია უყურადღებოდ არ ტოვებდა ხოლმე.

მიუხედავად მოჩვენებითი ყოველისშემძლეობისა, საპატიმრო დაჭვემდებარებული ინსტანცია იყო და მისი ხელმძღვანელები ცდილობდნენ, რამდენადაც შეიძლებოდა ყველაფერს ყოველგვარი შეხლა-შემოხლის გარეშე ჩაეველო, უდავიდარაბოდ.

ჯონის ნება დართეს საკანში დაბრუნებულიყო, მაგრამ მარტოდ დარჩენილმა თავი უფრო ცუდად იგრძნო. სამყარო, რომლის მუდმივ ცენტრად, ბედსტრიალს სადაც უნდა გადაეგდო, თვითონ რჩებოდა, კვლავ დაეწროვდა და

თანდათანობით მოექცა ვიწრო სივრცეში, რომელსაც სამი ყრუ კედელი და რკინით მოქედილი კარი ჰქონდა. ცოლისა და შვილების სახე კვლავ ამოტივტივდა.

— ჭუნი, ჭუნი, ჩემო კარგო, როგორ უნდა იცხოვრო? შენ ხომ ასეთი უძლური და გამოუცდელი ხარ? რა მოგივათ უწემოდ, ძვირფასებო?

ერთ თვეს, ბევრი-ბევრი — ორ თვეს იკმარონ, რასაც აიღებენ, სულაც რომ გაყიდონ, რაც ახადიათ. მერე? მერე რით იარსებებენ? ჭუნი ხომ სრულიად არაა შეჩვეული დამოუკიდებელ ცხოვრებას. არასოდეს არ უმსახურია. დამთავრა თუ არა სკოლა, მაშინვე გათხოვდა. რით დაეხმარო?

ჯონი გეგმების შედგენას მოჰყვა. გეგმები ერთი-მეორეზე უფრო ფანტასტიური იყო.

ფეხსაცმლის კერვას ისწავლის. პირველხარისხოვანი ოსტატი დადგება, საპატიმროს უფროსები შენიშნავენ მის სიბეჯითეს და მცირე ხელფასს დაუნიშნავენ, ის კი ამ ხელფასს ჭუნის გაუგზავნის...

სისულელეა! ელოდე, სანამ ხელფასს დაგინიშნავენ! როგორ არა! ახდა და წერს საკუთარი ცხოვრების ამბავს, მოჰყვება, თუ როგორ მოხვდა ამ საპყრობილეში პატიოსანი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა, ეს იქნება ამაღლევბელი დოკუმენტი. მერე ამ დოკუმენტს მიჰყიდის რომელსამე გაუღენიან გაზეთს და ბევრ ფულს აიღებს. ამით ცოლ-შვილს დააკმაყოფილებს. მისი სახელი კი მთელ ქვეყანას მოეფინება. ვადაზე ადრე გაათავისუფლებენ. საპატიმროდან უკვე სახელმწიფოებრილი მწერალი გამოვა.

სისულელეა! რასა ბრძანებთ — ამადღევბელი დოკუმენტი!

კანტორაში მონაგარიშედ მსახურობდა, ცოლი ადრე ითხოვა — მოაქადოვა საკმაოდ შეძლებული ოჯახის ქალიშვილი. მერე დარჩა უმუშევრად და წაწაღდა დაიწყო. ისე, როგორც ათასი მისი

მსგავსი დაწაწალებს. ამას ის მოჰყვა, რომ ერთ რომელიღაც მეორეხარისხოვან ჟურნალში საექვო დღებზე დაიბეჭდა მოთხრობა დაბეჭდა, რომელიც, ალბათ, არც არავის წაუკითხავს, მერე იყო და გამორჩენის მიზნით სათამაშო სახლში კრუპიედ დაიწყო მუშაობა, გაება და ციხეში ამოაყოფინეს თავი.

ღმერთმა იცის, როგორი ორიგინალური ამბავია!

ასე აწყობდა ჯონი გეგმებს, მაგრამ საკმარისი იყო ყოველი მათგანი საღი თვალთ შეემოწმებინა და გეგმა უშალვე უნადაგო აღმოჩნდებოდა.

მიუხედავად ამისა, წერის სურვილი თავში მაგრად ჩაუჯდა.

ჭერ კიდევ არ იცოდა, რა უნდა დაეწერა, მაგრამ უამრავმა თავისუფალმა დრომ, მუღმივმა, გაუთავებელმა ფიქრმა, ბავშვობის მოგონებებმა, იმ ადამიანების გახსენებამ, რომელთაც ცხოვრების გზაზე შეხვედროდა და ბოლოს აუცილებლობამ — ვინმესათვის თავისი გრძობები გაენდო, ჩაუნერგეს გადაულახავი სურვილი წერისა.

წერა საპატიმროში აკრძალული არ იყო და, როგორც კი ითხოვა, მაშინვე მოუტანეს მელანი, კალამი და ქაღალდი.

პირველად რაღაც დღიურის მაგვარის წერა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ის ხომ შინ არ იყო და ყოველ წუთს შეეძლოთ მოეთხოვათ ნაწერები გასასინჯად. ადგა და დღიურიდან გამოშიგნა მთავარი ღირსება: აბსოლუტური გულწრფელობა.

როდესაც რამდენიმე დღის დაწერილი გადაიკითხა, შეერთა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ისეთი მაღალფარდოვანი, ყალბი და უსულგულო ეჩვენა თავისი ნაწერი. სად იყო, სად, გულის ამოძახილი, კეთილსინდისიერი და დაწვრილებითი ოქმი განვლილი ცხოვრებისა.

ჯონიმ ზიზღით დაქმუქნა ფურცლები და ნაგვის ყუთში ჩაყარა. ის კარგი განწყობილება, წერის უფლების მიღები-

სას რომ ჰქონდა, ახლა ერთიანად უფსკრულში გადაიჩეხა.

ამ დღეებში იყო, პირველად რომ შეახვედრეს მეუღლეს.

ნაცრისფერ, მკაცრ კოსტუმში გამოწყობილი ჯუნი ორივე ბავშვით მოსულიყო. ხელში მიხაკისფერი ჩანთა ეჭირა. ამავე ფერის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა, ეს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ისედაც მოხდენილ ფეხებს უფრო მიწინდევს უჩენდა. ორივე ბიჭს ერთნაირი ველვეტის შინდისფერი კოსტუმში ეცვა, ორი წლის რონს კი მხარზე გადაეკიდა სათამაშო თოფი — ყველაზე საყვარელი სათამაშო, მამის საჩუქარი. ჯუნი გამხდარი ჩანდა. მაინც მხნედ გამოიყურებოდა, თუმცა ჩალურჯებული თვალები და ტუჩებიდან მოუშორებელი, არაბუნებრივი ღიმილი ამკლავნებდა მის ნამდვილ განწყობილებას.

ბავშვებს, ცხადია, არაფერი გაეგებოდათ. პიტერმა, რომელსაც ყველაფერი აინტერესებდა, მამას კითხვები დააყარა. ჰკითხა — შეგიძლია თუ არა, ეს ბაღე გაგლიჯო და აქედან გაიქცეო. ისიც გააკრვია, ციხის უფროსს მართლა გრძელი, შავი წვერი ჰქონდა თუ არა. ყაჩაღებიც მოიკითხა და, ბოლოს, მამას ჩააცვიდა — გინდა თუ არა, კართან რომ ძია დგას, რევოლვერი გამოართვი და იმ ფანჯარას ესროლო.

რონი რაღაცას ტიკტიკებდა თავის ენაზე და მამისკენ მიიწევდა ფუნჩულა, სველი ტუჩებით. საუბარს თავი ვერ შოებდა. ჯერ ერთი, ხელს უშლიდათ უცხო ადამიანი, რომელიც იქვე იდგა, უშლიდათ ბაღე, მათ რომ აშორებდა, უშლიდნენ ბავშვები, უშლიდათ ის სამი თვე, რომელიც თვითეულმა მათგანმა თავისებურად გაატარა, იტანჯებოდნენ ცალცალკე და თან ცდილობდნენ ეს ტანჯვა ერთმანეთისათვის დაემალათ.

ჯუნი ირწმუნებოდა, კარგად ეცხოვრობოთ. საკმაოდ ხელსაყრელ ფასად გაცივდე მაცივარი და რადიო, იმდენი ფული გვაქვს, ორ თვეს გვეყოფაო. ალისა და სხვა მეგობრები ხშირად და-

დიან ჩვენსა, ალისას ქმარი სამსახურის შოვნასაც კი დამპირდაო.

ჯონიმ ცოლს მოუთხორო, როგორ სწავლობდა ფეხსაცმლის კერვას (ეს ხელობა ხომ ყოველთვის გამოადგება), რამდენი წიგნი წაიკითხა, რომლებიც აქამდე წაუკითხავი დარჩენოდა, (ეს მართალი იყო), და როგორ კარგად ეპყრობოდა ციხის უფროსი...

იქვე მღგომ ზედამხედველს, სერჟანტ არჩერს საუბრისათვის ყური კარგად რომ დაეგდო და მათი ნათქვამი დაეჯერებინა, უსათუოდ იფიქრებდა, რომ ამ წყვილისათვის ქმრის საპატიმროში ყოფნა ჰეშმარიტი წყალობა იყო.

მაგრამ არჩერი საუბარს ყურს არ უგდებდა. ხნიერი, უკვე საკმაოდ მოქანცული ადამიანი იყო. შავი ჰირივით შესაძლებლობდა ეს სამუშაო და ახლა მოუთმენლად ელოდა პენსიაში გასვლის დღეს. არჩერს თავისი გეგმები ჰქონდა. ბებრუხანასთან ერთად დასაეღეთში, ოკეანის ნაპირას აპირებდა დასახლებას. იქ მიწის პატარა ნაკვეთითურთ სახლს იყიდდა, ნაკვეთში ფორთოხლებს გააშენებდა და ცხოვრების უკანასკნელ წლებს ტკბილად გაატარებდა.

არჩერი უხალისოდ უთვალთვალებდა — ახალგაზრდა მანდილოსანმა ასორმოცდამეთოთხმეტე ნომერს იარაღი არ გადასცესო (რაც თითქმის შეუძლებლად მიაჩნდა), ანდა ხერხი (რაც შეიძლებოდა მომხდარიყო), ან კიდევ საწამლავი (ასეთი შემთხვევა მოხდა 12 წლის წინათ საწყალი ბილი ლინკის მორიგეობისას). ღმერთმა ნუ ქნას, თორემ მაშინ მშვიდობით, ჩემო საპატიო პენსიავ და ოკეანის ნაპირას გაშენებულ ფორთოხლებო!

პაემანი ისე დამთავრდა, არც ერთი არ იყო კმაყოფილი. უთქმელი, უკითხავი ბევრი დარჩათ. მაგრამ მთავარი მაინც მოხდა. მათ საკუთარი თვალებით ნახეს ერთმანეთი, დარწმუნდნენ ურთიერთის არსებობაში, ამოიკითხეს თვალებში ის სიყვარული და ერთგუ-

ლება, ერთმანეთს რომ შეკფიცეს ოდეს-
ღაც.

ჯონი საკანში დაბრუნდა და დიდხანს
იჯდა ისე, ერთ წერტილზე თვალშიშტე-
რებული.

მართალია ჯუნიმ უთხრა — ყველა-
ფერი კარგად არისო, მაგრამ შეიძლე-
ბოდა კი ამის დაჭერება? ბიჭები კარგად
გამოიყურებიან. თავად ჯუნი გამხდარი
ენგენა. სახე სანთელივით გაყვითლე-
ბია. ცხადია, ყველაფერს იკლებს, ბავ-
შეებს უზოგავს. არ შეიძლება ეს დიდ-
ხანს გაგრძელდეს. ეჰ, რატომ ჯუნის არ
დაუჭერა და ფული არ შემოინახა ამ
შავი დღისათვის! გვიანლა თითზე კბე-
ნანი. უნდა ვწერო! იქნებ დავეწერო რაი-
მე ისეთი, რაც ერთიანად შეცვლის
ჩვენს ცხოვრებას!

გავიდა რამდენიმე დღე, ვიდრე ჯუ-
ნიმ მოახერხა და ხელში კალამი აიღო.
ეშინოდა, ვაი თუ ამჭერადაც არაფერი
გამომივიდესო.

არა, ახლა სხვაგვარად უნდა წეროს.
სავსებით უნდა დაივიწყოს ყველაფერი
და ისე წეროს, ვითომც ჭეჭყანაზე არ
არსებობენ არც ციხე და არც ზედამ-
ხედველნი, არის მხოლოდ ჯონი გილ-
ბერტი, მისი ფიჭრები, მისი ცხოვრება
და გულის მღრღნელი ტანჯვა...

— უნდა იტანჯოთ! — უთხრა გულ-
მოსულმა დოსტოვესკიმ ერთ დამწეებ
მწერალს, რომელმაც მას საკმაოდ ვა-
მართული და კეთილად დაბოლოვებუ-
ლი მოთხრობები მიუტანა.

ამ ჰკუაშეშლილმა გენიოსმა კარგად
იციოდა, რასაც ამბობდა.

შენც ხომ იტანჯები, ჯონი გილბერტი!
შენც ხომ გაქვს სათქმელი ადამიანები-
სათვის, მამ სწერე, სწერე, ამაშია შენი
ხსნა, სხვაგვარად ვერ აიტან აქაურობას,
სხვაგვარად აქვე ამოიხრჩობი!..

და ჯონიც შეუდგა წერას, თავდაპირ-
ველად უჭირდა სიუჟეტის მოძებნა, მაგ-
რამ თუკი მოძებნიდა, ადვილად წერდა,
თითქმის შეუჩერებლივ, თვითონვე უკ-
ვირდა, როცა ხედავდა, როგორ ნაკადუ-

ღვით მოედინებოდა თხრობა, როდენ
ადვილად სცვლიდა ერთი აზრი მეორეს.
წინათ სხვა იყო. სიუჟეტის კმდეც — რომ
ჰქონოდა, სიტყვებსა და გამორთქმებს
ვერ პოულობდა; ახლა კი ძლივს ასწრე-
ბდა იმის დაწერას, რაც თავისი ჰქონდა
და რაც წერის დროს იბადებოდა!

დროდადრო ეჩვენებოდა, ქალაღზე
რალაც ქაოტურ აზრთა გროვა იღვრე-
ბო, მაგრამ მერე, როცა დაწერილს გა-
დაიკითხავდა, გახარებული რწმუნდე-
ბოდა, რომ მისი აზრები საკმაოდ თან-
მიმდევრულად და ლოგიკურად მომდი-
ნარობდნენ, თუმცა იყო ხოლმე შემ-
თხვევა, როცა აზრი გაუგარძელდებოდა
ან ძალიან ბევრს მსჯელობდა, მაგრამ ეს
მარტოობის შედეგი იყო. მას ხომ არ
გაიხნდა საშუალება თავისი აზრი ვინ-
მესთვის გაეზიარებინა.

ჯონი ცდილობდა საკუთარი ნამოქმე-
დარი მკაცრად შეეფასებინა, რადგან
იციოდა — ეს მისი უკანასკნელი გაბრ-
ძოლება იყო.

დამთავრებულ მოთხრობას ჩაციებით
ასწორებდა, სტილს ხეწევდა, დეტა-
ლებს აშალაშინებდა, ეს საკირკიტო და
ზოგჯერ აუტანელი სამუშაო იყო. ზოგ-
ჯერ ერთი მცირე გადაკეთება მთელ
მოთხრობას ანგრევდა და ყველაფრის
თავიდან გადაწერა უხდებოდა. მერე
რამდენჯერაც უნდა გადააკითხა დაწე-
რილი, ყოველთვის პოულობდა შესას-
წორებელს. ბოლოს და ბოლოს, მოთხ-
რობა ისე მობეზრდებოდა ხოლმე რომ
ყველაფერი ეს უთავბოლო, ყველასთვის
ზედმეტ აბდაუბდად ეჩვენებოდა.

მკითხველი სჭირდებოდა, მაგრამ აბა,
სად უნდა ეშოვნა მკითხველი! ზუსტად
ერთი წელიწადი მარტოდმარტო უნდა
გაეტარებინა. ასეთი იყო ციხის რეჟი-
მი. ზედამხედველებს ხომ არ წააკით-
ხებდა თავის დაწერილს! მკითხველი
შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ჯუნი,
მაგრამ ამისათვის ნებართვა უნდა აეღო
საპატიმროს უფროსისაგან.

ციხიდან არავითარი ქალაღის გა-
დაცემა არ შეიძლება, — უთხრა ციხის

უფროსმა, — კანონით აკრძალულია! მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ხმამაღლა წაუკითხოთ, ამის შესახებ კანონში არაფერი წერია. მე ვეტყვი ზედამხედველებს ხელი არ შეგიშალონ.

გამოსავალი ნაბოვნია როცა ჯუნი მეორედ მოვიდა ბავშვებიანად, უადრესად გაკვირებული და გახარებული დარჩა, რადგან ჯონიმ უთხრა — ახლა ჩემს ახალ მოთხოვნას წაგიკითხავო.

ჯონი წერს! მაშ უშოვია რაღაც გასართობი, აღარც ძალიან გაიტანჯება! მართალია, ბავშვები უშლიდნენ, მაგრამ ჯუნიმ მაინც მოისმინა ორი მოთხოვნა, ორივემ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

ასეთი ძლიერი ტრაგიზმი, საღი აზროვნება! ქალი ამაყობდა ჯონით, აღრეც ყოველთვის სჯეროდა, რომ ჯონი განსაკუთრებული ადამიანი იყო, თუმცა ცხოვრება უსამართლოდ მოექცა. ადამიანებიც გულგრილად ეყიდებოდნენ, მაგრამ ახლა ჰპოვა საკუთარი გზა — იგი უკვე მწერალია!

მეორე შეხვედრა ბევრად უფრო სასიხარულო იყო, ვიდრე პირველი. ერთმანეთს დაიმედებულნი და მოლოდინით აღსავსენი დაშორდნენ, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ჯუნი გასულიყო საპატიმროდან, რომ ხელახლა გახსენებოდა ყველა ბოროტება, რაც ყოველ წუთს გარს ეხვია.

ცხოვრებამ ისევ ისე უხეშად ჩაჰკიდა ხელი და წაიყვანა იმ გზით, რომელიც ვარდებით არ არის ხოლმე მოფენილი.

მიუხედავად ამისა, ჯონისათვის მთავარი პრობლემა გადაუწყვეტელი რჩებოდა! როგორ დახმარებოდა ოჯახს? ეს აზრი არ შორდებოდა და ტვინს უხვრეტდა.

წარმოვიდგინოთ, მოთხოვნები კარგია (ჯუნი ეუბნებოდა, თორემ თვითონ სულაც არ იყო დარწმუნებული), მაგრამ ვინ დაბეჭდავს პატიმრის დაწერილ მოთხოვნებს? არა, ეს რომ „აღსარება“ ყოფილიყო ან ცოდვათა მონანიება — მაშინ ზოგიერთი სენსაციებისა და სკან-

დალური ამბების მოყვარული გაზეთი შეიძლება დაინტერესებულყო კიდევ... ჯონის ამოდ უსკდებოდა თავი ფეხებით.

უეტრად ხსნა იქედან მოვევლინა, საიდანაც ყველაზე ნაკლებს მოელოდა.

ერთხელ, როცა ჯონი მორიგი შეხვედრიდან მოპყავდა, სერჟანტმა წამოიწყო:

— შენა, ჰაბუკო, ე რამდენი დაგიწერია, მწერალი ხომ არა ხარ?

ჯონი მოულოდნელობისაგან შეკრთა. სერჟანტი არჩერი — მოყვეჩო და ფლეგმატური ზედამხედველი თურმე ყურს უგდებდა მის მოთხოვნებს!

— დიდი არაფერია... — შეიშმუნა ჯონი, — სერიოზულად წერა აქ დავიწყე...

— თქვენ ყველანი ერთნაირები ხართ, ვიდრე იქ გიდგათ ფეხი, — და ნიკაპი ქალაქისაკენ გაიქნია, — თავში კარგი არაფერი მოგლით, მაგრამ საკმარისია აქ შემოგაგდონ, მაშინვე დაჰკვიანდებით ხოლმე...

ჯონიმ პირი დააღო, სურდა შედაეებოდა, მაგრამ მხოლოდ ხელი ჩაიქნია. განა ორი სიტყვით შეიძლება ყველაფრის თქმა?

— შენ, რაო, ჰაბუკო, არ აპირებ ამ მოთხოვნების დაბეჭდავს? — შეეკითხა არჩერი. — იმ გოგოს, ალბათ, უჭირს, არც ისე ადვილი საქმეა ორი ბავშვის შენახვა. როგორც შევატყე, მალე მესამეც ეყოლება, — მან ხელი მუცელზე დაირტყა.

— მერე ვინ დაბეჭდავს ჩემს მოთხოვნებს?

— ჰოდა, ნუ იტყვი ჩემიაო! იმან წაიღოს, თქვას, მე დავწერო. შენ იქნებ დიდება გწყურია? სულერთია, შექსპირთან მაინც ევრაფერს გახდები. ფული გპირდება, მორჩა! შენ ცოლს შეხედე. ალბათ, ერთი თვის შემდეგ მოილოგინებს, სახეზე კი ფერი არ ადევს. ფული ბევრი დაუტოვე ბანკში, ხომ?

— გამაგებინეთ.. როგორია, მე ვწე-

რო, ცოლმა კი თავისი სახელით ბეჭდოს?... —

— იფ, გეჩითირება, შენ დიდება გინდა? რას იზამ! იჯექი აბა და ელოდე დიდებას... — დამკინავად ჩაილაპარაკა არჩერმა და გაიშუბდა.

ჯონი ადამიანთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელთაც რაიმე სერიოზული საკითხის უცებ გადაწყვეტა არ შეუძლიათ. როგორც კი საკანში დაბრუნდა, საწოლზე ჩამოჯდა და ღრმად ჩაფიქრდა.

ჯანდაბას! ეპ, რაც იქნება, იქნეს! სერჯანტი მართალია! ჩემმა მზემ, ციხის ეს ბებერი ვირთხა კარგ რჩევას მაძლევს! ჯუნი მიიტანს ამ მოთხრობებს დასაბეჭდად. თითქოს მისი იყოს. ტყუილი იქნება, მაგრამ ვის რას უშავებს ეს ტყუილი! ოღონდ მიიღონ, ოღონდ მოეწონოთ და... ბოლოსდაბოლოს მოთხრობები ხომ ჩემია. განა უფლება არა მაქვს ცოლს ვაჩუქო ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი?

ასე იმედით აღსავსე არასოდეს არ დაწოლილა ჯონი დასაძინებლად, პატივმარ ამხანაგებს არაოდეს არ სჩვენებია ასე ბედნიერი ღიმილით გაცისკროვნებული.

ჯონის ყოველთვის უჭირდა დროის იმ შუალედების მოკვლა, რომელიც ჯუნისთან შეხვედრიდან შეხვედრამდე იყო. ახლა კიდევ უფრო უმძიმდებოდა, ლოდინი. „საბრალო გოგონა, როგორ გაეხარდება, როცა ყველაფერს შეიტყობს!“

ჯუნის მართლა გაეხარდა, მაგრამ ქმრის არაჩვეულებრივი გეგმა რომ გაიგო, სახტად დაჩნა. პირველი გაკვირვების შემდეგ ჯუნიმ წმინდა ქალური საქმიანობით დაიწყო ყოველი წვრილმანის გამოძიება. აქ კი გამოჩნდა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დაბრკოლება: როგორ უნდა გაიტანოს აქედან ხელნაწერები?

არჩერი კანონის კაცი იყო. კანონს აბა როგორ დაარღვევინებდა!

— შენ ძალიან გამიშინაურდი, ძმაო, ბევრს მოითხოვ, — თქვა მან, — მე ტირიფი, ასე და ასე მოიქციე-მეთქი,

მორჩა და ვათავდა, მეტს ჩემგან ნურაფერს გამოელი. აქედან *ჩემი ბუნდუქის* კერით გამაგლონ, შენ შემხმანაქმანა

ჯონის ერთი გამოსავალი-ლა რჩებოდა — ჯუნისათვის უნდა ეკარნახა.

ქალმა სკოლაში ისწავლა სტენოგრაფია, მაგრამ, რაც ვათხოვდა, პრაქტიკის უქონლობის გამო სულ გადავიწყებოდა.

— არაფერია, ჯონი, მოვიგონებ, აი, ნახავ, თუ არ მოვიგონო! — ირწმუნებოდა აღელვებული ჯუნი. იგი ახლა ისეთ მდგომარეობაში იყო, როცა კაცს ჰგონია ყველაფერს შეეძლებ, ყველაფერს ვაეკეთებო.

სტენოგრაფიის გახსენება არც თუ ისე ადვილი გამოდგა. ჯუნიმ საკვირაო სამრევლო სკოლაშიც კი დაიწყო სიბრული.

აქ შშობიარობამ მოუსწრო. მოლოდინი გამართლდა: გოგო შეეძინა. ამ ამბავმა ორი კვირა გააცდენინა.

სამი თვის შემდეგ ჯუნის უკვე შექმნილი წუთში სამოცამდე სიტყვის ჩაწერა. თუმცა ჩაწერა ისედაც უძნელდებოდა, ჯუნის სამივე ბავშვი თან დაჰყავდა, ბოლოს გადაწყვიტა უფროსები შინ დაეტოვებინა ხოლმე. საქმე გაიხარხა.

ასე, ნაჭერ-ნაჭერ ამსხვრევდნენ იმ ლოდს, რომლითაც ჩაგმანული იყო კარი შენობისა, სახელად რომ ბედნიერებას ეძახიან.

ჯონი კარნახობდა, ჯუნი იწერდა და მერე გაშიფრულ ტექსტს უკითხავდა. ჯონი ამოწმებდა და ასწორებდა თავისი ხელნაწერის მიხედვით. ამაზეც დიდი დრო ეხარჯებოდათ.

ამასობაში ჯუნის ფული შემოეღია. სერატის ცოლი უმნიშვნელო დახმარებას უწევდა და უკაცოდ დარჩენილი ოჯახი სულს ამითლა ითქვამდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ხუთი მოთხრობა მოამზადეს და მღელვარებისაგან გაფითრებულმა ჯუნიმ შეაღო ყოველკვირეული, მოზრდილი ქურნალის რედაქციის კარი. დიდს გაჭირვებით დაარწმუნა კეკლუცი და გამომწვევი სილამაზის მდივანი ქალი, რომ სამსახუ-

რის სათხოვრად არ იყო მოსული და მხოლოდ ამის შემდეგ შეუშვეს ლიტერატურული განყოფილების გამგესთან.

ჯუნი ძალზე ნათელ, კარგად მოწყობილ კაბინეტში შევიდა. კაბინეტში იდგა საწერი მაგიდა, რომელიც საესე იყო ქაღალდებით, ეურნალებით, ამონაბეჭდებით და ყოველივე იმით, რაც შეიძლება ყოფილიყო რედაქციის მუშაკის მაგიდაზე.

— რამ ჩავაფიქრათ, მის? — მოესმა ზურგსუკანიდან.

ჯუნი შეერთა. მიიხედა, მაგიდასთან, რომელიც კარდატანებულ კედელთან მიედგათ, შუახნის კაცი იდგა. უბიჯა-კოდ იყო. თეთრი, ქათქათა პერანგი ეცვა, ჭრელი პალსტუხი გვერდზე მოქცეოდა. ხელში ფერადი ფოტოსურათების გროვა ეჭირა. ფოტოგრაფებიდან ნახევრადშიშველი მსახიობი ქალები იჭერებოდნენ. ჭროლა თვალეში, უჩარჩო სათვალის კვადრატული მინებიდან გამომცდელად რომ უყურებდნენ, მხიარული მოურიდებლობა გამოკრთოდა, რაც ასე დამახასიათებელია ეურნალისტებისათვის.

— მოთხრობები მოგიტანეთ, — დაიწყო ჯუნიმ წინასწარ მოფიქრებული წინადადება.

— რომელი მოთხრობები? — შეეკითხა ჭროლათვალემა.

— როგორ, რომელი... ჩემი... საკუთარი, — ჩაიბურტყუნა ჯუნი და მოეჩვენა, თითქოს გამგეს ეკითხოს — ვისი მოთხრობებიაო.

— თქვენი? კეთილი... მაინც რაზეა?

— რაზე? — ამ შეკითხვამ ჯუნი კვლავ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა, მაგრამ გადაწყვიტა გაქირვებისათვის ბოლომდე გაეძლო.

— ცხოვრებაზე...

— ჰმ... — თქვა გამგემ, თან ფოტოსურათებს არჩედა, მერე იპოვნა, რომელსაც ეძებდა, დანარჩენები ილიაში ამოიჩრა და მაგიდასაკენ წამოვიდა. — განა თქვენ ვინახავთ მოთხრობა, რომელიც ცხოვრებაზე არ იყოს დაწერილი?

— ჰკითხა ღიმილით და დაჯდა. ხელის მოძრაობით ჯუნისაც ანიშნა — დაჯექითო.

ჯუნი დუმდა. გამგემ განაგრძო:

— საქმე ასეა, მის... — გამგე ოდნავ შეყოვნდა.

— გილბერტი, — მიაშველა ჯუნიმ.

— საქმე ასეა, მის გილბერტ: ვერ დაგაიმედებთ. სარედაქციო პორტფელი საესე გვაქვს. ავტორები, განსაკუთრებით კი დამწყებნი, უამრავი არიან. თქვენც ხომ დამწყები ბრძანდებით? თუმცა არა, მგონი სადღაც შემხვედრია თქვენი გვარი...

— არა, არა...

— არა? შეიძლება! მით უმეტეს... მკითხველს ცნობილი ავტორები უყვარს. მაგრამ ჩვენ ერთი პრინციპი გვაქვს: ახალგაზრდა ავტორებს უარს არასოდეს ვეუბნებით მათ ნაწარმოებთა წაკითხვაზე. მარტ ტვენიც ხომ ოდესღაც დამწყები იყო. სტეინბეკიც ასევე. ხომ მართალს ვამბობ?

ჯუნიმ თავი დაუქნია. გამგე განაგრძობდა.

— ასე რომ, დატოვეთ თქვენი მოთხრობები. წავიკითხავთ. თუ რაიმე ძალიან საინტერესო ვიპოვნეთ, — მან სიტყვა „ძალიანს“ ხაზი გაუსვა, — შეიძლება გამოვიყენოთ კიდევ. წინააღმდეგ შემთხვევაში — no hard feelings! All right?*

ჯუნიმ შვებით ამოისუნთქა. კიდევ კარგი, წასაკითხად იტოვებს. ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავს.

— გამაღობთ, სერ, — თქვა მან და წამოდგა. — როდის გეახლოთ?

— გამოიარეთ... — გამგე შეყოყმანდა, ხელით ნაწერები გადაფურცლა. — ერთი კვირის შემდეგ გამოიარეთ. პასუხს დაგახვედრებთ...

გამგის ხმაში ეჭვი გამოკრთოდა, რადგან არ სჯეროდა განზრახვის მიზანშეწონილობა. მერე, როგორც ეტყობა,

* ნაწვენი ნუ დარჩებით! კარგი? (ინგლ.).

მიხვდა ამას, შთაბეჭდილების შესარბილებლად ჟუნის გამამხნეველად გაუღიმა და თავი დაუქრა.

ერთი კვირის შემდეგ, როცა ჟუნი რედაქციაში შედიოდა, უფრო ღელავდა, ვიდრე პირველად. მდივანმა ქალმა შენიშნა თუ არა, წამოდგა.

— მის გილბერტ? ერთი წუთით! მისტერ გრინი ახლავე მივიღებთ...

მდივანი ქალის თავაზინობა კარგის მომასწავებელი იყო, მაგრამ ჟუნი იმდენად ღელავდა, ამას ვერ მიხვდა.

ორი წუთის შემდეგ უკვე კაბინეტში იყო. გრინი ამჯერად მაგიდას მისჯდომოდა და, როგორც კი ჟუნი დაინახა, თავაზიანად წამოდგა.

— გთხოვთ, მის გილბერტ, დაბრძანდით! — მიიპატიეთა ჟუნი და საეარძელი თვითონ დაუდგა.

ჟუნი დაჯდა, თუმცა ისევ ღელავდა. მხოლოდ ახლა შენიშნა ფანჯრის რაფაზე ჩამოშვებული ახალგაზრდა, ძალიან მაღალი და გამხდარი კაცი, რომელსაც ფუმფულა თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი.

— ეს მისტერ ბრუქსია — კრიტიკის განყოფილების გამგე, — წარუდგინა გრინმა ჟუნის ის აყლაყულა.

ბრუქსმა უხმოდ დაუქრა თავი, თან ფანჯარას გაჰყურებდა.

— ჩვენ წავიკითხეთ თქვენი ხელნაწერები, მის გილბერტ, — დაიწყო დიმილით გრინმა. ჟუნის გული გადაუქანდა. — და გადავწყვიტეთ, რომ მოთხოვნები არაა ინტერესს მოკლებული...

ცოტა ხნით შეჩერდა და ჟუნის ყურადღებით შეჰხედა.

— როგორც ჩანს, ცხოვრების დიდი გამოცდილება გქონიათ, მიუხედავად თქვენი ახალგაზრდობისა. სტილიც კარგი გაქვთ... მგონი თქვენ ადრეც გიწერიათ. თუნდაც სკოლის ქურნალში?

ჟუნის სახე აუფაჟკლდა. რა ძნელია, როცა სიცრუეს ამბობ, ისიც ასეთ კე-

თილისმსურველ ადამიანთან. რატომ არის ცხოვრება ასე მოწყობილი, რომ სიმართლე ხშირად უაზრობად იქცევა ხოლმე? მართალს იტყვი, შენი სიტყვები ეჭვს გამოიწვევს, იცრუებ და დაგიჭერებენ.

პასუხის მაგივრად ჟუნიმ მხოლოდ თავი დაჰხარა. ეს მოძრაობა შეიძლება თანხმობად ჩაეთვალათ, თანაც საპირო აღარ იყო ტყუილი სიტყვებით გამოხატა.

— ასე რომ, მის გილბერტ, — განაგრძობდა გრინი, — ჩვენ დასაბუქლად მივიღებთ ამ სამ მოთხოვნას, — მან თითო დაადო ცალკე გადაწყობილ ნაწერებს. — თუკი ამათგან კარგი შედეგი მივიღეთ, მაშინ ალბათ დანარჩენებსაც გამოვიყენებთ. კიდევ გაქვთ რამე?

— დიახ. — წაიჩურჩულა ჟუნიმ, თან სიბარულათ თავბრუ ეხსმოდა.

ფიქრთა აბობოქრებული გროვა უტრიალებდა თავში.

რა კარგად მოეწყო ყველაფერი, თუმცა უკეთესი იქნებოდა, აქ რომ მის ადგილზე ჯონი მჯდარიყო. ახლა კი რა გამოვიდა? ჯონი გაქურდა, მთელი ხალხის თვალწინ მიითვისა საკუთარი ქმრის ნიჭი და შრომა. მოთხოვნები დიდ ინტერესს გამოიწვევს. ამაში საეჭვო აღარაფერია და იმ დროს, როცა ჟუნი ისარგებლებს დაუმსახურებელი წარმატებით, ჯონი კვლავ ციხეში იქნება გამომწყვდეული.

საწყალი ჯონი! ასე გულით ჟუნის არასოდეს მოსწყურებია ჯონის თავისუფლება.

თვალეში ცრემლით აევსო. ყოველ ღონეს ხმარობდა ცრემლი შეეკავებინა. იქნებ როგორმე, შეუმჩნეველად ცხვირსახოციტ მოიწმინდოს თვალეში, თორემ სადაცაა ცრემლი ნაპირს გადმოხეტაქვს და ლოყაზე ჩამოუგორდება.

მისტერ გრინი დაიხარა და მაგიდას ქვედა უჯრაში რაღაცას დაუწყო ძებნა. მოძებნა, გასწორდა და მაგიდაზე ვისკის ნაკლული ბოთლი და სამი ჭიქა დადგა.

— აბა, — გამამხნეველად გაიღიმა, — მის გილბერტ, მოდი, თქვენი პირველი გამარჯვების საღვებრძელო შევსვათ.

ჭიქები სანახევროდ აავსო.

— იქნებ სოდა დაგიმატოთ? — იცითხა შემდეგ, ჯენიმ თავი დაუქნია.

— მოდი აქ, სტენ, თითო ჭიქა დაელოთ. მის გილბერტ, დამშვიდდით. ყველაფერი კარგად იქნება.

კურცხალი მანაც გადმოგორდა, მოლაღატურად ჩამოცურდა ჯენის ლოყაზე, თან პულსს რეცხდა და ოკრობოკრო სველ კვალს ტოვებდა.

— კმარა, კმარა, მის გილბერტ, — უთხრა ქალს მალაღმა და მოუხეშავმა ბრუქსმა, როცა მაგიდასთან მივიდა და ჭიქა აიღო, — ყველაფერი კარგადაა...

— თქვენ რომ იცოდეთ, რას ნიშნავს ჩემთვის, მოთხრობები რომ მიიღეთ... — წაიჩურჩულა ჯენიმ.

— შემძლია წარმოვიდგინო, — გამოეხმაურა ბრუქსი, ჭიქა მიუჯახუნა და გამოსცალა. გრინმაც დალია. ჯენიმ ცოტა მოსეა და ჭიქა ზიზლით დადგა. ვერ იტანდა ვისკის გემოს, მით უმეტეს — სუნს და ახლა თავაზიანობით მოუვიდა, რომ დალია. მაგრამ როგორც კი გადაყლაბა, ტანში საამო სითბომ დაუარა, მხნეობა დაუბრუნდა და ალაპარაკდა.

— მისტერ გრინ, მე მინდა ერთ პატარა ტექნიკურ საკითხზე მოგელაპარაკოთ. თუ შეიძლება, ახლავე შევთანხმდეთ...

„ავენსს მომთხოვეს“ — უსიამოვნოდ გაიფიქრა გრინმა, თან იანგარიშა, რამდენი შეეძლო მიეცა საკუთარი ჯიბიდან, რადგან რედაქციაში ავენსს არავის აძლევდნენ. პატრონი მტკიცე ხასიათის კაცი იყო და თავის თანამშრომლებსაც კი არ ანებებებდა.

— მე ვიცი, — განაგრძობდა ჯენი, — რომ ლიტერატურულ ნაწარმოებს აწერენ ავტორის სახელსა და გვარს. მე მსურდა გადამეხვია ამ ტრადიციისათვის და მეთხოვნა სახელის მაგივრად

მხოლოდ სახელის პირველი ასო დაეწერათ. მაგალითად ასე: ჯ. გილბერტი.

გრინმა გაკვირვებით შეჰხედა.

— მე მაკვირვებს თქვენი სურვილი, მის, — იგი უკმაყოფილო იყო, მიმართა ჯენის უბრალოდ „მის“, გვარის გარეშე. — მე არ ვწყვეტ ასეთ საკითხებს, მაგრამ არა მგონია რედაქტორი დაგთანხმდეთ და დაარღვიოს ეურნალის ტრადიცია. მით უმეტეს, დამწყები ავტორის გულისათვის. მე ვფიქრობ, უმჯობესი იქნება თუ არ წამოპირთ ამ საკითხს.

ჯენი დაბნეული უსმენდა. სულაც არ მოელოდა, თუ გრინი ასე გულგრილად მოეკიდებოდა მის მცირე თხოვნას, რომელშიც ჩაქსოვილი იყო დიდი და მხსნელი აზრი. იმ შემთხვევაში, თუკი იგი მიადწევს, რომ მოთხრობები ჯ. გილბერტის სახელით დაიბეჭდა, ეს არსებითად ჯონის სახელი იქნება. რა ბედნიერებაა, რომ მათი სახელები ერთი ასოთი იწყება! მაშინ ჯონი გაქტრდული აღარ აღმოჩნდება. დეე, გრინმა და სხვებმა იფიქრონ, რომ ჯ. ნიშნავს ჯენის, სინამდვილეში კი ჯ. იქნება ჯონი. მოვა დრო, როცა ყოველივე გამოავსკარავდება, მაგრამ მაშინ უკვე გვიან იქნება. ჯ. გილბერტი ცნობილი მწერალი გახდება და მისი მოთხრობების ბეჭდვა სასახლო იქნება საუკეთესო ეურნალისათვისაც, მიუხედავად მისი წარსულისა. მაგრამ მთავარია, როგორ მოტეხოს გრინი, როგორ გადალახოს კიდევ ერთი დაბრკოლება?

უეცრად დამხმარე გამოჩნდა აყლაცულა ბრუქსის სახით.

— ჩემის აზრით, მის გილბერტს აქვს უფლება ისე მოაწეროს ხელი თავის ნაწარმოებს, როგორც თვითონ მიიჩნევს საჭიროდ, — თქვა მან. — ეს არც ისე არსებითი ამბავია.

— შეიძლება შენ მართალიც ხარ, სტენ, — თავისას არ იშლიდა გრინი, — მაგრამ აბა სცადე და ჩვენს ბერეკაცს დაუმტკიცე! მის გილბერტ, გამოიჩინეთ კეთილგონიერება! ნუთუ ამას ასეთი

დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენთვის?

— დამიჯერეთ, სერ... დაიწყო ჯუნიმ, მაგრამ ბრუკსმა, თითქოს რალაციის ეშინაო, გააწყვეტინა...

— All right*, დიკ, ბერიკაცს მე დავეყოლებ. მოთხრობა მეშვიდე ნომერში იბეჭდება — იმ ნომერს მე ვუშვებ. დანარჩენიც ჩემზე იყოს...

გრინმა მხრები აიჩჩია, რაც ნიშნავდა: როგორც გინდათ, ისე მოიქცეთ, მე ხელს ვიბანო.

ჯუნიმ ბრუკს მადლიერად გაუღიმა, ამ უკანასკნელმა კი ქალს შეთქმულივით ჩაუკრა თვალი. საქმე მოქაზბრაკებული იყო.

• • •

ბედნიერია ის ადამიანი, ვინც იმ დღეს მოესწრება, როცა დიდი ხნის ნანატრს ზორტმესხმულს იხილავს. სხვათა შორის, ასეთი რამ უფრო ხშირად ხდება, ვიდრე ზოგიერთ პესიმისტს ჰგონია.

დადგა დღე, როცა ჯონი, ოდნავ შექალაჩებულ და დაეჯაკაცებულ, ჩაფიქრებული თვლებით, რაც ასე დამახასიათებელია იმ ადამიანთათვის, ვინც გაჭირვება გადაიტანა, ჯუნისთან ერთად ზეღიზნულ გაყრილი შევიდა იმ შენობაში, რომლის მეოთხე სართულზეც რედაქცია იმყოფებოდა.

როგორც კი ჯონი პროზის განყოფილების მისაღებ ოთახში შევიდა, კოპწია მდივანი ქალი მაშინვე ზეზე წამოიჭრა და მოწიწებით მიესალმა. მერე გაიქცა და მისტერ გრინს მოახსენა. კართან მისვლისას ველარ მოითმინა, მობრუნდა და მის გილბერტის თანამგზავს, ვილატ გამხდარ, მალალ, შავვრემან კაცს, რომელსაც საფერთქლებზე თმა შევერცხლოდა, თვალი ჩაუკრა.

„ნება ვინ არის? — გაიფიქრა გოგონამ. — იღბალი კი აქვს ამ გილბერტს. ოცდაათის მაინც იქნება, მე კი ოცდაოთხისაც არა ვარ, მიუხედავად ამისა...“ მეტის ფიქრი ველარ მოასწრო, შეფმა

უბრძანა — მის გილბერტი და მისა თანამგზავრი სასწრაფოდ შემოუშვილ.

— მისტერ გრინ, — დაიწყო მშვიდი და დამაჯერებელი ღიმილით ჯუნიმ, — ნება მომეცით წარმოგიდგინოთ ჩემი მეუღლე, ჯონი გილბერტი.

ამ დროს ჩვეულებისამებრ ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარი ბრუკსი დაინახა და მასაც გააცნო ქმარი.

ბრუკსმა ჯონის ხელი ისე ჩამოართვა. არაფერი დასცდენია, მხოლოდ ყურადღებით შეათვალიერა, გრინმა კი პირიქით, ალერსიანი და გაცხოველებული საუბარი გააბა — იქნებ გული მოვიგო ამ უცნობი, საიდანდაც მოულოდნელად გამოჩენილი მის გილბერტის ქმრისაო.

ამას საქმისათვის აკეთებდა. ბოლო ხანს ჯუნიმ რამდენიმე ხელსაყრელი წინადადება მიიღო სხვა მსხვილი ჟურნალებიდან და რამდენიმე მოთხრობა დაბეჭდა კიდევ. გრინს მითითება ჰქონდა „ბერიკაცისაგან“ — ყოველი ღონე იხმარე, რათა გილბერტი ჩვენმა მოქიშპე ჟურნალმა არ ვადაიბიროსო.

„ბერიკაცმა“, ძუნწმა, მაგრამ ჰკვიანმა კომერსანტმა, რომელსაც ამავე დროს ლიტერატურული ალლოც ჰქონდა, გრინს დაავალა მის გილბერტი დაიკაბულე, ჩვენთან კონტრაქტზე მოაწეროს ხელი, კონტრაქტის ძალით წელიწადში ექვსი მოთხრობა მოგვეტანოს და ამავე კონტრაქტის თანახმად აღიარებული მწერლის შესაფერ ჰონორარს მიეცემო. ამას გარდა გრინს უნდა მოემზადებინა ნიდავაგი გილბერტის მოთხრობათა კრებულის გამოსაცემად.

ყოველივე ამას გრინი ფაჭიზად მოფიქრებული გამოთქმებით მოჰყვა: იმედოვნებდა — ერთის მხრივ, გილბერტს თავბრუს დაეახვევ პერსპექტივების ბრქვივიალებით, ხოლო, მეორეს მხრივ, დავუმტკიცებ. რომ ეს წინადადება სწორედ ავტორისთვისაა ხელსაყრელი, თორემ ჟურნალი და გამომცემლობა მისი მოთხრობებისა და წიგნების გარეშეც იოლად გავლენო.

* კარგი (ინგლ.).

ჯუნიმ კარგად იცოდა: ეს მართალი არ იყო. მარტოობაში განვლილმა ბრძოლისა და წარმატების წლებმა ბევრი რამ ასწავლეს. ამასთან ჩანათაში, მისტერ გრინის თავაზიანი მიწვევის გარდა — გთხოვთ, რედაქციაში მობრძანდეთ ფრიად მნიშვნელოვან საქმეზე მოსალაპარაკებლადო, კიდევ ეწყო ასეთივე მიწვევები სხვა გამომცემლობებიდანაც.

არა, მთავარი ეს არ არის. მთავარი ისაა, რომ მარტო აღარ არის, ჯონი გვერდით ჰყავს.

ჯუნის ახსოვდა ისიც, რომ სწორედ ამ ოთახში, თავისი ცხოვრების ყველაზე ძნელ წუთებში ამ ადამიანისაგან გაიგონა სიტყვები, რომლებმაც იმედის ნაპერწკალი გაუღვივეს.

ამიტომ ჯუნი მტკიცედ და მომთხოვნელად პასუხობდა, მაგრამ მასპინძლებს აგრძნობინებდა — მახსოვს თქვენი კარგი დამოკიდებულება და მზადა ვარ დათმობაზეც წავიდე, ოღონდ არა პირადი ინტერესების საზიანოდო.

ბოლოს და ბოლოს ყველა ძირითადი საკითხი მოგვარდა. გრინმა შეებით ამოისუნთქა. ახლა კი გამოიძახებს გამომცემლობის იურისკონსულტს და კონტრაქტიც ხელმოწერილი იქნება. უეცრად რაღაც უცნაური რამ გაიგონა. ჯუნი გილბერტი შებრუნდა ქმრისაკენ, რომელიც აქამდე უხმოდ იჯდა და ჰკითხა:

— აბა, ჯონი, შენ რას იტყვი ამ პირობებზე? მოაწერ ხელს კონტრაქტს?

— საერთოდ, პირობები ხელსაყრელია, — მკვეთრად წარმოთქვა ჯუნი გილბერტის ქმარმა, — მაგრამ მე მსურს ვრთ პუნქტს მცირე შენიშვნა გავუყუეთო...

მიუხედავად თავშეკავებულობისა, გრინი ერთიანად აენთო. ქალთან საქმის დაჭერა პირდაპირ აუტანელია! ქალებს არ ძალუძთ, საქმიანი საუბარი. კიდევ კარგი, ბებია არ მოუყვანია თან!

— მოითმინეთ, მის გილბერტ, — დაიწყო მან, თან ცდილობდა დაეფარა

გაღიზიანება, რომელიც ასე აშკარად შეეპარა ხმაში. — თქვენ მგონე ხრულწლოვანი ბრძანდებით. საქმეებსაველთვის დამოუკიდებლად სწყვეტდით ჩვენთან... მეორეც, მოსალაპარაკებას ვაწარმოებთ უშუალოდ ავტორთან...

— სრული სიმატლევ გახლავთ, — გააწყვეტინა ჯუნიმ, თან მშვიდად შესცქეროდა გრინს ნათელი ლურჯი თვალებით, — თქვენს წინაშეა მოთხოვნილი ავტორი, ჯონი გილბერტი!

ჯუნის ხმაში სიამაყის კილომ გაივლიდა, მაგრამ გრინმა ვერაფერი გაიგო.

— როგორ, თქვენი ქმარიც წერს? მე მხედველობაში თქვენი მოთხოვნილებები მქონდა...

— თქვენ მხედველობაში გქონდათ ჯ. გილბერტის მოთხოვნილები, ასეა, ხომ? საგონებელში ჩავარდნილმა გრინმა თავი დაიქნია. მას ჯერ კიდევ არაფერი ესმოდა.

— დიახ...

— ჰოდა, თქვენს წინაშეა ჯ. გილბერტი. ჯ. ნიშნავს ჯონის...

— კი მაგრამ... — დაბნეული გრინი გაჩუმდა. — მოითმინეთ, მე ვერაფერი გამიგია... ამისხენით, გეთაყვა!

— ინებეთ, — თქვა ჯუნიმ ღიმილით, — თქვენ ბეჭდავდით მოთხოვნილებს, რომლებსაც ხელს აწერდა ჯ. გილბერტი.. ხომ მართალია? — გრინმა თავი დაუქნია. — ჰოდა, ჯ. გილბერტი ნიშნავს ჯონი გილბერტს, თქვენ კი გეგონათ, რომ ეს ნიშნავდა ჯუნი გილბერტს. ასეა, ხომ?

— კარგი, მაგრამ, თქვენ...

— მე სხვა ვხა არ მქონდა, მისტერ გრინ. იმედია ძალიან არ გამირისხდებით. არსებითად ხომ არაფერი შეცვლილა, ხელის მოწერაც კი...

ფანჯრის რაფაზე შემოძვარამა ბრუქსმა მსუბუქად დაუსტვინა.

— მაინც როგორ იქნება ეს... — გრინი ახლა ბრუქსს მიუბრუნდა. — სტენ, შენ გესმის რაიმე ამ საქმეში?

ბრუქსმა თავი დაუქნია და გაიღიმა:

— მე ამას მაშინვე მივხვდი, დიქ!

გაიიარ ჭანჭანი

ლ ტ მ ლ ვ კ

„კოსმოსი ელის თავის პოეტებს, რომლებიც
საკუთარი თვლით იხილავენ, განსწიან და შე-
იცნობენ უოველივეს...“

გ ტ ბ ტ ვ

გაგარინს, ტიტოვს, ნიკოლაევს, პოპოვიჩს,
ველას, — ეინც ხელ თამამდ ჩაიკვამს სკა-
ფანდრს, რომ უსასრულო სამყაროში გააბნოს
აღამიანის გენია და სული...

მე დავაადვიე დიდი სიჩუმე...

ჩემი სულის და ჩემი სხეულის
ხმაურმა შეძრა დიდი სიჩუმე, —
ღმერთივით დინჯად განრისხებული.
და ბრუნავს ისევ მზის ჰულაპუპი.
შორს მიცურავენ თეთრი პორტები.
მე თმებში მშვიერ სხივებს ვაგუბებ
და გუშინდელზე უფრო გშორდები.
აჰ, ბნელში სძინავს დიდ სასახლეებს,
რომლებიც კაცის თვალს დაუმაღეს.
ის დაიქცევა, ხელს თუ ახლებენ.
და დაიქცევა წამსვე, უმაღვე...
მე მათთვის მიმაქვს გონება ჩემი
და ზეთისხილის პატარა ტოტი...
მე მათთვის მიმაქვს სიმდიდრე ჩემი,—
გზახე ნაპოენი ღიმილის ზოდი.
უთვალავია აქ პირამიდა
და ნანგრევები ათას ტროასი.
მე ვნახე ბევრი, მაგრამ სხვა მინდა, —
სხვას, უფრო მყუდროს, ვეძებ ოაზისს.
შენ კი გშორდები...
ცას ვეჭიდები,
ავსებულს წისლის ქარაშოტებით,
და მენატრება შენი თითები
და დღევანდელზე უფრო გშორდები...
მე ახლა მინდა მაწვიმდეს წვიმა,
მათოდეს თოვლი ან მამბრუნებდეს
ძლიერი ქარი, რომელიც წინათ
თვლემდა შენს თმებში და ბუბუნებდა.
მე მინდა ძლიერ... მაგრამ რაც მინდა,
ყოველთვის ასე მივდება ძვირად,
მინდა მათოდეს, მინდა მაწვიმდეს,

მაგრამ შორსაა თოვლი და წვიმა.
მე ჩავევარდი ცალთვალა ციკლოპს
თვალში, და ციკლოპს აემღვრა თვალი,
და იკლო თოვამ, და წვიმამ იკლო,
და ჩემი სული აიგსო მთვარიით.
მე შევალემა, მე მსურს ვიგლოვო
ის, რაც დავკარგე — წვიმა და თოვლი,
მაგრამ მიწყრება ჩემი ციკლოპი
და უკიაფებს ვეება თვალი.
მე ვგრძნობ საკუთარ სიცოცხლეს ისე,
თითქოს შენ მკერდთან ნაყოფი
გძროდეს,
და საკუთარ ხმას ხალისით ვისმენ
და თავს ვინსენებ — სად ვნახე...
როდის...

და მეტეორი ცვივა და ცვივა,
და ისევ ცვივა, ცვივა და ცვივა,
მაგრამ ეს მაინც არ არის თოვლი...
და მენატრება თოვლი და წვიმა.
ყურს ვუგდებ ლურჯი ზარებისკივილს
და შენი მუნჯი ღიმილი მახლავს.
და ბალასტივით ვიშორებ ტკივილს
და... ნელა-ნელა ავდივარ მალლა...
მე ხშირად ვფიქრობ, რა ვარ და ვინ
ვარ,
თუმცსულერითია, ვინ ვარ და რა ვარ...
ალარც სიცილი და ალარც გმინვა
არ მესმის ახლა... ვერ ვხედავ მრავალ
სახეს და საგანს. და თავისუფლად
ვწონი და ვზომავ სახეებს, საგნებს.
მე ვგრძნობ და ვიცი, ქვეყნადვის
უფრო

ტკივა გული და გზას ველარ აგნებს.
კვლავ ფიზიკალია კეთილი სახლი,
სადაც ყველაფერს სახელი ჰქვია,
და გულუბრყვილოდ იკვლევენ ახლაც:

ვინ ადრე მოკვდა, ვინ კიდევ — გვიან.
ახლაც ღიმილი წკრიალებს ხმაში
და მკერდზე მიხაკს ისევ იბნევენ,
ციცინათელა უნთიათ თმაში

და ინათებენ ვნებით სიბნელეს.
მე კი შენს გარეთ და ცალკე ვცხოვრობ,
თუ ამ ცხოვრებას ცხოვრება ჰქვია.

და მარტოდმარტოს, მხოლოდ და
მხოლოდ

ერთი სარკმელი შემომჩნა ღია.
მე მინდა, ჩემო კეთილო სახლო,
კვლავ ჩემს წინ ენთოს შენი მშვენიება,
და გულუბრყვილოდ ვფიქრობ და

ვანდევლობ:
ახლა უჩემოდ რა გეშველება...

ფეიცავარ დედას, შენ მენატრები.
რამდენი რამე დამჩნა უთქმელი.

ახლაც მინთია ფიქრის სანთლები,
შუქივით წმინდა და პირუთენელი.
მე შენზე შორს ვარ და შენზე წინ ვარ,
ვარ მარტოდმარტო და შენთან ერთად.

ჩემი პურია ვარსკვლავის ბრწყინვა
და განშორების სიმღერას ვებედავ.
მე ძლიერ მსურდა წარმომედგინა

ის, რაც შენთან და უჩემოდ ხდება,
მაგრამ დადლილი ფრთები მეტყინა
და ფიქრი ფიქრის კალთაში კვდება.
დაუსაბამო სივრცეებს ველტვი
და სული მტკივა, რომ ვარ უთქვენოდ.

და ახლა ვიტყვი... ყველაფერს
გატყვიო,

რაც კი მიწაზე დამჩნა უთქმელი...
ისევ უსშენენ ჩემი აფრები

თეთრი ტალღების ღიღის და
ტკარცალს,
მე ვიყავ თევზი დიდი ფარფლებით
და მხოლოდ ფიქრმა მაქცია კაცად,
და ცივი, როგორც თევზების ვნება.

მე ისევ შემჩნა ძლიერი ტვინი,
რომელიც დნება და ნელა დნება
თუთუნით, ფიქრით, ქალით და ღვინით.
და მარტოდმარტო, ვით რობინზონი,
და უფრო მარტოც, ეს ღმერთმა იცის,

მე დაფრჩი... მაგრამ მძაფრი მიზანი
თან გავიყოლე. — შენი და მიწის...
მომელანდება: გვირგვინებს გიწნავ
თვინიერს, კეთილს, დამჯერეს,
სულდიდს.

მე რომ მიყვარხარ, — ეს ცოტას
ნიშნავს.

იყო დღეები. — საშინლად მძულდი.
მაგრამ დღეს სხვაა. თითქო თევზი ვარ
და ჭვიან ხმელეთს ნელა ვეჩვევი.
ეს ლურჯი სივრცეც უკეთესია,
ვიდრე ღიმილის ჩუმი ეშვები.

იცოდე მაინც, იცოდე მაინც,
რა ძლიერ გავხარ წვიმიან მაისს,
ხან შენ გცმენენ ჩემი აფრები
და ხან მაღალი ტალღების ტკარცალს,

თითქო თევზი ვარ დიდი ფარფლებით,
რომ შენზე ფიქრმა მაქციოს კაცად...

ცისარტყელების ფერმკრთალ ნადიმზე
მოვედი, როგორც უცხო სტუმარი.

ერთად ინთება სულში ათი მზე,
წინ გაშლილია ცა იღუშალი,
და ძლიერ ვიბსენებ, რაც ჩაიფერფლა
გავარვარებულ სივრცეებს იქით,

დადლილ ცთომილთა ცისფერ
ციფერბლატს
აშუქებს მკრთალი სანთლების რიგი
დროს, — უჩინარ და ერთადერთ

მსლებელს
ვესაუბრები და ღამეს ვუთევ.

იქ წლები გადის... მაგრამ ის წლები
რა არის ჩემთვის, — წაში და წუთი...
და ამ წუთშიაც მე თქვენ მოგმართავთ
და მიწას, — სადაც ჭვევით რომ

მიქრის.
თქვენს გამძაფრებულ ვნებებს

მოხმარდა
ჩემი სიცოცხლე, სუნთქვა და ფიქრი.
ჩემი სიცოცხლე, ფიქრი და ვნება
შრიალებს, როგორც მოჭრილი ტოტი.

და სადაც თოვლი უჩემოდ დნება
და სადაც წვიმა უჩემოდ მოდის.
და წუთი იტევს ათასგვარ ტკივილს,
ფიქრს, მოგონებას, სიხარულს მრავალს

ხანების თრთოლვას, ფერების კივილს,
შეცნობის სურვილს: „ვინა ვარ... რა

ვარ“...

შენ იქნებ გაწვიმს, ან იქნებ გათოვს,
ეს სულ ერთია, — გილხინს ან გიჭირს.
მე კი მარტო ვარ, ღმერთივით მარტო,
შენი ძმაცაი და შენი ბიჭი.

ღმერთივით მარტო ამ ცისფერ ცაში
ლურჯ მოგონებას ემასავით შევრჩი,
და ძლივს ვიხსენებ, რაც იყო მაშინ,
რა ცეცხლიც თვლემდა, ძვირფასო,
შენში,

და ვზივარ ისევ, როგორც სტუმარი,
ცისარტყელების ფერმკრთალ ნადიმზე,
და გაშლილია ცა იდუმალი
და ხანძარს ანთებს სულში ათი მზე...

აქედან მოჩანს... მე შევერევი

ათასწლოვანი გვიმრების ტევრებს,
ჟაკარიელი, მწვანე ველები
დამადევნებენ საოცარ მდევრებს.

დღე-ღამე, როგორც დაი და ცოლი,
შემითვისებს და მომიალერსებს,
მე დავიღლები შამხნარში წოლით
და სანადიროდ დანას ავლესავ,
და უცნაური ნადირის ჯოგებს
გადავუდგები მშვიერი მგზავრი,
თვალებს მოვიფშენებ, რომ ვიცნო
ზოგი:

მამონტი, დომბრა და დინოზავრი.
მერე შემაკრთობს ღამე უმთვარო
და გვიმრის ტოტზე ცეცხლის ქუხილი.
მანც ვეცდები შემოვუთვალო
დღდას და მიწას ჩემი წუხილი,
და მივიძინებ ნადირის ტყავზე,
საკუთარ მკლავებს მოვეფერები,
სიცოცხლის მტვრით და ხმაურით სავსე
ჩემთან ჩათვლემენ მწვანე ველებიც.
გამომალვიძებს ღრენა აფთარის,
ამივებს შიში დაღალულ თვალებს.
შორს ვარსკვლავები აკიაფდება
და დედამიწა — პაწია მთვარე...

ვერაინ მეტყვის: ვერ მივალ... მივალ...
უნდა გავშორდე ნისლეების ბურანს.
და სული, როგორც სინათლის სხივი,
ცისფერ სივრცეში ბეუტავს და
ბრუნავს.
და ქალს, რომელსაც ძინავს ღრმა
ძილით,
გავს სიზმარივით ვრცელი სამყარო

და წაშლილია დრო და მანძილი
და ჩვენი გზების თავშესაყარი
სადღაც დასრულდა... სადღაც
იწყებს

სიცოცხლე ჩვეულ თრთოლვას და
ზეიმს.

ზოგან აცივდა... ზოგან კი სიცხე
ამჩატებს სულს და მიიწევს ზევით.
ათას კოპერნიკს და ათას ბრუნოს
უჭირავს თვალი იდუმალ ცისკენ
და არწმუნებენ, რომ „მანც ბრუნავს“
და ღლით ცის სითბო, სიღრმე და
სისქე.

ვერაინ მეტყვის: ვერ მივალ... მივალ...
უნდა გავშორდე ნისლეების ბურანს,
და სული, როგორც სინათლის სხივი,
ცისფერ სივრცეში ბეუტავს და
ბრუნავს.

და მე ასჯერ და უფრო მეტჯერაც
ავივებ უკვით... მაგრამ იმედად
მე ხელში შენი ხელი მეჭირა
და მარტოობა ვერ მაშინებდა...
დღეს კი მკრთალი ხარ და შორეული,
როგორც სინათლის ათასი წელი...
ივსება ფიქრით თხელი რვეული
და დროს და სივრცეს შენს გამო
ვწყევლი.

დრო კი — დღისა და ღამის გარეშე—
ისევ ნელა და კოჭლობით გადის.
ვერაინ მეტყვის: ვერ მივალ...
მივალ...

უნდა გავშორდე ნისლეების ბურანს,
და სული, როგორც სინათლის სხივი,
ცისფერ სივრცეში ბეუტავს და
ბრუნავს...

მდინარე... ღამით უფრო თბილია,
ცხელი მკათათვე ათბობს, აცხუნებს.
შენი მკლავებიც უფრო თბილია
ღამით. და ღამე შენ მომაწყურე,
და იგი მოდის, თვლემით და ზანტად
და დღეს თვალბზე აფარებს ხელებს.
შრილებს ტოტი, ეცემა პანტა,

ინთება მარსი, ხმაურობს ღელე.
ვის გააკვირვებ ძვირფასო ამით, —
სუსტი ხმაურით, და მანაც ვმღერძი.
უფრო თბილია მდინარე ღამით...
და შენი მხრებიც.. და შენი ყელიც...
დგახარ, საეკვოც და საიმედოც,
ვით ბონდის ხიდი... ქანაობს ბონდი...
ლურჯ სინათლეში თრთის იმერეთი
და შენი თმების სიბნელე მოდის
და შუბლზე მძიმე გიხდება ჭილა,
შშიერ ნუკრით სუსტს და თვინიერს.
თითქოს ორივეს გვექაზის ვილაც.
მდინარე... ღამით უფრო თბილია..

მდინარე ღამით უფრო თბილია.
შენ და მდინარე ასე მახსოვხართ.
ისევე გხედავდე ნეტავ თვინიერს,
შენი ღიმილი გამომაზოგა...
მაგრამ რა ვუყო... მიხმობენ გზები
და მოკიანთე სივრცე ასგვარი,
და სული თრთოლვით მიიწვეს ზევით
და ლტოლვას ჩემსას არ აქვს
საზღვარი...

აქედან მიწას ვუგზავნი კოცნას.

თანაბრად ყველას: დიდსა და მცირეს
ვეფერები და ვუგზავნი კოცნას —
სამყაროსავით ვრცელსა და მძიმეს.
მხურვალე ლავით დაქმულო ქერქო,
ჭალებო, მთებო, ბეტონის ხილო,
მერწმუნეთ, ყველას თანაბრად
გერგოთ

ალერსი — სულში წლობით რომ იღო.
მიჯაჭვულები თოფზე და კავზე
მიყვარხართ ისევე და მებრალეებით,
მე გაჯილდოებთ და ყველას გავსებთ
დიდი და სათნო, ლურჯი თვალეებით.
დიდო ჭოგებო,
ფარებო,
რემავ,
იღინეთ ისევე, მოედეთ მთაბარს.
თქვენამდევ მოვა სალაში ჩემი,
ჩემი სალაში იონჯას მდაბალს...
გაბოლილია ქარხნების კვამლით
ხსოვნა... მე ისევე ჭიუტად ვღუმივარ.
მაშორებს თქვენგან ათასი ხვამლი

და აღარ ვიცი, საერთოდ თუ ვარ.
აქედან ყველას გიგზავნი კოცნას
და თქვენზე ფიქრით ვცოცხლობ და
ვცხოვრობ.

გეფერებით და გიგზავნი კოცნას
და გზას უცნაურს არ უჩინს ბოლო...

ახლა ძნელია გზების არჩევა

და უმოკლესი გზების მიგნება,
ვგავარ გაუვალ ტყეში დარჩენილს,
არ ვიცი, რა და როგორ იქნება.
ხან უცნაურად ელავს ცის კიდე,
ხან ღონიერი ქრიან ქარები.
თითქოს ცოდვები გამოვისყიდე
და სამოთხისკენ მივექანები,
და გაზაფხულის თეთრი ყლორტებით
შუბლს ვიმშვენებ და ღიმილით

ვირთავ
და შენს სამყოფელს ვუახლოვდები,
დამძიმებული ვნებების ტვირთით.
აღმოდებული ტუჩების ვირვარს
მე ვეწაფები და აღარ ვინდობ,
მე კარგად ვიცი... მე ბავშვი არ ვარ...
შენთან რომ ვიყო, შენ უფრო გინდა...
და მეტმასნები, მელტვი, მეკრობი,
და გრილი თმების ბორკილებს მადებ,
და სულში ექვის ჩნდება მიკრობი
და ტვინს ათასგვარ საზრუნავს მატებ.
შენი სხეულის დიდი სამოთხე
მე დამამძიმებს ცოდვილის ტვირთით,
რომ სხვა სიცოცხლევ ფეხზე
წამოვდგეს

და გაიშალოს ახალი კვირტი.
მე შენთან მოვალ... ვუახლოვდები
შენს სახლს, რომელსაც ნაზად
ამკობენ
მძაფრი აპრილის თეთრი ყლორტე-
ბით...

და გვედრები: „შენთან მამყოფე“...
რადგან ძნელია გზების არჩევა
და უგზო გზებზე გზების მიგნება...
და ვგავარ უღვთოდ ტყეში

დარჩენილს
და აღარ ვიცი — წინ რა იქნება...
მე ძლიერი ვარ და თამამი ვარ
ღამით... მაგრამ შენ სადა ხარ ღამით...
ჩემზე ნუ დარდობ, მე რა მომივა,
მე დაცული ვარ ათასი რამით.

შენ ასე მიცნობ. მე კი ვიცვლები ყოველდღე, რადგან ყოველი წამი მავალდებულებს — რაც შეიძლება განვსხვავდებოდე სხვებისგან რამით. ჩემზე ნუ ფიქრობ. მე ძლიერი ვარ ყოყმანის მერე მიცემულ ფიცით. მე მღლის ფიქრი და თვლენა მერევა დღისით. და სიზმრებს ვერ ვხედავ დღისით.

შენ ასე ფიქრობ, მე კი ყოველწამს მეცვლება აზრი შენზე და სხვაზე, ზელში მიპირავს სული, რომელსაც ფიქრით და ფიქრით ვავსებ და ვავსებ...

და შენს მაგიერ ისევ ამავე ცას ვეფერები და ფერმკრთალ ამინდს. მე ძლიერი ვარ და თამამი ვარ ღამით, მაგრამ შენ... სადა ხარ ღამით...

მე ყველა წუთი, რაც დამიკარგავს, მაქვს წარსულისთვის მისესხებული და დამიბრუნებს, რადგან მიყვარხარ რადგან შენი ვარ სულით, სხეულით. ვუმზერ სამყაროს: პატარა გოგომ ლურჯი იები ჩახატა წრეში... დგება სიჩუმე და მაკრთობს, როგორც ძვირფას საფლავთან — ხმაური ზრემის.

ივსება ფიქრით თხელი რვეული, მაგრამ წერასაც გულს ვეღარ ვუღებ, და ნაღვლიანი და ნერვიული დუმილი ავსებს პატარა ბუდეს. მე გამეღვიძა და გავიზმორე და ღმერთისა და ეშმაკის ჯიბრზე კვლავ დავინახე — როგორც სიზმარი, —

შენი მუხლივით მაღალი სივრცე. და ცის სიღრმიდან მესმის: „გვიხსენი, არ შეგვიძლია, უფალო, მეტი“... ვფიქრობ, ვიხსენებ და ვერ ვიხსენებ, საიდან მახსოვს ეს სიტყვა — ღმერთი...

ღმერთს ჩვენ მეორედ მოვპარეთ ციციხლი, მაღალი ციციხლი, ცხელი და მშვიდი,

და წაუშაბტეთ ჩალა და შექვი და აგიზგიზდა კოცონი დიდი, და ცვივა ახლა ძირს ნაღვერდლები და ემატება ნაცარს და ნანზირს. გადამირჩინეთ, თქვენ გვედრებით, — მე ციციხლთან დამრჩა უმწეო ბავშვი...

გვადიზიანებს უცნობი „ხვალე“, როგორც მძინარეს — სინათლე მამარი.

და მოსალოდნელ ტკივილს და აღერს ვართ გადაბმული უხილავ ძაფით. არავინ იცის, რატომ დევნიან ერთმანეთს ასე ჩვენი დღეები. რაც დღეს დასრულდა —

გუშინდელია, წარსულის მკრთალი სამოთხეებით. და ურიგდება ერთმანეთს ზოგი: თეთრი დღეები... ანდა მსგავსები... და როგორც გამხდარ ძროხების

ჯოგი, ერთფეროვნების სვედით ვავსებენ... და გვაფიწყებენ დღეებს დღეები, გარბიან, თვალებს აფახულებენ, და მიჰყვებიან დღეებს დღეები, ძლივს შესამჩნევი ნაფეხურებით... დამუნჯებულებს რკინის ტაბუთი, ზშირად ცხოვრება გვექცევა მკაცრად, მაგრამ, იმედი, როგორც საბუთი, გვრჩება გაფრენილ წუთების ნაცვლად.

ჩვენც... ქრილობიდან გვდის არა სისხლი, არამედ წუთი, და მხოლოდ წუთი... მე კარგად ვიცი, რა არის ზიზლი — ესეც წუთია (მეც... ერთ დროს... მძულდა) —

და გვეჩვენება — დრო სწრაფად გარბის, ხან გვეჩვენება — დრო ნელა გადის, აწეული და დახრილი წარბი... სიხარული და მოწყენა მათი... მე მეჩვენება — დრო ნელა გადის...

მათობს უშორეს სხივის კანკალით ვეშაბი, ვერძი და ღრიანკალი, და შორეული ცთომილების შუქი და-ძმური,

იღუმალების ექვით სავსე და
 ხანდაზმული,
 მიაგავს ქალაქს, თბილს და
 მშობლიურს,
 და კრთის, ანათებს ჩემს ვიწრო
 სარკმელს.
 და ხსოვნა ჩემი თითქო იყოს ვეება
 სარკე,
 სარკე, რომელშიც მოჩანს შენი
 თეთრი მკლავები,
 დიდი მინდვრები და ჭვავის ყანა,
 და მხურვალე და მოყვითალო თივის
 ზვინები,
 ან ქალაქები,
 გაღვლილი ფანჯრების ჩრდილით,
 შენი თვალები,
 შუა გაპრილ ლიმონის ფერი
 და აივანზე გადმომდგარი დედის
 ღიმილი...

მზე — დედა ჩემი...
 მზე, მშვენიერი და საოცარი
 ანთია ცაზე და აღარ ჩადის.
 ვფიქრობ და რეკავს ათასი ზარი
 და მზე ხსოვნაში ამოდის, ჩადის...
 ცხოვრება მთელი — აქ დღეა ერთი,
 ამოსულა მზე და აღარ ჩადის,
 კიაფებს, როგორც ცალთვალა
 ღმერთი,
 გიზგიზებს, ბოლავს და აღარ ჩადის,
 და შეშინია მზის, რადგან მუდამ
 ანთია, ბოლავს, და აღარ ჩადის.
 და მენატრება ღამე, რომელიც
 დაეკარგე, რადგან მზე აღარ ჩადის.
 მაგრამ ყველაფერს ბოლო აქვს,
 ვიცი...
 ოდესმე... ერთხელ... მზე მაინც
 ჩადის...
 ვფიქრობ და ვსუნთქავ, და მიხარია,
 რომ მზე ანთია და... აღარ ჩადის...
 მზე — დედა ჩემი...
 ხსოვნა კი...
 ხსოვნა თითქო არის ვეება სარკე,
 სარკე, რომელშიც მოჩანს ჩემი
 ცალხელა მამა.

ლელის ფოთლები ფარფატებს და
 მხრებზე მაცვივა,
 და მალლა მალლა, მიიწვევენ საკნის
 ბუშტები.
 და ნაღვლობს მამა, რომ ცელქი ვარ
 და ზარმაცი ვარ
 და მალე, ალბათ, სულ გავფუქვდები...
 მეტე ყიდულობს ნახევარ ბილეთს,
 მპირდება ქალაქს და ტრამვაის
 ზარების წკრიალს,
 და მეტე სადღაც
 იბეკნება სამარე თბილი,
 ანათებს მთვარე და ნაძვებში ქარებთ
 ქრინ...
 მთვარე — მამა ჩემი...

ხსოვნა კი...
 ხსოვნა კვლავ მიაგავს ვეება სარკეს,
 სარკეს, რომელშიც მოჩანს დების
 სანდო ღიმილი.
 ფანჯრის რაფაზე მშვიერ ჩიტებს
 უყრიან საეკეს,
 მეტე ორივე გვიანამდე ზის და
 მიმელის.
 სხედან, უცდიან ვარსკვლავების
 ციდან მოწყვეტას,
 რომ მოასწრონ და რამე ჩაუთქვან...
 მე ახლა შორს ვარ,
 ვარსკვლავების ცვენის მოწმე ვარ,
 მაგრამ არ მახსოვს, რა ვინატრო,
 ვისთვის რა ვუთხრა...

გუნდი და გუნდი ვარსკვლავი —
 და და მამა ჩემი...

აწრიალებულ საფლავის ქვების
 გმინვით გმინავენ მეტეორები
 და ყველგან: ზევით, ზევით... და
 ქვევით
 წევს ლურჯი სივრცე და იზმორება.
 სძინავთ ჩახვეულ დღესა და ღამეს,
 უსმენენ ნისლის უცრემლო ტირილს,
 ხმაურით ცვივა წუთი და წამი,
 თრთის უსხეულო, ვეება ჩრდილი.
 სიკვდილი, როგორც უსიზმრო ძილი,
 ფათურობს სადღაც ახლოს და აქვე.
 მოისმის დროის ზარი და ზილი,
 რომელიც სივრცეს ბურუსში ახვევს.

და ძველი, როგორც მამონტის ძვალი,
 ანთია ისევ მღელვარე ტანი,
 ბრიალებს ბნელში ათასი თვალი:
 ლურჯი და ლურჯი,
 ლურჯი და მკრთალი...
 სსოვნაში დნება როგორც ყინული —
 კაცი, რომელიც მიყვარდა ძალზე,
 და მშვენიერი და განწირული
 მოგონებები იცვამენ ძაძებს.
 შენი ვარსკვლავი... აგერ, აენტო!
 აენტო ჩემიც... კრთის და ძაგძაგებს.
 და თვლემენ ასე უერთმანეთოდ,
 ასე შორიშორ...
 ასე ცალცალკე...

დავხატავ, მაგრამ ვისთვის დავხატო...
 და მეც ჯიუტად ვინახავ სათქმელს,
 რომ მოვიგონო, სსოვნას ჩავხედო
 და შერე ვითხრა — ოდესმე, სადმე...
 ან რაც დავწერე — დავწერე
 ვისთვის...

რამდენი სისხლი ფიქრისთვის დავთმე.
 ჩემს დილას ველი და ასე ვიციდი,
 რომ რამე ვითხრა — ოდესმე, სადმე...
 ჩემი ჩურჩულიც მე მესმის მხოლოდ,
 და მაინც ვმღერი, რომ სული გათბეს
 და მოაღწიოს ბოლოსდაბოლოს
 შენამდე, შენთან — ოდესმე, სადმე...
 მაგრამ ჩემს ტკივილს მე ვთრგუნავ
 თვითონ

და თვითონ ვიცი, რას ან ვის ვენდე,
 და კვლავ ვივსებო მუსიკით, თითქო
 ათას სიმღერას ერთად ვისმენდე...
 და კვლავ ვფხიზლდები, და მინდა
 ახლა

ვიცოდე; სად ვარ, რა დღეა, რა თვე!
 და სული თრთოლვით მიიწევს
 მაღლა,
 რომ ისევ შეგხვდეს — ოდესმე,
 სადმე...

შენთან ვბრუნდები, შენსკენ
 მოვილტვი,

მისმობენ შენი შემოგარენი,
 მერცხალი ბუდეს აგნებს ცოფელთვის,
 შორს ვიფრინე და შენ მოგაგენი,
 სიხმარში ვნახე: თივას თიბავდნენ
 და გოგონები თავთავებს მკიდნენ...
 აი, ამ გზისთვის მე დავიბადე
 და მე ამ გზამდე მოვალწევ კიდევ...
 რომ მოვიტანო შენამდე სული,
 გაფითრებული მარტივლის გვემით,
 და მოვიპოვო სიმშვიდე სრული
 და ნავსადგურში დავაბა გემი.

და ძნელი, როგორც კეთილი საქმე,
 წინ კვლავ იცდიან ცისფერი გზები,
 ეცემა შუქი პატარა სარკმელს,
 და მილიმიან ნაცნობი გზები,
 ნელა ბრუნავენ თეთრი ისრები
 და მიდის უამი ახალ თარიღით,
 შორით ვენერას ასდის ნისლები
 და სანდოდ ბეუტავს ბნელში მარბიხი.
 ჩამავალი მზის შუქი და-ძმური
 ელავს სულ ახლო... მე გიბრუნდები...
 და მიწა, ძველი და ხანდაზმული,
 მხვდება. მე აქ ვარ. მე გიბრუნდები.
 მოიმღერიან ფრთების ლაწანით
 (ო, მართლა ვხედავ, თუ მეჩვენება)
 ნილოსი, დნებრი და ალაზანი
 და მტკვარი — ქართულ მიწის
 მშვენიება.

ან სად იწყება, ან სად თავდება
 ან ეს მინდვრები, ან ის ტყეები,
 გულის მომგებად და გადამდებად
 კვლავ იცინიან მძაფრი ღღეები.
 „რა ძნელი იყო... როგორ ძნელია...“
 ვფიქრობ და ვუშვებ სივრცეს
 გათელილს.

თენდება.
 დილას ისევ ელიან
 მამალი,
 გლეხი,
 კუნთი,
 ჰანტელი...

ენის დროები

მ ა ნ ა ნ ა

შემოდგომაა, თბილა, მანქანა ოდნავ ირხევა დრეკად რესორებზე... ქალაქი უკვე მიილია... გზის გასწვრივ ცაცხეები, ნაძვები. აგერ მინდვრებიც დაიწყობნებილი, ყურძენი... ჰო, ეს ხომ საბჭოთა მეურნეობაა.

მანანა ნებივრად გადაწოლილა მანქანაში, თითქო თვლემს. ნელნელა ირხევა მანქანა.

აქ რაღაცას აშენებენ. აი, დავამთავრებთ ინსტიტუტს და, ალბათ, ჩვენც სადმე ახალ მშენებლობაზე წავალთ სამუშაოდ.

რა მარჯვედ მიჰყავს მანქანა თამაზს. ვუყვარვარ? არა? ჰო, არა, ჰო, არა... როგორ ჩუმად სხედან გიზო და ლალი, ისინიც ხომ შეყვარებულნი არიან. ისინიც? განა ჩვენ...

ჰო, არა... ჰო, არა... ოდნავ, სულ ოდნავ ირხევა მანქანა.

— მანანა!

— ჰო, თამაზ...

— რას განუმებულხარ?

გიზო: — შეყვარებულნი მუდამ ჩუმად სხედან. მაინც ასეთი მოგზაურობის დროს. კინაღამ ძილი მომერია.

— გამდლობთ! — ეს ლალია.

— არა, მართლა. ასე მგონია უკვე მივალწვი ყველაფერს და სრულ ნეტარებაში ვარ... აღარც ინსტიტუტი, აღარც შემორჩენილი საგნები, აღარც უსიამო საუბრის მოლოდინი ბერიკაცთან.

— რომელ ბერიკაცთან?

— მამაჩემთან. მინდა როგორმე აკადემიური მომიხერხოს... დაიწყება ისევე: „რას აკეთებდი“ და „რამ შეგიშალა ხელი“, „შენისთანა პირობები“ და არ ვინდა, გაუძლო? ახ, ნეტავი, სულ ასე

ემოგზაურობდე. არც საზრუნავი, არც სიყვარული, არც სიძულვილი, არაფერი, არავინ, არაფერი.

— გამდლობთ! — ეს ისევ ლალია.

— შენი გამონაკლისით, ჩემო ლალი! მართო მე და შენ, სხვა არავინ, სხვა არაფერი... თამაზ, იცი, ჩვენ გადავწყვიტეთ წელს უთუოდ მოვაწეროთ ხელი, რა არის ბოლოს და ბოლოს. რამდენი უნდა ვიცადოთ! მოდით, ქორწილი ერთად გადავიხადოთ, გესმის, მანანა?

თამაზი: — მანანას არ ესმის. მანანას არაფერი ესმის. მანანა უცხო პრინცს ელოდება. აი, იმ ღრუბლებიდან რომ დაეშვება, ოქროს ეტლში ჩასვამს და გააფრენს...

მანანა ხმას არ იღებს.

— რას განუმებულხარ, გესმის, დაცინიან კიდევ! — ხელით შეეხო მხარზე მეგობარს ლალი.

მანანამ მოიხედა, გაიღიმა.

გიზო: — ჩვენი მანანა ნამდვილი ჯოკონდაა.

ლალი: — ვითომ ესეც ქათინაურია! სულაც არ მომწონს თქვენი ჯოკონდა, რაღაც პირბრტყელი, უწარბო, უზარმაზარი შუბლით.

გიზო: — მოდა იყო ისეთი, წარბებს იცილებდნენ, შუბლს იმაღლებდნენ, თორემ უდაოდ ლამაზი ქალია, მერე მოსი ღიმილი... შეხედე, შეხედე. განა არა ჰგავს ახლა მანანას, ასე გაურკვეველად, თითქოს თავისთვის რომ იღიმება? რა სიტყვაძვირი ქალი ხარ, მანანა, თქვი რამე, ქალი!

ჰო, არა... ჰო არა... ჰო, არა...

რა სიწყნარეა ირგვლივ, რად არ და

დუმდებიან და არ მოისმენენ ამ სიჩუქს.

— დაიცა, აქ რაღაც დიდი მშენებლობაა. ჰო, ახალი ელსადგური შენდება. წარმოიდგინე, სრულიადაც არ არღვევენ მიდამოს სილამაზეს ეს ამწეები და ბულდოზერები, თითქო სიდიადეს მატებენ კიდევ. და ეს მთები შორით, შდინარე... რაღაც განსაკუთრებით თავისებური პანორამაა... მოიცა, მოიცა, რომელიღაც მხატვრის სურათს მაგონებს...

— შენ რა პოეტურად ხარ დღეს განწყობილი?

— განა მარტო დღეს? ნეტა რა მინდოდა ამ თქვენს ინსტიტუტში, მე სამხატვროში, ან თეატრალურში უნდა შეესულიყავ... ვადამაკლეს ამ მათემატიკას! ერთი გაიხედეთ, რა გაჩაღებული მუშაობაა, მე კი მეგონა ჯერ მარტო მიწას თხრიდნენ.

— შენც ერთი... თითქო ახლა ჩვენში ზაფხვს ნიჩბით თხრიან, ამდენ მანქანებს მაინც ვერ ხედავ?

— შეანელე, თუ ძმა ხარ, ერთი წესიერად გადავხედოთ... არა, ნამდვილად აქვს თავისი პათოსი ამ საქმიანობას.

— განსაკუთრებით, როცა სხვები ამენებენ, შენ კი მარტო უტყერი, არა?

— თამაზმა სიჩქარეს უკლო.

გრძელი, მოლისფერი „ვოლგა“ ნელა მიზოზინებს გზატკეცილზე. გზის ორივე მხარეს გაცხარებული მუშაობაა. და საოცარი ის არის, რომ ხალხი, მუშები თითქმის არა ჩანან, წინათ თუ ასეთ მშენებლობაზე ზღვა ხალხი იქნებოდა აფუსფუსებული, ახლა აქა-იქ მანქანებთან დაინახავთ სამოთხ მუშას. მხოლოდ შეძახილები გაისმის: „ასწი! არის! დაუშვი!“. მშენებლობის უზარმაზარი მოედნის შუაგულში უკვე იჭრება ახალი გზატკეცილი. გრეიდერის ორიოდ მუშამ წუთით შეაგლო თვალი მსუბუქ მანქანას, ვინმე უფროსი ხომ არ გვესტუმრაო. მაგრამ კოპშიად გამოწყობილი ახალგაზრდები რომ დაინახა, ისევ საქმეს მიჰყო ხელი, ერთმა ჩაილაპარაკა:

— უსაქმურები, რას დასეირნობენ ამ შუადღისას?

— რა იცი, იქნებ რა საქმეზე მიეჩქარებათ? — გამოქეცა მეროგე.

— სიფათზე ეტყობათ რა საქმის ხალხიც არიან! — არ დათმო პირველმა.

გიზო: — რაც გინდათ თქვით და მე აქედან ცქერა მიჩვენია იქ შაბანწყეტას.

თამაზი: — აი, სიზარმაცის აპოლოგია!

გიზო: — ერთი დამიხედეთ შრომის აპოლოგეტს! უკაცრავად, ყმაწვილო, ნეტა რისთვის გიბოძათ მამათქვენმა ეს „ვოლგა“?

თამაზმა მხრები აიჩქარა:

— არ იცი? მეორე კურსზე რომ გადავედი...

— დიდი შრომა გაგიწევია! ინსტიტუტში შევიდა — „მოსკვიჩი“ მიიღო, მეორე კურსზე გადაძვრა — „ვოლგა“ მიართვეს, მერე, ალბათ, „ჩაიკას“ მიართმევნ... არა, უნდა დავაჩქაროთ ჩვენი ავტომშენებლობა, თორემ რა აუვა მაშინის კეთილ გულს! ცალკე ბინაც ხომ მოგიწყო?

— მომიწყო, მერე რა?

— რა გიჭირს, რა! შენ რომ მამა გყავს, ტყუილია. თორემ ჩემი ბერიაცი სულ იმას გაიძახის: მე თუ პატივს მცემენ, ეს მე დავიმსახურე, შენ ჯერ არაფერი დავიმსახურებია, ბედნიერი უნდა იყო, სასმელ-საჭმელი და სწავლის საშუალება რომ გაქვს, სხვა თვითონ უნდა დაიმსახურო, მდგომარეობას თვითონ უნდა მიადწიო, ადამიანი უნდა ვახდეს!.. კაცო, ბედი არ გინდა? ეს ჩვენი მოხუცები ხომ სულ გვერდი-გვერდ იყვნენ, ერთად შრომობდნენ, ერთად იბრძოდნენ, ერთი და იგივე მიზანს მისდევდნენ, მერე ერთი მამაშენი დადგა, მეორე — მამაჩემი?! ბედი რომ არ ექნება კაცს! „ვოლგა“ კი არა, ერთი მოტოროლეტი ვერ დაეტყუე.

— გაიხედეთ, ეს ვინ არის? — შეაწყვეტინა ლალიძე.

უზარმაზარ ამწესთან შნოიანი ახალგაზრდა ფუსფუსებს. მუშებს მოეთათბირა, რაღაც გაასწორა და ისევ ზევით აცოცდა.

ლალი: — მიიყვანე, მიიყვანე, ეს ზომ გვიია!

გიზო: — გივი, ჩვენი გივი? საი-დან? მიიყვა, თაზო!

— გივი, გივი!!

მანქანა ზედ ამწესთან მიაგდეს.

— გივი!

გივი უკვე ზევით კაბინაში ზის, მოტორი ჩართო, გადმოიხედა, იცნო ყველა, გაუღიმა, ხელიც დაუქნია.

— უყურეთ ერთი, აქ სად მოსულა!

— იმიტომ არ ჩანდა წელს ინსტიტუტში...

— თავი დანებებ?

— ჰო, მაგას ხომ მამა დაეღუპა... ახლა მომაგონდა. ამ ზაფხულს გაგრაში მითხრა ვილაცამ... დიდი ოჯახი ჰყავს. დები, ძმები, სულ პატარები... გახსოვს, მანანა, ერთხელ ვიყავით მასთან.

მანანა ზევით იჭიკრება, მერე მანქანის კარს აღებს, გადადის.

ლალი: — გადავიდეთ, ბიჭებო? რა საინტერესოა, როგორ თამაზად უჭირავს თავი?

მუშები მასალას ამზადებენ, ილიმეზიან.

— იცნობთ გივის? კომუნისტური შრომის ვახტზე დგას.

— არა, მართლა?

— მაშ.. თქვენ, ახალგაზრდებო, რას აცეთებთ?

— ჩვენ ვსწავლობთ...

— სწავლობთ? მერე დღეს რა, არაღდეგები დაიწყო?

— არა, რატომ, თავისუფალი საათები გვქონდა და...

— ჰოოო, გასაგებია.

— მანანა, გახსოვს, რა უცნაური იყო მუდამ გივი? არა, დარწმუნებული ვარ, ისეთი გასაჭირი არა აქვს, რომ სწავლას დანებდოს თავი, ბავშვებს უსათუოდ პენსია ექნებათ, თვითონაც ხომ სტიპენდია ჰქონდა, მაგრამ, ალბათ, გადაწყვიტა... მუდამ თავისებური იყო...

— გივი! — იძახის მანანა.

— უყურეთ, მანანამ ხმა ამოიღო.

— გივი, ჩამოდი!

მოტორი გუგუნებს, გივი ილიმეზა, ხელს იქნევს.

თამაზი: — წავიდეთ, ხომ ზედავ, ჩვენი თვის არა სცალია.

— გიზო: — წავიდეთ, მანანა! მანანა ჯიუტად: — არა!

გიზო: — უყურეთ. მანანას!

ლალი: — მართლაც წავიდეთ, მანანა, უხერხულია, შეხედე, მუშები დაგეცინიან.

— თქვენ წადით, მე მინდა გივი ვნახო, გივი!

გივი ხელს იქნევს — არ მცალიათ.

მანანა: — როდის განთავისუფლდები?

ლალი: — მართლა, ხომ არ მოგაგონდა ძველი ამბავი? გახსოვთ, ბიჭებო? არა, თამაზ, შენ ხომ ჩვენთან არ იყავი, გიზო, ხომ გახსოვს, სკოლაში...

მანანა: — რა სულელი ხარ!

ლალი, იცინის:

— კარგი, რახან ჩვენი ჯოკონდა მოითხოვს, დავსხდეთ მაინც სადმე ჩეროში.

თამაზი მაჯის საათს დაჰყურებს:

— მალე მოათავებენ, დაუტყალოთ. რახან არ იშლით.

ჭრელ-ჭრელ ნეილონის კაბებში გამოწყობილი ქალიშვილები და არა ნაკლებ ბრელ-ბრელ ჯემპრებიანი ყმაწვილები უცხო თაიგულივით განლაგდნენ მოშორებით, გორაკის ფერდზე. გიზო ხელით ანიშნებს გივის, აქ ვართ, მერე მოდიო.

ლალი: — საოცარია მაინც, რაში დასჭირდა? მერე რა კარგად სწავლობდა.

გიზო: — არც ისე, ხუთოსანი ზომ არ იყო.

ლალი: — ხუთოსანი! ვინ ლაპარაკობს, ერთი სამიანი ვერ დაგითრევია, მესამე წელია მეორე კურსზე ვერ გადამძვრალხარ!

გიზო: — ცუდადაა ჩვენი საქმე, თამაზ. ვახტზე მდგომმა ქაბუკმა სასტიკად დაგვჯანა. მგონი აქ აღარც შენმა „ვოლგამ“ გაქრას!

თამაზი იცინის:

— რას ერჩი, შრომობს ბიჭი. რომ ჰქონდეს, ეგეც კარგად გააქროლებდა, მაგრამ, როცა არა აქვს...

ლალი: — არა, არა, რომ დასციინით,

ერთი მითხარით რა უფრო სასიამოვნოა, შენი ნაამაგართი შეიძინო რამ, თუ მუდამ დედ-მამას შესცქეროდე ხელში?

გიზო: — ეპეი, შენ თუ ელოდე როდის შევიძინე მანქანას ჩემი ნაამაგართი, კარგა დიდხანს დაგვირდება ლოდინი.

ლალი არ უსმენს:

— ან რას ერჩით, როგორ ესწავლა უკეთ, საკუთარი კუთხეც არ გააჩნდა. ერთ ოთახში იყო ამოკუჭული ეს ამოდენა ხალხი...

თამაზი მანანას შესცქერის:

— არაფერია, სამაგიეროდ ახლა ცალკე ბინას მიიღებს ალბათ. ან ვინ დაუკავებს შრომის გმირს...

გიზო: — კარგი ერთი, ცალკე ბინა კი არა, ის არ გინდა!

ლალი: — შენ რა გგონია, ბინასაც მიიღებს და ყველაფერსაც, ვიდრე შენ...

გიზო: — ლალი!

თამაზი: — ნუ ჩხუბობთ, შეყვარებულებს არ შეეფერებათ...

— ნეტა ვინ არიან აქ შეყვარებულნი?

ეს გივი ჩამოსულა და მოახლოვებია კიდევ. — ჰო, ლალია და გიზო, სულ დამავიწყდა, გამარჯობათ თქვენნი.

— გივი! როგორ მოგვეპარე, აქ რას აკეთებ, ბიჭო!

— არ ხედავთ, რასაც ვაკეთებ, თქვენ საიდან გაჩნდით აქ?

ლალი: — ჩვენ ესეირნობდით. არა, შენი ამბავი გვითხარი, როგორ მოხვდი აქ?

— ჩვეულებრივად, — მხრები აიჩეჩა გივიმ, — მანანა, გამარჯობა! როგორ ხარ? სხვა, რა ამბავია ჩვენს ინსტიტუტში?

გიზო: — უშენობა დაგვეტყო.

— არა, მართლა. ეს „ვოლგა“ შენია, თამაზ? „მოსკვიჩი“ რა უყავი?

— „მოსკვიჩით“ ახლა მამამისი დიდის ხუმრობა საქმე ხომ არაა, თამაზი მეორე კურსზე გადავიდა!

გივი: — ო, ეს დიდი ამბავია!

თამაზი: — დამცინი?

გივი: — რად დაცინი? მე, მაგალითად ვერ გადავედი.

გიზო: — ვერ გადახვედი, თუ არ გადახვედი?

გივი: — ეგ სულ ერთია.

გიზო: — ბიჭო, მერე ასე დავიწყება შეიძლება? მოსულიყავ, გეთქვა მიინც.

თამაზი: — რას გვიკადრებდა, ვერ ხედავ რა წარმატება აქვს — შრომის გმირი გამხდარა!

— შენ მუდამ ასეთი ხუმარა იყავი, თამაზ!

— ჰო-ო? შენ ვითომ ნაკლები ხუმარა ხარ?

— არ მესმის.

— არ გესმის და გაიგე!

ლალი: — რა იყო, თამაზ!

— არაფერი! კმარა, თუ მოდიხართ, წავიდეთ, დაგვალამდა!

— რა დროს ღამეა, შე კაცო?

ლალი: — წავიდეთ, წავიდეთ! მართლა, გივი, თუ გინდა, წავიყვანთ.

გივი: — გმადლობთ, ჯერ არ მცალია.

— რით დადიხარ ქალაქში, თუ აქ ცხოვრობ?

— ავტობუსი დიდის.

— ავტობუსი?

— ჰო, ჩვენი, მშენებლობის.

— ა-ა... სწავლას აღარ აპირებ?

— რატომ არა, ვაპირებ.

— დაუსწრებელზე?

— ალბათ, ვნახოთ!

— მაშ, წავიდეთ, გიზო. თამაზი უკვე მანქანაშია... გივი, იქნებ წამოსულიყავ...

— არა, ხომ ვთქვი, არა მცალია, მშვიდობით.

მოტორი ახმინდა.

— მანანა! — ეძახიან მანქანიდან.

მანანა: — ასე როგორ დაიკარგე? ერთხელაც არ მოგაგონდი?

— შენ, მანანა?

— მე... მე რა?..

— კარგი, ნუ განიცდი, ხდება ხოლმე.

— მანანა!

— გეძახიან. ხედავ, თამაზი ღელავს.

— მერე რა, რომ ღელავს?

— რა კარგი მანქანაა...

— ჰო, კარგი მანქანაა.

— ბინაც მოუწყესო, მითხრეს...

— ჰო, მოუწყეს, გივი, რა გინდა ამით თქვა?

— არაფერი არ მინდა ვთქვა...

— გივი!

— რაო, მანანა?

— ჰო, გივი, რა კარგია რომ გნახე, იცი...

— რომ არ გენახე?

— გნახავდი, უსათუოდ გნახავდი, დარწმუნებული ვარ... იცი, აი დღესაც ვიჯექი მანქანაში, თითქოს ვთვლემდი და, მგონი სულ ვფიქრობდი, ვნახავ, ვნახავ, ვნახავ... გესმის, გივი?

— გესმის, მანანა.

— მა-ნა-ნა-აა!

— წადი, მანანა, გეძახიან.

— ჰო, მე წავალ, ახლა, გივი, მაგრამ... ნახვამდის, გივი, გესმის, ნახვამდის.

— ნახვამდის, მანანა!

— მა-ნა-ნა-აა!!!

— მოვდივარ, მოვდივარ, ნახვამდის გივი!

გიზო, იცინის:

— ძლივს არ მოვწყვეტეთ ეს ქალი? თამაზ, ფრთხილად, თორემ მანანას გმძირი ვატყობ სახუმარო მეტოქე არ არის! ეგეც არ იყოს, ძველი მეგობარია, სიფხიზლე, ყმაწვილო, სიფხიზლე!

თამაზი მანქანას რთავს:

— არა, მე გივისი არ მეშინია, ვერაფერი უცხო პრინცი გახლავთ, ა, რას იტყვი, მანანა!

ლალი გაბრაზდა:


— მანანას ათქმევინებ რამეს? ზის და ილიმება... ჯოკონდა! თქვი რამე, ქალო!

მანანა ღღმს.

ბინდდება.

...რა ლამაზი მინდვრებია, და ეს მთები შორით. აი, კიდევ გამოჩნდა მშენებლობა, ამწეები, ექსკავატორები, გრიდერები მწუხრის ბინდში გახვეულან. მხოლოდ აქა-იქ თუ აპრიალდება დაგვიანებული მზის ირავი სხივი რომელიმე მანქანის ფოლადის ზედაპირზე და ისევ მიჰქრება.

ჰო, არა... ჰო, არა... ჰო, არა...



მთარ პალაგაჰიძე

ძ ა ხ ი ლ ი

როგორ აიგოს
ზღვის სურნელით ჩემი ოთახი,
როგორ დაეხა
ზღვის შრიალში სულს მყუდროება:
მე ასე ველი
უკვდავების დიად მოძახილს,
მე ასე მჭერა
ჩემი ჭერის მოახლოება!

სველი ლაევარდი
მძიმე-მძიმედ სულში შემოდის
და მე გავყვირი
მთელი გულით, მთელი არსებით:
ვინა ხარ-მეთქი,
ვინც ამ ბეწვის გზაზე მშველოდი,
ცოტაც მიშველე
და ცას შუბლით მივენარცხები!

მთარ კანდელაკი

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ა

დღეს მე ვიმღერო სულ სხვა ხალისით,
ციდან მიცინის ხარიზბარია,
გაზაფხულია, ბრწყინავს აისი,
გაზაფხულია და მიხარია!

დღეს მზის სხივებიც სულ სხვაგვარია,
ნამდვილ ბაჯალლოს ოქროს ფერია,

არ ვიცი, გულიც რაჰ გადარია,—
მას ჯერ ამდენი არ უმღერია,—

გამოიცივალა, სხვანაირია,
სიცოცხლის ეშხით დაბანგულია,
ბორგავს, ბობოქრობს, გადაირია.
გაზაფხულია, გაზაფხულია!



ღამე მხელავში

ყ ა ბ ა ხ ი *

თავი მეთორმეტი

1

გოგომ გაოცებული თვალი გააყოლა ზევით წასულ ამხანაგებს და ერთხანს დაბნეულად იდგა კანტორის კიშკართან. მერე გამობრუნდა და გზას გაუყვა.

შავი ღრუბლებით ჩამოქნული ღამე დასწოლოდა ჭალისპირს.

შარაგზიდან მანქანების ბღელი მოისმოდა და შუქფარების სინათლეები სიგრძივ კვეთავდნენ კაკლებისა და ალვის კენწეროებს.

გოგომ უკანდან სწრაფი ფეხის ხმა გაიგონა და მოიხედა.

გზაზე ვილაყის ლანდი მოიჩქაროდა. გოგომ ისევ განაგრძო გზა.

ფეხის ხმა უფრო ახლოვდებოდა.

გოგომ ჩაუარა ბალამწარიანთ მესერს, გასცდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ეზოს და ღობის პირას გამავალ რუს გაუყვა.

— ფეხის ხმა სულ ახლოს გაისმა და თავისი სახელიც გაიგონა.

გოგომ ხმაზე იცნო, ვინც იყო და თითონაც აუჩქარა ფეხი.

ერთხანს თანაბარი ნაბიჯით მიდიოდნენ, მაგრამ მერე მდევარიც აჩქარდა და წამოეწია.

— შენ არ გესმის, რომ გეძახი?

გოგო ხმას არ იღებდა.

— მოიცა, ელიკო, უნდა ვითხრა რამე.

გოგო არ შეჩერებულა.

ლანდმა წინიდან გადაურბინა და მიქლანთ კაკალთან მოუჭრა გზა.

— რატომ არ ვაჩერდები?

— რა გინდა, ხომ ხედავ ხმას არა გცემ, რას გადამიკიდებხარ?

— ნუ მცემ ხმას, მე ჩემზე არაფერი მინდა ვითხრა. საქმეზე უნდა მოგელაპარაკო.

გოგო შედგა და გაიკვირვა.

— რომელი საქმე აგიჩნდა? ხომ არ ფიქრობ, რომ ყურძენი უკვე დამწიფდა და ვენახში თითონ მე შეგიძღვებით?

— კარგი, ერთი ელიკო, ახლა რა მოხდა თუ ბიჭებმა ერთი-ორი ატამი გაკბიეს.

— ძალიანაც მოხდა. მამაჩემი ამბობს მთელი ხროვა იყო შიგაო, გავილეწიათ იქაურობა, ჩემი თვალთ ვნახე. შენ შედიოდი, შედიოდი, — იმოდენა ნახიროსა დალი მიგყავდა?

— ხომ ვითხარი, მივქარე-მეთქი. რაღა გინდა. ეხლა დამაცა, რა უნდა ვითხრა.

— მე შენი არაფერი აღარ მინდა, დამანებე თავი, ძალიან კარგად იცოდი, რომ ის ვენახი ჩვენი იყო.

ლანდი გაბრაზდა.

— რა მოხდა მერე, ქვეყანა დაიქცა?

— მთელი ჭალისპირი რომ ამობრუნდეს, არც იმით დაიქცევა ქვეყანა, გამიშვი.

— არ ვაგისმევ, დაიცა ცოტა ხანს.

— გამიშვი, შაქრი, თორემ მამაჩემს ვეტყვი.

— მამაშენი კი არა, მთელი ჯავახიანი თავზე რომ დამეკეთ, ეხლა აქედან ფეხს არ მოგაცვლევიან.

გოგო მოტეხა ამ სიჯიუტემ.

— კარგი, ვიდგეთ აქ გათენებამდის

და იქაქანე, რაც გინდა. სულ ერთია, ყურს არ დაგივდებ.

— პატარა ბალღივით ნუ მებუტები. რაც გავაფუქეთ, ათ იმდენს მოგიტან, თუ გინდა. რა მოხდა, ახლა. ჩათვალე იგრე, ვითომ მარტო მე ვქამე.

— მარტო ჭამაში არ არის საქმე. რატომ აფუქებთ სხვის ნაშრომ-ნაოფლარს. თითონ ჩხირის გვერდზე გადაბრუნებაც არ გინდათ და სხვისას დაუნანებლად ატიალებთ.

— ხომ ვთქვი, მივქარეთ-მეთქი. როდისმე გადაგიხდი სამაგიეროს. გინდა, რთველზე მოვრეკავ ბიჭებს და მთელ ვენახს იმათ დაეაქრეფინებ.

— მადლობა მომიხსენებია, ისინი, რასაც არ გააფუქებენ, არას გამოიკეთებენ იქა.

— ან ქვევრებს გავარეცხინებ, ან დავაწურინებ, ან კიდევ თოხნაში გიშველით როდისმე.

— მამაჩემს სამადლო არა სჭირს რა, — მოლბა გოგო.

— კარგი, ეგრე იყოს, — დაფიქრებით თქვა ბიჭმა, — მხოლოდ აი, რას გეტყვი: ნულარ შემღურები. როდემდის უნდა გაგრძელდეს ეგრე, ხომ უნდა შეერიგდეთ როდისმე?

— შერიგებაზე არ იფიქრო, მე მაშინ სულელი ვიყავი. ეხლა კი ვიცი, რა ბიჭიკა ხარ. ეგრე ყარაჯალელმა თათრებმა იციან: ცოლები მუშაობენ, ქმრები კი გრილოში გორაობენ. სულ ერთია, შენგან კაცი არ გამოვა.

შაქრისა გაციხა.

— ეხლა აღარც ყარაჯალელები წვანან უქმად. შენ ვერ ატყობ, ამ ბოლო დროს როგორ გამოვიცვალე?

— რა უნდა შეგატყოს? რა თომაც იყავ, ტყავიც ის გაცვია. თუმცა საკვირველი კია, რომ დღეს კრებაზე მოხვედი.

— მარტო დღეს კი არა, შენ უყურე, სხვა დროსაც მოვალ.

— იარე, გიყი თავის ნებაა. მე კი თავი დამანებე.

— ვივლი კიდევაც და არც თავს დავანებებ. მე და შენ უნდა გავუძღვეთ

გაზეთს. დედა ვუტირე ტოროლაანთ წიკუას, ძია ნიკოს ოხტში უნდა ამოვივდე. მაგას როგორ შევარჩენ, ურთმ ჩვენში ეხლა ოფლარ-ნაწვალელები ადგილი წაგვართვა და გარაეს აკეთებს. მთელი კვირა ვწვალობდით, იმოდენა ქვეები კალთით გავზიდეთ, ბიჭებს კუჭები ჩასწყდათ ლოდების წვეით და ჯაგები, ხომ გახსოვს, როგორ იყო მოდებული მთელ ნარიყალზე. ნაკაწრ-ნალადრი ორ კვირასაც არ მოგვრჩენია. მაგას როგორ შევარჩენ?

— ნუ შეარჩენ, მე კი თავი დამანებე.

— ახლა ძალიანაც ნუ კი ვაიბლინძები, რაკი ხატვა და გაზეთის გაფორმებაც შენ მოვანდეთ.

— მე რას მომანდეთ? როდის შეგეხვეწეთ, მომანდეთ-მეთქი? უარი ვთქვი, მორჩა და გათავდა. ეგლა უნდა თავმჯდომარეს რომ გაიგოს. უმაგისოდ ხომ თვალში ვუზივარ.

— ვერაფერსაც ვერ გაიგებს, ჩვენ არ ვეტყვით და თითონ მკითხავი ფეფენა ხომ არ არი?

ლობეს იქიდან კარის ჭრიალი მოისმა და მიქელაანთ სახლის აივანზე ვილაც გამოვიდა.

— გამიშვი, არავენ დაგვინახოს აქ. პეტი კი არ უნდა ჭორიკანებს, — გამწარებით აჩურჩულდა გოგო.

— დაგვინახონ, რას წაიღებენ.

— გოგომ მაინც მოახერხა კაკალის ქვეშიდან გასვლა და ლობეს ფრთხილად გაუყვა.

შაქრია აედევნა.

შარაზე გავიდნენ.

— კარგი, ნულარ მოდინარ.

— გზა იმისია, რომ უნდა იარო.

გოგო გაჩერდა.

— ანდე, წადი და იარე.

— არა, მარტო რალაც არ მეპრიანება. ტყუილად ითრევე ფეხს, მე და შენ ერთად გვიწერია სიარული.

— ეგ დრო წავიდა უკვე, შაქრი.

შაქრია შედგა, მობრუნდა და გოგოს შიშველ მკლავში წაავლო ხელი.

— წამოდი, ელიკო, თორემ მამაძალი ვიყო, თუ ერთი დინამიტი არ და-

გიდოთ და მთელი ჯავახიანი არ აგაფეთქოთ.

გოგოს უნდოდა გაეშვებინებინა, მაგრამ ჩასაბერს რბილი, გრილი და დაეღეტრონებული მკლავი მაგრად ეჭირა.

ისევ ის ჭიუტი ბიჭი, ისევ ის ღონიერი ხელი, ისევ ის დაუსვენარი ენა და თავი. გოგო ნებას დაჰყვია და გვერდით გაჰყვია.

— დინამიტზე და აფეთქებაზე კი მარჯვედა ხარ. თქვენ ჯერ ის შეგარჩეთ, რაც ააფეთქეთ და მერე სხვა იკითხეთ.

— შერჩენილია და ეგ არი. გზა გავაკეთეთ იგეთი, რომა, თუ გინდა კომბაინის ხედერს დაიტყვს.

• ხიდის ყურთან შეაჩერა თანამგზავრი და რიყეზე შავად გალანდულ ყორეებზე მიუთითა. — აბა, გაიხედე, ბულოზერი კიდევ იქ არი?

— აქედან რა უნდა დაინახო ამ სიბნელეში?

— თვალეში რომ პრაექტორები გედგას, მაინც ვერ დაინახავ. აბა, ყური დაუგდე ტრაბტრაბი არ გესმის? წარაფებში წაიღო ომარამ.

— მერე?

— ეს ის ბულოზერია. მეორე დამეა, რაც მუშაობს. ეხლა მთელი ბიჭები იქ არიან, კრებიდანაც იქ წავიდნენ. მეც იქ მივდივარ ამაღამ, კიდევ გვიკლია გაწმენდა, ალბათ, ხვალ მოვრჩებით სულ. ჩემმა მზემ, მოედანი იქნება იგეთი, რომ თელავის სტადიონს ემჭობინება.

— თქვენ ვინ მოგცათ ბულოზერი?

— მაგ ბულოზერს შამრელანთ ომარა ამუშავებს. დღისით ზიდის საჯებრო ყორეს აკეთებს და დამე ჩვენ გვშველის. ჩვენ ვუთხარით, პურმარისს არ მოგაკლებთო, და ხომ იცი, ღვინო როგორ უყვარს.

— ეხლა ღვინო სადლა იშოვეთ?

— შალიკოს მოვატანინეთ. დალევს ერთ ბოთლს, წამოვარდება, მოახტება ბულოზერს და გიჟივით მუშაობს. ჯერზე მეტს არ ვასმევთ, დაითვრება და ფეხებზე დაგვიკიდებს. დილაზე უკ

ვე გაწმენდილი იქნება იქაურება და ხვალ თუ ჯაგი ან ფესვი რამე დარჩა, ჩვენ გავწმენდთ.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და მე თავი დამანებეთ.

ხიდი გადაიარეს.

— წყალი არ გინდა?

— არ მინდა.

— მოდი, დავლიოთ.

— არა მწყურიან.

— კარგი, ნუ გწყურიან, მე დავლევ.

— გამიშვი ხელი, მიდი და დალიე.

— არა, ხელს ვერ გაგიშვებ, ეგრე უნდა მეჭიროს.

— გეშინიან, გავიქცევი? დალიე, არ წავალ.

— მართლა?

— მართლა.

ჩასაბერმა ცალი ხელი მიღს ჩასჭიდა, ცალითაც აუზის კიდეს დაეყრდნო და წყალს დაეწაფა.

— აი, ეხლა კარგი გოგო ხარ, — შეაქო ჩასაბერმა და შიშველი მაჭით სველი ტუჩები მოიწმინდა. — აქეთ მოდეთი, წყალზე არავინ მოვიდეს.

— შაჭრი, იცოდე, მამაჩემი კანტორაში ამოვა, თუ სახლში დროით არ მივედი. ხომ იცი მამაჩემის ამბავი არა?

— მეც მალე ვარ ასასვლელი წარაფებში.

— კარგი კი იქნებოდა სულ არ წასულიყავ იქა, დაანებე თავი, იმათ იმტვირონ თავ-პირი. თუ მუშაობა გინდა, კოლექტივში გამოდი. შრომადღეც და გეწერება და ხალხიც იტყვის, მორჯულე ბულო. ერმანა შენი ტოლი არ არი? რით არი შენზე მეტი? ტანი იმაზე ნაკლები არა გაქვს და ღონე. ან კომკავშირის საქმეს იმაზე ნაკლებ გავძღვები? როდემდის უნდა იარო გარე-გარე, ან ეგრე აბირებ ოჯახის აშენებას? პაპა-შენს რას უყურებ, იმან თავისი დრო მოჰამა. თითონ პატარა ბიჭივით დაყილობს და მთელი ოჯახი დედაშენს აწევს ზურგზე. მაგან გატეხა და დააბერა ის საწყალი. მაგანა და შენმა ყურებამ. არ გენანება მაინცა?

— აბა, აბა, დაიწყე ისევ შენებულად. მე ვიცი ჩემი საქმისა. ეგლა მაქლია, ძია ნიკო დამადგეს თავზე და წაღმა-უქულმა მაძლიოს განკარგულებები.

— შენც ნურავის ნუ დაიყენებ, დადექი და შენ თითონ იმუშავე. სხვები როგორ მუშაობენ?

— როცა საჭიროა, მეცა ვმუშაობ, შენ ხომ არა გგონია, პაპაჩემი თოხნის ბოსტანსა და ჩვენს ნაკვეთს, მე ვაკეთებ ხოლმე.

— ნუ სტყუი, შაქრი, დედაშენი აკეთებს.

— მე და დედაჩემი ვაკეთებთ.

— სულ ეგ არი?

— მეტი გინდა? აი, ხომ ხედავ, ეხლაც სამუშაოდ მივდივარ.

— მაგას არავინ დაგიმადლის, შაქრი, და არც ვინმეს გამოადგება რამეში. გამოდი კოლმეურნეობაში, ერთი-ორჯერ მაინც დაენახვე ხალხსა, რომ სალანძღავად არ ჰყავდე.

— შენ მითხარი, ვინ მლანძღავს და დედას ვუტირებ.

გოგო გამობრუნდა უკან და გზისკენ გასწია.

— შენთან ლაპარაკი წყლის ნაყვია. შენგან აღამიანი არ იქნება.

ჩასაბერი წამოეწია და ისევ აუხის იქით მიავლო.

— შენ ჩემს აღამიანობას ეგრე ადვილად ნუ წამოჰკრავ ხოლმე ხელს, რამდენჯერ მითქვამს შენთვის? ტყუილად იწევ, ხომ იცი, რომ არ გაგიშვებ? ჯერ რაც სათქმელი მაქვს, უნდა გითხრა.

— თუ რამე გაქვს სათქმელი, თქვი დროითა და მორჩი, თორემ წავალ ნამდვილად. ნახევარი საათია ილოღნები უკბილო ბებერივით და არაფერი გითქვამს!

— თუ რამის თქმა გინდა, ჯერ უნდა იცოდე, გიგდებენ თუ არა ყურს და მერე ილაპარაკო. აი, რას გეტყვი: ის გაზეთი ფაქტიურად მე და შენ უნდა გავაკეთოთ. ბიჭები დაღესილები არიან და მასალა ბლომად გვექნება. ნახატ-

ბისთვის თემებს, თუ გინდა, სულ მე მოგიგონებ, ხატვა შენზე იყოს.

— იქაც უარი ვთქვი და ეხლაც გეუბნები, შაქრი, დრო არ მექნება, ზაფხულია და აუარებელი საქმეა, როდისღა უნდა მოვასწრო ხატვა? — წუხდა გოგო.

ჩასაბერი იხტიბარს არ იტეხდა.

— ლამე ვიმუშაოთ. მე მოგვხმარები, სოსოც მოგვეხმარება, მახარესაც მოვიყვან, ნოდარასაც. თუ გინდა მთელ კომკავშირს მოგაყენებ კარზე.

— ეგ ყველაფერი წიქარას ზღაპარია. ჯერ ერთი მამაჩემი ფეხს არ მოგადგმევინებს ეზოში და მეორეც — მე არ გაშიშვებს სადმე.

— შენ მაგაზე არ იღარდო. მე გეტყვი, როგორც უნდა გააკეთო: ლამე ადრე დაწეკი დასაძინებლად და თავი მოიძინარე. მამაშენი დაიძინებს თუ არა, მაშინვე ადექი, ჩაიცვი და გამოეპარე. გინდა ჩვენსა გავაკეთოთ გაზეთი და გინდა სოსოსთან.

— შაქრი, დამეხსენით, დღისით ნამუშევარი ვიქნები, ლამე დასვენება და ძილი მინდა, დამეძინება და მერე აღარ გინდა გაღვიძება?

— ვიცი, სადაც იძინებ აივანზე, მე გაგაღვიძებ. დედას ვუტირებ, ერთ კვირაში უნდა გავუქრა ძია ნიკოს კედელზე თავისი სიფათი.

გოგო ცოტა ხნით დუმდა და მერე მწუხარებით ჩაილაპარაკა.

— ნეტა რას აგახუნხულათ იმ კაცმა, უძისოდ ჰკუადალაგებულები იყავით? თითონ არხეინად იჯდა კრებაზე და ალბათ, გუნებაში ეცილებოდა, თქვენ კი ერთი წიწვეა-გლეჯა გქონდათ გამართული. არა, რაღა შენ ამოგიჩიეხს რედაქტორად? რა მუყაითი კომკავშირელი შენა მყევხარ? რატომ ერთი თავმჯდომარე არ იყო იქა და არ დაგიფრინათ კრებიდან? ერმანა რაღამ გაასულელა, რომ დათანხმდა? ისიც შეშალეთ ჰკუაზე ეს ერთი ხანია, და ნახე — მდივნობიდან თუ არ გამოაბუზურებენ მალე.

— თითსაც ვერ დააკარებენ, კომკავ-

შირელები ჩვენა ვართ და გინდა დავნიშნავთ და გინდა მოვხსნით. ვინ უნდა გამოაბუხუროს? მართლა ეგრე კი არ არი, რომ ვისაც მოუბრიანება, ყველამ ხელი აგვიქნოს. კომკავშირსაც ეკითხება რაღაცა. ძია ნიკოს ვინ მისცა მაგის უფლება, რომ ხმა გაგვეცეს, თუ არა დავუშავებთ რა?

გოგო აენთო.

— ეს სულ იმისი ბრალია, სულ იმისი ბრალია, თითონ დაეხეტება უსაქმოდ და თქვენც გადაგრიით, რეებს გასწავლით, რეებს გასწავლით? დაანებე მაგას თავი და მოდი, კოლმეურნეობაში იმუშავე. მოდი, შაქრი, თუ გინდა ჩვენს ბრიგადაში მოდი. ერთად ვიქნებით. რა არი, არ მოგწყინდა ეგრე უზო-უკვლოდ ხეტიალი?

— შენ, ელიკო, თანდათან ენა ნუ აიდგი. ახლა დღის წესრიგი შემოდგინე, როდის რა უნდა გავაკეთო. მე უკოლმეურნეოდაც კარგად ვმუშაობ. რაც ის ფორმა ჩავიგდეთ ხელში, მას შემდეგ ჩემი მუხლი არ ჩაქრეფილა და ხელი არ დამისვენებია. შენ ხუმრობა ხომ არა გგონია იმოდენა ნარიყალის გაწმენდა და იმ წარაფების ამოძირკვა?

— ძალი კალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდაო.

— აბა, გადაკეტე ეხლა! ამას ვერ უყურებ? ხვალდანვე ვიწყებთ.

— ხვალ არა მცალიან.

— ხვალზევით იყოს.

— არც ხვალზევით მეცლება.

— იმის ზეგ იყოს.

გოგოს უკვე მობეზრდა ჩიჩინი.

— თავი დამანებეთ, შაქრი, მე თავი დამანებეთ და თქვენ, თუ გინდა, ბერ ხევა აღმა ატარეთ.

— თუ დაგვიკირდა, მაგასაც გავაკეთებთ. შენ კი სამი დღის ვადას გაძლევ მოსაცლელად. მანამდის მასალებს შევაგროვებთ.

ბიჭმა ერთი კონცა მიაკერა მოსაუბრეს ლოყაზე და მერე ბერხევაზე გაენთო.

— გიცი, გადარეული, დამთხვეული!..

გულმოფრენებული გოგო შინსაკენ გაბრუნდა.

2

თედო დამფრთხალი აპარალზედა მწითურ წამწამებს და ცდილობდა, ნიკოს მზერას არ წასწყდომოდა.

კაბინეტში სიჩუმე იდგა.

არც გამგეობის წევრებსა და არც სხვა დამსწრეებს აზრად არ მოსვლიათ რაიმე ქვენა გრძნობები ამოეკითხათ საცოდავი მეურმის საქციელში.

იდგა ბელურა საოცრად ჩუმი, წვერგაუპარსავი, დაღეული და მორჩილი. უმიზნოდ აწვალებდა ხელში ნაჭერ ჯაგრცხილის სახრეს და საბრალოდ უღიმოდა მის კოხტად დაკვერცხილ ბოლოს.

კაბინეტში ჰაერი თანდათან მძიმდებოდა.

როგორც იყო, თავი ასწია მეურმემ, თავმჯდომარეს კროლა, გულუბრყვილო თვალები შეანათა და ძლივს გაბედა ხმის გაღება.

— რა მექნა, ნიკო, ვერ დავიმორჩილე ის სამგლე. გაიწია, მინდორაც თან გაიყოლია და თქვენ ეზოში შემობრუნდა ურემი. ახალი გამოქნილია, ნაბულავარი. ამ წინაზე ტაბიკი გამიმტვრია, გამეჭკა და ფუნდრუკით ჩავიდა ალაზნის პირამდის. მთელი დღე ვედიე. სანიორელებს ნამჭა მიჰქონდათ ზევით. გაქანდა, ერთ ურემს თვალში აუყარა რქა, ასწია და კინალამ არ გადააბრუნა. საღამოთი და გამოვადე. მთელი დღე გამიცდინა ურემი.

თედო მოითენთა, მოდუნდა და შეუბით ამოისუნთქა.

დაკუშტულმა მარკოზამ გაღიმებად კი სცადა:

— მა რა მოუვიდოდა მაგ საცოდავსა, რომ აღექით და ის გადარეული კამეჩი მაგას მიაგდეთ. თუ კი იმ დამთხვეულ ცხენს გამოუძებნეთ შესაფერი გამხედნავი, რატო მაგ სატიალეს აღარ მოუვლით?

— მოდი, ეგვეც ვარდუანთ იოსებას მივამაგროთ.

— იოსებას რაც მიმაგრებული აქვს,

ისივე ეყოფა. აი, მაშინდელი ნაწილარი მუხლი ეხლაცა მტკიცა. მთხოშა შიგ ნაჭრილობევი, — ვეება ბარძაყზე და-იგლო ხელი მევენახემ, მარცხენა ფეხის წვივი სახსარში გაშალა და ისევ მოხარა, — კინალამ მომინელა და გუთანს ჯერაც ვერ მივაჩვიე.

კაბინეტში ხითხითებდნენ. თავმჯდომარე კვლავ თვალმოუშორებლად უცქეროდა მაგიდის იქით უმწეო ღიმილით სახრეს დაბჯენილ დამნაშავეს.

რუსულანს დაენანა მეურმე.
— მარკოზა მართალია, ძია ნიკო, რატომ არ შეუცვლით ყორანას სხვა კამეჩით?

ძია ნიკომ წელა მოატრიალა სქელ კისერზე მძიმე თავი და აგრონოვს მოუხედა. დიდხანს უცქეროდა დაკვირვებით და მერე სქელი წარბების აწევით თბილად უთხრა:

— საქმე კამეჩში არ არი, შვილო. ყორანა კი არა, იმ დღისით მტრედა რომ ბმოდა შიგა, ის თავიანი ურემი მაინც შებრუნდებოდა ჩემს ეზოში. აბა, გახედე კაბინეტს. აქ მსხდომთაგან, ათიდან ყოველი ცხრა კაცი პირში თქმას თუ ვერა ბედავს, გულში მაინცა ფიქრობს: „შე დავალებული მქონდა ბელურასთვის პირამზისადან ჩამოტანილი ერთი ურემი თივა ჩემს ეზოში შემებრუნებინა“.

კაბინეტი მაშინვე აყაყანდა:
— აბა, რას ამბობ, ნიკო.
— არავინ არაფერს არა ფიქრობს.
— აბა, რას მიჰქარამ?
— მიჰქარამ? — თავმჯდომარემ თვალები დაწკურა.

კაბინეტი გაისუსა.
— თუ მიჰქარამ, გაგაგებინებთ. ბელურა რა რა არი? ბელურა რას მიშლის? ეგ მხოლოდ კბილია, ერთი ჭიანჭაში კბილი, — მერე შუბლზე ნაოკი შეჰყარა და ჩამოფართხლები წარბებით თვალები მთლად ჩაიხუფრა. — თქვენ გგონიათ, მივდგები და ამ კბილს დაეუწყებ მტკრევას? არა, ჩემო გულშემატკივრებო, ეგ არ იფიქროთ, მე ყბას მოვძებნი, ყბას! — და მუქარით დაეშვა თავის სკამზე.

კაბინეტი ისევ გაიტრუნა. რუსულანი მიხვდა ნათქვამს და მარს და ისივე მიჩუმდა.

თავმჯდომარე ერთ ხანს ჭორივით ავლებდა მხერას იქ მსხდომთ, მერე სათვალე გაიკეთა და მინაზე დაგდებული თაბახის ფურცელი ახლოს მიიწია.

— კარგი, ეს საკმარისია. ეხლა რაზედაც შევიკობენით, იმ საქმეს მივხედოთ. დღის წესრიგშია ორი საკითხი: მემინდვრეობის ბრიგადებისათვის ერთი საერთო ხელმძღვანელის დანიშვნა და რთელისათვის მზადება. ვინმეს ხომ არა აქვს რამე დასამატებელი ან გამოსაკლები?

— ჯერ რა დროს რთველია, ნიკო, სიმინდის მეორედ თოხნა არ მოგვითავებია, — ყელზე მოხშირებულ ბეწვს იქექდა აბრია.

— შენ რაღა საღორის ბოძივით გაგიდგია ძირი, დაქექი, კაცო, შუშისა კი არა. ხარ.

ფეხზე დარჩენილ და უხერხულად მაცქერალ ბელურას კარისკენ თავი აუქნია თავმჯდომარემ.

— შენი საქმე მოთავებულია, წადი ეხლა.

— რაღა ნიკო, იგეთი რა დავაშავე, რად არი მოთავებული.

კაბინეტმა გაიციხა.
— წადი, ეხლა შენ აღარა გვჭირდები.
— რატო არა გჭირდებით, კაცო, მაშ აღარაფერში აღარ გამოვდგები?

ერმანა წამოდგა, ხელი მოჰკიდა და კარისკენ წაიყვანა.

— კოლეჰტივიდან კი არ გაგდებენ, ძიავ, აქ გამგეობის კრებაა და შენი დასწრება საჭირო უკვე აღარ არი.

— აბა, რა ვიცი, შვილო, რა ჩემი ბრალი იყო. კამეჩი... შენ ხო მაინც იცი... ერმანამ კარი ისევ მიხურა და უკანვე გამობრუნდა.

— სიმინდის მეორედ თოხნა რა ხანია მოვათავეთ, აბრი, შენა და შენისთანები ნამყას რომ თიბავდნენ, სიკო და სიკოსთანები სიმინდსა თოხნიდნენ.

— ურწყავებში კინალამ კაცის სიმაღ-

ლე შალაფა ნატაეები, რა გათოხნილია, კაცო.

— იმას ეხლა აღარა ეშველება რა. ისინი ჩვენ სასილოსედ დაეტოვეთ.

— იგრე ხო მოსავალი დულს და გადმოღის, ძალად გაუთოხნავი დაეარჩინოთ კიდევე?

— შენ რალა გაწუხებს, იოსებ?

— ცოცხალ კაცს საწუხარი არ დაელება. რად ვარჩენთ გაუთოხნავს, თუ კი მისი გათოხნა და იქიდან მოსავლის მიღება შეიძლება? ზედმეტი ჯერ არა გვქონია რა და გვაწყენს, თუნდაც ზედმეტი იყოს?

— მარტო შენს თავზე რომ ფიქრობ, საქონელს ქვამს არ უნდა? ისინი სულიერები არ არიან? გახსოვს, ამ სამი წლის წინ კინალამ შიმშილით გაგვიწყდა გაზაფხულის პირას? საწყალი პირუტყვი შამხსა და კაქაქს ქადასავითა ქამდა.

— საქონელს მარტო ნამჯა და თივა არაფერს უხამს, სილოსი აუცილებელია, — მხარი დაუჭირა ვეტქიმმა თავმჯდომარეს.

— აუცილებელია და ცალკე მოიყვანეთ, კაცო.

— მაგდენი მიწები სად არი, იოსებ? პირველად გესმის, რომ მიწები არა გვეყოფნის?

— მიწები არა გვეყოფნის, მიწები არა გვეყოფნის! მარტო ცარიელი ჩივილი რას გვიშველის? არა გვეყოფნის და რატო ნაწვერალზე არა თესავთ? ამ ჩვენს საწყალ აგრონომს ყბა მოექცა ჩიჩინით. რატო არ უჭერებთ და ნაწვერალზე არ მოგყავთ სასილოსე? იმოდენა მიწებსა და სიმინდს რაზე ატიალებთ, კაცო? ომი რამდენი ხანია, რაც დამთავრდა. მაშინ არაფერს ვამბობდით, ვიტანდით გაჭირვებასა და ყველაფრის ნაკლებობას. ეხლა რატოღა უნდა გვიჭირდეს, გვაწყენს ზედმეტი?

— ზედმეტზე შემდეგ ილაპარაკე, ჯერ საჭირო თქვი.

თავმჯდომარემ მრუდედ გახედა რევაზს და მერე ისევ იოსებას მიუბრუნდა.

— ხარი ხართან დააბიო... განა ტყუ-

ილად უთქვამთ. მაგის მეტი ვერა ისწავლუ რა შენი ბრიგადირისაგანქმენულს!

— მე უბრიგადიროდაც კარგად ვცნობ ვევი ზოგიერთ რამეში.

— აბა, თუ ერკვევი, იოსებ, მაშ რატო არ ფიქრობ, რომ ამ გვალვაში ნაწვერალზე სიმინდი არ მოვა? შენ ხომ კარგი მუშა-კაცი ხარ და თითქმის ყოველდღე დადინარ კონდახსაგულსაგენ. არ დაკვირვებხარ, რომ საპლანტაჟე გუთანს ნახევარი მეტრის სიღრმიდანაც კი არ ამოაქვს სინესტე? განა ეხლა ნაწვერალზე სიმინდი მოვა?

— შენ რა იესო ქრისტესავით მელაპარაკები? ღრუბელი ხელით ხომ არ გიჭირავს? რა იცი, ეს გვალვა იგრე გაივლის, რომ წვიმა არ მოვა?

თავმჯდომარე მოილუშა.

— წვიმას შენ დაელოდე, იოსებ და ჩვენ ეხლა დაგვაცალე, რა საქმეცა გვაქვს, ის გადავეთოთ.

— გავვეთოხნა ის სიმინდი, კაცო, პატარა მოსავალი მიგველო. ჩაპრაიანთ ნიკა იძახის: პირიმზისაზე იგეთი ბალახია, აგვისტოს ბოლომდის ვერ მორჩებიან თიბვასაო. არ ეყოფა მთელ ზამთარს საქონელს?

— მეგრე რა თივა იცის იმ დალოცვილმა!

— ის სიმინდი დაბერებულაია, ძია აბრი, და გინდაც გაითოხნოს, მაინც მოსავალს არ მოგვეცემს. არც სილოსია უსარგებლო. ძროხებისთვის მისწრებაა ზამთარში წვნიანი საკვები. იყოს ბევრი სილოსი, თივაც ბევრი იყოს. გვაწყენს? სილოსი იგივე დაკონსერვებული ბალახია, თუ კარგად შევინახავთ, რამდენიმე წელიწადს გასძლებს.

— მართალს გუთნებდა რუსუდანი, — აშოშინებდა მოხუცს ვეტქიმოცი. — გუშინწინ რაიკომის მდივანი იყო, დაათვალე რა და გვაქო კიდეც: რაიონში ჯერ-ჯერობით ყველაზე მეტი სილოსი ჩვენა გვქონია.

— აბა, მორჩით ეხლა და საქმეს მივხედოთ: საქონელი საქონელია, მაგრამ ხალხი მაინც მთავარია. ეს ერთი ხანია,

რაც ხორბლის მოსავალი არ გვივარ-
გა. შეიძინახევიარი ცენტნერი ჰექტარზე
სასაცილოა. ქედლები ზოგჯერ ნახე-
ვარ ფუთ ხორბალს ანაწილებენ შრო-
მადლებზე.

— ჩვენ ქედლებთან ვატოლება რა
ხელს მოგვეცემს, შირაქის მინდვრები
უღვიველია.

— მარტო მინდვრები არ არი საქმე,
ელისზბარ, აბა რუსუდანს ჰკითხე, ჰექ-
ტარზე რამდენი ცენტნერი მოჰყავთ წი-
თელწყაროში.

— იქ თითონ მიწაა კარგი. ხენის
დროს ყველივით იჭრება და რო გაპ-
ხედავ შორიდან, გიშერივითა ბზინავს.
თავმჯდომარემ თითები ერთმანეთში
გახლართა, მინაზე დაჰკირა, ტუჩები
შავრად მოკლეა და მაგიდას თავი რამ-
დენიმეჯერ დაუკრა. მერე წარბები
აზიდა და ფერმის გამგეს გვერდზე გაპ-
ხედა.

— შენ როდისმე მჭლე ხორცი ჩავი-
ყრია ქვაბში?

— მემრე? — გაიკვირვა ელისზბარმა.

— არა, თუ ჩავიყრია როდისმე.

— რატო არ ჩამიყრია, აბა სულ მსუ-
ქანი სად იყო!

— მემრე იგეთი გემო ჰქონია, რო-
გორც მსუქანს?

— იგეთი გემო რად ექნებოდა.

— აბა, იმ გამხდრისთვის ცოტა
ერბო, ქონი ან ზეთი მიგემატებინა, რა
იქნებოდა.

კაბინეტმა მიხვედრილობის ნიშნად
გაიღიმა.

ფერმის გამგემ იხტიბარი არ გაიტე-
ხა.

— ყოველ წელს შეგვაქვს სასუქები,
შავრამ მოსავალს არა ეტყობა რა.

— მართალია, აი, აგრონომი ხომ აქ
არის, მავას რა გამოეპარება.

— თქვენმა მზემ, აგრონომის სიტყ-
ვას ძირს აღარ უშვებთ. თუ ერთი თვა-
ლი მოგარიდათ და გაიფულეთ, მერე
ფეხებზე გვიდიათ სასუქიცა და მინდვ-
რებიც!

— ეგრე რად ამბობ, ძია ნიკო, დე-
დაკაცები მთელი დღე წელს იწყებო-

ვენ და სულ ვედროებით ეხიდებიან
სახნავეში. აი, მართა აქ არი. ანდე, თებ-
რიასა ჰკითხე, გუშინ რამდენი გაიტე-
ნეს დიდ მუხასთან. აგრონომმაც ხომ
იცის, რატომ ხმას არ იღებს?

რუსუდანი დუმდა.

ძია ნიკომ მაგიდას მუშტი დაახალა
და წამოღდა.

— შენ, მარკოზ, კრებაზე რახარუხს
გირჩევნია შენს საქმეს გაუხლე მუყაი-
თად და იქ გამოიჩინო ფხა. სასუქი შე-
ქეთო? ვინა თქვა შეაქეთო? ის არი შე-
ტანა, რომ მინდვრის პირებზე აბნევენ
წვითა და დავით ნაშოვნსა და შუა სა-
ხნავეში ეზარებათ გალაყუნება? აგრო-
ნომს ჰკითხეთ: რა უნდა კვითხო აგრო-
ნომს, მე არ ვიცი, რა შეილებიცა
ხართ? სანამ კაცი თავზე ადგათ, მანამ-
დე ცდილობენ კაი მუშაობას, მაგრამ,
როგორც კი სხვა ნაკვეთში გაიფულე-
ბენ, მაშინვე გაუწყრებათ ჩემი ღმერ-
თი და თავიანთი გამჩენი. ოღონდ კი
ის ადგილი მოაცარიელონ, სადაც ეს
სასუქი ყრია და არ დაგიდევინ, სად
დაჰყრიან, სად არა. გადადის შრომა-
დღეები! ვაზაფხულზე გახედავ: ნაპა-
რებზე გადარეულია ჩეჯილი, შეხვალ-
შიგა და სისხლი ყელში მოდის. აწლიო-
კებულა საცოდავად ყანა და ნაციები
კაცოვით გაყვითლებულა. ეს არი, თქვე-
ნი სასუქები? — დაივრიალა ძია ნი-
კომ. — მარკოზა კი აქ წამომტყლარ-
ჭვია და არახუნებს მსხვილ-მსხვილად.
სად არიან ამ დროს ბრიგადირები? ვე-
რა ჰხედავენ ამას? რად არიან გაჩუმე-
ბულები? კოლექტივის ქონებაა და იმი-
ტომ? თავის კარმიდამოთი კმაყოფი-
ლია და საერთო ფეხებზე ჰკილიათ? თუ
ეგრეა, ეგრე იყოს. იგეთ კაცს დაგაყე-
ნებთ თავზე, რომ სულ თავებედი გაწ-
ყველინოთ. დასუქდით და მოგებზო-
დათ მუშაობა?

ვარდუაანთ იოსება ცოლს თვალებით
ჰამდა.

თებრიამ ვერ გაუძლო ქმრის მზერას,
იღროვა და თითონაც ცეცხლი დააკვე-
სა.

— შენ, თავმჯდომარეც, პანტანა და

მსხალს ერთ გოდორში რაღა ჰყრი? — წამოხტა და შემობრუნდა. — დედაკაცებო, ვინ იყო ორ-ორ თავმობმულ ვედროს რომა ცლიდა შუა ნაყანობში. ვინ იყო, როცა თქვენ ისვენებდით კუნლის ქვეშ, მაინც თავს რომ არ ანებებდა მუშაობას. ვინ იყო, პურს რომ ალახ-მალახ შეჭამდა და მერე ისევ ვედროებს ეცემოდა. ვინ იყო, თქვენი გატანილი სასუქი რომ ისევ წამოკრიფა და კინალამ დიდ მუხამდის მიიტანა. თქვით, ხმას რატომ არ იღებთ! შენ ხომ იქ იყავი, ფეფო, რას ჩაგივლია ენა მუცელში!

— იპ, ქაა, რაღა მე მამვარდი, ჩემს მეტი არავინ არი აქა?

— ან შენა, მარო, შენც ხომ იქ იყავი.

მარომ თავი ჩაღუნა და არაფერი თქვა.

— ეხლა დამუნჯდით?

— იქ კარგა ყბედობდით: იმქვეყნად ყველა ერთნაირად მიდის, ვინც ბევრი იშრომა და ვინც ცოტაო! ახია ჩემზე, აქამდის ხმას არ ვიღებდი ხოლმე და ეხლა მიყურეთ!

თებრია დაჯდა, გულხელი მაგრად დაიკრიფა ბარაქიან მკერდზე, გაავებული თვალი მოავლო თავისი სქესის წარმომადგენლებს და მერე ჩუმი მხერა ქმრისკენ გააპარა.

იოსება კმაყოფილი იზღელდა ნაჭრილობევ-ნაწიხლარ მუხლს.

თავმჯდომარემ სათვალე მოიხსნა და მინაზე დადო.

— შენ, თებრი, ცუდ მუშად რომა გთვლიდეთ, ყოველ წელს შრომადღეობით არ დაგაჯილდოვებდით. მე აქ შენზე არაფერი მითქვამს. ნეტა ამ დასაღუბავებს შენს ნახევრად შესტკიოდეთ გული კოლმეურნეობაზე, მაგრამ როცა წარაფსა ჰკაფავენ, ბარდებს შეიძლება კაი ხეც მიჰყვეს.

— წარაფებში წარაფი არ გაჰკაფეს? რად დაარჩინეს თომას დამყნობილი გულაბი? ისინი ხომ ქარილღეტიები არიან, მაინც დაარჩინეს.

— კარგი, ვთქვი და გათავდა, ჩოქზე ხომ არ დაგიდგები ახლა.

— რა კირად მინდა შენი ჩოქზე და დგომა, შენ ვისაც აქამდე დადგომიხარ, ისევ იმას დაუღუქი, — არა ცხრებოდა იოსებას ცოლი.

— განუმიდი, თორემ ეხლავე გარეთ გაგიყვანი! აქ გამგეობის კრებაა და არა ბაზარი. იმიტომ კი არ შეგყარეთ, რომ ტაშ-ფანდღურა გამიმართოთ.

— სულაც არა მჭირდება მე შენი კრება, ჩემმა კაცმა მითხრა, ვენახს ჭერაჭერობით არაფერი უნდა, ვადი, მინდორში მიეხმარეო, თორემ იქაც არ გავიღოდი.

ამაყი დედაკაცი წამოდგა და უხმაუროდ გაიხურა კაბინეტის კარი.

იოსება ჩუმად ილიმებოდა და ქვეშ ქვეშ გაჰყურებდა ძია ნიკოს.

თავმჯდომარე გაალიზიანა მისმა მხერამ, მაგრამ თავი შეიკავა და არა თქვარა.

იქვე მჯდარი, თვალყურადქცეული თედო, ჭერაც გონზე ვერ მოსულიყო:

— „რაო, თავზე კაცი უნდა დაგაყენოთ? ვინ კაცის, რა კაცის დაყენებაა აპირებს? ბრავადირები არიან და თავმჯდომარე. კიდევ რომელი კაცის დაყენება სურს ამ ბებერ მგელს?“

მარკოზას კითხვის თვალი გამტყნარებული ნათავმჯდომარალისთვის მიეპყრო.

— მთელი თქვენი იმედი, მე ვიცი, ეხლა იმ დატოტვილი თავთავის გაცრცელებაზეა დამყარებული, — წყნარად ლაპარაკობდა თავმჯდომარე. — მაგრამ იმ თავთავს მთლიანად ჩვენ ორ-სამ წელიწადშიაც ვერ დაეთესავთ, რადგან ის მარტო ჩვენ არ გვეკუთვნის.

— მაშ ვის ეკუთვნის, კაცო. ჩვენმა გაზრდილმა ბაღმა მოიგონა და ჩვენვე გვეკუთვნის.

— ჩვენს მიწაზე ითვისება და ჩვენია.

— რად გაატანეთ თელავში, ჩვენ გავწყენდა?

— შეიდი ჰექტარი მოვიყვანეთ, არ გვეყოფოდა სათესლედ?

— მაშ ვილას ეკუთვნის ქაა, ყარა-
ჯალელებს?

ძია ნიკომ აცალა ყაყანი და როცა
მინელდა, იმავე წყნარი ხმით განაგრძო.

— ჩვენმა სოფელმა, ჩვენმა აგრო-
ნომმა, ჩვენმა შვილმა გამოიგონა, მაგ-
რამ ეხლა ის მთელი საქართველოსაა.
საქართველოში კი მარტო ჩვენი სოფე-
ლი არ შედის. დღე ერთია და ათი კაცი
მანცა რეკავს რაიონში: ზოგი ას კი-
ლოს ითხოვს სათესლედ, ზოგი ორასს,
ზოგი სამასს და ზოგსა ჰგონია კიდევ,
რომ ჩვენ გასაყიდიც კი გვაქვს, ტონასა
და ტონანახევარს გვებეწებებიან. გუშინ
მე თითონ შევესწარი: ვაგრის რაიკო-
მის მდივანი თავისი ფეხით ჩამოვიდა და
ჩვენს მდივანს ჭირი მოსჭამა, სანამ აა
კილონახევარზე არ შეიპირა; ერთბა-
შად მარტო ჩვენ ვერ მოვიყვანთ, უნდა
გავრცელდეს სხვაგანაც. მანამდე კი მი-
წებსა და წესიერ თესლს უნდა მივხე-
დოთ. დოლის პური რა, ნაკლებია?
„კრასნოდარკა“ ხომ სჯობია? ძარღვი-
ნობაც კარგი აქვს, ცხობაშიც ბლომად
იმატებს. სუნი და გემო ხომ გადასარე-
ვია.

— არც ჩაწოლა იცის და ქანგასაც
კარგად უძლებს.

— მართალია, მხოლოდ მოყვანა უნ-
და.

— უნდა და აი, ამისთვის შეგკრიბეთ
აქ: პარტიის წევრებიც, გამგეობის წევ-
რებიც, ბრიგადირები, მერგოლურები,
აქტივი და რა ვიცი, ვინც კი დაეტია
ამ ოთახში, არავისთვის მიკრავს ხელი.
აი, პარტიულ კრებაზეც დავადგინეთ
და ეხლა თქვენც გაცნობთ: მოსაგლი-
ნობამ რომ მოიმატოს, მინდვრები რომ
კარგად დამუშავდეს, კარგი მომვლელი
და პატრონი რომ ყავდეს მემინდვრეო-
ბას, გადავწყვიტეთ ჩვენი მევენახეობის
მეოთხე ბრიგადის ბრიგადირი რევაზ
ექვთიმეს ძე ენუქაშვილი გადაყვანილ
იქნას მემინდვრეობის მეოთხე ბრიგა-
დის ბრიგადირად და მემინდვრეობა-
ში საერთო ხელმძღვანელად. რევაზს
ყველა იცნობთ, რა კაციც არი. დაუღა-
ლავი მუშაა, მუყაითი, კოლექტივისთ-

ვის თავდადებული და რაიონშიც საუ-
კეთესო ბრიგადირად ცნობილი მაგისი
ვენახები ყველაზე კარგად არი მოვ-
ლილი, მარტო ჩვენს კოლმეურნეობაში
კი არა, რაიონშიაც. ყოველ წელს პრე-
მიას იღებს და სხეებისთვისაც მაგალი-
თია. რაიკომთან შეთანხმებულია, იქ
უკვე იციან. ჩვენთან პარტიულ კრება-
ზედაც დავადგინეთ და აი, ეხლა თქვენ
გეუბნებთ. რას იტყვით, ღირსია თუ
არა დაწინაურებისა. შესძლებს, რომ
ჩვენი მემინდვრეობა მას ჩავაბაროთ?

დამსწრეთა უმეტესობამ, თუმცა წი-
ნასწარ იცოდა ეს ამბავი, მანც ხმა არ
გაიღეს და კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარ-
და.

— რას გაჩუმდით, ხალხო! — გაოც-
და რევაზი, — თქვენ ხომ არა გგონიათ,
დაფეთებული ვარ ამ პარტიისცემით?
თუ ვინმეს სათქმელი გაქვთ რამე,
თქვით, მე არ მეწყინება. ან თუ სხვა
გინდათ, ისიცა თქვით. აქ ჩემს გარდა
რამდენია კარგი მუშა და ბევრი უკე-
თესიც არი.

— შესაფერი კანდიდატურაა. იგრე
არა გამოვა რა, კენჭი უყარე, ნიკო, —
უნდომლად გაღეჭა ბულალტერმა.

თედოს მიწისფერი ედო.

მარკოზა შემცბარი ახამხამებდა თვა-
ლებს.

ბოლოს ძლივს იპოვა ხმა ნათავმჯდო-
პარალმა.

— მაგის ბრიგადის ვილას აბარებთ?

— იქ სიკო გადაგვყავს.

— ჰოდა, სიკოს ბრიგადა მაგას ჩავაბა-
როთ. რად უნდა მემინდვრეობას საერ-
თო ხელმძღვანელი?

— თედო მართალია, საერთო ხელმძ-
ღვანელი ჩვენ უკვე გვყავს, სიკოს ბრი-
გადას კი რაკი საჭიროა, ჩავიბარებთ.

— თედო რომ დაგვეყენებინა საერ-
თო ხელმძღვანელად?

— კენჭი ვუყაროთ, კენჭი. შენ, მარ-
კოზ, რევაზა თუ არ მოგწონს, ხმას ნუ
მისცემ.

— რევაზა იყოს, მარიფათიანი ბიჭია.

— თედოც გამოცდილი კაცია.

— ისევ რევანა თუ მოაბამს მემინდრეობას თავსა, რევანა იყოს.

არაიენ წასულა წინააღმდეგ. მხოლოდ მარკოზამა და თედომ შეიკავეს თავი.

— პარტიულ კრებაზე, ნიკო, როდის იყო ლაპარაკი მემინდრეობის ბრიგადების საერთო ხელმძღვანელზე? იქ მარტო სიკო გადაგვყავდა რევანას ადგილას და რევანა სიკოს მაგივრად.

— ეგ არაფერია, თედო, ცოტა შესწორება შევიტანეთ, შენ რა, წინააღმდეგი ხომ არა ხარ?

— წინააღმდეგა რად ვიქნები, ძან კაი ბიჭია რევანა, მაგრამ... მანც არ გვინდოდა საერთო ხელმძღვანელი. ხელმძღვანელი თავმჯდომარეა და, ღმერთმა კარგად ამყოფოს, უკვე გვყავს ასხვა რაღად გვინდოდა?

— შენ რა გაწუხებს, თედო, — ცალყბად იღივებოდა იოსება. — თუ საწყენია, ყველაზე მეტად მე უნდა მეწყინოს მაგისი წასვლა ჩვენი ბრიგადიდან. სიკო კაი ბიჭია, მაგრამ მაგას იგრე ვართ შეჩვეულები... რას ვიხამთ, პარტიული დავალებია.

— კარგით, მორჩით ეხლა. ჩვენ სხვა საქმეცა გვაქვს. ეს საკითხი გადაწყვეტილია და თითონ რევანა მოუვლის. ეხლა რთელისთვის მზადებალა დაგვრჩა. აბა, სიკო, შენ ახალი ბრიგადირი ხარ მევენახეობაში, მაგრამ იგეთი ვენახები ჩავაბარეთ, რომ ავ თვალს არ ენახებოდა...

— ჯერ რა დროს რთელისთვის მზადებაა, ნიკო, შემოდგომა ჯერ შორს არი და იქამდის ათასი საქმე გვაქვს საკეთებელი.

— საკვირველი კაცი ხარ, აბრი, განა იმ საქმეებს კი უყურადღებოდ დავტოვებთ, მაგრამ ხომ ხედავ, როგორი ვვალვია, ლამის არი ყურძენში თვალი შევიდეს. წელს აღრე დამწიფდება და რთელისთვისაც უნდა ვეცადოთ. წკებლა მოსატანია, გოდრები დასაწენელია, კალათებს დამზადება უნდა, ქვევრებს დარეცხვა. სამი ახალი ქვევრი ჩასაყრ-

ლია. და მარტო ეს ხომ არ არი, სიმინდიც მალე მოგვადგება კარზე გამსაცხურუნეა უნდა. ჭყანტობს გამოდმეფურჩი უკვე უხმება კიდეც.

— ჯერ რა დროს ფოჩის გახმობაა. თუ უხმება, ის ეხლა ტაროსაც არ გაიკეთებს.

— მარტო ყურძენი და სიმინდი ხომ არ არი კაცო, რატო საქონელზე აღარ ფიქრობთ? ნამჯა და თივა ისევ მოსაზილია გომურთან, სადგომისა და ბაგების გამოცვლა და შეკეთებაა საქირო, სახბორე ისევ მოსათავებელია. მთებზე ბალახი აღარ არი, პირუტყვისას კი კარგ შეხორცებას მოითხოვთ. სახელმწიფო ხორცი ჩასაბარებელია და ნაიალაღევ საქონელს დამატებითი კვება უნდა. ხორცს სულადობის ანგარიშზე ხომ არ გაეზრდით, სადა გვყავს მაგდენი. რა დროს რთელია, კაცო.

— მართალს ამბობს ელიზბარი, მაგრამ არც მარტო საქონელია კოლექტივში. ღორებს ზამთრისთვის თბილი ბინა არა აქვთ. მაკე ნეზევებსაც გაუმჯობესებულ კვება უნდათ. მალე მეორე დაგოჭიანება დაიწყება, სად უნდა წავიყვანოთ? გაზაფხულზე დაყრილი გოჭებიდან ღორის მოზარდის გასუჭებაა საქირო. გეჭებიც კი რიგიანი არა გვაქვს, რომ ღორმა წესიერად საკმელი ჭამოს და წყალი დალიოს.

— ვეტექიმი წელში გასწორდა და თავჩაქინდრული თავმჯდომარე შეათვალიერა.

— ეს ხალხი არა ხუმრობს, ნიკო, პირუტყვისათვის ეხლავე უნდა ვეცადოთ. სადაც არი, მთებზე აცივდება, ცხვარი ბარად ჩამოვია. ცხვრის ნერბვად დაწყება და ხელოვნური გათესვისათვის ადგილი და შენობაც უნდა მოიძებნოს. ყოჩებს გაუმჯობესებულ კვება დასჭირდებათ, შერია და ქერი კი საკმარისი არა გვაქვს. მერე პარსეაც მოწყვება ამას ზედა და ყუთურის საწინააღმდეგო გაბანება, აუზი კი ჯერაც გასაკეთებელია.

— ჭია? ჭია რაღაზე გავიწყდებათ?

გაგონილა, ქა? რომ მოგვაყრიოთ და გაანებებოთ ხოლმე თავს, იმას მოვლ-პატრონობა და ქამა არ უნდა? აგე, გუ-შინ კინალამ ჭავახიანთ იამ წალდით დაგვხოცა. არ მოგვაჭრევენა თავისი თუთა ეზოში. კოლექტივში კი არავინ არ გვიშვებს, რომ დავბოძოთ მაინც. ლაპრიკანჭა ნოდარას ტომრები წაერთვა დედაკაცებისთვის.

— კოლექტივში თუთა ახალი გაშენებულია, მართაც, ჭერ რა დროს იმათა დაბოძვა. თანაც მოუვლელი არი. გვერდებზე ამოყრილ ტოტებს შევტრა უნდა, მიწას გაფხვიერება. მოუვლულად არაფერი ვარგა.

— გვერდით ტოტებიცა და ამონაყარიც შეაჭრეს, ვისაც უნდოდა, ჩვენ კი ახლოსაც არ გაგვაკარეს.

— იმიტომ არ გაგაკარეს, რომა გვერდისას უგვერდოს ტოტები მიაყოლეთ.

თავმჯდომარემ თავი აიღო და შეკრებილნი მოათვალიერა.

— აბა, ერთი გიყურებო, როდის მოიკლავთ ენის ქავილს.

კაბინეტმა ნელ-ნელა დაიწყო მიყუჩება.

— რომ მომდევნით და სახარების მუხლებივით მითვლით, მე არ ვიცი, რა უნდა გაკეთდეს რა არა? თქვენ რატომ მადლობელნი არა ხართ, რომ გამგეობის კრებაზე აქ შეგყარეთ და წამოგხით? თუ რამე. საკითხი არ მოსწონთ, გამგეობის წევრებს უფლება აქვთ, ამოიღონ ან შეცვალონ. თქვენ რა გაყაყანებო? მე ეს კრება იმისთვის მოვიწვიე, რომ ყველაფერ ამას, რაც აქ ჩამომითვალეთ, შემინდერების გაუმჯობესება და მოსავლის აწევა სწყვეტს. ეს არის ყველაზე საჭირობოროტო. იმ დანარჩენს კი, შემდეგ კრებაზე განვიხილავთ. განა ყოფილა, როდისმე შემთხვევა, რომ რამეს მოუშადებელნი დავხვედრივართ? განგვიხილავს, გვიმსჯელია, აგვიწონია, გაგვიზომია და კარზე მომდგარ ყველაფერს შეძლებისდაგვარად დავხვედრივართ. გვაწყენს, რომ რთვლისთვის ადრე მო-

ვეშადლოთ? არ გინდათ? არ გინდათ/და ნუ გინდათ. სადაც სოფლები ენახები, იქაც ბებრის ხბო... — და წინასწარ მოანგარიშეს მიუბრუნდა. — აბა, გოგო, რა არიო, რა განცხადებებიო? მოვსულვართ, ბარემ ეგენიც მოვიშორეთ თავიდან და ეს დიდებული ყრილობაც მოვათაოთ.

— შამრელანთ თედოს ბიჭი შავლე-გო ითხოვს თქვენს კოლექტივში წევრად მიმიღეთო.

— რაო? — თავმჯდომარემ კისერი წინ წაძვება და გვერდზე თავგაღერილი თვალების ჭუტყვით მიაჩერდა მოანგარიშის ყელზე ჩამოკონწიალებულ ყალბი ოქროს გულქანდს.

კაბინეტში შეიშმუშნენ და ერთმანეთს გადახედეს.

— ვინ ითხოვს, რა მინდაო? — ძიანიკომ ცალი ხელით სათვალე მოძებნა და ცალიც ქაღალდისაკენ გაიშვირა. — აბა, ერთი აქ მომაწოდე, შევილო.

ახლოს მიიტანა თაბახის ფურცელი და მერე შორიდანაც გახედა.

— აბა, თედო, ნახე, მართლა შავლე-გო სწერია?

ნათავმჯდომარალმა თავმჯდომარეს თავი თავთან მიუტყუბა, დააკვირდა და მერე მშრალად გადმოაგდო:

— შავლეგოა.

ნიკომ პირჯვარი გადაისახა და კიდევ ერთხელ დააკვირდა ნაწერს.

— ჰოი, ღმერთო, შენ მიშველე! ან მე ვარ გადარეული, და ან ეს ხალბი.

— რა მინდაო, კაცო, მასხრად ხომ არ გვიგდებს?

— შეიშალა? ხალბი ქალაქებში გარბის, რომ თოხსა და ბარს გაერიდოს, ეგ ქალაქიდან აქ მორბის?

— ქვეყანა მასწავლებლებით არის საესე, სად არი ყველას ადგილი სკოლებში?

— მასწავლებლებით, თორემ ივეთი მასწავლები არიან, პროფესორებს ტოლს არ დაუდებენ. ჩვენი გეოგრაფიის მასწავლებელი კორეას ვიეტნამში უძებნიდა ბალღებს.

ერმანას ნათქვამმა აბრია ნამეტანი გაამხიარულა.

— მაიტა, მივილოთ, კაცო, ძალიან ნასწავლს ამბობენ.

— მივილოთ, კაცო, სამ-ოთხ ჰექტარ ვენახს მართო ინაბრებს.

— სწორედ ვენახში წაგვიყვანა. ან კანტორაში დაჯდება, ან კიდევ სადმე ფერმაში მოყუჩდება გამგედ.

— სადაც არ უნდა იყოს, მუშა ხელი გვეჭირდება და რად უნდა ვუთხრათ უარი?

— რაღას უყურებ, ნიკო, მივილოთ და ეგ არი.

თავმჯდომარე იჭდა გატრუნული და დაფიქრებით აწვალვებდა ცალი უღვაშის წვერს.

„ნუთუ არ იხუმრა ამ უკანასკნელი შეხვედრის დროს? რატომ მოდის და რატომ მოძვრება კოლექტივიში? აქ მეცნიერებას უმიზნებსო? რა ინტერესებს, რა განუზრახავს? ფრთხილად, ნიკო! ეხლანდელ ახალგაზრდობას ეშმაკიც ვერაფერს გაუგებს.“

და უცებ მოსჭრა.

— ვერ მივიღებთ, კაცი აქ არ ესწრება. გადავდოთ შემდეგი კრებისთვის. ნასწავლ ხალხს კვირაში სამი პარასკევი აქვს, დღეს მიღება უნდა, ხვალ იქნება გადაიფიქროს.

— თუ ჩვენთან მუშაობა უნდა, უგანცხადებოდ ვერ იმუშავენ? იმუშაოს ამ ზაფხულსა და შრომადღეებს მაგას პაპას დაუწყწროთ.

— მაგის პაპას უშავისოდაც საკმარისი შრომადღეები აქვს, მარკოზ, იქნება, კაცს რა გულთი უნდა ჩვენთან მოსვლა? აგე, ყვარელი და ჭვემო სოფლები სოციალისტური გმირებით გაივსო.

— იქნებ დროებით არ მოდის, კაცო, და სულ ჩვენთან ყოფნა უნდა. ჭკვიან ბაღს ამბობენ, რატო არ უნდა მივილოთ.

— მორჩით ეხლა მკითხაობას. ვერ მივიღებთ. ჩვენთან მოსვლა რომ სდომნოდა, ეხლა აქ იქნებოდა. გადაიდოს შემდეგი კრებისთვის.

აქამდე ჩუმად მჯდარი რევანი წამოდგა. ჭრუტა თვალების გამჭრიადად მზერას უტეხი თვალი დაახვედრა და დაპარცვლით უთხრა:

— დაუსწრებლად წვერად მიღების მაგალითი თითონ შენ გვიჩვენე, თავმჯდომარე. საიდანაც გადმოქენცილო კაცს უზარმაზარი საპასუხისმგებლო აღვლი აქამდე და მთელი კოლმეურნეობის საშრობს განაგებს. ვინ არი? რა კაცია? რა წარსული ჰქონდა? ვიცნობთ? ჩვენთან რა უნდა? ეგ კი ჩვენი სოფლის შვილია და ავია თუ კარგია, ჩვენ თითონ მოუველით. მაგისი ასავალ-დასავალი ჩვენთვის ცნობილია და მაგათ ჭიშს ჭერ არც კაცისთვის უღალატნია და არც შრომისთვის.

— სწორია.

— მართალია.

— მაგისმა მამამ კოლექტივის ცხვარს შესწირა თავი.

— ჩვენი შვილია და ჩვენვე უნდა მივილოთ.

— რა უნდა მივილოთ, კაცო, ღლეტურაობას დაიწყებს და სხვებსაც გააცდენს.

— წინასწარ თვალს რადა თხრი, გიორგი, რა იცი რომ იღლეტურავენ?

— უნდა მივილოთ, უყარეთ კენჭი, — რევანმა სკამი წინ წამოსწია და დაჯდა.

— რა უნდა მივილოთ, კაცო, აღარ გახსოვთ, საწყობიდან ფეხბურთის ფორმა რომ გაიტაცა და ავარ-მავარებს დაუღრიგა? — არ ისვენებდა ბალაშვირანთ ბიჭი.

ფორმის გახსენებაზე ფანჯარასთან მჯდარი ლეო უსიამოდ შეიმშუმნა.

— მაგანვე გადათხარა წარაფებში ასასვლელი და საუკეთესო მიწებში სტადიონების მოწყობა დაიწყო, — ბანს ამღევდა ძმა.

— თუ წაახდენს რამეს, თორემ არას გაგვიკეთებს.

— თუ რამეს წაახდენს, გიორგი, შენ ხომ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ხარ, ადექი და უანგარიშე. სად გაგვეტყევა?

— დათვი საძალღედ ვახდა და იმის

საქმე წახდომ. ვაი, საწყალი შავლეგოს ბრალი.

რამდენიმე ფანჯრისაკენ მიიბრუნა თავი. ანდაზის მოქმელს აიენის სიბნელე ფარავდა.

მაგრამ ძია ნიკოს მახვილ ყურს რა გამოეპარებოდა. ხმაზე იცნო ჩასაბერი და ერმანას უთხრა:

— გადი ეხლავე და კანტორის ეზოს გარეთ გარეკე, ვინც კი მოგხვდება.

— ვერ გავრეკავ, ძია ნიკო, არ დამეშორჩილებიან.

— დაანებე, თავი ნიკო, რას გვიშლიან.

— კენჭი ვუყაროთ, კენჭი. რა დროს გარეკვია. ჩვენც აღრე ვართ სახლში მისასვლელელები.

ერთბაშად აიწია ორმოცდაათიოდე მარჯვენა.

— დაუშვით ყველამ ხელი, თქვენ ვინა გითხავთ, მიღება არ მიღებას? გამგეობის წევრებმა ასწიონ მარტო.

— დაე, მაგათაც მიიღონ მონაწილეობა, თავმჯდომარევე. გამგეობის შემდეგ ხალხი ამტკიცებს. აჰა, ესეც ხალხი. რატომ უშლი?

ნიკო სკამის ზურგს ღონიერად მიაწევა და თვალელები შეუშინევილად დახუჭა.

— „მარტო ეს რევაზა გადარევეს კაცსა“.

წინააღმდეგი მხოლოდ სამი გამოდგა.

— შენ რატომ არც ერთზე არა სწევ ხელს, შვილო რუსუდან?

რუსუდანი თავთუხებისაგან დაწნულ პატარა ფუნჯებს უტკეროდა — თავმჯდომარის თავს ზევით კედელზე.

— მე მაგ კაცს არ ვიცნობ, ძია ნიკო, და ვერც ავს ვიტყვი მისას და ვერც კარგსა.

ძია ნიკომ პეშვით თვალწარბი და უღელაშები ჩამოიფოცხა. მერე მოდუნებული ხმით მოანგარიშეს მიუბრუნდა.

— აბა, შვილო, ეგ რაღა ქაღალდი, თელავის ინსტიტუტის დირექტორიც ხომ არ გადმოდის ჩვენთან სამუშაოდ.

— ესენიც განცხადებები, ძია ნიკო. ჩასაბერი და თონიკანთ სოსო მსწერენ, ჩვენც წვერად მიგვიღეთო.

— რაო, რაო, რაო, რაოოო?!

თავმჯდომარე ორივე ხელით მაგიდას ჩააფრინდა და სკამიდან ნელ-ნელა წამოიწია.

3

ნეკერჩხლის ჩრდილს ლანდი გამოეყო, უშნოდ გადმოაბტა დამშრალ არხსა და გზაზე გამოვიდა.

რუსუდანი შეერთა, შედგა და მათრახის ტარი მაგრად ჩაბლუჯა. მცირე ხნის შემდეგ იცნო და წელზე ღონიერი შემოიღგა.

— გამარჯობა, ზაქრო, კარგია, რომ შეგხვდი, რამდენი ხანია, შენი ნახვა მინდოდა.

ლანდი გაოცებისაგან შეჩერდა. ერთ ხანს ადგილზე ირხეოდა და მერე აბუტბუტდა:

— რუსუდან... რუსუდან... რუსუდან...

— აქ გზაა, ზაქრო. არ მინდა ვინმემ დაგვიხახოს, ნეკერჩხლის ჩრდილში შევიდეთ.

იღგა დაბნეული მოჭიდავე და მანამდე ვერ დაიძრა ადგილიდან, სანამ ავრონომი მსუბუქად არ გადახტა არხზე და ხის ჩრდილში არ შეეფარა.

მერე კარგა ხანს ისხდნენ მწვანეზე ჩუმად.

სოფელს ჯერ არ ეძინა და ღამეულ ხმაურში თავისი წვლილიც შექჷნდა.

იჯდა გაოგნებული ბიჭი და მონუსხულივით შეჷყურებდა გვერდით მყოფს. საოცარია: სანამ ეს გოგო აქამდე მოაღწევდა, მანამდე რამდენაირი გეგმები დააწყო საუბრისა და ახლა კი, დასწყევლოს ღმერთმა, ერთიც აღარ ახსენდება. ბოლოს, როგორც იყო, გაფიცებული ტუჩები მშრალი ენით მოილოკა და ძლივს დაძრა ხმა:

— ხომ არ გეშინიან, რუსუდან. ნუ გეშინიან, ჩემგან ნუ გეშინიან, რუსუდან... მართალია, ნასწავლი და დიდი

კაცი არა ვარ, მაგრამ მაინც ნუ გეშინიან.

ქალმა ხელში ნაჭერი წიგნი მუხლებზე დაიყუდა და ზედ ნიკაპი ჩამოღო. უცქეროდა მთიარით განათებულ გზასა და დუმდა. მან იცოდა, რომ ადრე თუ გვიან უნდა შემდგარიყო ეს შეხვედრა. ისიც იცოდა, რომ ადვილი არ იყო სიყვარულით გადარეულ გოლიათთან საუბარი. ცდილობდა აზრი მოეკრიბა და დუმდა.

— თქვი, რუსუდან, რა გინდოდა, თქვი. თუ არ გავგონდება, მაინცა თქვი. თქვი რამე, ილაპარაკე, რაც გინდა ილაპარაკე, ოღონდ ილაპარაკე. ერთხელ კიდევ გამაგონე ხმა და მერე თუ გინდა მოშკალი. მაინც სასიცოცხლო აღარა ვარ. ეგრე ახლო მე შენი ხმა არა მსმენია... ვანა არ ვიცოდი, რომ დაშაქრული ხმა გქონდა, მაგრამ თუ ეგრე ტკბილი იქნებოდა, ამას კი აღარ ვიფიქრებდი, თქვი რამე, რუსუდან, რაც გინდა თქვი... ორმევე! გინდა, ეხლავე გადავირიო? გინდა ეს ნეკერჩხალი დაეღწეო? გინდა მთელი ქალისპირი დავანგრეო? გინდა გავგაფდე? რად გაჩუმებულხარ, თქვი, ნუ გეშინიან, რუსუდან.

ქალმა წიგნებიდან ნიკაპი აიღო და ფეხზე წამომხტარ ბიჭს აპხედა დაფიქრებით.

სოფლის დამაქცევარს მუხლებში ძაბუნი ჩაუღვარა ამ შეხედვამ და წელ მოწყვეტილივით ისევ ბალახზე დასვა.

— მე შენი სრულიადაც არ მეშინიან, ზაქრო. პირიქით, შენთან უფრო უშიშრად ვიქნები, სადაც არ უნდა ვიყო, ვიდრე მარტოა. მე შენ ყოველთვის ჩემს ქომაგად გთვლიდი დღემდე და დღეს რატომ უნდა მეშინოდეს შენი?

საბრალო მოჭიდავის სულს უზარამზარი ნათლის სვეტი მიაღვა და მერე მთელ სხეულში სითბოდ ჩაეღვარა.

— არც ვაგმტყუნებია გუმანი, რუსუდან, არც ვაგმტყუნებია. ოღონდ შენ მითხარი, თუ ვინმემ ოდესმე აეად შემოგხედა და ზაქრო მოკვდეს, თუ დე-

დის მუცლიდან გაჩენა არ ანანოს. ვაი შენ, ჩემო თავო, ვაი შენ, ჩემო კაციო! იმ ინსტრუქტორს ცოცხალ-ცოცხალს შეეკამ! ნელ-ნელა გამოეწიწიანი! ძვლებიანად დავაქნატუნებ! შენ ოღონდ მითხარი, რუსუდან!

ქალმა ისევ წიგნზე ჩამოღო თავი და მცირე ხნის შემდეგ თითქოს თავისთვის წაიჩურჩულა.

— ინსტრუქტორი უშენოდაც ისე შეანჯღრიეს, რომ შეგნეული, ალბათ, ჯერაც დაულაგებელი აქვს..

— ვინ შეანჯღრია, რუსუდან, როდის შეანჯღრიეს. ეს რამდენი ხანია ქვევროში ვზივარ და აღაჩაფერი მესმის ამ ქვეყნისა.

რუსუდანი კვლავ დუმდა.

— რაღა მკლავ, რუსუდან, შენთვის რა დამიშავებია. რად გაჩუმებულხარ. ამოიღე ხმა, თქვი რამე. კიდევ დაილაპარაკე, გოგო, რა გინდა ჩემგან, რაზე მხრავავ ნელ ცეცხლზე, რა უნდა გეთქვა.

— ისეთი არაფერი, ზაქრო, მადლობა მინდოდა გადამეხადა. რამდენი ხანია მინდოდა მენახე და აჰა, დღეს ძლივს შეგხვდი.

ზაქრომ ყური ცქვიტა:

— რა მადლობა, რის მადლობა, რუსუდან?

— ჩემი სიშინდის გათხნისათვის.

მოჭიდავე მოეშვა და თავი ჩაჰკიდა.

— მე შენი სიშინდი არ გამოითხნია, რუსუდან.

რუსუდანმა მოიხედა და ბიჭს თავისი კბილების ელვა მიანათა.

— ბევრს შეუძლია იცრუოს, ზაქრო, იცრუოს და ისე დამაჯერებლად, რომ მართალთან გასკრას. შენ კი სიცრუე არ შეგიძლია. შენ სხვა კაცი ხარ. ყველაფერს დაოსტატება უნდა. მე ვანა რამე გამომეპარება? ის სიშინდი შენი გათხნისა, დამე თოხნის, რომ დღისით არავის დაენახე.

მოჭიდავემ კარგა ხნის შემდეგ აიღო მუხლებშუა ჩაკიდული თავი და ყრუდ იკითხა:

— ვინ გითხრა, რუსუდან? ერთად-

ერთი ვარლამმა იცოდა და ილო-პაპამ.

— ილო-პაპას არა უთქვამს რა, მე მისთვის ღვინო არ დამიძალებია. ვარლამს კი მოერიდე, ზაქრო, რა გაქვს იმასთან საერთო? გუშინწინ მალაზიის აღწერა ჰქონდა, ამბობენ დიდი დანაკლისი აქვსო. თუ სასწრაფოდ არ დაფარა, დააპატიმრებენ. ან ვალერიანს რომ აპყოლიხარ, რა გაკავშირებს ამ გაქსუებულ კაცთან? არავინ იცის, ალაზნის ტორტებს გარდა თუ სადმე სხვაგან სჭერია ნინაბი. მაგისი გაკეთებული ჭერაკ არავის უნახავს რამე. კოლმეურნეობას მუშახელი უჭირს, ეგ კი დასაძინებლად თუ შემოდგამს ფეხს სოფლის ფარგლებში. სერგო რაღა შენი ტოლი ნახე? რა გინდა ამ ცხრამეტი წლის თავგასულ ბიჭთან? საშუალოც არ დაუმთავრებია, მაგის ხელს მანქანის საჭისა და ღვინიანი ჭიქის გარდა არა სჭერია რა, რა გინდა მასთან? ილო-პაპაზე არას გეუბნები. ის უკვე თითქმის აღარ შედის სოფლის ანგარიშში. მისი საყვარელი საქმე ჭურჭლის ჭრა იყო. აუქრძალეს და მაგანაც გადაწყვიტა ცხოვრების გათრევა. შენ კი რა გჭირს სამაგისო, ზაქრო, რატომ ერთხელ მაინც არ დაუფიქრდები, ეგ გზა საით მიდის? შენი შემომატება კოლმეურნეობაში ორ კაცადა ღირს, რატომ აცდენ შენს ჯანს უსარგებლოდ და რა ოქროს დროს ფლანგავ უმოქმედობაში? იმ სიმინდის ისე გამოთხნავი, რამდენი კარგის გამკეთებელია, თუ მოიწადინა? ან, თუ კოლმეურნეობაში მუშაობა არ გინდა, რატომ სწავლას არ გააგრძელებ? საშუალო ხომ დაამთავრე, ჯარში სამსახურიც მოიღიე, რაღა გაბრკოლებს? რომ დაგიციონია, დიდი კაცი, ნასწავლი კაციო, როდის იყო დიდი კაცობა და ნასწავლობა უქნარობითა და წაღმა-უკუღმა ხეტილით მოდიოდა? თუ სოფელში არ გინდა, წადი თბილისში, სმენებს უგამოცდოდ იღებენ უნივერსიტეტში.

იქდა ბიჭი სახეგაბადრული, გაყუჩებული და დედამიწაზე დაუტევარი. იქდა და ფიქრობდა, რომ ასე წასულიყო ეს ღამე, მთელი დღე, თვე, წელიწადი

და საუკუნე. ასე მჯდარიყო და ესმინა ეს რაკრაკ-ტიტინით მომღწინარე შმა. ასე მჯდარიყო ამ უწყვეტი ვერცხლოვანი ნაკადულის პირას, შესულიყო მის ჩქერალებში, ჩქერალები მასში. ასე შერწყმულებს გაეძლოთ დროთა ბრუნვისათვის და მერე ერთად დანთქმულიყვინენ მარადისობის უკიდევანო უფსკრულებში.

— რუსუდან... რუსუდან... რუსუდან... — ღალადებდა ბიჭი და გული გულის კარს ამტვრევდა.

რუსუდანი მიხვდა, რომ კედელს ცერცეს აყრიდა და წამოდგა.

— სად მიხვალ, რუსუდან? — უცებ გამოფხიზლდა მოჭიდავე და ნეტარი ღმილი გაუქრა სახიდან.

რუსუდანი არხს გადაახტა და გზაზე გავიდა.

— უკვე დროა, რომ ძილზე ვიზრუნო. ხვალ აღრიანად უნდა დავხედო ამალამის ნახნავს მინდორში. ყველა ტრაქტორისტი ნამუსის კაცი არ არის. ღამე მშვიდობით იყავი, ზაქრო.

მოჭიდავე ერთბაშად ვერ მოვიდა გონზე, მერე ჩრდილიდან გამოვარდა და არხს გადმოეველო.

— გაწყენინე, რამე რუსუდან? მითხარი და თუ რამე გაწყენინე, აქვე მოვიქლავ თავსა.

— შენ მე რა უნდა მაწყენინო, ზაქრო? უბრალოდ დრო აღარ არის საუბრისათვის. კარგად იყავი.

— მოიცა, რუსუდან, ცოტა ხანს კიდევ მოიცადე. ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკე და ზაქროს თავი შენი სანაცვლო იყოს.

ქალმა წარბი შეიკრა.

— დრო აღარ არის, ზაქრო. ხვალ კი საქმე მიცდის, ნახვამდის.

— მოიცა, რუსუდან, იმაზე ხომ არ მემდურები, ის საწყალი ბოთვერა რომ შემომებჩჩო იმ წყეულ ღამეს. ოიშეე! რუსუდან! ყოველ გახსენებაზე დავტირი იმ საწყალსა და ღამის გავგიყდე იმ ღამის მომგონი.

— არა, ზაქრო, მაგაზე ნუ ნადვლობ.

ბოთვერა კარგი ძალი იყო და ძალიანაც დამენანა, მაგრამ რას იზამ, მკვანე უარსიც შეიძლება შეემთხვეს კაცსა. დიდი მადლობა კიდევ სიმინდის გათონისათვის.

— ოჰ, რუსუდან, ოღონდ ნუ დამემღერები, ოღონდ ნუ დამემღერები და ამაღამვე იგეთ ძალს მოგიყვან, რომ ქვეყანას ჰამდეს.

სახლისაკენ მიმავალმა რუსუდანმა მოსახვევთან უკან მოიხედა და თვალი ჰკიდა, როგორ იდგა გაქვავებული ბიჭი შუა გზაზე, როგორ გაჰყურებდა მას გზას და როგორ ბუტბუტებდა:

— რუსუდან... რუსუდან... რუსუდან...

4

ბულალტერი არ მოელოდა თავმჯდომარის ამ განწყობილებაზე ყოფნას. სკამზე ფრთხილად ჩამოჯდა და გულგრილად მიიჩერდა მაგიდაზე ნახევრად გაშლილ ვაშეთს. წინასწარ ფიქრობდა, რომ მის საუბარს სამშობრის ხასიათი ექნებოდა. საჭირო იყო შესაფერისი სიტყვების მოძებნა. კოლმეურნეობის ფეხმომავრების დღიდან საბულალტრო სკამზე იჯდა და თავმჯდომარეს საკუთარ საანგარიშოსავეთ იცნობდა.

ძია ნიკომ „კომუნისტი“ გადადო, ახლა რაიონულ ვაშეთს გადასწვდა და პირველივე გვერდით დაინტერესდა. მეორე ღიმილის მავგარი გაეხლართა ბოლქვა უღვაშებში.

ბულალტერი მიხვდა, რომ თავმჯდომარე რაიონში სილოსის გეგმის შესრულების ცხრილს კითხულობდა. მისჩერებოდა ვაშეთს და იცდიდა.

ძია ნიკომ ეს ვაშეთიც ბოლომდე ჩაათვალიერა და პირისპირ მჯდარს თვალი თვალში გაუყარა. წინ მკვეთრად წამოწეული წარბის ძვლებს იქით ცივი მოლოდინით ისხდნენ ახალშემრეშილი მოცვისფერი თვალები. გრძელი, სწორი ცხვირი უსულგულოდ დაჰყურებდა ოდნავ ჰალარა შერეულ, მოკლედშეგრეპილ წაბლისფერ უღვაშებს.

ძია ნიკომ გაიღიმა და წამოდგა.

— რუსები პრუსიელებს ეომებოდნენ. სუვოროვი იქ არ იყო და რუსებს მიევიდა, დამარცხებული რუსები დაფეთებული გამორბოდნენ. უკან პრუსიელები მოსდევდნენ გამარჯვებულის ყიყინით.

სიგივე იქნებოდა ამ მოხეთქილი ნიაღვრის წინ გადადგომა და შეჩერება. კოლოსავით გასრესდა ცოცხალი ზეავი. ჰკვიანი კაცი იყო და თითონაც გაიქცა.

ყველაზე წინ გარბოდა და თან უკანებს ეძახოდა:

„ჩქარა მომყევითო“.

დამფრთხალმა ჯარმა, სარდალი რომ წინ გავარდნილი დაინახა, უფრო უმეტა სირბილს.

ბოლოს ერთ ადგილას შედგა და გამოაცხადა:

„ეხლა საკმარისია, ძალიან კარგ ადგილას შემოვიტყუეთ პრუსიელებიო“.

ჯარმა იფიქრა:

„ეს ჩვენი სარდლის მოგონილი ბერხი ყოფილაო“, შემობრუნდა და ახლა პრუსიელებს აცემინეს უკანალზე ქუსლები.

თავმჯდომარე აღარ იღიმებოდა, ნელა დადიოდა და თავჩაქინდრული ისე ლაპარაკობდა, თითქოს იატაკს უყვებოდა.

— ჰკვიანი კაცი იყო სუვოროვი.

ბულალტრის წინ შეჩერდა და მიხვედრილი გამოხედვა დაიჭირა.

— ყოჩები ხომ იცი, ყოჩები. როცა ჰკიდაობენ, ზშირად უკან-უკან დაიხვევენ ხოლმე, რათა შორიდან გამოქანების შემდეგ დარტყმას მეტი ძალა ჰქონდეს.

— იმდენი ხალხი არ უნდა შეგეყარა. საკმარისი იყვენენ გამგეობის წევრები.

თავმჯდომარემ იცოდა, რომ ბულალტერი მართალი იყო, ბოლოყამს სინანული კი ხმელ ხეს ვერ გაანელებდა. უცებ მიხვდა, რომ მის წინაშე ბოდიშობდა წინაღამინდელი უსუსურობისათვის და წარბი შეიკრა.

„თუ გინდა, რომ შენი სწამდეთ და ერიდებოდეთ, მეგობართანაც არ უნდა გაამძღავნო შენი უძლურება. ასეთი ხა-

ლბი კი მანამდე მეგობრობენ, სანამ ძალა შეგწევს და სჭირდები კიდეც“.

მძიმედ შემობრუნდა, თავის სკამზე დაჯდა და თითონაც ბულალტერივით გაცივდა.

— იცი, რისთვისაც დაგიძახე?

— არა.

— ახალი საშრობი უნდა ავაშენოთ და ხარჯთაღრიცხვა უნდა შეადგინო.

— ახალი რად გინდა, ხომ გვაქვს, ძველი.

— ძველმა თავისი დრო მოჰვამა, ახალია საჭირო. ხვალვე შიოს გამოვიგზავნი და ერთად ჩაუსხედით.

ბულალტერი ერთხანს დუმდა.

— წელს ბევრი ხარჯი მოგვივიდა. ხომ შეაკეთეს გატეხილი ფიცარი ძველ საშრობში?

— იქ შეიძლება სხვა ფიცარიც ჩატყუდეს. ნაგომურალია და ქვევიდან დამპალია სინესტისაგან. იმ დღეს დავათვალიერე ძირის ძირობამდის. იმ ჩატეხილის ნაცვლად დაგებულმა ფიცარმაც დამაიქვია.

— მაშინ სულ ავყაროთ და ახალი დავაგოთ.

— არა ღირს შრომად. რაკი ხარჯს გავწევთ, სჯობია ახალი ავაშენოთ. ახალი და დიდი, თორემ ეგ ხომ ხედავ, ხორბალსაც ვერ იტევს.

— ძალიან ძვირი დაჯდება. ქვა და ქვიშა, ცემენტი და კირი, კრამიტი და ხეტყე.

— ძვირი არ დაჯდება. კირს ჩვენ თითონ დაწვავთ, ხეტყე და ქვაქვიშა ბლომადა გვაქვს კლუბისათვის გამოხადებულს. მხოლოდ ცემენტის ყიდვა და მოტანა იქნება საჭირო.

— მასწავლებლები რას იტყვიან იმ ქვა-ქვიშაზე?

თავმჯდომარემ გაიოცა ბულალტრის ენაწყლიანობა და იკითხა:

— როდის აქეთ არი, რაც ბერხევასაგან მოტანილსა და წაღებულზე დაიწყე ფიქრი?

ბულალტერი გაყუჩდა და აღარა უთქვამს რა.

თავმჯდომარე მიხვდა, რომ მკვახედ

გამოუვიდა ნათქვამი. ხმას სირბილედ მისცა და წყნარად უთხრა.

— საქმეზე ამითი მოვრჩით. ეხლა კი, აი, რას გეტყვი: იმ შაბიამანს შიანებთ თავი შენცა და ლეომაც. საკმარისია. ცხვარს როცა პარსავენ, მატყლს ტყავსაც კი არ აყოლებენ თან.

მოსაუბრეს ხმა არ ამოუღია, სახე მიიბრუნა და ღია ფანჯრიდან სიბნელეში აღანდულ ცაცხვს გახედა.

— თქვენ ხალხი მართლა სულელი ხომ არა გგონიათ?

ბულალტერი მობრუნდა და გაიოცა: — რამდენი ხანია, რაც დაქკვიანდა? შარშან არ იყო, რომ კოლმეურნეობისთვის მიყიდული ძროხები უკანვე დაიბრუნეს? ხომ ვწველიდით მთელ ზაფხულს? ფული კი მხოლოდ შენ გადაგიხადეთ.

თავმჯდომარე ფრთხილად გადაიხარა სკამის ზურგზე და თვალები დაწყო.

— შენ იცი, ოსმა რომ თხა მოიპარა და სასამართლოზე ქურდობა ვერ დაუმტკიცეს? თუმცა თითონვე აღიარა: „მოიპარე, სენი წირიმე, მაგრამ „ატკაზ“!

— ვიცი, რომ ხელი არა გავქვს მოწერილი. შეგიძლია მეორედ წაილო და ხელიც მოაწერო.

ძია ნჩომ თვალები თითქმის დახუჭა.

— რომ არც მეორედ მოვაწერო?

— არ იქნება. შუბი ხალთაში არ დამალდება.

— მანქანა გაეყიდე და ფული ჯერ არა მჭირდება. — მცირე ხნის დღემლის შემდეგ თავმჯდომარემ თვალები ნელ-ნელა გაახილა. — ეხლა კი ყური დამიგდე: შენამდე აქ ნასყიდა იყო და ერთი ფეხით გაგასწრო: რაც მიწები ზედმეტი მოვიდა შენთან, ჩემთან და ყველგან, ყურძნის დაკრეფამდე და საერთოდ, მოსავლის აღებამდე ჩამოგვერთმევა. მოსავალს კოლმეურნეობა წაიღებს, პატრონს კი შრომადღეები დაეწერება მათი მოვლის სანაზღაუროდ. შენ ჩვენი შრომადღის ღირებულება არ გესწავლება. თითონ გადადი თელავში

და პირადადაც ნახე ვინც სანახავია, რომ დაკრეფა გვაცალოს. ქრთამი მართო ჯოჯოხეთს არ ანათებს. მე თითონაც გადავალ და ვეტყვი. ნასყიდას კი საქმე უჭირს. ვილაცას ინფორმაცია შეუტანია რაიკომში: მაგას ნაფარეულში აქვს სახლ-კარიბა და მიწის ნაკვეთიც, აქ კი ნიკო ბალაშვარაშვილმა მეორე სახლ-კარი აუშენა თავის მიწა-წყლითაო. არ ცოდნა არ ცოდვია. მე შემძლია თავი ვიმართლო, ნასყიდას კი იმდენი შრომა წყალში მისდის. ეხლა დაფაცურებულია. ზე-ტყესა და მასალას ეძებს თავქუდმოგლეჯილი. უნდა, რომ ზელად მოათავოს და გაყიდოს. მერე წაიდნენ და მყიდველს ეღაონ. სახლი კარგია, ეზოში ვაზია ჩაყრილი. ვინმე ჩვენებური იყიდის. ხმას ვინ გასცემს? — კოლმეურნე იქნება და ნაკვეთი ზუსტი, ოცდახუთი მეასედი.

— განზრახვა კარგია, მხოლოდ აშენება თუ მოასწრო.

— ხარბია, თორემ მე მის ადგილას ეგრევე გავყიდდი აუშენებელს, — დაე, სხვას მოეთავებინა მშენებლობა.

— ბიჭზე რომ გაეფორმებინა?

— გაყრილი არ არი ბიჭთან.

— თავისი საქმე არ არი? ადგეს და გაეყაროს.

— განა სტყუი, ერთი უნდა გავახსენო. ცოდოა კაცი, ამდენი უწვალნია.

— თუ ეგრე გენანება, რატო ხე-ტყეს არ აძლევ?

— საკმარისი წაილო. დანარჩენი მე მჭირდება საშრობისათვის.

— რას იტყვის ხალხი, კლუბისთვის დახერხილს საშრობისთვის რომ გაიხმარებ?

— მაგაზე ხალხი არ დამჭირდება. გამგეობის კრებაზე დავადგენ და სანამ საერთო კრება გვქონდა, მანამდე ახალი საშრობით მოვულობ გულსა. ხალხს რომ ნება მისცე, იმასვე ჩაიდენს, რაც გუშინდამ ვააკეთა. ეხლა ეს მითხარი: როდისთვის მორჩები შედგენას.

— ვეცდები, მალე გავაკეთო.

— შენ რა გგონია, ახალი საშრობი უკეთესი არ იქნება?

— როგორ არ იქნება უკეთესი?

— იქნება ისევე ძველი სჯობდეს?

— არც ძველია მაინცადამაინც ცუდი.

— მე მგონია, ის ფიცრები წელსაც გაუძლებს.

— როგორ არ გაუძლებს კაცო, რა ძალიან დიდი მოსავალი ჩვენა ვვაქვს წელსა.

— არა მგონია, იმ ფიცრებმა გაუძლოს.

— მეც ეგრე ვფიქრობ. გვალვია, მაგრამ სიმინდებს კარგი პირი უჩანთ.

— შეიძლება, გაუძლოს კიდევ.

— შეიძლება.

— შეიძლება, ვერც გაუძლოს.

— ეგეც შეიძლება.

აცხატებულ პაერში გარინდულოყუნენ ვაზის მოთენთილი ღეროები. ცისფრად დაფორეკებული ფოთლები გაყვითლებოდათ ძირებში და სანახევროდ დახრუკულნი ყავისფრად მიმხმარაყენენ ყუნწებზე. კოკოლებზე შემოვლებულიყო დახეთქილი მიწის აბლაბუდა. ზვართქლა, შვარალა-ბალაბა და მატიტელა ღიმილამობდა რიგთაშორისებში. ნიადაგი რკინასავით გამაგრებულიყო და თითქმის ყოველ დარტყმაზე თოხს მალლა ისროდა.

წელს ზევით გახდილი, შავად გახუხული ბიჭები მონდომებით მინდგომოდნენ ახალშენსა და გულდაგულ თოხნდნენ. უკან ჩამორჩენილი გოგოები დროდადრო ჩაცუტუკდებოდნენ, თითუბით ფრთხილად უჩიჩქნიდნენ ძირებს ვაზსა და სანამყენზე გამოტანილ ფესვებს მორიდებით აჭრიდნენ.

მომორებით აწლიოკებულ სანერგეში ორი ბიჭი შერეულიყო სასაბურებლებით და ბაცლურჯად გასდიოდათ საბურარი აპარატის ჭვრიტებს. წვრილი წინწყლების რკალზე ბუნდად ისახებოდა ბატარ-პატარა ცისარტყელები.

ვადწვერილი მზე მაინც მხურვალეზას არ აკლებდა დედამიწას და იქაურო-

ბას აღუღებდა. ოფლი ეწებებოდა წარბებსა და წამწამებს, საფეთქლებიდან ყბებზე წვეთავდა და მერე ნიკატან ინასკვებოდა. ტუჩებს ერბონაცხებოვით აბრიალებდა და პირში მომლამო-მწყლარტე გემოს ტოვებდა.

ერმანა და ჩასაბერი შეფარვით მოხედავდნენ მოწადინებულ ბიჭებს და მერე ისევ წინ წასულ შავლეგოს დასაწევად დააწეებოდნენ თოხებს.

— გახსოვს, ჩასაბერო, ბალღობისას რომ დაგვითხოვდნენ ხოლმე სკოლიდან, ზაფხულობით თითქმის სულ კოლექტივში ვმუშაობდით. მაშინ შენ იყავი ჩვენი მერგოლურა. რაც არ უნდა ნაკლები გავეთოხნა, მაინც წლის ბოლოს ჩვენზე მეტი გამოგდიოდა ნამუშევარი.

— მაშ „ზაზინობა“ როგორი გინდა? იქიდანვე ვემზადებოდი საუფროსოდ, მაგრამ შენ დამასწარი.

— უფროსობა არაფერ შუაშა, კაცი თითონ უნდა იყოს პატიოსანი. მე სხვისი არაფერი მიმითვისებია.

— არც მე. თქვენ არაფერს ვაკლებდით, ჩემთვის კი ცოტას წაეიმატებდი. ხოლმე. ეინც ხალხს წინამძღვრობს, ყველაფრით მეტი უნდა იყოს.

— ეგ სიმეტე ვაეკაცობით უნდა შეიძლოს და არა ეშმაკობით. გახსოვს, საწყალი ხატილუწია. თოხჯერ დააზომინე ერთხელ ნათოხნი: დაზომავს, დაჯდება, იანგარისებს და გიყდება. ფიქრობს: „ეს ნაკვეთი მთლიანად ამ ზომისა არც კია, მაშ რად გამოდის მართო ნათოხნი ზედმეტი?“ მე და სოსო კი ვზივართ კუნლის ქვეშ და სიცილისაგან ვგორაობთ ბალახზე. ერთხელაც ვერ შეგნიშნა, რომ ზომვისას რულეტის ბოლოს კინადამ ორ მეტრამდის მუქაში იკეცავდი და მალავდი.

— კი ეშმაკი იყო თითონ ხატილუწია. რაც ბრიგადირობდა, მე იმის ხელში თოხ-ნამგალი და სასხლავი არ დამინახნია.

— აბა, ბიჭებო, ცოტაც და დაეცევივით. ხედავთ, მზემ როგორ გადაითაცქევა? მალე აგრილდება კიდევ. აი, ნა-

ხავთ თუ დღეს ამ ნაკვეთს არ მოვიტოვებთ. ერთი მოვიდეს ძია ნიკო და ნახოს. არა, მაინც რატომ არ უნდაოდს ჩვენი მიღება, ვითომ ვისზე რა ნაკლები ბიჭები ვართ? — შავლეგო შემობრუნდა ფეხი ფეხზე შემოიღო და იღლია გრძელი თოხის ტარზე ჩამოაყრდნო. — მოგეხმარო?

— არ გინდა, ახლავე წამოგეწევით. მერე კი ერთადა ვთოხნოთ, თორემ ეგ თოხი კი არა, კაბდოა, საიდანაც კი მოედება, ერთიანად მიაქვს ყველაფერი.

— მუშაობამ გამიტყუა და გავასწარი. აბა, მაშ დაგიციდით. — მესვეური ჩაცუცქდა, კოკოლა თითებით ფრთხილად გამოთხარა და ძირი აუფქვრიელა. — თან მე შინიან, მიწა გახურებულია და ძირზე არ აწყინოს-მეტეი.

— არაფერია, — ანუგეშა ერმანამ. — ვაზი ოხერია: როცა ფესვებს შეაჭრი, ზედა ცხელ მიწას ძირში ნუ მოუქცევი, გრილი მიაყარე და მალღიდან ისევ ზედაპირისა დააფარე, ფიქრი ნუ გექნება.

უკან დარჩენილი ბიჭებიც მოიწევდნენ თოხნით. გოგოები დროდადრო მოიხდიდნენ თავსაფრებს, სახეს მოიწმენდნენ, წინ აინიყებდნენ და ისევ კოკოლუბთან ჩაიბუხლებდნენ.

— არა სჯობდა, რომ ფესვებიც ჩვენ შეგვეჭრა, მაშინ გოგოები სხვა საქმეს გაეკეთებდნენ. მაგათ რაღას ვაწვალებთ?

— შენ გგონია, მაშინ ამდენს გავთოხნიდით, შაქრი? მაშინ უფრო გავცდებოდით და, ალბათ საქმესაც გავფუჭებდით. ვაზი მაინც სათუთი მოსავლეელია და ისიც ახალშენი. ფესვების შუქრა კაცის საქმე არ არი, კაცს ხელი მაინც უხეში აქვს. გოგოს ხელმა კი მოფერება იცის. ფრთხილია და ნაზი.

ჩასაბერმა გადაიჭახჭახა.

— ე რა ჭკვიან ხალხში მოვხვდი ამ ბოლო დროს, რატო ცოტა ადრე არ გეცოდი? შენ დისერტაცია მზად გექნება გოგოს მოფერებაზე. ლამაზა თანახმაა, თუ იმის სახელს მოიხსენიებ შიგა?

— აბა, აბა ჩასაბერო, შენ დაუჭრე-ფაეში ნუ გიყვარს ხოლმე გადასვლა.

ელიკოს რომ ვინმემ სალამი დაუგვიანოს, სულს ამოართმევ. სხვისას კი უღიერად წაებოტინები.

მათხანავთა ბოლოში ვილაც კრელკაბიანი წამოდგა და შუბლზე ხელი მოიჩრდილა.

— თქვენ მანდ ჰორაობას თავი დაანებეთ და საქმეს მიხედეთ. ჯერ პირი კარგად გამოირეცხეთ, ელიკო კი მერე ახსენეთ.

— ტატატატა, ჩასაბერო! აღარაფერი წამომაცდენინო, თორემ ეგ შენა კენიან კარგად გამოშუპრავს.

— რა, ღმერთმანი, ენას ჰალი მოედება! მაგის გალანძლულს აღაზანი ველარ გარეცხავს.

— რაო, შაინც ნიკომ, რატომ ვერ მივიღებ კოლმეურნეობაშიო.

— რა ვიცი, კრებაზე დაუსწრებლობა მოიმიზეზა.

— ხალხმა რაღა თქვა?

— რა უნდა ეთქვა? — მუშახელი გეპირდება და მივიღოთო. რევანი ცოტა უემურია, თორემ ჯიგრიანი ბიჭია. უთხრა: „კაცი თბილისშია წასული, თავის საქმეს მოაგვარებს, აღრიცხვიდან მოეხსნება და აქ ჩამოვა, განა აუცილებელია მასწავლებლობაო?“

— თქვენა, თქვენზე რატომღა ამბობდა უარს, თქვენ ხომ იქ იყავით?

— სოსოზე გაბრაზებული იყო, რატომ პირიზნისაზე სათბავედ არ წავიდაო. მე კი სულ ხელი ამიქნია: როგორც შალაფისაგან სტვირი, იგრე მაგისგან კაცი არ იქნებაო.

— ჰო და ჰო, ჩასაბერო, განცხადება რომ არ დაგეწერა, იგრე წევრად არ ითვლებოდი? რომ გემუშავნა, შრომადღებზე უარს გეტყოდნენ?

— კაცი როცა ფაქრობს, რომ თავიდან იწყებს საქმეს, დიდი ხალისი აქვს. ხოლო როცა დაწყებულს აგრძელებს, ზოგჯერ უკვე უინტერესოა. გარდა მაგისა, ძირი თუ მაგარი არა გაქვს, ადგილი ხელწამოსაკრავი იქნები. ძია ნიკო კი იგრე უნდა ვაწამო, როგორც ურიებმა ქრისტე აწამეს.

— ეს ბიჭი ნამდვილად ხევესტრის ჯიშისაა. რას ერჩი ძია ნიკოს?

— აქამდე ის მერჩოდა. გახსოვს, ერთ დროს, ჰალისპირი რა იყო? მთელი რაიონში მაგაზე მაგარი ახალგაზრდობა არც ერთ სოფელს არა ჰყოლია. განა მარტო ჩვენს რაიონში? კარგი, ისინი წავიდნენ და ბევრი აღარ დაბრუნებულა. ესლა ვინცა ვართ, განა იმათზე ნაკლებები ვართ? მხოლოდ გასაქანს არ გვაძლევენ; რატომ მერე? ეშმაკმა იცის, რატომ! თუ ეშინია, ჩვენ თავმჯდომარეობაში არ შევეცილებით, ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ სხვებზე ნაკლები არ ვიყოთ. რად უნდა გვჯობნიდნენ კურდღელაურტლები ფეხბურთში, რითი არიან ჩვენზე მეტები? გინდა შრომელები იილე.

— იმით, რომ იმათ ჰკვიანი თავმჯდომარეები ჰყავთ. ყველაფრით ხელს უწყობს ახალგაზრდობას, კურდღელაურისამ მწვრთნელიც კი დაუქირავა, — თოხს ჩამოეყრდნო მოახლოვებული სოსო და ქარი ამოიღო.

ერმანამ თოხი წააქცია და ტარზე ჩამოჯდა.

— მოდი, ბარემ გავაბოლოთ.

— კარგი, გავაბოლოთ.

— მაგან კი, იმის მაგიერ, რომ ხელი წაგეახმაროს, მისდგა და ჩვენი გაშენდილი წარაფები გადახსნა, რომ შიგ ბურთი არ გვეთამაშნა.

— მარტო წარაფები? თქვენი ნაფეტვარი რად გავიწყდება? მთელი ხარახურა რომ მიზიდა და გარაეს აშენებს?

— აფსუს, რამოდენა შრომამ ჩაგვიარა უქმად.

— მე ჩემ თავს არა ვჩივი, ეს ქალაქიდან დასასვენებლად ჩამოსული კაცი რამდენი ვაწვალეთ.

შავლეგომ მურთაზისა და თავის თოხს ტარები ერთიმეორის ყუაზე დაუწყო და თითონაც ჩამოჯდა.

— დაჯექი, მურთაზ. თქვენ ნუ გეშინიათ, ბიჭებო. სადაც ჩვენი ხელი გარეულა და ჩვენი ოფლი დასწვეთებია, იქ

არაფერი არ დაიკარგება. ვინ გითხრათ, რომ მუქთად ვიმუშავეთ? ხვალვე წიგნაკებს გამოეწერინებ კანტორაში თქვენს სახელზე და შიგ პირველი შრომადღეები დაიწერება საგარეო ადგილის გასუფთავებისა და წარაფების გატეხვისათვის.

ბიჭებმა ყურები ცქიტეს. დანარჩენებიც მოვიდნენ და ირგვლივ ჩამოსხდნენ.

— მერე, მაგას ვინ დაგვიწერს?

— მე, თქვენი მერგოლური.

ბიჭები განცვიფრდნენ.

— არა გჯერათ?

— თავმჯდომარე რას იტყვის?

— ჩემთვის სულ ერთია თავმჯდომარეცა და მდივანიც. შავლეგოს სიტყვა, სიტყვაა. დაგიწერთ-მეთქი, მაშასადამე, დაგიწერთ.

ბიჭებმა ერთი მეორეს გადახედეს.

— მაშ კარგა ბლომად გამოგვივა ნამუშევარი.

— რატომაც არა. ამ სანერგის თოხნაც ზედ დაემატება.

— ვთქვით, დაემატა, წლის ბოლოს მაინც რა უნდა შეგვხვდეს? საქმე შრომადღეების რაოდენობაში კი არ არი, საქმე მოსავლის სიუხვეშია. მოიტა, მეც მომიკდე, ბიჭო, — ტიტამ სიგარეტი მოსრისა და ნათოხნში წამოწვა.

— მართალია, ბიჭებო, ტიტა მართალია, მაგრამ თუ ძაფი არ იქნა, წინდა საიდან იქნება? აი, ვაზი უკვე იზრდება. ორ წელიწადში უკვე მოსავალს მოგეცემს. ორწლიანიც ხომ არის, ერთი წლის შემდეგ ის დაისხამს. სამწლიანი წელს გამოიღებს ნაყოფს და ამგვარად თანდათანობით მოვა სიუხვე. მეორე წლისთვის უფრო მატია დაგეგმილი, ერთბაშად კი ძნელი იქნება.

— მართო ვაზი არ არი, შავლეგ, სხვა დანარჩენსაც ხომ უნდა მოვლა?

— უნდა და, მოვეუღლით, ნოდარ.

— სიმინდს მოუვლი, ყანას მოუვლი, მიწას მოუვლი, — ცას რაღას უზამ, ღრუბელს რას უზამ, მზეს რაღას უზამ? ხედავ, მიწა რასა ჰგავს და ლამის სიმი-

ნდები უკვე გადახმეს. დღეს სიცხე ბუგავს აქაურობას, ხვალ უკი წამოვა სეტყვა და ყველაფერს მინაყ-მონაყავს.

— გაჩუმდი, შე გომპარავ. ენამ არ გიყვილოს, თორემ ვერც გადამიჩნები.

— სადავიდარაბო არაფერია, ბიჭებო. კაცის ჰკუისა და მარჯვენის დაუმორჩილებელი ქვეყანაზე რა არის? ყველაფერი მოგვარდება, თუ არ დავიზარებთ.

— აგე, არ დავიზარეთ, კლდეზე იმოდენა გზა გავაკეთეთ და სასტადიონე მიწა კი სხვამ წაიღო.

— კოლმეურნეობა სხვა არ არი, მახარე, სამაგიეროდ ხუთიოდე პექტარი მიწა შეემატა სახნავეებს.

— შენ, ერმან, როცა ჩვენთანა ხარ, მაშინ ჩვენებურად უნდა იქიკიკო. თუ ჩვენი არ იქნებოდა ის ადგილი, ყოფილიყო ის წარაფები, რას მიშლიდა? ათასში ერთხელ კვრინჩხსა და მაცვალს რომ ვკამდით ხოლმე.

ჩასაბერმა წარბი შეიკრა.

— შენ როგორ ჯავახიანთ იასავით მოგდის, თონიკეს ბიჭო, „თუ ჩემი ვირი არ იქნება, პირიმზისაზე ბალახი სულაც ნუ მოსულაო“. მერე უცებ უკან მოიხედა და პირზე ხელი მიიფარა.

ბიჭებმა ჩაიხიხითხითეს.

— ნუ გეშინიან, ეტყობა, ვერ გაიგო.

— არ დამაფიწყოთ, ბიჭებო, მაგ გზის გაკეთებაშიც გვეკუთვნის შრომადღეები, უნდა დავიწეროთ.

— მაშ კარგა ბლომად მოგროვდება.

— არა გამოვა რა, ძია ნიკო არ გაიმეტებს.

— მაგაზე ლაბარაკი უკვე ზედმეტია. გითხარით, იქნება-მეთქი. მაშასადამე, იქნება. ახლა შენ ეს მითხარი: კედლის გაზეთისა რა ქენით?

მაქრიამ ვაზის ძირებთან მოფუსფუსე გოგოებს გაჰხედა და პასუხი დაუგვიანა.

— ვერ მიხვდი, როგორი ხასიათისა უნდა იყოს ჩვენი გაზეთი? ტყუილად ხომ არ დავარქვით „წიწაკა“?

— ხასიათისაც მიხვდები და ბევრსაც

დაუწვავთ პირსა, მაგრამ მთავარი ნახატებია.

— იქნებ, მასალა ჯერ არა გაქვთ.

— მასალა რა, ქვა-ქვიშა იმას არა სჭირდება და კირ-ცემენტი. თემები უამრავი მოვიგონეთ, მაგრამ „მხატვარი“ გვეყავს ცოტა უარზე.

— რატომ?

— ეშინია.

— რა აშინებს, დამიწუნებენო?

— ძია ნიკოსი ეშინია.

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე. კარგი, არა უშავს, მაგას მე მოვაგვარებ. თემები როგორია?

— როგორც წყლი-გივის თოფი: შეიძლება მსროლელი უფრო დააზიანოს.

— მაშ, არც ეგა გქონიათ მზად. კარგი, მაგაზე საღამოთი მოვილაპარაკოთ. ეხლა კი თუ დასვენება გინდათ, სჯობია ჩრდილში დავისვენოთ. სანამ მზე ტვის შემდეგ ძვლებს აგვიდუღებდეს.

— არა, დასვენება, ამ სევს რომ გავიტანთ, მერე. თორემ უფრო დაგვეზარება.

— აფსუს, არჩილი რომ ეხლა აქა ყოფილიყო, იმ თემებს სულ გალექსავდა.

— ეგ რომელი არჩილია?

— დორბლიანის ბიჭი.

— საბჭოს თავმჯდომარისა? არ მაგონდება რაღაც.

— როგორ არ მაგონდება კაცო, აბა გაიხსენე სტადიონზე ჯირითი: იმ საწყალს უნებლიეთ რომ არ დაეთმო შენთვის ცხენი. მთელ რაიონში მარტო ქალისპირელებს თუ ეცოდინებოდათ, რომ საქართველოში სააკაძეები კიდევ იბადებიან.

შავლეგოს გაეცინა და ჩასაბერს ცხვირზე წკიბურტი მიართვა.

— იმ ცხენს რა სააკაძე უნდოდა, ბიჭო, პაპაჩემი გოდერძი რომ იქა ყოფილიყო, შეიძლება ვერც კი დამესწრო.

— ვაჰ! შენ პაპაშენი შენზე ნაკლები

ბიჭი ხომ არა გგონია? მოკლე-დათას ბიჭი ამბობდა: რაიკომის ინსტრუქტორს ლოყაზე უჩქმიტავს.

— არაფერი გამიგია. აგეთ რამეზე პაპაჩემი არაფერს ამბობს ხოლმე.

— ვიცი, არ იტყვის. ავთანდილი კი ამბობდა: კინალამ ყბა აახლიჩაო.

— ალბათ აწყენინა რამე, თორემ პაპა უზრდელი არ არი.

— ვინა თქვა, უზრდელიაო? არ უყვარს მუქთამუქამლები.

— რაიკომის ინსტრუქტორი მუქთამუქამელი არ არი. ყველას თავისი საქმე და მოვალეობა აქვს.

— რა თქმა უნდა, მაგრამ გოდერძი პაპას ყველა თანამდებობიანი კაცის დანახვაზე გული ერევა.

— არც ეგა მგონია მართალი. კაი კაცს, ვინც უნდა იყოს, პატივსა სცემს პაპაჩემი.

— დაე, ეგრე იყოს, მაგრამ ვარდენი კი თურმე ძალიან იმუქრება.

— რაო? ვარდენიო? ინსტრუქტორი ვარდენი? — შავლეგოს წამით წარბთა შესაყართან ძლივს შესამჩნევმა თრთოლამ გაუარა. მერე კვლავ გაიღიმა და ჩასაბერი ანუგეშა. — არაფერია, პაპა თავს არავის არ დააჩაგვრინებს. ის არჩილი/კომკავშირელია?

— ჩემთან არი აღრიცხვაზე.

— მაშ რატომ არ გამოდის ჩვენთან სამუშაოდ?

— კაცი იმაზის, პოეტი ვარო. ის ამ სიცხეში აქ გამოგია? ეგეთ დროს თორღვას ციხესთან აღის და ტყეში ხეტიალით უხმობს თავის მუშას.

— წესიერად უთხარი, თონიკეს ბიჭო, რა იგავებით ლაპარაკობ ტობრაკასავით. ის ეხლა თბილისშია, შავლეგ, უმაღლესში აბარებს.

— არც ეგ არი ცუდი საქმე. კარგი თუ ისმის იქიდან.

— რა ვიცი, ნასყიდამ ქვეყანას ყურები წააქამა: სულ ზუთებზე გადისო.

— ყოჩაღ, ბიჭო! მაშ მალე ჩამოვა.

— შეიძლება ამ ორ-სამ დღეში გვეახლოს.

— მაშ ეგეც გამოგვადგება. აბა, რას იტყვით, დავისვენოთ, თუ ბარემ აქა ვართ, ეს სვე გავიტანოთ?

— ბარემ გავიტანოთ, თორემ მერე ჩრდილიდან გამოსვლა დაგვეზარება.

— აუჰ, რამდენი ლოლიაობა უნდა ჯერ მარტო სანერგეს — ზანტად აიზლან სოსო და თოხის პირი გამხმარ მიწას დუნედ უთაქა.

ნათოხნიდან კვლავ ნელი ზმორებით აიწია მტერის ცრიატმა ღრუბელმა. ჩამდორებული ჰაერი კვლავ თოხების ჩახა-ჩუხმა შეარხია.

მზე კარგა გადაიწვერა.

გაუთავებელი სვე თანდათან დამოკლდა.

უქანასკნელი ვაზი გზისპირას რატომღაც თამამი გაზრდილიყო. ძლიერი ძირიდან სამი რქა აეტანა. ყველაზე დიდი ავ ხელსა და საქონელს გადაეტეხა. წვეროთი მიწას დამხობოდა და ანახლენი მზეზე გარუჭულიყო.

შავლეგოს დაენანა ნამყენი. ჯერ გარშემო კარგა ღრმად შემოუთოხნა, მერე კი ჩაცუქდა და გადატეხილის შეხვევას შეუდგა ხვართქლათი. ფრთხილად, გულმოდგინედ ახვევდა ბალახს. ნახეთქი ისე გამხმარიყო, მონატეხი რქა ისე შეგუებოდა ჰორიზონტალურ

მდგომარეობას, რომ გასწორებისას მონახლენის ძირში გასკდა, მერქანი მთლად მოსცილდა მერქანს და თითქმის ქერქზელა დაეკიდა. მთოხნავმა უიმედოდ ჩათვალა მისი ხელმეორედ შეხვევა და ჯიბიდან დანა ამოიღო. მესამე რქა მთლად მოაჭრა და ნამყენი ორ რქაზე გაუშვა. მერე ძირი გამოუჩიჩქნა სანამყენეზე გამოტანილ ფესვებს შეცლა დაუწყყო.

— ასეთ დროს ვაზისთვის ჰრილობის მიყენება საშინელებაა.

შავლეგომ გვერდზე გაიხედა და ქალის ფეხები დაინახა. ძალიან კოხტა ფეხები იყო. მალალი, ჯიშიანი, ოდნავ მხემოკიდებული და სპორტულ ფეხსაცმელიანი. ლამაზად შეკერილ ჩითის კაბას თვალი ააყოლა. ქილის ქუდის ქვევიდან დიდი, ჰკვიანი თვალეები იცქირებოდნენ.

უცებ თვალეები თითქოს შეკრთნენ, ფეხებმა თითო ნაბიჯით დაიხიეს, მერე ხელზე დაკიდებული მათრახის ენა გამოჩნდა და ზევით აიკეცა.

— ფესვების შეცლისას, შენადულს ნურასოდეს ნუ მოკიდებთ ხელს. დანა კი ყოველთვის მჭრელი იქონიეთ, — და ქალი უქან გაბრუნდა.

(გაგრძელება იქნება)

მედეა კახიძე

საგალოგოლი თეთრაქეპას

შენს მშვენიებაზე მითხრეს
 ბევრი რამ,
 კლდიდან კლდეებზე
 დახვალ დიდგული.
 მოაქაფქაფებ ზვირთებს
 ნებივრად,
 მზეში დამწვარი
 და გახვითქული.
 ხარ მზის ფერთლებით
 კალთა მდიდარი,
 და პატარძალი
 ათასწლეული,
 ტყეში გაქრილხარ
 და მთებს მიბლავი
 ხარირემივით
 თავაწეული.
 შენს წინ ისვენებს
 ყოველდღე ხენეშით
 მგზავრი უღმერთო
 და ღვთისმშობსავე,
 მზე ყოველ დილა
 ჩამოდის ხევში
 და თეთრ ტალღებს ხვრებს —
 დაღვრილს დოსავით.

ქვებზე ამაყად
 მოყეულყოლობ,
 ხევო კამკამავ
 და სამწყურეალო,
 სველ კალმახებზე
 გზავზა ხელაობ,
 ქვევრში
 ბადაგად ჩასაწურავო.
 ხევ-ხევ დიდ ლოდებს
 დასჭიდებხარ
 და გძულს ნისლივით
 ჩანჩალ-ჩანჩალი,
 მამაბაპურ მთას
 დაჭკიდებხარ,
 როგორც გრძელვადა
 ვერცხლის ხანჯალი.
 შე სიხარული
 მკლავს წამიერი
 და შენთან მთების
 დავლა მინდება,
 რასაცა ჰქვია
 თვალსაწიერი,
 და ჩენი მიწის
 ავლადიდება.

ჯონ სკინნერი

გამთარი ჩვენი მღვდლები*¹

გულგვამში უცებ შიშის ცხელი ბურთი დაუტრიალდა. პირველ ქმართან ბედმა გაუღიმა. სუსტი კაცი იყო და ხელადვე აუღო ქალმა ალღო. ისე უიმედოდ იყო ეს კაცი შეყვარებული, რომ, როცა ქალმა გაყრა მოსთხოვა, ქმარს არც კი მოჰგონებია მეორედ გათხოვებისათვის ალიმენტის შეწყვეტა გაეთვალისწინებინა.

მეორე ქმარი დარწმუნებული იყო, რომ ქალს თავისი საკუთარი კაბიტალი ჰქონდა, და არცა ცდებოდა. როცა მოკვდა, ბევრი არაფერი დაუტოვებია ცოლისთვის, მაგრამ პირველი ქმრის ალიმენტის წყალობით, მაინც არაფერს იკლებდა მარჯი — კარგად იცავდა და თავის ნებაზე ცხოვრობდა. მაგრამ პირველი ქმარიც რომ მოკვდეს! აი საიდან გამოიარდა ის შიშის ცხელი ბურთი. დღისით თუ ღამით მაჯლაჯუნასავეთ აწვა ეს ფიქრი — რადგან ყოველი თვის ალიმენტი შეიძლებოდა უკანასკნელი ყოფილიყო.

იანვარში მელისონ ავენიუსა და ორმოცდამეჩვიდმეტე ქუჩის ვრცელ გზა-გვარედინზე შეხვდა. ჩამომხმარა, დაბერებულა. მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ქალს მოსვენებას უკარგავდა. უცებ რომ ფშოკოს ამ ნაბუშარმა ფეხი, ფულსაც გამოეთხოვე! მთელს ქვეყანაზე მარჯი იყო ერთადერთი სულიერი, რომელიც იმ კაცის ჯანმრთელობას სახეობით შესთხოვდა ღმერთს.

სწორედ ამ კაცის ჩამომხმარა, არაფრისმეტყველმა სახემ და უსიცოცხლო თვალბემა გაიელვეს ქალის მახ-

სოვრობის ეკრანზე, და გულგვამში უცებ ცხელი ბურთი დაუტრიალდა. ეს ძაღლის გაგდებული რომ მოკვდეს...

მარჯი კიდევ უფრო გადაიწია სარკისკენ, ცოტა ხანს ასე გაჩერდა, ნებისყოფა მოიკრიბა და ზუფანივით მოიქნია. ყელი კვლავ მოიღერა, თოკის ნაკვალევი ხელადვე გაქრა, თვალევი აუციმციმდა, კანი მტკიცედ გადაეჭიმა შუბლზე, მხრები გაუსწორდა. წამოდგა და წითელ ხაოიან ნოხზე ვალსის ცეკვით დატრიალდა. შიშველ ფეხებზე ვარდისფრად შეღებილი ფრჩხილები უპირიალეზდა. ჩქარა, ჩქარა, თორემ მერე ძალიან გვიან იქნება!

კარადის კარები გახსნა და გამოიღობილი, მოხდენილი კაბა, რასაც ოთხი იელისის დღესასწაულისათვის ინახავდა. სიფრიფანა წინდები, წაწვრილებულ ქუსლიანი ფეხსაცმელები. მოდუნება საესებით გაქრა ისეთი მონდომებითა და სისწრაფით იცავდა, როგორც ყასაბი ღესავს ხოლმე დანას, და დიდ კედლის სარკეშიაც მალიმალ ჩაიხედავდა, როგორც ყასაბი უსინჯავს დანას ცერით ფხას. სწრაფად, მაგრამ არა ფაცხა-ფუცხით; კაცებს ლოდინი არ უყვართ. მერე კი ქათქათა ბელთათმუნებს წამოიცივას და მოჩვენებითი სინდინჯითა და კოპწიანობით, თავდაჯერებულად, მოხდენილად, პეწიანად წაბაკუნდება თავისი ჩამოქნილი ფეხებით. ერთი მამაკაცი არ შეხვედრია, რომ მისთვის არ მოეხედოს. „მეები — მიღურების“ ფირმის საბარგო მანქანის შოფერმა დაუსტვინა კიდევ, როცა დატვირთული მანქანით ჩაუტვირინა, ხოლო ორმა უფროსკლასელმა ბიჭმა

* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 4.

რუდოლფ ვალენტინოსნაირი ფართო-ჭრილიანი თვალები მიაშტერეს და, პირდაღებულეზმა, ხარბად გადაყლაპეს ნერწყვი.

— რას იტყვი? — ჰკითხა ერთმა მეორეს.

— იმ!

— არ ვინდა ერთი...

— იმ!

ქალი უსაქმოდ არ უნდა გამოეხეტოს — ნიუ-ბეიტაუნში მაინც. სადმე უნდა მიეშურებოდეს, რამე საქმეზე, თუნდაც სულ უმნიშვნელო და უბრალო საქმე იყოს. მიბაკუნობდა მთავარ ქუჩაზე, შემხვედრებს მიესალმებოდა, თითო-ოროლა სიტყვას გადაუგდებდა და გონებაში, თავისდაუნებურად, შეფასებას აძლევდა ყოველ მათგანს.

მისტერ ჰოლი — სულ ვალებშია, აგერ რამდენი ხანია.

სტონი — ჩასკენილი ბიჭია, ნამდვილი მამაკაცი, მაგრამ რა ქალს უნდა ეყოს პოლიციელის ჯამაგირი იქნება თუ პენსია? თანაც მეგობრობს მასთან.

პაროლდ ბეკი — საკუთარი მამულის პატრონია, კარგი მამულისაც, მაგრამ აფერეს. მის მეტმა ეს მთელმა ქვეყანამ იცის.

მაკდოუელი — „ძალიან მესიამოვნა თქვენი ნახვა, სერ. მილი როგორა გყავთ?“ აჰ, აუტანელია — შოტლანდიელი, წუწურაქი, ხეიბარი ცოლის კალთაზე გამობმული. (მაინც რა ცას გამოეკრა ის დედაკაცი!) თანაც გულჩახვეული! კაცმა არ იცის, რის პატრონია.

თვალმიზნედილი დონალდ რენდოლფი — სულ ტაბურეტზე რომაა შემომჯდარი, ბარში; ნამდვილი ჯენტლმენი, სიმთვრალეშიაც კი, მაგრამ რად ვინდა — ოჯახს ბარში ხომ არ გადაიტან?!

პაროლდ ლიუსი — ეურნალ „ტაიმის“ გამომცემლის ნათესავიაო, გამიგონია, მაგრამ ვინ მითხრა? თვითონ? ჩამოუშვია ცხვირი და ყველას ბრძენი ჰგონია, იმიტომ რომ სულ გაჩუქებულა ბუსავით.

ედ უონტონერი — ქლესა, თაღლითი, ქურდი და წუწკი. ფული ბლომად

უნდა ჰქონდეს, ცოლიც ჰა და ჰა, საცა ვაფშეკს ფეხს, მაგრამ უნდოკაცია, ძალიც კი ჯაქვზე ჰყავს გამოთმული და აყმუვლებს. არ გამეჭცესო, ეშინია.

პოლ სტრეიტი — რესპუბლიკურ პარტიაში დიდი გამავლობა აქვს. ცოლს ბატერფლაი ჰქვია, ბატერფლაი! ნამდვილად! ნათლობის სახელია, შერქმეული არ გეგონოთ. როცა ნიუ-იორკის შტატის ვებერნატორი რესპუბლიკელია, პოლის საქმეც კარგად მიდის. ქალაქის სანაგვე მავისია — თითო კასრი ნაგვის გატანაში ოცდახუთ ცენტს ახდევინებს. ვირთაგვები რომ მომრავლდა სანაგვეზე და ქალაქს საშიშროება დაემუქრა, პოლმა თურმე ვირთაგვებზე ნადირობის ნებართვის გაყიდვა დაიწყო, ფანარსა და თოფსაც აქირავებდა — ოცდაორ ყალიბრიან ვაზნებს. ისე ჰგავდა ჩვენს პრეზიდენტს, რომ ზოგ-ზოგი აიკსაც ეძახდა*. მაგრამ დენი ტეილორმა სიმთვრალეში პრუწა პოლი შეარქვა, და შერჩა კიდეც ეს სახელი. ზურგსუკან სხვანაირად არც ახსენებენ.

მარტლო — მთლად დაჩაჩანაკდა, ჩამოყვითლდა. თვალებიც, — (კაცს რომ ორმოცდახუთყალიბრიანი ვაზნა მოარტყა მუცელში, რა თვალები გაუხდება!) — მარტლოსაც სწორედ ისეთი თვალები აქვს. ისე ჩაუარა თავის საკუთარ დუქანს, რომ შიგ არც შეუხედავს. მარჯი დუქანში შევიდა, უკანალის რხევით.

ითენი ვილაც ახალგაზრდა, შავგვრემან კაცს ელაპარაკებოდა, რომელსაც მოდაზე შეკერილი შარვალი ეცვა, და ვიწროფარფლიანი ქუდი ეხურა. ორ მოცი წლის კაცი იქნებოდა, ჩასკენილი, მკერივი. საქმიანი. ისე გადაწოლილიყო დაზღზე, თითქოს ითენს გლანდებს უსინჯავსო.

— გამარჯობათ! ეტყობა, არა გცა-

* ივლისხმება პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, რომელსაც მეტსახელად აიკს ეძახდნენ. (მთარგმენიშენა).

ლიათ. მერე შემოვივლი, — თქვა მარჯიმ.

რაც უნდა უსაქმური იყოს ქალი, ბანკში მაინც გაიჩენს რამე საქმეს. მარჯიმ ქუჩა გადასჭრა და მარმარილოსა და უქანგავი ფოლადის თაღქვეშ შევიდა.

მის დანახვაზე ისე გაუბადრა სახე ჯოი მორფის, რომ სალაროს ლარტყუილიც კი განათდა. რა ღიმილი აქვს, რა ბასიათი, პირდაპირ სულში ჩაგვიტრენს, მაგრამ რად ვინდა — საქმროდ გამოუსადეგარია... მარჯიმ თავიდანვე კარგად გაუვო — მარტოხელობა დაბადებიდანვე დაჰყვა, მოკვდება და ცოლს არ შეირთავს. ორსაწოლიანი სამარე არ უწერია ჯოის.

— ქორფა, უმარლო ფული ხომ არ გექნებათ, სერ? — უთხრა მარჯიმ.

— მომითმინეთ, ქალბატონო, ახლავე ვნახვ. მგონი, კი უნდა მქონდეს. მაინც რამდენი გნებავთ?

— ექვსიოდე უნციას წავიღებდი, მუხიე, — თუთი ჩანთიდან ბანკის წიგნაკი ამოიღო და ოცი დოლარის ჩეკი გამოწერა.

ჯოის გაეცინა. მოსწონდა მარჯი. ზოგჯერ, არც თუ ისე ხშირად, სადილად დაპატიებდა და მერე გვერდზე მოიწვენდა. სიამოვნებდა მასთან მუსაიფიც, მისი ლალი ხასიათიც.

— მისის იანგ-ჰანტ, თქვენ მე ერთი მეგობარი გამახსენეთ, რომელიც პანჩო ვილასთან ერთად იბრძოდა, მექსიკაში. არ გაგონდებათ?

— ჩემს დღეში არ შევხვდრივარ.

— არა უშავს რა. ერთხელ ასეთი ამბავი მიაშმო იმ კაცმა. პანჩო რომ ჩრდილოეთში მოხვდა, თურმე ფულის საბეჭდი მანქანა გააკეთა და თვითონვე უშვებდა ფულს, ოცოც პესოს. იმდენი დაბეჭდა რომ ხალხი თვლას ველარ აუდიოდა, და მიანებეს კიდევ თავი — არც ეხერხებოდათ, მაინცდამაინც, თელა. წონით მიჰქონდათ ხოლმე.

— თქვენი მოგონებები თუ არ გაგვიზიარეთ, ისე ხომ არ შეიძლება, ჯოი! — უთხრა მარჯიმ.

— რას ამბობთ, მისის იანგ-ჰანტ. მე მაშინ ხუთი წლის ბიჭუკეყენებულდი. ეს მონაყოლი ამბავია. ერთ დღეს გზაზე ფულსა ქალი მიადგა თურმე, ფერადკანიანი, მაგრამ ფუნთოშა, და ეუბნება: „გენერალო, შენ ქმარი მომიკალი და დამაქვრივე, ხუთი ბავშვის ამარა დამტოვე... ეს არის თქვენი სახალხო რევოლუცია?“. პანჩომ ერთი ახედ-ჩახედდა, როგორც მე ვშვრები ახლა...

— თქვენ ხომ საგირავნო არა გაქვთ, ჯოი!

— ვიცი. მონაყოლი ამბავია. პანჩო აღიუტანტს მიუბრუნდა: „აუწონე ხუთი კილო ფული“. შეუტრეს საგულდაგულოდ მავთულით, მაგრამ იმხელა გამოვიდა, ძლივს წაათრია ქალმა. უცებ ლეიტენანტმა შემოიბრინა, მხედრული სალამი მისცა და მოახსენა. „ბატონო გენერალო. მაგისი ქმარი ჩვენ არ დაგვიხვრეტია. გალუშილი იყო. დილეგში ჩავაგდეთ“. პანჩოს კიდევ ვერ მოეშორებინა თვალი ქალისთვის, რომელიც ფულს მიათრევდა. უცებ შეჰყვირა „ახლავე გამოიყვანეთ და დახვრიტეთ. ამ საწყალ ქალს ხომ ვერ მოვატყუებთ!“

— აუტანელი კაცი ხართ, ჯოი.

— ნამდვილი ამბავია. მე მჭერა. — ჩეკი ხელში შეატრიალა. რა ფული გინდათ — ოციანები, ორმოცდაათიანები თუ ასიანები?

— ხუთდოლარიანები იყოს.

ესიამოვნათ ერთმანეთთან გამოლაპარაკება.

მისტერ ბეიკერმა თავისი კაბინეტის მჭქალი მინის კარიდან გამოიხედა.

აქაც შეიძლებოდა რამე გამომდნარიყო. ოდესღაც ბეიკერსაც გამოეჩინა ქალის მიმართ თითქოს სავსებით უანგარო, მაგრამ სინამდვილეში უფრო მრავალმნიშვნელოვანი თავაზიანობის ნიშნები. მისტერ ბეიკერი — ეს იგივე მისტერ ფული იყო. მართალია ცოლი ჰყავდა, მაგრამ მარჯი მშვენივრად იცნობდა ამქვეყნიურ ბეიკერებს. ოლონდკი რამე მოიწადინონ, და ზნეობრივი

გამართლების პოვნა არ გაუძნელდებათ. კიდეც კარგი, მაშინ ჩამოიცილა. ამის წყალობით ახლა ისევ საგარეულო სათვალავში ჰყავდა ბეიკერი.

ჯონის მიცემული ზუთფოლარიაინები საფულეში შეინახა და ის იყო ქალარა ბანკირისკენ წასვლა დააპირა, რომ უცებ ბანკში აუჩქარებელი ნაბიჯით შემოვიდა ის კაცი, რომელიც ახლახან ითენს ელაპარაკებოდა; შემოვიდა, მარჯის წინ გაიარა და ბარათი ამოიღო; ხელადვე მისტერ ბეიკერის კაბინეტში შეიყვანეს და კარებიც მაშინვე მიიხურა.

— ამას ჰქვია, ფეხები დამიკოცნეო, — უთხრა ქალმა ჯონს*.

— მერე რა ფეხები — უღამაზესს რომ ვერ ნახავ მთელს უესექს კონტ-ში! — მიუგო ჯონი, — ერთად ზომ არ გაგვეტარებია საღამო, ჰა? ვიცეკვებდით, ვისადილებდით და ყველაფერი!...

— არა მცალია, — უპასუხა ქალმა, — ეს ვინ იყო?

— პირველად ვხედავ. ისე ბანკის რევიზორის ტიპია. ასეთ დროს მუდამ იმას გავიფიქრებ ზოლმე — რა კარგია, პატროსანი რომ ვარ და თან მიმატება-გამოკლებაც ვიცი-მეთქი.

— შენისთანა კაცს, ჯოი, უერთგულესი ცოლიც კი ვერ გაუჩერდებოდა.

— მეც მაგის იმედით მიღვას სული, ქალბატონო.

— ნახვამდის.

ქალი გავიდა, ქუჩა გადაჭრა და კვლავ მარტლოს დუქანში შევიდა.

— გამარჯობა, ით.

— ჰელოუ, მარჯი.

— ის კოხტა უცნობი ვინ იყო?

— თქვენი კრისტალის ბურთი რა უყავით?

— საიდუმლო აგენტია?

— უარესიც. რატომ ყველას ეშინია პოლიციისა, მარჯი? არაფერიც რომ არ

დამეშავებიოს, მაინც დაფიქრებდი ზოლმე.

— ეს თმადანუჭუჭუბული ვაყბატონი პოლიციის აგენტი ბრძანდება?

— არც რამე უკლია. ფედერალური ბიუროდან ვარო.

— ასეთი რა დააშავეთ, ითენ?

— დააშავეო? მე? რა უნდა დამეშავებინა?

— მაშ რა უნდოდა?

— რა უნდოდა, არ ვიცი, მე მარტო ის ვიცი, რაც მკითხა.

— რა გკითხათ?

— რამდენი ზანია ამ მალაზიის პატრონს იცნობო. შენს გარდა კიდეც ვინ იცნობსო. ნიუ-ბეიტაუნში როდის ჩამოვიდაო.

— თქვენ რა უთხარით?

— ფრონტზე რომ წავედი, არ ვიცნობდი-მეთქი. რომ დავბრუნდი, აქ დამხვდა, ზოლო როცა გავკოტრდი, ეს მალაზია შეიძინა და მეც ნოქრად ამიყვანა-მეთქი.

— თქვენ როგორ გგონიათ, ნეტა რა უნდა?

— ეშმაკმა უწყის.

მარჯი თვალს არიდებდა. თავს ისულელელებსო, ფიქრობდა. ნეტა, მართლა რა უნდოდა იმ ვაყბატონსო.

— თქვენ ჩემი არა გჯერათ. ხომ დაკვირვებობართ, საერთოდ, პრავისაც არა სჯერა სიმართლე, მარჯი.

ეს ისე წყნარად თქვა, რომ ქალს შეეშინდა კიდეც.

— სიმართლეც არის და სიმართლეც. ქათამი ხომ ქათამია, ით, მაგრამ როცა აქნი — ზოგი თეთრი ზორცი შეგხვდება და ზოგი შავი.

— მართალია. და ძალიანაც შეწყუხებული ვარ მარჯი: ალფიოს რომ რამე მოუვიდეს, ქუჩაში დავრჩები, უმუშევარი.

— თქვენ ხომ გამდიდრებას აპირებთ, დაგავიწყდათ?!

— ძნელი დასაჯერებელია, მანამ მართლა გამდიდრდებოდე.

— თუ გავონდებათ, ითენ: გაზაუ-

* ასეთი გამოთქმაა, როცა რაიმე საქმეზე დაგვიყვანდება. (მთარგმ. შენიშვნა).

ხულის დღე იყო, მგონი აღდგომის კვირა. მე მაღაზიაში შემოვედი და თქვენ იერუსალიმის ასული მიწოდეთ.

— წითელ პარასკევს.

— გხსომებიათ. მერე გავიგე, მათეს სიტყვები ყოფილა. ისე, კარგი კია... ცოტა არ იყოს, შემზარავიც.

— ნამდვილად.

— საიდან აგეკვიბათ?

— სულ პაპიდა დებორას საქმეა. წელიწადში ერთხელ ჯვარს მაცვამდა ხოლმე. მას შემდეგ სულ ასე მომდის.

— ახლა ხუმრობთ, მაშინ არ ხუმრობდით.

— მართალია, არ ვხუმრობდი. არც ახლა ვხუმრობ.

— ხომ ატყობთ, რომ რაც გიმკითხავთ გიმართლდებათ? — მხიარულად უთხრა ქალმა.

— ვატყობ.

— მერე — ვალში არა ხართ ჩემს წინაშე?

— ვარ.

— როდის უნდა გადამიხადოთ?

— საწყობში ვერ შემომყვებით?

— არა მგონია, რამე გამოგივიდეთ.

— ვითომ?

— ეგ თქვენც ხომ მშვენივრად იცით, ითენ. როდის ყოფილა, სწორი გზიდან გადაგხვებით!

— იქნებ ახლა მოვახერხო.

— ძალიანაც რომ მოინდომოთ, მრუშობას მაინც ვერ მოახერხებთ.

— ვცდი მაინც.

— ეს ან სიყვარულმა უნდა შეგადლებინოთ ან სიძულვილმა. ერთსაც და მეორესაც ძალიან დიდი დრო და ხათბალა სჭირდება.

— იქნებ მართალიც იყოთ. მაგრამ თქვენ საიდან იცით?

— ვიცი კი, და საიდან ვიცი, ამას არ დაგვიკვირებია.

ითენმა მაცივრის კარი გამოაღო, კოკა-კოლა გამოიღო, რომელიც გარედან მაშინვე შეიორთქლა, გახსნა და ქალს მიაწოდა, მერე თავისთვისაც გაიხსნა მეორე ბოთლი.

— მაინც რა გინდათ ჩემგან?

— ჩემს დღეში არ შევხვედრივარ თქვენისთანა კაცს. ალბათ, გამფუცადო მინდა — რა გრძნობა მოგატყავს, კრეცა ვინმეს ძალიან უყვარხარ ან ძალიან სძულხარ.

— თქვენ ხომ ჯადოქარი ხართ! დაუსტვინეთ და ქარი გამოიწვიეთ.

— სტვენა არ ვიცი. სხვა მამაკაცების გულში, იცოცხლე ერთი წარბის აწევით დაეატრიალებ პატარა ქარს. ოღონდ თქვენ როგორ წავიკიდოთ ცეცხლი, ამას ვერ მივხვდარვარ.

— იქნებ წაიკიდებული მქონდეს.

გულმოდგინედ შეათვალიერა, არც კი მორიდებია.

— კაი აგურის შენობასავით ნაგები!

— თქვე მან, — რბილი გლუვი, მკვრივი და გემრიელი!..

— საიდან იცით? ერთხელაც არ შეგივლიათ ხელი!

— მტრისას, ერთხელ თუ შეგაგლეთ!

— ჩემო სიყვარულო!

— კარგით, გეყოფათ. არ მოტყუვდეთ. იმდენი პატივმოყვარეობა კი მაქვს, რომ ჩემი მიმზიდველობის ყადრი ვიცოდე. რა გნებავთ? დიდებული ქალი ხართ, საკმაოდ ჭკვიანიც... რა გინდათ?

— მე თქვენ გიმკითხავთ და მალე ყველაფერი ავიხდებათ.

— და თქვენც გინდათ გამომჩინეთ, არა?

— რატომაც არა.

— ახლა კი მივიხვდით, — თვალები ზეაღაპკრო, — მერი, ჩემო სულო და გულო, — თქვა მან, — ერთი შენს ქმარს შეხედე, შენს სიყვარულს, შენს ძვირფას მეგობარს. შენ დამიფარე სულში დაბუღებული ბოროტებისგანაც და გარეშე ვნებისგანაც. შენ უნდა მიხსნა, ჩემო მერი, რადგან მამაკაცის მოუსვენარი გული ყოვლად გაუმაძღარია და დასაბამითვე ასე უწერია: ყვე-

ლგან მიმოღანტოს თესლი თვისი.

Ora promihi.*

— დიდი ყალთაბანდი კაცი ხართ, ითენ.

— ვიცი. მაგრამ ხომ შეიძლება თვინიერი ყალთაბანდი ვიყო.

— ახლა რაღაც მეშინია თქვენი, ადრე არ მეშინოდა.

— ნეტა, რატომ.

კარტის რჩევის დროს რომ გამომეტყველება ჰქონდა, ახლაც ისე გამოიხედა, და კაცმა მაშინვე შენიშნა ეს.

— მარულო.

— მარულოს რა მოუვიდა?

— მე თქვენ გეკითხებით.

— ერთი წუთი მადროვეთ. ექვსი კვერცხი, ერთი ნაჭერი კარაქი, არა? ყავა, არ გინდათ?

— ერთ ყავასაც წავიღებ. იყოს თაროზე, რას მიშაგებს. ეს „ჰამლამი“ კარგი კონსერვია?

— შე პირადად არ გამისინჯავს. ისე, აქებენ, ძალიან კარგიაო. ერთი წუთი, მისტერ ბეიკერ!. მგონი მისის ბეიკერმა წაიღო ეს ხორცის კონსერვი, არა?

— არ ვიცი, ითენ. შე, რასაც მომართმევენ, იმას ვჭამ. მისის იანგ-ჰანტ, რაც დრო გადის, სულ მშვენიერებით და ლამაზდებით.

— მადლობელი ვარ ქათინაურისთვის, სერ.

— ქათინაური არ გახლავთ, სინამდვილეა. თან... ლაზათიანადაც იცვამთ.

— ჩემს სათქმელს მეუბნებით. ლამაზი ხართ-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ შესანიშნავი თერძი გყოლიათ.

— თერძს არა უშავს. ბევრსაც თხოულობს.

— ვილაცას უთქვამს, თქვენ ხომ არ გახსოვთ — „კაცს საქმე ამშვენიებსო“; ახლა შეიცვალა ეს გამოთქმა — „კაცს თერძი ამშვენიებს“ როგორსაც ეტყვი, ისეთს გამოგიყვანს.

— კარგად შეკერილ კოსტუმს ერთი ნაკლი აქვს — დიდხანს არ ცვლება. ათი წელიწადია ეს კოსტუმი მაცვია.

* ილოცე ზემოთის.

— მაგას კი ვერ დავიჯერებ, მისტერ ბეიკერ. მისის ბეიკერი როგორ ბრძანდება?

— ეტყობა, არა უშავს, რაკი არ წუწუნებს. ერთხელ მაინც მოინახულეთ, მისის იანგ-ჰანტ! მოწყენილია. ჩვენს დროში, იშვიათად თუ შეხვდები კაცს, კარგი თანამოსაუბრე იყოს. ის გამოთქმა კი, კაცს საქმე ამშვენიებსო, ვიკუმს ეკუთვნის. უინჩესტერის კოლეჯის დევიზს წარმოადგენს.

მარჯი ითენს მიუბრუნდა.

— ერთი სხვა ბანკირიც მომიძენეთ მთელს ამერიკაში, ამდენი რამე რომ იცოდეს.

მისტერ ბეიკერი წამოკარხლდა.

— ცოლს „დიდი ავტორები“ აქვს გამოწერილი. სულ წიგნში აქვს თავი ჩარგული. მოინახულეთ ერთი.

— სიამოვნებით. ესენი პარკში ჩამიწვევთ, მისტერ პოული. მერე გამოვივლი და წავიღებ.

— ახლავე, ქალბატონო.

— საოცრად მომზიბლავი ქალია, — თქვა მისტერ ბეიკერმა.

— მერისთან მეგობრობს.

— ითენ, ის მთავრობის კაცი აქაც იყო, არა?

— იყო, დიახ.

— რა მინდაო?

— რა ვიცი. მისტერ მარულოს ამბავი გამომკითხა. აღარ ვიცოდი, რა მეპასუხნა.

მისტერ ბეიკერს აქამდე სულ მარჯის გამოსახულება ედგა თვალწინ, და ახლა როგორც იქნა, გათავისუფლდა ამ ხილვისაგან, როგორც ანემონი გამოწუწუნის ხოლმე კიბორჩხალს და ნიყარას გადააგდებს.

— დენი ტელიორი არ გინახავს, ითენ?

— არა, არ მინახავს.

— არ იცი, სად არის?

— არა, არ ვიცი.

— უსათუოდ უნდა ვნახო. მაინც სად უნდა იყოს?

— აგერ... მაისს აქეთ აღარ მინახავს. სამკურნალოდ აპირებდა წასვლას.

— საით, მაინც?

— ეგ არ უთქვამს. მაგრამ ვიცი, რომ აპირებდა.

— სახელმწიფო საავადმყოფოში?

— არა, მგონია, სერ. ფული ჩემგან იხსება.

— რაო?

— მე ვასესხე ცოტადენი ფული.

— რამდენი?

— რ ა ბ რ ძ ა ნ ე თ ს ე რ ?

— უკაცრავად, ითენ. თქვენ ხომ ძველი მეგობრები ხართ. სხვა ფულიც ჰქონდა?

— მე მგონი.

— რამდენი, მაინც?

— ეგ არ ვიცი, სერ. ისე მომჩვენა, რომ კიდევ ჰქონდა ფული.

— ყური თუ მოჰკრა, სად არის, უსათუოდ მითხარი.

— თუ გავიგე, გეტყვით, მისტერ ბეიკერ. იქნებ მაგისტანა საავადმყოფოების მისამართები გაიგოთ და დაურეკოთ.

— ნაღდი ასესხეთ?

— ღიას.

— მაშ, არაფერი არ გამოვა. გვარს შეიცვლიდა.

— რატომ?

— კარგმა ოჯახიშვილებმა ასე იციან. მერის ფული მიეცი, ითენ?

— ღიას.

— მერე, დაგროთ ნება?

— მერის არც კი გაუვია.

— ჰკვიანად მოქცეულხარ.

— თქვენგან ვისწავლე, სერ.

— ნუ დაივიწყებ, გამოვადგება.

— ნელ-ნელა ვვარდები ჰკუაში. უკვე იმას მივხვდი, რომ ძალიან ცოტა რამ მცოდნია ქვეყნად.

— ეგვეც საქმეა. მერი როგორა გყავს?

— მერის რა უქირს, ყოჩალი ქალია. მინდოდა სადმე წამეყვანა, შვებულეების დროს. რამდენი წელიწადია, ქალაქიდან ფეხი არ გაგვიდგამს.

— მაგასაც მოესწრებოდ, ითენ. მე მენისკენ ვაპირებ, საოთხიელსოდ. ნმაურს და აურზაურს უკვე ვეღარ ვუტან.

— ბედნიერი ხალხი ხართ ბანკირები. ამასწინათ ოლბანშიაც იყავით, არა?

— საიდან მოიგონე?

— აღარ მახსოვს, ვინ მითხრა... ილბათ სადმე მოვკარი ყური. იქნებ მისის ბეიკერმა უთხრა მერის.

— ვერ ეტყოდა. იმან თვითონ არ იცოდა. იქნებ გაიხსენო, ვინ გითხრა!

— ეგებ მე თვითონ მომჩვენა.

— ითენ, ძალიან შემაწუხა შავ საქმემ, სცადე, როგორმე გაიხსენე.

— ვერ გამიხსენებია, სერ. სულერთი არ არის, თუკი ტყუილია?!

— საიდუმლოდ გეტყვი, ასე რამ შემაწუხა. ნამდვილად ვიყავი და იმიტომ. გუბერნატორმა დამიბარა. სერიოზული საქმეა. ნეტა, საიდან გამქლავდა!

— იქ ხომ არავის დაუნახიხართ?

— არა მგონია. ვაუფრინდი და ვადმოფრინდი. სერიოზული საქმეა. ახლავე გეტყვი რაღაცას. ესეც თუ გაიგეს, მეცოდინება მაინც, ვისგან მომდინარეობს.

— მაშინ ნუ შეტყვით.

— არა, რაკი ოლბანის ამბავი იცი. უსათუოდ უნდა გითხრა. შტატის მმართველობა ჩვენი ოლქისა და ჩვენი ქალაქის ამბებით დაინტერესდა.

— რა მოხდა?

— მე მგონი, რაღაც იენოსეს ოლბანში.

— პოლიტიკას ეხება?

— რაკი გუბერნატორი დაინტერესდა, პოლიტიკა იქნება.

— მისტერ ბეიკერ, რატომ არ შეიძლება, ეს აშკარად ითქვას?

— მაგასაც გეტყვი. როგორღაც ეს ამბავი გახშიანდა, და რევიზორებმა თითქმის ველარაფერი აღმოაჩინეს.

— ახლა კი გასაგებია. ნეტა ჩემთვისაც არ გაგეზიხათ. ყბედობა არ მიყვარს, მაგრამ ჯობდა მაინც არ გეთქვათ.

— მაგაზე თუ მიდგა საქმე, ნეტა არც მე მცოდნოდა, ითენ.

— არჩევნები შვიდ ივლისსაა დანიშნული. მანამდე გაიხსნება საქმე?

— არ ვიცი. შტატის მართველობაზეა დამოკიდებული.

— თქვენ როგორ გგონიათ, მართლაც ხომ არ იქნება გარეული? მეშინია სამსახური არ დავკარგო.

— არა მგონია. ეს კაცი ფედერალური ბიუროდან იყო, იუსტიციის სამინისტროდან. საბუთები არ მოსთხოვე?

— არც მიფიქრია. მაჩვენე, მაგრამ არ გამისინჯავს.

— უნდა გავგისინჯა. უსათუოდ უნდა გაუსინჯო.

— ცუდ დროს მიემგზავრებით.

— აჰ, ეგ არაფერი. ოთხ ივლისი ისეთი დღეა, რომ არაფერი მოხდება. ტყუილად კი არ შეარჩიეს იაპონელებმა უქმე დღე პირლ-პარბორზე თავდასასხმელად. იცოდნენ, რომ კაციშვილი არ იქნებოდა ქალაქში.

— ნეტა, მერი წამაყვანინა სადმე.

— მოესწრები. ახლა ჰუკუს ძალა დაატანე და ტელიორი მამოვინე.

— რა მოხდა? ასე ძალიან გჭირდებათ?

— ძალიან. ოღონდ ჯერ არ გეტყვი, რატომ.

— ნეტა მართლა მამოვინა.

— რომ მოქებნიდე, იქნებ ეს სამსახურიც აღარ დაგკირდეს მერე.

— რაკი ასეა, თავს გადავდებ და მოვქებნი, სერ.

— ყოჩაღი ბიჭი იქნები, ითენ. შენი იმედი მაქვს. თუ სადმე წააწყდე — იმ წუთში დამირეკე, დღე იქნება თუ ღამე.

თავი მცხამება

იმ ხალხისა მიკვირს, ფიქრის დრო არა გვაქვს რომ ამბობენ. მე პირადად, დღე და ღამე შემიძლია ვიფიქრო. ბოსტნეულსა ვწონი, მუშტრებს ველ-პარაკები, მერის ვეჭუჭლუნები ან ვესიყვარულები თუ ბავშვებსა ვტუქსავ, სულერთია ხელს არაფერი მიშლის —

მაინც ვფიქრობ, ესეი, ვვარაუდობ. დარწმუნებული ვარ, სხვებსაც ასე მოსდით. იქნებ, არ უნდათ იფიქრონ და იმიტომ ამბობენ, დრო არა გვაქვსო.

რაკი უცხო და სავესებით გამოუყვლეველ ქვეყანაში მოვხვდი, ალბათ, სხვა არჩევანი არცა მქონია — უნდა მეფიქრა. ათასნაირი კითხვები დულდნენ და თუბთუხებდნენ, ყურადღებას მოითხოვდნენ. იმდენად უცხო იყო ჩემთვის ეს ქვეყანა, რომ თავგზა დამეკარგა, ისეთი უბრალო საქმის ასავალდასავალიც კი ვერ გამეგო, რაც იქაურებს ალბათ ბავშვობაშივე მოგვარებულ-გადაწყვეტილი ჰქონდათ.

ერთხელ რომ ჩავრთავ ჩარხს, მერე მორჩა-მეთქი, ვფიქრობდი, ჩემს ნებაზე ვატრიალებ და თან, როცა კი მომეგუნებება, მაშინვე გავაჩერებ-მეთქი. მაგრამ სულ უფრო და უფრო მომერის შიშისმომგვრელი რწმენა, რომ ეს ჩარხი შეიძლებაოდა ჩემგან სავსებით დამოუკიდებელი გამხდარიყო, როგორც ცოცხალი არსება, რომელსაც საქუთარი აზრი და მისწრაფება აქვს და თავისი შემქმნელისაგან სულაც არ არის დამოკიდებული. უცებ სხვა ფიქრიც ამეკვიბატა. მართლა მე ჩავრთე ეს ძრავი თუ თავისით ბრუნავდა და ვერ დავუსხლტი, ძალითი ჩამითრია?! ვთქვათ, პირველად მართლაც მე ჩავრთე, მერე ხომ მის ნებაზე ვტრიალებ? თითქოს ამ დიდ გზაზე არც გადასახვევებია, არც შუკები და ბილიკები, არჩევანი არა გაქვს.

არჩევანი თავიდან გქონდა. რას ნიშნავს ზნეობა? ფუჭი სიტყვაა? პატიოსანი მოქმედება შეიძლება დაერქვას მაჩემის სისუსტით სარგებლობას, რომელიც თვითონ დიდსულოვანი კაცი იყო და, საწყალს, გულუბრყვილოდ ეჩვენებოდა სხვებიც დიდსულოვნები არიანო? არა, კარგი ბიზნესი ძნელი დასათმობი გახდა და იმიტომ გაუთხარეს ორმო. თვითონვე ჩავარდა იმ ორმოში, ხელი არავის უკრავს. ის თუ იყო პატიოსანი მოქმედება, შიგ ჩავარდნი-

ლი რომ გაზადეს და გაატიტვლეს? ალბათ, იყო.

ახლაც ალყაში აქცევენ ნიუ-ბეიტაუნს, დინჯად და ფრთხილად, და ალყის შემომარტყმელები სულ პატიოსანი ხალხია. თუ გაუმართლდათ, ყალთაბანდები კი არ იქნებიან, ჰკვიან ხალხს შეარქმევენ. ვთქვათ, უცებ ისეთი რამე გამოუტყვრათ, რაც გათვალისწინებული არაა პქონდათ, მაშინ რაღა გამოვა — უხნეობა თუ უპატიოსნობა? მე მგონი, ეგეც იმაზეა დამოკიდებული, გაუმართლდებათ საბოლოოდ თუ არა. ხალხის უმრავლესობა ასე სჯის — გაიმარჯვე, ესე იგი მართალი ხარ! გამარჯვებული პიტლერი რომ შეუფერხებლად მიიწეოდნა წინ, მახსოვს, რამდენი პატიოსანი კაცი სათნოებად უთვლიდა ამას. მუსულინიმ მატარებლების მტკიცე განრიგი დააწესა, ვიშის კოლაბორაციონისტები საფრანგეთის კეთილდღეობისათვის იღწეოდნენ; ხოლო სტალიონი, რაც არ უნდა თქვა, ძლიერი კაცი იყო. ძალა და წარმატება ყოველგვარ ზნეობასა და კრიტიკაზე მაღლა დგას. როგორც ეტყობა, მთავარი ის კი არ არის, რას აკეთებ, არამედ როგორ აკეთებ და შენ თვითონ რას არქმევ ამ საქმეს. ისეთი შინაგანი ძალა თუ აქვს ადამიანს, რომ შეაჩეროს ან დასაჯოს? არა მგონია. მხოლოდ დამარცხებულებსა სჯიან. თუ არ დაიჭირეს ბოროტ მოქმედი, თითქოს არც კი ჩაედინოს ეს ბოროტმოქმედება. ნიუ-ბეიტაუნის საქმეში ზოგი დაზარალებდა, ზოგი დაიღუპება კიდეც, მაგრამ საქმეს ეგ არ შეაფერხებს.

ვერ ვიტყვი სინდისთან დიდი ბრძოლა მქონდა-მეთქი. რაკი ერთხელ წარმოვიღვინე გონებაში საქმე და რაღაც გზას დავადექი, ეს გზა ჩემთვის საესეებით ნათელი იყო, და ყოველგვარი საშისროებაც წინასწარ გათვალისწინებული. ყველაზე უფრო იმან გამაკვირვა, რომ მთელი გეგმა თავისით ყალიბდებოდა. ერთი საქმე მეორეზე წამოიზრდებოდა ხოლმე და ყველაფერი კა-

რგად ერგებოდა ერთმანეთს. მე მხოლოდ თვალს ვადევნებდი ამ ჩამოყალიბებას და უფრო სწორედ წარმართვისათვის ოდნავ თუ შევაშველებდი ხელს.

მთელი შეგნებით ვგრძნობდი, რომ რაც გადაეწყვიტე, და ნაწილობრივ გავაკეთე კიდეც, ჩემთვის საესეებით უცხო იყო, მაგრამ როგორც მაღალ ცხენზე შესაჯდომად უზანგში ფეხის შეყოფაა საჭირო, ისევე აუცილებლად მჭირდებოდა ახლა მე ეს. მე რე კი, ცხენზე შეჯდომის შემდეგ, უზანგი აღარაფრის მაქნისი არ იქნებოდა. ჩართული ძრავის გაჩერება იქნებ ველარც კი მოვხებერხო, მაგრამ ახლის ამუშავება აღარასოდეს დამჭირდება. რაღად მჭირდება, და ანკი რად მინდა, ამ მყიფე და საშისროებით აღსაესე ქვეყნის მოქალაქე ვიყო. შეიდი ივლისის ტრაგედიათან, რომელიც წინასწარვე მზადდება, მე არა მესაქმება რა. ეს ჩარბი მე არ დამიტრიალებია, მე მხოლოდ ვისარგებლებ და გამოვიყენებ მას.

ძველისძველი მითი არსებობს, რაც ბევრჯერ გაქარწყლებულა ხოლმე, კაცს თავისი ფიქრები და ზრახვები სახეზე აღებუქდებოა, თვალები სულის სარკმელიათ. არაფერიც. სახეზე მართო სნეულება აღიბუქდება, ან მარცხი, ან არადა განწირულება, რაც, აგრეთვე, თავისებურ სნეულებას წარმოადგენს. გამოერევა ხოლმე ხალხი, რომლებიც უფრო ღრმად იხედებიან, ხელად იყნოსავენ ადამიანის არსებაში მომხდარ ცვლილებას, მათი სმენა იღუმალ ნიშნებს იჭერს. მე მგონი, ჩემმა მერიმ შემატყო ცვლილება, მაგრამ სწორად ვერ ახსნა. მარჯი იანგ-ჰანტი კი, ჩემის აზრით. ყველაფერს მიხვდა — მაგრამ მარჯი კუდიანია და ეგ მაფიქრებს. თუმცა, ჯადოქრობის გარდა, მარჯი ჰკვიანი ქალიც ჩანს და ეს კი თითქმის უფრო დამაფიქრებელია.

დარწმუნებული ვიყავი, რომ მისტერ ბეიკერი პარასკეე ნაშუადღევს გემგზავრებოდა საოთხივლისოდ. ქარიშხალი დატრიალდებოდა პარასკეეს ან

შაბათს, იმ ვარაუდით, რომ არჩევნებისათვის ყველაფერი გარკვეული ყოფილიყო; საესებით ბუნებრივია, რომ ქარიშხლის დროს მისტერ ბეიკერი მოშორებით ყოფნას არჩევდა. ჩემთვის ეს, რა თქმა უნდა, ბევრს არაფერს ნიშნავდა. მაგრამ თუ იგი წინაღობით წავიდოდა, საჭირო გახდებოდა ხუთშაბათსავე მიმელო ზომები. შაბათის მოქმედების გეგმა ისე კარგად მქონდა აწონილ-დაწონილი, რომ ძილშიაც კი არ შემეშლებოდა. და თუ მაინც მეშინოდა, ეს უფრო მსახიობის შიშსა ჰგავდა, სცენაზე გამოსვლის წინ.

ორშაბათს, ოცდამეცხრე იენისს, გავალე თუ არა მალახია, მარულოც შემომყვა. მოჰყვა წრიალს, ხან თაროებს მიაშტერდებოდა, ხან სალაროში ჩაიჭყიტებოდა, საწყობიც მიათვალეირ-მოათვალეირა. ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდა, ამეებს პირველად ხედავს.

— საოთხიელისოდ აპირებთ სადმე? — ვკითხე მე.

— რატომ ვეკითხები?

— ყველა მიდის, ვისაც კი რამე სახსარი აქვს.

— ეპ, სად უნდა წავიდე!

— სხვები სად მიდიან?! ეტსკილზში, ანდა მონტოკშიაც კი, სათევზაოდ. უკვე თინუსიც შემოვიდოდა.

ოცდაათგირვანი თევზთან ბრძოლის მარტო გაფიქრებაზეც კი ართრითმა წამოუარა და მხრები გაუკავა—ტკივილისაგან საშინლად დაიწყანა.

კინაღამ ვკითხე, იტალიაში როდის მიემგზავრები-მეთქი, მაგრამ მეტისმეტი იქნებოდა. მიეუახლოვდი და მარჯვენა ნიდაყვში ამოვდევი ხელი, ფრთხილად.

— ალფიო, — ვუთხარი, — ხხირებული კაცი ხარ. რატომ ნიუ-იორკში არ წახვალთ და კარგ სპეციალისტებს არ გაესინჯებით?! არ შეიძლება, რამე არ გიშველონ.

— არა მჯერა.

— რას დაკარგავთ! წადით, სინჯეთ.

— მერე შენ რა?

— არაფერი. მაგრამ ამდენი ხანი ვილაღ სულელ იტალიელთან ვმუშაობ. ძალღს რომ ვხედავდე ასე გაწამებულს, ისიც კი შემეცოდებოდა. შემოხვალთ და ისე საცოდავად კრუნჩხავთ მაგ მკლავებს, რომ მერე ნახევარ საათს გონს ველარ მოვდივარ.

— გეცოდები?

— ეგლა მაკლია! გელაქტეები, იქნებ ჯამაგირი მომიმატოს-მეთქი.

ძალღივით მომამტერდა, მაგრამ თვლები ისე დასწითლებოდა და ამღვრეოდა, რომ გუგა და გარსი თითქოს ერთმანეთში ვათქვეფოდა. ეტყობოდა რალაკის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.

— კარგი ბიჭი ხარ! — ესლა მითხრა.

— ტყუილად გგონიათ.

— კარგი ბიჭი! — ისე მგზნებარედ თქვა, რომ მერე თითქოს თვითონვე შერაცხვა თავისი გრძნობების ასე გამძღვენებისა და დუქნიდან გავიდა.

მისის დევიდსონს ორ გირვანჯა ლობიოს ვუწონიდი, როცა მარულოც შემოვარდა და კარის ზღურბლიდანვე მომამახა:

— ჩემი პონტიაკი წაიყვანე.

— რაო?

— ჩემი მანქანით წადი-მეთქი სადმე ამ კვირას და ორშაბათს.

— მაგის ფული ვინ მომცა!

— ბავშვებსაც წაიყვან. გარაჟში უკვე გავაფრთხილე, ჩემს პონტიაკს წაიყვანს-მეთქი. ბენზინსაც ჩაგისხამენ.

— ერთი წუთით მომითმინეთ.

— ნულარ გადაიქაჩები. ბავშვებსაც წაიყვან.

პირში დაგორგოლავებული ქალღღივით რალაცა გადმოვადო, პირდაპირ ლობიოში ჩავარდა. მისის დევიდსონმა თვალი გააყოლა მარულოს, რომელიც კვლავ ქუჩაში გავარდნილიყო. ლობიოდან ის პატარა მწვანე გორგალი ამოვიღე და გავშალე — სამი ოც-ოც დოლარიანი აღმოჩნდა.

— რა მოუვიდა?

— იტალიელებს ასე მოუვლით ხოლმე.

— ზედმე ეტყობა. აბა ფულს ასე ვინ გადაყრის!

მთელი კვირა აღარ გამოჩენილა. მით უკეთესი. აქამდე ერთხელაც არ წასულა საღმე, რომ არ გავეფრთხილებინე. ყველაფერი ისე აეწყო, თითქოს პარადს უყურებო — დგებარ, შესტკერი, წინასწარც იცი, როდის რა ჩაივლის, მაგრამ თვალს მაინც ვერ აშორებ.

პონტიაკს კი არაფრით არ ველოდი. თავისდღეში არავისთვის არ უთხოვებია მანქანა. უცნაურად დატრიალდა საქმე. თითქოს რაღაც გარეგანი ძალა თუ მისწრაფება წარმართავდა ყველაფერს და, როგორც ნახირს მიჩიხავენ ხოლმე საჩიხში, ისე ერთიერთმანეთზე მიჰყარა ამ ძალამ ცალკეული შემთხვევები. ვიცი პირიქითაც ხდება. ზოგჯერ ეს გარეგანი ძალა თუ მისწრაფება არღვევს და ანგრევს წინასწარ დაწყობილ გეგმებს, რა გინდ ღრმად და ფრთხილად იყოს მოფიქრებული ყველაფერი. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ჩვენ იღბლისა და უიღბლობისა გვჯერა.

ხუთშაბათს, ოცდაათ ივნისს, ჩვეულებრივ, გამთენიისას გამეღვიძა, როცა აღმოსავლეთი მარგალიტივით აელვარდება ხოლმე. შუაზაფხული იყო და აღრე თენდებოდა. სკამი და მაგიდა მელნის ნაღვენთებივით ჩანდა, სურათები კი — ცოტა უფრო ნათელ ლაქებად. ფანჯრის თეთრი ფარდები ისე ირბეოდნენ, თითქოს სუნთქავენო, რადგან იშვიათად რომ გამთენიისას ზღვიდან ნიაგი არ უბერავდეს.

მანამ კარგად გამოვფხიზლდებოდი, ერთბაშად ორ სამყაროში მოვექციე: სიზმრის სქელშრებებშემოხვეულ სასუფეველში და ფხიზელი გონების ცნობიერებაში. ნებივრად გავიზმორე — დიდებული გრძნობაა. ღამით თითქოს კანი შეიკუმშა და ახლა დღის შესაფერად უნდა გასჭიმო, კუნთები კარგად გამოებრო, სხეულში რაღაცნაირი სასიამოვნო ქაველი დაგივლის.

ჯერ ჩემს წუხანდელ სიზმრებს გადავხედე, როგორც ვაზეთს გადაჰყავ ხოლმე თვალს, იქნებ საინტერესოა საყურადღებო რამეს წავაწყდეთ. მერე გონებაში ვივარაუდე, რა შეიძლებოდა დღეს ისეთი მომხდარიყო, რაც ჯერ არ მომხადარა. ბოლოს კი ერთი ჩემი ყველაზე საუკეთესო ოფიცერის მაგალითს მივჰყევი. ჩარლ ედვარდსი იყო მისი სახელი და გვარი, შუახნის მაიორი, ის კი არადა, სამწყობრო სამსახურისათვის საკმაოდ შებერებულიც. მაგრამ კარგი ოფიცერი კი იყო. დიდი ოჯახი ჰყავდა ამ კაცს, ლამაზი ცოლი და ოთხი ერთიერთმანეთზე უფრო პატარა ბავშვი. გული იმათ სიყვარულითა და ნახვის სურვილით ელეოდა, თუკი მოიცლიდა მათზე ფიქრისათვის. თვითონვე უთქვამს ეს ჩემთვის. მაგრამ, ომის საშინელებით მოცული, თავს ნებავს არ აძლევდა ცოლშვილზე ფიქრით გაფანტა და მოედუნებია ყურადღება, და ამიტომ რაღაც ხერხი ჰქონდა მოგონილი. დილდობით — თუკი უცებ განგაშის სიგნალი არ წამოაგდებდა ლოგინიდან — გულსა და ფიქრებს ოჯახს გაუხსნიდა ხოლმე. ყოველ მათგანს მიუალერსებდა საითთაოდ, ცოცხლად წარმოიდგენდა მათ სახეს. გამომეტყველებას, ეფერებოდა და ესიყვარულებოდა; თითქოს განძეულის სეიფთან დგას, თითო-თითოდ შეაგლებს ხელს ყოველ ძვირფას ნივთს, ცქერით გულს იჭერებს, ეამბორება და თავისავე ადგილზე დებსო; ბოლოს გამოეთხოვება და კეტავს იმ სეიფს. ნახევარ საათს ანდომებდა ამ საქმეს — როცა კი მოახლებულია — და მერე მთელი დღე თავის სუფალი იყო, აღარ ფიქრობდა მათზე. შეეძლო მთელი ენერგიით მისცემოდა საქმეს, რისთვისაც მოწოდებული იყო — ხოცვა-ჟლეტას. ჩემს დღეში უკეთეს ოფიცერს არ შევხვედრივარ. ვზოხვე, მეც გამოვიყენებ შენს ხერხს-მეთქი, და ნება დამართო. მერე მოჰკლეს ის კაცი და, რამდენს გავიხსენებდი, სულ შევნატროდი — რა კარგი და შინაარსიანი

ცხოვრება ჰქონდა-მეთქი. არც სიამოვნებას იკლებდა თავისებურად, სიყვარულსაც ხარკს უხდიდა, და ვალშიც არ დარჩენილა. ამის ნახევარსაც კი ვერ ახერხებს ხალხი.

განა მუდამ ვიყენებდი მაიორ ჩარლის ხერხს, მართო ამისთანა დღეს თუ გავიხსენებდი, როგორც ეს ხუთშაბათი იყო, როცა მთელი გულისყური დაძაბული უნდა მქონოდა; როგორც კი შეიღო განთიადის კარი, მაიორ ჩარლისავეთ მეც ჩემს ოჯახს ვეწვიე.

ქრონოლოგიით მოვპყევი და პირველად პაპიდა დებორას მივესალმე. ძველი ისრაელელების მსაჯულის სახელი ჰქონდა შერქმეული — დებორა, ხოლო მე წიგნში წამეკითხა, რომ იმ დროს მსაჯული იგივე სარდალი იყო. სწორედ ზედგამოჭრილი სახელი კი შეხვედრია. პაპიდაჩემი დიდ ჯარებს გაუძღვებოდა. კარგი სპასტეცივით დასძრავდა ხოლმე ფიქრთა ლაშქარს. მისგან გამომყვა სწავლისა და ცოდნის სიყვარული. პირქუში ქალი იყო. მაგრამ ცოდნას მოწყურებული, და ვინც ამ საქმეში არა ჰგავდა, იმისთანა ხალხს ვერც ეწყობოდა. პირველად მას ვეცი თაყვანი. მერე ფიქრში ძველი კაპიტანი ვადღეგრძელე და თავი მამაჩემს დავუხარე. არც ის დაუსახლებელი ადგილი დამეჩიყნია, რაც დედაჩემს ეკუთვნოდა. დედა არ მახსოვს. ადრე მოკვდა. და ის ადგილი ჩემს მეხსიერებაში, მას რომ უნდა სქეროდა, მუდამ ცარიელი იყო.

ერთი რამე კი მაწუხებდა — პაპიდა დებორას, ძველი კაპიტნისა და მამაჩემის სახე მკაფიოდ ვერ წარმომედგინა. ფოტოგრაფიულად გამოკვეთილი ნაკვთების მაგივრად რაღაც ბუნდოვანი და მკრთალი სილუეტები წარმომესახებოდა ხოლმე. ალბათ მოგონებანიც ფეროტიპივით ხუნდება დროთა ვითარებაში, და ფიგურები ფონში ირევა. ვეღარ შევინარჩუნე მათი სახეები.

ამის შემდეგ მერი მოდიოდა, მაგრამ ბოლოსთვის მოვიტოვე.

ალენი გამოვიძახე. ვერაფრით ვერ

ადვადგინე მისი პატარაობის სანე — სიხარულისა და მგზნებარების გამომეტყველება, რაც ადამიანის სრულყოფილობის რწმენას მიმტკიცებდა ხოლმე. ახლანდელი ალენი წარმომიდგა — დაბღვერილი, გაფუყული, ღვარძლიანი, გაველურებული, სქესობრივი მომწიფების ტკივილებითა და გაურკვეველობით არეული, როცა ხაფანგში გაბმულ ძალივით იღრინება და იკბინება, ლამის საკუთარი თავიც შეჭამოს. ფიქრშიაც კი ვერ მოვახერხე რამე მემშველა და ამ უხადრუკი მღელვარებისაგან მესხნა იგი. მეც თავი მივანებე, ესლა ეუთხარი: „ვიცი, მე თვითონ გამომიცდია, რა საშინელებაც არის, მაგრამ ვერაფერს გიშველი. ვერაფერსაც ვერ გიშველის. მხოლოდ ეს შემოძლია გითხრა, რომ თავისით გაივლის, თუმცა შენ მანც არ დამიჯერებ. ღმერთმა ხელი მოგიპართოს. არც ჩემი სიყვარული მოგაკლდება, მიუხედავად იმისა რომ ახლა ერთმანეთს ვერ ვიტანთ“.

ელენის მოგონებამ გული სიამოვნებით ამიტოვა. ლამაზი ქალი დადგება, დედაზე უფრო ლამაზი, რადგან, როცა საბოლოოდ დაულაგდება თავისი პატარა სახე, იგი პაპიდა დებორას უფლებამოსილ სიზვიადესაც მიიღებს. მისი ფხუკიანობა, სწორედ იმის უტყუარი ნიშანია, რომ მშვენიერი და საყვარელი ქალი დადგება. ეს დანამდვილებით შემოძლია ვთქვა, რადგან აკი დავინახე, როგორ ჩაიხუტა თილისმა თავის პატარა გულში და რა დამშვიდებული ქალის სახე ჰქონოდა. ეს თილისმა მისთვისაც ისეთივე მნიშვნელოვანი ჩანს, რაც ჩემთვის არის. იქნებ სწორედ ელენს უწერია, მიიღოს და შთამომავლობას გადასცეს ის, რაც ჩემში უკვდავია. გამომშვიდობებისას ხელი მოვხვიე და ჩავიხუტე. მანაც, თითქოს ზორცმესხმული არსებააო, ყურის ძირში მომიღიტინა და გადიკისკისა. ჩემი ელენი. ჩემი გოგო.

ახლა მერისკენ მივაბრუნე თავი, რომელსაც ჩემს გვერდზე ეძინა, მარჯვნივ, და სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

ასე უყვარს წოლა, ჩემს მარჯვნივ, და როცა კარგ გუნებაზეა, როცა არაფერი გვაწუხებს და ყველაფერი რიგიან-პირიანანდაა, თავს მარჯვენა მხარზე მომადებს ხოლმე, მარცხენა ხელს კი თავისუფალს მიტოვებს, მოსაფერებლად.

ამ რამდენიმე დღის წინათ სალოკი თითი ბანანის დანით გავიჭერი, მალაზიამი, და თითის წვერზე ნაჭრილობევი გამაგრებული მქონდა. ამიტომ, ავიღე და შუა თითი გადავესვი ყურის ძირიდან მოკიდებული მხრებამდე, არც თუ ძალიან მაგრად. რომ ძილში არ შემეშინებინა, და არც ძალიან ნაზად, რომ არ მოლიტინებოდა. მერიმ ამოიხენეშა — როგორც ყოველთვის, ტკბილად და ღრმად, თითქოს ენანება ამ განცხრომის დარღვევათ. ზოგს ჭირის დღესავით სძულს გაღვიძება, მერი არ არის ასეთი ქალი. იგი ყოველთვის იმედინად ხვდება დღეს, კარგის მოლოდინში. მე ვიცი ეს, და ვცდილობ, არ გავუტროო იმედი, რაღაც პატარა საჩუქარი მაინც მოვეუშხადო. ვცდილობ ასეთი შემთხვევისათვის შემოვიინახო, თუკი რამე მაქვს გასაბარელი, როგორც ახლა, ამჟამად.

ნელ-ნელა გააღო ძილით დანისლული თვალები.

— უკვე გათენდა? — იკითხა და ფანჯარას გახედა, რათა ენახა, რამდენად მოახლოებული იყო დღე. საწერი მაგიდის თავზე სურათი ჰკიდია — ხეები და ტბა, ტბაში კი, ნაპირის მახლობლად ძროხა შესულა. ლოგინიდანვე გავარჩიე ძროხის კუდი და მაშინვე მივხვდი, რომ უკვე გათენებულიყო.

— რაღაც უნდა გახარო, ჩემო ციყუნია.

— გიყი!

— როდესმე მომიტყუებინარ?

— ვინ იცის!

— სასიხარულო ამბავს მოისმენ? გაიღვიძე?

— არა.

— მაშინ ჯერ არ გეტყვი.

მარცხენა მხარზე გადმოწვა და თავის ნაზ კისერზე ნაოჭი დააჩინდა.

სულ ხუმრობად იქეცი. იმის არ იყოს, გაზონებში ასფალტი უნდა დაგვავრო. ახლაც თუ მაგისტანაა...

— სულაც არა.

— თუ ჭრივინების მოშენებას აბორებ?...

— არა. როგორ იმახსოვრებ ძველ სისულელებს?!

— ახლაც ხუმრობ?

— არა, მაგრამ ისეთ უცნაურ და სოციალურ რამეს გეტყვი, დაქერება გავიჭირდება.

სავსებით გამოფხიზლდა, თვალები სულ გააბილა და სასაცილო ამბის მოლოდინში ბაგე ოდნავ აუთრთოლდა.

— მითხარი.

— ერთ იტალიელს თუ იცნობთ თქვენ, გვარად მარულოს?

— გიყი!... დაიწყე შენებური?!

— მაგასაც ახლავ ნახავთ. ზემოხსენებული მარულო რამდენიმე ხნით ქალაქიდან გაემგზავრა.

— სად?

— ეგ არ უთქვამს.

— რამდენი ხნით?

— დამაცა, ნუ მიშლი, არც ეგ უთქვამს, მაგრამ მითხრა, — და მიბრძანა კიდეც, როცა უარის თქმა ვცადე, — სადღესასწაულოდ ჩემი მანქანა გამოიყვანეთ და საცა გენბავთ გაისეირნეთ.

— ნუ მამასხარავებ.

— იმისთანა სიცრუეს როგორ გეტყვი, რომ მერე გული დაგწყვიტო?!

— მაშ რა დაესიზმრა?

— მაგას კი ვერ გეტყვი. მე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრა, და დავიფიცებ კიდეც — გინდა ბოისკაუტების საფიცარით, გინდა პაპის ფიცით — რომ წმინდა ბენზინით სავსე წაულასფერ ზოლებიანი პონტიაკი თქვენს ბრწყინვალეებას ელოდება.

— საით გავისეირნოთ?

— საითაც ჩემი კოკროპინა ცოლი მოიგუნებებს. დღევანდელი დღე, ზვარდინდელი და მთელი შაბათი შენს განკარგულებაშია — მოიფიქრე.

— ორშაბათიც ხომ უქმეა, მაშ მთე-
ლი ორი დღე გვექონია თავისუფალი?
— ნამდვილად.
— მერე გვაქვს მაგისი თავი? ცალკე
მოტელის ფული, და ათასი ამისთანა
რამე.
— გვაქვს თუ არა გვაქვს, შინც წა-
ვალთ. მე საიდუმლო ქისას ვინახავ.
— ვიცი მე შენი ქისის ამბავი, ბე-
დოვლათო. ვერ წარმომიდგენია, რო-
გორ შეეღია მანქანას.
— მეც ვერ წარმომიდგენია, მაგრამ
ასეა.
— ახლა ის კონფეტები, სააღდგო-
მოდ რომ მოიტანა!
— ალბათ სიბერემ გამოჩაურჩუტა.
— ნეტა, გულში რა უდევს!
— რა ჩემი ცოლის საკადრისია მა-
გისთანა სიტყვები. ალბათ, თავს გვაყვა-
რებს.
— ათასი რამე მაქვს გასაყეთებელი.
— გაქვს და გააყეთებ კიდევ, —
ვგრძნობდი, რომ მისი ფიქრი ბულდო-
ზურივით თხრიდა ჩვენს წინ გადაშლილ
ყოველ შესაძლებელ პერსპექტივას.
ვგრძნობდი რომ საბოლოოდ დავკარგე
მისი ყურადღება, და ეგ არ იყო ური-
გო საქმე.
საუზმის დროს, მენამ მე მეორე ფინ-
ჯან ყავას დავლეედი, სულ გადაჭექა,
რაც კი აღმოსავლეთ ამერიკაში გასარ-
თობი ადგილებია, მაგრამ ნახევარზე
მეტი დაკვმო. საწყალი ჩემი ცოლი, ამ
უქანასენელ წლებში გართობა და გასე-
ირნება ვიღას მოკგონებია!
— ხლოია, — ვუთხარი მე, — ვიცი,
რომ ჩემთვის აღარა გცხელა, მაგრამ
შინც უნდა გითხრა რაღაც. სარფიან
საქმეს მთავაზობენ. კიდევ უნდა მომცე
შენი ფული. იმ პირველმა გამოიბართლა.
— მისტერ ბეიკერმაც იცის?
— მისი იდეაა.
— მაშ წაიღე. შენ თვითონ მოაწერე
ჩემს ხელი.
— რამდენი მინდა, აღარ მეკითხები?
— რა კითხვა უნდა.
— არც ის გაინტერესებს, რა საქმეა?

ვადებო, პროცენტებო, ათასი დარიც-
ხეებო და რა ვიცი.
— შინც ვერაფერს გაჭუჭუნა!
— ისე გაუგებ, რომ შენი მოწონე-
ბული.
— არც მინდა გავუგო.
— რაღა გასაკვირია, რომ შენისთა-
ნებს უოლ სტრიტის ვიჭყინა მელაძუ-
ებს ეძახიან. ლამის დამაფეთოს ამ
ცივმა და აღმასივით ბასრმა საქმოს-
ნურმა კქუამ.
— მივდივართ სამოგზაუროდ, —
თქვა მან, — მთელი ორი დღით მივდი-
ვართ!
მოდო და ნუ შეიყვარებ ამისთანა
ქალს, ნუ გადამერთებ! „ნეტა გამაგე-
ბინა, რა ქალია ეს მერი!“ წავიმღერე
მე, ცარიელი რძის ბოთლები მოვკრიფე
და სამსახურში წავედი.
გულით მინდოდა ჯოი მენახა, ისე უბ-
რალოდ შეეხვედროდი, მაგრამ ან მე
დავაგვიანე ცოტათი, ან ის აჩქარებუ-
ლა. მთავარ ქუჩაზე რომ შევეხვებე, იგი
უკვე კაფეში შედიოდა. მეც შევეყვი
და მის გვერდით დავჯექი, ტაბურეტზე.
— შენ დამაჩვიე, ჯოი.
— აჰ, მისტერ პოული! დიდებული
ყავაა.
ჩემს ძველ სკოლის ამხანაგს მივესა-
ლმე:
— დილა მშვიდობისა, ანი.
— შენც ჩვენი მუშტარი ხდები, ით?
— ასე გამოდის, ერთი შავი ყავა.
— შავი არ არის!
— განწირულების თვალეზზე უფრო
შავი.
— რაო?
— შავი-მეთქი.
— თუ ამ ფინჯანში თეთრს ხედავ რა
მეს, ახლაც შეგიცვლი, ით.
— როგორ მიდის საქმე, მორფ?
— ძველებურად, ცოტა უფრო უარე-
სად.
— გინდა, გავცვალოთ ადგილები?
— სიამოვნებით. მით უმეტეს ახლა,
ამ უქმეების წინ.

— ხომ არ გგონია, მარტო შენ გიჭირს! ხალხი სანოვავეს იმარაგებს.

— მართალი ხარ, ეგ არც კი მომიფიქრებია.

— საბიჭნიკო საჭმელ-სასმელი, წინალები, ძეხვეული, ტკბილეულიც, რაღა თქმა უნდა. თქვენც მაგარი მუშაობა გაქვთ?

— ხუმრობ?! საოთხივლისოდ, და ისიც ამისთანა კარგ ამინდში! მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ყოვლისშემძლე ღმერთსაც მოუნდა მთებში დასვენება და გახალისება.

— მისტერ ბეიკერს?

— აბა ჭეიშს ბლენისა!

— ეგეც სანახავი მყავს. უსათუოდ უნდა ვნახო.

— სცადე ერთი, თუ ბიჭი ხარ, და ნახე. კვიცივით დახტის აქეთ-იქით.

— სენდვიჩები არ მოგიტანო, ჯოი, შენს საომარ ასპარეზზე?

— მე თვითონ უნდა მეთხოვა.

— ყავის ფულს მე ვიხდი დღეს, — ვთქვი მე.

— ოკეი.

ქუჩა გადავქერით და ხეივანში შევუბნეით.

— რაღაც უგუნებოდა ხარ, ჯოი.

— გული გამიწვრილდა სხვისი ფულების ანგარიშში. ამ უქმეებზე პაემანი სჭონდა დანიშნული ქალთან, მაგრამ მაგის თავიც აღარ მექნება, ალბათ, — კლიტის ქუქრუტანაში რეზინის სალექავი შესწარა, მშვიდობითო, თქვა, შევიდა და კარი მიიკეტა. მე მივაწევი კარს და შევალე.

— ჯოი! სენდვიჩი გინდა დღეს, არა?

— არა, მადლობელი ვარ, — გამომძახა მან მასტიკის სუნით გაყენითილ, ჩაბნელებულ შენობიდან, — პარასკევს იქნებ დამჭირდეს, შაბათს კი — ნამდვილად.

— შეადლისას ხომ კეტავთ?

— აკი გითხარი — ბანკს აქვს შეწყენება, მორფის — არა.

— მინც შემომიარე... არქანული
მღვდელმთავარი

— გმადლობ... მადლობელი ვარ, მისტერ პოული.

იმ დილას სათქმელი არაფერი მქონია თარობზე ჩამწკრივებული ჩემი ჯარისათვის, მივესალმე მხოლოდ „გამარჯობათ, ბატონებო — თავისუფლად!“ ცხრას რამდენიმე წუთიღა აკლდა, როცა, წინსაფარაკრული და ცოცხმომარჯვებული, ტროტუარსა ვგვიდი.

მისტერ ბეიკერი ისეთი პუნქტუალური კაცია, გეგონება, ტიპტიციც მესმისო — დარწმუნებული ვარ მკერდში საათის მექანიზმი უდევს. რვა საათსა და ორმოცდათექვსმეტსა თუ ორმოცდაჩვიდმეტზე თელის ხეივანში გამოჩნდა რვასა და ორმოცდათვრამეტზე — ვაღმოსტრა ხეივანი, რვასა და ორმოცდაცხრამეტზე მინის კარებს გაუპირდაპირდა. ცოცხი მხარზე გავიდე და გზა გადავულობე.

— მისტერ ბეიკერ, რაღაც უნდა გითხრათ.

— დილა მშვიდობისა, ითენ. ერთი წუთით ვერ დაიცდი? მე გამომყევი.

შევეყვი ბანკში, და ჯოის სიტყვები სულ გამართლდა — სწორედ რომ რელიგიურ ცერემონიალს ჰგავდა. მიადგა თუ არა დიდი საათის ისარი ცხრას, მთელი თანამშრომლები სეიფის წინ გაინახენ. სეიფის დიდი ლითონის კარებიდან რაღაცნაირი ჩხაკუნი და გუგუნის მოისმა. ჯოიმ მისტიკური ციფრები აკრიფა და კარის გორგოლაჟი გადაატრიალა. წმიდათა წმიდა საზეიმო სიღინჯით გაიხსნა და მისტერ ბეიკერმა ერთად ჩამწკრივებული ფულების სალუტი მიიღო. მე ლარტყულს გადაღმა ვიდექი, საზიარებლად მოსული კაცივით და სსაობით ველოდი წმიდა ზიარებას.

თარგმანი ინგლისურიდან
ზახანან პელიძისა

სოფელ ნაღისიკი

ჭაღოსური სითხე—კაპროლაქტამი

ნაკვეთი

პირველი ნაწილი

რუსთავსა და გარდაბანს შორის მძლავრი ელმავალი პატარა ვაგონებს დააქროლებს. აქ თითქოს ყველაფერი დაპატარავებულია, სადგური, მანძილი, ბილეთებიც კი. თითქოს მგზავრიც სხვაგვარია, აღარ არის ის სერიოზულობა და გულმოდგინება, რითაც ჩვეულებრივ მატარებელს ელოდებიან. პატარა ბაჭანი ხალხით უცრად, რამდენიმე წუთში აივსება; ახალგაზრდები ჩვეულებრივად უკანასკნელ წამს შეახტებიან რკინის საფეხურს. ზოგი კარებში ისე დგას, თითქოს პაემანზეა. ხუთ წუთში — გაჩერებაა, არ ღირს ვაგონში შესვლა.

მატარებელია თუ ტრამვაი! რუსთაველების ტრამვაი ეს არის. დილით სამსახურში მატარებლით მიდიან, საღამოს შინ მატარებლითვე ბრუნდებიან.

დაიძრა დიდი ტრამვაი. „პატარა მატარებელი“ წამოიწყო ვიღაც ანგალმა.

შორს ბოლავს კოქსოქიმი... ტრიალ მინდორში მიქრის პატარა მატარებელი. რუსთავიდან გარდაბანამდე თვალუწვდენი მინდვრებია. ამ მინდვრებისაკენ მიიწევა რუსთავი. რუსთავი რუსთავში არ ეტევა. მტკვრის სანაპიროები სავსეა ხარაჩოებით, რკინაბეტონის უზარმაზარი მიღებითა და მძლავრი ამწეებით. ფოლადის ფილტყებით სუნთქავს ქალაქი. ერთნაირად ბოლავენ დიდი ქარხნების საკვამურები,

თითქოს ქარხნული წესით დამზადებული კრატერებია.

კიდევ ერთი გაჩერება და ვაგონები დაიძვება, ბაჭანი აივსება. მარჯვნივ მეტალურგიული ქარხნის კოქსოქიმიური საამქროა, მარცხნივ — აზოტოვანი სასუქებისა და კაპრონის ქარხნები. ახლა მათ კაპროლაქტამი მიემართა. მუშები მოკლედ „ლაქტამს“ ეძახიან. „კოქსოქიმი, ლაქტამი, ატზე“ — აი, სიტყვები, რომელმაც შეცვალა ერთი სიტყვა „ჭალა“. ამ მიდამოებს ახლა ჭალა რომ უწოდო, მუშები სიცილს დაგაყრიან. ადრე ჭალას ეძახდნენ, ცხვარს ამოვებდნენ.

მიქრის ინდუსტრიულ „ჭალაში“ პატარა მატარებელი.

„პატარა მატარებელი!“ — თავდავიწყებით მღერის ბიჭი, რომელიც კიბეზე დგას.

— აღარ დაგვადა საშველი, არ გამოზაფხულდა — ამბობს უქულო კაცი.

— იწვიოს, არა უშავს, — აპრილია, — ამბობს ქუდიანი.

ისინი ფეხზე დგანან, ვაგონში ტევა არ არის, უბრალო ნაცნობები ერთმანეთის გვერდით მოხვდნენ და არ იციან რაზე ისაუბრონ. ამ გზაზე ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს. თითოეული მათგანი ფიქრობს: „რა ნაცნობი სახეა, როგორ დამავიწყდა“...

გრძელ სკამზე, სადაც ოთხის ნაცვლად ექვსი კაცი ზის, ბანქოს თამაშობენ.

- მოდი, ერთი ც ვითამაშოთ — ამბობს წაგებული.
- ვერ მოვასწრებთ.
- ერთხელ მაინც დაგტოვო, სწრაფად ვითამაშოთ.
- დღეს გეყოფა.
- დაიწყე ხომ ტრაბახი, გუშინდელი დღე ხომ გახსოვს, უარესს ვიზამ, — მოდი!

ებეწევა წაგებული.

ცნობის მოყვარე მგზავრები მოთამაშეებს თავზე ადგანან და იცინიან. პლაშის საყელოაწეული ერთი ბიჭი მერამდენედ-შემოდის ვაგონში, ეტყობა ვიღაცას ეძებს. პირგაუპარსავი ჰაღარა კაცი, რომელიც ფანჯარასთან ზის, ჩუმად თვლემს. დილაა და უკვე ეძინება, კაცს ზარმაცი ეგონება. ასეთი ჩვევა აქვს, ყოველგვარ ტრანსპორტში ჩაჯდება თუ არა ეძინება.

ერთ ფანჯარასთან ყველა ადგილი გოგონებს დაუკავებიათ. ნაირობი ბიჭები თავზე ადგანან. გოგონებში ყველაზე გონჯი მეგობრებს ამბავს უყვება და აცინებს, ყველაზე ლამაზი ჩუმადაა.

ბეწვის ფართო ქულებიდან მუშტისოდენი საზე მოუჩანთ მწყემს თათრებს. ისინი ჩუმად არიან, პაპიროსს აბოლებენ, ზანტად მოძრაობენ, სრულებით არ აინტერესებთ ვაგონში რა ხდება, გარეთ წვიმს თუ არა, ახლა რომელი გაჩერებაა. მათ კარგად იციან, რომ რამდენიმე წუთში ვაგონი დაიკლებს, დასხდებიან ფანჯარასთან და ჰაიდა, გარდაბნისავენ.

ვაგონში შესასვლელთან ახალგაზრდები შეგგუფულან და უწმასურ ანგულოტებს ყვებიან, არის სიცილ-ხარხარი, გაისმის ზედმეტსახელები — თბილისურად ჩაცმულები სტუდენტები გეგონებათ. ვინ იფიქრებს ესენი ცვლის უფროსები, ცვლის ოსტატები არიან, ახლახან დაამთავრეს ინსტიტუტი, მთელი ჯგუფი მოვიდა კაპროლაქტამის მშენებლობაზე. მოვიდნენ და გულთბილად მიიღეს. კაპროლაქტამს სპეციალისტები ჰქირდებო — აგერ სპეცია-

ლისტები! ქართველი ჰაბუკები. ადგნენ და ყველანი ძერეინსკში გააგზავნეს. ძერეინსკში კარგა ხანია კაპროლაქტამს უშვებენ. ბიჭებმა ნახეს, შეისწავლეს კაპროლაქტამის წარმოება. რუსთავეში ჩამოვიდნენ და ახლა საქმეს დამოუკიდებლად უნდა გაუძღვნენ. თუ მათ ახლოს არ იცნობთ, დაეჭვდებით, ცვლა კი არა, შეიძლება, ორი ბატიც არ მიიბაროთ. თითქოს ყველაფერს დასციინიან, სულ ხუმრობის გუნებაზე დგანან, ერთმანეთის კილვასა და ქირღვაში არიან, მაგრამ ერთმანეთი თავს ურჩევნიათ. ხოლო როცა საამქროებში შევლენ, თქვენ ნახავთ ნამდვილ ინჟინრებს. ჰკვიან განათლებულ სპეციალისტებს, რომელთაც ყველა ტექნიკური საილუმოების ამოხსნა შეუძლიათ.

ჩემს გარშემო ერთი ვაგონი ხალხია. აქ არიან მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, ექიმები, პედაგოგები, გარდაბნელი მწყემსებიც კი. ყველა მათგანს ვაკვირდები, მინდა ყველას ვიცნობდე, გავიგო, ვის რა სურვილი აქვს, რა აწუხებს, რა უხარია.

ჩემს გვერდით ახალგაზრდა რუსი ინჟინერი ამტკიცებს, საქართველო შევიცარიანზე ლამაზი ქვეყანაა და საფრანგეთზე დიდი კულტურული ტრადიცია აქვსო. ვიდრე რუსთავეში ჩამოვიდოდა, საქართველოზე მხოლოდ სამი სიტყვა იცოდა: Кавказ, Шашлык და Михаил Месхи. ვაგონში ისეთი ხმაურია, შეუჩვეველმა ყურები უნდა დაიკო. მატარებელია თუ ბაზარი! ყველა ვაგონში ასეა. მატარებელი თითქოს ერთმანეთზე გადაბმული პატარ-პატარა ბაზრებია. ვაგონებში იშვიათად ნახავთ გაჩუმებულ კაცს. ყველა ერთმანეთის ნაცნობია, ან ერთ ქარხანაში მუშაობენ, ან ერთ საერთო საცხოვრებელში, ანდა ამ გზაზე გაეცნენ. დგანან, სხედან, თამაშობენ, იცინიან, ლაპარაკობენ ფეხბურთზე, პოლიტიკაზე, ამინდზე, ახალ საწარმოზე, შრომაზე, სწავლაზე — წამით დროსა და მანძილს თითქოს ცხოვრება ვაგონში შეუმწყვდევია. ერთმანეთზე გადაბმული ათიოდე ვაგონი —

ცხოვრება მიდის რუსთავის ახალი საწარმოებისაკენ. და აი, ამ დროს მე თვალს არ ვაშორებ ერთ ბიჭს, რომელიც თავისთვის ზის დანჯარასთან და ფიქრებშია. მას არავინ მისალმებია, არც არავისთან ვაუბამს საუბარი. დღესავით ნათელი სახე აქვს და უწყინარი, მშვიდი თვალები. გარეთ წვიმს, აპრილის წვიმას მინდვრები გაუმწვანებია. რაც არ უნდა კარგ გუნებაზე იდგე, წვიმა მაინც თავისას გაიტანს, მოგაწყუენს, დაგანადვლიანებს. მაგრამ ამისათვის საჭიროა წვიმა დაინახო, იგრძნო.

— სად მიდიხარ, შაქრო, აქეთ რა გინდოდა?

უთხრა ბიჭს წვიმამ.

ერთი ვაკონი ხალხისათვის წვიმას არაფერი არ უთქვამს. ისინი წვიმას ვერ ხედავენ, არ ცალიათ. წვიმას ეგონა შაქროსთან გააბამდა საიდუმლო ძაფებს. იფიქრა: ბიჭი ოცნებობს, იქნებ, მე ვჭირდებიო. შაქროს წვიმის ხმა არ გაუგონია. შაქროც ვერ ხედავს წვიმას. შაქრო ახლა არაფერს ხედავს, არც არაფერი ესმის. მის წინ ახალი სამყარო იშლება, სრულიად ახალ ცხოვრებას იწყებს. აქეთ, მართლა, რა უნდოდა!.. რა უნდოდა და პატიოსანი ბიჭია, სიტყვა თქვა და ვერ გატეხა. 28 წელიწადია ალაღმართლად დადის ქვეყანაზე, კაცს როგორ მოატყუებს, ან ისეთ რამეს როგორ ჩაიდენს, რაც უფროსებს, ხელმძღვანელებს არ მოეწონებათ. უფროსის სიტყვა მისთვის ყოველთვის კანონი იყო. მასწავლებლებს სულ თვალბში შესცქეროდა. ეუბნებოდნენ კარგად უნდა ისწავლოო და კარგად სწავლობდა. როცა პიონერთა რიგებში იღებდნენ, ის იყო ყველაზე კარგი და ყველაზე სამაგალითო ბავშვი.

ოქტომბრელები სკოლის ეზოში მწყობარში იდგნენ. პიონერხელმძღვანელი მათ ხმამაღლა მიმართავდა: კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად! მზად ვართ! მზად ვართ! უპასუხებდნენ ბავშვები. აქ თითქოს არაფერი იყო უჩვეულო, მაგრამ

პედაგოგები, უფროსკლასელები, ყველა, მთელი სკოლა შესცქეროდა ერთ თავგადახოტრილ ბიჭს, რომელიც თავის ლებანთებულო, აღლვებულო, წამოწითლებულო, საოცრად გახარებული ამბობდა ორ ნაცნობ სიტყვას. ბავშვი ისე გამომსახველად, მთელი გულითა და მონდომებით გააკიოდა, თითქოს მანამდე არავის ეთქვას, მას აღმოეჩინოს და ჰა, ალტაცებულს უნდა მთელ ქვეყანას გაავებინოსო. მასწავლებლები სიცილით იგუდებოდნენ და ერთმანეთს თითით უჩვენებდნენ თავგადახოტრილ პატარა ბიჭს, რომელიც ფეხის წვერებზე დგებოდა, არ შემინშნონ პატარა ვარო. ფეხის წვერებზე დგებოდა და ყველაზე ყოჩაღად, ყველაზე თამამად უპასუხებდა: „მზად ვართ! მზად ვართ!“

იმ დღიდან შაქრო სიტყვას პირნათლად ასრულებდა. მაშინ ომი იყო და, სწავლის გარდა, სოფელში უამრავი საქმე ჰქონდათ. მერე მამამ ფრონტიდან წერილების წერა შეწყვიტა. ერთ შემოდგომის სუსხიან კვირას კი დედამ შავები ჩაიცვა. შაქრო თავის უმცროს დაძმას გადაეფოფრა და დედა დააიძუდა: ნუ გეშინია, დედა, ჩვენ გავიმარჯვებთ, სიმართლე ჩვენს მხარესაა. დედას ძალიან გაუკვირდა, — ეს რა ლოზუნგი მესროლა ჩემმა ბიჭმაო, მაგრამ ვერაფერი ვერ უთხრა, მხოლოდ გაეცინა. რომ წამოიზარდა, შაქრო ავადმყოფ დედას მხარში ამოუდგა, ოჯახს წამოეშველა. საშუალო სკოლა კარგად დაამთავრა, შრომობდა და სწავლობდა — ასეც უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ სამშობლოს წინაშეც ხომ უნდა მოეხალა ვალი? ჯარში გაიწვიეს. ჩაიცვა ფარაჯა, ჩექმები, ფეხი ფეხს შემოჰკრა და ვაჟაკურად შესძახა: ვემსახურები საბჭოთა კავშირს! ახლა უკვე შაქრო აღარ იყო სასაცილო. მას ჰქონდა ფართო მხარბეჭი და რკინასავით მკლავები, ხმა ვაჟაკური, მჭუხარე, მაგრამ თვალები იმ პატარა თავგადახოტრილი ბიჭისა შერჩენოდა, უწყინარი მშვიდი თვალები,

რომელიც ბოროტად არასოდეს არ აენტებოდა.

სამი წლის განმავლობაში შაქრო შეურყევლად, მტკიცედ იდგა სამშობლოს სადარაჯოზე, ძალიან მოწონდა და ყოველთვის მართლად ამბობდა სამ სიტყვას: ვემსახურები საბჭოთა კავშირს.

ამ რწმენით, უფრო გაკაყებული, მოწესრიგებული დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. ეს ის დრო იყო, როდესაც პარტიამ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს მოუწოდა წასულიყვნენ სამუშაოდ ფაბრიკა-ქარხნებში. შაქრო ხშირად რთავდა რეპროდუქტორს, კითხულობდა გაზეთებს, უნდოდა გაეგო, სად მიდიოდნენ მისი თანატოლები, იყო თუ არა საინტერესო წასულიყო შორს, მიეტოვებინა მშობლიური სოფელი, ახლობლები, მეზობლები და ემუშავა უცნობ ადამიანებთან. იფიქრა, იფიქრა და ერთ მშვენიერ დღეს რუსთავში აღმოჩნდა. მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელთან მივიდა:

— მეც მინდა ჩემი წვლილი შევიტანო ჩვენს დიდ სახალხო მშენებლობაში — უთხრა მან კადრების განყოფილებას უფროსს.

კადრების განყოფილების უფროსი კბამუკს ყურადღებით დააკვირდა. ასეთ სიტყვებს როცა ტრიბუნლიდან ამბობენ, გასაგებია, მაგრამ აქ ოთახში მარტო მყოფს ეჩოთირა, ეკვი შეეპარა. ეს ბიჭი თვალთმაქცი ვინმე ხომ არ არისო. „შაქრო თავართქილაძე, დაბადებული 1935 წელს სოფელ ჩოჩხატაში, ლანჩხუთის რაიონში, ეროვნებით ქართველი“... ჩაიკითხა ანკეტური მონაცემები კადრების განყოფილების უფროსმა. მშვენიერი ბიოგრაფია ჰქონდა, მის წინ იდგა ჯანსაღი, შრომასა და სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა.

თვალთმაქცი კი არა, შაქრომ სულ მალე ყველას დაუმტკიცა რა კეთილსინდისიერი მშრომელი იყო, რა გულწრფელად უყვარდა ჩვენი ქვეყანა.

აქ მას მხარში ამოუდგნენ კეთილი

ადამიანები: ამბროსი გუჯაბიძე, პეტრე ჩიტაიშვილი, სერგო ხიზანიშვილი, — მთელი მილამდილი სააშქრო პრეტუსია შეასწავლეს, გაამხნევეს, წახალისეს, კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს და... შაქრო აღფრთოვანებულ წერილებს სწერს დედას სოფელში. დედას მცირე რამ ეყოფა, შვილის წერილის უბით ატარებს და მეზობლებს უკითხავს. შაქროს უკვე ქარხნის მოწინავე ადამიანებს შორის ასახელებენ.

მვალცავი შაქრო საბატიო დაფაზე...

მვალცავი შაქრო ტრიბუნაზე აღის...

* * *

ვინ იფიქრებდა შაქრო მეტალურგიულ ქარხანას მიატოვებდა. ეს თითქოს მისდაუნებურად მოხდა. როცა რუსთავში კაპროლაქტამის მშენებლობა დაიწყო, შაქრომ გაიფიქრა: მე რუსთავში ვარ, ჩემი და — თბილისში, ძმა — სოფელში, მოდი ყველას რუსთავში გადმოვიყვან, ერთად ვიქნებით, ერთად ვიმუშავეთ, ერთად ვიცხოვრებთო. ადგა, კაპროლაქტამის წარმოების უფროსთან ვიორგი ძამანაშვილთან მივიდა და თხოვა, ჩემი და მოაწყვე სამსახურშიო.

ვიორგიმ უთხრა: შენი და თბილისში კარგ ადგილას მუშაობს, უნივერსიტეტში სწავლობს, შეიძლება არ დათანხმდეს ჩვენთან მუშაობაზე, შეეკითხე, მოითათბირეთ, რა გვეჩქარებაო.

— ჩემი და მე უარს არ მეტყვის, თუ არა და, ბოლოსდაბოლოს, მე გადმოვალ, მე ვიმუშავებ — თქვა შაქრომ.

— კეთილი, თანახმა ვარ, მოვიდეს და დღესვე გაეფორმებ — უთხრა ვიორგიმ.

შაქროს და მარგო თავართქილაძე თბილისში საქტრიოტაჟში მუშაობს, კარგი მქსოველია, დაუსწრებლად უნივერსიტეტში სწავლობს ეკონომიურ ფაკულტეტზე. მარგომ უარი თქვა რუსთავში გადმოსვლაზე და ძმას დაუმტკიცა, უაზრობაა ერთად ყოფნისთვის სწავლა მიატოვოს. თუ კაპროლაქტამში

იმუშავებს, ვერ შეძლებს მეცადინეობას. რამდენიმე თვით ძერეინსკში უნდა წავიდეს, ახალ პროფესიას უნდა დაეუფლოს. უნივერსიტეტი, ლექციები კი გვერდზე დარჩება. შაქროს ეს არ გაუთვალისწინებია. მარგო მართალი იყო.

• • •

დილით დაფიქრებული შაქრო ჩაჯდა პატარა მატარებელში და რუსთავისაკენ გამოეშურა. „რა უთხრას ახლა ძამანაშვილს? კაპროლაქტამი ახალი წარმოებაა, ამბობენ დიდი პერსპექტივები აქვსო, იქნებ, მართლა გადავიდეს?— აკი შეპირდა კიდევ ძამანაშვილს? მაგრამ მილამდიდელებს რას ეტყვის?... ამბროსი გუჯაბიძე გაუჯავრდება, საამქროს უფროსს პეტრე ჩიტაიშვილს ეწყინება... ეს რა უქნა მარგომ! თუმცა რა მოხდა, მივა და ყველაფერს ეტყვის ძამანაშვილს, გიორგი მას გაუგებს. რა არის აქ თავსატეხი! უნებლიედ ორი სიტყვა წამოცდა, ამისთვის როგორ დამრახავს...“

პატარა მატარებელი შიქრის რუსთავისაკენ, ურემივით ყველგან ჩერდება. ვაგონი ჩვეულებრივად ხალხითაა სავსე. მის წინ ორი ვაგონი ზის. შაქრო მათ იცნობს. მატარებელში მათ უკვე მესამედ ხვდება, შორიდან მიესალმება ხოლმე, სულ ეგ არის მათი ურთიერთობა.

— მოდი, კარტი ვითამაშოთ — უთხრა მას უეცრად უფრო ლამაზმა.

შაქრო სულ არ არის თამაშის გუნებაზე, მაგრამ ქალიშვილებს უარს ხომ ვერ ეტყვის.

თამაშობენ. ჩუმად და მუნჯად თამაშობენ. ვაგონები თუ გადაულაპარაკებენ ერთმანეთს. შაქრო თამაშობს, მაგრამ ფიქრით სხვაგანაა.

— რა მოწყენილობაა, — ამბობს უფრო ლამაზი.

უეცრად შაქროს თვალები მოხვდება ვაგონის თვალებს და ბიკი გაოცდება. მის წინ თურმე ზის თეთრი ანგელოზი,

რომელსაც ფრთები არა აქვს. ბიკი აცვირდება და ხედავს, რომ ანგელოზი ზოგჯერ წითლდება. „ანგელოზმა რა უნდა დააშავოს, რატომ წითლდება“ ფიქრობს ბიკი. შაქროს თვალწინ ახლა ირევა მთელი ქვეყანა, ერთმანეთს ცვლიან ჩოჩხათი, გულიანი, ხორეთი, შრომის უბანი, ლჩხუმი, რუსთავი, თბილისი, ტულა, ვილნიუსი. ფეხშიშველი ჩაის მკრეფავი გურული ვაგონები, თბილისელი წვრილქუსლებიანები, ქერათმანები, მაცვლისფერთვალეებიანები... არა, შაქროს სიყვარულისათვის არ ეცალა, თუ სიყვარულს არ ეცალა მისთვის, ერთი ვაგონი აკი არ შეუძლია ახლოს წარმოიდგინოს, გაიხსენოს თუნდაც თმის სურნელება, ან თეთრი ხელის სირბილე ან... მაშაყაცისათვის შეუფერებლად წმინდაა და უცოდველი. ნუთუ ყველა პატიოსანი კაცის ბიოგრაფია ასეთია? იქნებ სწორედ პატიოსან კაცსა აქვს სიყვარულში ბედი. აბა, ამ ანგელოზს მატარებელში რა უნდოდა!..

— მოდი, საფუძვლიანად გავიციოთ ერთმანეთი, — თქვა შაქრომ.

უფრო ლამაზმა სახელი ხმადაბლა თქვა და კვლავ გაწითლდა.

— თქვენ ჩვენთან ხომ არ მუშაობთ?

— იკითხა უფრო ულამაზომ.

თითქოს ამ შეკითხვას ელოდაო — შაქროს თვალები გაუბრწყინდა.

— თქვენ სად მუშაობთ?

— კაპროლაქტამში.

ამ ერთმა სიტყვამ გადაწყვიტა, თუ იმ ორმა წამოცდენილმა სიტყვამ, კაცმა არ იცის. დაბნეული, არეული მივიდა იმ დილით გიორგი ძამანაშვილთან და უთხრა: მე ვიმუშავებ თქვენს წარმოებაშიო. ყველას ძალიან გაუხარდა. შაქრომ ახალი პროფესია შეისწავლა, მეგობრებთან ერთად ძერეინსკში იყო, საკუთარი თვლით ნახა როგორ მიიღება ანოლი, ანონი და ბოლოს კაპროლაქტამი. ახლა იგი უფროსი მეაპარატეა, მშენებლობა სულ მალე დამთავრდება, დადგება სამართავ პულტთან და აამუშავებს უზარმაზარ რკინა-ბეტონის მილებს, მრავალტონიან საცავებს, მაღალ

კოლონებს. აქ ყველაფერი ავტომატურია. გიგანტური ნაგებობა ერთ პატარა ღილაკს ემორჩილება. უზარმაზარ საამქროებს რამდენიმე კაცი ემსახურება. მუშამ ზედმიწევნით უნდა იცოდეს თავისი საქმე. თუ ავტომატები რიტმულად იმუშავებენ, ფიზიკური შრომა არცაა საჭირო. აქაურმა მუშამ ინჟინრის ოდენი უნდა იცოდეს. უნდა შეძლოს ხელსაწყოებით ავტომატური მართვა, ზუსტად დაცვა ტექნოლოგიური რეჟიმში. საკმარისია ტემპერატურა შეიცვალოს, ყველაფერი იცვლება, კაპროლაქტამის ნაცვლად შეიძლება სულ სხვა ქიმიური ნაერთი მიიღოს. ჭერჭერობით შავი სამუშაო აქვთ. რთული არაფერია. მიღებისა და კოლონებში ქიმიური ნაერთის ნაცვლად წყალს უშვებენ, აპარატურის მზადყოფნას ამოწმებენ.

შაქრომ საწარმოში თავისი ძმა ამირანიც მიიყვანა, ამირანიც კარგად მუშაობს. მარგო არ წამოვიდა, მაგრამ ამირანი გვერდითა ყავს, ერთ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ. ჩოჩხათელი ბიჭები ერთ ოთახში შეყუთულები მშვიდად და წყნარად ცხოვრობენ. მალე ამუშავდება კაპროლაქტამი — ობოლი ბიჭები, ძმები თვართქილაძეები, შრომაში პირველები იქნებიან. მათ ამბავს მთელი ქვეყანა გაიგებს.

ჩოჩხათში დედას თვალები გაუბრწყინდება. შაქრო უფრო თამამად ილაპარაკებს მომავალზე, დიდ შესაძლებლობებზე. მას უკვე მზადა აქვს უფრო ლამაზი გოგოსთვის სათქმელი სიტყვა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ უთხრა. „ზაირა, ჩვენ ძალიან ბევრი საქმე გვაქვს, ჩვენ უნდა ავაშენოთ მეორე რუსთავი, უნდა განვამტკიცოთ სამშობლოს ძლიერება, თუ ჩვენ კარგად ვიმუშავებთ, ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად უფრო გამაგრდება, ეკონომიურად მძლავრ ქვეყანას კი ომს ვერ გაუბედავენ. მაშასადამე, ჩვენ მშვიდობასაც დავიცავთ. მშვიდობა კი ჩვენ ძალიან გვჭირდება...“ ამის შემდეგ არ იცის, რა თქვას, მაგრამ ნუთუ ზაირა სულ ჩუმად იქნება, ნუთუ რამეს არ

შეეკითხება? რა უნდა შეეკითხოს? რა და... მიხვდება შაქროს გულისნაღებს და სიცილით იკითხავს:

— ასე ძალიან რად გვიინდა მშვიდობა?

მაშინ კი, მაშინ შაქრო მოუხსნის გუდას თავს და ყველაფერს ეტყვის. მაგრამ ვაი, თუ გაჩუმდა! მაშინ? ბოლოს დაბოლოს, ყოველგვარი შესავლის გარეშე ეტყვის, რაც უნდა, მორჩა და გათავდა, მორჩა და გათავდა!..

ლია ბარათი შაქროს დედას

ქალბატონო ნადია, მე ახლახან გავიცანი თქვენი ვაჟი. ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, ხან რუსთავში, ხან თბილისში. იგი მელაპარაკება პათეტურად, მაღალფარდოვანი სიტყვებით: ჩვენ უნდა ავაშენოთ ახალი ცხოვრება, ჩვენ პირველები მივიტანთ ესტაფეტას დიად მიზნამდე, მე პირველი გადავადიჯებ შეიღწეულდის ზღურბლს, ამის საწინდარია ის, რომ ახლა შრომით ვახტზე ვდგავარ და სხვა და სხვა... ასეთი შინაარსის მან წერილიც კი მომწერა რუსთავიდან. თქვენც ასეთ წერილებს გწერთ და არ გჯერათ, ლიტონი სიტყვები გგონიათ. თქვენ გჯერათ, რომ თქვენი შვილი სირცხვილს არ გაქმევთ. აი, იმ მაღალფარდოვნებისა არ გჯერათ. მე მინდა თქვენც და სხვებსაც ვუთხრა, რომ შაქრო აქაც მართალია, არ არის ეს მაღალფარდოვნება. ამ სიტყვებს სხვების გასაგონად, რაიმე თვალსაზრისით კი არ ამბობს, (სამწუხაროდ, ასეთები ჩვენთან ჭერჭერობით არიან) ხედავს, სწამს, სჯერა და ამბობს. ზოგიერთი მეშინია, სინამდვილეში სხვას ფიქრობს და სხვას ლაპარაკობს.

მე ვიცი თქვენთვის ეს არ არის მთავარი. იტყვი — რაც უნდა, ის იბურტყუნოს ჩემმა ბიჭმაო. თქვენ უფრო კონკრეტული და პრაქტიკული შეხედულება გაქვთ ამ ცხოვრებაზე. მაგრამ მე მინდა ეს წერილი სხვებმაც წაიკითხონ, თქვენმა მეზობლებმა, ჩოჩხათელმა ბი-

ტემა. წაიკითხონ და ნათლად დაინახონ თანასოფლელი. მოგეხსენებათ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. ისინი შაქროს ვერც კი ამჩნევენ, ზოგჯერ შეიძლება თბილისიდან ჩამოსულ ვინმე ფულიან უსაქმურს მეტი პატივი სცენ, ვიდრე შაქროს. თქვენ ამან გული არ დაგწყვიტოთ. ჩვენ ყველანი შაქროსთან ვართ.

დღეს ჩვენს სამშობლოს მშრომელი ადამიანები, გულმხურვალე პატრიოტები ჰქირდება. ზარმაცებს, უსაქმურებსა და თვალთმაქცებს ჩვენს საზოგადოებაში ადგილი არა აქვთ, არ გეცალია მათთვის, სხვა, უფრო დიდი და საინტერესო საქმეები გვაქვს. თქვენ შემეკითხებით, რა საქმეა, შვილო ეგ, მეც მითხარით, მეც ვამაგებინეთო. შევეცდები გითხრათ, ქალბატონო, მხოლოდ ჩვენთვის, არასპეციალისტებისათვის ძნელი გასაგებია, რას აკეთებენ თქვენი ბიჭები. ისინი მუშაობენ უზარმაზარ საამქროებში. მათ ჰკუთვნიან ემორჩილება მაღალი კოლონები, რკინა-ბეტონის მილები, მძლავრი კომპრესორები და საკონტაქტო სისტემები. ყველაფერი ეს ჩვენთვის გაუგებარია, მაგრამ იმას, რასაც გონიერი ავტომატები და მშრომელი ადამიანები ერთობლივი შრომითა და მეცადინეობით მიიღებენ, ეწოდება კაპროლაქტამი. ეს არის სითხე, რომლისაგან შემდეგ კაპრონის ქარხნები ჩვენთვის მეტად საჭირო საგნებს დაამზადებენ. კაპროლაქტამი ჯადოსნური სითხეა. იგი ერთ მშვენიერ დღეს გადაიქცევა ქალის შესანიშნავ ქურქად, ლამაზ, გამძლე წინდებად, მანქანის საბურავადაც კი.

ასეთი სითხე ჩვენ ჯერ არ გვქონია. თქვენი შვილები იქნებიან საქართველოში ამ საქმის პიონერები. ამიტომაც შაქროს გახარებული. რომ გელაპარაკება, თვლები სულ უცინის, სულ კარგი ამბების მოყოლის გუნებაზეა. ამირანიც ამიტომ წამოიყვანა.

ახლა ისინი კარგად ცხოვრობენ. მალე ახალ ბინას მიიღებენ, ხელფასიც მოემატებათ, ქალიშვილი უნივერსი-

ტეტს დაამთავრებს და შერე ყველანი ერთად იცხოვრებთ. შაქროს ესე უაქვს. გადაწყვეტილი. ხომ იცით მისი მშვენიერ რასაც მიზნად დაისახავს, უსათუოდ შეასრულებს. ქვასავით მტკიცე ხასიათი აქვს. ერთი განახათ, როგორ მეცადინეობს. ხედავს რომ, თუ საფუძელიანი ცოდნა არა გვაქვს, მაინახლად დარჩები, ავტომატებთან ვერას ვაწყობ. ამირანი ყოველთვის გვერდითა ყავს. მასაც ამეცადინებს, მიუთითებს, გონიერ ცხოვრებას ასწავლის.

წარმოებაში ყველა იცნობს თქვენს ბიჭებს. ამირანი ჯერ ახალმოსულია. შაქროს კი ქარხანაში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ ოჯახში. საკუთარი ოჯახივით უყვარს ქარხანა, რუსთავი. აქ ხომ სიჭაბუკის საუკეთესო წლები გაატარა სიყვარულში იგი გულწრფელია და წმინდა: რუსთავში ფულის საშოვნელად კი არ ჩამოსულა, გამდიდრების სურვილს კი არ აუყრია მშობლიური სოფლიდან, ჩამოვიდა, რათა ახალმართლად ემსახუროს ხალხს და სამშობლოს.

შაქროში მე პატიოსანი მშრომელი კაცი დაეინახე და იმიტომ დავინტერესდით. ამაში თქვენ დიდი წვლილი მიგიძღვით. ომის მძიმე წლებში თქვენგან ისწავლეს შვილებმა შრომის სიყვარული, პატიოსნება და სათნოება. ვასოთავართქილამის ოჯახს სირცხვილი არ უქამია, სამი შვილი, სამივე სწორ გზაზე დგას. ამას მხოლოდ კარგი დედები ახერხებენ. მე ვიცნობ თქვენსავით დედებს, შრომასა და დარღვი გაჭაღარავებულებს, უსახლერო ლოდინით ვაცივებულებს. და იცით, ერთი ამბავი მინდა მოგწეროთ: სამეგრელოში ცხოვრობს ხუთი შვილის დედა, გვირად წულაია, 18 წელიწადი ელოდებოდა ქმარს, ხუთი ვაჟკაცი გამოზარდა, ხუთივე ერთმანეთზე უკეთესები. ბიჭები ყოჩაღები გამოდგნენ, შესანიშნავი ოდა წამოქმედეს, დაცოლშვილდნენ. რომ იტყვიან „ოჯახი გამართეს“. როცა უმცროსმაც შეირთო ცოლი, დედამ შვილები მოიხ-

მო და უთხრა: „აჰა, შეილებო, მე ჩემი საქმე დავამთავრე, უმამობა არ გაგზავნივთ, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. დღეს თქვენ ყველანი გზაზე დგახართ, ღვთის წყალობით, არაფერი გაკლიათ, იცხოვრეთ, ისარეთ და იბედნიერეთ. მე როგორმე გვათარე ჩემს დღეს — სიკვდილს დაველოდები“.

წულაიას ქალი მართალი არ იყო. სიკვდილს კი არა, იგი ქმარს ელოდებოდა, მაგრამ ამას ვერ ამკლავებდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს მოხდა სასწაული — დაბრუნდა! დაბრუნდა მართალი კაცი, სამშობლოსა და ხალხის წინაშე პირნათელი, ვალმოხდილი.

პატივისცემით ნოდარ წულეისკირი

ფადიურაშვილი

— ფშაველ კაცს რუსთავეში რა გინდოდა?

— არა, კიუხები არ მენატრება — სიცილით მეუბნება ზაურ ფადიურაშვილი.

მთასთან მხოლოდ ჩემი გვარის წარსული მკაცვშირებს. დავიბადე და გავიზარდე წითელწყაროს რაიონში, სოფელ ქვემო ქედში.

ზაურს განსაკუთრებული არაფერი აქვს, ჩვეულებრივი გამხდარი ბიჭია, რომელიც ძალიან ბევრს მოძრაობს. აცვია ჩექმები და დაქმუჭნული კოსტუმი.

— ვიდრე მშენებლობა არ დამთავრებულა, სულ ასე ამოსვრილი ვიქნებით, — მეუბნება იგი.

ერთ ადგილზე მას ვერასოდეს ვერ ნახავთ. სამუშაო ადგილი იქა აქვს, სადაც გასაჭირია. მიღგაყვანილობის გაწმენდა, ვაკუმის შექმნა, ტუმბოების შემოწმება და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ არის ყოველ ცისმარე დღე გასაკეთებელი.

— ფადიურაშვილო, ფადიურაშვილო!

ფადიურაშვილი საამქროს მაღალ თაღებზე მდებარე.

— ფადიურაშვილო, ფადიურაშვილო!

სად იპოვი ფადიურაშვილს? ეზოში მიღგაყვანილობას თუ ამოწმებს...

სამი წლის წინ დაამთავრა ინსტიტუტი. მოვიდა ქარხანაში და სახელი გაითქვა. ჯერ ცვლის უფროსად დააწინაურეს, შემდეგ საამქროს უფროსის მოადგილედ. ახალგაზრდა ინჟინერი სათავეში ჩაუდგა ანონის საამქროს. ხვალ და ზეგ წყალბადი უნდა მიიღონ. ეს რთული საქმეა, რესპუბლიკის ყველა საუკეთესო სპეციალისტი აქ არის. როგორც კი წყალბადს მიიღებენ, ანოლის საამქროს ამუშავდება. ანოლის საამქროს ანონისა მიჰყვება, ანონისას — კაპროლაქტამის. ამუშავდება ექვსი საამქრო: ანოლის, ანონის, ბისულფატის, კაპროლაქტამის, სულფატამონიის და მაკივარდანიანდგარების. ყველა საამქრო იმუშავებს იმისათვის, რომ მიიღოს ჯადოსნური სითხე — კაპროლაქტამი.

წარმოებაში 96 ინჟინერია, ასობით ტექნიკოსი და მაღალკვალიფიციური მუშა. ფადიურაშვილი ზღვაში წვეთია. ფადიურაშვილი ერთი იმთავანია, ვინც თავის კუქსა და გონებას, თავის სულსა და გულს სახალხო საქმეს ახმარს.

— ფადიურაშვილო, როგორ მიდის საქმე ანონის საამქროში?

სადაც ფადიურაშვილია, საქმე ყოველთვის კარგად მიდის. იგი ჰგავს მკვირცხლ ჯარისკაცს, რომელიც ყოველ წუთში მზად არის სმენაზე დადგეს. ზაურს არ აქვს რთული ბიოგრაფია; 26 წლისაა, მამა მასაც არა ჰყავს, მოხუცი დედა მასაც ელოდება სოფელში. ინსტიტუტი ახლახან დაამთავრა, ცოლი ახლახან შეირთო, სამსახურში ახლახან დააწინაურეს, ყველაფერი ასე უეცრად და მოულოდნელად მოხდა.

— ფადიურაშვილო!

— მობრძანდით...

— ამანათი საქართველოდან!

ძერეინსკი. ცენტრალური სასტუმრო. 21-ე ოთახი.. ეს იყო ყველაზე სერიოზული ოთახი ამ სასტუმროში. მე-20 ოთახში ბიჭები ყბრაზე გადადიოდნენ. საკმარისი იყო უბრალო მიწეში და ახმაურდებოდა, ქართული სიმღერებით აივებოდა სასტუმრო. ზაური ბიჭებს აფრთხილებდა, აბა, გეყოფათ ხალხი არ შეაწყუხოთ. და აი, თვითონ მიიღო ამანათი...

დილიდანვე თოვდა. პირველ მაისს ძერეინსკში დიდი თოვლი მოვიდა. მაისი და ასეთი თოვლი! კარგი სანახაობა იყო... 21-ე ოთახი მეგობრებით აივსო. ისხდნენ სუფრასთან, ქართულ ზილსა და ღვინოს შეეკცეოდნენ და თოვლიან ქალაქს გასცქეროდნენ. ზაური მეგობრებს გულლიად უმასპინძლდებოდა. იგონებდნენ ბავშვობას, მშობლიურ სოფლებსა და ქალაქებს. სამი თვე იყვნენ უცხო ქალაქში და უკვე ემიგრანტის პოზითა და დარღით ლაპარაკობდნენ საქართველოზე.

— ბიჭებო, გაჩერდით ახლა, თორემ ავტირდი, — ხუმრობდა „წიორა“.

— ლექსი მინდა ვთქვა, — წრიალებდა ღვინომოკიდებული „მეგრელო“, იგი სერიოზულად მოითხოვდა, მომისმინეთ, ლექსს ვიტყვიო, ეს ბიჭებში სიცილს იწვევდა. ყველამ იცოდა, რომ „მეგრელოს“ ლექსები არ უყვარდა, მოლექსეებს დასცილობდა.

— რა გაცინებთ, კარგი ლექსი ვიცი, მათქმევინეთ.

— ეს ისე კინკვლობს, მგონია, მართლა დათვრა, — თქვა ვილაკამ.

— ვიწყებთ მხატვრულ განყოფილებას, — გამოაცხადა ჯუმბერმა.

„თავი შევარდა ვირთხასთან და მიიძახა — ბიძაო“ — თქვა ლექსი „მეგრელომ“.

კარგი დრო ატარეს. დაუვიწყარი დღე იყო — ძერეინსკის თოვლიანი პირველი მაისი. მეორე დღეს გამოიდარა. უეცრად დათბა და ორ დღეში ნამდვილი გაზაფხული მოვიდა.

ბიჭებმა უამრავი მეგობარი შეიძინეს. ისინი ქარხანაში ცვლის უფროსებად, ცვლის ოსტატებად მუშაობდნენ, რამაც ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. სწრაფად შეისწავლეს წარმოება, ადვილად გაერკვნენ ყოველგვარ წერილობაში, დახელოვნდნენ.

— ფადიურაშვილო, ოცნებისათვის არ გცალია!

ზაური სამანქანო განყოფილებაში გარბის. ვაკუმეტრს აკვირდება. ცვლის უფროსიც აქ არის. ცვლის უფროსი უფრო ახალგაზრდაა. დიდი ქიმიკა ახალგაზრდების ხელშია.

— ვაკუმეტრში ცვლილებაა, — ამბობს მემანქანე.

ფადიურაშვილმა იცის, რაშია საქმე, რა უნდა გააკეთოს, როგორ უნდა მოქცეს. ფშაველი ბიჭი გაიწაფა.

დადგება ერთი მზიანი დღე და ფადიურაშვილი და მისი ამხანაგები მოაწყობენ დიდ საციკო სანახაობას. მტკვრის პირას ტრიალ მინდორზე, ხალხის ზღვით გარსშემორტყმულ ცირკის ფართო არენაზე, თეთრი მოსასხამით გამოვა ფადიურაშვილი. ხალხს გაუღიმებს და მიესალმება. მშები თავართქილაძეები ცენტრალურ ადგილას დადგამენ დიდ კოლბს. ფადიურაშვილი კოლბს ჯადოსნურ ჯოხს მიადებს და ხალხს ეტყვის — ეს არის ფენოლი. ამას ჩვენ კოქსოქიმიური საამქრო და სხვა საამქროები გვაძლევს. აი, შეხედეთ! — ეტყვის ხალხს ფადიურაშვილი, — ჩემი ჯადოსნური ჯოხით ამას მე ანოლად ვაქცევ. ფენოლი ანოლად იქცევა. ახლა კი — ამბობს ფადიურაშვილი ამ კოლბიდან ანოლი მეორე კოლბში გადავასხათ. პროცესს ზუსტად და შეუცდომლად ასრულებს.

— ხედავთ? — რა მარტივად მივიღეთ ანონი! ეს უკვე სულ სხვა ნივთიერებაა. ხელის სწრაფი მოძრაობის შედეგია, არაერთი ჯადოსნობა! — აფრთხილებს ხალხს ფადიურაშვილი. — ახლა კი მიღებული ნივთიერება მესამე კოლბში გადავასხათ. შეხედეთ? კარგად

დააკვირდით? პოპი — ფადიურაშვილი მესამე კოლბში გადასხამს ანონს და ხელებს ჰაერში ნამდვილი ცირკის მსახიობივით აათამაშებს.

— ახლა ამ კოლბში ჯადოსნური სიტხეა. არ გჯერათ?.. ხალხი გაცხებული შესცქერის ფშაველ ბიჭს. — ავიღოთ და სიტხე ჩავსახათ დიდ ქვაბში. ჩეხოსლოვაკიური ამწეებით არენაზე შემოაქვთ დევების ქვაბი. ფადიურაშვილი ამწეებს დაიხმარს და ქვაბს ვადმოაბირქვავეს. ხალხს უჩვენებს, რომ ცარიელია. შემდეგ ნელნელა, ყველამ რომ კარგად დაინახოს, ქვაბში ასხამს ჯადოსნურ სიტხეს. ხალხი მოუთმენლად ელოდება რა მოხდება.

— მაშასადამე, ქვაბში ჯადოსნური სიტხეა, — ამბობს ფადიურაშვილი და ამოყად დააბიჯებს არენაზე. ხალხი ფიქრობს: უკეთეს შემთხვევაში ბიჭი ქვაბიდან ფერად-ფერად ლენტებს ამოიღებს.

— მოდი ვნახოთ, რა არის ქვაბში, — ამბობს ფადიურაშვილი და დახეთ საოცრებას! — ქვაბიდან ქალის ფერად-ფერადი ქურქები ამოაქვს. ქურქებს მოყვება ჭრელი პერანგები, ლამაზი წინდები, ყოველნაირი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ათასი საოჯახო, საჭირო ნივთი; მანქანის საბურავებიც კი. ამოაქვს და ამოაქვს ისე, როგორც ცირკის მსახიობები ერთ ჰიქა წყალს დალევენ, დააღებენ პირს და ვითომ მუცლიდან ამოაქვთ ფერადი ლენტები.

— ყოჩაღ, ფადიურაშვილო! — იქუხებს ხალხი და ისეთ ოვაციას გაუმართავს, როგორიც არცერთი ქვეყნის მსახიობს არ ღირსებია. მერე ხელში აიტაცებენ და ჰაერში აბურთავენ. მისი თეთრი მოსასხამი ქარში იფრიალებს

და გაბრწყინებული, გახარებული ხაზე ექნება.

უზარმაზარი რკინა-ბეტონის მილზე გადამჯდარს საკუთარი უცნაური ფიქრები გააცინებს. ჩუმიდ ესაუბრება თავისთავს და ტკბილ ოცნებაში ჩაძირულს თავისთვის გულუბრყვილოდ ეღიმიება.

— ფადიურაშვილო!..

თითქოს ვიღაც ეძახის, თითქოს რკინა-ბეტონის მილები გუგუნებენ, თითქოს ქარხნული წესით დამზადებულმა მძლავრმა კრატერებმაც შეისწავლეს მისი გვარი.

ფადიურაშვილო!.. — გუგუნებს ფოლადის ქალაქი და ზაურიც როგორც მკვირცხლი ჯარისკაცი, მზად არის, სმენაზე დადგეს.

• • •

გარდაბნიდან რუსთავისაკენ მიქრის პატარა მატარებელი.


მატარებელია თუ ტრამვაი!

რუსთაველების ტრამვაი ეს არის. სალამოს შინ მატარებლითვე ბრუნდებიან. მიქრის ინდუსტრიულ ქალაში პატარა მატარებელი.

შორს ბოლავს კოქსოქიმი...

დიდი ჭიმი მტკერის სანაპიროებზე არ ეტევა. მტკერის სანაპიროები სავსეა ხარაჩოებით, რკინა-ბეტონის უზარმაზარი მილებითა და მძლავრი ამწეებით. ფოლადის ფილტვებით სუნთქავს ქალაქი. ერთნაირად ბოლავს დიდი ქარხნების საკვამურები, თითქოს ქარხნული წესით დამზადებული კრატერებია.

„პატარა მატარებელი“... თავდავიწყებით მღერის კიბეზე ჩამოკიდებული ბიჭი.



გიორგი ნაგროზიანი

პარისკაცის უკვდავება

კ. ლორთქიფანიძის მოთხრობების გამო

ომის თემა! ვის არ აწუხებდა ეს თემა, რომელ ეპოქას დაასახელებთ, რომელ საუკუნეს, რომ ადამიანის ფიქრი შეშფოთებული არ ყოფილიყო ამ წყევლა-კრულვიანი საკითხით. ოდესღაც, სასკოლო სახელმძღვანელოებში ვკითხულობდით — რომანტიკოსები შორეულ წარსულში იმიტომ გარბოდნენ, რომ იდილიური, წყნარი და უშფოთველი გარემო ეპოვნათო. მაგრამ სად გაიქცევი? თვით ის წიგნებიც, კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე რომ დაიწერა — იქნება ის გილგამეშის ეპოსი თუ „ილიადა“, ბიბლია თუ „დებელლო გალიკო“ — ომის მატრიანეებია. შუასაუკუნეები? იქაც გაუთავებელი ომებია; ომობენ „ვეფხისტყაოსანშიც“ „ვისრამიანშიც“... გაიხსენეთ ეს სტრიქონები: ქვეყანა ტყესა ჰგუანდა შუბისა და დროშის სიმრავლითა, ქვეყანა ნაძვის ტყესა ჰგუანდა მრავალფერისა დროშისაგან... მიწა ერთობით მტურქმნილ იყო, ცად გასრულ იყო და ლაშქარსავე თავსა ჩამოსდიოდა... მეომარნი უენოთა ჰგუანდეს, ომის ბუკისა ხმისაგან სხუა არა ისმოდა... ზოგსა თუალთა შიგან ისარი შეეპარის, ვითა ძილი, ზოგსა გულსა შიგან შუბი შეეპარის, ვითა სიყვარული... ხრამალმან იცოდა, თუ ღმერთმან სული კაცისა ტანსა შიგან სად დაამკვიდრა; მას კვალსა მახვილი შევიდის და მის კვალისაგან სული გამოვიდის; ღრუბელსა

ჰგუანდა ლურჯსა ბასრი ხრამალი; მაგრამ წვიმდა და ღვარი მისი წითელი იყვის...

ასე ხატავდა ქვეყანას მწერალი იმ წიგნში, რომლის თემა ქალ-ვაჟის სიყვარული იყო. აქვე უნდა ვთქვათ: ეს წიგნები არა მარტო ასახავდნენ ომებს, არამედ კიდევაც ჰგმობდნენ მათ და ეძებდნენ გზას ხალხთა დაძმობილები-საკენ, როცა ყველა ბოროტ ძალას გზა გადაეკეტებოდა.

წარსულის დიდმა ჰუმანისტებმა კარგად იცოდნენ, რომ ომი — ეს არის. დარღვევა სიციცხლის ყველა კანონისა, ეს არის ბარბაროსობა, რომელსაც ცაცთა მოდგმის მტრები ახვევდნენ თავს ხალხებს. ისინი თითქოს გუმანით ხვდებოდნენ, ოდესმე დადგებოდა დრო, როცა ადამიანები მიხვდებოდნენ, რომ ომი გარდაუვალი აუცილებლობა არ არის. ეს მათი გუმანი იყო, ნატერა და ოცნება. დღეს კი ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ხალხებისათვის — ეს არის პრაქტიკული საბრძოლო ამოცანა — მოისპოს ომის სახსენებელი დედამიწაზე. მოწინავე კაცობრიობა დღეს მთელი ძალღონით იბრძვის, რათა ქვეყნად ომის ხანძარი აღარ დაიწიოს.

ადამიანის ამ კეთილშობილური მისწრაფებითაა გამსჭვალული საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც მუდამ მხარში უდგას თავის ხალხს; ამჟამად იგი მშვიდობის დაუცხრომელი ბაიზატარია, ხოლო ომის დროს — მწერალიც უში-

შარი მხედარი იყო, სამშობლოს მამაცი დამცველი. ჩვენმა მწერლებმა აქაც დიდი ამაგი დასდეს კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლას; აქ პირველთა შორის უნდა დაეასახელოთ ქართველი. მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რომელმაც ახლახან გამოაქვეყნა კრებული თავისი მოთხრობებისა, რომლებსაც ერთი თემა აერთიანებს — ომის თემა.

• • •

ვიდრე ამ მოთხრობების განხილვას შევუდგებოდე, მინდა ერთი უბრალო ამბავი გავისხენო.

შარშან, წიგნის სასახლის წინ, მტკვრის პირას, კონსტანტინე ლორთქიფანიძე შემხვდა. გამომცემლობიდან გამოდიოდა. შევატყვე, რაღაცაზე თითქოს განაწყენებული იყო. ვერ მივხვდი, რომ ამის მიზეზი თურმე მე ვიყავი, ხელი ჩამოვართვი და საუბარი გავაბით. კონსტანტინემ უცებ მითხრა:

— გუშინ შენი ახალი წიგნი ვნახე... მალაზიაში ვიყიდე, წავიკითხე და იცი, — თითო მტკვარზე მიჩვენა, — გამოვიტანე და შიგ შუა მორევეში გადავისროლე...

ჯერ სახტად დავრჩი, ეს რომ გავიგონე. მერე კი ამ გადაკრული სიტყვების აზრს უმალ მივხვდი; მივხვდი იმასაც, რომ, რა თქმა უნდა, წიგნი მას წყალში არ გადაუგდია, მაგრამ გაბრაზებული რომ იყო, ამის გაგებას ბევრი ხაზი და ლარი არა სჭირდებოდა. ახლა გავხსნათ ბარემ ფრჩხილები და ვთქვათ რაში იყო საქმე: ჩემი წიგნი „წინაპარნი და თანამედროვენი“ იმ ხანებში ახალი გამოსული იყო. მასში შეტანილია წერილი „ქართველი გუთნისდღა“, რომელშიაც, სხვათაშორის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობების წიგნის გამო, აღნიშნულია:

„ახლა ორიოდ სიტყვა იმის შესახებ, რაც მე არ მომეწონა ამ წიგნში... სასიცოცხლო პათოსი აკლია საფრონტო სურათებს, გარდა იმ ეპიზოდებისა,

სადაც საველე ჰოსპიტალია აღწერილი“.

აქ ლაპარაკია პირველ ვარიანტზე მოთხრობისა „როდესაც კაცი მარტოა“. პირველ ვარიანტში მას ასეთი სათაური ჰქონდა — „მოსკოვთან“.

საერთოდ ცნობილია, თუ რაოდენი სიმძაფრით, რა დიდი შინაგანი სიმართლთა და მღელვარებით არის აღსავსე კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობები სამამულო ომის თემაზე. არ არსებობს ორი აზრი იმის შესახებ, რომ „მწვანე ლილი“, „ცაბუნია“, „როგორ მოკვდა მოხუცი მეზადური“, „მაისის დილა“, „ჯარისკაცი“, „ცისფერი დუნი“ — შესანიშნავი ეპოქალური ნაწარმოებებია; ესაა სწორედ ის, რასაც ჩვენ ქართულ საბჭოთა კლასიკას ვეძახით და რაც დარჩება მომავლისათვის, როგორც უტყუარი ფურცლები ჩვენი მღელვარე დროის მატანიისა, მღალადებელი ქართველი ჯარისკაცის სიმამაცეზე, შემმართებლობაზე, სულის სიდიადეზე. ამ მოთხრობებში ხასიათები გახსნილია და დახატულია სიტყვის ბრწყინვალე ოსტატის ხელით. ომში ხანგრძლივად ყოფნამ, ყირიმისა და ყუბანის საფრონტო გზებზე და ბრძოლის ველებზე ბევრი რამ აჩვენეს მწერალს, რაზედაც ღირს წერა და რაც მუდამ ამაღლევბელი იქნება მკითხველისათვის. ამით აიხსნება ის სიყვარული, რაც კ. ლორთქიფანიძის ზემოხსენებულმა მოთხრობებმა მკითხველის გულში დაიმკვიდრეს. ამ მოთხრობებში ჩანს ადამიანის სულის სიღამაზე, იგრძნობა დიდი ადამიანური სიბოძო, ადამიანური სიყვარული, რომელიც ომის ჯოჯოხეთში ძალას აძლევდა კაცს დაეცვა და გადაერჩინა ყველაზე წმინდათაწმინდა, რაც კაცობრიობას გააჩნია.

რატომ გავისხენე ყოველივე ეს? იმისათვის, რომ მეთქვა — აი ეს სასიცოცხლო პათოსი, ეს შინაგანი ძალა ვერ დავინახე მოთხრობაში „მოსკოვთან“. ეს აღვნიშნე კიდევ ჩემს წერილში.

ჰოდა, აი ახლა ვრწმუნდები — მწე-

რალმა გულის სიღრმეში იგრძნო, რომ ეს კრიტიკული შენიშვნა სამართლიანი იყო და ჩემზე კი არ ვაბრაზდა, არამედ თავის თავზე. ეს იქიდან ჩანს, რომ ის ჩაუჭდა და მოთხრობა ხელახლა დაწერა სათაური „როდესაც კაცი მარტოა“. დასვა თუ არა უკანასკნელი წერტილი, მომნახა და პირველს მე წამოკითხა: ეს თითქოს ნიშნის მოგებაც იყო და პასუხიც კრიტიკულ შენიშვნაზე. მაგრამ მოთხრობას რომ ვუსმენდი, ამხე ფიქრისათვის არ მეცალა, უკვე მწერლის ტყვე ვიყავ, აღარაფერი არ მახსოვდა, ჩემს თვალწინ ლევან ნადიბაიძე იდგა — და ყველაფერი საოცრად მომხიბვლელი იყო აქ — ვაჟაკის სულიც, ქართლის დედაც, ადამიანის ქირში გაუტეხელობაც; აქ საოცარი ძალით იყო გადმოცემული ის შინაგანი სილამაზე სულისა, რომელიც ადგამალღებს ჩვენ და აზრს აძლევს ადამიანის სიცოცხლეს.

მაგრამ ამხე ქვემოთ. ჯერ კი, აი რა მინდა აღვნიშნო: დაე, მაპატიოს მკითხველმა, რომ ჩემს წერილზე მომხსნდა ლაპარაკი; გულწრფელად ვამბობ, ეს იმიტომ კი არ გამიკეთებია, რომ ამ წერილზე მიმეჭკია მკითხველის ყურადღება, არა, ეს მეტად უპრეტენზიო სტატია იყო და საერთოდ, მე, დიდად უპრეტენზიო კაცი ვახლავართ; არ მიყვარს, როცა მწერალი თავის თავზე ლაპარაკობს. როგორც მკითხველმა უკვე დაინახა, მე სულ სხვა რამის თქმა მინდოდა და უკეთესი მაგალითი ვერ შევარჩიე...

თქმა კი აი რისი მინდოდა: კრიტიკა ამ ქვეყნად იმიტომ არსებობს, რომ მწერალს მხარში ედგეს მის ძნელ გზაზე, კიდევაც წააქნოს და, როცა საჭიროდ დაინახავს, „გამაწაროს“ კიდევ, შეაგულიანოს უფრო მაღალი მწვერვალის ასაღებად. რამდენი კარგი მწერალი „გათავდა“ ჩვენს თვალწინ მარტო იმის გამო, რომ მას კომპლიმენტების მეტი არაფერი მოუსმენია, დაკმაყოფილებულა მიღწეულით, წინ აღარ გაუწევია, აღარ შესჭიდებია სიტყვას —

აქაო და რაღათ მინდა, ფონზე უკვე გასული ვარო; და აი, კარგი სახელი კი ერთხანს შერჩენია, მაგრამ კარგი წიგნები აღარ დაუწერია. საქმეზარი მუდამ უნდა ვაქოთ, მაგრამ მარტო ჭათინაური ჰკლავს მწერლობას, აღუნებს, აძაბუნებს.. რა დასამალია, ჩვენ ხშირად მარტო „ტყბილი სიტყვის“ ოსტატები ვართ და ეს ტყბილი სიტყვა კი დიდ ლიტერატურას ვერაფერს გაუკეთებს, ეგ არის მარტო შეიძლება გული მოჰფხანოს კაცს. და რა კარგი იქნებოდა, რომ ხანდახან ვაგიხსენებდეთ ხოლმე ბრძენი ქართველი დედაკაცის ოთარაანთ ქვრივის სიტყვებს:

„ — რას მიქვიან ტყბილი სიტყვა, — იტყოდა ხოლმე ოთარაანთ ქვრივი! — თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტყბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანსო. გულის ფხანა რაღა დარღუბა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქციონებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ხომ არ არის, — მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ომი მოეკიდება, როგორც კიღობანში დაეწყებულ პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრა-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმი კაცის საქმეა! „

შესანიშნავი სიტყვებია და ამას კომენტარიც აღარ სჭირდება. გამგები ვაიგებს, როგორც რომაული ანდაზა ამბობს.

ჰო, ახლა ისევ „მწარე სიტყვავზე“. აი, თუნდაც ჩვენი მაგალითი. იმ „გამაწარებაში“ თუ ვაბრაზებამ კონსტანტინე ლორთქიფანიძე აიძულა უკვე გამოქვეყნებული ნაწარმოები ხელახლა დაეწერა და აბა დაიდგეთ წინ ორივე მოთხრობა და ნახეთ: პირველს, რომ იტყვიან, არა უჭირს-რა, იქნებ გადაქარბებულიც იყოს თქმა, სასიცოცხლო პათოსი აკლიაო, მაგრამ მე ასეთე შთაბეჭდილება დამრჩა. ხოლო მეორე — ნამდვილი შედეგურია, შესანიშნავი ნიმუშია ადამიანის სულში ჩაწვდომისა.

განოჩენილ ჩუხ მწერალს კარელ ჩა-

პეკს აქვს შესანიშნავი მოთხრობა „რეკორდი“, რომელშიაც ასეთი ამბავია აღწერილი: აგურის ქარხნის მუშა — ცხრაშეტი წლის ქაბუჯი ვაცლავ ლისიკი წაეჩხუბა თავის მეზობელს — მოხუც ფრანტიშეკ პუდილს, რომელიც მდინარის გაღმა ცხოვრობდა. ჩხუბი ასე დაიწყო: ქაბუჯი დილით გამოვიდა თავის ეზოში, გაიხედა და დაინახა, რომ მდინარის გაღმა მოხუც ფრანტიშეკს პაწია ბიჭისთვის თავის ბაღში მიესწრო, ბღის ხეზე, დაეჭირა და უმოწყალოდ სცემდა. ვაცლავს ბიჭი შეეცოდა და მოხუცს გასძახა — დაანებე თავი, შე კრიქანგო, ბავშვი ხომ არ უნდა მოჰკლა ორი მარცვალი ბაღის გულისათვისო. მოხუცს ახლა ვაცლავზე მოუვიდა გული — „შენ რა გესაქმება, შე მაწაწალო.“ და ბავშვს უფრო შეუბრალებლად დაუწყო ცემა. გამწარდა ქაბუჯი, დასტაცა ვეება ლოდს ხელი და მდინარის გაღმა ესროლა ბერიკაცს; მადლობა დმერთს, მხარში და ისიც ოდნავ მოახვედრა, თორემ თქვენს მტერს, რაც იმ ბებერს დაემართებოდა, სწვა ადგილას რომ მოხვედროდა. ასე რომ ბერიკაცი იოლად გადაჩა, მაგრამ საქმე მაინც გართულდა — ამბავმა მართლმსაჯულების ყურამდე მიადწია, მოვიდნენ გამომძიებლები, ექსპერტები, პროკურორიც მოვიდა, შეამოწმეს სადიდგა ვაცლავი, საიდან ესროლა ეს ლოდი, როგორ გადააცილა მდინარეს, სადიდეცა იგი, აწონეს ქვეც და განცვიფრებულნი დარჩნენ — ბიჭს, თავისდაუნებურად, თურმე ბადროს ტყორცნაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაემყარებინა და დიდად უკან მოეტოვებინა სახელგანთქმული სპორტსმენები — ამერიკელი ჯოზეფ კუკიც და გერმანელი ემილ ჰორშფელიც. ვილას ახსოვდა დაზარალებული მოხუცი — ატყდა ერთი აურ-ზაური, აცნობეს ეს ამბავი პარიზს, ლონდონს, ბერლინს, ნიუ-იორკს, აჭრელდა მსოფლიოს გაზეთები ვაცლავის პორტრეტებით და ცნობებით ამ სენსაციაზე... ჩამოვიდნენ პრაღიდან სპეციალისტები, ნახეს ის ბაღიც, ის

მდინარეც, ის ლოდიც, რომელიც ჩვეულებრივ ბადროზე უფრო მძიმე იყო და მერე სთხოვეს ვაცლავს გაემჯობებინა თავისი რეკორდი, აიღო ხელში ლოდი ქაბუჯმა, ისროლა და... მდინარე მდევ ველარ მიაწვდინა. განა გასაგები არ არის, რაც მოხდა? აღარ იყო ის სტიმული, ის „გამწარება“, ის ბრაზი, რომელმაც ბიჭს ასეთი საოცარი რამ შეაძლებინა.

ეს ამბავი ისე გაეხსენე, სხვათაშორის, იმ მიზნით, რომ მან იქნებ რამე მაინისნოს ჩვენს კრიტიკას.

ახლა თვითონ მოთხრობის შესახებ.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის „როდესაც კაცი მარტოა“ მრავალმხრივ იქცევს მკითხველის ყურადღებას. ეს ნაწარმოები უნდა მივიჩნიოთ ჩვენი ახლებური, სოციალისტური რეალიზმის დიდ გამარჯვებად სწორედ იმის გამო, რომ მასში მთელი სიმაღლიც გამოჩნდნენ ჩვენი თანამედროვენი, ჩვენი ადამიანები — უბრალონი, კეთილნი, მამაცნი და საოცარი სულიერი სილამაზით აღსავსენი. აქ უბრალოა ყველაფერი, სათნო და გულისშემძვრელი, დიახ, უბრალოა ყველაფერი და თანაც საოცრად ამადლევებელი, მომზიბველი.

ძნელია ამ მოთხრობის აუღლევებლად და უტრემლოდ წაკითხვა. გაიხსენეთ პირველივე სურათი — აქ სწორედ ის წუთებია აღწერილი, როცა ომში მიმავალმა კაცმა სკამზე გაქვავებულ დედას უკანასკნელი „ნახვამდის“ უნდა უთხრას. შემოგხედავს დედა და მის თვალებში იმდენი ნაღველია, გული შეგეკუმშება, სწუხარ, არ გიზარია, დედას ასე უსაზღვროდ რომ უყვარხარ, არ გიზარია, იმიტომ, რომ ტიალმა ტყვიამ გარჩევა არ იცის...

და აი, დედა ლევანს ფრონტზე აცილებს. კონსტანტინე ლორთქიფანიძემ აქ ქართველის დედის დაუვიწყარი სახე დახატა, დახატა ისე, რომ ეს პორ-

ტრეტი თამამად შეიძლება დაუყენოთ გვერდში იმ სახეებს, რომლებიც ჩვენს მწერლობას ოდესმე შეუქმნია. კარგად იცის დედა, რომ მამული ყველაზე უფრო საყვარელია და ადამიანის წმინდა ვალია შესწიროს მას ყველაფერი, მაგრამ ვინა თქვა, ან ვინ დაიჭერებს, რომ დედები სიხარულითა ჰგზავნიან შვილებს სიკვდილ-სიცოცხლის ვიწრო მიჯნაზე. ვინ უარყოფს იმ შინაგან ბრძოლას დედის გულში, როცა სასწოროზე დგება მისი პირველის სიცოცხლე!

ჰოდა, აი, ანუკაც ამ წუთებში აგდებს შვილის სიცოცხლეს ამ სასწოროზე და ხელები უთრთის... ელდანაცემი ზის შუშაბანდში, პირი მაგრად მოუტემავეს, რომ საღაცა შეგინდან დაძრულ ქვეთინს გზა არ მისცეს. ამიტომ ეძნელება ლევანს მასთან გამოთხოვება, ამიტომ ცდილობენ ბერიაკები გაუადვილონ დედას ეს მძიმე ნაბიჯი.

„ბერიაკები ანუკას გასაგონად ყბდობენ.

— ევრანები, ჩემად კი შემოგვეპარნენ, მარა ჩვენი ჯარიც მაგრად დახვედრია! ჯერეთაც ვერ დაგვითვლია, იმდენი ტყვე წამოვიყვანეთო! — ამბობს ზაქარია.

— ჩვენებმა თუ ასე იმარჯვეს, ამ ჩხუბს დიდი დღე არ უწერია! — სიტყვა არ გაუცივა მანუჩარმა.

— მეც ასე ვფიქრობ, ჩემო მანუჩარ. ეს ჩვენი ბიჭები შეიძლება გზიდან დააბრუნონ, აღარ გვჭირდებათ!

— ღმერთო, შენ გაიგონე კარგი ყურით!

კოტახანს იყუჩეს, თუთუნის შეახვიეს. მერე ისევ ზაქარიამ წამოიწყო:

— ომში ნამყოფი კაცი ხარ, მანუჩარ, შენ გეცოდინება ეს გიტლერი უფრო მეტია თუ ნაპოლეონი?

- მაგას კითხვა უნდა?!
- ნაპოლეონი ხომ!
- იმე!
- აბა შე კაცო, რისა გვეშინია! რუ-

სებმა ნაპოლეონს მოუგრობეს კისერი, ამას რა ხეირს დააყრიამ რაღაცნაირი კარების გახუნება სიტყვა შეაწყვეტა. ანუკა კიბეზე ჩადიოდა.

— რა იყო ქალო! რა მარგალიტის საყელო ჩამოგახიე! — მიამახა ზაქარიამ.

— მასხარად ამიგდეთ, არა?! მე არ ვიცი, რა ხდება ქვეყანაზე? — ანუკას უეტრად ტირილი წასკდა.

— დედა! — დაუძახა ლევანმა.

— მაგას სულელი ვგონივარ! — სიტყვა ანუკამ.

— კარგი, დედა, შენი ჰორიმე, მაგვიანდება!

— კი, შვილო, კი მეც წამოვალ. ცოტაზე გაგაცილებ! — ანუკამ თავშალი მოიხურა და ლევანს გვერდში ამოუდგა. მოხუცებმა ერთმანეთს გადახედეს და მაშინვე წამოდგნენ.

ეს ის დღეებია, როცა ომის საშინელი ხანძარი ბრიალებს მთელ მსოფლიოში. პიტლერელები ბომბავენ ლონდონს, დათარეშობენ დაპყრობილ პარიზსა და ნაცრად ქცეულ ვარშავაში, მათი ტანკები ჯერ კიდევ წინ მოიწევენ რუსეთის ველზე, მსოფლიო ხანძრის კვამლი სეტყვის ღრუბელივით მძიმედ დასწოლია მთელ დედამიწას და ეს ბერიაკები კი გულს უკეთებენ დედას — ისე კარგადაა საქმე, ეს ჩვენი ბიჭები შეიძლება გზიდან დააბრუნონ, აღარ გვჭირდებათო! მათ განა არ იციან, როგორ არის საქმე, მაგრამ დედა ეცოდნებათ და ის კი ავიწყდებათ, რომ დიღია დედის გული და ის დაიტევს შვილის სიყვარულსაც და საშობლოს სიყვარულსაც; ამიტომ ჰგზავნის ის შვილს ბრძოლის ველზე, სადაც მან, სხვებთან ერთად, თავი უნდა დასდოს კაცობრიობის გადასარჩენად.

ახლა მეორე სურათი მინდა გვახსენო მკითხველს — აი უკანასკნელი სიტყვები მამისა ლევანისადმი.

„ორლობე სწრაფად გაიარეს, მიმინოს ხევს რომ მიუახლოვდნენ, სადაც კალოთუნელ ბიჭებს საბარგო მანქანა

ელოდა, ზაქარიამ შვილი შეაჩერა და ჩემად უთხრა:

— შესმენილი კაცი ხარ, ლევან! ერთ რავეს შეგვეკითხები და მიხასუხე:

— მკითხე, მამავ. — მიუგო ლევანმა.

— აღამიანი ხვადაგისავან რითი განსხვავდება?

„ვერ გამოვიცა, რას მიარაკებს“. — გაიფიქრა ლევანმა და წყნარად ჩაიცივნა.

— ნუ გეცინება, ბიჭო! მართლა გეკითხები. — თქვა ზაქარიამ.

— ეგ მეოთხე კლასში გვასწავლეს, მამავ, არ ვახსოვს ილია ჭავჭავაძის გუთნისდღეა? „შენ პირუტყვი ხარ და მე პეტყველი, ეგ ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება!“

— კარგი ნათქვამია, მე და ჩემმა ღმერთმა! ილია ბრძენი კაცი იყო, მის სიტყვას დაჭერება მართებს...

ზაქარიამ გაჩუმდა. ეტყობა, ჭავჭავაძის ხსენებამ სათქმელი პირზე შეატეხა.

— თქვი, მამავ! — უთხრა ლევანმა.

— ამ საგანზე მე ჩემი აზრი მაქვს,

შვილო. თუ ცოდვად არ ჩაითვლი... — გაუხედავად თქვა ზაქარიამ და ლევანს მკლავზე ხელი მოჰკიდა: — ხვადაგმა სირცხვილ-ნამუსი არ იცის, ბიჭო! აღამიანი კი... აღამიანი მხოლოდ სირცხვილ-ნამუსია! თუ ეს დაკარგე, მაშინ ყველაფერი დაკარგული გაქვს! შენ ძნელ საქმეზე მიდიხარ, ლევან. ვახსოვდეს ჩემი სიტყვა...“

ასე მიემგზავრება ლევანი ფრონტზე.

იღარ მოვყვები დაწვრილებით როგორ მიდის ლევანი მძიმე საბრძოლო დავალების შესასრულებლად და როგორ დარჩება ის მარტო ისეთ ადგილას, სადაც აგერაგერ ჩვენი ჯარები უნდა შევიდნენ. მალე ამ ველზე შემოვლენ მებრძოლები და აქაურობა კი დანადგურულია... მოვლენ და ვინ იცის, რამდენი კაცი ტყუილ-უბრალოდ შეეწირება გზის გასაყართან ჩატოვებულ ნაღმებს.

„ახლა კი ვინ უცქერის ლევან ნადიბაიძეს! იგი სრულიად მარტოა ამ ყინ-

ვიან ღამეში... დაკარგული, მიუხსნადარი სამი გუთნის გაშლა მინდორზე.“

კაცი ვერ გაიგებს, როგორ მოიქცეო იგი ამ ცოდვის კალოზე. ვინ ეტყვის საზღვრავს, რომ გული შეუქრთა და ხელი ბოლომდე არ გამოიღო, არ გააქეთა, რაც გასაკეთებელი იყო. ღამეს ენა არა აქვს და თვალი. სხვა მოწმე კი ლევანს არავინ ჰყავს. არავინ.

მაშ რაღას უცდის, დაჰკეცოს ხელსაწყო, შეძერეს ვაგონში და იერიშის დამთავრებას მოუცადოს...

ვერც ამ ფიქრმა დაამშვიდა ნადიბაიძე. მართალია, სხვა ვერ დაინახავს, ვერავინ გაიგებს, მაგრამ შენი სინდისი რას გეტყვის! იმას საღლა გაექცევი.

— მახსოვს, მამავ! — ხმამალა სთქვა ლევანმა, თითქოს ისევ იმ ორლობეში იდგა და მამას ესაუბრებოდა...

მობრუნდა, დატკეპნილ თოვლზე იდაყვები მოუსვა. გაყინულ თითებს ძლივს ამოძრავებდა. გზის გასაყარს მალე მიადგინა. სანამ კარვად ინათებდა, ხუთიოდ ნაღმს კიდევ ამოაცალა შხამიანი ნესტარი.

დაიწყო თოვა. შხუოდნენ, წიოდნენ, თოვლში შიშინებდნენ ნამსხვრევეები. ლევანი მაინც თავაუღებლივ მუშაობდა.

ყუმბარის პირველი ნატეხი მუზარადზე მოხვდა. ეტყობა, ნატეხს ძალა დაკარგული ჰქონდა, მხოლოდ მუზარადი შეუწყლიტა და თავზე კოპი ამოუყვანა. ლევანმა ნატეხზე ხელი მოისვა და ადგილი მოინაცვლა.

მეორე ნამსხვრევი თეძოში მოხვდა. „მგონი, ახლაც გადავრჩი!“ — გაიფიქრა მან. დიდი ტყვიელი არ უგრძენია და გულზე არც ის ნაღველი შემოხთებია, სასაცვდილო ჭრილობამ რომ იცის.

მუშაობა განაგრძო. მალე გულისრევა დაეწყო და თავი უღონოდ ჩაჰკიდა. ხელს მაინც უფათურებდა ნაღმის უღვაშებს. არ ახსოვდა, ამოძრო თუ არა ამფეთქებელი ფისტონი. მერე თავი ისევ ასწია... დაინახა, ციდან შავი თოვლი მოდიოდა“.

ბოლო ფრაზას — შავი თოვლი რომ მოდის ციდან, თითქოს ჭოჭხეხეში გადაყავხარ, ან რით არის მასზე ნაკლები და შემზარავი ყოველივე ეს.

მაგრამ მთავარია, რომ ამ ჭოჭხეხეთურ განსაცდელში ჩვენ დავინახეთ სილამაზე ადამიანის სულისა, როცა ის მარტო იყო.

რა ძალა და სილამაზე აქვს ლევანის ამ ვაჟეციობას, ამას მე ვიტყვი მეთექვსმეტე საუკუნის გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსის მიშელ დე მონტენის სიტყვებით:

„უნდა წახვიდე ბრძოლის ველზე, რათა შენი ვალი მოიხადო და მოთმინებით ელოდო იმ ჭილდოს, რომელიც მუდამ მოსდევს ყოველ კეთილ საქმეს, რაც არ უნდა დაფარული იყოს ის ადამიანთა თვალისაგან... ეს ჭილდო — კმაყოფილების გრძობაა, რომელსაც ჩვენ სუფთა სინდისი გვანიჭებს, იმის შეგნება, რომ კარგად მოვიქცეთ. უნდა იყო მამაცი თავისი თავის წინაშე, თავისი თავისათვის და იმ უპირატესობისათვის, რომელსაც გვანიჭებს სულის სიმტკიცე, ასე მდგარად რომ დახვდება ხოლმე ბედის ყველა დარტყმას...“

და შემდეგ:

„ჩვენი სული მტკიცე და სათნო უნდა იყოს არა იმ მიზნით, რომ საჭაროდ საჩვენებლად გამოვიტანოთ ის; არა, ის ასეთი უნდა იყოს შენთვის, თვით შენში, სადაც ვერაინ ვერ ჩაიხედავს, გარდა შენივე სინდისისა. ჰოდა, აი ეს მტკიცე სული გვასწავლის არ გვეშინოდეს სიკვდილისა, ტანჯვისა... და როცა შემთხვევა დგება, იგი აღგვაზნებს არ დაეკარგოთ სიამავე ბრძოლის ველზე და ტრიალებულ განსაცდელთა შორის, ვიყვნეთ მამაცნი არა რაღაც ანგარების, არამედ თვით სათნოების სახელით“.

სიკვდილის წინ ლევანი როდი ფიქრობს მარტო თანამებრძოლებზე, რომელთაც ძმობის ფიცი მისცა; ის ფიქრობს დედაზეც — ზომ გახსოვთ როგორ ეძნელებოდა მასთან გამოთხოვება;

ახლა კი მოთხრობის ბოლო სურათს დააკვირდით:

„თოვდა. მოშურებული სანიტარულმა სწრაფად ფარავდა ნაომარს არქმარესამ ხვეპრიელ თოვლს ახლა ისეთი სიჩუმე და მყუდროება მოჰქონდა, თითქოს ქვეყანაზე არაფერი მომხდარიყოს, ეს თებრხალათიანი სანიტარებიც თითქოს თოვლისკაცები იყვნენ... ფიფქების ორომტრიალში ხან აქ გამოჩნდებოდნენ; ხან იქ... დაჭრილ-დაზოცილებს ეძებდნენ.“

თოვლში ჩამბობილმა ლევანმა ძალღონე მოიკრიბა და კენესა დაიწყო, იქნებ, ჩემი ხმა გაიგონონო. მალე საამისო ძალაც გამოელა. მაშინ გულის ჭიბიდან ბატარა შავი მედალიონი ამოიღო და თოვლში გადაისროლა. ასეთ მედალიონში ჯარისკაცის გვარი და მისამართი სწერია. მედალიონი ცეცხლში არ იწვის, ადვილად არ ტყდება.

მომავლადეი ლევანი ნაშუადღევს სანიტარმა ქალმა იპოვნა. იგი ჯერ კიდევ გრძობაზე იყო. ქალმა კრილობა შეუხვია, მერე გულის ჭიბეზე ხელი მოუსვა.

დაჭრილი მოცოცხლდა, ჩამქრალი თვალეები ქალს მიაპყრო და... მიხვდა, ქალი მედალიონს ეძებდა.

— დამეკარგა! — წაიხურჩულა ლევანმა.

ქალმა წყალი შეასვა და ფრთხილად ჰკითხა:

— რა გვარი ხარ, ძმოს? სადაური... ლევანმა თავი გააქნია.

— არ მინდა დედაჩემმა ჩემი სიკვდილი გაიგოს! — თქვა მან.

თქვა თუ გაიფიქრა?

სანიტარ ქალს არც მისი სიტყვები გაუგონია და არც ის დაუნახავს, დაჭრილმა თავი გააქნია თუ არა.

ლევანმა კი ისევ გააგრძელა:

— სანამ იცოცხლებს, ეს იმედი მინც ჰქონდეს, შეილი ოდესმე დამიბრუნდებო...
სანიტარ ქალს არც ეს გაუგონია.

ფიქრის გაგონება არ შეიძლება.“

რა ვიცო, სჭირდება-ლა კომენტარი ამ სურათს! აქ ყველა სტრიქონი, ყველა სიტყვა გმინავს, როგორც დედის გული, ისმის, როგორც სამშობლოს დარდი და მოთქმა საყვარელ შვილებზე.

ასე უნდა წერა ომზე, ვაჟაკის სულზე, კაცის სინდის-ნაშუსზე და იმაზე, რაც ყველაზე წმინდა და მაღალია ადამიანში.

ახლა ორიოდ სიტყვა „ცაბუნიაზე“. ამ მოთხრობაში არც ერთი თოფი არ ვარდება, არც ბრძოლია ველია ასახული, არც სანგრები და შაინც ეს არის გულისშემძვრელი მოთხრობა განვლილ ომზე.

მთავარი გმირი აქ არის პატარა, თერთმეტი წლის გოგონა. დგას იგი ყოველდღე სამტრედიის სადგურზე და სანიტარული მატარებლის ჩამოსვლისას ყველა დაჭრილ ჯარისკაცს ეკითხება:

— ქერჩიდან მოდიხარ, ბიძია?

ჰო, ქერჩიდან მოდიან ყველანი, მაგრამ ამ გოგონას მამა არავის უნახავს, არავის შეხვედრია; ბოლოს ერთი სერჟანტი — არჩილ მესხი ვეღარ გაუძლებს ამ ბავშვის საცოდაობას; მას ცაბუნიას მამა თვალთაც არ უნახავს, მაგრამ უყვება გოგონას, რომ მისი მამა კარგად არის, იბრძვის... და წერილიც იმიტომ არ მოდის, რომ შეიძლება საგანგებო დავალებით გაგზავნეს სადღაც, ან საველე ფოსტა დაბოძებს გერმანელებმა.

რა აიძულებს სერჟანტს სიმართლე დაუმალოს გოგონას, უთხრას, რომ მამამისი — ვალიყო აბულაძე მას თვალთაც არ უნახავს. არა, ეს არ შეიძლება; გოგონას ნუგეში უნდა, ნუგეში უნდა დედამისს, მთელ ოჯახს.

ხალხური და კეთილშობილურია ეს ჩანაფიქრი... ვინ მოსთვლის რამდენი განწირული მოუბრუნებია ნუგეშის სიტყვას და რამდენი მოუკლავს ირგვლივ მყოფთა გულგრილობას — აქ ის

გრძნობაა, რომელიც ადამიანებს სერთიანებს, აძლებინებს ქვეყნად, გაწყაცდელში ძალას აძლევს აქ ის საყვარულია, რომელიც ჭრილობას ისეთი სიფაქიზით მოუვლის, ისე მოჰკიდებს საღბუნებელ ხელს, რომ არ გაამიზევოს.

მართლაც მძიმე სადარდელი აქვს ამ პატარა გოგონას, ამიტომაც ეცოდება ის ქერჩიდან ჩამოსულ სერჟანტს. მან კარგად იცის, რომ ადამიანის დამწუხრებულ სულს ნუგეში უნდა, როგორც მალამო ჭრილობას.

„მწვანე ღილებზე“ აქ ბევრს აღარაფერს ვიტყვი, ვინაიდან აღრე არაერთი შემთხვევა მქონდა შევხებოდი ამ კრცელ მოთხრობას; მხოლოდ აღვნიშნავ, რომ აქაც მთელი სიმბაფრით გამოჩნდა ქართული ნაციონალური ხასიათი, სახე ქართველი ჯარისკაცისა, რომელიც მუდამ გამტანია, რაც არ უნდა ჭირსა და განსაცდელში იყოს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ამავე კრებულში შეტანილია მისი „ბელორუსული მოთხრობები“. ამ ციკლს აერთობა საერთო სათაურად „უკვდავება“ წააწერა. ეს მოთხრობები ომის წინა წლებში გამოქვეყნდა, სწორედ იმ ხანებში, როცა ბერლინისა და ნიურნბერგის მოედნებზე უკვე ენთო ჯოჯოხეთური კოცონები, რომლებშიაც ფაშისტებმა ჯერ წიგნები გადაყარეს. და უკვე აშკარა იყო, რომ ისინი მალე ამ ცეცხლს ქალაქებსა და ქვეყნებს წაუკიდებდნენ.

მთელ მსოფლიოში უკვე იგრძნობოდა მოახლოებული საფრთხე და ამით იყო გამოწვეული, რომ იმ ხანებში მწერლობაში კვლავ ახალი ძალით გაიღვიძა ინტერესმა ომის თემისადმი. ასე იყო დასავლეთში, ასე იყო ჩვენშიც. ოდონდ ესაა, მეორე მსოფლიო ომის კვირბაძალში სხვადასხვაგვარი იყო გახსენება პირველი მსოფლიო ომისა.

დასავლეთის ბევრი მწერალი, მათ

შორის ცალკეული გამოჩენილი მწერლებიც კი უიმედობას ეძლეოდნენ; ხოლო საბჭოთა მწერლობა აიარალებდა ხალხს მოახლოებულ განსაცდელთან შესაბამისობადად.

ამ თვალსაზრისით „ბელორუსული მოთხრობები“ ბევრი რამით წინათგონობას ჰკავდა; როცა 1938 წელს კ. ლორთქიფანიძე წერდა როგორ მოკვდა ბაბუა რუხლო, მან ცხადია არ იცოდა, რომ 1942 წელს, ყირიმში, სოფელ კურჩანკაში ისტორია თვითონ გაიმეორებდა ამ ამბავს; ამრიგად, მან თავისი თვალით იხილა ცოცხალი განმეორება იმისა, რაც ოდესღაც თვითონვე გამოხატა.

„ბელორუსულმა მოთხრობებმა“ ყურადღება თავიდანვე იმით მიიქციეს, რომ მწერალმა შესძლო კარგად გადმოეცა ამ ქვეყნის ყოფისა და ბუნების სურათები, შესძლო მისთვის ნაციონალური კოლორიტი შეენარჩუნებინა.

ქართული პეიზაჟი, რა თქმა უნდა, ბელორუსულს არა ჰკავს, მაგრამ ადამიანები ყველგან ძმები არიან, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი. ტკივილი ყველას გულს ერთნაირად ააყვანებს და სიხარულიც ერთნაირად შეახამს ფრთას. მათ ერთნაირად უყვართ თავიანთი სამშობლო და მზად არიან გასწირონ სიცოცხლე მის დასაცავად. ამიტომ არის, რომ ისინი ძალზე ადვილად უგებენ ერთი-მეორეს. აი, ამან გაუადვილა კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ასე შეაანიშნავად წარმოესახა ჩვენთვის ბელორუსი ხალხის ცხოვრება.

მოთხრობების ამ ციკლში ჩვენს თვალწინ გადაიშალა ნისლიანი, ტყიანი და ტბებით სავსე პოლესიე; დასაწყისშივე მწერალი გვიხატავს პირველი მსოფლიო ომის ბოლო წლების ვითარებას. ქვეყანა აოხრებული იყო, ფრონტზე დამარცხება დამარცხებას მოსდევდა, როგორც ზურგში, ისე პოზიციებზე იზრდებოდა უკმაყოფილებისა და პროტესტის სულისკვეთება. ზავი და მიწა ენატრებოდა გლეხობას. დატაკი გლეხობის ეს ნატვრა და ოცნება მშვენიერ

რადაა აქ გამოხატული. პირველსავე გვერდზე ავტორი გვიჩვენებს ბელორუსიის ძველი სოფლის პეიზაჟს შემადგენ გვაცნობს თავის მოთხრობის უმძიმეს ნახევრად ბნელ ფუნდუქში ზის მოხუცი ბაბუა რუხლო და ჰყვება ზღაპარს. მაგრამ ეს ზღაპარი როდია. ეს არის ხალხის ნატვრა და ოცნება მიწაზე, შეზავებული ხალხისავე სისხლით და ცრემლით.

ზღაპარში ბაბუა ლაპარაკობს ნაბოლარა ძმაზე — ურჩ და ახირებულ ცალთვალაზე, რომელიც ღმერთის წინაშე თკვადნიერდება და თხოულობს — რა საც ჩემი უკანასკნელი თვალი აიწონის, იმდენი მიწა მომეციო. გაეცილება უფალს, ჩაიღიმებენ მოციქულებიც, იცინიან ფუნდუქშიც, მაგრამ ბევრი მათგანი უკვე ხვდება, რომ ეს ახირებული გლეხი ღმერთის მოტყუებასა ცდილობს.

მართლაც, მოიტანეს სასწორი, მის ერთ ჯამზე ცალთვალას უკანასკნელი თვალი დააგდეს, მეორეზე აყრიდნენ და აყრიდნენ მიწას ნიჩბებით, გოდრებით, ურმებით, ვერაფერი მოუხერხეს, მთელი გორა მოზიდეს, სასწორის ისარი მაინც თვალისაყენ იყო გადახრილი.

და თავის ზღაპარს ნაღვლიანად ამთავრებს მოხუცი: „იმ პატარა თვალში იმდენი დარდი იყო, იმდენი ნატვრა და უძილო ღამე; მთელი პოლესიეს მიწაც რომ მოეტანათ, იმას ვერ გადააწონდნენო“.

ეს თქმულება თავისთავად ბევრ რამეს ამბობს იმდროინდელი ბელორუსიის დასახასიათებლად, საერთოდ რევოლუციამდელი გლეხის სულისკვეთების დასახასიათებლად.

მოხუცი რუხლოს შვილი მიხასი ჩნდება მეორე მოთხრობაში — „ცხენი“.

ორიოდე შტრიხით გვიხატავს მწერალი მსოფლიო ომის საშინელებებს.

მაგრამ აქ ეს როდია მთავარი.

მთავარი აქაც ისევ ნატვრაა და ოცნება მიხასისა ცხენზე, მიწაზე.

სხედან ჭარისკაცები ლაზარეთში და

ნატრობენ მიწას. გადარეულ ქარ-წვიმას თითქოს მათი უპატრონოდ დატოვებული ყანების სურნელი მოაქვს, ისინი ლაპარაკობენ კვლავ თავის შორეულ სოფლებზე, ლაპარაკობენ გლეხური დარღით და შწუხარებით, როგორც ილაპარაკებდა გუთნისდედა მოუხვნილი მინდვრების შესახებ. და, ბოლოს მიხასი ველარ გაუძლებს ამ დარღსა და ნაღველს, გაიქცევა ლაზარეთიდან, მოიტაცებს ერთ ბებრეკ ცხენს და შობლიურ პოლესიეში დაბრუნდება.

ასე რომ ყველას საფიქრალი ზღაპარშიც და ცხადშიც აქ მიწაა, უიმისოდ არ გამოიქცეოდა მიხასი ლაზარეთიდან; ის რომ არა, თოფს ხელში არ აიღებდა მოხუცი რუხლო.

მწერალი, როგორც დადინჯებული მკვლევარი, კვალდაკვალ მისდევს გლეხის სულიერ ვითარებას, მის იდეურ ზრდას; ძუნწად, ორიოდ კალმის მოსმით ხატავს იმ სიტუაციას, რომელმაც ჩვენი ქვეყნის შშრომელი გლეხობა როგორც ერთი კაცი ფეხზე დააყენა და ინტერვენტების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის ველზე გაიყვანა.

მესამე მოთხრობა „ისევ ცხენი“ აღსანიშნავია იმით, რომ მასში სრული სისავსით გამოხატულია ბელორუს პარტიზანთა ბრძოლა და ფსიქოლოგიური გარდატეხა, რომელსაც შშრომელი გლეხობა განიცდის, — მომენტი, როცა ეს გლეხობა ვადაჭრით დგება რევოლუციის მხარეზე და თოფს იღებს ხელში, და ეს ნაჩვენებია ადამიანის სულის დიდ ცოდნით.

მწერალი ხატავს როგორ ებმებიან რუხლო და მიხასი დიდ ბრძოლაში შობლიურ მიწის განსათავისუფლებლად.

ერთ დამეში გარდაიქმნებიან ისინი, სულიერად ხელახლა იზადებიან. მაგრამ ეს როდია ნაუცბათევი გარდატეხა. ესაა

შემზადებული მრავალი წლების მიერ, სამინელი ომის მიერ, ინტერვენტების ველური თარეშის მიერ და ისიც აქვს ავტორს ეს პროცესი დახატული.

„— მე ეს ქვეყანა უფრო ჰყვინა მეგონა, — გაიძახის ბაბუა რუხლო, — ცხენი წამართვეს, გუთანს მომწყვითეს... ეს კი დაავიწყდათ, რომ არ შეიძლება გლეხის დატოვება ცარიელ ხელის ამარა. ცარიელი ხელი სხვა რამეს ეძებს, შვილო!“ და მართლაც, ბაბუა რუხლო, მისი შვილი მიხასი, როგორც ბელორუსი გლეხების სხვა ასეულენი და ათასეულები, თოფს იღებენ ხელში, და იწყებენ ბრძოლას მიწისათვის, სიცოცხლისათვის.

ციკლის ბოლო მოთხრობას „უკვდავება“ ეწოდება; სწორედ აქ არის გამოხატული ის შინაგანი სიძლიერე და კეთილშობილება ადამიანის სულისა, რომელსაც ვერავითარი სიკვდილი ვერ გასტეხს. ეს არის მტრისადმი სიძულვილის და საშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა; მძაფრადაა გამოთქმული ეს გრძნობა იქ, სადაც მოხუცი სიკვდილის შიშზე მაღლა დგება და სიცოცხლესა სწირავს საქვეყნო საქმისათვის. ესაა ის უკვდავება, რომელმაც დიდების სხივით შემოსა სამოქალაქო ომის ათასობით სახელოვანი ადამიანის ხსოვნა. ეს თავგანწირულება, ეს რისკი ნაღდ და უეჭველ სიკვდილზე უდიდესი გამძაფრებითაა გამოხატული მოთხრობაში. ბელორუსი გლეხის თავის გაწირვაში უდიდესი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა და სიმართლეა.

ასე აისახა ომის თემა კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებაში: მწერალი აქ მხარდამხარ გაჰყვა თავის ებოქას, და ეს მოთხრობებიც, თავიანთი მძაფრი რეალიზმით, მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით მუდამ დააშვენიებენ საბჭოთა ლიტერატურის ისტორიას.

საგო კლიპოვი

ნათელი ტანები

(აკაკი ბელიაშვილის დაბადების 60 წლისთავის გამო)

აკაკი ბელიაშვილის შემოქმედება მრავალმხრივი იყო, — წერდა რომანს, მოთხრობას, პუბლიცისტურ და კრიტიკულ სტატიებს, მუშაობდა დრამატურგიაში.

ბელიაშვილს აღელვებდა მრავალი მოვლენანი საქართველოს აწმყოსი და წარსულის და თითქმის სტენოგრაფიული სისწრაფით გადაჰქონდა ქალაღზე თავისი ფიქრები. დრო და მოვლენანი საოცარი სისწრაფით მიიწევდნენ წინ და მწერალი, რომელსაც უნდოდა ყველაფერზე პასუხი გაეცა, მთელი ენერგიით ესწრაფვოდა არ ჩამორჩენოდა მათ.

აკაკი დაუღალავად მუშაობდა, უფრო სწორად რომ ვთქვა, ბევრს წერდა. მუშაობისათვის, რაშიაც ვგულისხმობ ნაწარმოების გულდასმით რამდენიმეჯერ გადასინჯვას და გადაწერას, აკაკის, ასე ვთქვათ, არც ეცალა. ეს ამბავი თითქოს უნდა დამჩნეოდა ხარისხს, მაგრამ მის შემოქმედებას მრავალი სხვა ისეთი ღირსება გააჩნდა, რომ თითქმის ყოველთვის ანაზღაურებდა აჩქარების გამო გაპარულ ნაკლს.

ბელიაშვილს კომპოზიციის შეუცდომელი აღლო ჰქონდა. მისი თხრობა სრულიად ძალდაუტანებელია, მისი დილოგი საოცრად ცხოვრებისეული, გმირის ხასიათის გამომკვეთელი და გმირის ხასიათიდან გამომდინარე.

აკაკი ბელიაშვილის მოთხრობების და რომანების უმრავლესობა თანამედროვე საქართველოს ასახვენ. „ვეფხია ხალიბაური“, „უღელტეხილი“, „შვიდაცა“,

რომელიც, სამწუხაროდ, დაუმთავრებელი დარჩა, და მოთხრობების დიდი უმეტესობა, ახალი დროის, ჩვენი სინამდვილის სურათს წარმოადგენენ.

ბელიაშვილის მწერლურმა სახელმა პირველად მაშინ პოვა ფართო აღიარება, როცა გამოქვეყნდა „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“. ეს რომანი და შემდეგ მისი გაგრძელება „ოქროს ჩარდახი“ საქართველოს ისტორიულ ბედზე და კერძოდ შემომქმედის ბედზე დაფიქრება იყო.

როგორც ისტორიული რომანების ავტორი, ბელიაშვილი მხარს უმშვენებს ისეთ შესანიშნავ ქართველ მწერლებს, როგორიც იყვნენ ჩვენში ისტორიულ-ფილოსოფიური რომანის ფუძემდებელი ვასილი ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, ნიკო ლორთქიფანიძე და მიხეილ ჯავახიშვილი.

აკაკი ბელიაშვილს ძალიან მახვილი თვალი და მძაფრი, თავისებურად ათვისების უნარი ჰქონდა. სრულიად უბრალო შემთხვევა, სრულიად უბრალო მოვლენა, ისეთი, რომ მას მოვლენასაც ვერ ვუწოდებთ, აი, ვთქვათ, ისევე ჩვეულებრივი, როგორც რიყის ქვა მდინარის ნაპირზე ან მინდვრის ბაღახი, რომელსაც მრავალი ჩვენგანი ყურადღებას არ მიაქცევს, ბელიაშვილის ფანტაზიას აწვდიდა ხოლმე საკვებს, რაღაც სხვაგვარად დატრიალდებოდა მის ოცნებაში.

სადღაც მოლითში, თუ მარელისში აკაკი მატარებელს ელოდებოდა. ვისაც პატარა სადგურზე ღამე გაუტარებია,

დამეთანხმება, რომ ულაშახესი ბუნებით შემკული გარემოც იძულებითი უსაქმობის გამო გადაიქცევა ხოლმე საოცრად დამღვრულ და სევდის მომგვრელ ადგილად. აქ, მატარებლის მოლოდინში, ისე ნელა მიდის დრო, თითქოს კიდევაც ვაჩერდა. ყველაფერი რაღაც მოლანდებულია, აჩრდილისებრი, მოჩვენებითი. დაღლილი ხარ და შინაც ვერ დამჭდარხარ, თითქოს თავის თავს გინდა გაეჭყე. დადინხარ მოთენთილი, თითქოს სულიერად დაცლილი და გამოფიტული. პატარა, დახუთულ, ზრატომლაც მუდამ ჩამობნელებულ მოსაცდელ დარბაზში — ასეთი წარწერა აქვს გარედან და ეს სიტყვა აქ თითქმის ირონიად შეიგრძნობა — რამდენიმე ადამიანი მოკრუნხულა და თვლემს. ისინი მატარებელს ელოდებიან.

და, აი, ამათ შორის აკაკიმ დაინახა ვიღაც ხანშიშესული გლეხი და მისი შვილი, 14 — 16 წლის ვაჟი. ბიჭი კრეტინი იყო. კრეტინიზმი მკაფიოდ იყო გამოხატული მის სახეზე. აკაკიმ ისიც შენიშნა, რომ მამა ნაღვლიანად გადახედავდა ხოლმე ვაჟს, მოწმენდდა დარბაზიან ტუჩს, გაუსწორებდა გვერდზე გადაგდებულ თავს. ეს იყო და ეს. მეტი არაფერი.

ამ უბრალო ამბავიდან კი ბელიაშვილმა შექმნა მკაცრი და უწყალო, მაგრამ ამასთანავე ადამიანის შემბრალებელი ნაწარმოებები „ბურუსი“. გამოეტოვებ შესანიშნავ დეტალებს, რომლებიც თვით შემკულია მოთხრობა და მის შინაარსსაც აქ მხოლოდ საერთო ხაზებში გვიხსენებ: ღამე. პატარა სადგური. მატარებლის ლოდინით მოქანცული და მითვლემილი მგზავრები. ხნიერი, ღარიბულად ჩაცმული გლეხი და მისი კრეტინი ვაჟი. როგორც იქნა, მოვიდა მატარებელი. მამამ შეიყვანა კრეტინი ბიჭი ვაგონში, ბილეთი ხელში შეაჩეჩა და მარტო ვააყოლა მატარებელს. თითონ კი შინსაკენ გაბრუნდა.

საოცარი სიმკაცრეა, არა? მაგრამ რატომ არის, რომ წაიკითხავთ მოთხრობას და ის შტერი ბიჭი კი არა, თითქოს

უღმობელი მამა უფრო შეგეცოდებათ, გინდათ როგორმე ანუგეშოთ და მისი მწუხარება გაიზიაროთ? *მარტო ვააყოლა*

სიუჟეტურად მოთხრობა უქედღერესად შეყვმული და შეკრულია. მოცულობით სულ სამი თუ ოთხი გვერდია, მაგრამ ისე დატვირთულია კოლორიტით, განცდით და ზუსტი დეტალებით, რომ იშვიათად თუ ვინმეს შეძლება ამგვარი მხატვრული ძალის გამოჩენა.

შესაძლოა, ინტერესს მოკლებული არ იქნეს მოკლე გადმოგვით „ბურუსის“ დაბეჭდვის ამბავი: ის ხნიერი გლეხი და კრეტინი ბიჭი აკაკი ბელიაშვილმა ნახა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში და მოთხრობაც მაშინ დაწერა. ბელიაშვილმა მოთხრობა გადასცა ერთ-ერთ ჟურნალის რედაქციას. მაგრამ არ დაუბეჭდეს. მიზეზად უთხრეს: კიდევაც რომ მომხდარიყო მსგავსი რამ, ამის გამოტანა საჭირო არ არისო.

სრულიად შემთხვევით, იმ წუთში, როცა აკაკის რედაქციიდან უკან მოპქონდა მასალა, ქუჩაში შევხვდი. მისთვის დამახასიათებელი გულკეთილობით და ჩვეული იუმორით მიამბო, რომ მოთხრობა დაუწუნეს. არ მწყენია უარი, — მართალი არიანო, მითხრა...

მოთხრობა პატარა იყო და ვთხოვე წაეკითხა ჩემთვის. იქვე წავიკითხეთ, ქუჩაში. გამაოცა ნაწარმოების ძალამ, მისმა თავისებურებამ, წერის მანერამ და ვერჩიე ცდილიყო სადმე დაებეჭდა.

— როგორც ჩანს, ეგ შეუძლებელია. სხვაგანაც უარით გამომისტუმრებენ, — ხელი ჩააქნია აკაკიმ. — არც ღირს ამ ციკქნა მოთხრობისათვის თავი შევიწუხო...

ისე მენიშნა, რომ თითონ მნიშვნელობას არ აძლევდა ნაწარმოებს.

ეს რომ ვიგრძენი, გამოვართვი, იმავე დღეს გადავეცი სასოფლო ვაზეთის რედაქტორს აკაკი ჭყონიას, თავის დროზე საკმაოდ ცნობილ ჟურნალისტს და მხატვრული მწერლობის დიდ მოყვარულს.

მოთხრობა (მგონი სხვა სათაურით)

მეორე დღეს დაბეჭდილი ვნახეთ გაზეთში.

ერთი პატარა, მაგრამ სამახსოვრო დეტალი: ორი თუ სამი წლის შემდეგ აკაკი ბელიაშვილი ისევ მოხვდა მოლითში თუ მარელისში და იქ სრულიად შემთხვევით უამბებს, რომ ერთმა იქაურმა გლეხმა თავისი კრეტინი შვილი მატარებელში ჩასვა და მართო გაუშვა. ამის მთქმელს, როგორც აღმოჩნდა, არც ჰქონია წაკითხული „ბურუსი“.


მაგრამ აკაკი ბელიაშვილიც, როცა მან სადგურზე მამას და შვილს თვალი მოკრა, არ ყოფილა იმის დამსწრე და მხანველი, თუ რით დამთავრდა მათი ამბავი სინამდვილეში! მოთხრობის ბოლო — ეს იყო მისი მხატვრული ვარაუდი, ავტორისეული მიმონაგონი.

ამგვარ ვარაუდს შეგვიძლია ვუწო-

დოთ არაჩვეულებრივი ინტუიციის, საკვირველი მიხვედრილობა და განჭვრეტა, რაც მხოლოდ ჰემოქმედების თვისებას შეადგენს.

როგორც ვთქვე, მოთხრობა ძლიერად არის დაწერილი. აკაკი ბელიაშვილი კი მის გადაადგებას აპირებდა. და ეს იმიტომ, რომ ის შემოქმედებაში გულუხვი იყო.

ბუნებამ საერთოდ გულუხვად დააჭილდოვა აკაკი ბელიაშვილი: კეთილშობილებით, ღია გულით, მახვილი თვალთ, ადამიანის სიყვარულით და ხანგრძლივი, დიდი სიცოცხლით, რომელიც მისმა ნაწერებმა მოუპოვეს. ბრმა, საბედისწერო შემთხვევა რომ არა, მომავალში კიდევ ბევრჯერ გაგვახარებდა აკაკი თავისი შემოქმედებით.



გარამ ასათიანი

მეტი სინათლე

ჩვენს ცხოვრებაში მოხდა უაღრესად სერიოზული ფაქტი. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა, საბჭოთა მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ისტორიული შეხვედრებისას, პირდაპირ და საცემოდ მკაცრად გამოთქვეს თავიანთი დამოკიდებულება საბჭოთა ხელოვნების ზოგიერთ საკირობოროტო საკითხზე, და აი, უკვე რამდენიმე თვეა მთელი ჩვენი პრესა, კრიტიკული წერილები, პოლემიკური გამოსვლები, დისკუსიები წარმართულია ერთი მთავარი მიმართულებით. ეს არის თანმიმდევრული ბრძოლა ფორმალიზმის წინააღმდეგ დღევანდელი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა სფეროში.

პარტია სასტიკ ბრძოლას უცხადებს ფორმალისტურ გადახვევებს, მოდერნიზმით გატაცებას, თვითმიზნურ „მემარცხენეობას“. იგი წინააღმდეგია ჩვენს ლიტერატურაში საბჭოთა ხალხისათვის გაუგებარი და უცხო ტენდენციების მშვიდობიანი „თანაარსებობისა“. იგი გადაჭრით მოითხოვს ჩვენი მწერლობისაგან იდეურ პრინციპულობას და რეალისტური მეთოდის სიწმინდეს.

ეს ფაქტი ღრმა დაფიქრებას მოითხოვს ყოველი თანამედროვე ლიტერატორისაგან. საჭიროა მისი ყოველმხრივი გააზრება ჩვენს ყოველდღიურ ლიტერატურულ ყოფაში.

შეუწყნარებელი იქნებოდა ე. წ. აბსტრაქციონისტული ხელოვნებისა და ჩვენს მწერლობაში უკანასკნელ დროს აღმოცენებული ცალკეული ფორმალისტური ტენდენციებს კრიტიკა გაგვე-

გო, როგორც საერთოდ მხატვრული ძიების, სიახლისკენ ლტოლვის, შემოქმედებითი ექსპერიმენტის აკრძალვა. კიდევ უფრო დიდი შეცდომა იქნებოდა ამ კრიტიკაში დაგვენახა ყოველივე დახვედრის, უიდეო ნატურალიზმისა, ან პირმოთნე იდეალიზაციის გამართლება.

შემოქმედებითი ექსპერიმენტი საერთოდ აუცილებელი პირობაა როგორც მეცნიერების, ისე მწერლობის ნორმალური განვითარებისთვისაც. წარმოვიდგინოთ ერთი წუთით თანამედროვე საბჭოთა პოეზია იმ ნოვატორული დეაწლის გარეშე, რომელიც თავის დროზე გასწიეს მაიაკოვსკიმ, ბლოკმა, გალაგტინომ ტაბიქმ, პავლო ტიჩინამ და ელიშე ჩარენცმა.

ქვეშაირიტად თანამედროვე ხელოვნების არსებობა წარმოუდგენელია გაბედული მხატვრული ძიების, შემოქმედებითი ცდისა და აღმოჩენების გარეშე.

მაგრამ ცნობილია, რომ თვით მეცნიერებაშიც კი არსებობს ესეთი სფეროები, სადაც ექსპერიმენტი დასაშვებია მხოლოდ მკაცრად გარკვეულ ფარგლებში. მაგალითად, მედიცინა, რომლის მიღწევათა უდიდესი წილი ლაბორატორიულ ცდებზე და დაკვირვებებზე არის დამყარებული, თითქმის სავსებით ამბობს უარს ექსპერიმენტულ მეთოდზე იმ მომენტიდან, როდესაც საქმე ადამიანის ცოცხალ ორგანიზმზე მიდგება. და ითუ ეს წესი წინასწარ ნატურლისმხედა ყოველი რეგითი ექიმისათვის, რამდენად უფრო მეტი სიფრთხილე მარ-

თებს მას, ვინც თავისი პროფესიით უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის სულთან, ამ ურთულეს, უფაქიზეს და უძვირფასეს ფენომენთან.

ახლის ძიებისა და დამკვიდრების პათოსი არსებობს არა მხოლოდ მხატვრული ფორმის, არამედ თვით შინაარსის სფეროშიც, და სწორედ ამ უკანასკნელის შინაგანი მასშტაბები — სიღრმე და სიფართოვე განსაზღვრავს მწერლის შემოქმედებით გამარჯვებათა ნამდვილ მნიშვნელობას. მე პირადად მიმაჩნია რომ, მაგალითად, თანამედროვე რუსულ პოეზიაში უფრო მეტი მნიშვნელობის ლიტერატურული ფასეულობა შექმნეს იმ პოეტებმა, რომლებიც ცნობილი არიან არა მხოლოდ ახალშემონაღები რითმებით და ზოგიერთი სხვა თავისთავად მართლაც საინტერესო ფორმალური მიღწევებით, არამედ ისინი, ვინც ნამდვილად რაღაც ახალი სთქვეს თანამედროვე ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე, ახალი, ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი კუთხით გახსნეს და დაგვანახეს მისი შინაგანი სამყარო.

აღსანიშნავია, რომ ფორმა კეშმარიტად დიდ, ეპოქალურ, გენიალობის დალით აღბეჭდილ მხატვრულ კმნილებებში არსებითად კარგავს თავისთავადობას. მაგალითად, თუ ალექსანდრე პუშკინი ვაქსთან, რომელიც ნამდვილად ბრწყინვალე ნიჭის პოეტი იყო, მაინც იგარძნობა ფორმალური სამკაულების ერთგვარი შემზღუდავი ძალა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკაში ფორმა, როგორც პოეტური ნაწარმოების დამოუკიდებელი კომპონენტი, თითქმის აღარ არსებობს. რადგან აქ, როგორც რუსთაველის პოემაში, იგი აბსოლუტურად შესატყვისია, ადეკვატურია შინაარსის მიმართ. ფორმა და შინაარსი აქ გენიალური სისადავით არის შერწყმული და მათ შორის რაიმე ზღვარის აღმოჩენა შეუძლებელია. ცხადია, ეს არ ნიშნავს საერთოდ ფორმის, მხატვრული ოსტატობის უარყოფას. ბარათაშვილის შემოქ-

მედება კლასიკური ნიმუშია იმ უშუალოდ ჰოეტური ხელოვნებისა, რომლის შედეგად თვით ფორმაც კი შინაარსის განუყოფელ ნაწილად აღიქმება.

ფორმალურ ძიებებს მხოლოდ მაშინ გააჩნიათ თავისი ობიექტური მხატვრული გამართლება, როდესაც მათ უშუალო, წარმმართავ სტიმულს თვით შინაარსის, მასალის, იდეის შინაგანი მოთხოვნილება წარმოადგენს.

სწორედ ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია დღეს კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, აუცილებელია მხატვრული ფორმის საკითხებისადმი, შინაარსისა და გამოხატვის ურთიერთმიმართების, ურთიერთშესაბამისობის პრობლემებისადმი ყურადღების გამახვილება. ქართული პოეზიის დღევანდელი მდგომარეობა ნამდვილად იწვევს ასეთი განხილვის მოთხოვნილებას.

სტილი, მეტაფორულ სახეთა სისტემა, ინტონაციური თავისებურებანი და თვით ლექსის ტექნიკაც ობიექტური გამოხატულებაა არა მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული იდეური შინაარსისა. ეს არის ამავე დროს თვით ავტორის შემოქმედებითი ბუნების, მისი განსაკუთრებული პოეტური ინდივიდუალობის გამოვლინებაც.

შეიძლება ითქვას, რომ თუ მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიას გააჩნია რაიმე ეკვიპოლტანელი მონაპოვარი, ამ თვალსაზრისით ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვაღიაროთ სწორედ პოეტური ინდივიდუალობათა საოცარი სიმდიდრე. გალაკტიონ ტაბიძე იყო ის პოეტი, რომელმაც თავისი მართლაც ტიტანური ნიჭით მოახდინა ახალი ქართული პოეტის რეფორმაცია და მისი დღევანდელი სახე და საერთო დონე განსაზღვრა. მაგრამ რამდენად ღარიბი და ერთფეროვანი იქნებოდა ჩვენი ლირიკა, რომ ყოველ პოეტს გალაკტიონის შემდეგ შეგირდული ერთგულებით გაემეორებია მისი გზა, მისი უაღრესად ორიგინალური მხატვრული მანერისათვის დამახასიათებელი ხერხები და საშუალებანი.

ვალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ვალერიან ვაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ზიქოვანი, ირაკლი აბაშიძე — აი, მხოლოდ ნაწილი იმ სახელებისა, რომელთაც თავისი სრულიად განსაკუთრებული, განუმეორებელი ადვილი დიმიკვიდრეს ჩვენი საუკუნის ქართულ პოეზიაში.

იყო დრო, როდესაც ჩვენ საკმაოდ არ ვუწევდით ანგარიშს სწორედ ამ მრავალფეროვნებას, ამ ინდივიდუალურ სპეციფიკას. როდესაც ყოველ პოეტს უღვებოდნენ ერთი აპრიორული საზომით.

უკანასკნელ წლებში ჩვენ მოწმენი ვართ ნამდვილად საყურადღებო პროცესსა. ქართული პოეზიის ზოგიერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა უკანასკნელ დროს შექმნილ თავის პოეტურ ნაწარმოებებში უფრო სრულად და უფრო მკაფიოდ გამოავლინა თავისი დამოუკიდებელი შემოქმედებითი მრწამსი, თავისი ნიჭის თვითმყოფადობა.

მხოლოდ უნდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ყველა შემთხვევაში ეს იყო არა უკან დაბრუნება, არა უკანდახევვა, არამედ საკუთარი პოეტური გზის ბუნებრივი, ორგანული გაგრძელება.

საბჭოთა კრიტიკაში რამდენიმე ხნის წინათ მიმდინარეობდა დავა ლიტერატურული ტრადიციებისა და ნოვატორობის პრობლემებზე (მხედველობაში მაქვს „ლიტერატურნაია გაზეტას“ ფურცლებზე გამაქვეყნებული წერილები). დისკუსიის მსვლელობაში წამოიჭრა ორი საწინააღმდეგო აზრი. ერთნი გამართლებულად მიიჩნევდნენ მხოლოდ ტრადიციული, კლასიკური ფორმების არსებობას, ხოლო მეორენი მხარს უჭერდნენ მხოლოდ ახალს, დამოუკიდებელს, ნოვატორულს. ჩემი ფიქრით, ამგვარი გათიშვა და დაპირისპირება ამ ორი საწყისისა ხელოვნურია. თუ, მაგალითად, დაკვირვებით გადავხედავთ უკანასკნელი წლების ქართულ პოეზიას,

ადვილად დავრწმუნდებით, რომ აქ ნაწმენილში ერთმანეთს თეესობრივად უპირისპირდებოდა არა ტრადიციული და შედარებით ახალი ფორმები, არამედ ნამდვილი ნიჭით აღბუქდილი და მხატვრულად სუსტი, მდარე პოეტური ნაწარმოებები.

ამ წერილში მე მიზნად არ ვისახავ დღევანდელი ქართული პოეზიის მიმოხილვას, მინდა მხოლოდ შევჩერდე რამდენიმე ნიშანდობლივ მაგალითზე, რომლებიც საინტერესოდ მიმაჩნია სწორედ „ტრადიციულისა“ და ნოვატორულის ურთიერთშეფარდების თვალსაზრისით.

მაგალითად, ჩემი ფიქრით, ირ. აბაშიძემ თავის ძირითად გამარჯვებებს, რომლებსაც დღეს ყველა ერთსულოვნად აღნიშნავს, მიადღწია სწორედ ქართული კლასიკური პოეზიიდან მომდინარე ტრადიციებისადმი ღრმა და ამავე დროს ნამდვილად შემოქმედებითი დამოკიდებულებით. ირაკლი აბაშიძის ლექსის ფორმა, მისი პოეტური აზროვნება უკანასკნელ ციკლში „რუსთაველის ნაკვალევზე“ ნამდვილად კლასიკურია, არა მხოლოდ იმის გამო, რომ აქ თვით მასალა, თემა ამგვარი მიმართულებით წარმართავდა პოეტის შთაგონებას და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მის პოეტურ ენას აქ არქაიზმის მსუბუქი ელფერი დაჰკრავს. ამ ციკლის ავტორი შეგნებულად გამოდის ჩვენი კლასიკური ლირიკის მეტაფორულ სახეთა სისტემიდან, მას ორგანულად აქვს შეთვისებული ამ ტრადიციული პოეტური სამყაროს სული და ხორცი.

ირაკლი აბაშიძის პოეტიკა კლასიკური თვისებისაა იმის გამოც, რომ პოეტი აქ შეგნებულად ირჩევს ჰარმონიულ, დახვეწილ ფორმებს, მისი პოეტური ხედვა და მანერა გამჭვირვალეა, ნატიფია, სადაა. რითმები ჩვეულებრივ ზუსტი და მდიდარი, რიტმი და ეფთონია, როგორც წესი, ჰარმონიული და კეთილზმავანი. თუმცა თავისთავად იგულისხმება, რომ აქ პოეტის მიერ შემოქმედებითად გათ-

ვალისწინებულა არა მხოლოდ ქართული კლასიკური პოეტიკის გამოცდილება, არამედ ის მიღწევებიც, რომლებიც ჩვენმა პოეზიამ მე-20 საუკუნეში მოიპოვა.

აქ შეიძლება არა ერთი შინაგანად პოპულიზებული და ამავე დროს წრფელი, ელვარე შთაგონებით გაბრწყინებული ლექსის დასახლება პოეტის ორივე უკანასკნელი ციკლიდან: „იანვარი განვის ნაპირას“, „ხმა ზეთისხილის ბალში“, „მერცხლები“ „ფესვები“, „ძე ამირანის“, „თუმცა ზულ ქართული მქონდა ბუნება“, „ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე“ და სხვ.

ირაკლი აბაშიძის უკანასკნელი ლექსები ოსტატობის თავისებურ გაცვეთილს წარმოადგენენ ჩვენს დღევანდელ პოეზიაში. პოეტური შთაგონების სილამე და განცდის შეუზღუდავი უშუალობა აქ მხატვრულად განხორციელებულია უაღრესად დახვეწილ, ზუსტ ფორმებში. აქ გამუდმებით იგრძნობა ოსტატის უშეღავათო მომთხოვნელობა, შეურიგებელი დამოკიდებულება დაუდევრობის, ამორფულობის ელემენტებისადმი. მხატვრული შთამბეჭდაობა აქ მიღწეულია დიდი და უკომპრომისო შეუპოვებულობითი წვის, ათეული წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების სრული მობილიზაციის გზით. და ეს არა თუ არ ანელებს, პირიქით, უფრო მკაფიოდ ავლენს მისი ლექსის წრფელ „ხმოვანებას“ და „სინედლეს“. ირაკლი აბაშიძემ არსებითად შეძლო თვითონვე დაემტკიცებინა საკუთარი იკვის უსაფუძვლობა:

მავრამ ვაი თუ სტრიქონს აწინდელს
დააკლდეს ვლერა და ხმოვანება,
ლექსი კვლავ ვეღარ გამოემაწვილდეს,
ზერას არ ქონდეს წებოვანება.
სიტყვას დაეტყოს აზრის მერტობა,
ფერი არ დაჰყვას მდიდარ შანისს,
ენამ დაკარგოს მიაძრობა,
დაღი დაეკრას სიღარბანისლის.
ვაჰ, თუ ლექსს თერთი გამოეროოს,
მოხლოვებულ ზამთრის დასტურად,
სტრიქონს სინედლე გამოელოოს,
ვერ მოიღვენთოს ახალგაზრდულად...

ირაკლი აბაშიძემ თავის ახალ ციკლებში „მიახლოვება ნახტექარ საუკუნესთან“ და „რუსთაველის ნახტექარ საუკუნესთან“ მდვილად დიდი ნახტომი გააკეთა წინ. მე აქ მინდა აღვნიშნო მხოლოდ ერთი გარემოება. ირაკლი აბაშიძე ჩვენთვის ძვირფასია არა მხოლოდ როგორც ლიტერატურული ავტორიტეტი, არამედ როგორც ის შემოქმედი, რომელსაც ნამდვილი, ცოცხალი წვლილი შეაქვს დღევანდელი ქართული პოეზიის განვითარებაში. ჩემი ფიქრით უნდა იგრძნობოდეს განსხვავება საიუბილეო მოხსენებასა და ჩვეულებრივ კრიტიკულ წერილს შორის, რომელიც ამა თუ იმ პოეტის ყოველდღიური წვლილს აფასებს. და სწორედ იმის გამო, რომ ეს არის ცოცხალი წვლილი, ჩვენ გვმართებს ნამდვილი, ფიზიკური კრიტიკული დამოკიდებულება მისადმი.

მე, მაგალითად, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ირაკლი აბაშიძის ცალკეულ ამ ბოლოდროინდელ ლექსებში შეიმჩნევა ერთგვარი გონებისმიერი მაღალფარდოვანების ელემენტები, ე. ი. სწორედ ის თავისება, რომელიც არაორგანულია მისი პოეტური ბუნებისათვის, ისეთი პოეტისათვის, რომლის საუკეთესო ლექსების ერთერთ მთავარ ღირსებას სწორედ საოცარი ადამიანური სითბო და უშუალობა წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ ასეთი ელემენტები ჩვენ გვხვდება სწორედ იქსადაც თემა, მასალა, შინაარსის გარკვეული ნიუანსი მთელი თავისი სიღრმით არ არის განცდილი და გააზრებული.

ასეთ შემთხვევებში, თუმცა იშვიათად, მავრამ მაინც საგრძნობლად ირღვევა ის მთავარი მხატვრული თავისება, რომელიც პოეტის ამ ციკლისთვის არის.

დამახასიათებელი. ზოგიერთ გაუმართლებელ ფორმალურ ხერხს თავისებური დისპარმონია შეაქვს მთელი პოეტური ნაწარმოების პარმონიულ წყობაში.

აი, მაგალითად, შესანიშნავად მოფიქრებული და ძირითადად ასევე შესრულებული სტროფი, რომელიც ხშირად მოპყავთ, როგორც პოეტური ოსტატობის ნიმუში:

შენით, მე შენით
ათას გზაში
გზა არ შემშლია.
შენმა განგებამ,
შენმა მცნებამ,
მართლად წარმართა.
შენ ამაშორე
ბიწიერი
წარყვნა წარმართა,
შენ ჩამავონე ზეციური:
„ღმერთი შენშია“.

ჩემი ფიქრით, აქ ლექსის საერთო მხატვრული ქსოვილიდან მკვეთრად გამოიჩნევა და თითქოს ყვირის სტროფონი: „შენ ამაშორე ბიწიერი წარყვნა წარმართთა“. „ბიწიერი წარყვნა წარმართთა“ — ეს განგებ სტილიზებული ფრაზა აქ არაორგანულია.

ასევე არაზუსტ, შინაგანად არა კანონზომიერ ეპითეტად მიმჩნია მე ამავე ლექსში „ხატო ნაპრალოთა“. რამდენადაც ბუნებრივი და ამის გამო მხატვრულად შთამბეჭდავია, პოეტურია: „შენ უპოვართა საგანძურო, დიდო ზაფხულო!“, ან თუნდაც „მალალ მწვერვალთა სალოცავო“, იმდენად შემთხვევითია, არადამაჯერებელია ეს „ხატო ნაპრალოთა“.

რასაკვირველია, ეს მხოლოდ წვრილმანია, მაგრამ, როდესაც საქმე ეხება ნამდვილად მალალმხატვრულ პოეტურ ნაწარმოებს, ყოველი დეტალი გადამწყვეტ მნიშვნელობას იქნის. სწორედ ასეთი ხასიათის ნაწარმოების მიმართ ლიტერატურულ კრიტიკას მართებს არა მხოლოდ ზოგადი შეფასება, არამედ ყოველმხრივი ანალიტიკური მიდგომა. ცნობილია, რომ, მაგალითად, ბელინსკის, რომელიც ეთაყვანებოდა ლე-

რმონტოვის ნიქს, არ მოსწონდა მისი ცნობილი პოეტური სახე „презрения“ და ამ სახის პარაფრაზებლობის. დამტკიცებისათვის მას მთელი კრიტიკული პასაჟი აქვს მიძღვნილი თავის წერილში.

ამ წერილში მე არ ვაპირებ ირაკლი აბაშიძის ახალი ლექსების ყოველმხრივ დახასიათებას. მე მინდოდა მხოლოდ ყურადღება გამემახვილებინა იმ გარემოებაზე, რომ მის მიერ ბოლო დროს მიღწეული გამარჯვებები, რომლებიც ძირითადად კლასიკური პოეტიკის მონაპოვართა შემოქმედებით გამოყენებით აიხსნება, არავითარ შემთხვევაში არ გამოირჩევა სხვა გზების, სხვა ხასიათის პოეტური მანერისა და სტილის არსებობას დღევანდელ ლირიკაში. უნდა ითქვას, რომ ეს ახალი ტენდენციები ძალზე სხვადასხვა ხასიათისაა და, როგორც ჩვეულებრივ, ამ შემთხვევაშიც არსებითად ამა თუ იმ შემოქმედებით ინდივიდუალობის თავისებურებით არის გამოწვეული. მაგრამ აქ მაინც არსებობს რაღაც მთავარი, რაღაც პრინციპულად საყურადღებო, ნიშანდობლივი მიდრეკილებები.

მ. მაჭავარიანი იმ ბედნიერ გამოჩაღლითა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა მოსკელამ ქართულ პოეზიაში თავიდანვე ცხოველი ყურადღება გამოიწვია. ეს აიხსნება მისი ნიქის ნამდვილი ორიგინალობით, მისი ხმის მოულოდნელი, უჩვეულო ელერადობით. იშვიათია პოეტი, რომელიც ახალგაზრდობაშივე, თავის პირველსავე ლექსებში, ასე აშკარად თავისუფალი იყოს ყოველგვარი ეპიგონური ცდუნებისაგან. ასეთი ბუნების პოეტისათვის განსაკუთრებით მწვეველ დგას ფორმის, პოეტური გამოხატვის პრობლემა. ერთი რუსი მწერალი ამბობდა, რომ ნამდვილი პოეტი იზადება არა მაშინ, როცა რომები და სახეები თავისუფლად, ძალდაუტანებლად მოდიან, არამედ მაშინ, როდესაც აღამაინს ეჩვენება, რომ ის დამუწადა, რომ მისთვის აუცილებელია თავიდან

გამოიგონოს ახალი ბეგრები და სიტყვები, რათა თავისე სათქმელი გამოხატოს.

მართალია, მ. მაჭავარიანის პირველ, 1955 წელს გამოქვეყნებულ წიგნში იყო ისეთი ლექსები, რომლებიც შეიძლება პოეტის მარცხად ჩაითვალოს, მაგრამ ამ კრებულში ვერ იპოვით თითქმის ვერცერთ საშუალო ლექსს. მისი საუკეთესო პოეტური ნაწარმოებები ჩვენ გვხვბლავენ სწორედ იმ მძაფრი, შინაგანად მწვავე და მტკივნეული სურვილით, რომელიც ახალი, ცოცხალი, არაბანალური აზრისა თუ განცდის გამოხატვასთან არის დაკავშირებული. განა სწორედ ასეთი ხასიათის სულიერი მოძრაობა არ არის პოეტურად ამტკიცებელი მის ერთ-ერთ აღრინდელ ლექსში:

როს გაგაცილე...

როს გაგაცილე...

ოდეს სურნელი ჰქროდა მინდვრიდან —

რა ყურადღებით უსმენდა ფრინველთ

სამყურა მინდვრის —

ლორთქო ყურცქვიტა...

როს გაგაცილე...

როს გაგაცილე...

ოდეს სურნელი ჰქროდა

მინდვრიდან, —

შევიწივე —

ვიგრძენ:

დღემამყისთან შხვს განშორება რაივ

უმძილა...

ჩემი ფიქრით, თავის უკანასკნელ ლექსებში მ. მაჭავარიანი თითქოს ზედმეტად მიენდო საკუთარი პოეზიის ინერციას. იგი თითქოს დაკმაყოფილდა უკვე მიღწეულით და თავი მიახებდა ახალი ფორმების აქტიურ ძიებას, პოეტურ სიტყვასთან ნამდვილ, დაუზოგავ, თავგანწირულ ჰიდილს.

მუხრან მაჭავარიანს თავისი თანმიმდევრული პოზიცია უკავია დღევანდელ ქართულ ლირიკაში. იგი მომხრეა პოეტური გამოხატვის უკიდურესი სისადავის და ბუნებრივობისა. ამ მხრივ მას ბევრი რამ აკავშირებს ჩვენი ეროვნული კლასიკის გარკვეულ ტრადიციებთან, მაგრამ ამავე დროს იგი შეგნებულად მიმართავს ამ ტრადიციების გაბე-

დულ უარყოფას, რღვევას. იგი უარყოფს პირობითობას, ხშირად ელემენტარულ პოეტურ პირობებზე დასყდნისეგ იგი მეტაფორულ აზროვნებას, გაბედულად შეაქვს ლექსში ყოველდღიური ყოფის, ჩვეულებრივი სასაუბრო ენის ელემენტები, კლასიკური პოეზიისათვის უჩვეულო ინტონაციები. ამ თვალსაზრისით მუხრან მაჭავარიანს, მართლაც, ბევრი საინტერესო რამ აქვს გაკეთებული ჩვენს პოეზიაში. მისი „საბა“, „კომუნისმი“, „როს გაგაცილე“ და იმერული ციკლის ზოგიერთი ლექსი, ნამდვილი სიახლით გამოირჩევა. მაგრამ მ. მაჭავარიანი თავის უკანასკნელ ლექსებში, რომლებიც წარშს გამოცემულ წიგნში არის შეტანილი, ზოგჯერ უკიდურესობაში ვარდება. გამოხატვის სისადავისადმი მისწრაფება აქ ხშირად გადადის პოეტური ენის ხელოვნურ გამარტივებაში, ე. ი. უკიდურესობა აქ იწვევს საწინააღმდეგო შედეგს. სისადავის, ბუნებრივობის ნაცვლად საქმე გვაქვს ხელოვნურობასთან, ფორმისადმი ძალდატანებასთან.

მე უკვე მომიხდა ამის აღნიშვნა და აქ მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, რადგან ეს არის ნამდვილი ნიჭის, ნამდვილად მდიდარი და შინაგანად ძლიერი პოეტური ინდივიდუალობის სერიოზული შეცდომა. მწერლობის და საერთოდ ხელოვნების ისტორიაში პრიმიტივს ზოგჯერ განსაკუთრებული ბედნიერი ხვედრი ეწევა ხოლმე, მაგრამ პოეტური ენის თვითმიზნური გამარტივება ისევე სახიფათო და გაუმართლებელი მოვლენაა მწერლობაში, როგორც გამომსახველობით საშუალებათა ხელოვნური, ფორმალისტური გაბუნდოვანება. ასეთი ტენდენციის შინაგანი სიმცდარე განსაკუთრებით ხელშესახებად ვლინდება იმაშიც, რომ ფორმის უკიდურესი გაუბრალოება ხშირად ლოგიკურად იწვევს თვით შინაარსის, პოეტის მსოფლმხედველობის, სათქმელის გაღარბებას.

რასაკვირველია, დიდი შეცდომა იქნე-

ბოდა მ. მაჭავარიანისათვის გვერჩია საკუთარი შემოქმედებითი კრელოს ძირფესვიანი შეცვლა. ეს იქნებოდა სუბიექტური, უხეში ძალდატანება მისი თანდაყოლილი პოეტური ბუნების მიმართ მე ვიტყვოდი, რომ ეს იქნებოდა ამავე დროს ერთგვარი გაღარიბებაც ჩვენი დღევანდელი პოეზიისა, რადგან „საბას“ ავტორი სწორედ ერთერთი ისეთი პოეტია, რომელიც თანამედროვე ქართული ლირიკის შინაგან მრავალფეროვნებაზე ლაპარაკის საშუალებას გვაძლევს. მე აქ მხედველობაში მაქვს მხოლოდ უკიდურესობანი მისი პოეტური მანერისა, რომელთა გამართლება არ შეიძლება ინდივიდუალური სპეციფიკით, რადგან აქ ეს სპეციფიკური თვისება ნაკლად, აშკარა ხარვეზად იქცევა. შეიძლება აქ უბრალო ზომიერების გრძნობასაც ჰქონდეს მნიშვნელობა. რადგან, როდესაც მუხრან მაჭავარიანი სწერდა:

მივაბიჯებ, მიხარია, მივიმღვრი,
მივაბოლებ...

აი ტყენი,
აი მთები,
აი მწვანე კარმიდამო...
ვინ ვიყავი,
რა ვიყავი,
კომიტები მამაბოძენი:
„მუხრან, ძროხა გადააბი,

დაგენაცვლოს მაიმილი!

ეს სტრიქონები გულწრფელი თანაგრძნობის ღიმილს იწვევდა ჩვენში. ხოლო, როდესაც ამის შემდეგ მის ახალ წიგნში ვკითხულობთ:

რა საქეიფო აზინდია!
რას იტყვი?...
— აბა!..
დალველი ახლა?
ხო დალველი?..
დალველი?..
— იმე!..

ეს ჩვენს მკითხველში დღეს მხოლოდ ირონიულ გაღიზებას იწვევს. და რაც მთავარია, ასეთი ლექსი თავისთავად არაფერს არ ნიშნავს, არაფერს არ მოწმობს, ამის დასაწერად არ არის საჭირო

არც განსაკუთრებული ნიჭი და არც ოსტატობა. ამის დაწერა იოლად შეუძლია ბევრად უფრო ნაკლებწესსაძლებლობის პოეტსაც. და თუ ჩვენს მასს ვამბობთ მუხრან მაჭავარიანს, შეიძლება ერთ დღეს მთელი ჩვენი რედაქციები ამგვარი ყაიდის ლექსებით აივსოს.

საჭიროა მხოლოდ ერთი გარემოების ხაზგასმა: ის, რასაც დღეს მუხრან მაჭავარიანი აკეთებს, სერიოზული და ღრმა კრიტიკული განხილვის ღირსია. აქ საჭიროა შინაგანი წინააღმდეგობების ღირსებისა და შეცდომის, ნამდვილი მიღწევისა და მარცხის დაკვირვებული გამოჩვენა. მუხრან მაჭავარიანის უკანასკნელი სუსტი ლექსებიც კი ნამდვილად იმსახურებენ სერიოზულ პროფესიულ განხილვას.

მე მინდა, დასასრულ, რამდენიმე სიტყვა ვთქვა ოთარ ჭილაძის შარშან გამოქვეყნებულ ლექსებზე და ლირიკულ პოემებზე.

ო. ჭილაძის ლირიკისათვის დამახასიათებელია შინაგანი დრამატიზმი, სინამდვილის განცდის, ემოციური წყობის განსაკუთრებული სიმძაფრე.

საგულსხმოა, რომ ოთარ ჭილაძის ლირიკაში სიყვარულის, სამშობლოს, წარსულის, ქალაქის, პოეზიის თემები, ინტელექტი და ენება, ინტიმური მოტივები და მოქალაქეობრივი პათოსი ერთმანეთში შერწყმულია და ერთ რთულ და მრავალხმოვან პოეტურ გამაში წარმოგვიდგება.

მე აქ მინდა აღვნიშნო ერთი დამახასიათებელი ფაქტი. ოთარ ჭილაძემ შარშან გამოქვეყნა პოემა „თიხის სამი ფორფიტა“, რომელიც თავისი მოტივებით ლეგენდარული, პრეისტორიული წარსულის მასალასთან არის დაკავშირებული. მაგრამ ბევრი დამეთანხმება, რომ ეს არის ნამდვილად თანამედროვე პოეტური ნაწარმოები არა მხოლოდ თავისი ფორმით, არამედ შინაარსითაც. ეს არის თანამედროვე ადამიანის ინტიმური დღიურის ერთი ფურცელი. მისი სულიერი წყობის, ფსიქიკის, ტემპერა-

მენტის, მისი წარმოდგენების, ემოციური იდეალებისა და გონებრივი მიდრეკილების თავისებური გამოხატულება.

აქ გადმოცემულია გარემომცველი სინამდვილის მძაფრი, შეუნელებელი რიტმი, იმ პერსპექტივის განცდა, რომელიც მისი მსოფლშეგრძნებისათვის არის დამახასიათებელი (პერსპექტივა არა მხოლოდ წარსულისაკენ, არამედ მომავლისკენაც). ეს თვისება თითქოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს უშუალო სინამდვილის ყოველ კონკრეტულ საგანს და თვით პოეტის სულიერ მოძრაობასაც, განსაკუთრებული რაკურსით წარმოაჩენს მას მკითხველის თვალწინ.

ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ საბჭოთა ხალხი, თანამედროვე საბჭოთა ადამიანი ქეშმარიტი მემკვიდრეა ყველა იმ კულტურული მონაპოვრისა, რაც კაცობრიობას თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე დაუგროვებია. მაგრამ ზოგჯერ ბოლომდე არ გვესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა.

ჩემი რწმენით, თანამედროვე საბჭოთა ადამიანი ნამდვილი, სრულფასოვანი მემკვიდრეა არა მხოლოდ „კაბიტალისა“ და „კომუნისტური მანიფესტის“, არა მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციური პოეზიისა, ან განმანათლებლური ათეიზმისა, არა მხოლოდ რენესანსისა და ანტიკის სრულქმნილი ძეგლებისა, არამედ თვით ბიბლიისაც, ოღონდ არა იმ ბიბლიის, რომელიც კლერიკალურმა სქოლასტიკამ თავის დროში და მახვილად აქცია, არამედ იმ პოეტური ლეგენდების კრებულისა, რომელიც მთელი ეპოქების მანძილზე კვებავდა მოწინავე ხელოვნებას.

ჩვენ მემკვიდრენი ვართ ძველი აღმოსავლეთის ფანტასტიკური, განსაცვიფრებელი თქმულებებისა, რომლებიც დღემდე გვხიბლავენ თავიანთი მარადუჭკნობი სიბრძნითა და ადამიანურობით.

ამის გამო მე სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია, როდესაც თანამედროვე ახალ-

გაზრდა პოეტის შემოქმედებაში ასე ორგანულად არის გააზრებული და გაცდილი ასეთი თემები.

მე მჯერა ანა კალანდაძის გულწრფელობისა, როდესაც ის თავიდან გვიყვება სოლომონისა და სულამითის სიყვარულის ამბავს, და სიქემის თოვლიანი მთების პეიზაჟებს გვიხატავს... მე მჯერა ოთარ ჭილაძის, როდესაც მას თავის ინტიმურ სამყაროში ასე უბრალოდ შემოჰყავს გილგამეშის ლეგენდარული სახეები და მოტივები.

გულუბრყვილობა იქნებოდა „თიხის სამ ფირფიტაში“ დაგვენახა „წარსულის იდეალიზაცია“, „სინამდვილისაგან გაქცევა“, ან სხვა რაიმე ამგვარი ცოდვა, რასაც ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში ამბობენ ნაწარმოების წმინდა თემატური ანალიზისას. ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს არა მხოლოდ ის თავისთავად ნიშანდობლივი ამბავი, რომ ამ პოემაში გილგამეშის მოტივები ბუნებრივად გადაზრდილია თანამედროვეობის, დღევანდელი ქალაქის ცოცხალ სურათებთან. ეს გარემოება მხოლოდ ფორმალურ საბუთად გამოგვადგებოდა, მას რომ საფუძვლად არ ედოს სხვა უფრო მნიშვნელოვანი ტენდენცია.

წარსული, ლეგენდა პოემის ავტორს სჭირდება არა მხოლოდ დღევანდელი დღის, თანამედროვე სინამდვილის თავისებური დანახვისათვის, იგი ეხმარება მას მომავლის გაგებაშიც, თავისი ადამიანური დანიშნულების გაცნობიერებაშიც. მას უნდა მთელი თავისი პოემის კომპოზიციაში, სახეთა სისტემაში გაიტანოს ერთი მთავარი აზრი — სიყვარულის, ამქვეყნიური, მიწიერი ბედნიერებისადმი ლტოლვის, მარადიული ადამიანური ქმედებისა და ბრძოლის იდეა და სწორედ ამ მოტივის უკავშირდება, ამ პრიზმში იხსნება აქ თვით პოეტის მისიის მნიშვნელობაც, რომელიც პოემის დასასრულს სავსებით მკაფიოდ (შესაძლებელია ზედმეტად დეკლარაციულადაც) არის გამოხატული:

არც მოწყალება და არც საშველი არ ღირსებია ციდან არავის. და რასაც ფიქრობ, ყველას აჩვენე, ან ეისთან რა გვაქვს დასამალავი. სიჩუმე ზოგჯერ სისუსტეს უდრის და შენც ვახსენი შენი ფიქრები, რომ პატიოსნად, მშვიდად და მყუდროდ იცხოვრო, როცა აღარ იქნები.

ოთარ ჭილაძის პოეტური ფორმა ჩვეულებრივ მრავალპლანიანია. მისი სახეები ხშირად მოულოდნელია, მისი აზრის მსვლელობა არასწორხაზოვანია და შინაგანი წინააღმდეგობებით არის გამდიდრებული.

ოთარ ჭილაძის ლირიაში ყურადღებას იპყრობს ჭარბი, ურთიერთგადაწყვეთი და ხშირად საწინააღმდეგო ხასიათის მეტაფორული ასოციაციებით დატვირთული სტილი. ასეთი პოეტური ფორმა არსებითად გაპირობებულია თვით მისი შემოქმედებითი ბუნებით და ტემპერამენტით, მისი თავისებური დამოკიდებულებით სინამდვილისადმი.

მე მინდა აქ გაეიხსენო პოეტის ერთი, შედარებით, ადრინდელი ლექსი, რომელშიც, სხვათაშორის, ეს თავისებური ძანერა ჯერ კიდევ ისე მკვეთრად არ იგრძნობა:

როდესაც ასე ახლოა გრემი,
მეც მინდა ვიყო უფრო მაღალი,
რომ დაინახონ ჩემში ან ჩემით
რადაც ახალი, სულმოღალ ახალი.

და თუმცა გრემი არის ბებერი,
არის დაღლილი და დაწვრთული,
მე მაინც მამღვრევს ეს სემტემპერი,
როგორც საყვარელ ქალის სხეული.

მე მინდა აქ ყურადღება შევაჩერო არა მეორე სტროფის უაღრესად ენერგიულ, ზუსტად აქცენტირებულ რიტმზე და მკვეთრ ალიტერაციულ სტრუქტურაზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ერთ სიტყვაზე.

თუ არ ვცდები, ამ ლექსის ავტორი არის პირველი პოეტი, რომელმაც ჩვენს პოეზიაში იხმარა სიტყვა „მამღვრევს“, როგორც სულიერი შემფოთების, აღელვების სინონიმი. ეს სიტყვა, მარ-

თლაც, ძალზე ზუსტად გამოხატავს მისი ხასიათის სპეციფიკურ თვისებას, ან უფრო სწორედ, მისი სულიერ ცხოვრებისათვის განსაკუთრებით გამხსნასიათებელ მდგომარეობას.

ოთარ ჭილაძის პოეზიასთან დაკავშირებით ხშირად ლაპარაკობენ პოეტური ენის ბუნდოვანებაზე. როგორც თავისებური მხატვრული მანერა, პოეზიაში იგი ფრანგმა სიმბოლისტებმა შემოიტანეს. ცნობილია, რომ ეს უკანასკნელნი შეგნებულად გაურბოდნენ მკაფიო საღებავებსა და მკვეთრ კონტურებს. და მხოლოდ რბილი ელფერები, ნიუანსები მიაჩნდათ პოეტური გამოხატვის სრულფასოვან ფორმად.

უნდა ითქვას, რომ ასეთი „ბუნდოვანება“ თითქმის უცხოა ოთარ ჭილაძის პოეტური სტილისთვის. მისი სახეები, პირიქით, ძალზე ბასრად და მკვეთრად იბეჭდებიან მკითხველის შეგნებაში. მისი ლექსი უაღრესად ენერგიულია, მძაფრია. იგი ჩვეულებრივ უარყოფს სიმბოლისტური პოეზიისათვის დამახასიათებელ რბილ, ნახევარტონებს და უფრო ხშირად მკვეთრ კონტრასტებს მიმართავს.

მაგრამ ოთარ ჭილაძის ლირიაში მაინც არის ერთი ტენდენცია, რომელიც შესაძლებელს ხდის ვილაპარაკოთ პოეტური ენის ბუნდოვანებაზე, ერთგვარ მანერულობაზე მაინც.

„ღღვეებით სავეე ქულის“ ავტორი ჯერ კიდევ არ შესდგომია იმ მაღალი სისადავის, ლაკონიზმის, პოეტური ლაპიდარობის დაუფლებას, რომელიც ლირიაში ყველაზე დიდ, ყველაზე მაღალ და სრულყოფილ ხელოვნებას წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით მის პოეზიაშიც ადგილი აქვს გარკვეულ უკიდურესობებს. პოეტური აზრის, იდეის, ემოციის მხატვრული განსხეულებისას იგი ხშირად მიმართავს არა ერთადერთ, არა მთავარ სახეებს და სიტყვებს, რომლებიც შინაარსის არსებას უნდა გამოხატავდნენ, არამედ ზოგჯერ თითქოს სჯერდება გა-

რეგან, შემთხვევით, ცალმხრივ ასოციაციებს. ოთარ ჭილაძის ზოგიერთ ლექსში მასალა თითქოს ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დამორჩილებული. აქ ზოგჯერ გვხვდება ისეთი სახეები და წარმოდგენები, რომლებიც არაორგანულად ეღერენ, რადგან ისინი გამოწვეულნი არიან არა შინაგანი აუცილებლობით, არამედ ხანდახან თვით ლექსის ტექნიკური იმპულსებით. მანერა აქ ზოგჯერ მანერულობაში გადადის.

სხვათა შორის, ეს თვისება ძალზედ დამახასიათებელია არა მხოლოდ ოთარ ჭილაძისთვის, არამედ ქართული პოეზიის ზოგიერთი სხვა ახალგაზრდა წარმომადგენლის შემოქმედებისათვისაც.

ეს არის მთავარი მხატვრული ცთუნება, შეიძლება, დროებითი გატაცება, რომელიც არაუსაფუძვლო უკმაყოფილებას იწვევს მათ მიმართ ჩვენს თანამედროვე მკითხველში. საჭიროა ითქვას, რომ ჭარბი ფორმალური აქსესუარებით, რთული მეტაფორული ასოციაციებით გატაცება ხშირად ანელებს, ჩრდილავს ნაწარმოების მსოფლმხედველობრივ გამიზნულობას. და, ალბათ, სწორედ ამის გამო ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში ჯერ კიდევ ნათლად, გარკვევით არ ს'აქტორის მოქალაქეობრივი პოზიცია.

მე მგონია, რომ ამას გრძნობს თვით

ოთარ ჭილაძეც, როდესაც თავის უკანასკნელ ლირიკულ პოემაში ასე მძაფრად გამოთქვამს „უბრალო სიტყვის“ წყურვილს:

იღამიანზე გამძლეა თიხა,
 მაგრამ თიხაზეც გამძლეა სიტყვა.
 ის, შეიძლება, უბრალო იყოს
 და აუბრუნელ ტკივილით ითქვას.
 უბრალო იყოს ვით მწყემსის დანა,
 უფრო უბრალო, ვიდრე შარბილი.
 და სულში მთელი სიძიძიით წვანან
 დღეებზე უკვე გადატანილი.
 წვანან ჩაძირულ გემის ფიცრები...
 წვანან ჩაძირულ გემის აფრები...
 მაგრამ სიკვდილის წინ შეიძლება,
 რომ ერთი სიტყვით თქვა ყველაფერი.

მე მინდა აქ გავიხსენო ალექსანდრე ბლოკის სიტყვები, სიტყვები ნათქვამი იღამიანზე, რომელიც თავისი ცხოვრების ყველაზე დრამატულ მომენტს განიცდის:

И тогда к нему пришли мысли,
 Единственные нужные...

მე მინდა კიდევ გავიხსენო გოეთეს ცნობილი ფრაზა, რომელიც მან სიკვდილის წინ წარმოთქვა: „მეტი სინათლე!“

„სინათლე“ ნიშნავს არა მხოლოდ სიცხადეს, არამედ შუქსაც. სინათლეს თანსდევს სითბო, სიცოცხლე და სწორედ ამის გამო იგი განუყოფელი თვისებაა ნამდვილად მალალი, ნამდვილად დადი პოეტური შთავგონებისა.

პეპე ივრონი

რუსთველიანს ეპილოგი*

საუკუნეთა საიდუმლოების ამოხსნის

ახალი დაბატობა

ნაწილი მეორე

სამი ნარკვევი

I. ძველი შოთა რუსთველის ოჯახიდან. — შოთას ახლობელი. — პოეტი ქალი ზორენა.

II. იერუსალიმის ჭვარის ქართული საეპისკოპოსოს მატრიარქი და შოთა რუსთველის მოსახსენებლის თარიღი.

III. იერუსალიმის ჭვარის ქართული საეპისკოპოსოს მხატვრობა და შოთა რუსთველის ფრესკა.

ნარკვევი პირველი

ძველი შოთა რუსთველის ოჯახიდან. შოთას ახლობელი. პოეტი ქალი ზორენა.

პირველ სპეციალურ ნარკვევში, რომელსაც ვურთავთ რუსთველიანს ეპილოგს, თავდაპირველად ჩვენი განხილვის საგანი იქნება ერთი ძველი, მოღწეული ჰერეთის ბაგრატიონთა სახლიდან, შოთა რუსთველის ოჯახიდან.

ეს ძველი არის გიორგი მთავარმოწამის ხატი, რომელიც წარმოადგენს მე-12—13 საუკუნეთა ქართული ხელოვნების ნამდვილ შედეგს. შესრულებულია ეს ძველი ბეჭედი ოპიზარის სკოლის დიდი ქართველი ხელოვნის მიერ.

ამ ძველის ზურგის მხარეზე დაცულია წარწერა შოთა რუსთველის ოჯახის წევრისა, შოთას ძმის ტბელი გრიგოლის ძისა, რომელიც იყო მონაპირე სპასპეტი (მხედარო მთავარი) ჰერეთის საერისთავოსი თამარ მეფის დროს.

I

როგორ იქნა მიხედვით ძველი.

თავდაპირველად რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ იქნა მიხედვით ძველი შოთა რუსთველის ოჯახიდან.

ძველი მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ინახებოდა სამეგრელოში, ხობის მონასტერში. ხობის მონასტერი, როგორც ცნობილია, განახლებულია და მოხატული მე-13 საუკუნის დასაწყისში ძველი საქართველოს გამოჩენილი სახელმწიფო

* გარკვეულა. იხ. „მნათობი“ № 4.

მოღვაწის და განთქმული გმირის ცოტნე დადიანის მამის — შერგილ დადიანის მიერ. ხობის კედლის მხატვრობაში გამოსახული არიან შერგილ (შერგილ) დადიანი და ოჯახის წევრები. მათ ფრესკებს ახლავს შემდეგი წარწერები:

1. „ერისთავთ-ერისთავი შერგილ დადიანი“.
2. „დეოფალთ-დეოფალი ნათელი“.
3. „ძე ამათი ცოტნე“.

ცოტნე, ხობის მონასტრის მოხატვის დროს, ჯერ კიდევ უმაწილი ყოფილა; ფრესკაზე იგი წარმოდგენილია ათიოდე წლის უმაწილის სახით (მამის — შერგილ დადიანისა, და დედის — ნათელის შუა)¹.

ხობის მონასტერში ძველი ქართული ხელოვნების მრავალი ძეგლი იყო დაცული.

ხოლო ამ ძეგლთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ძვირფასი რელიქვია — თამარ მეფის გულზე საკიდი ჯვარი, რომელიც, თამარის გარდაცვალების შემდეგ — (არა ჩანს რა ვითარებაში და რა გზით) — შერგილ დადიანის ოჯახში მოხვედრილა მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედში. შერგილ დადიანს ამ რელიქვიის დასაცველად საგანგებოდ შეუქმნია ხატი, და ამ ხატის ამოკვეთილ გულში ჩასვენებული — თამარის ჯვარი, მე-13 საუკუნიდან ვიდრე მე-20 საუკუნის დასაწყისამდე.

თამარის გულზე საკიდ ჯვარს აქვს შემდეგი წარწერა:

„შელო ჰეშმარიტო, ძალო ჯუარისაო, შენითა წინ ძლომითა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“.

ხოლო ხატს, რომელშიაც ჩასვენებული იყო თამარის ჯვარი, აქვს შემდეგი წარწერა:

„ქ. ჰოჲ ხატო არსებისაო უცვალებელო, მეოხ და მფარველ ექმენით აჲა და საუკუნესა ერისთავთ-ერისთავ[სა] დადიან[სა] შერგილ[ს] და მეუღლე ჩემით დეოფალთ-დეოფალი ნათელით, ძითურთ ჩემით ცოტნეთურთ“.

ხობის მონასტერში, თამარის გულზე საკიდ ჯვართან ერთად, როგორც აღნიშნეთ, დაცული იყო (იმავე პერიოდის მანძილზე, მე-13 საუკუნიდან ვიდრე მე-20 საუკუნის დასაწყისამდე) — ძეგლი შოთა რუსთველის ოჯახიდან, რომელზედაც მოიპოვება წარწერა შოთას ძმის ტბელი გრიგოლის ძისა, თამარ მეფის თანამედროვე მოღვაწისა.

რა გზით მოხდა ეს ძეგლი შოთა რუსთველის ოჯახისა შერგილ და ცოტნე დადიანთა ოჯახში? ამ საკითხს ჩვენ ისევ დავუბრუნდებით.

მეცნიერული კვლევა ყველა იმ საკითხებზე, რომელთაც ვეხებით რუსთველიანას ეპილოგში, უკვე მთლიანად დასრულებული გვექონდა, და ჩვენ ვაწარმოებდით დაზუსტებას და შემოწმებას ძველი საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის — სავაზიროს — პერსონალური შედგენილობისა; როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ამან მოითხოვა გადაგვესინჯა ძველი საქართველოს ისტორიის ყველა პირველწყაროები, გამოუკლებლივ, რათა არ გამოგვრჩენოდ: არც ერთი ცნობა, რაც მთლიანი სურათის აღსადგენად იყო საჭირო.

1 იხ. თ. ვორდანი, ქრონიკები, II, გვ. 130. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, კრებული „ძველი საქართველო“, III, გვ. 134.

ამ საგანზე მუშაობის დროს ჩვენ, სხვა წყაროთა შორის, მოგვიხდა დაგვიმუშავეთა წიგნი:

„Опись памятников древностей в некоторых храмах и монастырях Грузии, проф. Н. Кондакова. Грузинские надписи прочтены и истолкованы Дм. Баქრაძემ“

ხოზის მონასტრის სიძველეთა შორის ნ. კონდაკოვს აღწერილი აქვს გიორგი მთავარმოწამის ერთი ხატი. ნ. კონდაკოვი ამ ძეგლის შესახებ შემდეგს ვაღმოგვცემს¹:

„Икона великомученика Георгия, в окладе чеканном,—отличной работы, не позже XII века, сходной по рисунку с орнаментальным стилем грузинских окладов евангелий Гелатского монастыря“.

გელათის მონასტერში დაცულნი ოქროქანდაკებული ყდები წყაროსთვის და ბერთის სახარებათა, როგორც ცნობილია, ეკუთვნის ბეჭა და ბეშქენ ოპიზართ, თამარის ეპოქის განთქმულ ხელოვანთ, აი ამათ აღარებს ნ. კონდაკოვი ხოზის მთავარმოწამის ხატის ორნამენტულ სტილს და ამის მიხედვით იგი ხოზის ხატი მე-12 საუკუნით ათარიღებს.

წიგნში იქვეა მოყვანილი შემოკლებულად ხატის წარწერის თარგმანი რუსულ ენაზე, შესრულებული დ. ბაქრაძის მიერ. წარწერაში მოიხსენება: „ტ ბ ე ლ ი გ რ ი გ ო ლ ის ძ ე“.

მაგრამ ეს ხომ ცნობილი მოღვაწეა მე-12—13 საუკუნეთა, ძმა შოთასი, „ტ ბ ე ლ ი გ რ ი გ ო ლ ის ძ ე“, ჰერეთის ბაგრატიონი! იგი იყო მონაპირე სპასიტი (მხედართმთავარი) ჰერეთის საერისთავოსი თამარ მეფის დროს.

დ. ბაქრაძემ ტბელი გრიგოლის ძის ვინაობა არ იცოდა, და არც შეიძლება და სცოდნოდა, რადგან ტბელის ვინაობა გამოირკვა თამარის მესამე ისტორიკოსის — ბასილი ეზოსმოდვარის თხზულების აღმოჩენის შემდეგ (1923 წელს). დ. ბაქრაძე, ხატის წარწერის შემოკლებული რუსული თარგმანის მოყვანის შემდეგ, წერდა:

„Не имеем сведений о Григориис-дзе Тбели, но палеографический характер надписи показывает, что она принадлежит или X или XI веку“.

დ. ბაქრაძე ცდება თარიღში. საბოლოოდ მართალი გამოდგა აკად. ნ. კონდაკოვი, ეს დიდი ხელოვნებათმცოდნე, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხებში და რომელმაც ხოზის ხატი, მისი ორნამენტული სტილის მიხედვით, საესებით მართებულად თამარის ეპოქას მიაკუთვნა.

ამრიგად ცხადი გახდა, რომ ხატი, შოთას ძმის ტბელი გრიგოლის ძის წარწერით, დაცული ყოფილა ხოზის მონასტერში 1880-იან წლებში, როდესაც აქ იყვნენ ნ. კონდაკოვი და დ. ბაქრაძე.

ჩვენ შევუდევით ამის შემდეგ იმის ძიებას, თუ რა ბედი ეწია ამ ძეგლს, მოაღწია თუ არა მან ჩვენ დრომდე.

როგორც ცნობილია, სამეგრელოში დაცულ სიძველეთა აღსაწერად 1913 წელს იმოგზაურა გამოჩენილმა მეცნიერმა ე. თაყაიშვილმა, რომლის შრომა „არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში“ დაიბეჭდა კრებულში „ძველი საქართველო“, ტ III (1914 წელს).

¹ იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 87—88.

ამ ნაშრომის გასინჯვიდან გამოიჩევა, რომ 1913 წელსაც ეს ხატი ხომღწე ყოფილა დაცული.

ე. თაყაიშვილი ამ ხატს მოკლე აღწერილობას უძღვნის და აღნიშნავს, რომ ეს ხატი არისო „არა უგვიანესი მე-11 საუკუნისა“ და რომ წარწერაში მოხსენებული „ტბელი გრიგოლის ძე“ უნდა იყვესო მტბევარი ეპისკოპოსი¹. (ორივე დასვენა მცდარია; როგორც ეს თავის დროზე სწორად აღნიშნა აკად. ნ. კონდაკოვმა, ეს ძეგლი არის არა მე-11 საუკუნისა, ან ამის უწინარესი, არამედ იგი თავისი ორნამენტული სტილით სრულიად გარკვევით ეკუთვნის თამარის ეპოქას; ხოლო მტბევარი ეპისკოპოსები არასოდეს არ იწოდებოდნენ „ტბელი“, არამედ ყველა წყაროებში ისინი მოიხსენებიან როგორც „მტბევარი“).

ე. თაყაიშვილს, როგორც აღნიშნული აქვს მას თავის შრომის წინასიტყვაობაში, სამეგრელოში მოგზაურობის დროს თან ახლდა სპეციალისტი ფოტოგრაფი თ. კიუნე, რომელსაც გადაუღია ფოტოპირები არქეოლოგიური ძეგლებისა.

ამ ფოტო-მასალის მოსაპოვებლად ჩვენ გავეცანით ფოტო-არქივებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმისა. ე. თაყაიშვილის სამეგრელოში მოგზაურობის ფოტო-მასალა აღმოჩნდა დაცული საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ამ ფოტო-მასალაში შენახულა ორი ნეგატივი ხობის მთავარმოწამის ხატისა: 1) ხატის წინა პირისა; 2) ხატის ზურგის მხარისა, რომელზედაც ამოქანდაკებულია ტბელი გრიგოლის ძის წარწერა.

ჩვენს წინაშე იყო ფოტოები ძველი ქართული ხელოვნების მართლაც ბრწყინვალე ძეგლისა, რომელიც სრულიად გარკვევით თამარის ეპოქას ეკუთვნის, როგორც ხელოვნების სტილით, ისე წარწერის პალეოგრაფიული ხასიათით.

ამის შემდეგ საძიებელი იყო თვით ძეგლი. ჩვენ ვიცოდით, რომ ხობის სიძველეთა ნაწილი ექსპონირებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ძველი ქართული ხელოვნების გამოფენაზე, სახელდობრ — თამარის გულზე საყიდი ჯვარი, შერგილ დადიანისეული ხატი, რომელშიაც მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ესვენა თამარის ჯვარი, ლეონ მეფის ხატი მე-10 საუკუნისა.

ჩვენ ვაჩვენეთ ფოტოები და დავეთათბირეთ ჩვენ მეცნიერ მეგობარს შალვა ამირანაშვილს, რომელიც თავიდანვე იყო კურსში ჩვენი მუშაობის შესახებ რუსთველიანას ეპილოგის პრობლემებზე. ჩვენს შეკითხვაზე შალვა ამირანაშვილმა გადმოგვცა, რომ ხობის სიძველეთა მთავარი ნაწილი თბილისში, ხელოვნების მუზეუმშია ჩამოტანილი და მუზეუმის გამოუფენელ ფონდებში ინახება; ხოლო ნაწილი დასავლეთ საქართველოშია დაცული.

შემოწმების შემდეგ ძეგლი აღმოჩნდა ხელოვნების მუზეუმის გამოუფენელ ფონდებში.

ამის შემდეგ ეს შესანიშნავი ძეგლი გადმოტანილ იქმნა ძველი ქართული ხელოვნების გამოფენაზე; ამჟამად ეს ძეგლი შოთა რუსთველის ოჯახიდან დასვენებულია თამარის ჯვარის მახლობლად, ისევე როგორც წარსულში, შვიდი საუკუნის მანძილზე, მე-13 საუკუნიდან ვიდრე მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, ეს ორი რელიქვია ჩვენი წარსულისა ერთად იყო დასვენებული ცოტნე დადიანისეულ ხობის სავანეში.

¹ იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 145—146.

II

ძმა შოთა რუსთველისა
ბაბუი ზრიგოლის ძე, პირველის ბაგრატიონი,



მონაპირე სპასპეტი (მხედართმთავარი) ჰერეთის საერისთავოს
თამარ მეფის დროს

როგორც ეს დადგენილი გვაქვს რუსთველიანაში, და როგორც ეს დასტურდება თამარის პირველი ისტორიკოსის — „ისტორია-აზმათა“ ავტორის, თამარის შესამე ისტორიკოსის — ბასილი ეზოსმოდვარის, და მონგოლთა ზანის — ქამთა-ალმწერლის თხზულებებიდან, გრიგოლს, ჰერეთის ბაგრატიონს, ჰერეთისა და რუსთავის ერისთავთ-ერისთავს, ჰყავდა შვილები შოთა და ტბელი. შოთა, როგორც ირკვევა, უფროსი შვილი იყო გრიგოლისა, რადგან მამის, გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ, შოთაზე გადასულა თანამდებობანი ჰერეთისა და რუსთავის ერისთავთ-ერისთავისა (რუსთველისა). ხოლო მეორე ძმა—ტბელი—ყოფილა მონაპირე სპასპეტი (მხედართმთავარი) ჰერეთის საერისთავოსი.

„ტბელი“ (როგორც ეს სრულად უდავოდ დასტურდება მოღწეული ტექსტებიდან) საკუთარი სახელი იყო (და არა ზედწოდება). ეს სახელი მიღებული ყოფილა ძველ საქართველოში. ამ სახელს „ტბელი“, გარდა ტბელი გრიგოლის ძისა, ჰერეთის ბაგრატიონისა, იმავე ეპოქაში ატარებს მეორე ცნობილი მოღვაწე, მწერალი მე-13 საუკუნის დასაწყისისა ტბელი აბულეჩიძე.

იმავე ტიპის სახელები, დაბოლოებით „ელი“, სხვები გვხვდება ძველ-ქართულში, როგორც, მაგალითად, „მახატელი“ (რომელიც აქვე, ქვემოთ-მოყვანილ ტექსტებშია მოხსენებული: მახატელი, გვარით კოლონკელისძე).

საისტორიო წყაროებში ჰერეთის ქვეყნის დიდებულნი გრიგოლის ძენი (შოთა და ტბელი) პირველად მოიხსენებიან 1191 წელს.

თამარის პირველ ისტორიკოსს („ისტორია-აზმათა“ ავტორს) მოთხრობილი აქვს, რომ 1191 წელს თამარის კარზე მიიღეს სხვადასხვა მხარეების დიდებულთა წარმომადგენელნი, რომელნიც „შეიწყალნეს თვისითა წესითა“. ისტორიკოსი წერს:

„ქვემოთ (ჰერეთის მხარისა): [1] წირქვალელნი ზარტაიჰის ძენი, [2] გრიგოლის ძენი, [3] ჰიბერის ძენი და [4] მახატელის ძენი.

„და თავნი კახეთისანი, თორღაის ძენი, შეწყალნეს თვიოფელნი თვისითა წესითა, რომელნიმე ახლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებითა;

„ეგრეთვე ქართლელნი, სომხითარნი, თორღელნი, მესხნი და ტაოელნი“.

აქ ჩამოთვლილია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ქვეყნები, შემდეგის თანრიგით: ჰერეთი, კახეთი, ქართლი, ქართლის სომხითი, თორი (ჯავახეთი), სამცხე (სასპასალარო), ტაო (შავშეთ-კლარჯეთ-ტაონი). ხოლო ამ ჩამოთვლის დროს საგანგებოდ გამოყოფილია და სახელდებით არიან მოხსენებულნი ჰერეთისა და კახეთის ხუთი მთავარი სახლის წარმომადგენელნი:

1. ზარტაიჰის ძენი (საგვარეულო ზედწოდებით და გვარით წირქვალელნი გლონისთავისძენი, რა გვარსაც ეკუთვნოდა ამ დროინდელი პირველი ვახიბი სახელმწიფოსი, ნწიგნობართ-უხუცესი ანტონი);
2. გრიგოლის ძენი (ჰერეთის ბაგრატიონნი);
3. ჰიბერის ძენი (საგვარეულო ზედწოდება მანაველნი);
4. მახატელის ძენი (გვარით კოლონკელისძენი);

1 იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 55.

5. თორღაის ძენი (საგვარეულო ზედწოდებით პანკელნი)¹;

მეორეგზის თამარის ეპოქაში ჰერეთის ქვეყნის დიდებული მთავარი ლის ძენი (და მათ შორის სახელდებით ტბელი გრიგოლის ძე) და მათთან ერთად აგრეთვე ჰერეთის დიდებულთა მეორე სახლის წარმომადგენელი მახატელის ძენი — მოიხსენებიან საქართველოს სახელმწიფოს „სანაპიროების“, სანაპირო სამხედრო ოლქების აღწერის დროს.

თამარის მესამე ისტორიკოსის ბასილი ეზოსმოძღვარის ცნობით საქართველოში თამარის მეფობის დროს ექვსი სანაპირო იყო, რომელნიც იცავდნენ შიდა-საქართველოს მხარეებს გარეშე მტერთა შემოსევებისაგან.

ისტორიკოსი ჩამოთვლის სანაპიროებს²:

1. „პირველ ქვემოთი სანაპირო გაგი იყო“ [მტკვრის სამხრეთი ნაპირი — ვიდრე შამქორამდე].

2. „ამოღმართ ძორაკერტი იყო და ტაშირი“ [—ლორეს მხარე].

3. „ზემოთ — ჭავჭავთი“ [თმოგვისა და თორის მხარენი].

4. „ზედათ — არტაანი, სადა მესხნი მონაპირობდეს“.

5. „შავ შეთით, სპერით კერძო, ფანასკერტი იყო“ [—ტაოს მხარე].

6. მეექვსე სანაპირო — ჰერეთის საერისთავო.

ჰერეთის საერისთავოს, ამ მეექვსე სანაპიროს, ისევე როგორც გაგის მხარეს, ეწოდებოდა „ქვემო სანაპირო“, ბარის სანაპირო. ამ ორ „ქვემო“ სანაპიროს, რომლებიც აღმოსავლეთის მხრიდან ეკვროდნენ შიდა საქართველოს მხარეებს, შუა ჰყოფდა მდინარე მტკვარი: გაგის სანაპირო მდებარეობდა მტკვრის სამხრეთით, ხოლო ჰერეთის საერისთავო მტკვრის ჩრდილოეთით.

1204 წლის ახლო, როგორც გამოჩვენებული გვექონდა, გარდაიცვალა გრიგოლ ჰერეთის ბაგრატიონი, რომელიც იყო ერისთავთ-ერისთავი სრულიად ჰერეთისა 1191 წლიდან; მას შემდეგ ჰერეთის ქვეყნის მოთავენი არიან გრიგოლის ძენი (შოთა და მისი ძმა ტბელი).

გარდა გრიგოლის ძეთა, ჰერეთის ბაგრატიონთა, რომლებზედაც გადავიდა სრულიად ჰერეთის ერისთავთ-ერისთავობა, ჰერეთის მხარეში იყო სამი სახლი, რომლებიც, ჰერეთის ბაგრატიონების შემდეგ, იყვნენ „თავნი ჰერეთისანი“, და რომელთაც ეპყრათ ჰერეთის მხარის ცალკე თემების ერისთავობა. ესენი იყვნენ, როგორც მოხსენებული გვექონდა: 2. მახატელის ძენი (გვართ კოლონკელისძენი, რომელნიც იყვნენ ზორნაბუჯის თემის ერისთავნი); 3. ზარტაიჭის ძენი (გვართ გლონისთავისძენი — ვეეინის თემის ერისთავნი) და 4. ჭიაბერის ძენი (გვართ მანაველნი — მანავის თემის ერისთავნი).

ჰერეთის ამ ოთხი სახლიდან სანაპირო სამხედრო სამსახურს ჰერეთში უპირატესად ეწეოდა ორი სახლი: ა) გრიგოლის ძენი (ჰერეთის ბაგრატიონნი, სრულიად ჰერეთის ერისთავთ-ერისთავნი) და ბ) მახატელის ძენი (ზორნაბუჯის თემის ერისთავნი); ეს იმიტომ, რომ ამ ორი სახლის სამფლობელონი საზღვართან მდებარეობდნენ (სახელდობრ ჰერეთის ბაგრატიონთა გრიგოლის ძეთა უშუალო სამფლობელო — აღმოსავლეთი ჰერეთი, და მახატელის ძეთა სამფლობელო — ზორნაბუჯის თემის საერისთავო).

1 იხ. ზემოთ, „მნათობი“, № 4, გვ. 127—129.

2 იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 129—130.

ისტორიკოსის ბასილი ეზოსმოდღარის სიტყვით, ჰერეთის სანაპიროს (სამხედრო ოლქს) ევალეობდა შიდა საქართველოს დაცვა განძის (განჯის) და ბარდავის (ქვემო ყარაბაღის) მხრიდან. ისტორიკოსი შემდეგს წერს: «არჩილ სახელის (გრიგოლის ძეთა და მახატელის ძეთა) შესახებ, რომელნიც ეწეოდნენ სამხედრო სამსახურს ჰერეთის სანაპიროზე ანუ „ქვემო“ (ბარის) სანაპიროზე:

„ქვემოთ ნაპირის (ჰერეთის) კერძ—გრიგოლის ძენი, და უფროსი ტბელი (გრიგოლის ძე), და მახატელის ძენი მონაპირობდეს, რომელთა შიშითა განძას და ბარდავს ყრმა მცირე ვერ აუტირდებოდა დედასა, და ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკვრის პირსა — აწყენდეს“¹.

ამრიგად ჰერეთის სანაპიროს სპასპეტი (მხედართმთავარი) ტბელი გრიგოლის ძე, ძმა შოთასი, იმდენად სახელგანთქმული რაინდი ყოფილა, რომ ისტორიკოსს საჭიროდ დაუნახავს საგანგებოდ აღენიშნა ეს მატიაწეში.

და საერთოდ უნდა აღენიშნოთ, რომ ჰერეთის ბაგრატიონნი, შოთას წინაპრები, რომელნიც საუკუნის მანძილზე საქართველოს სახელმწიფოს სანაპირო სამსახურს ეწეოდნენ, უნებლიეთ გვაგონებენ ვეფხის-ტყაოსნის გმირებს; ჩვენ თითქოს ვეფხის-ტყაოსნის სამყაროში გადავდივართ.

კერძოდ არაა ინტერესს მოკლებული აღენიშნოთ, რომ ვეფხის-ტყაოსანში არის მოგონებანი მონაპირეთა ცხოვრებიდან. ამ საგანზე ჩვენ საუბარი გვაქვს რუსთველიანაში და საჭიროა ეს აქაც გავიმეოროთ.

ავთანდილი, „ძე დიდებულთა დიდგვართა, ზრდილი მეფეთა შვილობით“ (იხ. სტროფი 900) — არის მფლობელი სანაპირო ქვეყნისა; ეს სანაპირო ქვეყანა არის ერთ-ერთი „სამეფო“, რომელიც შედის როსტევეანის სახელმწიფოში.

ავთანდილი შეუთვლის როსტევეანს (თინათინის გამეფების პირველ წელს):

„მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო,
თინათინის ზელმწიფობა მტერთა თქვენთა გულსა ეკვირო,
მორჩილ-ქმნილი გვახარო, ურჩი ყოვლი ავატირო,
ძღვენი გაადრე ზედა-ზედა, არ სალაში დავაჭვირო.“

(სტროფი 143)

ავთანდილი გაემართება თავის სამეფოში, სანაპირო მხარეში:

„გამოემართა ავთანდილ, მოყმე მხნე, ლაღ მავალი...“

.....

„რა მოვიდა, სიზარული შიგან გახდა სამეფოსა,
მოგებნეს დიდებულნი...“

.....

„ქალაქი ჰქონდა მავარი, სიზაროდ სანაპიროსა,
გარე კლდე იყო, ვიამბობ, ზღუდესა უქეტიკიროსა...“

(იხ. სტროფები 147, 148, 149).

ავთანდილი სავაზიროდ დაისევამს თავის თანაშემზრდილს მოყმეს შერმადინს. ავთანდილი, უცხოეთში მიმავალი, სტოვეებს შერმადინს თავის ნაცვლად, სანაპირო მხარის განმგებელად, და ავალებს მას (სტროფი 163):

„სანაპირო გამავარე, მტერმან ახლოს ვერ იბარგა!“

¹ იხ. ბასილი ეზოსმოდღარი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 130.

შოთას ძმის ტბელი გრიგოლის ძის წარწერა
გიორგი მთავარმოწამის ხატზე



გიორგი მთავარმოწამე ითვლებოდა მხედართა მფარველად.

შოთას ძმას, ტბელი გრიგოლის ძეს, რომელიც იყო მონაპირე სპასპეტი (მხედართმთავარი) ჰერეთის საერისთავოსი, — იმ მრავალ გამარჯვებათა აღსანიშნავად, რომელიც მას მოუპოვებია, როგორც მონაპირე სპასპეტი, დაუვალე-ბია თავისი დროის დიდი ხელოვანისათვის გამოეჭანდაცებია ხატი გიორგი მთავარმოწამისა საოჯახო კარის ეკლესიაში დასასვენებლად.

ეს ხატი ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლია. პირველი შთაბეჭდილება ისეთია, რომ იგი ქანდაკებულია თამარის ეპოქის დიდი ხელოვანის ბეჭა ოპიზარისა. მკითხველს შესაძლოა უნახავს ანჩის-ხატი, ან მისი სურათი; ორნამენტული სტილი შოთას ძმის ტბელი გრიგოლის ძის ბრძანებით შექმნილი გიორგი მთავარმოწამის ხატისა იგივეა, რაც ანჩის-ხატისა, რომელიც შექმნილია თამარ მეფის „ბრძანებითა და ნიეთის ბოძებითა“ განთქმული ოქროქანდაკებლის ბეჭა ოპიზარის მიერ¹.

ხოლო უფრო ახლო გაცნობისა და მხატვრული ანალიზის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ეს ორი ძეგლი, თუმცა ერთი ეპოქისაა და ერთი სკოლისაა, მაგრამ ხელოვანი სხვადასხვაა.

ტბელისეული გიორგი მთავარმოწამის ხატის ზურგის მხარეზე მოთავსებულია ოქროქანდაკებული წარწერა. მხატვრული სტილი ამ წარწერისა და ბეჭა ოპიზარის წარწერათა ანჩის-ხატზე და წყაროსთავის ოქრო-ქანდაკებულ ყდაზე — განსხვავდებიან.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, წარწერა ტბელისეული ხატისა შესრულებულია არა როგორც ჩვეულებრივი წარწერა, არამედ როგორც მხატვრული ნაწარმოები. წარწერა ჩასმულია მოჩუქურთმებულ ოთხკუთხოვან ჩარჩოში, ხოლო ასოები წარწერისა უბრწყინვალესი ხელოვნებით არის ოქროქანდაკებული, მსუბუქი ფოთლოვანი ორნამენტაციის ჩართვით ასოებში; აქ ყველაფერი მხატვრულად არის შეწონილი, როგორც ასოების გრაფიკა, ისე მათი პროპორციული განლაგება წარწერის სივრცეზე.

მე არ მეგულება მეორე ნიმუში ძველ-ქართული ოქროქანდაკებული გრაფიკისა, რომელიც ედრებოდეს ტბელისეული გიორგი მთავარმოწამის ხატის წარწერის მართლაც უბადლო ხელოვნებას².

გავეცნოთ ამის შემდეგ თვით წარწერის ტექსტს.

უნდა აღინიშნოს, შემთხვევითი არაა, რომ წარწერა ქანდაკებულია როგორც მხატვრული ნაწარმოები.

1 წარწერა ანჩის-ხატისა:

„ბრძანებითა და ნიეთის ბოძებითა ღმრთიე-გვრჯუნოსნისა დიდისა დედოფალთ-დედოფლისა თამარისითა, მე იოანე ანჩელმან რკინელმან კელ-ყავ — ამის ხატისა პატივით მოკედად, — მღარველმცა არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოიკედა კელითა ბეჭასითა, ქრისტე შეიწყალე“.

იოანე ანჩელი რკინელი, რომლის ზედამხედველობით შექმნილა ანჩის-ხატი, არის ცნობილი პოეტი კიმონგრაფი მე-12—13 საუკუნეთა, რომელსაც ეკუთვნის ვალოზანი ანჩის ხატისანი.

2 ძეგლის ფოტოები იბეჭდება ჩვენს წიგნში (თხზულებათა კრებული, ტომი 1).

თვით ტექსტი წარწერისა ხელოვნების ნამდვილი ძეგლია, მხატვრული სრულყოფით აღბეჭდილი. შესრულებულია იგი ბრწყინვალე ძველქართული წარწერა ასე იკითხვის:

სიხარულითა

„ქ. მოწამეთა შორის მთავარი გიორგი,
რომელმან მოიგე გუირგუინი უხრწნელებისაი — დამკობითა მძლავრთაითა, და შემუსრვითა კერპათაითა, —
შემუსრე ორკერძოთვე წყალობითა შენითა — ჩემცა მებრძოლი სხეულისაი, და უფროსლა სულისაი, — მცირედსა მკობასა მიმთუალეულმან!
მრავალგზის შენ მიერთა მარჯუებათა სანაცვლოდ — აწულილ-დგედაკაცისე შენისა ქრისტეს მობაძავმან —
ჩემ ტბელისა გრიგოლის ძისაგან“.

IV

ცოტახ დადიანი.
შოთა რუსთველი

და შოთას შვა ტბალი პრიზოლის ძე.

ძეგლი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში, შოთას ოჯახში, ჰერეთის ბაგრატიონთა კარის ეკლესიაში იყო დასვენებული, შემდეგ მოხვედრილა დასავლეთ საქართველოში, ხობის ეკლესიაში, რომელიც ცოტნე დადიანისა და მისი ოჯახის საკუთარ მონასტერს წარმოადგენდა, მათ მიერ განახლებულსა და მოხატულს; ამ ეკლესიაში დაუსვენებიათ ცოტნე დადიანის ოჯახს მათი სახლისა და გვარის რელიქვიები, როგორც მაგალითად, თამარის გულზედ საკიდი ჯვარი, თამარის დედის ბურღულხან დედოფლის ხატი, ან-და ძველი ეპოქის, მე-10 საუკუნის ლეონ მეფისეული ხატი.

ასევე დაუსვენებიათ აქ გიორგი მთავარმოწამის ხატი შოთას სახლიდან, ჰერეთის ბაგრატიონთა ოჯახიდან.

საკითხავია, რა გზით მოხვდა ეს ხატი ჰერეთის ბაგრატიონთა სახლიდან ცოტნე დადიანის სახლში.

საფიქრებელია ეს მოხდა ამ ოჯახების დანათესავეების გზით.

როგორც ცნობილია, ფეოდალურ გვარებში მიღებული იყო, რათა ქალი-სათვის, გათხოვების დროს, აუცილებლად გაეტანებიათ ხატი (და რამდენად დიდი იყო გვარეულობა, მით უფრო ძვირფასი იყო იგი). დადიანთა ოჯახში, ჩანს, რძალად მოუყვანიათ ქალი ჰერეთის ბაგრატიონთა ოჯახიდან, რომელსაც ეს ხატი თან მოუტანია.

ცოტნე დადიანის დაბადებისა და გარდაცვალების წლები ირკვევა წყაროების სინქრონული შეფარდებიდან. დაიბადა ცოტნე 1200 წლის ახლო; გარდაი-

1 ხობის მხატვრობაში, რომელიც მე-13 საუკუნის 10-იან წლებს ეკუთვნის, ცოტნე წარმოდგენილია როგორც უმაწილი, ათეული წლისა (ხობის მხატვრობა ერთდროულად ხობის ხატთან, რომელშიც ჩასვენებული იყო თამარის გულზედ საკიდი ჯვარი, ხოლო ხობის ეს ხატი 1212 წლის ახლო დროს ეკუთვნის. როგორც ხობის მხატვრობასა და მის წარწერებში, ისე ხობის ხატის წარწერაზე ერთგვარად არიან მოხსენებულნი შერგილ, ნათელი და ძე მათი ცოტნე).

ცვლა—1260 წელს¹. ხოლო შოთა, როგორც დადგენილი გვაქვს რუსთველიანაში, დაიბადა 1166 წლის ახლო; გარდაიცვალა, ღრმა მოხუცი, 1250 წელს. შოთა და მისი ძმა ტბელი 35—30 წლით უფროსი იყვნენ ცოტნეზე. ამის მიხედვით პერეთის ბაგრატიონთა ქალი ან იყო დაი შოთასი და ტბელისა, ხოლო დედა ცოტნესი; ან ბაგრატიონთა ქალი იყო ასული ტბელისა (ძმისწული შოთასი) და მეუღლე ცოტნესი.

ცოტნეს დედას სახელად ერქვა ნათელი. როგორც ირკვევა ჯვარის მონასტრის აღაპების მონაცემებიდან (რის შესახებ ქვემოთ გვაქვს საუბარი), ცოტნეს დედა ნათელი დასავლეთ საქართველოს, ოდიშის არისტოკრატიული გვარეულობიდან იყო. ნათელი ყოფილა დაი ოდიშის მთავარებისკომპოსის იოვანესი (რომელიც უფრო გვიან, 1250/5—1271 წლებში, იერუსალიმში მოღვაწეობდა).

მასადაამე პერეთის ბაგრატიონთა ქალი არ ყოფილა დედა ცოტნესი; იგი, ჩანს, იყო მეუღლე ცოტნესი.

რა ერქვა ცოტნეს მეუღლეს?

იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანის მატიაწეებში ცოტნე მოიხსენება სამეგრე: ერთხელ მოიხსენება მარტო ცოტნე (ცოტნეს გარდაცვალების გამო განწესებულ აღაშში); მეორეხელ ცოტნე მოიხსენება თავის დედასთან ერთად; მესამეჯერ ცოტნე მოიხსენება თავის მეუღლესთან;

ცოტნე, თავის დედასთან ერთად, მოიხსენება ჯვარის მონასტრის აღაბათიშენდორფისეულ ნუსხაში (იხ. აღაბი № 25); აქ იკითხვის:

„ლაზარობისა შაბათსა წირვა და აღაბი სუენოა ცოტნესი და ნათელისი. შეუნდვენ ღმერთმან“.

ცოტნე, თავის მეუღლესთან ერთად, მოიხსენება ჯვარის სულთა მატიაწეში, რომელიც აღმოაჩინა ნ. მარმა; მათი მოსახსენებელი მატიაწეში ასე იკითხვის:

სულსა ცოტნე და დიანისსა,

სულსა ბორენა(ასსა), ღმერთმან შეუნდვენ².

ნათელი, როგორც მოვიხსენეთ, დედაა ცოტნესი; ხოლო ბორენა, როგორც ირკვევა, ცოტნეს მეუღლეა.

ჯვარის მონასტრის მოსახსენებელთა შესახებ, რომლებშიაც დასახელებული არიან ცოტნე, ნათელი და ბორენა, დაწვრილებით საუბარი გვაქვს მეორე ნარკვევში, რომელშიაც სპეციალურად ვეხებით იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანის სამონასტრო მატიაწეებს.

აქ კი ჯერ წინასწარ აღვნიშნავთ ერთ ფაქტს, რაც შემდეგ იქნება დადგენილი. შოთა და ცოტნე ერთად ყოფილან ქტიტორები იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანისა. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მხატვრობა 1245—1250 წლებში ერთად განუახლებიათ ცოტნე და დიანის მიერ წარგზავნილ გრიგოლ დრანდელს და შოთა რუსთველის მიერ წარგზავნილ ანტონი ალავერდელს.

ესეც მაჩვენებელია შოთას და ცოტნეს ოჯახთა ახლო კავშირისა.

V

აოთხი ქალი ბორენა

მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ცოტნე და დიანის მეუღლეს რქმევია ბორენა, შეუქი ვფინება ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთს გაურკვეველ საკითხს; მეტსაც ვიტყვი: ამ საკითხის ყოველმხრივი განზილვის შედეგად ახალი ფურცელი იშლება ძველი ქართული პოეზიის ისტორიაში.

¹ ცოტნემ მიიღო ვაზირის მანდატურთ-უხუცესის თანამდებობა 1259 წლიდან. ხოლო 1260 წელს იგი გარდაეცვლია. 1260 წლიდან ცოტნეს სცელის ვაზირის მანდატურთ-უხუცესის თანამდებობაზე ბედლიან დადიანი, ჭვანჭერის ძე (იხ. ვაზირთა სიაში — ცოტნე № 63, ბედლიანი № 64).

² იხ. ნ. მარი, აღაპნი ჭვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, გვ. 18.



ბორენა გამოჩენილი პოეტი ქალი ყოფილა.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში კარგად არის ცნობილი პამპიტა ზუა-
თელი ბორენასი.

ბორენას იამბიკო ხუთეული წარწერილია ხატზე, რომელიც დაცულია სე-
ნეთში, ლენჯერში. ბოლო ტაეპში მოიხსენება თვით ავტორი ლექსისა ბო-
რენა.

ვინ არის ეს ბორენა?

წარწერა ლენჯერის ხატისა პირველად ალექსანდრე ხახანაშვილმა ამოი-
კითხა.

როგორც ცნობილია, ბორენა ერქვა საქართველოს დედოფალს მე-11 საუ-
ნეთში, მეფის ბაგრატ IV-ის (1027—1074) მეუღლეს. ამიტომაც ალექსანდრე ხახ-
ანაშვილმა საეგვიპტო გამოთქვა მოსაზრება:

„Вить может названная здесь Борена,—супруга грузинского царя Баграта IV-го“¹.

შემდეგ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, საეგვიპტო გამოთქმული აზ-
რი — სინამდვილედ გამოცხადდა, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე.

ასე, ჩვენი დიდი მეცნიერი აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, რომელმაც
ბორენას ლექსი დაბეჭდა თავის ლიტერატურის ისტორიაში, წერს, რომ იგი
„ბაგრატ IV-ის მეუღლეს ბორენას ეკუთვნის“².

კ. კეკელიძეს თვით არ უნახავს ხატი, რომელზედაც წარწერილია ბორენას
ლექსი, და რომელიც სენეთშია დაცული. ამით აიხსნება მისი შეცდომა რო-
გორც თარიღისა და ავტორის ვინაობის საკითხში, ისე თვით ლექსის ტექსტის
გადმოცემის დროს (ლექსის გადმოცემისას კ. კეკელიძე ემყარება ალექსანდრე
ხახანაშვილის გადმონაწერს, რომელიც ბევრ ისეთ შეცდომებს შეიცავს, რაც
ამხინჯებს აზრსაც და მეტრსაც).

ხატი 1910 წელს ადგილზე გასინჯა ე. თაყაიშვილმა. თავის შრომაში „არ-
ქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სენეთში 1910 წელს“, რომელიც 1937
წელს გამოქვეყნდა, ე. თაყაიშვილი წერს, რომ „ხელობა ხატისა თუმცა ცუდად
არის დაცული, პართლაც შეიძლება მივაწეროთ კლასიკურ ხანას“; მაგრამ თან
ურთავს: „ხასიათი წარწერისა ყრვლად შეუძლებელია მე-11 საუკუნეს მივაკუთ-
ვნოთ“, იგი უფრო გვიანდელი არისო (იხ. გვ. 315—316).

1931 წელს (უფრო ადრე, ვიდრე გამოქვეყნდებოდა ე. თაყაიშვილის დასა-
ხელებული შრომა) სენეთში სამეცნიერო ექსპედიციაში ვიყავით (ხანგრძლი-
ვად, სამი თვის მანძილზე) ამ სტრუქტურების ავტორი, ჩვენი ცნობილი მეცნიერები
— გიორგი ჩუბინაშვილი და სიმონ ყაუხჩიშვილი. მე ვსწავლობდი ძველ-ქართულ
ხელნაწერებსა და ეპიგრაფიკას, ძეგლებზე დაცულს საისტორიო წარწერებს;
გიორგი ჩუბინაშვილი — ხელოვნების ძეგლებს; სიმონ ყაუხჩიშვილი ამუშავებ-
და საკითხებს, რომლებიც მის „გეორგიკა“-სთან იყო დაკავშირებული.

1931 წელს ჩვენ ვიყავით ლენჯერშიც. მე გადმოვიწერე ლენჯერის ხატზე
დაცული ბორენას ლექსი.

სენეთში სამეცნიერო ექსპედიციის დროს შეკრებილი მასალებიდან ჩვენ
გამოვამოქვეყნეთ მხოლოდ ნაწილი: „სენეთის საისტორიო ძეგლები“ (1941 წ.).
აღწერილობა სენეთში დაცული ძველ-ქართული ხელნაწერებისა, აგრეთვე

¹ იხ. აღ. ხახანაშვილი, Сванетские рукописные евангелия и другие рукописи, МАК, X, დამატება, გვ. 37—38.

² იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1958 წ., გვ. 561.

ეპიგრაფიკისა, ძეგლებზე დატული ძველ-ქართული წარწერებისა, არ გამოგვიქვეყნებია, რადგან მომდევნო წლებში სხვა სამეცნიერო მუშაობაში ჩავებრუნეთ. ამ გამოუქვეყნებელ ნაშრომში (რომელიც ძირითადად 1931—1932 წლებში დაემაუშავეთ) — ლენჯერის ძეგლის თარიღად, მისი ადგილობრივი შესწავლის საფუძველზე, დადგინილი გვაქვს მე-13 საუკუნე.

ამჟამად, როდესაც ეს წერილი იწერება, ჩვენ ხელთა გვაქვს ლენჯერის ხატისა და მისი წარწერის ფოტო, რომელიც გადაღებულია ცნობილი ფოტოგრაფის დ. ერმაკოვის მიერ (დ. ერმაკოვი ე. თაყაიშვილს ახლდა ექსპედიციაში).

საკონტროლო შემოწმება თარიღის საკითხისა ამ ფოტოების მიხედვით საბოლოოდ ადასტურებს ძეგლის ადგილობრივი გასინჯვის დროს ფიქსირებულ თარიღს, რომ იგი მე-13 საუკუნისაა. ქართული პალეოგრაფია ამჟამად იმდენად წინ წავიდა, რომ წარწერის დათარიღება საუკუნის ფარგლებში უკვე მოსახერხებელია. გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ეს წარწერა მე-13 საუკუნისაა. ე. თაყაიშვილი სავსებით მართალი იყო, როდესაც აღნიშნავდა, რომ წარწერა არ ეკუთვნის არც მე-11, არც მე-12 საუკუნეს. მაგრამ მე-13 საუკუნეზე გვიანი კი ეს წარწერა არავითარ შემთხვევაში არ არის. მართლწერა ჯერ კიდევ სავსებით კლასიკურია. ამავე თარიღს, მე-13 საუკუნეს, მიუთითებს როგორც ხელოვნება ძეგლისა (იგი კლასიკური ხანის ბოლო პერიოდს ეკუთვნის), ისე წარწერის საერთო სტილი. ასოთა მოხაზულობაში არ შეინიშნება არც ერთი ელემენტი, რაც მე-13 საუკუნის შემდეგ გამოიქვეყნებოდა.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ იყო აღნიშნული, თავისთავად იხსნება ძველი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული მოსაზრება, რომ ავტორი ლენჯერის ხატზე წარწერილი ლექსისა ვითომც იყოს მე-11 საუკუნის მოღვაწე ბორენა დედოფალი.

რაკი წარწერის თარიღი გადმოდის მე-13 საუკუნეში, ამ ლექსის ავტორად უნდა ვიცნათ არა დედოფალი ბორენა მე-11 საუკუნისა, არამედ დედოფალი ბორენა მე-13 საუკუნისა, რომელიც ცოტნე დადიანის მეუღლე იყო.

აქ შეიძლება აღიძრას ასეთი საკითხიც: რაკი ავტორი წარწერისა ყოფილა ბორენა, მეუღლე ოდიშის ერისთავთ-ერისთავის ცოტნე დადიანისა, რის გამოა, რომ წარწერა სვანეთშია დატული. ამას თავისი ახსნა აქვს. საქმე ის არის, რომ სვანეთი მე-13 საუკუნეში დაუკავშირდა ოდიშის საერისთავთ-საერისთავოს, რომლის სათავეში დადიანნი იყვნენ.

ჩვენ გვაცნობთ მკითხველს ერთ წარწერას, რომელიც მრავალმხრივ არის საყურადღებო. წარწერა დატულია სვანეთში, ლატალის თემში, სოფელ ლაილში; იგი მოთავსებულია „მუხერის მთავარანგელოზის“ ხატზე. წარწერა აქვე, ადგილობრივ, სოფელ ლაილში არის გაკეთებული — მე-13 საუკუნეში.

მოგვეყვას ეს წარწერა 1931 წლის ჩვენი გადმოწერის მიხედვით:

„ქ. წმიდაო მთავარანგელოზო მუხერისო, კელთ-ვქმარო!

აღიღენ მეფენი ბაგრატიანნი, და დადიანი, და დიდებულნი, და ერთობილი საქართველო, და ერთობილი სუანნი, და კვეი ლატალისა, და აღაშენე მაშენებელი შენი სოფელი ლაილისა, და კვენი მადიდებელნი შენნი, ამენ!“.

დიდად საგულისხმო წარწერაა! მე-13 საუკუნეში, სვანეთში, და ეს არა რუმელიმე ცენტრში, არამედ შთის მივარდნილ სოფელ ლაილში, აკეთებენ წარწერას სადიდებლად ერთობილი საქართველოსი, ხოლო ერთობილი საქართველოს ფარგლებში — ერთობილ სვანთა. რა დიდი ერთვნულნი შეგანება! ამ ეროვნულ შეგანებას ემყარებოდა საქართველოს სახელმწიფოს შეურყვევლობა ამ ეპოქაში.

ლაილის ეს წარწერა, როგორც ირკვევა, იმავე დროისაა, რა დროსაც ეკუთვნის ბორენას წარწერა ლენჯერის ხატზე, იგი მე-13 საუკუნის შუა წლებს ეკუთვნის.

ლაილის მოყვანილ წარწერაში ყურადღებას მივაქცევთ ერთ ადგილს: წარწერაში საქართველოს მეფეთა ბაგრატიანთა შემდეგ დასახლებულია მეორე ადგილას დადიანი; ეს იმის გამო, რომ სვანეთი ამ დროს ოდიშის საერისთავთ-ერისთავოში შედის¹.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, მოულოდნელს არას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ძეგლი, რომელზედაც ოდიშის ერისთავთ-ერისთავის ცოტნე დადიანის მეუღლის ბორენას წარწერაა — სვანეთში, ლენჯერში იყო დაცული.

გავეცნოთ ამის შემდეგ თვით ბორენას ლექსს, რომელიც წარწერილია ლენჯერის ძეგლზე.

ლენჯერის ძეგლი წარმოადგენს მარია მღმრთის მშობლის ხატს.

ხოლო ლექსი ბორენასი (რომელიც წარწერილია ხატის ზურგის მხარეზე, ოქროქანდაკების წესით) წარმოადგენს მარიამის ჰიმნს.

ბორენას ეს ლექსი დაწერილია იამბიკონით, თორმეტ-მარცვლოვანი ლექსით; ყოველი სალექსო ტაეპი ცეზურით განიყოფება ორ მუხლედად: 5+7.

ლექსი შეიცავს ხუთ ტაეპს. ეს არის ის სალექსო ფორმა, რომელსაც ძველქართულში „იამბიკო ხუთეული“ ეწოდება. იამბიკო ხუთეული მიღებული იყო ძველქართულ პოეზიაში მოკლე ჰიმნოგრაფიული ოდებისათვის. ისევე როგორც, მაგალითად, სონეტში — 14 სტრიქონში უნდა შეიკრას პოეტური აზრი, გარკვეული პოეტური წესების დაცვით, ასევე იამბიკო ხუთეულში, ხუთი ტაეპის ლაკონურ ფორმაში უნდა გადმოცემულიყო პოეტური აზრი. ხშირად იამბიკო ხუთეული ერთი რთულად შეწყობილი პოეტური წინადადებაა.

იამბიკო ძველქართულ პოეზიაში, როგორც წესი, ურითმო ლექსი იყო.

იამბიკო ხუთეულის ფორმაში რითმა დაამკვიდრა მე-12 საუკუნეში ცნობილმა ქართველმა მწერალმა მეფე დემეტრე II-ემ (1125—1155 წ.). მას ეკუთვნის რითმიანი იამბიკო ხუთეულნი, მათ შორის განთქმული ჰიმნი „შენ ხარ ვენახი ახლად აღყვავებული“. რითმიანი სახის იამბიკო ხუთეულში ხუთივე ტაეპს თავიდან ბოლომდე გასდევს ერთი რითმა.

ბორენის ლექსი კლასიკური ნიმუშია რითმიანი ხუთეული იამბიკონისა.

ჯერ მართო ამის მიხედვით ნათელი იყო, რომ ბორენა არ შეიძლება ყოფილიყო მე-11 საუკუნის პოეტი, რამდენადაც ბორენა მისდევს დემეტრე II-ის დამკვიდრებულს იამბიკო ხუთეულს რითმიან ფორმას.

მოგვყავს ბორენას ლექსის ტექსტი²:

¹ „მეფენი ბაგრატიანნი“ (მრავლობით რიცხვში) ივლისხმებიან თანამეფენი (მეფობის განყოფამდე 1259 წელს): დავით ლაშას ძე და დავით რუსუდნის ძე. დადიანი (პოსტნებული მხოლოდობით რიცხვში) არის მათი თანამედროვე ცოტნე (რომელიც ერისთავთ-ერისთავად იყო 1225/30—1260 წლებში).

² რათა მკითხველს არ გაუძნელდეს ლექსის აღქმა, იგი მოგვყავს თანამედროვე მართლწერით. დედანი გვაქვს კლასიკური მართლწერა: „პრქუი“, „მქეილი“, „დეემქო“, „მიქსენ“.



„რომელმან ეგე ვეას მიუზღე ვალი,
 ჰრჭეი რაა გაბრიელს: „ვარ უფლისა მხევალი“,
 მაშინ ისტუმრე ქვეყანად მოუვალი;
 დაემხო ძალი, პირველვე სისხლ-დამორვალი!
 ქალწულო, მიხსენ ბორენა ჭირ-მრავალი.“

რათა მკითხველისათვის ბოლომდე გასაგები იყვეს ამ ლექსის შინაარსი, მოგვეყვას მისი თარგმანი ახალ ქართულზე, ამასთან ვიძლევიტ ამოხსნას პოეტური სახეებისა, რომლებიც აქ მეტაფორებში არის დაშიფრული:

„[შენ, დედაო, მარიაჲ], რომელმან ევას, პირველ დედას, მიუზღე ვალი; რომელმან ჰრჭეი გაბრიელ მახარებელს, რომ მე ვარო მხევალი უფლისა; რომელმან ისტუმრე მაშინ ის, ვინც არ მოსულიყო ქვეყანად,—ქრისტე!— რომლის მიერ დაემხო ძალი ბოროტისა, რომელიც პირველითგანვე სისხლით იყო დამთვრალი [მას შემდეგ, რაც ქვეყნად პირველად დაინთხა უმანყო სისხლი კაენის მიერ];

შენ, ქალწულო მარიაჲ, მიხსენ მე, ჭირ-მრავალი (მრავალ მწუხარებათა განმცდელი) ბორენა.“

მაღალი, ჭეშმარიტი პოეზიაა!

ბორენა, ჰერეთის ბაგრატიონთა ქალი, შოთას ოჯახში გაზრდილი, რომელიც ჩანს იყო ასული ტბელი ბაგრატიონისა (რომლის ხატიც მას თან წაუღია, გათხოვებისას, ცოტენ დადიანის ოჯახში), მართლაც ბრწყინვალე პოეტია. რა მრავალსახეობა აზრისა არის გაშლილი მკაცრ, ლაკონურ ფორმაში, იამბიკო ხუთეულის ხუთ სტრიქონში. ან როგორ ერთი სიტყვით, „ჭირ-მრავალი“ ბორენა, დახატულია სახე თვით პოეტისა.

თუ ჩვენ დაუქვირდებით ბორენას ლექსის ფორმას, ზოგიერთ პოეტურ სახესა და პოეტურ ხერხს, აქ ჩვენ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ შოთას პირდაპირი გავლენა.

როგორც ჩანს შემთხვევითი არაა, რომ ბორენას ლექსი იწყება პოეტური სიტყვის თავისებური მოქცევით: „რომელმან“; ასევე იწყება ვეფხისტყაოსნის პროლოგი. შოთა: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ყენა ზეცით მონაბერთა“, — ე. ი. ღმერთი. ბორენა: „რომელმან ეგე ვეას მიუზღე ვალი“, — ე. ი. ღვთისმშობელი, დედა მარიაჲ.

გავეცნოთ რითმებს.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ბორენა არტისტულად ფლობს რითმას. პირველი ორი რითმა: „(მიუზ)ღე ვალი“ (სიტყვათა გადაბმით რითმა-ში) და „(მ)-ხევალი“, სადაც რითმა სამ მარცვალს ემყარება, წინა თანხმოვანზე დაყრდნობით („ღ-ევალი“, „ხ-ევალი“), მაღალი პოეტური კულტურის მანერებელია. ჩვენ შევამოწმეთ ძველი ქართული პოეზიის მთავარი ძეგლები მე-12 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე (ბესიკამდე და გურამიშვილამდე) და გამოირკვა, რომ ეს რითმა აქ აღნიშნული სახით (სიტყვათა შემოთმომყვანილი შეფარდებით) არაეისთან, გარდა ბორენასი, არ გვხვდება.

ღანარჩენ სართომო სიტყვებს, დამყარებულს ორმარცვლედზე „ე-ალი“ ჩვენ აშკარად მივყავართ შოთასთან. შეადარეთ:



ვეფხის-ტყაოსანი, სტროფი 926:

ტარიელ ეტყვის: „რად უნდა სიტყვისა თქმა მრავალისა,
რაცა შენ ჩემთვის ვიქმნია, ღმერთი მზღველია ვალისა,
კმა ზენაარი ზენარად, არ ნაქმარია მორვალისა,
არ დავიწყება, მოყვრობა მოყვრისა წარმავალისა.

შოთა

ბორენა

(რითმა „ვალისა“):

(რითმა „ვალი“):

მრავალისა (1).

ჭირ-მრავალი (5).

ვალისა (2)

ვალი (1).

მორვალისა (13).

სისხლ-დამორვალი (4).

წარმავალისა (4).

მოუვალი (3).

აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია სიახლოვე სიტყვიერი ქსოვილასა: შოთა — „მზღველია ვალისა“; ბორენა — „მიუწღე ვალი“.

ვეფხის-ტყაოსანი, სტროფი 683:

მეფე შეჭდა, გაეგება ყმას მუნით მომავალსა:
ამას პირმზე მეფისაგან ივალეხდა ვითა ვალსა;
მოეგება. მოეგება, მზიარული გულ-მზურვალსა,
დიდებულთა ჟარისაგან ზოგნი ჰგვანდეს ვითა მორვალსა.

შოთა

ბორენა

(რითმა „ვალსა“):

(რითმა „ვალი“):

მომავალსა (1).

მოუვალი (3)

ვალსა (2).

ვალი (1).

გულ-მზურვალსა (3).

სისხლ-დამორვალი (4).

მორვალსა (4).

ვეფხის-ტყაოსანი, სტროფი 1311:

იგი მონა წამოვიდა გულანშაროს მომავალი,
წამ-ერთ მიხდა ფატმანისსა, დღე იარა არ მრავალი;
რა აეთანდის გაუსრულდა საქმე მისი სასურვალისა,
ხელ-აპყრობით ღმერთსა მძაღლობს, ცნობა-სრული, არა მორვალისა.

შოთა

ბორენა

(რითმა „ვალი“):

(რითმა „ვალი“):

მომავალი (1)

მოუვალი (3).

არ მრავალი (2)

ჭირ-მრავალი (5).

სასურვალისა (3)

სისხლ-დამორვალი (4).

არა მორვალისა (4)

დამთხვევები იმდენად შორს მიდის, რომ ეს არ შეიძლება იყოს შემთხვევითი.

ბორენა, როგორც აღვნიშნავდით, დიდი არტისტია პოეტური სიტყვისა, ყერძოდ რითმისა (რაც პირველმა მაგალითმა გვიჩვენა). და თუ ბორენა, მიუხედავად ამისა, სწორად ხედება შოთას რითმებში, ეს, რასაკვირველია, იმას კი არ ნიშნავს, რომ ბორენა უბრალოდ სესხულობს შოთას სიტყვებს, არამედ იმას, რომ შოთას პოეტური სამყარო ორგანულად შეთვისებულია ბორენას მიერ და შოთას რითმის პულსაცია ბუნებრივად იღვრება ბორენას სტრიქონებში.

კიდევ ერთი ნიშნეული შტრიხი.

ბორენას ლექსში კულმინაცია ჩვენ გვაქვს მეოთხე ტაეპში, ხოლო მომდევნო მეხუთე ტაეპში—კადანსი. და აი მეოთხე ტაეპში კულმინაცია ხაზგასმულია რიტმულად, შინაგანი რითმის ჩართვით:

„ღემზო ძალი,

პირველვე სისხლ-დამორვალი“

ამ საირითმო სიტყვების მეზობლად ხმარება ჩვენ გვაქვს აგრეთვე ვეფხის-ტყაოსანში, სტროფი 1046:

კაკო, ძალსა ნუ იქალი, ნუცა მოკცეხ ვითა მორვალისა,

აბას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწვეს ღმრთისა ძალი

(შეად. აგრეთვე ვეფხის-ტყაოსანი, სტროფი 483: „ძალისა“ (1)—„მორვალისა (4).

აქ ჩვენ გვაქვს შეხვედრა შოთასთან, მაგრამ, საოცარია, რა დიდ პოეტურ დატვირთვას აძლევს ბორენა ამ რითმის „სისხლ-დამთრვალი“: დაემხო ბოროტების ძალი, რომელიც პირველითგანვე იყო „სისხლ-დამთრვალი“ (მას შემდეგ, რაც პირველად დაინთხო უმანკო სისხლი ადამიანისა!).

რა სიღრმეა ბორენას პოეტურ ხილვაში!

ჩვენ გავიცანით შოთას ახლობელნი.

შოთას ოჯახი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, დიდად განათლებული ოჯახი ყოფილა, დიდი არტისტული ტრადიციებისა.

შოთას ძმის ტბელი გრიგოლის ძეს ჩვენ ვეცნობით მისი ბრწყინვალე წარწერიდან გიორგი მთავარმოწამის ხატზე.

ხოლო პოეტი ქალი ბორენა, ასული ტბელისა, შთაგონებულია შოთას პოეზიით.

შოთას ახლობელთა შორის ჩვენ ვხედავთ ცოტენ დადიანს. შოთა და ცოტენი, როგორც ირკვევა, ოჯახურადაც ყოფილან დანათესავებულნი.

ხოლო შოთას და ცოტენს ნათესაობა უფრო დიდი, ვიდრე ოჯახური და ხორციელი ნათესაობა. მათ აკავშირებს უკვდავი ნათესაობა სულისა, მათ აერთებს სიყვარული სამშობლოსი. როდესაც ცოტენ დადიანი, სამშობლოსათვის თავგანწირული მივიდა მონგოლებთან და მხრებშეკრული დაჯდა მეგობრების გვერდით, აქ მას, სამშობლოსათვის თავდადებულთა შორის, დახვდა მოხუცი შოთა.

ხომ არ არის ბორენას ლექსში გამოხმაურება ამ დიდი ამბებისა?

„ჭირ-მრავალი“, მრავალ მწუხარებათა განმცდელი ბორენა, რაღაც განსაკუთრებული ამბის გამო, შეკქმნის ხატს დედა მარიამისა, რომელიც საქართველოს მფარველად ითვლებოდა, და ზედ აღბეჭდავს ამ ლექსს.

ეს ლექსი, მისი სული, ასე გვეჩვენება, შთაგონებულია ცოტენს და შოთას თავდადებით, როდესაც გმირულმა თავგანწირვამ დაამარცხა ძალი ბოროტისა, როდესაც სიმართლის წინაშე „დაემხო ძალი, პირველვე სისხლ-დამთრვალი“.

თვით სიტყვა „სისხლ-დამთრვალი“ — ეს ხომ ეპითეტია, რომლითაც მოიხსენებოდნენ „ძენი მაგოგისნი“, წინაპარნი მონგოლთა, და თვით მონგოლნი.

ამ ლექსში არის დაკრულვა ბოროტთა, „სისხლით დამთრვალთა“, და ურყევი რწმენა, რომ ბოროტი არის „უმყოფო“, არა არსი, რომ დაემხო და განქარდება უკეთური ძალი ბოროტებისა.

მაგრამ აქ ჩვენ გვტოვებენ ნათელი აჩრდილები, ჩვენ ვეღარ ვარჩევთ მათ ძვირფას სახეებს, და სინამდვილეს აქ ესაზღვრება პოეზია.

ნარკვევი მეორე

იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანის მატიანენი და შოთა რუსთველის მოსახსენებელის თარიღი

ნაწილი პირველი

წყაროების წინასწარი მიმოხილვა

მეორე სპეციალურ ნარკვევში ჩვენი განხილვის საგანი იქნება იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანის სამონასტრო მატიანეები.

იერუსალიმის ჯვარის სამონასტრო მატიანეები სპეციალურს, და ამასთან მთლიან მიმოხილვას მოითხოვს შემდეგის გამო.

1. ჯერ ერთი, აუცილებელია, რათა ზუსტად იქმნეს დადგენილი და შემოწმებული, თუ როდის არის ჩაწერილი სამონასტრო მატიანებში მოსახსენებელი შოთა რუსთველისა. მკითხველს, რასაკვირველია, კარგად მოეხსენება, რა უკმათი იყო გამართული საკითხზე, თუ როდის ცხოვრობდა შოთა რუსთველი — იყვნენ ისეთები, რომელთაც შოთას ცხოვრების დრო გვიან ხანაში, მე-14 საუკუნეში გადმოჰქონდათ.

ყალბი აზრი, მას შემდეგ, რაც იგი გამოითქმის, ადვილად არ კვდება, იგი ზოგჯერ ბევრ ხანს ბოვინობს ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად სრულის მეცნიერული ზედმიწევნით დამტკიცებულია უსაფუძვლოა იმ ყალბი და უსუსური აზრისა, თითქო შოთა გვიან ხანაში, მე-14 საუკუნეში ცხოვრობდა, ამ მდლარ აზრს ზოგჯერ მაინც მოიგონებენ და გაიმეორებენ (ასე, ამ ახლო ხანაში, ორიენტალისტთა სავარაუდოდ კონგრესზე მოსკოვში, 1961 წელს, იგი გაიმეორა ერთმა ევროპელმა მეცნიერმა).

გასაგებია ამის შემდეგ, რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დადგენას ზუსტი თარიღისა, თუ როდის არის ჩაწერილი შოთას მოსახსენებელი იერუსალიმის ჯვარის სამონასტრო მატიანეში. პრეციზული ანალიზის შედეგად დადგენილი იქნება, რომ ეს ალაპი ჩაწერილია მატიანეში 1245—1250 წლებს შორის. შოთა ამ დროს ღრმა მოხუცი ყოფილა, როგორც ამას ცხად-პყფს თვით იერუსალიმის ფრესკა. შოთას უცხოვრია მე-12 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში (სახელდობრ, როგორც ეს დასტურდება წყაროთა ანალიზის შედეგად, შოთა დაბადებულა 1166 წლის ახლო, ხოლო გარდაცვლილა შოთა 1250 წლის ახლო).

ხოლო დაზუსტება თარიღისა, მისი ყოველმხრივი შემოწმება, მოითხოვს, რათა სრულად იყოს განხილული იერუსალიმის ჯვარის სამონასტრო მატიანეების ის ნაწილი, რომელიც მოიცავს მე-13 საუკუნისა და მე-14 საუკუნის პირველი ნახევრის მოსახსენებლებს.

2. მატიანეთა ამ ნაწილის მთლიანი შესწავლა აუცილებელი ხდება აგრეთვე იმის გამო, რათა დავაზუსტოთ ჯვარის მონასტრის მოხატვის ისტორია; დასადგენია, ვინ არიან და როდის ცხოვრობდნენ ის პირნი, რომლებიც წარმოდგენილი არიან შოთასთან ერთად ჯვარის მონასტრის ფრესკებზე.

ამრიგად, ჩვენ მოგვიხდება ხანგრძლივი მოგზაურობა მე-13 და მე-14 საუკუნეებში.

I

**იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანის
ჩვენ დრომდე მოღწეული სამონასტრო მატიანეები**

ჩვენ უკვე გვქონდა შესავალში საუბარი საზოგადოდ სამონასტრო მატიანეებზე და კერძოდ იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანის სამონასტრო მატიანეთა შესახებ.

როგორც აღნიშნული გვქონდა, მონასტრებში წესად იყო შემოღებული — აღენიშნათ ხსოვნა იმ პირთა, რომელთაც დამსახურება მიუძღოდათ მონასტრის წინაშე; მიღებული იყო, რათა ამ პირთათვის ყოველწლიურად, გარკვეულ რიცხვებში, გადაეხადათ წირვა-პანაშვიდი და მათ მოსახსენებლად გაემართათ „სიყვარულით მოსაგონარი“ — „ალაპი“ (როგორც აღენიშნეთ, თვით სიტყვა „ალაპი“ — *αλαπη* — სიყვარულს ნიშნავს).

მონასტრებს ჰქონდათ წიგნები, რომლებშიაც კალენდარულის თანრიგით ჩაწერილი იყო, თუ რომელი რიცხვისათვის დანიშნული იყო ამა თუ იმ პირის

მოსაგონარი დღე (ამასთან ზოგჯერ ისიც აღინიშნებოდა, თუ რა დამსახურება-სათვის იყო დაწესებული ეს მოსაგონარი). ასეთ წიგნებს „სააღაპე მატჩეები“ ნივთები ეწოდებოდა.

სააღაპე მატჩიანისათვის ჩვეულებრივ იყენებდნენ ეგრეთწოდებულ სვინაქსარის ხელნაწერებს. სვინაქსარის ხელნაწერები, როგორც ცნობილია, ქრონოლოგიურის თანრიგით არის გაწყობილი. სვინაქსარი ორ ნაწილად განიყოფება. პირველ ნაწილში ჩაწერილია მოკლე საკითხავები „მოძრავი კალენდარის“ ანუ შვის კალენდარის წრისა, — იწყება იგი 1 სექტემბრიდან და მიჰყვება ქრონოლოგიურის თანრიგით მთელი წლის მანძილზე, ვიდრე წლის ბოლომდე, 31 აგვისტომდე. მეორე ნაწილში ჩაწერილია მოკლე საკითხავები „მოძრავი კალენდარის“ ანუ მთვარის კალენდარის წრისა (ქრისტიანულ ეკლესიაში, როგორც ცნობილია, მიღებული იყო, შვის კალენდართან ერთად, მთვარის „მოძრავი კალენდარი“, რომელიც მოიცავდა ზამთრის პერიოდის ეგრეთწოდებულ „დიდ მარხვას“, და გაზაფხულის და ზაფხულის პერიოდის დიდი დღესასწაულების ციკლს, დაწყებული აღდგომიდან — ვიდრე „სულიწმიდის მოფენისა“ და ათენგენობის დღესასწაულამდე. როგორც ცნობილია, „მოძრავი კალენდარის“ დღესასწაულები სხვადასხვა წელს სხვადასხვა რიცხვებზე მოდიოდა).

აღაპების ჩასაწერად იყენებდნენ სვინაქსარის ხელნაწერებს იმიტომ, რომ აქ უკვე მოცემული იყო მთელი წლის ქრონოლოგიური ქარგა. ყოველ ცალკე აღაპს ჩასწერდნენ ხელნაწერის არშიაზე იმ დღის პირდაპირ, რა დღისათვისაც დაწესებული იყო აღაპი.

გარდა „სააღაპე მატჩიანისა“ არსებობდა აგრეთვე სხვადასხვა სახის სამონასტრო მატჩიანები. ასეთები იყო:

ა. „სულთა-მატიანე“. სულთა-მატიანეში ერთ სიაში გაერთიანებული იყო ყველა ის პირნი, რომელთა სახელებს ამოიკითხავდნენ და დალოცავდნენ ეკლესიაში გარკვეულ დღეებში. „სულთა-მატიანეში“ შეჰქონდათ სახელები როგორც იმ პირთა, რომელთათვის დაწესებული იყო აღაპები, ისე აგრეთვე გამოჩენილ სახელმწიფო, საეკლესიო და სხვა საზოგადო მოღვაწეთა (ასე, მაგალითად, „სულთა მატჩიანეებში“ ჩვენ გვხვდება მოხსენება მირიან მეფისა, რომლის დროსაც ქრისტიანობა გავრცელდა საქართველოში; ვახტანგ გორგასლისა; დავით აღმაშენებლისა; თამარისა; მთაწმიდელთა მწერალ-მოღვაწეთა და სხვათა).

ბ. სხვადასხვა სახის სპეციალური მოსახსენებლნი სხვადასხვა პირთა. ასეთია, მაგალითად, თამარ მეფის „დალოცვანი სვინაქსარსა ზედა“, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი (წლის მანძილზე, გარკვეულ დღეებში, სვინაქსარის წაკითხვის შემდეგ, წარმოსთქვამდნენ თამარ მეფის საუკუნო მოსახსენებელს, გარკვეული ტექსტის წართქმით).

სამონასტრო მატჩიანები, იმის მიხედვით, თუ როდის არის დაწერილი მათი ტექსტი, ორ ჯგუფად განიყოფება:

ა. სამონასტრო მატჩიანები — პირველდღენები; აქ მოსახსენებლნი ჩაიწერებოდნენ იმ დროსვე, როდესაც ამ მოსახსენებელთ განაწესებდნენ.

ბ. სამონასტრო მატჩიანები — პირები; ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა დროის გადმონაწერს ან გამონაკრებს მატჩიანეთა პირველდღენებიდან.

ჩვენ აქ ჯერ პირველ ჯგუფზე, — პირველდღენებზე გვექნება საუბარი.



ჯვარის სამონასტრო მართანები — პირველადი.

ჯვარის სამონასტრო ხელნაწერები — პირველდენკმა დაწყებული მე-11 საუკუნის პირველი ნახევრიდან ვიდრე მე-17 საუკუნემდე, ოთხი არსებულია.

1. **ჯვარის მთავარი სააღაპე წიგნი**, პირველი, რომელიც შეიცავდა ჯვარის აღაპებს, დაწყებული მე-11 საუკუნის პირველი ნახევრიდან ვიდრე მე-12 საუკუნის დასასრულამდე (1187 წლამდე); ეს პირველი მთავარი სააღაპე წიგნი არ მოღწეულა. როგორც შემდეგი გამოკვლევის დროს იქნება დადგენილი, ეს პირველი მთავარი სააღაპე წიგნი დაღუპულა მე-12 საუკუნის დასასრულს, 1187 წლის შემდეგ, როდესაც იერუსალიმი დაიპყრეს მუსულმანებმა; ამ დროს მუსულმანებმა დახურეს ქრისტიანული მონასტრები, დატაცებულ იქმნა სამონასტრო ქონება, კერძოდ ხელნაწერები (რაც მაშინ დიდად ფასობდა); ამ დროს დაკარგულა ეს პირველი მთავარი სააღაპე წიგნი ჯვარისა.

2. **ჯვარის მთავარი სააღაპე წიგნი**, მეორე.

მას შემდეგ, რაც თამარ მეფის მოღვაწეობით ჯვარის მონასტერი დაიბრუნეს ქართველებმა მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე, ეს ახალი (მეორე) მთავარი სააღაპე წიგნი გაუხსნიათ ჯვარის მონასტერში მე-13 საუკუნის დასაწყისში. ამ მთავარ სააღაპე წიგნში ჩაწერილია აღაპები მე-13 საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე მე-17 საუკუნემდე, ჩათვლით.

ეს მთავარი სააღაპე წიგნი (მეორე), როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, დაცულია იერუსალიმის ჯვარის ხელნაწერში № 24—25. იგი აღმოაჩინა იერუსალიმის ჯვარის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაზე მუშაობის დროს 1920 წელს ნ. შარმა¹.

3. **ჯვარის სპეციალური სააღაპე წიგნი „მოძრავი კალენდარის“ წრისა 1250—1305/9 წლებისა.**

როგორც ცნობილია, და როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, ქრისტიანული დღესასწაულები ორნაირი კალენდარის მიხედვით აღინიშნება: „უძრავი კალენდარით“ (ე. ი. ჩვეულებრივი მზის კალენდარით) და „მოძრავი კალენდარით“ (ე. ი. მთვარის კალენდარით). დღესასწაულები „უძრავი კალენდარით“ (მზის კალენდარით) ყოველ წელიწადს მოდის ერთსა და იმავე თარიღზე, ერთსა და იმავე თვესა და რიცხვს. ხოლო დღესასწაულები

¹ ნ. შარმა ჯვარის მონასტრის მთავარი სააღაპე წიგნი გამოსცა 1914 წელს („აღაპნი ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმისა შინა“).

ეს შრომა უკვე დამთავრებული გვქონდა, როდესაც გამოვიდა მეორე გამოცემა ჯვარის მონასტრის აღაპთა (ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962 წელი).

ჯვარის მონასტრის აღაპებზე მუშაობის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით თვით ხელნაწერის ფოტოპირებით (რომელიც თეაზიანად გაღმოგვცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის დირექციამ).

აღნიშნავთ ამასთან, რომ ქვემოთ, როდესაც მიუთითებთ ამ ხელნაწერის ცალკეულ აღაპებს, მათ ნომრებს აღვნიშნავთ ორმაგი რიცხვით, მაგალითად № 100/97. პირველი რიცხვი აღნიშნავს აღაპის ნომერს 1962 წლის გამოცემის მიხედვით, ხოლო მეორე რიცხვი აღნიშნავს აღაპის ნომერს 1914 წლის გამოცემის მიხედვით.

„მოძრავი კალენდარით“ (მთვარის კალენდარით) სხვადასხვა წლებში სხვადასხვა თარიღებზე მოდის; ამ „მოძრავი კალენდარის“ (მთვარის კალენდარის) წრეს ეკუთვნის, როგორც აღნიშნული გვქონდა, ზამთრის პერიოდის „დიდი მარხვა“ და გაზაფხულისა და ზაფხულის დიდი დღესასწაულების ციკლი, დაწყებული აღდგომიდან ვიდრე „სული-წმიდის მოყენისა“ და ათენგენობის დღესასწაულებამდე.

ჯვარის მთავარ სააღაპე წიგნში, რომელიც გახსნეს XIII საუკუნის დასაწყისში, თავდაპირველად იწერებოდა ორივე ჯგუფის აღაპები, როგორც „უძრავი კალენდარის“ (მზის კალენდარის) დღესასწაულებზე დანიშნული, ისე „მოძრავი კალენდარის“ (მთვარის კალენდარის) დღესასწაულებზე დანიშნულნი. ხოლო შემდეგ უფრო მიზანშეწონილად დაუნახავთ, რათა მეორე ჯგუფისათვის, „მოძრავი კალენდარის“ აღაპებისათვის, ცალკე ახალი, სპეციალური წიგნი შემოეღოთ (რადგან ორი ცალკე წიგნის მიხედვით უფრო მოსახერხებელი იყო ყოველდღიური შეფარდება, თუ თვის რა რიცხვზე ხედებოდა ერთმანეთს „უძრავი“ და „მოძრავი“ კალენდარის აღაპები).

შემოდება ამ ახალი სპეციალური სააღაპე წიგნისა „მოძრავი კალენდარის“ წრის აღაპათთვის მომხდარა 1250 წლის ახლო. დაწყებული ამ დროიდან, ამ მეორე სპეციალურ წიგნში წერდნენ ამ მეორე ჯგუფის („მოძრავი კალენდარის“) აღაპებს, 1250 წლიდან მოკიდებული 1305/1309 წლებამდე.

ეს მეორე სპეციალური სააღაპე წიგნი „მოძრავი კალენდარისა“ 1250—1305/9 წლებსა, მისი პირველდანი, ჩვენ დრომდე არ მოღწეულა, მაგრამ აღაპები, რომლებიც შეტანილი იყო ამ მეორე სპეციალურ წიგნში, გადმოწერილია მოკლე სააღაპე ნუსხაში, რომელიც შეუდგენიათ ჯვარის მონასტერში 1305/9 წლებში (ამ მოკლე ნუსხის შესახებ იხ. ქვემოთ). ამრიგად, თუ როგორი იყო შედგენილობა ამ მეორე სპეციალური სააღაპე წიგნისა, ამის დადგენა ზუსტად ხერხდება ჩვენამდე მოღწეული მოკლე სააღაპე ნუსხის მიხედვით.

შედარებითი შესწავლა „მოძრავი კალენდარის“ აღაპების პირველი ჯგუფისა, რომელიც შეტანილია მთავარ სააღაპე წიგნში XIII საუკუნის პირველ ნახევრამდე, 1250 წლამდე, და მოძრავი კალენდარის მეორე ჯგუფისა, რომელიც შეუტანილია სპეციალურ სააღაპე წიგნში 1250 წლიდან მოკიდებული 1305/9 წლებამდე, გვაძლევს საშუალებას სინათლე შევიტანოთ ქრონოლოგიის საკითხებში, დავადგინოთ მეტად მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური მზღვარი.

იჩვენება, რომ XIII საუკუნის პირველ ნახევარში — ვიდრე 1250 წლამდე (ე. ი. ვიდრე გაიხსნებოდა სპეციალური წიგნი მოძრავი კალენდარის აღაპათთვის), მთავარ სააღაპე წიგნში შეტანილი ყოფილა ექვსი აღაპი მოძრავი კალენდარული წრისა, სახელდობრ შემდეგი აღაპები:

№ 306/301 — გრიგოლ დრანდელისა;

№ 314/309 — იოსებ ხეთაძისა;

№ 315/310 — სულელ მამლაქანისძის ასელისა თამარისი;

№ 316/311 — [გრიგოლ ფანასკერტელისა];

№ 317/312 — შოთა რუსთველისა, მეჭურჭლეთ-უხუცესისა;

№ 318/313 — ძვან აბულეთისძისა.

იჩვენება, რომ ეს ექვსი აღაპი (მათ შორის აღაპი შოთა რუსთველის მეჭურჭლეთ-უხუცესისა) ეკუთვნის XIII საუკუნის პირველ ნახევარს, დროს არა უგვიანეს 1250 წლისა.

ხოლო მას შემდეგ, რაც გაიხსნა „მოძრავი კალენდარის სპეციალური წიგნი 1250 წლის ახლოს, მომდევნო პერიოდში, 1250 წლიდან მოკიდებული ვიდრე 1305/9 წლებამდე ამ მეორე სპეციალურ წიგნში შეუტანილია 35 აღაპი. მათ

რის არის ალაბები, რომელთა თარიღების დადგენა სრულის ზედმიწევნით ხერხდება. ასეთია ალაბები:

ეოტენ დადიანისა და მისი დედის ნათელისა, განწესებული 1250—1260 წლებში; ფალქოზისძეთა სამი ალაბი (გიორგი ფალქოზისძისა, მისი მეუღლის თოვლასისა და შვილის მარუშინისა) განწესებული იმავე 1250—1260 წლებში;

ეარდან დადიანისა და მისი დედის აგუტისა, განწესებული ვარდანის შვილის გიორგი დადიანის მიერ 1250 წლის ახლო;

გრიგოლ დანასკერტელის მეორე ალაბი, განწესებული 1250 წლის ახლო;

ალაბი შაჰნავაზ მხარგრძელისა, ეპიროსის მანდატურთ-უხუცესისა, რომელიც გარდაიცვალა 1261 წელს.

ალაბი დავით VII-ისა, გიორგი-ლაშას ძისა, რომელიც გარდაიცვალა 1270 წელს;

ალაბი დავით VI-ისა, რუსუდანის ძისა, რომელიც განწესებია მის მოძღვარს ილაჩიონ ოპიზარს 1274 წელს.

ალსანიშნავია, რომ „მოძრავი კალენდარის“ ალაბთა ამ მეორე სპეციალურ წიგნში შეტანილი უძველესი ალაბები 1250 წლის ახლო დროით თარიღდება, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ ეს სპეციალური წიგნი 1250 წლის ახლო დროს გაუხსნიათ, არა უგვიანეს ამ თარიღისა. ალაბები ამ მეორე სპეციალური წიგნისა, როგორც ეს ყველაფრით დასტურდება, 1250—1305/9 წლებს შორის ყოფილა განწესებული.

ჩვენ ამჟერად დავკმაყოფილდებით ამ მოკლე წინასწარი შენიშვნებით ქრონოლოგიის საკითხთა გამო, ხოლო უფრო დეტალურად ქრონოლოგიის საკითხებს განვიხილავთ თვით ალაბთა ტექსტების გაცნობის შემდეგ.

4. თამარ მეფის „დალოცვანი სვინაქსარსა ზედა“.

მეოთხე ძეგლი, ჭვარის სამონასტრე მატიანეთა შორის, რომელიც პირველდენის სახით მოღწეულა, ეს არის თამარ მეფის „დალოცვანი“, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. იგი ჩაწერილია ჭვარის მონასტრის ხელნაწერ სვინაქსარში 1212 წელს (თამარის გარდაცვალების წელს), თამარის მემკვიდრის გიორგი-ლაშას ჭერჩინებით¹.

ბ.

ჭვარის ალაბთა მოკლე ნუსხა „მოძრავი კალენდარის“ წრისა

(ტიშენდორფისეული და მარიხეული ხელნაწერები).

5. ჭვარის სამონასტრე მატიანეთა მეორე ჭგუფს შეადგენს ალაბთა მოკლე ნუსხა „მოძრავი კალენდარის“ წრისა.

იგი ორი ხელნაწერით არის მოღწეული. ერთია ეგრეთწოდებული ტიშენდორფისეული ხელნაწერი (ეს ძველ-ქართული ხელნაწერი, რომელიც ჭვარის ქართულ სავანეში იყო გადაწერილი და ინახებოდა ჭვარში მე-19 საუკუნემდე, 1845 წელს წამოიღო ჭვარიდან ცნობილმა მეცნიერმა პროფ. ტიშენდორფმა; ამის გამო შეერქვა მას ტიშენდორფისეული ხელნაწერი. ხელნაწერი ამჟამად დაცულია ლეიპციგის უნივერსიტეტში, ტიშენდორფისეულ კო-

¹ გარდა „დალოცვათა სვინაქსარსა ზედა“, აარსებობდა „დალოცვანი საბარებასა ზედა“ (რომელსაც წარმოსთქვამდნენ სახარების წაკითხვის შემდეგ) და სხვა „სახელდებით“ დალოცვანი „ეამისწირვასა ზედა“ (იხ. მითითებანი დალოცვათა შესახებ ალაბებში №№ 249/245, 287/280 ნ და მოსახსენებელში T—75/M—52).

თამარ მეფის „დალოცვანი სვინაქსარსა ზედა“ შეტანილია იერუსალიმის ჭვარის ცალკე ხელნაწერში, სვინაქსარში № 45 (იხ. ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 57).

ლექციაში).¹ მეორეა — მარისეული ხელნაწერი (აღმოჩენილი ნ. მარის მიერ ჯვარის მონასტერში 1902 წელს)².

ამ ორი ხელნაწერიდან უფრო ძველია ტიშენდორფის ხელნაწერი და ჯერ მასზე შევჩერდებით.

5-ა. ჯვარის ალაბთა მოკლე ნუსხის ტიშენდორფისეული ხელნაწერი.

როგორც ცნობილია, ჯვარის მონასტერი 1274 წელს დაიპირებ მუსულმანებმა და მთავარ ტაძარში მეჩეთი გაშალეს.

ჯვარის ქართველთა ძმობას არ დაუტოვებია იერუსალიმი; ქართველთა ძმობამ თავი შეაფარა ჯვარის მონასტრის მეტოქში.

31-წლოვანი ტყვეობის შემდეგ, 1305 წელს, ქართველებმა ისევ დაიბრუნეს ჯვარი და მთავარ ტაძარში ისევ აღდგენილ იქმნა ქრისტიანული ეკლესია.

აი ამ დროს, 1305—1309 წლებს, ე. ი. ჯვარის მონასტრის დაბრუნების პირველ წლებს, ეკუთვნის ტიშენდორფისეული ხელნაწერის ძირითადი ნაწილი.

ამ დროს, 1305—1309 წლებში, საერთოდ სისტემაში მოუყვანიათ და მოუწესრიგებიათ სამონასტრო მატრიანეები. ამ მოწესრიგების ერთ-ერთი ძეგლია ტიშენდორფისეული ხელნაწერი (მისი ძირითადი ნაწილი, პირველად ჩანაწერი).

ტიშენდორფისეულ ხელნაწერში (მისი ძირითად ნაწილში, ე. ი. პირველად ჩანაწერში) წარმოდგენილია ჯვარის მონასტრის „მოძრავი კალენდარის“ ალაპების მოკლე ნუსხა. ხელნაწერში ერთ სიმაში გაუერთიანებიათ ყველა ალაპები მოძრავი კალენდარული წრისა, რომლებიც კი მოიპოვებოდა ჯვარის სამონასტრო მატრიანეებში, როგორც მთავარ საალაპე წიგნში, ისე მეორე სპეციალურ წიგნში (რომელიც გაუხსნიათ 1250 წელს).

ამრიგად ამ ნუსხაში ჩვენ გვაქვს სრული სია ჯვარის მონასტრის მოძრავი კალენდარის წრის ყველა ალაპებისა, რომლებიც განწესებული ყოფილა XIII საუკუნესა და XIV საუკუნის დასაწყისში ვიდრე 1305—9 წლებამდე. სულ, ტიშენდორფისეულ ხელნაწერში (ხელნაწერის ძირითად ნაწილში, პირველად ჩანაწერში) შეტანილია 46 ალაპი.

ეს რაც შეეხება ტიშენდორფისეული ხელნაწერის ძირითად ნაწილს (პირველად ჩანაწერს).

ხოლო ამას გარდა ტიშენდორფისეულ ხელნაწერში მოიპოვება მრავალი შემდგომი ხანის ალაპები, მე-14 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე მე-17 საუკუნემდე. 1305—1309 წლების შემდეგ ტიშენდორფისეული ხელნაწერი უქცევიათ დედნად, სადაც შეპქონდათ „მოძრავი კალენდარის“ ალაპები.

სულ ეს მეორე ნაწილი ტიშენდორფისეული ხელნაწერისა (ე. ი. ჩანაწერები მე-14—17 საუკუნეთა) შეიცავს 56 მოსახსენებელს.

ღროის მიხედვით ეს მეორე ნაწილი შესაძლოა სამ ფენად გაიყოს.

¹ პირველი ცნობა ტიშენდორფისეული ხელნაწერის შესახებ გამოაქვეყნა განსვენებულმა გრ. ფერაქემ 1937 წელს (ტურნალში *Georgica*, № 4—5). გრ. ფერაქის ამ ცნობამ მიიპყრო უზრაველმა ჩვენს ცნობილი მეცნიერს ე. თაყაიშვილისა, რომელმაც განიზრახა ტიშენდორფისეული ხელნაწერის გამოცემა და გამოიწერა მისი მიკროფილმი ლეიპციგიდან. მიკროფილმი მიღებული იქმნა თბილისში 1954 წელს, ე. თაყაიშვილის გარდაცვალების შემდეგ. ტექსტი ტიშენდორფისეული ხელნაწერისა გამოსცა ელ. მეტრეველმა — წიგნში „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“, 1962 წ., გვ. 72—78. (პალეოგრაფიული ტაბულები, გვ. 46—53). ტიშენდორფისეული ხელნაწერის ტექსტი გამოსცა აგრეთვე 1963 წელს გერმანულმა ქართველოლოგმა იულიუს ასფალგმა, *Georgischen Handschriften*, გვ. 60—72.

² იგი გამოაქვეყნა ნ. მარმა წიგნში: ალაპნი ჯვარისა მონასტრისანი იერუსალიმისა შინა, 1914 წ., გვ. XXV—XXVIII.

პირველი ფენა: მოსახსენებელი, ჩაწერილი 1305/9 წლებიდან 1320 წლამდე (ეკესი აღაძი, მათ შორის ორი გიორგი ბრწყინვალისა, დედო და მეუღლით).

მეორე ფენა მოსახსენებელი ჩაწერილი 1320 წლიდან 1400 წლამდე (16 დამატ. მანუსკრიპტის ორი ალაბი შალვა ქსნის ერისთავისა და მისი შვილის პიპასი, განწესებული 1320 წელს) მესამე ფენა: დანარჩენი მოსახსენებელი XV—XVII საუკუნეთა.

5-ბ. ჯვარის ალაბთა მოკლე ნუსხის მარსხეული ხელნაწერი.

მარსხეული ხელნაწერი (მისი პირველდენი) წარმოადგენს ტიშენდორფის ხელნაწერის პირს, გადმოწერილს ტიშენდორფისეული ხელნაწერიდან 1320 წლის ახლო (არა უგვიანეს 1320 წლისა).

თარიღი ირკვევა შემდეგის მიხედვით. მარსხეულ ხელნაწერში შესულია ტიშენდორფისეული ხელნაწერის პირველი ნაწილი მთლიანად (ე. ი. ტექსტები XIII საუკუნის დასაწყისიდან ეიდრე 1305—7 წლებამდე); ხოლო ამას ვარდა აქ შესულა ტიშენდორფისეული ხელნაწერის მეორე ნაწილის პირველი ფენა, ე. ი. მოსახსენებელი 1305—7 წლებიდან 1320 წლამდე.

ამავე დროს აქ არაა აღაპები 1320 წლიდან მოყოლებული (ეგრძოდ არ არის ალაბი შალვა ქსნის ერისთავისა და მისი შვილის პიპასი, რომელიც განწესებული იყო 1320 წელს)!

ბ.

**ჯვარის სულთა-მატიანე
შედგენილი XIV საუკუნეში
(ფრაგმენტი)**

ჯვარის მონასტრის „სულთა-მატიანის“ მცირე გადარჩენილი ფრაგმენტი აღმოაჩინა ნ. მარმა ჯვარის მონასტრის ერთ ხელნაწერში.

სულთა-მატიანე შედგენილია მე-14 საუკუნეში. მასში შეუტანიათ მოსახსენებელი მე-13 და მე-14 საუკუნის მოღვაწეთა (ამოღებულნი ჯვარის მონასტრის სააღაპე წიგნიდან).

(გადარჩენილ ფრაგმენტებში მოიხსენებია: დედოფალი რუსუდან; მეფეთ-მეფე მოწამე დიმიტრი და მათი ძე „მეფეთა-მეფე დიდი გიორგი“ ე. ი. გიორგი ბრწყინვალე; გიორგი ილასტნელი და მისი ოჯახის წევრნი; ცოტნე დიდიანი და ბორენა; ჯვარის მამა იოანე; მანდატურთუხუცესი სარგის II ჯაყელი-ციხისქვაარელი)².

დ.

**ჯვარის სულთა-მატიანეში ჰვიანი ხანისა
(მე-17—18 საუკუნეთა)**

7-8. ვარდა ზემოთდასახელებული ჯვარის სულთა-მატიანისა, რომელიც მე-14 საუკუნეში ყოფილა შედგენილი, და რომლისაგან მხოლოდ ფრაგმენტი გადარჩენილა, არსებობს ორი სულთა-მატიანე გვიანი ხანისა; ერთია — ბერძნული, შედგენილი იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოზის მიერ მე-17 საუკუნეში³, მეორეა — ბერძნულ-ქართული მე-17—18 საუკუნეთა⁴.

მათზე აქ აღარ ვჩერდებით, რადგან ისინი არ წარმოადგენენ ინტერესს იმ საკითხებისათვის, რომლებიც აქ ჩვენი გამოკვლევის საგანს შეადგენს.

¹ აღნიშნავთ იმასთან, რომ უფრო გვიან, მე-15 საუკუნის პირველ ნახევარში, მარსხეული ხელნაწერის ბოლოში (№ 52 ალაბის შემდეგ) მიუწერიათ განსხვავებული ტიპის ტექსტები, ხუთი მოსახსენებელი (ეს გვიანი დროის ხუთი მოსახსენებელი ერთდროულად ჩაუწერიათ როკორც ტიშენდორფისეულ ხელნაწერში, ისე მარსხეულ ხელნაწერში).

² იხ. ნ. მარს, ალაბნი ჯვარის მონასტრისიანი იერუსალიმსა შინა, გვ. XVIII-XIX.

³ იგი მოხსენიებული აქვს ალ. ცაგარელს, Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, გვ. 189—191.

⁴ ქართული ტექსტის დიდი ნაწილი გამოქვეყნებული აქვს ნ. მარს (იხ. მისი ალაბნი ჯვარის მონასტრისიანი იერუსალიმსა შინა, XIX—XXV).

**ჩვენ დრომდე მოღწეული
ჯვარის მთავარი სააღაპე წიგნი (მეორე)
იხსენება XIII საუკუნის დასაწყისიდან**



ჯვარის სამონასტრო მატრიანეების ზემოთ წარმოდგენილ მიმოხილვაში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ჯვარის მთავარი სააღაპე მატრიანე არსებულია ორ წიგნად:

1) პირველი წიგნი, რომელიც მოიცავდა აღაპებს მე-11 საუკუნის პირველი ნახევრიდან ვიდრე მე-12 საუკუნის დასასრულამდე (1187 წლამდე) არ მოღწეულა. როგორც მოვიხსენეთ, ეს წიგნი დაღუპულა მე-12 საუკუნის დასასრულს. 1187 წლის შემდეგ, როდესაც იერუსალიმი დაიპყრეს მუსულმანებმა, იერუსალიმის აღების შემდეგ, როგორც ცნობილია, მუსულმანებმა დახურეს ქრისტიანული მონასტრები, რასაც შედეგად მოჰყვა დატაცება სამონასტრო ქონებისა, კერძოდ დატაცება ბიბლიოთეკებისა, რა დროსაც დაღუპულა, სხვა ხელნაწერებთან ერთად, მთავარი სააღაპე წიგნი.

2) მეორე მთავარი სააღაპე წიგნი, რომელიც ჩვენ დრომდე მოღწეულა, ახლად დაუწყიათ მას შემდეგ, რაც ქართველებმა, თამარის მოღვაწეობით, დაიბრუნეს ჯვარის მონასტერი მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე. ეს ახალი მთავარი სააღაპე წიგნი იწყება მე-13 საუკუნის დასაწყისიდან, მასში შეტანილია აღაპები მე-13 საუკუნის დასაწყისიდან მოკიდებული ვიდრე მე-17 საუკუნემდე. აქ არ არის არც ერთი აღაპი მე-11—12 საუკუნეთა მოღვაწეებისა, არც ერთი მოსახსენებელი, რომელიც ჩაწერილი იყვეს მე-13 საუკუნის დასაწყისზე ადრე¹.

აი ეს დებულებანი, რაც აქ იყო წარმოდგენილი, რომ არსებობდა ორი მთავარი სააღაპე წიგნი, რომელთაგან პირველი, მე-11—12 საუკუნეთა აღაპთა შემცველი, დაკარგულია, მოითხოვს განხილვას და დამტკიცებას.

რაკი არ არის ცხად-ყოფილი, რომ პირველი სააღაპე წიგნი, რომელიც შეიცავდა მე-11—12 საუკუნეთა აღაპებს, დაკარგულია, — ამას დიდი არეუ-დარეუ-ვა შეაქვს მატრიანეთა შესწავლის საქმეში. მეორე სააღაპე წიგნში ეძებენ იმას, რაც აქ არ არის და არც შეიძლება იყოს.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე შემდეგი. ვიდრე არაა დადგენილი, თუ რა დროისაა ჩვენ დრომდე მოღწეული მთავარი სააღაპე წიგნი, ვიდრე არაა გათვალისწინებული, რომ მე-11—12 საუკუნეთა აღაპები დაკარგულია, შეუძლებელია გავერკვეთ ჯვარის მონასტრის მხატვრობის ისტორიაში; აქ ბევრი რამ გაუგებარი ჩნდება.

ასე, ერთის მხრით ჩვენ ვხედავთ, რომ ჯვარის მონასტრის მხატვრობაში წარმოდგენილი არიან ცნობილი ისტორიული პირნი, — მეფე ბაგრატ IV, ეფთიმე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი, თანამოღვაწენი ჯვარის სავანის მშენებლობისა, ხოლო არც ერთი მათგანი არაა მოხსენებული სააღაპე წიგნებში. ასევე მე-12 საუკუნის მოღვაწეთაგან ჯვარის მონასტრის მხატვრობაში წარმოდგენილი არიან არსენი იყალთოელი, იოანე კათალიკოზი, იოანე ფილოსოფოსი ჰიმნოგრაფი, იოანე მგალობელი, — არც ესენი არიან მოხსენებული აღაპებში. დავით აღმაშენებელი იყო მთავარი ქტიტორი ჯვარის სავანისა XII საუ-

¹ აქ ჩვენ მხედველობაში არა გვყავს ჯვარის აღმაშენებელი პროზორე, რომლის მოსახსენებელი შეგჭონდათ ხელნაწერებში ყველა ეპოქაში.

კუნში, მისი სურათი, როგორც შემდეგ გამოირკვევა, აგრეთვე არსებულა ჯვარის მონასტრის მხატვრობაში, ხოლო ალაპებში არც ის მოიხსენება. რით აიხსნება ეს? მხოლოდ იმით, რომ მე-11—12 საუკუნეთა ალაპთა წიგნში მოღწეულია.

ხოლო ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ მოღვაწენი, რომელთაც განუახლებიათ ჯვარის მონასტრის მხატვრობა XIII საუკუნის პირველ ნახევარში (1245—1250 წლებს შორის),—შოთა რუსთველი, დრანდელი, —წარმოდგენილი არიან ჯვარის მონასტრის მხატვრობაში და ამავე დროს მოიხსენებიან საალაპე წიგნში. ასევე ჯვარის მოღვაწე ლუკა, წინამძღვარი სავანისა, რომელიც აწამეს მუსულმანებმა 1274 წელს, და რომლის სურათი წარმოდგენილია ჯვარის მონასტრის მხატვრობაში, აგრეთვე მოიხსენება საალაპე წიგნში.

რით აიხსნება ეს? ეს აიხსნება იმით, რომ ჯვარის მონასტრის ჩვენ დრომდე მოღწეული მთავარი საალაპე წიგნი (შეორე) იწყება XIII საუკუნიდან, მოიცავს ალაპებს XIII საუკუნის დასაწყისიდან მოკიდებული ვიდრე XVII საუკუნემდე. ასეთია საკითხები, რაც ჩვენ წინაშე აღიძვრის ჯვარის სამონასტრო მატრიანეთა შესწავლის დროს. ამ საკითხებში საქირთა სრული სინათლე იცვეს შეტანილი.

რომ ჯვარის მონასტრის მთავარი საალაპე პირველი წიგნი დაკარგულია, რომ იგი დაღუპულა სწორედ მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე, მას შემდეგ, რაც იერუსალიმი 1187 წელს აიღეს მუსულმანებმა, და რომ ამ პირველ წიგნს (მე-11—12 საუკუნეთა ალაპების შემცველს) უკვე აღარ იცნობდნენ მე-13—14 საუკუნეებში, ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ ცალკე განვიხილავთ.

ჯერ კი დავადგინოთ, რა დროიდან იწყება ჯვარის მონასტრის ჩვენ დრომდე მოღწეული მთავარი საალაპე წიგნი.

ამ საკითხის გასარკვევად გავეცნოთ სიებს ჯვარის მონასტრის წინამძღვრებისა, საქართველოს მეფეთა, კათალიკოზთა და ვაზირთა, რომლებიც მოიხსენებიან მთავარ საალაპე წიგნში და სხვა სამონასტრო მატრიანეებში.

ა.

იერუსალიმის ჯვარის მართული სახანის წინამძღვრანი

საისტორიო წყაროების შესწავლიდან ირკვევა, რომ იერუსალიმის ჯვარის ქართული სახანის დაარსებიდან მოკიდებული, მე-11 საუკუნის პირველი ნახევრიდან — ვიდრე მე-15 საუკუნის დასაწყისამდე (1410-იან წლებამდე), ჯვარის სახანის წინამძღვრებად იყვნენ 19 პირი. ამთგან ჯვარის მთავარ საალაპე წიგნში და მასთან დაკავშირებულ სხვა სამონასტრო მატრიანეებში შეტანილია სახსოვარი უკანასკნელი ათი წინამძღვრისა (მე-13 საუკუნიდან — მე-15 საუკუნის დასაწყისამდე), ხოლო პირველი წინამძღვრები (მე-11 საუკუნიდან ვიდრე მე-13 საუკუნის დასაწყისამდე) მოხსენებული არაა.

მოგვყავს სრული სია ჯვარის წინამძღვართა. ამათ შორის ბოლო ათი წინამძღვარი, რომლებიც მოიხსენებიან ჯვარის სამონასტრო მატრიანეებში, აღნიშნული გვაქვს ვარსკვლავით (რიგის აღმნიშვნელი ციფრების წინ).



ՈՒՐՄԱԼՈՒՄԻ ՄԱՐԿԱՆ ԿԱՐԹՄԱՆ ՆԱՅԱՆԻ ՄԻՆԱՄՈՒԿԱՐԻՆ
 XI ՆԱՄԱՆԻԴԱՆ — XV ՆԱՄԱՆԻ ՄԱՍՏՄԱՆԻՆՄԱՍԻՄ

1. ԿՐՈՒՅՐԵ (ԿՐՈՒՅՐԵ-ԿՐՈՒՅՐԵ I), ԿՐՈՒՅՐԻ ԱՄՈՒՄՆԵՆԵԼԵՐԸ.

ԿՐՈՒՅՐԻ ՄԻՆԱՄՈՒԿԱՐԻ 1020/30-ԻՆԻ ՄՆԵԲԻԴԱՆ 1060-ԻՆ ՄՆԵԲԱԼԵՐ.
 ԿԱՐԴԱԿԵԼԱ 1066 ՄՆԵՆ.

2. ԿՐՈՒՅՐԵ II

3. ԼՄԿԱ I

4. ՄԱՐԿԱՆ I

5. ԿԱՐԴԱՆ I ՆԱՆԱՐԵԼԻ

6. ՄԱՐԿԱՆ II

7. ՆԱՅԱ I

8. ՄՍՄՈՆ I

9. ՄՍՄՈՆ II

1060-ԻՆԻ ՄՆԵԲԻԴԱՆ — XIII ՆԱՄԱՆԻ ԴԱՍԱՄՄԱՆԻԿԱԼԵՐ.

* 10. ԿՐՈՒՅՐԵ I XIII ՆԱՄԱՆԻ ԴԱՍԱՄՄԱՆԻԿԱԼԵՐ — 1250/5 Մ.

* 11. ԻՍԿԱՆ I (ՄՈՒԿԱՐԵՍԻՍԿՈՍ ԿՈՒՄԻՆ) 1250/5—1271 Մ.¹

* 12. ԼՄԿԱ II ՄՆԵԲԱՆ-ԺԵ ԱՅՄՈՒԺ 1271—1274 Մ.²

* 13. ՍՈՒՍՄՈՆ I 1274—1310 Մ.³

* 14. ՄՍՄՈՆ III ԵԼՄԵԼԻՔԻՍԺ 1310—1320-ԻՆԻ Մ.⁴

* 15. ՆԱՅԱ II 1320/30-ԻՆԻ—1350 Մ.⁵

* 16. ԻՍԿԱՆ I ԿՐՈՒՅՐԻՆԻՍԿԱԿԻ 1350—1395 Մ.⁶

* 17. ԿՐՈՒՅՐԵ I 1395—1400 Մ.⁷

* 18. ՄԻՍԿԱ I (ՄԱՄՅՎԵՐԵԼ ՄՈՒԿԱՐԵՍԻՍԿՈՍ ԿՈՒՄԻՆ) 1400—1410 Մ.⁸

* 19. ԻՍԿԱՆ II 1410/20-ԻՆԻ ՄՆԵԲԻՐ.

ԻՍ ԿԱՐԵՄՈՒԿԱՆ, ՐՈՄ ՆԱՄՈՒՆԱՆԱՐԿՈՒ ՄԱՐԿԱՆԵՐԵՐԻՆ ԻՐ ԿՐՈՒՅՐԵԿԱՆ ՄԻՆԱՄՈՒԿԱՐԻՆ ԿՐ-11 ՆԱՄԱՆԻԴԱՆ ԿՐ-13 ՆԱՄԱՆԻ ԴԱՍԱՄՄԱՆԻԿԱԼԵՐ, ԴԱ ՐՈՄ ԱՅՄ ՄՈՒՍԿՆԵՆԵԼԻ ԱՐԻԱՆ ՄԻՆԱՄՈՒԿԱՐԻ ՄՅՈՒՐՈՒ ԿՐ-13 ՆԱՄԱՆԻԴԱՆ ՄՈՒԿԻԴԵԼԻ, ԵՆԱԴԻԱ ԻՄԻՍ ՄԱՅՆԵՆԵԼԻԱ, ՐՈՄ ԻՅԵՆ ԴՐՈՒՄԴԵ ՄՈՒՄՄԱՆԻ ՄՈՒԿԱՐԻ ՍԱԼԱԿԱՆ ՄԻՍԿԱՆ, ԴԱ ՄԱՍՏՄԱՆ ԴԱԿԱՅՄԻՐԵԼԻ ՍՅԵԱ ԿՐԵԼԵԼԵՐԻ, ԿՐ-13 ՆԱՄԱՆԻԴԱՆ ԻՍԿԱՆԵԿԱ, ՐՈՄ ԱԼԱԿԱՆԵՐԻ ՆԱՄԱՆԻ ԴԱԼՄՄԱՆԻ ԿՐ-13 ՆԱՄԱՆԻ ԴԱՍԱՄՄԱՆԻ ՍԵՐԻՈՒԴԵՐԻ.

1 ԻՐՄԱԼՈՒՄԻ ՄԱՐԿԱՆ ԿԱՐԹՄԱՆ ՆԱՅԱՆԻ ՄԻՆԱՄՈՒԿԱՐԻ XI ՆԱՄԱՆԻԴԱՆ XIII ՆԱՄԱՆԻ 60-ԻՆ ՄՆԵԲԱԼԵՐ (ՄՈՒԿԱՐԵՍԻՍԿՈՍ ՄԻՆԱՄՈՒԿԱՐԻ ԿՐՈՒՅՐԵ I-ԴԱՆ ՎԻԴՐԵ ԻՍԿԱՆ I-ԻՄԵՐ) ՄՈՒՍԿՆԵՆԵԼԻՆ ՆԻՆԱՍ ՄՈՒՍ ՍԵԼՄԱ ՄԱՐԿԱՆԵՐԻ (ԿՐ. 245). ԱՄԱՍ ԿԱՐԴԱ: ԿՐ-10 ՄԻՆԱՄՈՒԿԱՐԻ (ԿՐՈՒՅՐԵ I) ՄՈՒՍԿՆԵՆԵԿԱ ԻՐՄԱԼՈՒՄԻ ԿԵԼՆԱՄՄԱՆԻ № 44, ԿՐ. 158 Խ (ԻՅԻՅԵ ԻՅՄԱԼԻՍԿԱՆ ԿՐՈՒՅՐԻ ԱԼԱԿԱՆ № 127/125. ԿՐ-11 ՄԻՆԱՄՈՒԿԱՐԻ ԻՍԿԱՆ I ՄՈՒՍԿՆԵՆԵԿԱ ԿՐՈՒՅՐԻ ԱԼԱԿԱՆԵՐ ՆԱՆ 164/162, 207/204, ԿՐՈՒՅՐԻ I ՍԵԼՄԱ ՄԱՐԿԱՆԵՐԻ (ԿՐ. XIII, IVa) ԴԱ ԻՐՄԱԼՈՒՄԻ ԿԵԼՆԱՄՄԱՆԻ № 76, ԿՐ. 243 a.

² ՄՈՒՍԿՆԵՆԵԿԱ ԿՐՈՒՅՐԻ ԱԼԱԿԱՆ № 256/252.

³ ՄՈՒՍԿՆԵՆԵԿԱ ԿՐՈՒՅՐԻ ԱԼԱԿԱՆ ՆԱՆ 206/203, 227/224, 251/247.

⁴ ՄՈՒՍԿՆԵՆԵԿԱ ԿՐՈՒՅՐԻ ԱԼԱԿԱՆ ՆԱՆ 206/203, 84/81, 65/63 (ՄԻՍԻ ԿԵԼՄՈՒՄԻ ԱԼԱԿԱՆ ՆԱՆ 4Խ/3Խ, 301a/295).

⁵ ՄՈՒՍԿՆԵՆԵԿԱ ԿՐՈՒՅՐԻ ԱԼԱԿԱՆ № 95/92.

⁶ ՄՈՒՍԿՆԵՆԵԿԱ ԿՐՈՒՅՐԻ ԱԼԱԿԱՆ ՆԱՆ 96/93, 110/107, 15/14, 19/18, 80—81/78—79, ԻՐՄԱԼՈՒՄԻ ԿԵԼՆԱՄՄԱՆԻ № 76, ԿՐ. 243Խ, ՆԻՆԱՍ ՄՈՒՍ ՍԵԼՄԱ ՄԱՐԿԱՆԵՐԻ (ԿՐ. 244).

⁷ ՄՈՒՍԿՆԵՆԵԿԱ ԿՐՈՒՅՐԻ ԱԼԱԿԱՆ ՆԱՆ 80—81/78—79.

⁸ ՄՈՒՍԿՆԵՆԵԿԱ ԿՐՈՒՅՐԻ ԱԼԱԿԱՆ ՆԱՆ 124/122, 224/222, ԿՐՈՒՅՐԻ ԱԼԱԿԱՆ ՄՈՒԿԱՆ ԵՆՍԻՍԻ ԲՈՒՐՈՒ ԴԱՄԱԿԱՆԵՐԻ (T—75/M—52), ԿՐՈՒՅՐԻ ՄՈՒՆԱՆԱՐԿԱՆԵՐԻ H—1661 ԿԵԼՆԱՄՄԱՆԻ (ԿՐԱՅԻՍԻ ՍԵՆԱԿԱՆԻՆ ԿԱՆԱՄՄԱՆԻ ԴԱ ՆԻՆԱՍ ՄՈՒՍ ՍԵԼՄԱ ՄԱՐԿԱՆԵՐԻ (ԿՐ. 244).

⁹ ՄՈՒՍԿՆԵՆԵԿԱ ԿՐՈՒՅՐԻ ԱԼԱԿԱՆ ՄՈՒԿԱՆ ԵՆՍԻՍԻ ԲՈՒՐՈՒ ԴԱՄԱԿԱՆԵՐԻ (T—75/M—52).

საქართველოს იმფინი, მოსხენაული ჯვარის მატრიანეზი

გავეცნოთ ამის შემდეგ სიას საქართველოს მეფეებისა (დაემათი ოჯახის წევრთა), რომელნიც მოიხსენებიან ჯვარის სამონასტრო მატრიანეზში.

1. **თამარ მეფე**. მოიხსენება 1212 წელს (გარდაცვალების შემდეგ, თამარის დალოცვათა წიგნში).
2. **გიორგი IV (ლაშა)** 1212—1222 წ. (ჯვარის აღაბები №№ 284/280, შენ., 280/276; თამარის დალოცვათა წიგნი 1212 წლისა)
3. **რუსუდან** 1222—1242 წ. (ჯვარის სულთა მატრიანე I, გვ. XVIII, IVb).
4. **დავით VI რუსუდანის ძე** 1247—1293 წ. (ჯვარის აღაბთა მოკლე ნუსხა T—16/M—11).
5. **დავით VII გიორგი-ლაშას ძე** 1247—1270 წ. (ჯვარის აღაბთა მოკლე ნუსხა T—12/M—8).
6. **დიმიტრი II თავდადებული** 1271—1289 წ. (ჯვარის აღაბები №№ 42/40, 202/220; ჯვარის სულთა მატრიანე I, გვ. VIII, V b).
- 6-ა. **ნათელ დედოფალი**, მეუღლე დიმიტრი II თავდადებულისა, მონაზონობაში ნისიმე (ჯვარის აღაბთა მოკლე ნუსხა T—69/M—48).
7. **დავით VIII** 1293—1312 წ. (ჯვარის აღაბი № 295/288).
8. **ვახტანგ III** 1298—1309 წ. (ჯვარის აღაბი № 206/203).
- 8-ა. **დედოფალი რიფსიმე** (მონაზონობის სახელია). მეუღლე ყოფილი ვახტანგ III-ისა. (ჯვარის აღაბი № 206/203).
9. **კონსტანტინე დავით VI-ის ძე**, მეფე დასავლეთ საქართველოსი 1293—1327 წ. (ჯვარის აღაბი № 239/235).
10. **გიორგი ბრწყინვალე** 1299 წ., 1314—1346 წ. (ჯვარის აღაბები №№ 48/46, 26/25, 126/124, 149/147, 258/254; ჯვარის აღაბთა მოკლე ნუსხა T—28/M—20, T—69/M—48).
11. **დავით IX** 1346—1367 წ. (ჯვარის აღაბები №№ 7/6, 195/193, 196/194, 286/280b).
12. **ბაგრატ V დიდი** 1360—1393 წ. (ჯვარის აღაბები №№ 17/16, 254/250, 296/289).
13. **გიორგი VII** 1393—1407 წ. (ჯვარის აღაბები №№ 212/214, 15/14).
- 13-ა. **ულუმბია** (ასული ბაგრატ V-ისა, დაე გიორგი VII-ისა) (ჯვარის აღაბი № 239/235).

როგორც ვხედავთ წარმოდგენილი სიიდან, ჯვარის სამონასტრო მატრიანეზში მოიხსენება საქართველოს უველა მეფეები XIII საუკუნის დასაწყისიდან მოკიდებული ვიდრე XV საუკუნის დასაწყისამდე (თამარ მეფის გარდაცვალებიდან ვიდრე გიორგი VII-მდე); ხოლო არ მოიხსენება საქართველოს არც ერთი მეფე XI—XII საუკუნეთა, მატრიანეში არაა ჩაწერილი არც ერთი მოსახსენებელი საქართველოს მეფისა XIII საუკუნის დასაწყისამდე.

აქედან სრულიად ეჭვმიუტანელად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ჯვარის ჩვენ დრომდე გადარჩენილი მატრიანეები დაუწყიათ XIII საუკუნის დასაწყისში.

ბ.

ალასტნელი ბაზრბატიონები

(ჯამახათის, სამხრეთ ძართლისა და ანისის მხარის მთავრები) მოსახენაული ჯვარის მატრიანეზი.

1. **მელქისედეკ ალასტნელი**, ძე გიორგი VI-ისა. 1314/1320—1340-იანი წ. (ჯვარის აღაბი № 144/142).
- [2. **ანდრონიკე ალასტნელი**, ძე გიორგი VI-ისა. 1340-იანი—1350-იანი წ.]
- 2-ა. **ნათია (ნათელი)** დედოფალი, მეუღლე ანდრონიკე ალასტნელისა (მონაზონობაში ნისიმე) (ჯვარის აღაბები №№ 27/28, № 223/221; ჯვარის სულთა მატრიანე I, გვ. XVII 1).

3. გიორგი ალასტნელი ანდრონიკეს-შვილი 1350-იანი წ. — 1373 წ.

(ჯვარის აღაბები №№ 285/280ა, 289/282; ჯვარის სულთა მატიანე I, გვ. XVI, 12).

3.ა შეენიერი დედოფალი, დაამ გიორგი ალასტნელისა ანდრონიკეს-შვილას (შონაშონი ბაში მაკრინე)!

(ჯვარის აღაბები №№ 290/283, 208/205, 125/123, 180/178; ჯვარის სულთა მატინე I, გვ. XVII, 1).

ამრიგად ჯვარის მატიანეებში მოიხსენებიან არა მხოლოდ საქართველოს ყველა მეფენი XIII—XIV საუკუნეთა, არამედ მოიხსენებიან აგრეთვე ამავე ეპოქის საქართველოს სამხრეთ მხარეთა მთავრები — ალასტნელი ბაგრატიონები.

დ.

ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოზნი მოსახსენებულნი ჯვარის მატიანეებში

ა. ქართლისა კათალიკოზნი.

1. ნიკოლოზ გულაბერისძე, ქართლისა კათალიკოზ უფილი.

მისი მოსახსენებელი ჩაწერილია სამონასტრო მატიანეში, 1210-იან წლებში (ჯვარის აღაბი № 127/125).

2. ეფთჳე ქართლისა კათალიკოზი XIV საუკუნის პირველი ნახევარი (თანამედროვე გიორგი V ბრწყინვალისა).

(ჯვარის აღაბები №№ 172/170, 234/231).

ბ. აფხაზეთის კათალიკოზნი.

3. ნიკოლოზ აფხაზეთისა კათალიკოზი, ბედიელ უფილი 1280/90-იანი წ. — 1300-იანი წ.

(ჯვარის აღაბი № 100/97).

4. დანიელ აფხაზეთისა კათალიკოზი, XIV საუკუნის მეორე მესამედი.

(ჯვარის აღაბი № 299/292).

ამრიგად ჯვარის მატიანეებში არაა ჩაწერილი არც ერთი მოსახსენებელი საქართველოს კათალიკოზთა XIII საუკუნის დასაწყისზე ადრე.

ე.

საქართველოს სახელმწიფო ვაჟირნი, მოსახსენებულნი ჯვარის მატიანეებში.

1

XIII საუკუნე — 1259 წლამდე (სამეფოს განუფაძლე)

1 (22). ვარდან დადიანი, ერისთავთ-ერისთავი ოდიშისა.

მსახურთ-უხუცეს უფილი (ცოცხალი იყო 1220-იან წლებში).

მისი მოსახსენებელი ჩაწერილია ჯვარის სამონასტრო მატიანეში (ვარდანის ვაჟის გიორგი დადიანის განწყებით) 1250 წლის ახლო (ჯვარის აღაბთა მოკლე ნუსხა T—30/M—22).

2 (46). შოთა ჰერეთის ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა და რუსთავისა (რუსთველი).

მეჭურჭლეთ-უხუცესი 1245—1250 წ.

(ჯვარის აღაბი № 317/312; ჯვარის აღაბთა მოკლე ნუსხა T—71/M—49).

3.(45). შაანია I მხარგრძელი, ერისთავთ-ერისთავი ინისის მხარისა.

მანდატურთ-უხუცესი 1225—1261 წ.

(ჯვარის აღაბთა მოკლე ნუსხა T—29/M—21).

1 მთავრად (დედოფლად) გამოცხადდა 1373 წელს მისი ძმის გიორგი ალასტნელის ბრძოლაში დაღუპვის შემდეგ.

2 ვაჟირთა ჩამოთვლის დროს სათვალავის მეორე რიცხვი (რომელიც ფრჩხილებშია ჩასმული) მიუთითებს ვაჟირთა სრული სიის ნომრებს (იხ. სია, ფურც. „მნათობი“, № 3, გვ. 147—164).

II
1259 — 1329 წლები
(სამეფოს განყოფის ხანა)



ა. აღმოსავლეთი საქართველო

- 5 (52). სარგის I, სამცხის მთავარი.
 ა. მეტეხტე-ტეხტეცისი 1271—1281 წ.
 ბ. ათაბაგი 1281—1284 წ.
 (ჯვარის აღაპები № № 246/242, 248/244).
- 6 (58). ბეჟა I, სამცხის მთავარი, კანონმდებელი.
 ა. მეტეხტე-ტეხტეცისი 1281—1302 წ.
 ბ. მანდატურ-ტეხტეცისი 1302—1309 წ.
 (ჯვარის აღაპები № № 5/4ა, 152/150, 246/242, 310/305; ჯვარის აღაპთა მოკლე ნუსხა, T—19).
- 7 (59). სარგის II, სამცხის მთავარი.
 მანდატურ-ტეხტეცისი 1309—1334 წ.
 (ჯვარის სულთა მატიაზე I, გვ. XVIII, Va).
- 8 (54). ხუტლუხუდა საღუნის ძე.
 ა. ამირსპასალარი 1281—1289 წ.
 ბ. ათაბაგ-ამირსპასალარი 1289—1296 წ.
 (ჯვარის აღაპი № 263/259).
- 9 (55). შაჰნა II მხარგრძელი, ერისთავთ-ერისთავი ანისის მხარისა.
 ა. მანდატურ-ტეხტეცისი 1290—1296 წ.
 ბ. მანდატურ-ტეხტეცისი და ამირსპასალარი 1296—1302 წ.
 გ. ათაბაგ-ამირსპასალარი 1309—1320 წ.
 (ჯვარის აღაპთა მოკლე ნუსხა T—39).
- 10 (56). ზაქარია III მხარგრძელი, ერისთავთ-ერისთავი ანისის მხარისა.
 ა. ათაბაგ-ამირსპასალარი 1320—1330/35 წ.
 (ჯვარის აღაპი № 75/73).

ბ. დასავლეთი საქართველო

- 11 (63). ცოტნე დადიანი, ერისთავთ-ერისთავი ოდიშისა.
 მანდატურ-ტეხტეცისი 1259—1260 წ.
 (ჯვარის აღაპი № 247/243; ჯვარის აღაპთა მოკლე ნუსხა, T—25/M—18; ჯვარის სულთა მატიაზე I, გვ. XVIII, Via).
- 12 (67). არიშანი ვარდანისძე, ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავ/გურჯიელი.
 მსახურ-ტეხტეცისი 1277—XIII ს. ბოლო.
 (ჯვარის აღაპი № 145/143).
- 13 (66). ბეშქენ ვარდანისძე, ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავ/გურჯიელი.
 მანდატურ-ტეხტეცისი XIV ს. დასაწყისი — 1329 წ.

III
1329 — 1400 წლები
(სამეფოს გაერთიანების ხანა)

- 14 (69). გიორგი კეოღიძელი.
 მწიგნობარ-ტეხტეცისი 1340/60-იანი წლები.
 (ჯვარის აღაპები № № 96/93, 110/107, 294/292).
- 15 (70). უვარუყაზე II, სამცხის მთავარი.
 ამირსპასალარი 1330/5—1361 წ.
 (ჯვარის აღაპები № № 53/51, 273/269).
- 16 (71). შალვა სამცხისა მთავარი.
 ათაბაგ-ამირსპასალარი 1361—1370 წ.
 (ჯვარის აღაპი № 22/21).
- 17 (72). აღბულა I, სამცხის მთავარი, კანონმდებელი.
 ათაბაგ-ამირსპასალარი 1370—1391 წ.
 (ჯვარის აღაპი № 153/151).

17 (70). ივანე II, სამცხის მთავარი.

ათაბაგ-ამირსპასალარი 1391—1444წ.

(ჯვარის აღაპები № № 223/221, 224/222).

18 (73). ვიორგი (მამიას ძე) დადიანი, ერისთავთ-ერისთავი ოდიშისა.

მანდატურთ-უხუცესი 1345—1370-იანი წ.

(ჯვარის აღაპები № № 107/104, 213/211).

19 (77). ზაზა ფანასკერტელი, ერისთავთ-ერისთავი შვეშეთ-კლარჯეთ-ტაოთა.

შექურტლეთ-უხუცესი 1380/90—1410-იანი წ.

(ჯვარის აღაპები № № 136/134, 138/136).

ამოიგად, ჯვარის მატრიანეებში არაა ჩაწერილი არც ერთი მოსახსენებელი საქართველოს სახელმწიფოს ვაზირთა XIII საუკუნის პირველ ნახევარზე ადრე, ხოლო XIII—XIV საუკუნეებში ჩაწერილია მოსახსენებელი საქართველოს სახელმწიფო 19 ვაზირისა.

III

ჩვენ დრომდე არმოღწეული ჯვარის მთავარი სამონასტრო მატრიანე (პირველი) დალუპულა XII საუკუნის დასასრულს.

ზემოთ წარმოდგენილი მიმოხილვიდან ირკვევა შემდეგი:

1. ჩვენ დრომდე მოღწეული ჯვარის მთავარი სამონასტრო მატრიანე (საალაპე წიგნი), რიგის მიხედვით მეორე ყოფილა, იგი იწყება მე-13 საუკუნის დასაწყისიდან.

2. პირველი მთავარი სამონასტრო მატრიანე — (საალაპე წიგნი, რომელიც შეიცავდა მე-11—12 საუკუნეთა აღაპებს) დაკარგულია.

როდის დაიკარგა იგი?

თავდაპირველად მოვაჭონებთ მკითხველს, რომ იერუსალიმის ჯვარის ქართულმა საეპისკოპოსო მ-12—14 საუკუნეთა მანძილზე ორგზის განიცადა დიდი განსაცდელი, ტყვეობა.

პირველად 1187 წელს, როდესაც იერუსალიმი დაიპყრო სალადინმა. ამ დროს, როგორც მოხსენებული გვექონდა, დახურეს იერუსალიმში ქრისტიანული მონასტრები და მათ შორის ჯვარის ქართული საეპისკოპოსო. ეს პირველი ტყვეობა ათეული წელი გაგრძელდა, 1200 წლის ახლო დრომდე.

მეორე ტყვეობას ადგილი ჰქონდა 1274—1305 წლების მანძილზე, როდესაც მუსულმანური ხელისუფლების დადგენილებით ჯვარის მონასტერი გადაეცა მუსულმანებს, რომელთაც ჯვარის მთავარ ტაძარში გამართეს მეჩეთი (ქართული მშობა 1274—1305 წლების მანძილზე ჯვარის მეტოქეში მკვიდრობს).

ჯვარის მონასტრის ამ ორგზის ტყვეობიდან განსაკუთრებით მძიმე იყო პირველი, მე-12 საუკუნის დასასრულისა.

მეორე ტყვეობა, გადაცემა ჯვარის მონასტრისა მუსულმანთათვის 1274—1305 წლებში, რაც არ უნდა იყვეს, მშვიდობიანობის დროს მოხდა, როგორც მოვიხსენეთ, მუსულმანური ხელისუფლების დადგენილების საფუძველზე.

ხოლო პირველი ტყვეობა ომის შემდეგ მოხდა, როგორც ცნობილია, მე-11 საუკუნის დასასრულსა და მე-12 საუკუნის მანძილზე პოლიტიკური დამოკიდებულება ქრისტიანულ და მუსულმანურ სამყაროთა შორის დიდად დაძაბული და გამწვავებული იყო. 1096 წელს იერუსალიმი დაიკავეს ქრისტიანებმა, ჯვაროსნებმა, შეჰქმნეს აქ ქრისტიანული სამეფო, რომლის არსებობამ თითქმის ნთელი საუკუნე გასტანა, 1096 წლიდან 1187 წლამდე. სალადინმა დაიპყრო იერუსალიმი 1187 წელს ომის შემდეგ და ისევ ააფრიალა იერუსალიმში ისლამის

დროშა. ამას მოჰყვა რეპრესიები ქრისტიანების მიმართ. როგორც მოვიხსენიეთ, ქრისტიანული მონასტრები იერუსალიმში დახურეს.

როგორც გადმოგვცემს იბნ-შედადი, 1192—3 წელს თამარ მეფემ 200.000 დინარი აღუთქვა სალადინს, თუ იგი გაანთავისუფლებდა ტროფის სახით წაღებულს „ჯვარ პატიოსანს“ (რომელზედაც, ქრისტიანული გადმოცემით, ჯვარს აცვეს ქრისტე), და დაუბრუნებდა ქართველებს მათ მონასტრებს. სალადინმა ამ ჯვარად თამარს უარი თქვა.

ხოლო შემდეგ სალადინმა თუმცა არ გაანთავისუფლა თვით „ჯვარი პატიოსანი“, მაგრამ დაუბრუნა ქართველებს საფასურის მიღების შემდეგ, ქართველთა ძველი მონასტრები, მათ შორის ჯვარის სავანე. ეს მომხდარა, როგორც აღვნიშნეთ, მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე, 1200 წლის ახლო.

ამ გარდამავალ პერიოდში, დაწყებული 1187 წლიდან, როდესაც იერუსალიმი ბრძოლებით აიღეს მუსულმანებმა, მომდევნო ათეული წლის მანძილზე, ქართული მონასტრები გაჩანაგებულა, სამონასტრო ქონება დაუტაცებიათ. კერძოდ დაუძარცვავთ სამონასტრო ბიბლიოთეკები და წაუღლიათ ძველ-ქართული ხელნაწერი წიგნები. ხელნაწერები ამ დროს, როგორც აღვნიშნეთ, დიდად ფასობდა.

ქართული სამონასტრო ბიბლიოთეკების გაძარცვისა და ხელნაწერი წიგნების დატაცების შესახებ იერუსალიმის აღების დროს 1187 წელს, და მომდევნო 1187—1200 წლებში, ქართულ წყაროებში შენახულა პირდაპირი ცნობები.

ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ იერუსალიმის აღებიდან (1187 წლიდან) უკვე გასული იყო ნახევარი საუკუნე, ხოლო იერუსალიმის ქართული მონასტრებიდან დატაცებული ხელნაწერი წიგნები ისევ იყიდებოდა იერუსალიმის ქუჩებში.

მოგვყავს აქ ერთი მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ეკუთვნის მე-13 საუკუნის 30-იან წლებს. ეს არის ანდერძი, ჩაწერილი იერუსალიმის ჯვარის ქართულ ხელნაწერში № 67, ჯვარის მონასტრის ძმობის წევრის გიორგი ჯვარელის მიერ.

აი რას მოგვითხრობს გიორგი ჯვარელი:

„... მე სულითა საწყალობელი, მიწაჲ, უღირსი წმიდათა და პატიოსანთა მამათა ჟუარელთა ძმობისაჲ გიორგი ღირს მყო მოგებად წმიდათა ამათ „მარხვათა“ (წიგნსა) დიდსა სიგლახაკესა შინა, შემდგომად ტყუობით გამოსლვისა ხუარახმელთაგან. ესე ყოველთა შემდგომითი შემდგომად მოგეთხრას მაშინდელნი ყოველთა ქრისტიანეთა ქირნი და განსაცდელნი, ოკრებანი მონასტერთა და ეკლესიათანი, რომელ არ სადა დარჩომილა ერთისა წიგნისა ფურცელი. იმრუსალემს შუკათა შინა შთასრულმან ვნახენ ესე ორნი წიგნნი, ერთი ესე, და ერთი „საწინასწარმეტყუელოჲ“, სპარსსა კაცსა ჰქონდეს, მისგან თელაველსა სპარსსა კაცსა ეყიდნეს. მატებითა და მატებითა ძლიე წაუხუშნ ესე. „სადღესასწაულოჲ“ წაიღო, მე სყიდისა ღონე აღარ მქონდა. აწ მოვავსენე მასვე მონასტერსა კაპკათას შინა, გინა გარეთ სუჭტსა შინა, ანუ თუ ჟუარსავე შინა იყვნენ, ვინცა მიემთხვენთ და იმსახურებდეთ ამათ წმიდათა „მარხვათა“, კსენებულმცა ვარ წმიდათა ლოცვათა თქუენთა...“

ეს დოკუმენტი, როგორც აღვნიშნეთ, მე-13 საუკუნის 30-იან წლებს ეკუთვნის. გიორგი ჯვარ ხეარახმელელს ტყვედ ჰყოლიათ წაყვანილი (1225—1230 წლებში), ხოლო ტყვეობიდან გამოსვლის შემდეგ ჩასულა იერუსალიმში და აქ ჯვარის ქართულ სავანეში დამკვიდრებულა. გიორგი ჯვარელის ცნობით, იერუსალიმში მომხდარი „ქირნი და განსაცდელნი“, „ოხრებანი მონასტერთა და ეკ-

ლესიათან“ აუწერელი ყოფილა. კერძოდ დაღუპულა იერუსალიმის ქართულ მონასტერთა ძველი მდიდარი ბიბლიოთეკები, — რომელ არ ხადა დაჩრდილია ერთისა წიგნისა ფურცელი“, — ვადმოგვცემს გიორგი.

სასურადღებოა კერძოდ თავგადასავალი ორი ხელნაწერი წიგნისა, რომლებიც გიორგი ჯვარელს იერუსალიმის შუკაში უნახავს. როგორც ირკვევა, დატაცებული ხელნაწერი წიგნების ნამდვილი აღებ-მიცემობა ყოფილა გამართული. დასახელებული ორი ქართული წიგნი ადგილობრივი იერუსალიმელი მუსულმანისაგან შეუძენია საქართველოდან, თელავიდან ჩამოსულ მუსულმანს, რათა იგი შემდეგ ქართველებზე გაეყიდა. ეს თელაველი მუსულმანი იმდენად ძვირად აფასებდა წიგნებს, რომ გიორგის, დიდი ვაჭრობის შემდეგ („მატებითა და მატებითა“) ძლივს მოუხერხებია ერთი ხელნაწერის შეძენა, ხოლო მეორე ხელნაწერი გიორგის ვეღარ შეუსყიდია და თელაველ მუსულმანს თან წაუღია.

გიორგის მიერ შესყიდული ხელნაწერი ადრე ჰკუთვნებია ქართულ მონასტერს კაპათას, და გიორგის ეს ხელნაწერი კაპათაში გადაუყვია, „რომლისაჲ პირველ ყოფილიყო“.

კაპათას ქართული მონასტერი აშენებული იყო მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში ბაგრატ IV-ის მეუღლის ბორენა დედოფლისა და ბაგრატ IV-ის ასულის მარიამ-მართას, სახელოვანი ბიზანტიის დედოფლის მიერ (რომელიც, დაქვრივების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და სამშობლოში განაგრძობდა მოღვაწეობას). კაპათას მონასტერი ჯვარის მეზობლად მდებარეობდა.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, კაპათას სავანეს დიდი ბიბლიოთეკა ჰქონია. აღსანიშნავია, რომ მე-12 საუკუნის 70-იან/80-იან წლებში ჯერ მარტო ერთ კალიგრაფს, მწერალ ოქროპირს (მე-12 საუკუნის ცნობილი ქართველი ჰამოგრაფის იოანე ანგელის დისწულს) გადაუწერია 25 ტომი „სანატრელთა დედოფალთა მართა და ბრენამას აღშენებულსა მონასტრისა კაპათასა“ (იხ. ანდერძი სინას მთის ქართული ხელნაწერისა № 91). საფუძველი კაპათის ბიბლიოთეკას დასდებია მე-11 საუკუნეში, ბორენა დედოფლის დროიდან, როდესაც იერუსალიმში მოღვაწეობდა „წმიდისა დედოფლისა ბორენამს ვაზრდილი“ განთქმული ხელნაწერთა მწერალი კალიგრაფი იოანე, რომლის შესახებ დაცულია ცნობა, „რომელ გრიგოლ ბროლასა — ათალოკოზ ყოფილისა — აქათა მისებრი და მის უმართლესი მწერალი არა გამოსრულა ქართველთა ნათესავთა შინა“ (ე. ი. მე-11 საუკუნის სახელოვანი მწერალ-კალიგრაფის ათალოკოზ-ყოფილის გიორგი ბროლას შემდეგ ქართველთა შორის არ გამოიხეილაო „მისებრი და მის უმართლესი მწერალი“, ისეთი სწორუბოვარი წიგნთა გადაწერელი კალიგრაფი, როგორც „წმიდისა დედოფლის ბორენამს ვაზრდილი“ იოანე მწერალი იყოო. — იხ. ანდერძი გრიგოლ ნახრუხანასძისა, დაცული ჯვარის მონასტერში გადაწერილ ხელნაწერში, რომელიც შემდეგ ველაში იყო ჩამოტანილი, № 25).

ხოლო მთავარი ბიბლიოთეკა ქართული ხელნაწერებისა იერუსალიმში ეს იყო წიგნთსაცავი ჯვარის ქართული სავანისა, რომელსაც საფუძველი დაუდგა მე-11 საუკუნის პირველი ნახევარიდან დღეა ქართველმა მოღვაწემ გიორგი-პროხოზე ჯვარელმა, რომლის დაეალებით, როგორც წყაროებიდან ირკვევა, მზადდებოდა ჯვარის ქართული სავანისათვის ხელნაწერი წიგნები როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქართული მწიგნობრობის განთქმულ ცენტრებში, საბერძნეთში — ათონზე, და ანტიოქიის სანახებში — შავ მთაზე. კერძოდ გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი მოგვითხრობს, რომ როდესაც ბაგრატ IV-ის დედის მარიამ დედოფლის დაეალებით გიორგი მთაწმიდელი 1056 წელს ჩავიდა იერუსალიმში, „ნეტარი მამამ პროხოზე მაშინ ოდენ ჟერისა მონასტერსა აშენებდა; ესე იხილა და საფასითა ფრთად შეეწია; ხოლო ღირსი იგი ბერი (პროხოზე) ევედრებოდა (გიორგისა), რათა პირველი იგი ნაყოფი წმიდათა წიგნთა მისთა ცხოველს-ყოფელსა ჯვარსა მთაწმიდისა, რომელი დალაკათო მაშინ ვერ იქმნა, ხოლო უკანასკნელ, შემდგომად პროხოზეს მიცვალებისა, მოწაფეთა მისთა ნებაჲ მისი აღასრულეს“, — პროხოზეს მიცვალების შემდეგ გიორგი მთაწმიდელის შრომები მისმა მოწაფეებმა ჯვარის მონასტრისათვის გადასწერეს და გადასცეს ჯვარის წიგნთსაცავს.

ამრიგად ირკვევა, რომ იერუსალიმის აღების შემდეგ სალადინის მიერ 1187 წელს, და მის მომდევნო ათეულ წელიწადში, 1187—1200 წლებს მანძილზე იერუსალიმის სამონასტრო ბიბლიოთეკები, და მათ შორის მთავარი საცავი ქართული ხელნაწერებისა იერუსალიმში, ბიბლიოთეკა ჯვარის ქართული სავანისა, საესებით განადგურებულია, იმდენად, რომ როგორც გადმოგვცემს გიორგი ჯვარელი, — „არ სადა დარჩომილა ერთისა წიგნისა ფურცელი“.

ეს ნათქვამი, რასაკვირველია, არ უნდა გავიგოთ მთლად სიტყვა-სიტყვით; ჯვარის ბიბლიოთეკის ზოგიერთი ცალკეული ხელნაწერები გადაურჩენია ჯვარის მონასტრის ძმობის წევრებს; ზოგიერთი ხელნაწერი შემდეგ ტყვეობიდან გამოუსყიდიათ; ხოლო ფაქტი ის არის, რომ ამ წლებში იერუსალიმის სამონასტრო ბიბლიოთეკები, და მათ შორის ჯვარის ქართული სავანის უმდიდრესი წიგნთსაცავი — დაღუპულა.

გასაგებია ამის შემდეგ, რომ ამ დროსვე დაღუპულა იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანის პირველი სამონასტრო მატიანე.

რომ იერუსალიმის ჯვარის პირველი სამონასტრე მატიანე, რომელიც მოიცავდა მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეთა ალაპებს, დაღუპულა მე-12 საუკუნის ბოლოს, ამას აგრეთვე შემდეგი ადასტურებს.

ჩვენ უკვე საუბარი გვქონდა იმის შესახებ, რომ მე-14 საუკუნის დასაწყისში, 1305—1307 წლებში, წესრიგში მოიყვანეს ჯვარის სამონასტრო მატიანეები (იხ. ზევით, გვ. 174). კერძოდ ამ დროს შეადგინეს სრული ნუსხა „მოძრავი კალენდარის“ ჯვარის მონასტრის ყველა ალაპებისა; ეს სრული ნუსხა დაცულია ჯვარის მონასტრის ალაპების ტიშენდორფისეულ ხელნაწერში.

ხოლო ტიშენდორფისეული ხელნაწერის შესწავლიდან ირკვევა, რომ აქ შეტანილია ალაპები მხოლოდ მე-13 საუკუნისა და მე-14 საუკუნის დასაწყისისა, აქ არ არის ალაპები მე-11 და მე-12 საუკუნეთა.

პირველწყაროების პრეციზული ანალიზის შედეგად უდავოდ დასტურდება, რომ „მოძრავი კალენდარის“ ჯვარის მონასტრის ალაპთა სრული ნუსხის შედგენის დროს 1305—1307 წლებში ჯვარის მონასტრის მდივან-მწიგნობრებს ხელთაჰქონიათ მხოლოდ მთავარი საალაპე წიგნი მე-13 საუკუნისა და „მოძრავი კალენდარის“ სპეციალური საალაპე წიგნი მე-13 საუკუნისა და მე-14 საუკუნის დასაწყისისა. ხოლო პირველი მთავარი საალაპე წიგნი, რომელიც მოიცავდა მე-11 და მე-12 საუკუნეთა ალაპებს, ჯვარის მონასტრში ამ დროს უკვე აღარ მოიპოვებოდა, იგი დაკარგული ყოფილა.

ჩვენ ამით დავსარულვებთ ჯვარის მატიანეთა ამ წინასწარ მიმოხილვას. ირკვევა ამრიგად, რომ ჩვენ დრომდე მოღწეული მატიანეები მე-13 საუკუნის დასაწყისიდან იწყება.

ამის შემდეგ ჩვენ მოვახდენთ მოგზაურობას მე-13 და მე-14 საუკუნეებში ჯვარის მატიანეების მოსახსენებელთა მიხედვით, და დავადგენთ ვინ — ვინ იყო, და ვისი მოსახსენებელი მატიანეში როდის იყო ჩაწერილი.

(გაგრძელება იქნება)

„მიწა და ვარსკვლავები“

ნოდარ გურგენიძის პოეტური ზედეის ხასიათი ძირითადად უშუალობასა და გულწრფელობაში ჩაის. იგი ერიდება ზელოვნურ გართულებებს, ეგრეთწოდებულ თვითნებურ გამოგონებებს.

ნოდარ გურგენიძის ლექსების ახალი კრებული „მიწა და ვარსკვლავები“ ცალმხრივად ან-ვითარებს და სრულყოფს მისი პოეზიის საერთო თვისებას. ამ კრებულში ავტორის მხატვრული დონე არ არის მთლიანი და ლოგიკური, საერთოდ ყველა ლექსის მხატვრული დონის გათანაბრება ლექსის „მკეთებელთა“ საქმე, ნასწაველი წერის შედეგია. ნამდვილი პოეტური შემოქმედება კი ზოგჯერ ვითარდება და ერთი ძირითადი მხატვრული პრინციპისკენ მიემართება. სწორედ ამ ძირითად პრინციპს ვგულისხმობთ, როცა ნ. გურგენიძის ახალი წიგნის ცალმხრივობას აღვნიშნავთ. ავტორი თავისი პოეტური ზედეის ერთგული, ძირითადად, მხოლოდ მაშინ რჩება, როცა მისი პიროვნებისათვის ორგანულ თემებზე წერს, აქ ინარჩუნებს იგი დრმა მხატვრულ უშუალობას და სინამდვილესთან თავისი პოეტური ურთიერთობის გულწრფელად გამოცემის ხერხს.

ლექსში „ფშავეის ჩვენებანი“ ავტორი მხატვრული ტაქტით, უშუალო და ორგანული ემოციებით ვაღმოსცემს თავის პოეტურ ფიქრსა და პირად ჭოხიციას. ვადაუპირებლად შეიძლება ვთქვათ, რომ პოეტი არც ერთ ეპიზოდში არ ტყუის. დამაჯერებელი განცდით, გარემოს პოეტური ცოდნით, იგი მკითხველთან ემოციურ კავშირს ამყარებს. აქ არსად არ არის პირდაპირ ნათქვამი ვეფხე-ფშაველას სიდიადეზე, მისი პოეტური გენიის შესახებ, მაგრამ პოეტი ცხადად გვაგრძნობინებს დიდი პოეტის ფილოსოფიურ-პატრიოტული იდეების უცვლადებას.

ფშაველის ვაჟები
დამარცხებულ მტერს მიჰყვიან,

ნოდარ გურგენიძე, „მიწა და ვარსკვლავები“, „საბჭოთა მწერალი“, 1962.

მთელი ლაშქარი არაგვივით შფოთავს და
ლეღავს,

ზახტრევისის თავზე
ავარდნილა ბიჭი კვირია,
მანდილს ვით დროშას,
აფრიალებს თვალმაგი ლელა.

ლექსის ყოველი მხატვრული დეტალი მოქცეულია საერთო განწყობილების ხასიათში.

ლოგიკური განწყობილების სურათთა შექმნილი ლექსში „ახლა აქ რატომღაც ვინატრე ძალიან...“ აქაც ერთგულად ინარჩუნებს იგი უშუალობასა და გულწრფელობის პრინციპს. ლექსის ღირსეული გმირის ინტიმურ გრძნობას ავტორი არ ჰკეტავს სუბიექტურ სფეროში, აღაშიანურ ნატერას, პირად სურვილს პოეტი ვადმოსცემს განზოგადოების ფორმით. მკითხველი ხსნის ავტორის ნატერას, მისი ოცნების ობიექტურ საფუძველს, მისთვის გასაგებია, რატომ ამბობს უცხოეთში მოგზაური პოეტი:

რატომღაც მინდა, რომ სადმე აქ იყო,
უბრალოდ დანახვა მომიინდა,
რატომღაც მომიინდა, რომ სადმე აქ იყო,
შემთხვევით შეგხედო შორიდან.

ნოდარ გურგენიძე უშუალო შთაგონების პოეტია, იგი ვინაობს არ აიძულებს ხოლმე თავს. ამ უშუალო პოეტური შთაბეჭდილებებიდან მოდის სწორედ მისი ლექსების მეტრულ-ინტონაციური მრავალფეროვნება და გაშლილი ემოციები.

ნოდარ გურგენიძის ლექსების წიგნს ერთგვიანი ცალმხრივობაც ახასიათებს ლექსებში: „დედამიწის გეოგრაფია“, „საქართველო“ და „საბურთალოსზე“, ავტორი დალატობს თავის ძირითად მხატვრულ პრინციპს. თუ იგი ლექსების ერთ ნაწილში მთელი შეგნებით და პასუხისმგებლობით იცავს მხატვრული სიმართლის, მხატვრული გულწრფელობის პრინციპებს და თავის მხატვრულ პოზიციას ავლენს სინამდვილის პოეტურ წარმოსახვაში, საგნებისა და მოვლენების მხატვრული გარდაქმნის პროცესში. ზემოთ დასახელებულ ლექსებში ავტორ-

რო ერთგვარად უგულბებულყოფს მხატვრული სიმართლის კანონს და მშრალი აღწერებით კმაყოფილდება. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეთიშება საკუთარ თავს, პოეტურ აღლოს და პასიურადაა განწყობილი სინამდვილისადმი.

საბურთალოზე მცხოვრებლებს დილით ბუღდოზერების გვესმის ხმაური, დაგრუხუნებენ ამწეები, ცისკენ აწვდილი, აგურს ზიდავენ მანქანები აურზაურით.

(„საბურთალოზე“)

ასეთი გულგრილი სურათები არ ეპატება ამ სტრიქონების ავტორს:

გულში სიცოცხლე ლექსად დახარჯა,
შარადისობის კარებს რომ ამტვრევს...
მე მისხანაებით ებღუჯავდი ხანჯალს

თანამედროვე ქართული ლექსი

როგორც არა ერთხელ აღნიშნულა, ქართულ კრიტიკის ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ ზოგჯერ მას არ ემარჯება ნაწარმოების მხატვრული ჭიკოძის ანალიზით ცხადყოფის მისი იდეური ღირებულება. ზოგჯერ ქართული მხატვრული კრიტიკა გაურბის ნაწარმოების ფორმის ანალიზს, ან იშვიათ შემთხვევაში ძმლვეა ნაწარმოებს გამოსახებით ხერხების იზოლირებულ განხილვას. ნაწარმოების იდეურ-სოციალური ანალიზისაგან გამოკალკეებული განხილვა ფორმისა, მეტაფიზიკურ-ფორმალისტურ ხასიათს ატარებს და ვერ იძლევა პასუხს კითხვებზე, თუ რამდენად იკავს ესა თუ ის ნაწარმოები იდეურ-მხატვრული სრულყოფილობის პირობას — შინაარსის და ფორმის ორგანული ერთიანობის პრინციპს. შინაარსი და ფორმა ლიტერატურასა და ხელოვნებაში გაუთიშავია, — საზოგადოებრივი ცხოვრება, სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური იდეები მხოლოდ მაშინ იქცევა ხელოვნების შინაარსად, როცა ისინი განსაზღვრებულნი არიან ე. ი. გადმოცემული არიან სახეებით, ზღვის გრძნობებზე, აზრებასა და ნებისყოფაზე მოქმედი ხატოვანი ფორმით, რომელიც აღვივებს შემოქმედებით აქტიობას მკითხველსა თუ მაყურებელში. ფორმისა და შინაარსის ერთიანობა, როგორც წესი, მიღწეულია ხელოვნების ყოველ დიდ ნაწარმოებში. როცა ეს ერთიანობა ირღვევა, როცა ფორმა თვალში უკვევა, როცა მას ჩვენი ყურადღება თავისთავებზე გადააქვს, — ეს არის ნიშანი იმისა, რომ

და მთელი ღამე ევბრძოდე დანტესს,
(„მე წუხელ ღამით“)
გადაირევა,
აფანცდება წყალში კალღობილი
და ცისფერ წინწყლებს
ქვირითივით დაყრის ნაპირზე.
(„ფშავის ჩვენებანი“)

ნოღაი გურუშიძემ უკვე გამოამკლავა და დაამტკიცა კიდევ თავისი პოეტური ნიჭი და მხატვრული შესაძლებლობა. მისგან ბევრ კარგ ლექსს მოვლის მკითხველი.

ყველა ლექსის მხატვრული დონის გათანაბრება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ არის ნამდვილი შემოქმედის საქმე, მაგრამ ძირითადი მხატვრული პრინციპისადმი, ინდივიდუალური პოეტური სტიქიისადმი განუწყვეტელი ერთგულება კი აუცილებელ პირობად მიგვაჩნია.

მ. ბერიძე

ნაწარმოები არ არის მალაი ღირსების, ე. ი. ან ფორმა ჩამორჩება შინაარსს, ან თვით შინაარსი არის ყალბი და უსუსური. დაღვივალი კლასების ხელოვნებაში მეტისმეტად დახვეწილი ფორმა მოწყდება ხოლმე შინაარსს; ეს ხდება მაშინ, როცა ხელოვნება იფარგლება მხოლოდ უბრალო თამაშის, გართობის ამოცანებით, მისწრაფებით დაამორჩოს მკითხველი სინამდვილის საშინელებას, შესრულოს გამართობისა და დამატკობელის როლი. სწორედ ასეთ ვითარებაში ხელოვნების ესთეტიკური ფორმა იქცევა ესთეტიკად, ჩნდება სხვადასხვაგვარი ანტირეალისტურ ანტიხალბური მიმდინარეობა, რომლის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს კაპიტალისტურ დასავლეთში ამჟამად გავრცელებული აბსტრაქციონიზმი.

ფორმის და შინაარსის გათიშვლება თავს იჩენს ხოლმე რევოლუციური კლასების ხელოვნების განვითარების პირველ ეტაპზე, როცა მხატვრული ფორმა ჩამორჩება მის რევოლუციურ-იდეურ შინაარსს, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, საბჭოთა მწერლობის და ხელოვნების განვითარების პირველ წლებში. ახალი შინაარსის შესაბამისი ფორმის ძიება, ახალი მხატვრული ოსტატობის მოპოვება დიდ ამოცანას და ერთ მთავარ პირობას წარმოადგენდა და წარმოადგენს შინაარსით ახალი, სოციალისტური ლიტერატურის და ხელოვნების განვითარებისათვის. ფორმის მნიშვნელობის დაუფასებლობას, უგულბებულობას და ზოგჯერ სრულ უარყოფის არაფერი საერთო არა აქვს მარქსისტულ ლენინურ-ესთეტიკურ მოძღვრებასთან და ჭეშმარიტ საბჭოთა მხატვრულ კრიტიკასთან.

შინაარსის და მხატვრული ფორმის ერთიან-

ა. ხინთიბაძე, პოეტური ხელოვნების საკითხები. „საბჭოთა საქართველო“, 1962 წ.

ნობა, მისი დიდი მნიშვნელობა აჩვენებდა იქნა ზანჯანში აღნიშნული ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, კერძოდ, 7-8 მარტს მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს წარმოთქმულ სიტყვაში, თვით დასათარებმა ამ სიტყვის ფორმული „მალაი იდეურობა და მხატვრული ოსტატობა საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების დიდი ძალაა“, — მოწმობს იმას, თუ რა დიდ ძალად მიაჩნია პარტიას მხატვრული ფორმა, ოსტატობა.

მალე მხატვრულ ფორმაში განსაზღვრებული პარტიული იდეურობა — ასეთია ძირითადი თვისება ყველა იმ საბჭოთა ნაწარმოებისა, რომელშიც საყოველთაო აღიარება მოიპოვა შინ და გარეთ.

საბჭოთა ლიტერატურამ მისი მოწინავე წარმომადგენლების სახით ახალი შინაარსის შესატყვისი ფორმის, ახალი გამოსახვითი ხერხების ძიებაში დიდ შედეგებს მიაღწია. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჩვენ არ გვეჩვენებოდა თვისობრივად ახალი სოციალისტური ლიტერატურა, რომლითაც ამჟამის ჩვენი ხალხი, ამიტომ საბჭოთა ლიტერატურის მხატვრული ოსტატობის შესწავლას, ცალკეულ მწერალთა მიერ მიღწეული და მოპოვებული გამოსახვითი ხერხების განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის განვითარებას და აღმავლობისათვის.

კერძოდ, უდავოა ქართული საბჭოთა პოეზიის მონაპოვარი ახალი მხატვრული ფორმების ძიების სფეროში. სწორედ ამ სფეროში მოპოვებული მიღწევებით დღევანდელ ქართულ ლექსში, ვაძლიერდა გამომსახველობა, შთანხმებლობა და ეპოციურობა.

ჩვენი იშვიათი მკვლევარი, რომელსაც შესწავლის საგნად გაეხადოს საკითხი, თუ რა სიბუნდო შეიძინა ქართულმა საბჭოთა ლექსმა ახალი შინაარსის შესატყვისი ფორმის ძიებაში, თუ რა დონეზე დგას ამ მხრივ დღევანდელი ქართული პოეტური ხელოვნება. ახლახან გამოცემული შრომა ლიტერატურისმცოდნის აკაკი ხინთიბისა „პოეტური ხელოვნების საკითხები“ ნაწილობრივ უნასუბებს ამ კითხვას და რამდენადმე აქვს ბარეზს ქართული ლიტერატურისმცოდნეობის ამ დარგში. არ შეიძლება ითქვას, რომ ქართული პოეტური ხელოვნების ცვლივის საქმეში ზემოთხსენებულ ავტორს უხდება ყაპრის ვატეხა. შორეულ წარსულს (მ. ბარათაშვილს, იოანე და თეოდორე ბაგრატიონებს) რომ თავი დაეანებათ, ქართული პოეტის საკითხებზე უფროსწინათ და შრომებიც გამოუქვეყნებიათ ლ. ისარლიშვილს, ალ. ცაგარელს, კირიონს და გ. ყიფშიძეს, ე. დოდაშვილს, სერგო გორგაძეს, მ. კვლევჩიკინს, პ. მიჩაინაშვილს და სხვ. ვაძლიერდა ქართული პოეტის შესწავლა საბჭოთა

პერიოდში. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია აკ. ვაწერელიას ეპიტალური შრომა „ქართული კლასიკური ლექსი“, ე. კივიჩაძის „ვალტერ-რაიკი ვეფხისტყაოსანში“, ანტონოვიძის „ქართული ლექსი“, „ნ. ბარათაშვილის სემანტიკა“ და სხვ., ს. ჩიქოვანის „პოეტური სინათლე და სისადავე“, ს. ვაჩეჩილას „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“, ილ. მაისურაძის „პოეტური ენის თავისებურება“, გ. ციკანის „მეტყველების სტილის საკითხები“. პან. ბერაძის „რუსთაველის ლექსის რიტმი“ და სხვ.

„პოეტური ხელოვნების საკითხების“ ავტორია აკ. ხინთიბიძე მხედველობაში იღებს ზემოხსენებულ ავტორთა დაკვირვებებს და დასკვნებს, ქართული საბჭოთა ლექსის თავისებური ფორმისა და გამოსახვითი ხერხების ანალიზს ახდენს არა გამოთიშულად, არამედ კლასიკურ ლექსთან და მის შესახებ გამოთქმულ დებულებებთან კავშირში. ავტორი მტკიცად იზიარებს წინანდელ მკვლევართა აზრებს, აღრმავებს და ავითარებს მათ, ზოგს სადავოდ მიიჩნევს და უარყოფს, საფუძვლიანად ასაბუთებს რა თავის მოსაზრებებს. მკვლევარს ყურადღების გარეშე არა აქვს დატოვებული ის ცნაურ დასკვნები, რომელიც მწერალთა კავშირში იმართებოდა ფორმალისმის გარშემო, ფორმალისტური გადახრების წინააღმდეგ. და ის პოლემიკაც, რომელიც ამას წინათ ქართული რითმის გარშემო გაიმართა „ლიტ. ვაზეთის“ ფურცლებზე ალ. მირცხულავასა, ვ. გაბესკიასა და ვ. შავერაძის შორის. მიმდინარე ცოცხალი ლიტერატურული სინამდვილიდან მოტანილი ფაქტები და მათი გაშუქება იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომელთაც გარკვევას და გადაწყვეტას აკ. ხინთიბიძე ისახავს, მის შრომას აზღვევს ავადმიერი სიმშრალისაგან, სიცოცხლეს მატებს გამოკვლევას, აძლიერებს ინტერესს მისადმი.

შრომა შეიცავს ქვეს თემას: 1) პოეტური ენის შესწავლისათვის, 2) პოეტური ენის რეალისტურობის ძირითადი ნიშნები, 3) მეორე პერიოდის ადგილი ქართულ ლექსთწყობაში, 4) თანამედროვე ლექსის საზომები, 5) რითმის ზოგიერთი საკითხი, 6) ტ. ტაბიძის რითმი. ჩვენი რეცენზის ამოცანის ფარგლებს სცილდება ავტორის მიერ ამ საკითხებზე გამოთქმული მოსაზრებების დაწვრილებითი განხილვა და შეფასება. ეს არის საჭმე პოეტის საკითხებში საფუძვლიანად განწავალირი სპეციალისტებისა და საგანი ფართო დისკუსიისა მკვლევართა და თანამედროვე პოეზიის შემოქმედელ ძილების აქტიური მონაწილეობით. ასეთ ფართო განხილვას აკ. ხინთიბიძის გამოკვლევა უნათოდ იმსახურებს, რაგორც ხანგრძლივი დაკვირვებულ და ინტენსიური შრომის ნაყოფი.

ჩვენ მხოლოდ გაკვირვებით შევხებით ავტორის ზოგად თეორიულ დებულებებს. უდავოდ სწორ

ე. გუგუშვილი მოგვითხრობს, თუ როგორ დაიბადა ბავშვური გატაცებიდან ნამდვილი და დიდი სურვილი აქტიორად ქცევისა, როგორ ზრდიდა ამ სურვილს ქუთაისელ გიმნაზიელში ლადო შესხიშვილის პერიოქულ-პატრიოტული რეპერტუარი, მისი აქტიორული და მოქალაქეობრივი ბიოგრაფია. ლადო შესხიშვილის შემოქმედებამ და რევოლუციურმა სულმა ამაღლა ქაბუკის წარმოსახვები აქტიორის საზოგადოებრივი როლი და თუმცა ოცნებას ღრობით ელაღაბა — კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა, მას თინდათან უძლიერდებოდა ხელოვნებადმი სიყვარული და ამ სიყვარულმა საბოლოოდ აკაო ფაღავას თეატრალურ სტუდიაში მიიყვანა უკვე 27 წლის ვაჟაკი.

1922 წლიდან იწყება აკაო ხორავას ახალი ცხოვრება. იგი საბჭოთა საქართველოსთან ერთად დაიბადა როგორც მსახიობი. ვაიხარდა და დაეაყავა და ახლა როცა ეს წიგნი გვხვარება გადახედოთ ვრცელ გზას, რომელიც მოუღწევს მოაზივებს ეს ნიჭიერი შემოქმედი, ამ გზის გათვალისწინება ვალდებულს გხდით პატრივი სკეთ ადამიანს, რომელმაც თავისი სისხლ-ხორცი და სული არ დაიშურა, რათა ქართულ სცენას ჰყოლოდა ღირსეული ლერტი და ბერსენვეი, განუშეორებელი ანზორი და კარლ მოორი, გენერალი მურავიოვი (ბ. ჩიბსკოვის „გამარჯვებულნი“) და გიორგი სააკაძე, დაუციყარი ასენა, ოტელი, პლატონ კრეჩერი, დიდი ხელმწიფე, ოიდიპოს მეფე და კიდევ „უბრალო მოკვდები“ თუ სახალხო გმირი, მეფე თუ მხედართმთავარი.

წიგნი წათლადა მინიშნებელი, თუ როგორ ყალიბდებოდა ხორავა — აქტიორი, როგორ მიაცილეს. მისმა აღრინდელმა გმირებმა, თუნდაც იოჰანანაშა (ოსკარ ფონდის „სალომეა“) უსახელომ (ერნსტ ტოლერის „კაცი — მასა“), ლერტიმა (შექსპირის „ამლეტი“) თავის ქვეშარტ გმირულ-რომანტიკულ გზაზე, როგორ აღმოაჩინა გმირობისა და რომანტიკის მადლი მასში დიდმა ქართველმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა და როგორ დააყენა მკვიდრად იმ რეალისტურ გზაზე, რომლის ერთგულიც იყო ქერ კიდევ რევოლუციამდელი ქართული თეატრი. კოტეს სპექტაკლებში გაზრდილი ა. ხორავა შედრეგა ზედხედვლ აღწერს შემოქმედებებით წარმტებებს, ე. მარჯანიშვილის მოწაფის — სანდრო ახმეტელის დადგმებში. ე. გუგუშვილი ხაზგასმით აღნიშნავს ამ ორი დიდი რეჟისორის დიდ ღვაწლს ხორავა-აქტიორის გამოიქრწავაში: „თუ კოტე მარჯანიშვილისაგან აქ ხორავა სწავლობდა ადამიანის ფსიქოლოგიის ერთგულსი ხვეულებებისა და ნიუანსების ღრმა დაკვირვებითა და ფაქიზად გადმოცემას, თუ ამ დიდი რეჟისორისაგან მან შეითვისა მალალი საშემხრულებლო კულტურა და მტკიცედ დაამკვიდ-

რა რეალისტური და პერიოქულ-რომანტიკული ტენდენციების კალაპოტში, სანდრო ახმეტელისგან მან თითქოს შემევიდრებოთ შიშლანაწარმოების შინაგანი რიტმის შეგრძნებისა და გაკეპის, მისი პლასტიკური გამოსახვის, გმირთა მახვილი და ამავე დროს არავეულებრივად ღრმად ეროვნული დახასიათების ბრწყინვალე უნარი“.

აქტიორი დამაქრებლად აკვიწრს, ნიჭმა და გამოცდილებამ როგორ აქცია ა. ხორავა რუსთაველის თეატრის წამყვან მსახიობად.

წიგნს ვასლევს მსახიობისადმი სიყვარული და სიბოძო, მიუღდომლობა; დიდ აქტიორულ მიღწევებთან ერთად აქ ლაპარაკია სუსტ როლებზე. და, კერძოდ, მეფე ლირზე, გლუშკოვზე (ა. ისტრუესკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“). კარგადაა გამოყენებული ის წერილები, რომლებიც გამოუქვეყნებია ა. ხორავას ქართულ ან რუსულ პრესაში. ეს წერილები გვეხვარება უკეთ გავერკვეთ მის მედიოდში, უკეთ დაივინახოთ მასში შემოქმედი და ადამიანი.

ამ ჩინებულად დაწერილ მონოგრაფიაში აგრძნობა ზოგიერთი არაქართული გამოთქმა. წინადადებები ზოგჯერ გადატვირთულია უცხო სიტყვებით.

ეს სიტყვები მით უფრო მოგვხვდა თვალში, რომ ისანი ხშირად აბუნდოვანებენ ახრს დაფანტავენ მკითხველის ყურადღებას.

დაბოლოს, ე. გუგუშვილი წერს, რომ აკაო ხორავასათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს ნახევარტონებს, ელერადობის კამერულობას, რომ იგი აზროვნებს ფართოდ და მასშტაბურად (გვ. 57).

ვანა ფართო აზროვნება გამოიციხავს ნახევარტონებს, ან ხორავას შემოქმედებაში ვითომ ასე ნაკლებმნიშვნელოვანია იგი? ვაგისენოთ თუნდაც როგორ წარმოსთქვამდა მისი კარლ მოორი სიტყვებს, როდესაც ასე დააქვარინა და დააფიჭა შეიციერის მიერ შიიკულბერგის მკვლელობამ: ზეს რომ ფოთლები დასცივია, ჩანს ჩემი შემოდგომა და მდგარა... ან კიდევ ყვავილების სცენა „მეფე ლორში“, ოტელი, ოიდიპოსი ან გიორგი სააკაძე ვანა გამოიციხავს ნახევარტონებს, ამ სიტყვის, გნებავთ, ვიწრო, ანდა ფართო გაგებით?!

ასეთია ჩვენი შენიშვნები წიგნის მიმართ რომელშიც ლამაზადაა მოთხრობილი ერთ-ერთი დიდი და ჩვენითვის ესოდენ საყვარული მსახიობის ცხოვრებასა და შემოქმედებამზე.

ს. მესხის წერილების კრებული



სერგეი მესხი XIX საუკუნის გამოჩენილ ქართულ მოღვაწეთა შორის მიჩნეულია ქართული პერიოდული პრესის მამამთავრად, კუშმარიტ პუბლიცისტად, რომელიც პროგრესულ გზაზე იდგა და მოწინავე აზრების პროპაგანდითა და გაერცელებით ცდილობდა ჩვენი საზოგადოების კეთილდღეობისთვის. ქართული უფრანალისტის ისტორიაში სერგეი მესხი დარჩება როგორც დიდი კულტურული წამოწყების ერთი ექტრანათავანი და მეტად საინტერესო დივერსი XIX საუკუნის ქართულ მოღვაწეთა სახელოვანი პლადისა, რომელშიც შეგვხვდება უაზრევი თავიანთი პირადი დიდება, კეთილდღეობა და ზეო ჩასკიდეს მეტად მძიმე, ხშირად უმადურ, მაგრამ ერთსავეს მეტად საჭირო—სამოღვივლო საქმეს.

მეტრიალურად ეუფ პირობებში მყოფ გაზეთ „დროებას“ სერგეი მესხმა შეაღო მთელი თავისი ახალგაზრდობა, ენერჯია და ძალღონე, ის იყო რედაქტორიც, განყოფილებათა ხელმძღვანელიც, სტილისტიც, კორექტორიც, გამომწვევბიც, ექსპედიტორიც, ზოგჯერ ასოთამწიყობიც და კიდევ ვინ მოსთვლის, თუ რამდენ საქმეს ასრულებდა. 14 წლის განმავლობაში ს. მესხი თავს დასტრიალებდა თავის საეყარელ საქმეს — გაზეთის გამოცემას. მისი დაუცხრომელი შრომათა და ნიჭიერი ხელმძღვანელობის შედეგად ერთადერთი ქართული ყოველკვირეული გაზეთი „დროება“ შედარებით მალე, ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა და შეიქმნა ცენტრად, რომლის გარშემო თავს იყრიდა ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი დემოკრატიული მოახროვნე ინტელიგენცია.

სერგეი მესხს სწამდა, რომ ყარე გაზეთს დიდ შემეცნებობით და აღმზრდელიობითი მნიშვნელობა აქვს. მას სტიმულს აძლევდა მაღალი შეგნება და მტკიცე რწმენა იმისა, რომ ის სამშობლოს ემსახურებოდა. თუ არა ეს მაღალი შეგნება და ენტუზიაზმი, სხვა რა ძალას უნდა ესაზრდობინა ს. მესხის გრძნობა და გონება, 14 წლის განმავლობაში ენერჯიის არადაღიანური დაძაბვით ეწარმოებინა სამაგალითო საზოგადოებრივი მუშაობა?

სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში არ ყოფილა არც ერთი აქტუალური საკითხი, რომელსაც არ შეგებოდეს და თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას იმ ნიჭიერ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს.

ამდენად მისისაღმებელია იოსებ ბოცვაძის მიერ მონღობებითა და სიყვარულით შედგენი-

ლი, წინასიტყვაობითა და შემწმენქმბრე ცუფრეცემული სერგეი მესხის თხზულებათა სამტომეულის I ტომის გამოცეოა. ამ ტომში შესულია 1868—1874 წლებში გამოქვეყნებული ს. მესხის წერილები, რომელნიც მკაფიოდ ახასიათებენ წერილის ზნობრივ-საზოგადოებრივ მიმართულებას და გვაცნობენ იმდროინდელი ცხოვრების საჭირობოტო საკითხებს.

სერგეი მესხის თხზულებათა ეს ტომი იმითაა საინტერესო, რომ აქ მოთავსებულია უხვი, ნაირღვრავანი და მდიდარი მასლა, რომელიც ნათელს დენს ჩვენი ქვეყნის წარსულ ცხოვრებას.

წერილების დიდი ნაწილი საქართველოს შინაღრ საკითხებს ეხება. ჩანს, „დროების“ რედაქტორი შინაღრ მოვლენებს დროულად ეხმაურებოდა და საზოგადოებრივ აზრს ამაზღებდა.

ასევე ავტორის ურადღების ცენტრშია როგორც გაერე ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და ყოფის საკითხები. ისე გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების აღწერა-ბიოგრაფია, რომლებსაც სამშობლოს თავისუფლებისათვის თავი შეუწირავთ ან სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ უბრძოლიათ. ასე, მაგალითად, თხზულების 199—204 გვერდებზე მოცემულია იტალიის გაერთიანებისა და რესპუბლიკური მმართველობისათვის დანულიავი მებრძოლი მადინის მოკლე, მაგრამ საინტერესოდ დაწერილი ბიოგრაფია. 182—187 გვერდებზე მოთხრობილია არსენას ბიოგრაფია—დაბასიათება, რომელიც თავდება ასე: „ქართველი გლეხი თავის დღეში არ დაიოვიყებს ამგვარ კაცს და იმის სხეულებსაც ყოველთვის იტყვის: „აქაც კარგი ბიჭი იყავ, იქ ნათელი დავადგეს“. ახალგაზრდობის აღზრდისათვის, მათი სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებისათვის ამგვარ წერილებს უდიდესი აღმზრდელიობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

კუშმარიტად, სერგეი მესხის შრომა „სასარებლო დარჩა ქართველი საზოგადოებისათვის, გაზეთისაგან კეთილი გზების ჩვენებამ“ შესაფერისი ნაყოფი მოიტანა.

წიგნს დართული აქვს კომენტარები და შენიშვნები, რომელიც მაღალ მეცნიერულ დონეზე დგას და მკითხველს უადვილებს მრავალ ნაინტერესო საკითხში გარკვევას. კომენტარები საინტერესო მასალებს გვაწვდიან იმ პერიოდის ქართული საზოგადოების ცხოვრების შესახებაც.

დღევანდელი მკითხველიც სიამოვნებით წაკითხავს ამ თხზულებას და მაღლობის გრძნობით აღივსება როგორც შემდგენელის, ისე გამოცემლობის მიმართ.

პრ. ნადარეიშვილი.

ახალი წიგნები

გამომცემლობა „ლიბრარტურა და ხალოვნება“

- დიმიტრი ჭანელიძე — ვალერიან გუნია. რედ. ნ. გურაბანიძე. გვ. 51, ფასი 31 კაბ.
აპულეუსი — ოქროს ვირი. თარგმ. თამარ ყიფიანიძე. რედ. სიმონ ყაუხჩიშვილი.
გვ. 282, ფასი 1 მან.
ბლასკო იბანიესი — სისხლი და ქეიშა. თარგმ. ბორის შირცხულაშვილი. რედ. ნ. ხო-
მერიკი. გვ. 292, ფასი 1 მან. 20 კაბ.
ბასილ მელიქიშვილი — მკერდშეზოლილი მერცხალი. რედ. ალ. გომიაშვილი. გვ. 167, ფასი
33 კაბ.
ევგენი ბართაია — მზე და სიხარული. რედ. გრ. აბაშიძე. გვ. 95, ფასი 13 კაბ.
ქეთევან ხახუტაშვილი — ოქროს მარჯვენა. რედ. ს. ტოლაია. გვ. 133, ფასი 26 კაბ.

გამომცემლობა „ნაკადული“

- ლენინის სახელით, პარტიის სახელით. — (ლექსების კრებული) რედ. ირ. აბაშიძე. გვ. 42, ფა-
სი 5 კაბ.
ჭერომ სელინჩერი — თამაში ჭვავის ყანაში. თარგმ. ეახტანგ ჭელიძისა. რედ. ე. მაღ-
რაძე. გვ. 338, ფასი 60 კაბ.
სერგო ფხაკაძე — გზა და გული. რედ. კ. ლორთქიფანიძე. გვ. 73, ფასი 10 კაბ.
ელიზბარ ზედგინიძე — გიზაფხული დაიწყო აღრე. რედ. ე. უბილაძე. გვ. 291, ფასი 56 კაბ.
გივი გეგეჭკორი — აღმზიანები და თარღები. რედ. ნ. ლორთქიფანიძე. გვ. 72, ფასი 11 კაბ.
ლევან ფრუიძე — დაკარგული ბილიკი. რედ. ნ. ჩირაძე. გვ. 20, ფასი 7 კაბ.
ვისი ნაწარმოებია — (გასართობი შედგენილი კ. რატიშვილის მიერ) ფასი 95 კაბ.

ՅՆԼՈՒ 80 ԿՅՅ.

ИНДЕКС

76128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„**М Н А Т О Б И**“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“